ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—590 X

ენათმეცნიერება

7

1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობები

წელიწადი ᲐᲑ-Ე № 7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1990 წ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲦᲗᲥᲛᲐ — ᲙᲐᲕᲚᲔ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔᲑᲘ. გაგრძელება. თარგმანᲫᲕᲔᲚᲑᲔᲠᲫᲣᲚᲘᲓᲐᲜ 3

ᲞᲠᲝᲖᲐ, ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲘᲜᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲝᲠᲘ ᲔᲢᲘᲣᲓᲘ 44
ᲐᲜᲓᲠᲝ ᲑᲣᲐᲩᲘᲫᲔ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 56
ᲜᲘᲙᲝᲚᲝ ᲛᲘᲬᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 64
ᲔᲙᲐ ᲑᲐᲭᲠᲐᲫᲔ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 81
ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔ ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ — ᲗᲐᲠᲘ-ᲐᲠᲐᲚᲔ. რომანი. გაგრძელება 83
ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲫᲘᲑᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ. თარგმანი. პუბლიკაცია ლ ა დ ო ს უ ლ ა ბ ე რ ი ძ ი ს 105
ᲔᲝᲓᲐᲠ ᲜᲐᲠᲡᲘᲐ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 108
ᲑᲝᲑᲘ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ — ᲐᲙᲑᲐᲘ. მოთხრობა 111
ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲛᲘᲠᲜᲔᲚᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 125
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲑᲝᲗᲣᲐ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲝᲗᲣᲐ — ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲝᲗᲣᲐᲡᲘ. გაგრძელება 128

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐ — ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 145
ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲐᲭᲠᲐᲫᲔ — ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲕᲘᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ. გაგრძელება 149

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲝᲘᲚᲐᲫᲔ — ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲝᲠᲑᲐᲡᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲘᲑᲔᲠᲘ 162

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ

Ს. ᲑᲝᲒᲘᲑᲔᲠᲘᲫᲔ — ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ. პუბლიკაცია ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲘᲡ 168

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. გვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლეგანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი აღთქმა

პავლე მოციქულის ეპისტოლენი

პირველი კორინთელთა მიმართ

თავი პირველი

1. პავლე, ღმრთის ნებით ხმობილი მოციქული იესო ქრისტესი, და სოსთენე, ძმა,

2. ღმრთის ეკლესიას, რომელიც არის კორინთოში, იესო ქრისტეს მიერ განწმენდილთ, ხმობილ წმიდათ, ყველას, ვინც ყველგან, მათთან თუ ჩვენთან, უხმობს უფლის ჩვენის იესო ქრისტეს სახელს:

3. მადლი თქვენდა ღმრთის, მამის ჩვენისა, და უფლის იესო ქრისტეს მიერ.

4. მარადის ვმადლობ ღმერთს ჩემსას თქვენთვის, ღმრთის მადლის გამო, რომელიც მოგეცათ იესო ქრისტეს მიერ,

5. ვინაიდან ყოვლითურთ გამდიდრდით მასში, ყოველი სიტყვითა და ყოველი ცოდნით,

6. რადგანაც ქრისტეს მოწმობა განმტკიცდა თქვენს შორის,

7. ასე რომ, არ გაკლიათ არცერთი ნიჭი, და მოელით უფლის ჩვენის იესო ქრისტეს გამოცხადებას,

8. რომელიც განგამტკიცებთ თქვენ აღსასრულამდე, რათა უმწიკვლონი იყოთ უფლის ჩვენის იესო ქრისტეს დღეს.

9. სარწმუნოა ღმერთი, ვის მიერაც ხართ ხმობილნი, რათა ეზიაროთ მის ძეს, უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს.

10. მაგრამ გევედრებით თქვენ, ძმანო, უფლის ჩვენის იესო ქრისტეს სახელით, რომ ერთი გქონდეთ ყველას სათქმელი, და ნუ იქნება თქვენს შორის განხეთქილება, არამედ განმტკიცებულნი იყავით ერთი გონებით და ერთი აზრით.

11. ვინაიდან მეუწყა თქვენზე, ძმანო ჩემნო, ქლოეს სახლეულთაგან, რომ დავა არის თქვენს შორის,

12. იმას ვგულისხმობ, რომ თვითეული თქვენგანი ამბობს: მე პავლესა ვარ, მე აპოლოსისა, მე კეფასი, მე კიდევ ქრისტესი.

13. ნუთუ გაიყო ქრისტე? ან, იქნებ, პავლე ეცვა თქვენი გულისთვის ჯვარს? ანდა თქვენ ნათელ იღეთ პავლეს სახელით?

14. ვმადლობ ღმერთს, რომ არცერთი თქვენგანი არ მომინათლავს, კრისპუსისა და გაიუსის გარდა,

15. რათა ვერავინ თქვას, რომ ნათელი ვეცი ჩემი სახელით.

16. ნათელი ვეცი აგრეთვე სტეფანეს სახლს, მეტი არც ვიცი, თუ კიდევ ვინმესთვის მიცია ნათელი.

17. რადგან იმისთვის კი არ მომავლინა ქრისტემ, რომ ნათელი ვცე, არამედ რათა ვახარო, მაგრამ არა სიტყვის სიბრძნით, რათა არ გაუქმდეს ჯვარი ქრისტესი.

18. ვინაიდან ჯვრის სიტყვა სიშლეგეა წარწყმედილთათვის, ხოლო ჩვენთვის, ხსნილთათვის, ძალაა ღმრთისა.

19. რადგანაც დაწერილია: შევმუსრავ ბრძენთა სიბრძნეს და გონიერთა გონიერებას უკუვაგდებ.

20. სად არის ბრძენი? სად არის მწიგნობარი? სად არის მაძიებელი ამ საუკუნის? განა სიშლეგედ არ აქცია ღმერთმა სიბრძნე ამქვეყნიური?

21. რადგანაც, ღმრთის სიბრძნეში რომ ვერ შეიცნო ღმერთი ქვეყანამ საკუთარი სიბრძნით, ღმერთმა ინება ქადაგების სიშლეგით ეხსნა მორწმუნენი.

ოს წერილი. „მნათობი", № 6.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. ვინაიდან იუდეველნი სასწაულებს ითხოვენ, და ბერძენნი ეძებენ სიბრძნეს.

23. ჩვენ კი ვქადაგებთ ჯვარცმულ ქრისტეს: იუდეველთათვის საცდურს, ბერძენთათვის სიშლეგეს,

24. ხოლო იმავე იუდეველთა და ბერძენთათვის, რომელნიც არიან ხმობილნი, — ქრისტეს, ღმრთის ძალსა და სიბრძნეს.

25. ვინაიდან უგუნური ღმრთისა უფრო ბრძენია, ვიდრე კაცნი, და უძლური ღმრთისა უფრო ძლიერია, ვიდრე კაცნი.

26. დაუკვირდით, ძმანო, ვინ ხართ ხმობილნი: ცოტაა თქვენს შორის ბრძენი ხორციელად, ცოტაა ძლიერი, ცოტაა წარჩინებული.

27. მაგრამ ღმერთმა გამოარჩია შლეგნი ამა ქვეყნისანი, რათა არცხვინოს ბრძენნი, და უძლურნი ამა ქვეყნისანი, რათა არცხვინოს ძლიერნი;

28. და უგვარონი ამა ქვეყნისა, უბადრუკნი და არა არსნი გამოარჩია ღმერთმა, რათა განაქაროს არსნი;

29. და რათა არცერთი ხორციელი არ იქადოდეს ღმერთის წინაშე.

30. მისგან ხართ თქვენც ქრისტე იესოში, რომელიც იქმნა ჩვენთვის სიბრძნე ღმრთის მიერ, სიმართლე, გაწმენდა და გამოსყიდვა,

31. რათა, როგორც დაიწერა: ვინც იქადის, უფლით იქადოს.

თავი მეორე

1. ხოლო როდესაც თქვენთან მოვედი, ძმანო, მოვედი, რათა მეუწყებინა თქვენთვის მოწმობა ღმრთისა, მაგრამ არა სიტყვისა თუ სიბრძნის სიმაღლით;

2. ვინაიდან გადავწყვიტე არაფერი მცოდნოდა თქვენს შორის, გარდა იესო ქრისტესი. და ისიც ჯვარცმულისა.

3. და ვიყავი თქვენთან უძლურებასა, შიშსა და საშინელ ძრწოლაში.

4. და სიტყვა ჩემი და ქადაგება არა კაცური სიბრძნის სარწმუნოებისა, არამედ სულისა და ძალის გამოვლინებით,

5. რათა განმტკიცდეს თქვენი რწმენა არა კაცური სიბრძნით, არამედ ღმრთის ძალით.

6. ხოლო სიბრძნეს ჩვენ ვქადაგებთ სრულქმნილთა შორის, მაგრამ არა ამქვეყნიურსა თუ ამავე ქვეყნის წარმავალ მთავართა სიბრძნეს,

7. არამედ სიბრძნეს ღმრთისას, საიდუმლოს და დაფარულს, რომელიც, საუკუნეთა უწინარეს, იმთავითვე ჩვენდა სადიდებლად განაწესა ღმერთმა,

8. და რომელიც ვერ შეიცნო ვერც ერთმა მთავარმა ამა ქვეყნისა; რადგან, რომ შეეცნოთ, ჯვარს აღარ აცვამდნენ დიდების უფალს.

9. არამედ, როგორც დაიწერა: რაც არ უხილავს თვალს, არ სმენია ყურს, და არ გაუვლია კაცს გულში, და რაც ღმერთმა განუმზადა თავის მოყვარეთ,

10. ხოლო ჩვენ ღმერთმა თავისი სულით გაგვიცხადა, ვინაიდან სული ყველაფერს იძიებს, თვით ღმრთის სიღრმესაც.

11. რადგან რომელმა კაცთაგანმა იცის კაცისა, თუ არა კაცის სულმა, რომელიც არის მასში? ასევე არავინ იცის ღმერთისა, თუ არა ღმერთის სულმა.

12. ხოლო ჩვენ ამ ქვეყნის სული კი არ მიგვიღია, არამედ სული, რომელიც არის ღმრთისაგან, რათა ვიცოდეთ, რა მოგვანიჭა ღმერთმა;

13. და რაზედაც ვმსჯელობთ არა კაცური სიბრძნით ნასწავლი სიტყვით, არამედ, სულის წმიდის მიერ ნასწავლით, და სულიერით ვაჯერებ სულიერს.

14. მაგრამ მშვინვიერი კაცი არ შეიწყნარებს იმას, რაც ღმერთის სულისაგან არის, რადგანაც სიშლეგედ უჩანს იგი: და არ შეუძლია იმის გაგება, რომ ეს სულიერად უნდა განსაჯო.

15. მაგრამ სულიერი განსჯის ყველაფერს, თვითონ კი არავისგან არ განისჯება.

16. რადგან ვინ შეიცნო გონება უფლისა, რათა განსაჯოს იგი? ხოლო ჩვენ გონება ქრისტესი გვაქვს.

თავი მესამე

1. და მე არ შემეძლო, ძმანო, მელაპარაკა თქვენთან, როგორც სულიერთა მიმართ, არამედ როგორც ხორციელთა, როგორც ყრმათა მიმართ ქრისტეში.

2. რძით გზრდიდით თქვენ, და არა საჭმლით, ვინაიდან ჯერ კიდევ არ შეგეძლოთ მისი მონელება, და არც ახლა შეგიძლიათ.

3. ვინაიდან ჯერ კიდევ ხორციელნი ხართ. რადგან თუ თქვენს შორის არის შური, ცილობა და განხეთქილება, განა ხორციელნი არა ხართ და კაცთა ჩვეულებამებრ არ იარებით?

4. მართლაცდა, როცა ერთი ამბობს: მე პავლესი ვარ, ხოლო მეორე: მე — აპოლოსის, განა ხორციელნი არა ხართ?

5. რადგან ვინ არის პავლე? ან ვინ არის აპოლოსი? მხოლოდ მსახურნი, რომელთაგანაც ირწმუნეთ, და თანაც იმდენად, რამდენადაც მისცა უფალმა თვითეულ თქვენგანს.

6. მე დავრგე, აპოლოსმა მორწყა, მაგრამ გაზარდა ღმერთმა.

7. ასე რომ, არც დამრგველია რამე, და არც მომრწყველი, არამედ გამზრდელი ღმერთი.

8. ხოლო დამრგველი და მომრწყველი ერთი არიან; მაგრამ თვითეული თავისი შრომისამებრ მიიღებს საზღაურს თვისას.

9. ჩვენა ვართ ღმერთის თანამოსაქმენი, ხოლო თქვენ ღმერთის ნამუშაკევნი. ღმერთის ნაშენნი ხართ.

10. მე, ჩემთვის მოცემული მადლით ღმრთისა, როგორც ბრძენმა ხუროთმოძღვარმა, საძირკველი დავდე, სხვა კი აშენებს მასზე; მაგრამ ყველამ უყურეროს, როგორ აშენებს.

11. რადგან ვერავინ ვერ დადებს სხვა საძირკველს, გარდა უკვე დადებულისა, რომელიც არის იესო ქრისტე.

12. ხოლო თუ ვინ აშენებს ამ საძირკველზე ოქროს, ვერცხლს, ძვირფას ქვებს, შეშას, თივას, ჩალას, —

13. თვითეულის საქმე გამომჟღავნდება, რადგანაც ცხადყოფს დღე. ვინაიდან ცეცხლით მჟღავნდება, და ცეცხლითვე გამოიცდება, ვინ რას აკეთებს.

14. ვისი საქმეც გაუძლებს, მშენებელს საზღაური ელის.

15. ხოლო ვისიც დაიწვის, ის იზარალებს. თუმცა თვითონ კი დააღწევს თავს, მაგრამ როგორც ცეცხლს.

16. ნუთუ არ იცით, რომ ღმრთის ტაძარი ხართ, და სული ღმრთისა დამკვიდრებულია თქვენში?

17. ვინც ღმრთის ტაძარს დააქცევს, დააქცევს მას ღმერთი. ვინაიდან ღმრთის ტაძარი წმიდაა, ხოლო ესა ხართ თქვენ.

18. ნურავინ აცდუნებს თავის თავს. თუ რომელიმე თქვენგანს ბრძნად მოაქვს თავი ამ ქვეყნად, შლეგი გახდეს, რათა ბრძენი იყოს იგი.

19. რადგანაც სიბრძნე ამა ქვეყნისა სიშლეგეა ღმერთის წინაშე. ვინაიდან დაწერილია: ვინც აბამს ბრძენთ მათსავე ცბიერებაში.

20. და კიდევ: იცის უფალმა ბრძენთა ზრახვანი, რომ ფუჭნი არიან ისინი.

21. მაშ, ნურავინ იქადის კაცთა შორის, რადგანაც ყველაფერი თქვენია:

22. პავლე თუ აპოლოსი, კეფა თუ ქვეყანა, სიცოცხლე თუ სიკვდილი, აწმყო თუ მომავალი, — თქვენია ყოველი.

2 3. ხოლო თქვენ ქრისტესნი ხართ, ქრისტე კი — ღმრთისა.

თავი მეოთხე

1. ამრიგად, ჩვენ უნდა შეგვრაცხოს კაცმა, როგორც ქრისტეს მსახურნი და ღმრთის საიდუმლოთა მნენი.

2. ხოლო მნეთაგან იმას მოითხოვენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თვითეული მათგანი სანდო იყოს.

3. პირადად მე არაფრად მიჩანს, როგორ განმიკითხავთ თქვენ, ან როგორ განმიკითხავენ სხვები. მე თვითონაც არ განვიკითხავ ჩემსავე თავს.

4. რადგანაც არაფერი მაქვს სინიდისის საქენჯნი. მაგრამ ამით როდი ვიმართლებ თავს; ვინაიდან უფალია ჩემი განმკითხველი.

5. ამიტომაც ნაადრევად ნუ განიკითხავთ, ვიდრე არ მოვა უფალი, რომელიც ნათელს მოჰფენს ბნელში დაფარულს და გამოამჟღავნებს გულის ზრახვებს, და მაშინ თვითეულს მიეგებაქება ღმრთის მიერ.

6. ხოლო ეს ჩემი და აპოლოსის გამო მოგახსენეთ, ძმანო, რათა ისწავლოთ ჩვენგან, რომ არა ბრძნობდეთ უფრო მეტს, ვიდრე დაწერილია, და ერთმანეთის წინაშე დიდ ვინმედ არ მოგქონდეთ თავი.

7. რადგან ვინ გასხვავებს შენ? რა გაქვს ისეთი, რაც არ მიგიღია? ხოლო თუ მიგიღია, რაღას იქადი, თითქოს არ მიგეღოს?

8. აწ უკვე გამძღარხართ და გამდიდრებულხართ, და უჩვენოდ სუფევთ. ნეტა მართლაც გქონდეთ სუფევა, რათა ჩვენც თქვენთან ერთად ვსუფევდეთ.

9. რადგანაც მგონია, რომ ჩვენ, უკანასკნელი მოციქულნი, ღმერთმა გამოგვიყვანა, როგორც სიკვდილმისჯილნი, ქვეყნის, ანგელოზთა და კაცთა სასეიროდ.

10. ჩვენ შლეგნი ქრისტეს გულისთვის, ხოლო თქვენ ბრძენნი ქრისტეს მიერ; ჩვენ უძლურნი, ხოლო თქვენ ძლიერნი; თქვენ დიდებულნი, ხოლო ჩვენ გინებულნი.

11. თვით აქამომდე ვითმენთ შიმშილს და წყურვილს, სიშიშვლეს, გვემასა და მიუსაფრობას,

12. და ვშრომობთ, ვმუშაობთ საკუთარი ხელით; გვაგინებენ, და ვაკურთხებთ, გვდევნიან, და ვითმენთ;

13. გვგმობენ და ვლოცავთ; ჩვენა ვართ თითქოს ნაგავი ქვეყნისა, ყველას მიერ ნაქელი მტვერი.

14. თქვენდა სარცხვენად ეს-ეფი გწერთ ამას, არამედ როგორც ჩემი საყვარელი შვილების შესაგონებლად.

15. ვინაიდან მრავალი მზრდელი გყავთ ქრისტეს მიერ, მაგრამ აბა მრავალი მამა; რადგან ქრისტე იესოს მიერ სახარებით მე გშობეთ თქვენ.

16. ამიტომაც გევედრებით: მომბაძეთ მე.

17. სწორედ ამიტომ გამოგიგზავნეთ ტიმოთე, რომელიც არის ჩემი საყვარელი შვილი და სარწმუნო უფლის მიერ, რათა მოგახსენოთ თქვენ ჩემი გზანი ქრისტეს მიერ, თუ როგორ ვასწავლი ყველგან, ყველა ეკლესიაში.

18. ზოგიერთს ისე გაუვიდა თავს, თითქოს თქვენთან არც ვაპირებდე მოსვლას.

19. მაგრამ, თუ უფალი ინებებს, მალე მოგივალთ, და გამოვცდი თავგასულთა არა სიტყვას, არამედ ძალას.

20. ვინაიდან ღმრთის სასუფეველი სიტყვით კი არ არის, არამედ ძალით.

21. რა გსურთ? კვერთხით მოვიდე თქვენთან, თუ სიყვარულითა და თვინიერების სულით?

თავი მეხუთე

1. დაბეჯითებით ამბობენ, რომ დაიწყო თქვენში მრუშობა, და თანაც ისეთი მრუშობა, რომლის მსგავსიც არ სმენიათ თვითონ წარმართთაც; რომ ვიღაცას მამის ცოლი თურმე ცოლადა ჰყავს.

2. და თქვენ თავს გაგივიდათ, ნაცვლად იმისა, რომ გეგლოვათ, რათა მოგეკვეთათ ამნაირი საქმის მოქმედი.

3. ხოლო მე, — თუმცა შორსა ვარ ხორცით, მაგრამ თქვენთან ვარ სულით, — უკვე განვსაჯე, როგორც თქვენს შორის მყოფმა:

4. ამნაირი საქმის მოქმედი, უფლის ჩვენის იესო ქრისტეს სახელით, როცა შეიკრიბებით ჩემი სულის თანდასწრებით უფლის ჩვენის იესო ქრისტეს ძალით, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სატანას მიეცეს ხორცით სატანჯველად, რათა სული ხსნილ იქნეს უფლის იესოს დღეს.

6. უკეთურია თქვენი სიქადული. ნუთუ არ იცით, რომ მცირეოდენი საფუარი მთელ ცომს აფუებს?

7. მაშ, გაწმინდეთ ძველი საფუარი, რათა იყოთ თქვენ ახალი ცომი, რადგანაც უფუარნი ხართ; ვინაიდან პასექი ჩვენი, ქრისტე, ჩვენთვის დაიკლა.

8. ასე რომ, ვიდღესასწაულოთ არა ძველი საფუარით, არა უკეთურობისა და უწმინდურობის საფუარით, არამედ სიწმიდისა და ჭეშმარიტების უფუარი პურით.

9. მოგწერეთ წერილში: ნუ აერევით-მეთქი მემრუშეთ;

10. და არა მარტო ამა ქვეყნის მემრუშეთ, ანდა ანგართ, მტაცებელთა თუ კერპთმსახურთ, თორემ მოგიწევთ-მეთქი ამ ქვეყნით გასვლა;

11. არამედ ისიც მოგწერეთ, არ არეოდით არც იმათ, ვინც, ასე ვთქვათ, ძმად იწოდება, მაგრამ კვლავინდებურად მემრუშეა ანდა ანგარი, კერპთმსახური თუ მაგინებელი, მემთვრალე თუ მტაცებელი, და პურიც კი არ გეჭამათ ამნაირთან.

12. რადგან რად განვიკითხოთ გარეშენიც? განა შინაურთ არ განიკითხავთ თქვენ?

13. ხოლო გარეშეთ ღმერთი განიკითხავს. მაშ, მოიკვეთეთ უკეთური.

თავი მეექვსე

1. როგორა ბედავს რომელიმე თქვენგანი, ვისაც დავა აქვს სხვასთან, უსამართლოთა წინაშე განისაჯოს, და არა წმიდათა წინაშე?

2. ნუთუ არ იცით, რომ წმიდანი განიკითხავენ ქვეყანას? ხოლო თუ თქვენგან განიკითხება ქვეყანა, განა იმისი ღირსნი არა ხართ, რომ უფრო წვრილმანი საქმენი განსაჯოთ?

3. ნუთუ არ იცით, რომ ჩვენ განვიკითხავთ ანგელოზებს, და განა მით უმეტეს არ განვსჯით ამქვეყნიურ-მეთაც?

4. თქვენ კი, როცა ყოფითი საქმეები გამოგაქვთ სამსჯავროზე, მსაჯულებად ეკლესიისათვის შეურაცხ პირებს სვამთ.

5. თქვენდა სარცხვენად ვამბობ: ნუთუ არ არის თქვენს შორის არცერთი ბრძენი, რომელსაც შეუძლია თავისივე ძმათა განსჯა?

6. მაგრამ ძმა ძმასთან დავობს და, თანაც, ურწმუნოთა წინაშე.

7. ისიც დიდად დამამცირებელია თქვენთვის, რომ ერთმანეთს უჩივით. რატომ არ გიჯობთ, დაითმინოთ უსამართლობა, ან იზარალოთ რამე?

8. მაგრამ თქვენ თვითონ უსამართლოდ ექცევით და ზიანს აყენებთ, და მერე ვის? — ძმებს.

9. ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სასუფეველს. ნუ შეცდებით: ვერც მეძავნი, ვერც კერპთმსახურნი, ვერც მემრუშენი, ვერც ჩუკენნი, ვერც მამათმავალნი,

10. ვერც მპარავნი, ვერც ანგარნი, ვერც მემთვრალენი, ვერც მაგინებელნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს.

11. ოდესღაც ზოგიერთი თქვენგანი ამნაირი იყო; მაგრამ განიბანეთ, მაგრამ განიწმიდეთ, მაგრამ გამართლდით უფლის ჩვენის იესო ქრისტეს სახელითა და ღმერთის ჩვენის სულით.

12. ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი როდი მრგებს მე. ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ არაფერი არ უნდა მფლობდეს მე.

13. საჭმელი მუცლისათვის, და არა მუცელი საჭმლისათვის; ხოლო ღმერთი ერთსაც და მეორესაც განაქარებს. სხეული კი არა სიძვისათვის, არამედ უფლისათვის, და უფალი სხეულისათვის.

14. ღმერთმა აღადგინა თვითონ უფალი, და აღგვადგენს ჩვენც თავისი ძალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. ან, იქნებ, არ იცით, რომ თქვენი სხეულნი ქრისტეს ასონი არიან? ნუთუ ასოებს წავართმევ ქრისტეს, რათა მეძავის ასოებად ვაქციო ისინი? ღმერთმა ნუ ქნას.

16. ან, იქნებ, არც ის იცით, რომ ვინც მეძავს შეერთვის, მისი ერთხორცი ხდება; ვინაიდან, როგორც ითქვა: ორივე იქნება ერთ ხორც.

17. ხოლო ვინც უფალს შეერთვის, ერთი სულია მასთან ერთად.

18. ერიდეთ სიძვას: ყოველი ცოდვა, რომელსაც სჩადის კაცი, სხეულის გარეშეა; ხოლო მეძავი საკუთარი სხეულის მიმართ სცოდავს.

19. ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სულის წმიდისა, რომელიც გაქვთ ღმერთისაგან, და არ ეკუთვნით თქვენს თავს?

20. რადგანაც სასყიდელითა ხართ ნაყიდნი. მაშ, ადიდეთ ღმერთი თქვენ სხეულითა და თქვენი სულით, რომელნიც არიან ღმრთისა.

თავი მეშვიდე

1. ხოლო რაც შეეხება იმას, რის გამოც მწერდით, კარგი იქნება, რომ კაცი არ გაეკაროს ქალს;

2. მაგრამ სიძვის თავიდან ასაცილებლად, ყველა კაცს თავისი ცოლი ჰყავდეს, და ყველა ქალს — თავისი ქმარი.

3. ქმარი ჯეროვან პატივს მიაგებდეს ცოლს, და ასევე ცოლი — ქმარს.

4. ცოლი კი არ არის საკუთარი სხეულის უფალი, არამედ ქმარი; ასევე ქმარიც როდია თავისი სხეულის უფალი, არამედ ცოლი.

5. ნუ განეშორებით ერთმანეთს, თუ არა დროებით, ურთიერთშეთანხმებით, რათა ლოცვისა და მარხვისათვის მოიცალოთ; შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდით ერთიმეორეს, რათა სატანამ არ გაცდუნოთ თქვენი თავშეუკავებლობის გამო.

6. თუმცა ამას გეუბნებიო, როგორც ნებართვას, და არა როგორც ბრძანებას.

7. რადგანაც მსურს, რომ ყველა კაცი ჩემსავით იყოს. მაგრამ თვითეულს თავისი მადლი აქვს ღმრთისაგან, ზოგს ასე, ზოგს ისე.

8. უქორწინებელთა და ქვრივთა მიმართ კი ვიტყვი: უჯობთ, თუ ისე იქნებიან, როგორც მე ვარ.

9. მაგრამ თუ თავს ვერ შეიკავებენ, დე, იქორწინონ, ვინაიდან ქორწინება სჯობს გახელებას.

10. ხოლო დაქორწინებულთ მე კი არ ვუბრძანებ, არამედ უფალი: ცოლი ნუ გაეყრება ქმარს,

11. მაგრამ, თუ გაეყრება, აღარ გათხოვდეს, ანდა შეურიგდეს ქმარს; და ნურც ქმარი მიატოვებს ცოლს.

12. ხოლო დანარჩენთ მე ვეუბნები, და არა უფალი: თუ რომელიმე ძმასა ჰყავს ურწმუნო ცოლი, და ქალი თანახმაა იცხოვროს მასთან, არ უნდა მიატოვოს იგი.

13. და ცოლიც, რომელსაც ჰყავს ურწმუნო ქმარი, და კაცი თანახმაა იცხოვროს მასთან, ნუ მიატოვებს მას.

14. ვინაიდან ურწმუნო ქმარი მორწმუნე ცოლისაგან განიწმინდება, და ურწმუნო ცოლი — მორწმუნე ქმრისაგან. თორემ თქვენი შვილებიც არაწმიდანი იქნებოდნენ, ახლა კი წმიდანი არიან.

15. ხოლო თუ ურწმუნოს გაყრა სურს, დე, გაეყაროს. ამ შემთხვევაში არც ძმა და არც და შეკრულნი არ არიან; ვინაიდან მშვიდობისთვის გვიხმო უფალმა.

16. რა იცი, ქალო, იხსნი თუ არა ქმარს? ან შენ რა იცი, კაცო, იხსნი თუ არა ცოლს?

17. არამედ ყველა მოიქცეს ისე, როგორც განუწესა ღმერთმა, და როგორც იხმო უფალმა. ამასვე ვუბრძანებ ყველა ეკლესიას.

18. წინადაცვეთილად იხმო ვინმე? ნუ ემსგავსება წინადაუცვეთელს; წი-

ნადაუცვეთელად იხმო ვინმე? ნუ წინადაიცვეთს.

19. წინადაცვეთილობა არაფერია და წინადაუცვეთელობაც არაფერია: მხოლოდ ღმრთის მცნებათა დაცვაა ყველაფერი.

20. ყველა დარჩეს იმად, რადაც იქნა ხმობილი.

21. მონად ხარ ხმობილი? ნუ სწუხარ. მაგრამ თუ შეგიძლია მოიპოვო თავისუფლება, უმალვე ისარგებლე ამით.

22. რადგანაც მონა, უფლის მიერ ხმობილი, თავისუფალია უფლისა, ისევე როგორც თავისუფლად ხმობილი — ქრისტეს მონაა.

23. სასყიდლითა ხართ ნაყიდნი. ნუ გახდებით მონები კაცთა.

24. ვინც რა წოდებით არის ხმობილი, იმადვე დარჩეს, ძმანო, ღმერთის წინაშე.

25. ხოლო ქალწულთათვის არა მაქვს უფლის ბრძანება; არამედ მხოლოდ რჩევას ვიძლევი, როგორც უფლის მიერ შეწყალებული და სარწმუნოდ შერაცხილი.

26. მე აგრე მგონია, რომ, აწინდელი გაჭირვების გამო, კაცისთვის უმჯობესია, თუ იქნება ასე.

27. ცოლიანი ხარ? ნუ ეძებ ცოლთან გაყრას. ცოლგანაშვები ხარ? ნუ ეძებ ცოლს.

28. თუმცა, თუ იქორწინებ, არა სცოდავ; და თუ ქალწული იქორწინებს, არა სცოდავს. მაგრამ ამნაირნი თავს იდებენ ურვას ხორცისას; ხოლო მე გზოგავთ თქვენ.

29. ამას გეუბნებით, ძმანო: ცოტაღა დარჩა დრო; ასე რომ, ცოლიანები ისე იყვნენ, როგორც უცოლონი;

30. და მოტირალნი, როგორც არა მოტირალნი; მოხარულნი, როგორც არა მოხარულნი; და მყიდველნი, როგორც არას მქონენი;

31. და ამ ქვეყნით მოსარგებლენი, როგორც არა მოსარგებლენი: ვინაიდან წარმავალია ამ ქვეყნის ხატი.

32. მე მინდა, რომ უზრუნველნი იყოთ. უქორწინებელი უფლისა ზრუნავს, თუ როგორ აამოს უფალს;

33. დაქორწინებული კი ქვეყნისას ზრუნავს, თუ როგორ აამოს ცოლს, განსხვავებაა გათხოვილსა და ქალწულს შორისაც:

34. გაუთხოვარი უფლისას ზრუნავს, რათა წმიდა იყოს ხორციცაც და სულიცაც; გათხოვილი კი ქვეყნისას ზრუნავს, რათა აამოს ქმარს.

35. ხოლო ამას გეუბნებით თქვენსავე სარგოდ, არა იმიტომ, რომ ქამანდი მოგდოთ, არამედ, რათა გამუდმებით, ღირსეულად და დაუბრკოლებლად ემსახურებოდეთ უფალს.

36. ხოლო თუ ვინმეს თავისი ქალწულობისათვის საძრახისად მიაჩნია, რომ, გასათხოვარ ასაკში გაუთხოვარი დარჩეს, ისე მოიქცეს, როგორცა სურს: არა სცოდავს; დაე, გათხოვდეს.

37. ხოლო თუ ვინმე ურყევად დგას და მტკიცედ გადაწყვეტს გულში, მაგრამ არა როგორც აუცილებლობით იძულებული, არამედ როგორც თავისი ნების ბატონ-პატრონი, — დაიცვას თავისი ქალწული, კარგად იქცევა.

38. და ვინც ათხოვებს თავის ქალწულს, კარგად იქცევა, მაგრამ ვინც არ ათხოვებს, კიდევ უფრო უკეთ იქცევა.

39. ქალი რჯულითაა შეკრული, სანამ ცოცხალია იმისი ქმარი; ხოლო თუ ქმარი მოუკვდა, თავისუფალია, ვისაც უნდა, იმას გაჰყვეს, მხოლოდ უფლის მიერ.

40. მაგრამ უფრო ბედნიერი იქნება, თუკი ისე დარჩება, როგორც მე ვურჩევ; ხოლო, ვფიქრობ, მეცა მაქვს ღმერთის სული.

თავი მერვე

1. ხოლო კერპთათვის შეწირულისა ვიცით, ვინაიდან ყველას გვაქვს ცოდნა; მაგრამ ცოდნა აამპარტავნებს კაცს, სიყვარული კი შეაგონებს.

2. ვისაც ჰგონია, რომ რაღაცა იცის,

ჯერ კიდევ არაფერი ისე არ იცის, როგორც უნდა იცოდეს.

3. მაგრამ ვისაც უყვარს ღმერთი, მიცემული აქვს ცოდნა მის მიერ.

4. ხოლო კერპთშეწირულების ჭამისთვის ვიცით, რომ კერპი არაფერია ამ ქვეყნად, და რომ არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ერთისა.

5. რადგან თუმცაღა არიან ეგრეთწოდებული ღმერთები, მიწაზე თუ ცაში (ისევე როგორც არის მრავალი ღმერთი და მრავალი უფალი),

6. მაგრამ ჩვენ ერთი გვყავს მამა ღმერთი, ვისგანაც არის ყოველი, და ვისთვისაც ვართ ჩვენ; და ერთი გვყავს უფალი იესო ქრისტე, ვის მიერაც არის ყოველი, და ვის მიერაც ვართ ჩვენ.

7. თუმცა ყველას როდი აქვს ეს ცოდნა. ზოგიერთნი აქამდე კერპთმოსავი სინიდისით ჭამენ კერპთშეწირულებას, როგორც საკერპო მსხვერპლს, და მათი სინდისი, რომელიც უძლურია, იბღალება.

8. მაგრამ საჭმელი როდი გვაახლოებს ღმერთთან: რადგან ჭამით არაფერი გვემატება, და უჭმელობითაც არა გვაკლდება რა.

9. და მაინც ფრთხილად იყავით, რათა ეგ თქვენი თავისუფლება საცდური არ შეიქნეს უძლურთათვის.

10. რადგან თუ ვინმე დაგინახავს, რომ შენ, მცოდნე, საკერპოში ინახად ზიხარ, განა მისი, როგორც უძლურის, სინიდისი არ მიაქცევს მას კერპთაშეწირულების ჭამად?

11. და შენი ცოდნით წარწყმდება შენი უძლური ძმა, ვისთვისაც მოკვდა ქრისტე.

12. ხოლო თუ ამნაირად შესცოდავთ ძმათა მიმართ, და მოსწყლავთ მათ უძლურ სინიდისს, ქრისტეს მიმართაც სცოდავთ.

13. ამიტომ, თუ საჭმელი აცდუნებს ჩემს ძმას, აღარასოდეს არ შევჭამ ხორცს, რათა არ ვაცდუნო ჩემი ძმა.

თავი მეცხრე

1. არა ვარ მოციქული? არა ვარ ვისუფალი? არ მიხილავს უფალი ჩვენი იესო ქრისტე? არა ხართ თქვენ ჩემი ნამოქმედარნი უფალში?

2. სხვებისათვის თუ არა ვარ მოციქული, თქვენთვის დიახაც ვარ, ვინაიდან ჩემი მოციქულობის ბეჭედი თქვენა ხართ უფალში.

3. აი, ჩემი თავისმართლება ჩემს ბრალმდებელთა წინაშე.

4. იქნებ არა გვაქვს უფლება ჭამის და სმისა?

5. იქნება არა გვაქვს უფლება თანამგზავრებად გვყავდეს და, ცოლი, როგორც სხვა მოციქულებს და უფლის ძმებსა და კეფას?

6. იქნებ მხოლოდ მე და ბარნაბას არა გვაქვს უფლება უქმად ყოფნისა?

7. ვინ, რომელი მეომარი ომობს თავისი ხარჯით? ვინ ჩაყრის ვაზს და ყურძენს კი არა ჭამს? ვინ მწყემსავს ფარას და ცხვრის რძეს კი არა სვამს?

8. იქნებ მხოლოდ კაცთა ჩვევისამებრ ვმსჯელობთ? მაგრამ განა ამასვე არ ამბობს რჯულიც?

9. ვინაიდან მოსეს რჯულში სწერია: ნუ აუკრავ პირს ხარსა მლეწველსა. ნუთუ ხარების დარდი აქვს ღმერთს?

10. არამედ, ცხადია, ჩვენთვის ამბობს, ვინაიდან მხვნელი იმედით უნდა ხნავდეს, და ლეწვის დროს მლეწველსაც უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ მოიწევს იმას, რაც ეიმედება.

11. ხოლო თუ ჩვენ სულიერი დავთესეთ თქვენში, განა დიდი რამე იქნება, თუ მოვიმკით თქვენგან ხორციელს?

12. თუკი სხვებსა აქვთ თქვენზე ბრძანებლობის უფლება, განა მით უმეტეს არ გვეკუთვნის ჩვენ? მაგრამ ჩვენ არ გვისარგებლია ამ უფლებით, არამედ დღემდე ვითმენთ ყველაფერს, რათა არაფრით შევაფერხოთ ქრისტეს სახარება.

13. ნუთუ არ იცით, რომ ტაძრის მსახურნი ტაძრისაგან ჭამენ, და საკურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხევლის მსახურნი საკურთხევლისაგან იღებენ წილს?

14. ასე უფალმაც უბრძანა სახარების მქადაგებელთ, რომ სახარებით ცხოვრობდნენ.

15. მაგრამ მე არასოდეს მისარგებლია ამით, და არც ამისთვის გწერთ, რომ ასე იყოს ჩემს მომართ. რადგანაც მიჯობს მოვკვდე, ვიდრე ვინმემ გამიცუდოს ჩემი სიქადული.

16. რადგანაც, თუ ვახარებ, რა მაქვს სასიქადულო? ვინაიდან აუცილებლობით მადევს ვალად, და ვაი ჩემს თავს, თუ არ ვახარებ!

17. რადგან თუ ნებით ვაკეთებ ამას, მაქვს საზღაური, ხოლო თუ ძალაუნებურად, მხოლოდ ჩემთვის მონდობილ მნეობას ვასრულებ.

18. კი მაგრამ, რაღაა ჩემი საზღაური? ის, რომ, სახარების ქადაგებისას, უსასყიდლოდ ვახარებ ქრისტეს, და არ ვსარგებლობ მახარებლის უფლებით.

19. რადგან ყველასაგან თავისუფალმა, ყველას ვუმონე თავი, რათა უმრავლესნი შემეძინა:

20. იუდეველებთან ვიყავი, როგორც იუდეველი, რათა შემეძინა იუდეველნი; რჯულის ქვეშევრდომთათვის ვიყავი, როგორც რჯულის ქვეშევრდომი, რათა შემეძინა რჯულის ქვეშევრდომნი;

21. ურჯულოებთან, როგორც ურჯულო (არა ურჯულო ღმრთისა, არამედ რჯულიერი ქრისტესი), რათა შემეძინა ურჯულონი.

22. უძლურთათვის ვიყავი როგორც უძლური, რათა შემეძინა უძლურნი; ყველას ყველად ვექმენ, რათა მეხსნა ზოგიერთნი.

23. ხოლო ამას ვიქმ სახარებისათვის, რათა ვიყო თანამოზიარე მისი.

24. ნუთუ არ იცით, რომ ასპარეზობისას ყველანი რბიან, მაგრამ მხოლოდ ერთი იღებს ჯილდოს. ისე ირბინეთ, რომ მიიღოთ.

25. ხოლო ყოველი მოღვაწე ყველაფერს ითმენს: ისინი — რათა მიიღონ ხრწნადი გვირგვინი, ჩვენ კი — დავიმსახუროთ უხრწნელი.

26. ამიტომაც ისე როდი გავრბივარ, თითქოს არ ვიცოდე, რისთვის; არც მუშტებს ვიქნევ ისე, თითქოს ჰაერსა ვცემდე;

27. არამედ ვთრგუნავ და ვიმონებ ჩემს სხეულს, რათა, სხვებს რომ ვუქადაგებ, თავად არ ვიყო უღირსი.

თავი მეათე

1. მინდა იცოდეთ, ძმანო, რომ ჩვენი მამები ყველანი ღრუბლის ქვეშ იყვნენ, და ყველამ გამოვლო ზღვა.

2. და ყველამ მოსეს მიერ ნათელ იღო ღრუბელსა და ზღვაში.

3. და ყველანი ერთსა და იმავე სულიერ საჭმელს ჭამდნენ.

4. და ყველანი ერთსა და იმავე სულიერ სასმელს სვამდნენ; ვინაიდან სვამდნენ სულიერი კლდისაგან, რომელიც მიჰყვებოდა მათ; ხოლო ეს კლდე იყო ქრისტე.

5. მაგრამ ბევრი მათგანი როდი ისათნოვა ღმერთმა, რადგანაც უდაბნოში დაეცნენ.

6. ხოლო ისინი ჩვენი ხატები იყვნენ, რათა გულხარბნი არ ვიყოთ ბოროტის მიმართ, როგორც ისინი იყვნენ გულხარბნი.

7. და ნურც კერპთმსახურნი იქნებით, ზოგიერთი მათგანის მსგავსად; როგორც დაიწერა: დასხდა ხალხი ჭამად და სმად, და სათამაშოდ ადგა.

8. ნურც ვიმრუშებთ, როგორც ზოგი მათგანი მრუშობდა, და დაეცა ერთ დღეს ოცდასამი ათასი.

9. ნურც გამოვცდით ქრისტეს, როგორც ზოგმა მათგანმა გამოსცადა, და გველებისგან დაიღუპნენ.

10. ნურც დრტვინავთ, როგორც ზოგი მათგანი დრტვინავდა, და შეიმუსრნენ მმუსრველის მიერ.

11. ყოველივე ეს ნიმუშად მოიწია მათზე; ხოლო დაიწერა ჩვენდა დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძღვრად, რომელთაც მოვაღწიეთ ჟამთა აღსასრულს.

12. ამრიგად, ვისაც ჰგონია, რომ დგას, გაფრთხილდეს, რათა არ დაეცეს.

13. სხვა განსაცდელი თქვენ არ შეგხვედრიათ, კაცურის გარდა; მაგრამ სარწმუნოა ღმერთი, რომელიც არ განგაცდევინებთ იმას, რისი თმენაც თქვენს ძალ-ღონეს აღემატება, არამედ განსაცდელში გამოსავალსაც გაპოვნინებთ, რათა შეიძლოთ დათმენა.

14. ასე რომ, ჩემო საყვარელნო, ეკრძალეთ კერპთმსახურებას.

15. მოგმართავთ როგორც გონიერთ; თავად განსაჯეთ, რას ვამბობ.

16. სასმისი კურთხევისა, რომელსაც ვაკურთხებთ, განა ზიარება არ არის ქრისტეს სისხლისა? ან ეს პური, რომელსაც ვტეხთ, განა ზიარება არ არის ქრისტეს ხორცისა?

17. ერთია პური, და ჩვენ, მრავალნი, ერთი სხეული ვართ, ვინაიდან ყველანი ერთსა და იმავე პურს ვეზიარებით.

18. იხილეთ ისრაელი ხორციელად: განა ისინი, რომელნიც ჭამენ მსხვერპლს, საკურთხევლის თანაზიარნი არ არიან?

19. მაინც რას ვამბობ? იმას, რომ კერპი რაღაცაა, და რომ კერპთმსახურებაც რაღაცას ნიშნავს?

20. არამედ იმას, რომ მსხვერპლს, რომელსაც სწირავენ წარმართნი, დემონებს სწირავენ, და არა ღმერთს; მე კი არ მინდა, რომ თქვენ ეზიარებოდეთ დემონებს.

21. არ შეგიძლიათ სვათ სასმისი უფლისა და სასმისი დემონებისა; არ შეგიძლიათ ეზიაროთ ტაბლას უფლისას და ტაბლას დემონებისას.

22. ნუთუ შურს აღვუძრავთ უფალს? იქნებ ჩვენ უფრო ძლიერნი ვართ მასზე?

23. ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი როდი გვრგებს; ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი ... გვაგონებს.

24. ნურავინ ეძებს თავისას, არამედ ყველა ეძებდეს სარგებელს სხვისას.

25. ყველაფერი, რაც საყასბოში იყიდება, ჭამეთ, და ნურაფერს გამოიძიებთ სინიდისის გამო.

26. რადგანაც უფლისაა დედამიწა და სავსება მისი;

27. თუ რომელიმე ურწმუნო გიხმობთ, და თქვენც ინებებთ წასვლას, ჭამეთ ყველაფერი, რასაც შემოგთავაზებთ, და ნურაფერს გამოიძიებთ სინიდისის გამო.

28. მაგრამ თუ ვინმე გეტყვით, რომ ეს კერპთშეწირულებაა, ნუ შეჭამთ ნურც მისი გულისთვის, ვინც გეტყვით, და ნურც სინიდისის გულისთვის, რადგანაც უფლისაა დედამიწა და სავსება მისი.

29. ხოლო სინიდისს შენსას კი არ ვგულისხმობ, არამედ სხვისას; რადგან რად უნდა განისაჯოს ჩემი თავისუფლება სხვისი სინიდისით?

30. თუკი მე მადლიერებით ვჭამ, რაღად ვიგმობი იმის გამო, რისთვისაც მადლიერი ვარ?

31. ამრიგად, ჭამთ, სვამთ თუ სხვა რამეს აკეთებთ, ყველაფერი ღმრთის სადიდებლად აკეთეთ.

32. ნუ მისცემთ საცდურს ნურც იუდეველებს, ნურც ბერძნებს, და ნურც ეკლესიას ღმრთისას,

33. ისევე, როგორც მე ვცდილობ ყველაფრით სათნო ვეყო ყველას, რადგანაც ჩემს სარგებელს კი არ ვეძებ, არამედ მრავალი სხვისას, რათა ყველანი ცხონდნენ.

თავი მეთერთმეტე

1. ჩემი მიმბაძავნი იყავით, როგორც მე ვბაძავ ქრისტეს.

2. ხოლო მე გაქებთ, ძმანო, რადგანაც ჩემი ყველაფერი გახსოვთ, და როგორც გადმოგეცით, ისე იმარხავთ გადმოცემას.

3. ისიც მინდა გაუწყოთ, რომ ყოველი კაცის თავი ქრისტეა; ქალის თავი — კაცი; ხოლო ქრისტეს თავი — ღმერთი.

4. ყოველი კაცი, რომელიც თავდაბურული ლოცულობს ანდა წინასწარმეტყველებს, თავს ირცხვენს.

5. და ყოველი ქალი, რომელიც თავდაუბურავი ლოცულობს ანდა წინასწარმეტყველებს, თავს ირცხვენს, რადგანც ეს იგივეა, რომ თავგადაპარსული იყოს.

6. ხოლო თუ ქალი თავს არ იბურავს, დაე, თმა შეიკვეცოს; მაგრამ თუ ქალს თმის შეკვეცა ან გაპარსვა ერცხვინება, თავი დაიბუროს.

7. ამრიგად, კაცმა არ უნდა დაიბუროს თავი, ვინაიდან ხატია და დიდება ღმრთისა; ხოლო ქალი ქმრის დიდებაა.

8. რადგანაც კაცი კი არ არის ქალისაგან, არამედ ქალი — კაცისაგან.

9. და კაცი კი არ შეიქმნა ქალისათვის, არამედ ქალი — კაცისათვის.

10. ამიტომაც მართებს ქალს ფლობის ნიშანი ჰქონდეს თავზე ანგელოზთათვის.

11. თუმცა, არც კაცია ქალის გარეშე, და არც ქალი კაცის გარეშე, უფლის მიერ.

12. რადგან, როგორც ცოლი ქმრისაგან არის, ისე ქმარიც — ცოლისგან; ხოლო ყველაფერი ღმრთისაგან არის.

13. თავად განსაჯეთ, განა შეშვენის ქალს, თავდაუბურავად ლოცულობდეს ღმერთის წინაშე?

14. განა თვით ბუნება არ გასწავლით თქვენ, რომ თუ კაცი გრძლად უშვებს თმას, ეს საძრახისია მისთვის?

15. ხოლო თუ ქალი უშვებს, დიდებაა მისთვის, რადგანაც თმა საბურავად მიეცა მას.

16. ხოლო თუ ვინმე დავას აპირებს, ჩვენ არა გვაქვს ასეთი ჩვეა, არც ეკლესიებს ღმრთისას.

17. ამას რომ გამცნობთ, როდი გაქებთ, რაკიღა უარესისთვის იკრიბებით და არა უკეთესისთვის.

18. რადგან, ჯერ ერთი, მესმის, რომ, როდესაც ეკლესიაში იკრიბებით, თქვენს შორის განხეთქილება ხდება, რაც ნაწილობრივ მჯერა კიდეც.

19. ვინაიდან თქვენში განხეთქილებაც საჭიროა, რათა გამოცდილნი გამოჩნდნენ თქვენს შორის.

20. ხოლო როდესაც ერთად იკრიბებით, გახსოვდეთ, რომ უფლის სერობისათვის როდი იკრიბებით.

21. ვინაიდან ყველა ისწრაფვის სხვაზე უმალ შეჭამოს თავისი საჭმელი; და ზოგი მშიერია, ზოგი კი მთვრალი.

22. ნუთუ სახლები არა გაქვთ, რომ შინ სვათ და ჭამოთ? ან, იქნებ, შეურაცხყოფთ ღმრთის ეკლესიას და ამცირებთ არას მქონეთ? რა გითხრათ ამისთვის? გაქოთ? ვერა, ვერ გაქებთ.

23. რადგან მე თვით უფლისგან მივიღე ის, რაც გადმოგეცით: რომ უფალმა იესომ თავისი გაცემის ღამეს აიღო პური,

24. მადლი შესწირა, გატეხა და თქვა: მიიღეთ და ჭამეთ; ეს არის ჩემი სხეული, თქვენთვის გატეხილი; ეს ჰყავით ჩემდა მოსახსენებლად.

25. ასევე სერობის შემდეგ სასმისიც და თქვა: ეს სასმისი არის ახალი აღთქმა ჩემს სისხლში; ეს ჰყავით ყოველთვის, როცა სვამთ, ჩემდა მოსახსენებლად.

26. ვინაიდან ყოველთვის, როცა ამ პურს ჭამთ და ამ სასმისს სვამთ, უფლის სიკვდილს იუწყებით, ვიდრე მის მოსვლამდე.

27. ამიტომ ვინც შეჭამს ამ პურს და შესვამს უფლის ამ სასმისს უღირსად, დამნაშავე იქნება უფლის სხეულისა და სისხლის წინაშე.

28. დაე, გამოსცადოს კაცმა თავისი თავი, და ისე ჭამოს ამ პურისაგან და ამ სასმისისაგან სვას.

29. ხოლო ვინც უღირსად ჭამს და სვამს, თავისსავე განკითხვას ჭამს და სვამს ვინაიდან არ განსჯის სხეულს.

30. ამიტომაც თქვენს შორის მრავალი უძლურია და სნეული, და მრავალი კვდება.

31. რადგან ჩვენსავე თავს რომ განვსჯიდეთ, აღარ განვისჯებოდით.

32. ხოლო რაკი განვისჯებით, უფლო მიერ განვისწავლებით, რათა ქვეყანასთან ერთად არ დავისაჯოთ.

33. ასე რომ, ძმანო ჩემნო, როცა სერობად შეიკრიბებით, ერთმანეთს დაელოდეთ.

34. ხოლო თუ ვინმეს შია, სახლში ჭამოს, რათა განსასჯელად არ შეკრბეთ. ხოლო დანარჩენს, როცა მოვალ, მაშინ მოვაგვარებ.

თავი მეთოთრმეტე

1. ხოლო სულიერ მადლთათვის, არა მსურს, ძმანო, უმეცარნი დარჩეთ.

2. იცით, რომ, ვიდრე წარმართნი იყავით, უტყვ კერპებისაკენ იარებოდით, თითქოს მათ დაჰყავდით.

3. ამიტომაც გაუწყებთ თქვენ, რომ ღმერთის სულით მეტყველი ვერავინ შეაჩვენებს იესოს, და ვერც უფლად იტყვის იესოს, თუ არა სულით წმიდით.

4. ნიჭი სხვადასხვაა, მაგრამ ერთი და იგივეა სული;

5. და მსახურებაც სხვადასხვაგვარია, მაგრამ ერთია უფალი;

6. ასევე სხვადასხვანაირია მოქმედებაც, მაგრამ ერთი და იგივეა ღმერთი, რომელიც შეიქმს ყველაფერს ყველაში.

7. ხოლო თვითეულ ჩვენგანს სასიკეთოდ ეძლევა სულის გამოვლენა.

8. ზოგს სულისაგან ეძლევა სიბრძნის სიტყვა; ხოლო ზოგს — ცოდნის სიტყვა, იმავე სულით.

9. ზოგს — რწმენა, იმავე სულისაგან; ხოლო ზოგს — ნიჭი მკურნალობისა, იმავე სულით.

10. ვის — სასწაულთმოქმედება, ვის — წინასწარმეტყველება, ვის — სულთა გარჩევა, ვის — სხვადასხვა ენა, ვის კიდევ — განმარტება სხვადასხვა ენის.

11. ხოლო ყოველივე ამას ქმნიდ ერთი და იგივე სული, და უწილადებს თვითეულს, როგორც თავად ნებავს.

12. ვინაიდან როგორც ერთია სხეული, მაგრამ მრავალი ასო აქვს, და ყოველი ასო ერთი და იმავე სხეულისაა, და, თუმცა მრავალია, მაინც ერთ სხეულს ქმნის, ასევეა ქრისტეც.

13. რადგან ჩვენ ყველამ ერთი სულით ნათელ-ვიღეთ ერთ სხეულად, იუდეველებმაც და ბერძნებმაც, მონებმაც და თავისუფლებმაც, და ყველას ერთი სული გვაქვს ნასვამი.

14. ხოლო სხეული ერთი ასო კი არ არის, არამედ მრავალი.

15. და თუ ფეხი იტყვის: რაკი ხელი არა ვარ, სხეულისაც არა ვარო, განა ამიტომ არ იქნება სხეულის?

16. ან თუ ყური იტყვის: რაკი თვალი არა ვარ, სხეულისაც არა ვარო, განა ამიტომ არ იქნება სხეულის?

17. მთელი სხეული რომ თვალი იყოს, სადღა იქნება ყური? ანდა მთლიანად რომ ყური იყოს, სადღა იქნება ყნოსვა?

18. ხოლო აწ ღმერთმა მთელს სხეულში გაანაწილა ასოები, როგორც ინება.

19. მაგრამ ყველა რომ ერთი ასო ყოფილიყო, სადღა იქნებოდა სხეული?

20. ხოლო აწ ასო მრავალია და სხეული — ერთი.

21. ამიტომ თვალი ვერ ეტყვის ხელს: არას მარგიხარ, და ვერც თავი ეტყვის ფეხებს: არას მარგიხართ.

22. არამედ სხეულის ის ასონი, რომელნიც უფრო სუსტნი ჩანან, გაცილებით უფრო საჭირონი არიან;

23. და რომელთაც უფრო უპატიოდ ვსახავთ სხეულში, მით უფრო მეტი პატივით ვმოსავთ; და ჩვენი სარცხვინელი უმეტესი მშვენებით იმოსება,

24. ჩვენს სამშვენისს კი ეს არ სჭირდება; არამედ ღმერთმა ზომიერად შეთხზა სხეული, და ნაკლულევანს უმეტესი პატივი მიაგო,

25. რათა არ იყოს განხეთქილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხეულში, და ყველა ასო ერთმანეთისათვის ზრუნავდეს.

26. და თუ ერთ ასოს ევნო რაიმე, მასთან ერთად ყველა სხვა ასო ივნება; და თუ ერთი ასო იდიდება, მასთან ერთად ყველა სხვა ასო ხარობს.

27. და თქვენ ერთად ქრისტეს სხეული ხართ, ხოლო ცალ-ცალკე — მისი ასონი.

28. და ზოგიერთნი ღმერთმა დაადგინა ეკლესიაში, ჯერ-ერთი, მოციქულებად, მეორეც, წინასწარმეტყველებად, მესამეც, მოძღვრებად; და მერე ზოგს მისცა სასწაულთმოქმედების ძალი, აგრეთვე ნიჭი მკურნალობისა, შეწევნისა, მმართველობისა, სხვადასხვა ენისა.

29. განა ყველა მოციქულია? განა ყველა წინასწარმეტყველია? განა ყველა — მოძღვარი? განა ყველა სასწაულთმოქმედი?

30. ყველას აქვს ნიჭი მკურნალობისა? ყველა მეტყველებს სხვადასხვა ენით? ყველა არის განმმარტებელი?

31. მაშ, ისწრაფეთ უმეტეს ნიჭთა მიმართ; და მე უკეთეს გზას გიჩვენებთ თქვენ.

თავი მეცამეტე

1. კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოჟღრიალე, მხოლოდ წკრიალა წინწილი.

2. წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს მთელი რწმენა, ისე რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ.

3. მთელი ჩემი ქონება რომ გავიღო გლახაკთათვის, და დასაწვავად მივცე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არა მაქვს, არას მარგია.

4. სიყვარული სულგრძელია და ტკბილი; სიყვარულს არ შურს; სიყვარული არ ქედმაღლობს, არა ზვაობს;

5. არ უკეთურობს, არ ეძებს [illegible]სას, არ მრისხანებს, არ იზრახავს ბოროტს;

6. არ შეჰხარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს;

7. ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს.

8. სიყვარული არასოდეს არ გადავა, თუმცაღა წინასწარმეტყველებანი განქარდებიან, ენები დადუმდებიან, და უქმი გახდება ცოდნა.

9. რადგან ჩვენ ნაწილობრივ ვიცით, ნაწილობრივ კი ვწინასწარმეტყველებთ.

10. ხოლო როდესაც მოიწევა სრულქმნილება, მაშინ განქარდება ნაწილობრივი.

11. როდესაც ვიყავი ყრმა, ვიტყოდი, როგორც ყრმა, ვფიქრობდი, როგორც ყრმა, ვმსჯელობდი, როგორც ყრმა; ხოლო როდესაც დავკაცდი, ზურგი ვაქციე ყოველივე ყრმობისდროინდელს.

12. რადგან ახლა ბუნდოვნად ვხედავთ, როგორც სარკეში, ხოლო მაშინ პირისპირ ვიხილავთ; ახლა ნაწილობრივ ვიცი, ხოლო მაშინ შევიცნობ, როგორც თავად შევიმეცნები.

13. ჯერჯერობით კი ეს სამია: რწმენა, სასოება და სიყვარული; ხოლო ამათში უმეტესი სიყვარულია.

თავი მეთოთხმეტე

1. მისდიეთ სიყვარულს; ილტვოდეთ სულიერ ნიჭთა მიმართ, მეტადრე კი იმისადმი, რომ წინასწარმეტყველებდეთ.

2. რადგან ვინც უცხო ენაზე მეტყველებს, კაცთა მიმართ კი არა, ღმერთის მიმართ მეტყველებს; და არავის არ ესმის მისი, ვინაიდან სულით საიდუმლოს ამბობს.

3. ხოლო ვინც წინასწარმეტყვე-

ლებს, კაცთა დასამოძღვრად, შესაგონებლად და სანუგეშებლად მეტყველებს.

4. ვინც ენით მეტყველებს, თავის თავს შეაგონებს, ხოლო ვინც წინასწარმეტყველებს, ეკლესიას შეაგონებს.

5. მსურს, რომ ყველანი მეტყველებდეთ უცხო ენებზე, მაგრამ უფრო მეტად მსურს, რომ წინასწარმეტყველებდეთ, ვინაიდან წინასწარმეტყველი ენებით მეტყველზე უმეტესია, თუკი ეს უკანასკნელი, იმავდროულად, განმმარტებელიც არ არის, რათა შეაგონოს ეკლესიას.

6. ხოლო აწ, ძმანო, თუ მოვალ თქვენთან, და უცხო ენებზე დაგიწყებთ ლაპარაკს, რას გარგებთ თქვენ, თუკი გამოცხადებისას, გინდა ცოდნისას, გინდა წინასწარმეტყველებისას თუ მოძღვრებისას არაფერს გეტყვით?

7. თვით უსულო საგნები, რომლებიც ხმას გამოსცემენ, ვთქვათ, სალამური ან ებანი, თუკი ბგერების განსხვავებას ვერ გადმოსცემენ, როგორ გავიგებთ, რას უკრავს სალამური ანდა ებანი?

8. და თუ საყვირი გაურკვეველ ხმას გამოსცემს, ვინ განემზადება საბრძოლველად?

9. ასევე თუ თქვენც ენით გადმოსცემთ გაუგებარ სიტყვებს, როგორ გაიგებენ თქვენს ნათქვამს? ქარს გაატანთ სიტყვებს.

10. რამდენი სხვადასხვა სიტყვაა, მაგალითისთვის, ამ ქვეყნად, და არცერთი არაა უხმო.

11. მაგრამ თუ სიტყვის მნიშვნელობა არ მესმის, მოლაპარაკისათვის მე უცხოელი ვარ, და მოლაპარაკე უცხოელია ჩემთვის.

12. ასევე თქვენც, სულიერ ნიჭთა მიმართ მლტოლველნი, ეცადეთ ეკლესიის ასაშენებლად გამდიდრდეთ მათი წყალობით.

13. ამიტომ, დაე, ენებით მოლაპარაკემ განმარტების ნიჭისთვის ილოცოს.

14. რადგან როდესაც უცხო ენაზე ვლოცულობ, მართალია, ჩემი სული ლოცულობს, მაგრამ [illegible] ფოა.

15. რა ვქნა? თუ სულით ვლოცულობ, გონებითაც ვილოცებ: თუ სულით ვგალობ, გონებითაც ვიგალობებ.

16. რადგან თუ შენ აკურთხებ სულით, როგორა თქვას მდაბიორის ადგილზე მდგარმა შენი კურთხევისას ამინ, თუკი რასაც ამბობ, არ ესმის?

17. შენ კეთილად სწირავ მადლს, მაგრამ სხვას კი ვერ შეაგონებ.

18. ვმადლობ ღმერთს ჩემსას: მე მეტს ვლაპარაკობ სხვა ენებზე, ვიდრე ყველა თქვენგანი;

19. მაგრამ ეკლესიაში მირჩევნია მხოლოდ ხუთი სიტყვა წარმოვთქვა გონებით, რათა სხვებსაც გავაგებინო, ვიდრე ურიცხვი სიტყვა უცხო ენაზე.

20. ძმანო, ნუ იქნებით ყრმანი გონებით; ბოროტისათვის ყრმანი იყავით, მაგრამ სრულწლოვანნი იყავით გონებით.

21. რჯულში სწერია: უცხო ენებითა და უცხო ბაგეებით ველაპარაკები ამ ხალხს, მაგრამ მაშინაც არ შეისმენენ ჩემსას, — იტყვის უფალი.

22. ამრიგად, ენები ნიშნებია არა მორწმუნეთათვის, არამედ ურწმუნოთათვის; წინასწარმეტყველება კი — მორწმუნეთათვის და არა ურწმუნოთათვის.

23. მთელი ეკლესია რომ ერთად შეიყაროს, და ყველა სხვადასხვა ენაზე მოჰყვეს ლაპარაკს, და შემოვიდნენ უმეცარნი ან ურწმუნონი, განა არ იტყვიან, რომ შმაგობთ?

24. მაგრამ როდესაც ყველა წინასწარმეტყველებს, და შემოვიდეს ურწმუნო, გინდა უვიცი, ყველას მიერ მხილებულ იქნება, ყველას მიერ განიკითხება.

25. და ამრიგად, გამჟღავნდება მისი გულის საიდუმლო, და პირქვე დაემხობა, თაყვანს სცემს ღმერთს და იტყვის: ჭეშმარიტად თქვენს შორისაა ღმერთი.

26. მაშ, რა ვქნათ, ძმანო? როდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც იკრიბებით, და თვითეულ თქვენგანს თანა აქვს ფსალმუნი, აქვს მოძღვრება, აქვს ენა, აქვს გამოცხადება, აქვს განმარტება. — ყოველივე ეს შესაგონებლად იყოს.

27. თუ ვინმე უცხო ენაზე ლაპარაკობს, ილაპარაკოს ორმა, ან დიდი-დიდი სამმა, რიგ-რიგობით, ერთმა კი განმარტოს.

28. ხოლო თუ არ იქნა განმმარტებელი, ჩუმად იყავი ეკლესიაში, და ელაპარაკე შენს თავსა და ღმერთს.

29. წინასწარმეტყველთაგან კი ილაპარაკოს ორმა ან სამმა, ხოლო დანარჩენებმა განსაჯონ.

30. და თუ სხვა ვინმე, რომელიც ზის, იხილავს გამოცხადებას, პირველი დადუმდეს.

31. რადგანაც ყველას შეგიძლიათ ერთიმეორის მიყოლებით იწინასწარმეტყველოთ, რათა ყველამ ისწავლოს და ყველა ნუგეშცემული იქნეს.

32. ხოლო წინასწარმეტყველთა სულები წინასწარმეტყველთ ჰმორჩილებენ.

33. რადგანაც ღმერთი შფოთის ღმერთი კი არ არის, არამედ მშვიდობისა; ასეა წმიდათა ყველა ეკლესიაში.

34. თქვენი ქალები ეკლესიაში დუმდნენ, რადგანაც ლაპარაკი კი არა აქვთ ნაბრძანები, არამედ მორჩილება, როგორც ამბობს რჯულიც.

35. ხოლო თუ რისიმე სწავლა სურთ, სახლში ჰკითხონ თავიანთ ქმრებს; რადგანაც ქალისთვის საძრახისია ეკლესიაში ლაპარაკი.

36. განა თქვენგან გამოვიდა ღმრთის სიტყვა? ან, იქნებ, მხოლოდ თქვენამდე მოაღწია?

37. თუ ვინმე თავის თავს წინასწარმეტყველად ან სულიერად თვლის, დაე, შეიცნოს, რომ რასაც თქვენ გწერთ, უფლის მცნებანი გახლავთ.

38. ხოლო ვისაც არ ესმის, დაე, ნუ ესმის.

39. მაშ, ისწრაფეთ, რათა წინასწარმეტყველებდეთ, ძმანო, მაგრამ ნურც სხვადასხვა ენით ლაპარაკს ეკრძალავთ.

40. მხოლოდ ყველაფერი ისე იქნას, როგორც წესი და რიგი მოითხოვს.

თავი მეთხუთმეტე

1. ხოლო გაუწყებთ თქვენ, ძმანო, სახარებას, რომელიც გახარეთ, რომელიც ირწმუნეთ, რომელშიც დგახართ,

2. და რომლითაც ცხონდებით, თუკი ისე იმარხავთ სიტყვას, როგორც გახარეთ, და თუ ამაოდ არ ირწმუნეთ.

3. რადგანაც თავდაპირველად გადმოგეცით ის, რაც თავად მივიღე: რომ ქრისტე, წერილის მიხედვით, ჩვენი ცოდვებისათვის მოკვდა,

4. და რომ დაიმარხა, და, წერილისავე მიხედვით, მესამე დღეს აღდგა.

5. და ეჩვენა კეფას, ხოლო შემდეგ — თორმეტს;

6. და მერე ერთდროულად ეჩვენა ხუთასზე მეტ ძმას, რომელთა უმრავლესობა დღესაც ცოცხალია, ზოგმა კი განისვენა;

7. შემდეგ ეჩვენა იაკობს, და მერე ყველა მოციქულს;

8. ხოლო ყველაზე ბოლოს, როგორც უდღეურს, მეჩვენა მეც.

9. რადგანაც უმცირესი ვარ მოციქულთა შორის, და არცა ვარ ღირსი იმისა, რომ მოციქულად ვიწოდებოდე, ვინაიდან ვსდევნიდი ღმრთის ეკლესიას.

10. მაგრამ, ღმრთის მადლით, ისა ვარ, რაცა ვარ; და მადლი მისი ჩემდამი არა ყოფილა ფუჭი; მაგრამ ყველაზე მეტი კი ვიღვაწე; თუმცა არა მე, არამედ ღმრთის მადლმა, რომელიც იყო ჩემთან.

11. ამრიგად, გინდა მე, გინდა ისინი, ჩვენ ასე ვქადაგებთ, და ასევე ირწმუნეთ თქვენც.

12. ხოლო თუ ქრისტესთვის იქადაგება, რომ მკვდრეთით აღდგა, როგო-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რღა ამბობს ზოგი თქვენგანი, რომ არ არის აღდგომა მკვდართა?

13. თუ არ არის მკვდართა აღდგომა, არც ქრისტე აღმდგარა.

14. ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ამაოა ჩვენი ქადაგება, და ამაოა თქვენი რწმენაც.

15. ეგეც არ იყოს, ცრუმოწმენი გამოვდივართ ღმერთის წინაშე, რადგანაც ვმოწმობთ, რომ აღადგინა ქრისტე, რომელიც მას არ აღუდგენია, თუკი მართლაც არ აღდგებიან მკვდრები.

16. რადგანაც თუ მკვდრები არ აღდგებიან, არც ქრისტე აღმდგარა.

17. ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ამაოა თქვენი რწმენა: ჯერ კიდევ თქვენსავ ცოდვებში ხართ.

18. და თვით ქრისტეში განსვენებულნიც წარწყმდებიან.

19. თუ მხოლოდ ამ ცხოვრებაში ვართ ქრისტეს სასოებით, კაცთა შორის უსაწყალობლესნი ვართ.:

20. ხოლო აწ ქრისტე აღდგა მკვდრეთით, და იქმნა პირმშო განსვენებულთა.

21. ვინაიდან კაცის მიერ იქმნა სიკვდილი, და კაცის მიერვე — აღდგომა მკვდართა.

22. და როგორც ადამში კვდებიან ყველანი, ისე ქრისტეში იცოცხლებს ყველა.

23. ხოლო თვითეული თავისი წესით და რიგით: პირველად ქრისტე, შემდეგ კი ქრისტესნი, მისი მოსვლისას;

24. და ბოლოს, აღსასრული, როცა გადასცემს სუფევას ღმერთსა და მამას, და როცა გააუქმებს ყოველგვარ მთავრობას და ხელმწიფებას და ძალას.

25. რადგანაც მას მართებს სუფევა, სანამ არ დაამხობს თავის მტრებს თავისსავე ფეხქვეშ;

26. და უკანასკნელი მტერი განქარდება, — სიკვდილი.

27. რადგანაც ღმერთმა ყველაფერი ფეხქვეშ დაუმხო მას. ხოლო რაკი ითქვა, რომ ყველაფერი ემორჩილება მას, ცხადია, მის გარდა, ვინც ყველაფერი დაუმორჩილა მას.

28. ხოლო როდესაც ყველაფერი დაუმორჩილებს მას, მაშინ თვით ძეც დაემორჩილება მამას, რომელმაც ყველაფერი დაუმორჩილა მას, რათა ღმერთი ყველაფერი იყოს ყოველში.

29. თუ არა და, რას სჩადიან მკვდართათვის ნათლის მღებელნი? თუკი მკვდარნი არ აღდგებიან, რისთვისღა იღებენ ნათელს მკვდართათვის?

30. ან ჩვენ რისთვისღა გვემუქრება საფრთხე ყოველ წამს?

31. მე ყოველდღე ვკვდები, ვფიცავ თქვენს სიქადულს, რომელიც მაქვს უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მიერ.

32. და თუ ეფესოში კაცურად ვებრძოდი მხეცებს, რა სარგებელია ჩემთვის, თუკი მკვდრები არ აღდგებიან? ვჭამოთ და ვსვათ, ვინაიდან ხვალ მოვკვდებით!

33. ნუ შეცდებით: უკეთური საუბრები ხრწნიან კეთილ ზნე-ჩვეულებს.

34. იფხიზლეთ მართებულად, და ნუ სცოდავთ, რადგან ზოგიერთმა თქვენგანმა არც იცის ღმერთი; თქვენდა სამარცხვინოდ ვამბობ ამას.

35. მაგრამ ვიღაცა იტყვის: როგორ აღდგებიან მკვდრები? ან რომელი სხეულით მოვლენ?

36. უგუნურო, რასაც შენ თესავ, ვერ იცოცხლებს, თუკი არ მოკვდა.

37. და როცა თესავ, მომავალ სხეულს კი არა თესავ, არამედ შიშველ მარცვალს, სულერთია, იქნება ეს პურისა თუ სხვა მარცვლეულის თესლი.

38. მაგრამ ღმერთი აძლევს მას სხეულს, როგორიც ნებავს, და თვითეულ თესლს — თავის სხეულს.

39. ყოველი ხორცი ერთი და იგივე ხორცი როდია; არამედ სხვაა ხორცი კაცთა, სხვა — პირუტყვთა ხორცი, სხვა — თევზებისა, სხვა — ფრინველების.

40. არიან სხეულნი ზეციერნი და სხეულნი მიწიერნი, მაგრამ სხვაა ზეციერთა დიდება, და სხვა — მიწიერთა.

41. სხვაა დიდება მზისა, სხვაა დიდება მთვარისა, სხვა — ვარსკვლავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის; და ვარსკვლავი ვარსკვლავისაგან განსხვავდება დიდებით.

42. ასევე მკვდართა აღდგომისასაც: ითესება ხრწნილებაში, აღდგება უხრწნელებაში;

43. ითესება დამცირებაში, აღდგება დიდებაში; ითესება უძლურებაში, აღდგება ძლიერებაში.

44. ითესება ხეული მშვინვიერი, აღდგება სხეული სულიერი. არის სხეული მშვინვიერი, და არის სხეული სულიერი.

45. ასედაც დაწერილია: პირველი კაცი ადამი შეიქმნა ცოცხალ მშვინვად; უკანასკნელი ადამი კი — ცხოველმყოფელ სულად.

46. მაგრამ პირველად არა სულიერი, არამედ მშვინვიერი; შემდეგ კი სულიერი.

47. პირველი კაცი — მიწისაგან, მიწიერი; მეორე კაცი — ზეციერი.

48. როგორიც მიწიერი, ისეთნივე მიწიერნიც; და როგორც ზეციერი, ისეთნივე ზეციერნიც.

49. და როგორც ვატარეთ მიწიერის ხატი, ასევე ვატარებთ ზეციერის ხატსაც.

50. მაგრამ გეტყვით, ძმანო, რომ ხორცი და სისხლი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სასუფეველს, და ვერც ხრწნილება დაიმკვიდრებს უხრწნელებას.

51. აჰა, გეტყვით თქვენ საიდუმლოს: ყველანი როდი მოვკვდებით, მაგრამ ყველანი შევიცვლებით;

52. ერთ წამში, თვალის დახამხამებაში, როდესაც დაიგრგვინებს უკანასკნელი საყვირი; რადგანაც დაიგრგვინებს, და მკვდარნი აღდგებიან უხრწნელნი, ხოლო ჩვენ შევიცვლებით.

53. რადგან ამ ხრწნადმა უნდა შეიმოსოს უხრწნელება, და ამ მოკვდავმა უნდა შეიმოსოს უკვდავება.

54. ხოლო როდესაც ეს ხრწნადი შეიმოსავს უხრწნელებას, და ეს მოკვდავი შეიმოსავს უკვდავებას, მაშინ აღსრულდება სიტყვა დაწერილი: დაინთქა სიკვდილი ძლევით.

55. სად არის, სიკვდილო, ნესტარი შენი? სად არის, ჯოჯოხეთო, ძალა შენი?

56. ხოლო სიკვდილის ნესტარი — ცოდვაა; და ცოდვის ძალა — რჯული.

57. მაგრამ მადლი ღმერთს, რომელმაც მოგვცა ჩვენ ძლევა უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მიერ.

58. ამრიგად, ძმანო ჩემნო, საყვარელნო, მტკიცენი იყავით, ურყევნი, უფლის საქმეში ყოველთვის მოუღლელნი; იცოდეთ, რომ თქვენი შრომა ფუჭი არ არის უფლის წინაშე.

თავი მეთექვსმეტე

1. ხოლო წმიდათა შესაწირავისათვის, როგორც მე დავადგინე გალატელთა ეკლესიებში თქვენც ეგრე ჰყავით.

2. კვირის ყოველ პირველ დღეს თვითეულმა თქვენგანმა თავის მხრივ, შეძლებისდაგვარად, გადადოს და შეინახოს, რათა ჩემი მოსვლისას აღარ დაიწყოთ გროვება.

3. ხოლო როდესაც მოვალ, თქვენს მიერ არჩეულ ხალხს წერილებს გავატან და წარვგზავნი, რათა თქვენი შეწირულება ჩაიტანონ იერუსალემს.

4. და თუ ვნახავ, რომ ღირს ჩემი წასვლა, ჩემთან წამოვლენ.

5. ხოლო მე მოვალ თქვენთან, როცა გადმოვივლი მაკედონიას, ვინაიდან მაკედონიით უნდა ჩამოვიდე.

6. და, შესაძლოა, დავრჩე თქვენთან, იქნებ კიდევაც გამოვიზამთრო, რათა შემდეგ გამაცილოთ, საითაც წავალ.

7. რადგანაც არ მინდა მხოლოდ გავლით გინახულოთ ამჟამად, არამედ იმედი მაქვს, რომ ერთხანს დავყოფ თქვენთან, თუკი ინებებს უფალი.

8. ეფესოში კი ორმოცდაათობამდე დავრჩები.

9. რადგანაც გამეღო მე ვრცელი და ფართო ბჭე, და მრავალნი არიან წინააღმდგომნი.

10. ხოლო თუ ტიმოთე მოვა თქვენთან, თქვენ იცით, უშიშრად გყავდეთ.

რადგანაც ღმერთის საქმეს ასრულებს, ისევე როგორც მე.

11. ნურავინ შეურაცხყოფს, არამედ მშვიდობით წარმოგზავნეთ, რათა მოვიდეს ჩემთან, ვინაიდან ძმებითურთ ველი.

12. ხოლო ძმა აპოლოსს ბევრი ვევედრე, რათა გწვეოდათ ძმებითურთ; მაგრამ ამჟამად არასდიდებით არ ინება, არამედ მოვა, როცა მოიცლის.

13. იფხიზლეთ, მტკიცედ იდექით რწმენით, მხნედ იყავით და გაძლიერდით.

14. დაე, ყოველი თქვენი საქმე აღსრულდეს სიყვარულით.

15. გეუმდარებით, ძმანო, — თქვენ იცნობთ სტეფანეს სახლს, რომელიც არის დასაბამი აქაიისა, და რომელმაც წმიდათა სამსახურს მიუძღვნა თავი, —

16. მორჩილნი იყავით თქვენც ამნაირთა და ყველა თანამოსაქმისა თუ მაშვრალის მიმართ.

17. გამახარა სტეფანეს, ფორტუნატუსისა და აქაიკოსის მოსვლამ, რადგანაც მათ შემივსეს თქვენი სიშორე.

18. ვინაიდან მოუფონეს ჩემს სულსაც და თქვენსასაც. პატივი ეცით ამნაირთ.

19. მოგიკითხავენ ასიის ეკლესიანი; მოგიკითხავენ გულითადად უფლის მიერ აკვილა და პრისკილა მათი შინაური ეკლესიითურთ.

20. მოგიკითხავთ ყველა ძმა; მოიკითხეთ ერთმანეთი წმიდა ამბორით.

21. მოგიკითხავთ ჩემი საკუთარი ხელით, პავლე.

22. ვისაც არ უყვარს უფალი იესო ქრისტე, ანათემა, მარან ათა!

23. მადლი უფლის ჩვენის იესო ქრისტესი თქვენთან.

24. სიყვარული ჩემი ყველა თქვენგანთან ქრისტე იესოში, ამინ.

მეორე კორინთელთა მიმართ

თავი პირველი

1. პავლე, ღმერთის ნებით, მოციქული ქრისტე იესოსი, და ტიმოთე ძმა, ღმრთის ეკლესიას, რომელიც არის კორინთოში, ყველა წმიდასთან ერთად, რომელნიც არიან აქაიაში:

2. მადლი თქვენდა და მშვიდობა ღმერთის, მამის ჩვენისა და უფლის იესო ქრისტეს მიერ.

3. კურთხეულია ღმერთი და მამა უფლის ჩვენის იესო ქრისტესი, მამა მოწყალებათა და ღმერთი ყოველგვარი ნუგეშის ცემის,

4. რომელიც გვანუგეშებს ყოველგვარ გასაჭირში, რათა ჩვენც შეგვეძლოს ვანუგეშოთ ყოველი გაჭირვებული იმ ნუგეშით, რომლითაც გვანუგეშებს ღმერთი.

5. რადგან, იმისდა კვალად, როგორც მრავლდებიან ქრისტეს ვნებანი ჩვენში, მრავლდება ქრისტეს მიერ ჩვენი ნუგეშიც.

6. ვინაიდან, თუ გვიჭირს, თქვენი ნუგეშისა და ხსნისათვის გვიჭირს; თუ ვინუგეშებით, ისევ თქვენი ნუგეშისა და ხსნისთვის, რაც იმავე ვნებათა დათმენით აღსრულდება, რომელთაც ვითმენთ ჩვენ;

7. და სასოება ჩვენი მტკიცეა თქვენდა მომართ. ვიცით, რომ ჩვენი ვნებების თანამოზიარენი ხართ, ისევე როგორც ჩვენი ნუგეშის.

8. ამიტომაც გვინდა თქვენც იცოდეთ, ძმანო, რა უბედურება შეგვემთხვა ასიაში, ვინაიდან მეტისმეტად და გაუძლისად დაგვიმძიმდა, ისე რომ აუტანელი შეგვექმნა თვითონ სიცოცხლეც.

9. მაგრამ თვითონვე გამოვუტანეთ ჩვენს თავს სასიკვდილო განაჩენი, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ჩვენი თავის იმედი კი არ გვქონდა, არამედ მხოლოდ ღმერთისა, რომელიც აღადგენს მკვდრებს;

10. რომელმაც გვიხსნა ამნაირი სიკვდილისაგან, ახლაც გვიხსნის, და რომელსაც ვესავთ, რომ კვლავ დაგვიხსნის,

11. თანაშეწევნით თქვენი ლოცვისა ჩვენთვის, რათა ჩვენს მიერ მრავალი პირის მეოხებით მიღებული მადლი, მრავალთა მიერვე სამადლობელი შეიქნეს ჩვენთვის.

12. რადგანაც ჩვენი სიქადული ისაა, რასაც გვიმოწმებს ჩვენი სინიდისი: რომ ჩვენ სიწრფელითა და საღმრთო სიწმიდით, არა ხორციელი სიბრძნით, არამედ ღმრთის მადლით ვცხოვრობდით ამ ქვეყნად, მით უმეტეს, თქვენს შორის.

13. და სხვა რამეს კი არა გწერთ, არამედ რასაც კითხულობთ ანდა იმეცნებთ, და რასაც, იმედი მაქვს, ბოლომდე შეიმეცნებთ.

14. როგორც უკვე შეიცნეთ ნაწილობრივ, რომ ჩვენ — თქვენი სიქადული ვართ, ისევე როგორც თქვენ — ჩვენი, უფლის იესოს დღეს.

15. და ამაში დარწმუნებული უფრო ადრე ვაპირებდი თქვენთან მოსვლას, რათა მეორედ მიგეღოთ მადლი;

16. ხოლო თქვენგან მსურდა მაკედონიაში წავსულიყავი, მაკედონიიდან კი კვლავ მოვსულიყავი თქვენთან, რათა იუდეაში გაგეცილებინეთ.

17. ამის მოსურნე იქნებ ცოტა ავმჩატდი? ან იქნებ, რასაც ვფიქრობ, ხორციელად ვფიქრობ, ასე რომ ჩემი „ჰო", „ჰო", იგივეა, რაც „არა", „არა"?

18. მაგრამ ღმერთია მოწამე, რომ ჩვენი სიტყვა თქვენდამი არ ყოფილა ხან „ჰო" და ხან „არა".

19. რადგან ძე ღმრთისა, იესო ქრისტე, რომელიც თქვენს შორის ვიქადაგეთ მე, სილვანუსმა და ტიმოთემ, არ ყოფილა „ჰო" და „არა", არამედ „ჰო" იყო მასში,

20. რადგან ღმერთის ყოველი აღთქმა „ჰოა" მასში, და ამინია ღმერთის სადიდებლად ჩვენ.

21. ხოლო ვინც თქვენთან ერთად განგვამტკიცა ქრისტეში, და ცხებულნი გვყო, არის ღმერთი,

22. რომელმაც აღგვბეჭდა და მოგვცა წინდი სულისა ჩვენს გულებში.

23. ხოლო მე ღმერთს ვუხმობ მოწმედ ჩემი სულისთვის, რომ გინდობდით თქვენ, და აქამდე არ მოვსულვარ კორინთოში,

24. არა იმიტომ, რომ თქვენს რწმენაზე ვუფლობთ, არამედ იმიტომ, რომ თქვენი სიხარულის თანაშემწენი ვართ: რადგანაც რწმენითა დგახართ.

თავი მეორე

1. ამიტომაც განვსაჯე ჩემთვის, მწუხარებით კვლავ აღარ მოვსულიყავი თქვენთან.

2. რადგანაც თუ მე გამწუხრებთ, ვინღა გამახარებს მე, თუ არა ის, ვინც ჩემს მიერ წუხს?

3. სწორედ ეს მოგწერეთ თქვენ, რათა მოსვლისას აღარა გქონდეთ მწუხარება მათგან, ვის მიერაც უნდა მეხარა; რადგანაც ყველა თქვენგანის გამო მწამს, რომ ჩემი სიხარული საერთოა ყველა თქვენგანისათვის.

4. ვინაიდან დიდი მწუხარებით, გულის ტკივილითა და ცრემლების ფრქვევით იმიტომ კი არა გწერდით, რომ დამემწუხრებინეთ, არამედ რათა შეგეცნოთ, რაოდენ დიდი სიყვარული მაქვს თქვენდამი.

5. ხოლო თუ ვინმემ დამამწუხრა, მე კი არ დამამწუხრა, არამედ, ნაწილობრივ, რომ არ გადავაჭარბო, — ყველა თქვენგანი.

6. ამნაირისთვის საკმარისია ეს შერისხვა მრავალთა მიერ,

7. ასე რომ, პირიქით, გმართებთ უმალ მიუტევოთ და ანუგეშოთ, რათა მეტისმეტ მწუხარებაში არ დაინთქას.

8. ამიტომაც გევედრებით, სიყვარული დაუდასტუროთ მას.

9. რადგან მე სწორედ იმიტომ გწერდით, რათა გამომეცადეთ, რამდენად მორჩილნი ხართ ყველაფერში.

10. ხოლო ვისაც რას მიუტევებთ, ასევე მეც; რადგან მეც ვისაც რა მივუტევე, თუ მივუტევე, თქვენთვის მივუტევე ქრისტეს წინაშე.

11. რათა არ ვიძლიოთ სატანის მიერ, ვინაიდან ჩვენთვის უცნობი როდია მისი ზრახვანი.

12. ხოლო ტროას ჩასულმა ქრისტეს სახარებლად, თუმცა კი გამეღო კარი უფლის მიერ,

13. ვერ მოვუპოვე ლხინება ჩემს სულს, რადგანაც ვერ შევხვდი ტიტეს, ჩემს ძმას; ამიტომაც დავემშვიდობე მათ და მაკედონიაში წავედი.

14. მაგრამ მადლი ღმერთს, რომელიც მარადის გვანიჭებს ძლევას ქრისტეს მიერ, და ჩვენით ავრცელებს ყველგან თავისი შემეცნების სურნელს.

15. რადგანაც ქრისტეს სურნელი ვართ ღმერთის მიერ ცხონებულთა და წარწყმედილთა შორის:

16. ზოგისთვის სიკვდილის სურნელი სასიკვდილოდ, ხოლო ზოგისთვის სიცოცხლის სურნელი სასიცოცხლოდ; სხვას ვის შესწევს ამისი ძალი?

17. რადგანაც ჩვენ არ ვბღალავთ ღმერთის სიტყვას, მრავალთა მსგავსად; არამედ წრფელად, როგორც ღმრთისაგან. ღმრთის წინაშე, ქრისტეს მიერ ვქადაგებთ.

თავი მესამე

1. ნუთუ ხელახლა უნდა წარმოგიდგინოთ თავი? ნუთუ ჩვენ, ზოგიერთის მსგავსად, წარმოსადგენი წერილი გვჭირდება თქვენდამი ან თქვენგან?

2. ჩვენი წერილი თქვენა ხართ, დაწერილი ჩვენსავ გულებში, ყოველი კაცისთვის გასაგები და მათ მიერვე წაკითხული.

3. თქვენ ცხადყოფთ, რომ ქრისტეს წერილი ხართ, დაწერილი ჩვენი მწუხარებით, არა მელნით, არამედ ცოცხალი ღმერთის სულით; არა ქვის ფილაზე, არამედ ხორცისა [illegible] ფიცარზე.

4. ასეთი სასოება გვაქვს ქრისტეს მიერ ღმრთის მიმართ.

5. არა იმიტომ, თითქოს ჩვენდა თავად შემძლენი ვიყოთ გავიაზროთ რამე, როგორც ჩვენმიერი, არამედ ჩვენი შეძლება ღმრთისაგან არის,

6. რომელმაც მოგვცა იმისი ძალა, რომ ახალი აღთქმის მსახურნი ვიყოთ; არა ასოსი, არამედ სულისა, ვინაიდან ასო კლავს, ხოლო სული აცოცხლებს.

7. ხოლო თუ მსახურება სიკვდილისა, ქვებზე ასოებით გამოსახული, იმდენად სასახელო იყო, რომ ისრაელის ძენი თვალს ვერ უსწორებდნენ მოსეს სახეს, მისი დიდებული იერის გამო, რომელიც წარმავალი გახლდათ,

8. განა მით უფრო სასახელო არ უნდა იყოს დიდებით მსახურება სულის მიმართ?

9. რადგან თუ მსახურება განკითხვისა დიდებაა, მით უფრო მეტი იქნება გამართლების მსახურება დიდებით,

10. იმდენად, რომ იმ დიდებას აღარც კი ეთქმის დიდება, ამ უზენაეს დიდებასთან შედარებით.

11. რადგან თუ წარმავალს აქვს დიდება, მით უფრო მეტია დიდება წარუვალისა.

12. და რაკი ასეთი სასოება გვაქვს, სრულიად სააშკარაოდაც ვმოქმედებთ

13. და არა ისე, როგორც მოსე, რომელიც საბურველით იბურავდა სახეს, რათა ისრაელის ძეთ არ ეხილათ აღსასრული წარმავალისა.

14. მაგრამ დაბრმავდა მათი გონება: რადგან იგივე საბურველი ძველი აღთქმის კითხვისას დღემდე ჩამოუხსნელი რჩება, ვინაიდან ის იხსნება ქრისტეს მიერ.

15. ხოლო დღემდე, მოსეს კითხვისას, ის საბურველი მათ გულზე ძევს.

16. მაგრამ როგორც კი მოიქცევიან უფლის მიმართ, ჩამოეხსნებათ საბურველი.

17. უფალი სულია; ხოლო სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის სული უფლისა, იქვეა თავისუფლება.

18. ხოლო ჩვენ, დაუბურავი სახით, როგორც სარკით, რომ აღვიქვამთ უფლის დიდებას, იმავე ხატად გარდავიქმნებით, დიდებიდან დიდებად, როგორც უფლის სულისგან.

თავი მეოთხე

1. ამრიგად, რაკი მოწყალებით მოგვენიჭა ეს მსახურება, არ ვეცემით სულით.

2. არამედ განვიშორეთ ფარული სამარცხვინო ზრახვანი, არ ვიარებით ზაკვით, არ ვაყალბებთ ღმრთის სიტყვას, და ჭეშმარიტების სიცხადით წარვუდგებით ყოველი კაცის სინდისს ღმერთის წინაშე.

3. ხოლო თუ ჩვენი სახარება დაფარულია, წარწყმედილთათვის არის დაფარული.

4. რომელთაც ამ ქვეყნის ღმერთმა დაუბნელა ურწმუნო გონება, რათა არ გამოუბრწყინდეს მათ ნათელი ქრისტეს დიდების სახარებისა, ქრისტესი, რომელიც არის ღმრთის ხატი.

5. რადგანაც ჩვენს თავს კი არ ვქადაგებთ, არამედ ქრისტე იესოს, უფალს; ხოლო ჩვენ თქვენი მონები ვართ იესოსათვის.

6. რადგანაც ღმერთმა, რომელმაც ბრძანა ბნელიდან ნათლის გამობრწყინება, გაანათლა ჩვენი გულები, რათა გავებრწყინებინეთ ღმერთის დიდების შემეცნებით, რომლითაც გასხივოსნებულია იესოს სახე.

7. ხოლო ჩვენ ეს საუნჯე თიხის ჭურჭლებით დაგვაქვს რათა ამ ძალის სიდიადე ღმერთისა იყოს, და არა ჩვენი.

8. ყოველნაირად გვავიწროებენ, მაგრამ შევიწროებულად არა ვგრძნობთ თავს; გამოუვალ დღეში გვაგდებენ, მაგრამ მაინც ვპოულობთ გამოსავალს.

9. დევნილნი ვართ, მაგრამ არა მიუსაფარნი; გვამხობენ, მაგრამ ვერ გვიღებენ.

10. ყოველთვის თან დავატარებთ სხეულით იესოს სიკვდილს, რათა იესოს სიცოცხლეც გაცხადდეს ჩვენს სხეულში.

11. რადგან ჩვენ, ცოცხალნი, გამუდმებით ვეძლევით სიკვდილს იესოსათვის, რათა იესოს სიცოცხლეც გაცხადდეს ჩვენს მოკვდავ ხორცში.

12. ასე რომ, სიკვდილი ჩვენში მოქმედებს, ხოლო სიცოცხლე — თქვენში.

13. მაგრამ რწმენის იგივე სული გვაქვს, რომლისთვისაც დაიწერა: მწამდა, და იმიტომ ვამბობდი; ჩვენც გვწამს, და იმიტომ ვამბობთ;

14. და რაკი ვიცით, რომ ვინც აღადგინა იესო, ჩვენც აღგვადგენს იესოს მიერ, და დაგვადგენს თქვენთან ერთად.

15. რადგანაც ყველაფერი თქვენთვისაა, რათა მადლის სიუხვე მადლიერებად გადმოიფრქვეს მრავალთა მიერ ღმრთის სადიდებლად.

16. ამიტომაც არ ვეცემით სულით; რადგანაც თუ ჩვენი გარეგანი კაცი იხრწნება, შინაგანი დღითი დღე ახლდება.

17. ვინაიდან ჩვენი წამიერი და მცირედი ტანჯვა უზღვავსა და უსაზომო დიდებას შეიქმს ჩვენთვის,

18. როცა ხილულს კი არ მივაპყრობთ მზერას, არამედ უხილავს; ვინაიდან ხილული წარმავალია, უხილავი კი წარუვალი.

თავი მეხუთე

1. რადგანაც ვიცით, რომ თუ ჩვენი მიწიერი სახლი, თუ ეს კარავი დაინგრევა, ღმერთის მიერ გვაქვს სასახლე ცაში, ხელთუქმნელი და მარადიული.

2. მიტომაც ვგმინავთ, რომ გვსურს შევიმოსოთ ზეციური სასახლე ჩვენი.

3. მხოლოდ შემოსილნიც არ აღმოვჩნდეთ შიშველნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ვინაიდან ამ კარავში მყოფნი სიმძიმილით ვგმინავთ, რადგანაც განძარცვა კი არა გვსურს, არამედ შემოსვა. რათა ცოცხალმა შთანთქას მოკვდავი.

5. სწორედ ამისთვის შეგვქმნა ღმერთმა, და მოგვცა სულის წინდი.

6. ამიტომ ყოველთვის ნდობით ვართ აღვსილნი; და ვიცით, რომ, ვიდრე სხეულში ვსახლობთ, ღმერთის გარეთ ვსახლობთ.

7. რადგანაც რწმენით ვიარებით და არა ხედვით.

8. მაგრამ ნდობით ვართ აღვსილნი, და გვიჯობს სხეულიდან გამოვსახლდეთ და უფალთან დავესახლოთ.

9. ამიტომაც ასე გულმოდგინედ ვცდილობთ, რომ, შემოვსახლდებით თუ გავსახლდებით, სათნონი ვიყოთ მისთვის.

10. რადგან ყველანი უნდა წარვსდგეთ ქრისტეს მსჯავრის წინაშე, რათა თვითეულს მიაგოს კუთვნილი იმის მიხედვით, თუ რას იქმოდა, სხეულში მყოფი, კეთილს თუ ბოროტს.

11. და რაკი ვიცით უფლის შიში, ხალხს ვარწმუნებთ. ხოლო ღმერთისთვის ცხადნი ვართ; და იმედი მაქვს, ცხადნი ვართ თქვენი სინიდისისთვისაც.

12. მაგრამ ხელახლა კი არ წარმოგიდგენთ თავს, არამედ იმის საბაბს გაძლევთ, რომ იქადოდეთ ჩვენით, რათა სათქმელი გქონდეთ მათთვის, რომელნიც სახით იქადიან და არა გულით.

13. რადგან თუ გონს გადავდივართ, ღმერთისთვის გადავდივართ; თუ კეთილგონიერნი ვართ, თქვენთვისა ვართ.

14. რადგანაც ქრისტეს სიყვარულით ვართ მოცულნი, როცა ამგვარად ვმსჯელობთ: თუ ერთი ყველასთვის მოკვდა, ყველანი მოკვდნენ. მაგრამ ქრისტე ყველასთვის მოკვდა, რათა ცოცხალნი თავისთვის კი აღარ ცოცხლობდნენ, არამედ მისთვის, ვინც მათთვის მოკვდა და აღდგა.

16. ასე რომ, ამიერიდან ჩვენ აღარავინ ვიცით ხორციელად; რადგან თუ ქრისტე ვიცოდით ხორციელად, აწ უკვე აღარ ვიცით.

17. ასე რომ, ვინც ქრისტეშია, ახალი ქმნილებაა; ძველი წარხდა, და, აჰა, ყოველივე არის ახალი.

18. ხოლო ყველაფერი ღმერთისგანაა, რომელმაც შეგვირიგა ჩვენ ქრისტეს მიერ, და მოგვცა მსახურება შერიგებისა.

19. რადგანაც ღმერთმა ქრისტეში შეირიგა ქვეყანა, და არ შეურაცხა ხალხს მისი ცოდვანი, და მოგვცა ჩვენ შერიგების სიტყვა.

20. ამრიგად ,ქრისტესთვის ვმოციქულობთ, თითქოს ღმერთი შეგაგონებდეთ ჩვენს მიერ; და გევედრებით ქრისტეს სახელით: შეურიგდით ღმერთს.

21. რადგან ცოდვის არმცოდნე ცოდვის მსხვერპლად აქცია ჩვენი გულისთვის, რათა ღმრთის სიმართლედ ვქცეულიყავით მასში.

თავი მეექვსე

1. ხოლო ჩვენ, როგორც თანამშრომელნი, გევედრებით თქვენ, რათა ამაოდ არ შეიწყნაროთ მადლი ღმრთისა.

2. რადგანაც ამბობს: შეწყნარების ჟამს ვისმინე შენი, და ხსნის დღეს შეგეწიე შენ, აჰა, ესაა შეწყნარების ჟამი, და აჰა, ესაა ხსნის დღე.

3. არავის არაფერში არ ვაძლევთ დაბრკოლების საბაბს, რათა დაგმობილ არ იქნეს მსახურება.

4. არამედ ყველაფერში ვავლენთ თავს, როგორც ღმერთის მსახურნი: მრავლის თმენაში, ჭირში, გასაჭირში, ვიწროებაში;

5. გვემაში, დილეგში, დევნაში, შრომაში, სიფხიზლეში, მარხვაში;

6. სიწმიდეში, შემეცნებაში, მოთმინებაში, სიწრფელეში, სული წმიდაში, უპირფერო სიყვარულში;

7. ჭეშმარიტების სიტყვაში, ღმერთის ძალაში, სიმართლის საჭურვლით მარჯვენა და მარცხენა ხელში;

8. სახელსა თუ უსახელობაში: გმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასა თუ ქებაში; როგორც მაცდურნი, მაგრამ მართალნი;

9. როგორც უცნობნი, მაგრამ ცნობილნი; როგორც მომაკვდავნი, მაგრამ ცოცხალნი; როგორც დასჯილნი, მაგრამ სიკვდილს გადარჩენილნი;

10. როგორც მწუხარენი, მაგრამ ყოველთვის მოხარულნი; როგორც ღატაკნი, მაგრამ მრავლის მამდიდრებელნი; როგორც არას მქონენი, მაგრამ ყოვლის მფლობელნი.

11. ჩვენი ბაგენი განხმულია თქვენს მომართ, კორინთელნო, და ვრცლად გახსნილია ჩვენი გული.

12. ვიწროდ როდი ხართ ჩვენში, მაგრამ ვიწროებაა თქვენს გულში.

13. ხოლო თანაბარი ნაცვლისგებისთვის მოგმართავთ, როგორც შვილებს, თქვენც ვრცლად განიხვენით.

14. ნუ შეებმებით უცხო უღელში ურწმუნოებთან ერთად; რადგანაც რა აკავშირებს ერთმანეთთან სამართლიანობასა და ურჯულოებას? რაა საერთო ნათელსა და ბნელს შორის?

15. რა შეათანხმებს ქრისტესა და ბელიარს? ან რა ხელი აქვს მორწმუნეს ურწმუნოსთან?

16. რა შეუთავსებს ღმერთის ტაძარს კერპებს? რადგან თქვენ ცოცხალი ღმერთის ტაძარი ხართ, როგორც თქვა ღმერთმა: „შევსახლდები მათში, და ვივლი მათში; და ვიქნები მათი ღმერთი, ხოლო ისინი იქნებიან ჩემი ხალხი.

17. ამიტომაც გამოდით და გამოეყავით მათ, იტყვის უფალი, და ნუ შეეხებით უწმინდურს; და მე შეგიწყნარებთ თქვენ.

18. და ვიქნები თქვენი მამა, ხოლო თქვენ იქნებით ჩემი ძენი და ასულნი ამბობს უფალი ყოვლისმპყრობელი.

თავი მეშვიდე

1. ხოლო რაკი ეს აღთქმანი გვაქვს, საყვარელნო, განვიწმიდოთ ჩვენი თავი ხორცისა და სულის ყოველგვარი ბიწისაგან, და სრულვქმნათ სიწმიდე ღმერთის შიშით.

2. შეგვითვისეთ ჩვენ; არავის მოვქცევივართ უსამართლოდ, არავისთვის გვივნია რამე, არ გამოგვიჩენია ანგარება არავის მიმართ.

3. განსაკითხავად როდი ვამბობ; რადგან უწინაც მითქვამს, რომ ჩვენს გულებში ხართ, რათა ერთად მოვკვდეთ და ერთად ვიცოცხლოთ.

4. დიდი იმედი მაქვს თქვენი, დიდად ვიქადი თქვენით; ნუგეშითა ვარ სავსე, სიხარულით ვარ აღვსილი, მთელი ჩვენი მწუხარების მიუხედავად.

5. რადგან, მაკედონიაში ჩასვლისას, ვერავითარი სიმშვიდე ვერა ჰპოვა ჩვენმა ხორცმა, არამედ ყოველი მხრიდან შევიწროებულნი ვიყავით: გარეგან თავდასხმები, შიგნით კი შიში.

6. მაგრამ მდაბალთა მანუგეშებელმა გვანუგეშა ჩვენ ღმერთმა ტიტეს მოსვლით.

7. და არა მარტო მოსვლით, არამედ ნუგეშითაც, რომლითაც ნანუგეშები იქმნა თქვენგან, გადმოგვცა რა თქვენი სურვილი, თქვენი გოდება, თქვენი გულმოდგინება ჩემდამი, ასე რომ უმეტესად გავიხარე.

8. ამიტომ, თუ ჩემი წერილით დაგამწუხრეთ, არა ვნანობ, თუმც კი ის იყო ვინანე; რადგან ვხედავ, რომ მართალია ჩემმა წერილმა დაგამწუხრათ, მაგრამ დროებით.

9. ახლა კი ვხარობ, მაგრამ არა იმიტომ, რომ დამწუხრდით, არამედ იმიტომ, რომ სინანულისათვის დამწუხრდით; რადგან დამწუხრდით ღმრთის გულისათვის, ასე რომ, არა გვნებიათ რა ჩვენგან.

10. რადგან წუხილი ღმერთის გულისათვის შეიქმს სინანულს სახსენებლად, ხოლო წუხილი ამქვეყნიური სიკვდილს შეიქმს.

11. რადგან, აჰა, იმავე ღმრთისმიერმა მწუხარებამ თქვენმა როგორი გულმოდგინება გამოიწვია თქვენში, როგორი თავის მართლება, როგორი აღშფოთება, როგორი შიში, როგორი სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვილი. როგორი შური. როგორი შურისგება! ყოველმხრივ წმიდად წარმოაჩინეთ თავი ამ საქმეში.

12. ამრიგად. თუ გწერდით თქვენ, შეურაცხმყოფელისა თუ შეურაცხყოფილის გამო როდი გწერდით, არამედ რათა ცხადი გამხდარიყო თქვენთვის ჩვენი ზრუნვა თქვენს მიმართ ღმერთის წინაშე.

13. ამიტომაც ვინუგეშეთ თქვენი ნუგეშით, და მით უმეტეს გავიხარეთ ტიტეს სიხარულით, რადგან თქვენ ყველამ მოუფონეთ მის სულს.

14. ასე რომ, თუკი თქვენს გამო რაიმე დავიქადე მის წინაშე, შერცხვენილი არ დავრჩი; არამედ როგორც ყველაფერს ჭეშმარიტად გეტყოდით თქვენ, ჭეშმარიტი აღმოჩნდა ტიტეს მიმართ ჩვენი სიქადულიც.

15. და მისი გული მოწყალებითაა სავსე თქვენს მიმართ, როცა იხსენებს თქვენს მორჩილებას და იმას, თუ როგორი შიშით და ძრწოლით მიიღეთ იგი.

16. ამრიგად, ვხარობ, რომ შემიძლია ყველაფერში მოგენდოთ თქვენ.

თავი მერვე

1. ხოლო გაუწყებთ თქვენ, ძმანო, ღმერთის მადლს, ბოძებულს მაკედონიის ეკლესიებისათვის.

2. ვინაიდან მრავალი ჭირნაცადობის მიუხედავად, მათი სიხარულის სავსება და მათი სიღატაკის სიღრმე მოჭარბებულად გამოჩნდა მათივე სიწრფელის სიუხვეში.

3. რადგანაც შეძლებისდაგვარად ვმოწმობ, და შეძლებაზე უმეტესადაც,

4. თვითონვე დაბეჯითებით გვთხოვეს მადლი და მონაწილეობის ნება წმიდათა მსახურებაში;

5. და არა მარტო ის, რისი იმედიც გვქონდა, არამედ მოგვცეს თავიანთი თავიც, ჯერ ერთი უფალს, და მერე ჩვენც, ღმერთის ნებით.

6. ამიტომაც ვთხოვეთ ტიტეს, როგორც დაიწყო, ისევე დასრულებულიყო სამადლო საქმე თქვენს შორის.

7. და რაკი უხვად გაქვთ ყველაფერი: რწმენა და სიტყვა, ცოდნა და გულმოდგინება, ისევე როგორც ჩვენმიერი სიყვარული თქვენში, — მაშ, უხვად გქონდეთ ეს მადლიც.

8. ბრძანებით კი არ ვამბობ, არამედ სხვების გულმოდგინებით ვცდი თქვენი სიყვარულის სიწრფელეს.

9. რადგანაც იცით უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მადლი, რომ ის, მდიდარი, ღატაკი გახდა თქვენი გულისთვის, რათა მისი სიღატაკით გამდიდრებულიყავით.

10. და გაძლევთ რჩევას, რადგანაც ეს სარგოა თქვენთვის, ვინაიდან არა მარტო დაიწყეთ ამის კეთება, არამედ შარშანდელს აქეთ აპირებდით ამას.

11. ხოლო აწ აღასრულეთ თვით საქმეც. რათა როგორი გულმოდგინებითაც გსურდათ, იმავე გულმოდგინებით აღასრულოთ, შეძლებისამებრ.

12. რადგან თუ არის გულმოდგინება, შეიწირება მისგან იმისდა კვალად, რაცა აქვს, და არა იმისა, რაც არა აქვს.

13. ისე ნუკი იქნება, რომ სხვებს ლხინი, ხოლო თქვენ ჭირი, არამედ იყოს თანასწორობით.

14. ამჟამად თქვენმა ნამეტმა შეავსოს მათი ნაკლულოვანება, ხოლო შემდეგ მათმა ნამეტმა შეავსოს თქვენი ნაკლულოვანება, რათა იყოს თანასწორობით.

15. როგორც დაწერილია: ვინც ბევრი შეაგროვა, არ მოსჭარბდა, და ვინც ცოტა, არ დააკლდა.

16. მადლი ღმერთს, რომელმაც ასეთი სწრაფვა ჩაუნერგა ტიტეს გულს თქვენდამი.

17. რადგანაც არა მარტო შეიწყნარა თხოვნა, არამედ, გულმოდგინებით აღძრული, ნებსით გამოეშურა თქვენსკენ.

18. მასთან ერთად წარმოვგზავნეთ ძმა, რომელსაც ყველა ეკლესიაში აქებენ სახარებისთვის,

19. და არა მარტო აქებენ, არამედ

ეკლესიებისავე ხელთდასხმით იკურთხა ჩვენს თანმხლებად ამ სამადლო საქმისათვის მიმოსვლაში, რომელსაც ვემსახურებით უფლის სადიდებლად და ჩვენი გულმოდგინების გამოსავლენად.

20. თანაც ვერიდებით იმას, რომ ვინმემ დაგვგმოს შემოწირულობის იმ სიუხვის გამო, რასაც გვანდობენ ჩვენი მსახურებისას.

21. რადგანაც სიკეთე გვსურს არა მარტო უფლის, არამედ კაცთა წინაშეც.

22. მათთან ერთად წარმოვგზავნეთ ჩვენი ძმაც, ვისი გულმოდგინებაც მრავალგზის გამოგვიცდია მრავალ საქმეში, და ვინც ამჯერად კიდევ უფრო გულმოდგინეა თქვენდამი დიდი ნდობის წყალობით.

23. ხოლო თვით ტიტე ჩემი მეგობარია და თანაშემწე თქვენს შორის; ჩვენი ძმები კი ეკლესიათა წარგზავნილები არიან და დიდება ქრისტესი.

24. მაშ, ეკლესიათა წინაშე დაუდასტურეთ მათ თქვენი სიყვარული და ისიც, რის გამოც მართებულად ვიქადით თქვენით.

თავი მეცხრე

1. ხოლო წმიდათა მსახურებისათვის ზედმეტად მიმაჩნია მოგწეროთ თქვენ.

2. რადგანაც ვიცი თქვენი გულმოდგინება, და ვიქადი კიდეც თქვენით მაკედონელთა წინაშე: აქაია შარშანდელს აქეთ მზადაა-მეთქი. და თქვენმა მცდელობამ აღძრა მრავალნი.

3. ძმები კი იმიტომ წარმოვგზავნე, რომ ამჯერად არ გამიცუდდეს ჩემი სიქადული თქვენით, არამედ რათა, ჩემი თქმისა არ იყოს, მომზადებულნი დახვდეთ;

4. თორემ ჩემთან ერთად მოვლენ მაკედონელნი და, მოუმზადებელნი რომ განახონ, ხომ შევრცხვით ჩვენ (არ ვამბობ — თქვენ-მეთქი), რაკიღა ასე დაბეჯითებით დავიქადეთ.

5. ამიტომაც საჭიროდ ვცანი მეთხოვა ძმებისთვის, წინასწარ გწვეოდნენ თქვენ, და ამთავითვე ეზრუნათ, რათა თქვენს მიერ უკვე აღთქმული კეთილმოწყალება გამზადებული ყოფილიყო, როგორც კეთილმოწყალება, და არა როგორც ანგარება.

6. ესეც ხომ ითქვა: ვინც ძუნწად თესავს, ძუნწად მოიმკის, ხოლო ვინც უხვად თესავს, უხვად მოიმკის.

7. ყველამ გაიღოს გულის კარნახით, არა მწუხარებითა და ძალდატანებით, რადგან ღმერთს უყვარს ის, ვინც სიხარულით გასცემს.

8. ხოლო ღმერთს ძალუძს უხვად მოგაგოთ ყოველგვარი მადლი, რათა ყოველთვის ყველაფერში ყოველივე საკმაოდ გქონდეთ, და, ამრიგად, ამრავლოთ ყოველი კეთილი საქმე.

9. როგორც დაწერილია: გაანიავა, მისცა გლახაკებს; სიმართლე მისი წარუვალია უკუნისამდე.

10. ხოლო ის, ვინც თესლს აძლევს მთესველს, და პურს საზრდოდ, ზღვად აქცევს თქვენს ნათესსაც და ამრავლებს თქვენი სიმართლის ნაყოფს.

11. რათა ყველაფრით მდიდარნი იყოთ ყოველგვარი გულუხვობისთვის, რომელიც შეიქმს მადლიერებას ჩვენს მიერ ღმერთის მიმართ.

12. რადგანაც შეწირულობის ეს მსახურება არა მარტო შეავსებს წმიდათა ნაკლულოვანებას, არამედ მრავალსაც აღავსებს ღმრთის მიმართ მადლიერებით.

13. ვინაიდან ამ მსახურების გამოცდილებით ადიდებენ ღმერთს, რაკიღა იხილავენ თქვენს მორჩილებას ქრისტეს სახარების აღსარებისას, და თქვენი ურთიერთობის სიწრფელეს მათსა და ყველას მიმართ.

14. და თქვენზე მლოცველნი დაგიდასტურებენ თავიანთ სიყვარულს ღმერთის იმ უზღვავი მადლის გამო, რომელიც გადმოსულია თქვენზე.

15. მადლი ღმერთს, მისი ენითუთქმელი საბოძვრის გამო.

თავი მეათე

1. ხოლო მე, პავლე, თქვენს შორის, პირისპირ, — მდაბალი, ხოლო შორიდან, თქვენს მიმართ, — თამამი, გემუდარებით ქრისტეს თვინიერებითა და კეთილმოსურნეობით,

2. დიახ, გემუდარებით, ნუ მაიძულებთ, რომ ჩემი მოსვლისას თამამად მივმართო იმ სიმკაცრეს, რის გამოყენებასაც ვაპირებ ზოგიერთის მიმართ, რომელთაც ხორციელად მოარულნი ვგონივართ ჩვენ.

3. რადგან ხორციელად თუ ვიარებით, ხორციელადვე როდი ვიბრძვით.

4. ვინაიდან ჩვენი საომარი საჭურველი ხორციელი კი არ არის, არამედ — ღმრთის მიერ ძლევამოსილი ყოველგვარი სიმაგრის შესამუსრავად;

5. მისით ვამხობთ ზრახვებს და ყოველგვარ ქედმაღლობას, ღმრთის შემეცნების წინააღმდეგ აღძრულს, და ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს, რათა დაემორჩილოს ქრისტეს.

6. და მზადა ვართ შევმუსროთ ყოველგვარი ურჩობა, როცა სრული იქნება მორჩილება თქვენი.

7. უყურეთ, რაც თვალწინ გიძევთ! ვისაც ჰგონია, ქრისტესი ვარო, თავისთავად განსაჯოს ისიც, რომ, როგორც თვითონ არის ქრისტესი, ისევე ჩვენც ქრისტესნი ვართ.

8. რადგანაც მე რომ უფრო მეტად ვიქადოდე ჩვენი ხელმწიფებით, რომელიც თქვენს ასაშენებლად მოგვცა ღმერთმა, და არა თქვენს დასაქცევად, განა შერცხვენილი არ დავრჩებოდი?

9. მაგრამ ნუ გგონიათ, თითქოს წერილებით გაშინებთ.

10. ვინაიდან ზოგიერთი იტყვის: წერილი მისი მკაცრია და მძლავრი, თვითონ კი, პირისპირ — უძლური, და სიტყვა — უფასური.

11. ამნაირმა, დაე, იცოდეს, რომ, როგორიცა ვართ შორიდან წერილის სიტყვით, ისეთივე ვართ პირისპირ საქმით.

12. რადგანაც ჩვენ ვერა ვბედავთ თავი მივაკუთვნოთ ან შევადაროთ! თვითმაქებართ, თავიანთი თავით ზომავენ საკუთარ თავს, და, უგულისხმონი, თავიანთსავე თავს ედრებიან.

13. ხოლო ჩვენ უსაზომოდ როდი მოვყვებით ქადილს, არამედ იმ ხვედრის ზომისამებრ, რომელიც გვიწილადა ღმერთმა, რათა თქვენი მოწვდომა შევძლოთ.

14. რადგანაც მეტისმეტად როდი ვიძაბებით, როგორც თქვენამდე ვერ მოწევნილნი, ვინაიდან თქვენც მოგაწვდით ქრისტეს სახარებით.

15. არც უსაზომოდ ვიქადით, და არც სხვისი შრომით, არამედ იმედი გვაქვს, რომ, თქვენი რწმენის ზრდისამებრ, უხვად ვამრავლებთ ჩვენს წილხვედრს თქვენში.

16. ასე რომ, თქვენს მიღმაც ვიქადაგებთ სახარებას, და არ მოვყვებით ქადილს იმით, რაც გამზადებული დაგხვდება სხვის ხვედრში.

17. ხოლო ვინც იქადის, უფლით იქადოდეს.

18. რადგანაც ღირსეულია არა ის, ვინც თავის თავს იქებს, არამედ ის, ვისაც აქებს უფალი.

თავი მეთერთმეტე

1. ოჰ, რა იქნება, ცოტათი მაინც რომ იტანდეთ ჩემს უგუნურებას! მაგრამ ამიტანეთ.

2. რადგანაც საღმრთო შურით მშურს თქვენთვის; ვინაიდან დაგწინდეთ ერთ კაცზე, რათა უბიწო ქალწულად წარგადგინოთ ქრისტეს წინაშე.

3. მაგრამ ვშიშობ, როგორც გველმა თავისი ზაკვით აცთუნა ევა, ვაითუ თქვენი გონებაც ასევე ხრწინილებით განეშოროს სიწრფელეს ქრისტეს მიმართ.

4. რადგან თუ ვინმე მოვა თქვენთან სხვა იესოს საქადაგებლად, რომელიც ჩვენ არ გვიქადაგია, ან თუ მიიღებთ მისგან სხვა სულს, რომელიც არ მიგიღიათ, ან კიდევ — სხვა სახარებას, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელ არ გბარებიათ, ხომ შემწყნარებელ იქნებოდით მის მიმართ?

5. აგრამ, ვფიქრობ, არაფრით დავუვადები უსაჩინოეს მოციქულთ.

6. ადგან თუმცა უბირი ვარ სიტყვითაგრამ არა შემეცნებით; თუმცა აკი ზემიწევნით მიცნობთ.

7. ნთუ შევცოდე, რომ თავი დავიმდაბლ რათა ამემაღლებინეთ, რაკილა უსყიდლოდ გახარეთ ღმრთის სახარება

8. სხ ეკლესიებს ვაკლებდი, და სანოვაგ ვიღებდი მათგან თქვენდა სამსახურებლად; ხოლო თქვენს შორის, თუმცა ჭირდა, არავისთვის შემიწყენია თავ

9. რაკანაც ჩემი ნაკლულოვანება შეავსეს აკედონიიდან მოსულმა ძმებმა, თუ აკი სხვა მხრივაც თქვენთვის შეწყენლად გამქონდა თავი და კვლაც გავიტან.

10. ქრტეს ჭეშმარიტება ნუ მომეშალოს,ომ ამ სიქადულს ვერავინ წარმტაცეს მთელს აქაიაშიც.

11. რატომ? იმიტომ რომ არ მიყვარხართ? ღმ:თმა ხომ იცის? მაგრამ ასე ვიქცევი დკვლავაც მოვიქცევი,

12. რათსაბაბი არ მივცე საბაბის მძებნელთ,ა, ამრიგად, რითაც იქადიან, იმით ჩვენი მსგავსნი აღმოჩნდნენ.

13. რადგაც ამნაირი ცრუმოციქულნი, ზაკვიმოქმედნი, ქრისტეს მოციქულთა სეს იღებენ.

14. თუმცრა გასაკვირია: თვით სატანაც ხომ ნათლის ანგელოზის სახეს იღებს.

15. და რადიდ საქმეა, რომ მისი მსახურნიც სართლის მსახურთა სახეს იღებენ? აგრამ მათივე საქმისამებრ იქნება თი აღსასრულიც.

16. კვლავ ტყვი: ნურავინ ჩამთვლის უგუნურ, ან არა და, შემიწყნარეთ, როგორ უგუნური, რათა ცოტა რამ მეცა მჭოხს სასიქადულო.

17. რასაც ეჯობ, ღმერთის მიერ როდი ვამბობ, იქადულის ამ დაჟინებით, არამედ უგნურებით.

18. რაკილა მრავალნი იქადიან ციელად, მეც დავიქადებ.

19. რადგანაც თქვენ, გონიერნი, უდრტვინველად ითმენთ უგუნურთ:

20. ითმენთ, როცა ვინმე გიმონებთ, როცა ვინმე გჭამთ, როცა ვინმე გყვლეფთ, როცა ვინმე ქედმაღლობს, როცა ვინმე გირტყამთ სახეში.

21. სირცხვილით ვამბობ: ჩვენც დავუძლურდით; მაგრამ თუ ვინმე ბედავს დაიქადოს, უგუნურებით ვიტყვი: მეც ვბედავ.

22. ებრაელები არიან? მეც; ისრაელიტნი არიან? მეც; აბრაამის თესლი არიან? მეც.

23. ქრისტეს მსახურნი არიან? უგუნურებით ვიტყვი: მე უმეტესად, შრომით უმეტესად, გვემით უმეტესად, დილეგში გდებით უმრავლესად, სიკვდილის მუქარით ულბშირესად.

24. იუდეველთაგან ხუთგზის ვიგემე ორმოცი დარტყმა, ერთის დაკლებით.

25. სამჯერ გამჯოხეს, ერთხელ ჩაქოლვა დამიპირეს, სამჯერ გემი ჩამეძირა, დღე და ღამე უფსკრულში დავყავი.

26. ერთავად გზებზე ვიყავ გაკრული; განსაცდელი მდინარეებზე, განსაცდელი ყაჩაღთაგან, განსაცდელი თვისტომთაგან, განსაცდელი წარმართთაგან, განსაცდელი ქალაქში, განსაცდელი უდაბნოში, განსაცდელი ზღვაზე, განსაცდელი ცრუძმათა შორის.

27. შრომითა და რუდუნებით, მრავალგზის ღამის თევით, შიმშილით და წყურვილით, მრავალგზისი მარხვით, სიცივით და სიშიშვლით.

28. ყოველივე ამის გარდა, ხალხის ყოველდღიური მოზღავება ჩემს კართან, მუდმივი ზრუნვა ყველა ეკლესიაზე.

29. ვინ უნდა დაუძლურდეს, რომ მასთან ერთად არ დავუძლურდე? ვინ უნდა შესცდეს, რომ არ აღვეგზნო მისთვის?

30. თუკი შეგვფერის სიქადული, ჩემს უძლურებას დავიქადებ.

31. ღმერთმა და მამამ უფლის ჩვენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იესო ქრისტესმა, კურთხეულმა უკუნისამდე. იცის, რომ არ ვცრუობ.

32. დამასკოში არეტა მეფის მთავარს მეთვალყურენი ჩაეყენებინა მთელს ქალაქში, რადგანაც ჩემი შეპყრობა სურდა.

33. მაგრამ მე სარკმლიდან გოდრით ჩამომიშვეს გალავნის გასწვრივ, და ამრიგად დავუსხლტი მას.

თავი მეთოთრმეტე

1. თუმც სიქადული საჭიროა, მაგრამ ურგებია ჩემთვის; მაშ, მოვიქცევი უფლის ხილვათა და გამოცხადებათა მიმართ.

2. ვიცნობ ერთ კაცს ქრისტეში, რომელიც ამ თოთხმეტი წლის წინათ (არ ვიცი სხეულით, თუ არ ვიცი, უსხეულოდ: ღმერთმა იცის) ატაცებულ იქნა მესამე ცამდე.

3. და ვიცი ამ კაცისა (მხოლოდ არ ვიცი, სხეულით თუ უსხეულოდ: ღმერთმა იცის),

4. რომ ატაცებულ იქნა სამოთხეში, და ისმინა ენითუთქმელი სიტყვანი რომელთა გამოთქმაც არ ძალუძს კაცს.

5. ამნაირი კაცით ვიქადი; ჩემსას კი, აბა, რას დავიქადი, საკუთარი უძლურების გარდა.

6. ხოლო თუ ქადილს დავაპირებ, უგუნური არ ვიქნები, ვინაიდან სიმართლეს ვიტყვი; მაგრამ თავს ვიკავებ, რათა არავინ არ იფიქროს სხვა რამე ჩემზე, გარდა იმისა, რასაც ჩემში ხედავს, ან ჩემგან ისმენს.

7. და მეტისმეტად რომ არ აღვზევდე გამოცხადების ზეობით, მომეცა მენესტარი ხორცში, სატანის ანგელოზი, ჩემდა საწამებლად, რომ არ აღვზევდე.

8. სამგზის ვევედრე უფალს, განმაშორე-მეთქი.

9. და მითხრა მე: შენთვის საკმარისია ჩემი მადლიც, რადგანაც ჩემი ძალა აღსრულდება უძლურებაში. ამიტომაც მეტი ხალისით დავიქადი ჩემს უძლურებას, რათა ქრისტეს ძალა ემკვიდროს ჩემში;

10. ამიტომაც ვტკბები უძლურით, შეურაცხყოფით, გაჭირვებით, დანილობითა და ქრისტეს გამო შევიწროებით, რადგან როცა უძლური ვარ მაშინ ვარ ძლიერი.

11. უგუნური გავხდი ქადილით; თქვენ მაიძულეთ; ვინაიდან თქვენ უნდა გექეთ; ვინაიდან არაფრითაც დავუვარდები უსაჩინოეს მოციქულებს, თუმცა არარა ვარ.

12. ჩემი მოციქულობის იშნები ცხადი შეიქნა თქვენთვის ყოვლგვარი მოთმინებით, სასწაულებით, იშებითა და ძალით.

13. რადგან თუ რამეთი ჩაბრჩებით სხვა ეკლესიებს, მხოლოდ ის, რომ მძიმე ტვირთად არ დაგწოლირთ. მომიტევეთ ეს უსამართლობა.

14. აჰა, მზადა ვარ მესამეაც მოვიდე თქვენთან, და არც ამრად შეგაწუხებთ, რადგან თქვენსანი არ ვეძებ, არამედ თქვენ. შვილნი კი არ უნდა მისცენ საუნჯე მშობლებს, არამედ მშობლებმა — შვილებ

15. ამიტომაც ხალისით ავიხარჯები და თავს არ დავზოგავ ქვენი სულისთვის, თუმცა რაც უფრო მეტად მიყვარხართ, მით უფრო ნლებ გიყვარვართ მე.

16. ან, იქნებ, თავად ვ გაწუხებდით, მაგრამ ცბიერი ვიყავ და ზაკვით დაგიმორჩილეთ თქვენ?

17. მაგრამ თუ მისარბლნია რაიმე თქვენგან, მათი მეობით, ვინც თქვენთან წარმოვგზავნე?

18. ვთხოვე ტიტეს, ღ ერთი ძმის თანხლებით წარმოვგზავ ან ტიტე თუ გამოგრჩათ რასმე? ანა ერთსულოვნად არ ვმოქმედებდ? განა ერთ გზას არ ვადექით?

19. ხომ არ გგონიათ, ომ თავს ვიმართლებთ თქვენს წინ? ღმერთის წინაშე ვიტყვით, ქრისს მიერ; ხოლო ყოველივე ამას, საყვარელნო, თქვენს დასამოძღვრად ამბობთ.

20. რადგანაც ვშიშო ვაითუ, ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსვლისას, ისეთნი გნახოთ, როგორნიც არ მსურხართ, და მეც ისეთი მნახოთ, როგორიც არ გსურვართ; მაშ, ნუ იქნება თქვენს შორის შუღლი, შური, გულისწყრომა, ცილობა, ცილისწამება, მითქმა-მოთქმა, ქედმაღლობა, არევ-დარევა.

21. რათა კვლავ მოსვლისას, არ დამამდაბლოს ღმერთმა თქვენს წინაშე, და არ მაგლოვებინოს მრავალნი, რომელთაც უწინ სცოდეს, და არ კი შეინანეს უწმინდურება, სიმრუშე და სიბილწე, რომელიც ქმნეს.

თავი მეცამეტე

1. ეს უკვე მესამედ მოვდივარ თქვენთან. ორი თუ სამი მოწმის პირით დამტკიცდება ყოველი სიტყვა.

2. უწინაც ვთქვი და ახლაც ვამბობ, ისევე როგორც ჩემი მეორედ მანდ ყოფნის ჟამს, და შორიდან ვწერ ყველას, ვინც სცოდა უწინ და სხვებსაც, რომ არავის დავინდობ, როდესაც მოვალ;

3. რაკიღა დასტურს ეძებთ იმისას, რომ ჩემში მეტყველებს ქრისტე, რომელიც უძლური როდია თქვენს მიმართ, არამედ ძლიერი —თქვენს შორის.

4. რადგან თუ უძლურებით ეცვა ჯვარს, ცოცხალია ღმრთის ძალით; ასევე ჩვენც უძლურნი ვართ მასში, მაგრამ ვცოცხლობთ მასთან ერთად ღმრთის ძალით, რომელიც არის თქვენში.

5. გამოსცადეთ თქვენი თავი, თუ ხართ რწმენაში; შეამოწმეთ თქვენი თავი; იქნებ არ იცით თქვენივე თავი, რომ თქვენშია იესო ქრისტე? თუ არა და, უცადნი ხართ.

6. ხოლო იმედი მაქვს, იმას მაინც სცნობთ, რომ ჩვენ არა ვართ უცადნი.

7. ვლოცულობ ღმერთის მიმართ, რომ არა ქმნათ რამე ბოროტი, არა იმიტომ, რომ ნაცადად გვაჩვენოთ თავი, არამედ რათა კეთილი ქმნათ, თუნდაც რომ ჩვენ უცადნი ვიყოთ.

8. რადგან ჩვენ არაფერი შეგვიძლია ჭეშმარიტების წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ ჭეშმარიტებისათვის.

9. ვინაიდან ვხარობთ, როცა ჩვენ უძლურნი ვართ, ხოლო თქვენ ძლიერნი; ამისთვისვე ვლოცულობთ: თქვენი სიმტკიცისათვის.

10. სწორედ ამიტომ გწერთ შორიდან ამას, რათა მოსვლისას არ მივმართო სიმკაცრეს, თანახმად ხელმწიფებისა, რომელიც ასაშენებლად მომცა უფალმა და არა დასაქცევად.

11. სხვა მხრივ კი, გიხაროდეთ, ძმანო, განმტკიცდით, ნუგეშცემულნი იყავით და ერთსულოვანნი, მშვიდობა გქონდეთ; და ღმერთი სიყვარულისა და მშვიდობისა იყოს თქვენთან.

12. მოიკითხეთ ერთმანეთი წმიდა ამბორით. მოგიკითხავენ ყველა წმიდანი.

13. მადლი უფლის ჩვენისა იესო ქრისტესი, და სიყვარული ღმერთისა, და ზიარება სულის წმიდისა ყველა თქვენგანთან. ამინ.

გალატელთა მიმართ

თავი პირველი

1. პავლე მოციქული, არა კაცთაგან და არა კაცის მიერ, არამედ იესო ქრისტესა და ღმრთისა და მამისაგან, რომელმაც აღადგინა იგი მკვდრეთით,

2. და ჩემთან ერთად ყველა ძმა — გალატიის ეკლესიებს:

3. მადლი თქვენდა და მშვიდობა ღმრთისა და მამის ჩვენისა და უფლის იესო ქრისტეს მიერ,

4. რომელმაც ჩვენი ცოდვებისათვის მისცა თავისი თავი, რათა დავეხსენით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უკეთური ქვეყნისაგან, ღმრთისა და მამის ჩვენის ნებით;

5. რომლისაც არის დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

6. მიკვირს, რომ ქრისტეს მადლით თქვენი მხმობელისაგან ესოდენ სწრაფად მიიქცევით სხვა სახარეპის მიმართ;

7. თუმცა ის სხვა კი არ არის, არამედ არიან კაცნი, რომელნიც გამღვრევენ თქვენ. და ცდილობენ შერყვნან ქრისტეს სახარება.

8. მაგრამ თვით ჩვენც, გინდა ანგელოზი ზეცით, რომ გახარებდეთ არა იმას, რაც აქამდე გვიხარებია თქვენთვის, შეჩვენებულნი ვიყოთ.

9. რაც უწინ მითქვამს, ახლაც იმასვე ვიტყვი: თუ ვინმე გახარებთ სხვა რამეს, გარდა იმისა, რაც მიგიღიათ, შეჩვენებული იყოს.

10. ხოლო ამჟამად კაცთ ვარწმუნებ თუ ღმერთს? ან იქნებ ვცდილობ კაცთ ვაამო? რადგან აქამდე რომ ვაამებდე მათ, აღარ ვიქნებოდი ქრისტეს მონა.

11. გაუწყებთ თქვენ. ძმანო, რომ სახარება, რომელიც ჩემგან გეხარათ, არ არის კაცთმიერი.

12. რადგან მეც კაცთაგან კი არ მიმიღია, ან მისწავლია ის, არამედ იესო ქრისტეს გამოცხადებით.

13. თქვენ გსმენიათ, როგორ ვიქცეოდი ოდესღაც იუდეველობაში, რა სასტიკად ვდევნიდი ღმერთის ეკლესიას და ვარბევდი მას.

14. და აღვემატებოდი იუდეველობაში ყველა ტოლ-სწორს ჩემი მოდგმისას, რადგანაც უკიდურესი გულმოდგინებით ვიცავდი მამაპაპეულ გადმოცემებს.

15. ხოლო როდესაც ღმერთმა, რომელმაც დედის საშოდანვე ამირჩია და თავისი მადლით მიხმო, —

16. ინება თავისი ძის გამოცხადება ჩემში, რათა წარმართთათვის მეხარებინა იგი, მაშინვე როდი დავკითხივარ ხორცსა და სისხლს,

17. და არ ავსულვარ იერუსალემს, ჩემს წინამორბედ მოციქულებთან, არამედ არაბეთს წავედი, და კვლავ დაბრუნდი დამასკოს.

18. ხოლო სამი წლის შემდეგ პეტრეს სანახავად ავედი იერუსალემს, და თხუთმეტი დღე დავყავი მასთან.

19. სხვა მოციქულთაგან კი არავინ მინახავს, იაკობის, უფლის ძმის, გარდა.

20. ხოლო იმაში, რასაც გწერთ, ღმერთია მოწმე, რომ არა ვტყუი.

21. ამის შემდეგ სირიისა და კილიკიის მხარეს ჩავედი.

22. ხოლო ქრისტეს ეკლესიები იუდეაში პირადად არ მიცნობდნენ მე;

23. მხოლოდ სმენოდათ, რომ ოდესღაც მათი მდევნელი ამჟამად ახარებს რწმენას, რომელსაც უწინ ებრძოდა;

24. და ადიდებდნენ ჩემს გამო ღმერთს.

თავი მეორე

1. თოთხმეტი წლის შემდეგ კვლავ ავედი იერუსალემს ბარნაბასთან ერთად, და თან წავიყვანე ტიტეც.

2. ხოლო ავედი გამოცხადებით, და ვაუწყე მათ (განსაკუთრებით — ყველაზე ცნობილთ) სახარება, რომელსაც ვქადაგებ წარმართთა შორის: ამაოდ ხომ არ მიწვალია, ან ვწვალობ-მეთქი.

3. მაგრამ თვით ჩემთან მყოფი ტიტეც კი, მიუხედავად იმისა, რომ ბერძენია, არ გაუხდიათ იძულებული, წინადაეცვითა.

4. ხოლო შემოპარულ ცრუძმებს, რომლებიც მალულად შემოძვრნენ, რათა ეთვალთვალებინათ ჩვენი თავისუფლებისათვის, რომელიც გვაქვს ქრისტე იესოში, და, ამრიგად, დავემონებინეთ, —

5. წამითაც არა დავუთმეთ რა, და არ დავემორჩილეთ, რათა სახარების ჭეშმარიტება დარჩენილიყო თქვენთან.

6. ხოლო მათ, რომელნიც ყველაზე ცნობილნი ჩანდნენ (როგორნი იყვნენ ისინი უწინ, მე არ დავეძებ: ღმერთი არ უყურებს სახეს კაცისას), დიახ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ, რომელნიც ყველაზე ცნობილნი ჩანდნენ, არაფერი დაუვალებიათ ჩემთვის;

7. პირიქით, როცა დაინახეს, რომ მე მომენდო ხარება წინადაუცვეთელთათვის, ისევე როგორც პეტრეს — წინადაცვეთილთათვის,

8. (რადგან ის, ვინც წინადაცვეთილთა შორის მოციქულობაში შეეწია პეტრეს, მეც შემეწია წარმართთა შორის),

9. და შეიცნეს მადლი, რომელიც მომეცა მე, ბურჯებად მიჩნეულმა იაკობმა და კეფამ და იოანემ თანაზიარების მარჯვენა გამოგვიწოდეს მე და ბარნაბას, რათა წავსულიყავით — ჩვენ წარმართთა, ხოლო ისინი წინადაცვეთილთა მიმართ;

10. მხოლოდ ეგაა, უნდა გვხსომებოდა ღატაკნი, და მე გულმოდგინედ ვცდილობდი ამესრულებინა ეს.

11. და როდესაც ანტიოქიას მოვიდა კეფა, მე პირადად წინ აღვუდექი მას, ვინაიდან გასაკიცხი იყო.

12. რადგანაც იაკობისაგან ზოგიერთი წარმოგზავნილის მოსვლამდე წარმართებთან ერთად ჭამდა; ხოლო მათი მოსვლის შემდეგ განდგა და განცალკევდა, წინადაცვეთილთა შიშით.

13. და მასთან ერთად თვალთმაქცობდნენ დანარჩენი იუდეველნიც, ასე რომ, თვით ბარნაბაც ჩაითრია მათმა თვალთმაქცობამ.

14. მაგრამ როდესაც ვიხილე, რომ წრფელი გზით როდი მიდიან სახარებისეული ჭეშმარიტებისაკენ, ყველას წინაშე ვუთხარი პეტრეს: თუკი შენ იუდეველი, წარმართულად ცხოვრობ და არა იუდეურად, რატომღა აიძულებ წარმართებს, რომ იუდეველობდნენ?

15. ჩვენ ბუნებით იუდეველნი ვართ, და არა შემცოდენი წარმართთა შორის.

16. და რაკი ვიცით, რომ რჯულის საქმეთაგან როდი გამართლდება კაცი, არამედ იესო ქრისტეს რწმენით, ჩვენც ვირწმუნეთ იესო ქრისტე, რათა ქრისტეს რწმენით გავმართლდეთ და არა რჯულის საქმით; ვინაიდან რჯულის საქმით ვერ გამართლდება ვერ[illegible] რციელი.

17. ხოლო თუ ვეძებთ გამართლებას ქრისტეს მიერ, და თვითონ კი ვცოდეთ, ნუთუ ქრისტე ცოდვის მსახურია? ღმერთმა ნუ ქნას.

18. რადგან თუ კვლავ ვაგებ იმას, რაც დავანგრიე, ხომ შემცოდედ ვავლენ ჩემს თავს.

19. ვინაიდან მე რჯულით მოვკვდი რჯულისათვის, რათა ვცოცხლობდე ღმერთისათვის.

20. ქრისტესთან ერთად ვეცვი ჯვარს; და მე კი აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში; ხოლო თუ აწ ხორციელად ვცოცხლობ, ვცოცხლობ რწმენით ღმერთის ძის მიმართ, რომელმაც შემიყვარა მე და თავისი თავი მისცა ჩემთვის.

21. და არ უარვყოფ ღმერთის მადლს; რადგან თუ გამართლება რჯულისგან არის, მაშინ ქრისტე ამაოდ მოკვდა.

თავი მესამე

1. ეჰა, უგონო გალატელნო, ვინ მოგნუსხათ ისე, რომ აღარ ემორჩილებით ჭეშმარიტებას? თქვენ, რომელთა თვალწინაც გამოისახა იესო ქრისტე, როგორც თქვენს შორის ჯვარცმული?

2. მხოლოდ ეს მინდა ვიცოდე თქვენგან: რჯულის საქმეთაგან მიიღეთ სული თუ რწმენის შესმენით?

3. ნუთუ ისე უგუნურნი ხართ, რომ სულით დაიწყეთ, და ახლა კი ხორცით ამთავრებთ?

4. ნუთუ ამაოდ დაითმინეთ ამდენი რამე? ოჰ, ნეტა მხოლოდ ამაოდ!

5. ის, ვინც სულს გაძლევთ, და იქმს სასწაულთ თქვენს შორის, რჯულის საქმეთაგან იქმს ამას, თუ რწმენის შესმენით?

6. როგორც აბრაამმა ირწმუნა ღმერთი, და სიმართლედ შეერაცხა მას.

7. მაშ, იცოდეთ, რომ ისინი, ვინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმენისაგან არიან, აბრაამის ძენი არიან.

8. და წერილმა, რომელიც წინასწარ ხედავდა, რომ ღმერთი რწმენით გაამართლებდა წარმართთ, წინასწარ ახარა აბრაამს: შენში იკურთხება ყოველი ხალხი.

9. ასე რომ, ისინი, ვინც რწმენისაგან არიან, მორწმუნე აბრაამთან ერთად იკურთხებიან.

10. ხოლო ისინი, ვინც რჯულის საქმეთაგან არიან, წყევლის ქვეშ არიან; ვინაიდან დაწერილია: წყეულიმც იყოს ყველა, ვინც გამუდმებით არ ასრულებს ყოველივე იმას, რაც დაწერილია რჯულის წიგნში.

11. ხოლო ცხადია, რომ რჯულით არავინ გამართლდება ღმერთის წინაშე, ვინაიდან: მართალი იცოცხლებს რწმენით.

12. ხოლო რჯული რწმენისაგან როდია, არამედ კაცი, რომელიც აღასრულებს მას, იცოცხლებს მისით.

13. ქრისტემ გამოგვისყიდა ჩვენ რჯულის წყევლისგან, და თვითონ დაიწყევლა ჩვენთვის. ვინაიდან დაწერილია. წყეულიმც იყოს ყველა, ვინც ჰკიდია ძელზე.

14. რათა აბრაამის კურთხევა გავრცელდეს წარმართებზე იესო ქრისტეს მიერ, და, ამრიგად, მივიღოთ აღთქმა სულისა რწმენით.

15. ძმანო, კაცთა განსჯისამებრ გეტყვით: თვით კაცის მიერ დამტკიცებულ შეთანხმებას არვინ აუქმებს, და არც რასმე უმატებს მას.

16. ხოლო აბრაამს მიეცა აღთქმანი, და თესლსაც მისას. არა თქმულა: მის თესლთაც, როგორც მრავალთათვის, არამედ როგორც ერთისათვის: და შენს თესლსაც, რომელიც არის ქრისტე.

17. იმას ვამბობ, რომ ქრისტეს გამო ღმრთის მიერ წინასწარ დამტკიცებულ ანდერძს ისე არ აუქმებს ოთხას ოცდაათი წლის შემდეგ მოსული რჯული, რომ განაქაროს აღთქმა.

18. რადგან თუ მემკვიდრეობა რჯულითაა, არამც და არამც აღარ არის აღთქმით. მაგრამ ღმერთმა აღთქმით უბოძა იგი აბრაამს.

19. მაშ, რისთვისაა რჯული? ის მოცემულ იქნა შეცოდებათა გამო, ვიდრე მოვიდოდა თესლი, ვისთვისაც დაიდო აღთქმა, და გადმოცემულ იქნა ანგელოზთა მიერ, შუამდგომელის ხელით.

20. მაგრამ შუამდგომელი არ არის ერთის მიმართ, ღმერთი კი ერთია.

21. მაშასადამე, რჯული ეწინააღმდეგება ღმერთის აღთქმათ? არამც და არამც. რადგან მოცემული რომ იყოს რჯული, რომელსაც შეეძლებოდა სიცოცხლის მონიჭება, ჭეშმარიტად რჯულისაგან იქნებოდა სიმართლე.

22. მაგრამ წერილმა ცოდვის ქვეშ მოაქცია ყველანი, რათა აღთქმა იესო ქრისტეს რწმენით მისცემოდათ მორწმუნეთ.

23. ხოლო რწმენის მოვლინებამდე რჯულის მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავით მოქცეულნი, იმ დრომდე, როცა უნდა გამოცხადებულიყო რწმენა.

24. ასე რომ, რჯული ჩვენი აღმზრდელი იქმნა ქრისტეს მიმართ, რათა რწმენით გავმართლებულიყავით.

25. ხოლო რწმენის მოვლინების შემდეგ უკვე აღარა ვართ აღმზრდელის მეთვალყურეობის ქვეშ.

26. რადგან ყველანი, ქრისტე იესოს რწმენით, ძენი ხართ ღმრთისა.

27. ყველამ, ვინც ქრისტეს მიმართ ნათელ იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ.

28. აღარ არის იუდეველი, აღარც წარმართი; აღარც მონა, აღარც თავისუფალი; აღარც მამრი, და აღარც მდედრი, რადგან ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში.

29. ხოლო თუ ქრისტესნი ხართ, მაშასადამე, აბრაამის თესლი ხართ, და, აღთქმისამებრ, — მემკვიდრენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

1. ამასაც ვიტყვი: სანამდის მემკვიდრე ყრმაა, არაფრით განირჩევა მონისაგან, თუმცა ყველაფრის ბატონ-პატრონია.

2. არამედ, მამის მიერ მიჩენილ დრომდე, მზრუნველებსა და მეურვეებს ემორჩილება.

3. ასევე ჩვენც, ვიდრე ყრმანი ვიყავით, სამყაროს ნივთიერ საწყისთ ვემონებოდით.

4. მაგრამ როდესაც მოიწია დროის სისრულე, მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, რომელიც იშვა ქალისაგან, და დაემორჩილა რჯულს,

5. რათა გამოესყიდა რჯულის ქვეშ მყოფნი, და ამრიგად მიგვეღო ძეობა.

6. ხოლო რაკიღა ძენი ხართ, ღმერთმა მოავლინა თქვენს გულებში თავისი ძის სული, რომელიც ღაღადებს: აბა, მამაო!

7. ასე რომ, მონა კი აღარა ხართ, არამედ ძე: ხოლო თუ ძე ხართ, მემკვიდრეცა ხარ ღმერთის მიერ.

8. მაგრამ მაშინ არ იცოდით ღმერთი, და მსახურებდით ღმერთებს, რომლებიც ბუნებით არც არიან ღმერთები.

9. ხოლო აწ, რაკი შეიმეცნეთ ღმერთი, ან, უკეთ, ღმერთისაგან მიიღეთ შემეცნება, კვლავ რაღად უბრუნდებით სამყაროს უძლურსა და უბადრუკ საწყისთ, რად გსურთ კვლავ დაემონოთ მათ?

10. დღეებს უკვირდებით და თვეებს, წელიწადის დროებს და წლებს.

11. ვშიშობ თქვენს გამო, ამაოდ ხომ არ დავშვერი თქვენთვის.

12. გემუდარებით, ძმანო, ჩემსავით იყავით; რადგან მეც ისე ვარ, როგორც თქვენ. არა დაგიშავებიათ რა ჩემთვის.

13. ხოლო ეს იცით, რომ პირველად ხორცის უძლურებით გახარებთ თქვენ.

14. მაგრამ თქვენ არ შეურაცხყავით, არც შეიზიზღეთ, განსაცდელი ჩემი ხორცისა, არამედ შემიწყნარეთ, როგორც ღმრთის ანგელოზი, როგორც ქრისტე იესო.

15. სად არის თქვენი მაშინდელი ნეტარება? რადგან გემოწმებით, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ალბათ, თვალებსაც დაითხრიდით და მომცემდით მე.

16. მერედა, ნუთუ მტრად გექეცით, რაკიღა ჭეშმარიტებას გიქადაგებთ თქვენ?

17. მცდელობენ თქვენთვის არა სასიკეთოდ, არამედ სურთ ჩვენგან გაგრიყონ, რათა მცდელობდეთ მათთვის.

18. ხოლო სასიკეთოა მუდმივი მცდელობა სიკეთისათვის, და არა მხოლოდ მაშინ, როცა თქვენთანა ვარ.

19. შვილნო ჩემნო, რომელთათვისაც კვლავ შობის სალმობით მელმის, სანამ არ გამოისახება თქვენში ქრისტე.

20. ნეტა თქვენს შორის მქმნა, და ხმა შემაცვლევინა, ვინაიდან აღარა გამეგება რა თქვენი.

21. მითხარით, რჯულის ქვეშ ყოფნის მოსურნენო: ნუთუ არ უსმენთ რჯულს?

22. რადგანაც დაწერილია: აბრაამს ჰყავდა ორი ძე, ერთი მხევლისაგან და ერთიც თავისუფალი ქალისგან.

23. მაგრამ მხევლისა ხორცისაგან შობილი იყო, ხოლო თავისუფლისა — აღთქმისაგან,

24. რაც არის ქარაგმა; ესაა ორი აღთქმა: ერთი — სინას მთით, მონის მშობი, ანუ აგარი,

25. რადგანაც აგარი იგივე სინას მთაა არაბეთში, და შეესატყვისება აწინდელ იერუსალემს, ვინაიდან თავისი შვილებითურთ მონობაშია;

26. ხოლო ზეციური იერუსალემი თავისუფალია; ის არის ჩვენი დედა.

27. რადგანაც დაწერილია: გიხარიოდეს, უნაყოფოვ, რომელსაც არ გიშობია; იმძლავრე და იღაღადე, შობის სალმობით ულმობო; ვინაიდან მიტოვებულს უფრო მეტი შვილები ჰყავს, ვიდრე ქმრიანს.

28. ხოლო ჩვენ, ძმანო, ისააკისამებრ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღთქმის შვილები ვართ.

29. მაგრამ როგორც მაშინ ხორციელად შობილი სდევნიდა სულიერს, ისევე ახლაც.

30. მერედა რას ამბობს წერილი? გააძევე მხევალი და მისი ძე, ვინაიდან ძე მხევლისა არ იქნება თავისუფლის ძის თანამემკვიდრე.

31. ასე რომ, ძმანო, მხევლის ძენი კი არა ვართ, არამედ თავისუფლისა.

თავი მეხუთე

1. მაშ, მტკიცედ იდექით თავისუფლებით, რომლითაც ქრისტემ გვათავისუფლა და კვლავ ნუღა დაიდგამთ მონობის უღელს.

2. აჰა, მე, პავლე, გეუბნებით თქვენ: თუ წინადაიცვეთთ, ვერაფერს ირგებთ ქრისტესაგან.

3. ხოლო კვლავ ვუმოწმებ ყველა წინადაცვეთილ კაცს, რომ მოვალეა აღასრულოს მთელი რჯული.

4. ო, რჯულით თავის გამმართლებელნო, უქრისტეოდ დარჩით, და მოსწყდით მადლს.

5. ხოლო ჩვენ სულით მოველით სიმართლის რწმენისაგან.

6. რადგანაც ქრისტე იესოში არც წინადაცვეთილობასა აქვს რაიმე ძალა, და არც წინადაუცვეთელობას, არამედ რწმენას, სიყვარულით მოქმედს.

7. კეთილად ვიდოდით: ვინ შეგაფერხათ თქვენ, რათა აღარ მორჩილებდეთ ჭეშმარიტებას?

8. ეს აზრი მისგან როდია ვინც გიხმობთ თქვენ.

9. მცირეოდენი საფუარი მთელს ცომს აფუებს.

10. მწამს თქვენი უფალში, რომ სხვას არაფერს იზრახავთ; ხოლო თქვენი ამამღვრეველი, ვინც უნდა იყოს იგი, იტვირთავს სასჯელს.

11. რისთვისღა მდევნიან მე, ძმანო, თუკი კვლავ ვქადაგებ წინადაცვეთას?

12. ოჰ, მოკვეთილნ[illegible] [illegible] [illegible] თქვენი ამმღვრევნი!

13. თავისუფლებისათვის ხართ, ძმანო, ხმობილნი; მაგრამ ხორციელი განცხრომისთვის ნუ მოიხმართ თავისუფლებას, არამედ სიყვარულით ჰმონებდეთ ერთურთს.

14. რადგანაც მთელი რჯული ერთი სიტყვით აღესრულება: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

15. ხოლო თუ ერთიმეორეს კბენთ და ჭამთ, ფრთხილად, სულაც არ ამოწყვიტოთ ერთმანეთი.

16. მე ვამბობ; სულისამებრ იარეთ, და ნუ აღასრულებთ ხორციელ სურვილს.

17. რადგან ხორცს სულის საპირისპიროდ სურს, და სულს — ხორცის საპირისპიროდ. ისინი ერთიმეორეს ეურჩებიან, რათა ვერ იქმოდეთ იმას; რაც გსურთ.

18. ხოლო თუ სულისამებრ იქცევით, არა ხართ სჯულის ქვეშ.

19. სულის საქმენი აშკარაა; ესენია; სიძვა, უწმინდურობა, ბილწება,

20. კერპთმსახურება, მწამვლელობა, მტრობა, შუღლი, შური, რისხვა, განხეთქილება, მწვალებლობა,

21. სიძულვილი, მკვლელობა, მემთვრალეობა, ლირწება და სხვა მისთანანი. წინასწარ გეტყვით, როგორც უკვე მითქვამს წინასწარ, რომ ამის მოქმედნი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს.

22. ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რწმენა,

23. თვინიერება, თავშეკავება, ამათ წინააღმდეგ არ არის რჯული.

24. ხოლო მათ, რომელნიც არიან ქრისტესნი, ჯვარს აცვეს ხორცი მისი სურვილებითა და ვნებებით.

25. თუ სულით ვცოცხლობთ, სულსავე უნდა მივსდევდეთ.

26. ნუ ვიქნებით ცუდმედიდნი, ერთმანეთის გამომწვევნი, ერთმანეთის მოშურნენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეექვსე

1. ძმანო, თუ კაცი რაიმე ცოდვაში ჩაიდგამს ფეხს, თქვენ რომელნიც ხართ სულიერნი, შეაგონეთ მას თვინიერების სულით; დაუკვირდი შენსავე თავს, რათა თავადაც არ ჩავარდე განსაცდელში.

2. ერთმანეთის ტვირთი იტვირთეთ, და ასე აღასრულეთ ქრისტეს რჯული.

3. რადგან თუ ვინმეს რაიმედ მოაქვს თავი, და არარა კია, თავისსავე თავს იტყუებს.

4. არამედ თვითეულმა განიცადოს თავისი საქმე, და მაშინ იქნება სიქადული თავისივე თავისა და არა სხვების მიერ.

5. რადგანაც თვითეული იტვირთავს თავის საკუთარ ტვირთს.

6. სიტყვით დამოძღვრილმა გაუზიაროს ყოველივე კეთილი თავის დამმოძღვრავს.

7. ნუ შეცდებით: ღმერთი არ შერცხვება. ვინაიდან რასაც დათესს კაცი, მასვე მოიმკის.

8. ხორცში მთესველი ხორცისაგან მოიმკის ხრწნილებას, ხოლო სულში მთესველი სულისაგან მოიმკის საუკუნო სიცოცხლეს.

9. სიკეთის ქმნისას ნუ მოვდუნდებით, ვინაიდან თავის დროზე მოვიმკით, თუკი არ მოვიქანცეთ.

10. მაშ, სანამ დროა, კეთილი ვუყოთ ყველას, და მით უმეტეს ჩვენს თანამორწმუნეთ.

11. ხომ ხედავთ, რამდენი რამ მოგწერეთ საკუთარი ხელით.

12. ხორცით თავმოწონების მოსურნენი გაიძულებენ წინადაიცვითოთ, მხოლოდ იმიტომ, რომ დევნილნი არ იქნენ ქრისტეს ჯვრისათვის.

13. რადგან თვით წინადაცვეთილნიც არ იცავენ რჯულს; არამედ უნდათ, რომ წინადაიცვითოთ, რათა იქადოდნენ თქვენი ხორცით.

14. ხოლო მე ღმერთმა ნუ ქნას, რომ სხვა რამით ვიქადოდე, და არა ჯვრით უფლის ჩვენის იესო ქრისტესი, ვისითაც ქვეყანა ჩემთვის ჯვარს, და მე ქვეყნისათვის.

15. რადგანაც ქრისტე იესოში არც წინადაცვეთილობა ნიშნავს რასმე, და არც წინადაუცვეთელობა, არამედ მხოლოდ ახალი ქმნილება.

16. და ყველას, ვინც იქცევა ამ წესისამებრ, მადლი და წყალობა, აგრეთვე ისრაელს ღმრთისას.

17. სხვა მხრივ კი ნუღარავინ შემაწუხებს, რადგანაც ჩემი სხეულით ვზიდავ უფლის იესოს წყლულებს.

18. უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მადლი სულს თქვენსას, ძმანო. ამინ.

ეფესელთა მიმართ

თავი პირველი

1. პავლე, ღმრთის ნებით მოციქული იესო ქრისტესი, ეფესოში მყოფ წმიდათა და ქრისტე იესოში მორწმუნეთ:

2. მადლი თქვენდა და მშვიდობა ღმერთის, მამის ჩვენისა, და უფლის იესო ქრისტესაგან.

3. კურთხეულია ღმერთი და მამა უფლის ჩვენის იესო ქრისტესი, რომელმაც გვაკურთხა ჩვენ იესო ქრისტეს მიერ ყოველი სულიერი კურთხევით ცაში,

4. რაკიღა აგვირჩია მის მიერ, უწინარეს ქვეყნის შემქმნისა, რათა ვყოფილიყავით წმიდანი და უბიწონი მის წინაშე სიყვარულით,

5. და წინასწარ დაადგინა ვეშვილებინეთ იესო ქრისტეს მეოხებით, თავისი ნების სათნოებისამებრ.

6. საქებრად მისივე მადლის დიდებისა, რომელიც მოგვმადლა ჩვენ თავისი საყვარელი ძის მიერ,

7. ვისგანაც გვაქვს გამოსყიდვა მისი სისხლით, და ცოდვათა მოტევება მისივე მადლის სიმდიდრით,

8. რომელიც უხვად მოგვმადლა ჩვენ ყოველი სიბრძნითა და გონიერებით,

9. და გვაუწყა ჩვენ თავისი ნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდუმლო, თავისივე სათნოებით, რომელიც წინასწარ ჩანერგა მასში,

10. დროთა სისრულის განსაგებლად, და ყოველივე ზეციურისა და მიწიერის ქრისტეში თავმოსაყრელად,

11. ვისშიაც გავხდით მემკვიდრენი, საამისოდ წინასწარ განწესებულნი მისი წინასწარგანჩინებით, ვინც ყოველივეს აღასრულებს თავისი ნების ზრახვით,

12. რათა ვყოფილიყავით მისი დიდების მაქებარნი: ჩვენ რომელნიც წინასწარ ვესავდით ქრისტეს,

13. ვისშიაც თქვენც გესმით ჭეშმარიტების სიტყვა, თქვენი ხსნის სახარება, რომლითაც ირწმუნეთ და აღიბეჭდეთ აღთქმული წმიდა სულით,

14. რომელიც არის ჩვენი მემკვიდრეობის წინდი, მისი ხვედრის გამოსასყიდად, და მისი დიდების საქებად.

15. ამიტომ მეც, როდესაც მესმა თქვენი რწმენა უფლის იესოსადმი, და სიყვარული, რომელიც გაქვთ ყველა წმიდანის მიმართ,

16. გამუდმებით მადლს ვწირავ ღმერთს თქვენს გამო, და ჩემს ლოცვებში გიხსენებთ.

17. რათა უფლის ჩვენის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, მოგცეთ თქვენ სული სიბრძნისა და გამოცხადება მის შესაცნობად,

18. და გაანათლოს თქვენი გულის თვალნი, რათა შეიცნოთ, რა არის მისი ხმობის სასოება, როგორია დიდება მისი მემკვიდრეობის სიმდიდრისა წმიდათა შორის.

19. და რაოდენ უსაზღვროა მისი ძლიერების სიდიადე ჩვენდა მომართ, რომელთაც გვწამს მისი მძლეთამძლე ძალის ქმედებით,

20. რომლითაც იმოქმედა ქრისტეს მიერ, მკვდრეთით აღადგინა იგი, და მხარმარჯვნივ დაისვა ზეცას,

21. უზენაეს ყოველი მთავრობისა და ხელმწიფებისა და ძალისა და უფლებისა, და ყოველი სახელისა, რომელიც სახელდებულია არა მარტო ამ საწუთროში, არამედ მომავალშიც;

22. და ყველაფერი დაუქვეშევნია მორჩილა მას; და მისცა მას მთავრობა ყოველი ეკლესიისა,

23. რომელიც არის მისი სხეული, სავსება ყოვლის აღმვსებისა ყოვლით.

თავი მეოთხე

1. და აღგადგინათ თქვენც, მკვდარნი თქვენი ბრალეულობითა და ცოდვებით,

2. რომლებითაც იარებოდით ამ წუთისოფლის წესისამებრ, ჰაერის ხელმწიფების მთავრის ნებით; სულით, რომელიც აწ მოქმედებს ურჩობის ძეთა მიერ,

3. რომელთა შორისაც ჩვენც ყველანი ვცხოვრობდით ოდესღაც, ჩვენი ხორციელი ვნებებისამებრ, ვასრულებდით ხორცისა და ზრახვათა ნებას, და ვიყავით ბუნებით რისხვის შვილნი, დანარჩენთა მსგავსად.

4. მაგრამ წყალობით მდიდარმა ღმერთმა, მისი ულევი სიყვარულისამებრ, რომლითაც შეგვიყვარა ჩვენ,

5. შეცოდებით მკვდარნი გაგვაცოცხლა ქრისტესთან ერთად (მადლით ხართ გამოხსნილი),

6. და აღგვადგინა მასთან ერთად, და მასთანვე დაგვსხა ზეცას ქრისტე იესოში.

7. რათა ეჩვენებინა მომავალ საუკუნეთათვის უზღვავი სიმდიდრე თავისი მადლისა, ჩვენდამი სიტკბოებით, ქრისტე იესოში.

8. რადგანაც მადლით ხართ გამოხსნილნი რწმენის წყალობით, და ეს თქვენგან კი არ არის, არამედ ნიჭია ღმრთისა:

9. არა საქმეთაგან, რათა არავინ იქადოდეს.

10. რადგანაც მისი ქმნილებანი ვართ, კეთილ საქმეთათვის შექმნილნი ქრისტე იესოში, საქმეთათვის, რომელნიც წინასწარ დაგვიწესა ღმერთმა, რათა მათში ვიარებოდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. მაშ, გახსოვდეთ, რომ თქვენ, ოდესღაც ხორციელად წარმართნი, რომელთაც წინადაუცვეთელთ გიწოდებდნენ ეგრეთწოდებული წინადაცვეთილნი, ხორციელად, თავიანთივე ხელით წინადაცვეთილნი, —

12. იმჟამად ქრისტეს გარეშე იყავით, ისრაელის მოქალაქეობისაგან გამორიცხულნი, აღთქმის მცნებათაგან უცხოქმნილნი, სასომიხდილნი, ამ ქვეყნად უღმრთოდ შთენილნი.

13. ხოლო აწ ქრისტე იესოში თქვენ, ოდესღაც შორეულნი, ახლობელნი გახდით ქრისტეს სისხლით.

14. რადგანაც იგია მშვიდობა ჩვენი, ორიდან ერთის შემოქმედი, და მათ შორის აღმართული ზღუდის დამრღვევი,

15. რომელმაც თავისი ხორცით განაქარა მტრობა, ხოლო მოძღვრებით — აღთქმათა რჯული, რათა ორივე ერთ ახალ კაცად შეექმნა თავის თავში, მშვიდობის მყოფელს,

16. და, ამრიგად, ორივე ერთი სხეულით შეერიგებინა ღმერთისთვის ჯვრის მიერ, რომელზედაც მოაკვდინა მტრობა.

17. და მოვიდა, და მშვიდობა გახარათ თქვენ, შორეულთაც და ახლობელთაც.

18. რადგანაც მისი მეოხებით ორივენი ერთი სულით მივეახლებით მამას.

19. ამიერიდან უცხონი კი აღარ ხართ და უცხოელნი, არამედ წმიდათა თანამოქალაქენი და ღმერთის სახლეულნი;

20. მოციქულთა და წინასწარმეტყველთა საფუძველზე დაფუძნებულნი, რომლის ქვაკუთხედი არის თვითონ იესო ქრისტე.

21. ვისითაც მთელი შენობა, მწყობრად ნაგები, წმიდა ტაძრად აღიმართება უფლში.

22. რომელშიაც თქვენც დამკვიდრდებით, ღმრთის სავანედ, სულით.

თავის მესამე

1. სწორედ ამიტომ მე, პავლე, იესო ქრისტეს ტყვე გავხდი თქვენთვის, წარმართთა, გულისათვის;

2. თუკი გსმენიათ აღმშენებლობა ღმერთის მადლისა, რომელიც მომეცა თქვენთვის,

3. რადგანაც გამოცხადებით მეუწყა საიდუმლო, როგორც უწინ მოგწერეთ კიდეც მოკლედ;

4. და მის წამკითხველთ შეგიძლიათ გაიგოთ, როგორ მესმის მე ქრისტეს საიდუმლო,

5. რომელიც არ გამჟღავნებია კაცის ძეთა სხვა თაობებს, როგორც აწ გამოეცხადა სულით მის წმინდა მოციქულთა და წინასწარმეტყველთ,

6. რომ წარმართნიც თანამემკვიდრენი, თანამესხეულენი და თანაზიარნი არიან მისი აღთქმისა ქრისტეში, სახარების მეოხებით,

7. რისი მსახურიც ვიქმენ, ღმრთის მადლის ნიჭისამებრ, რომელიც მომეცა მისი ძალის შეწევნით;

8. მე, უმცირესს ყველა წმიდათა შორის, მომეცა ეს მადლი, რათა ვახარო წარმართთ გამოუკვლეველი სიმდიდრე ქრისტესი,

9. და გამოვუცხადო ყველას, რა არის ზიარება საიდუმლოსი, უკუნისიდან დაფარულისა ღმერთში, რომელმაც შეჰქმნა ყოველი იესო ქრისტეს მეოხებით,

10. რათა აწ ეკლესიის მეშვეობით ეუწყოს ზეციურ მთავრობათა და ხელმწიფებათ მრავალფეროვანი სიბრძნე ღმრთისა,

11. საუკუნო წინასწარგანჩინებისამებრ, რომელიც აღასრულა მან უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მიერ,

12. ვისითაც გვაქვს სიმტკიცე და საფუძველი მისდამი მიახლებისა რწმენით.

13. ამიტომაც გევედრებით, ნუ შედრკებით თქვენთვის ჩემი წუხილის გამო, რომელიც არის დიდება თქვენი.

14. სწორედ ამიტომ ვიყრი მუხლ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მამის წინაშე,

15. ვის მიერაც სახელიდება ყოველი მამობა მიწაზეც და ცაშიც,

16. რათა მოგცეთ თქვენ, თავისი დიდების სიმდიდრისამებრ, ძალა, რომ მისი სულით მტკიცედ დაემკვიდროთ შინაგან კაცში,

17. და ქრისტემ რწმენის მეშვეობით დაივანოს თქვენს გულებში,

18. რათა სიყვარულით დამკვიდრებულთ და დაფუძნებულთ, ყველა წმიდასთან ერთად შეგეძლოთ სიგრძისა და სიგანის, სიღრმისა და სიმაღლის წვდომა,

19. და, რაც ყოველგვარ შემეცნებას აღემატება, — შეცნობა ქრისტეს სიყვარულისა, რათა აღივსოთ ღმრთის მთელი სავსებით.

20. ხოლო მას, ვისაც, ჩვენში მოქმედი ძალისამებრ, განუზომლად უფრო მეტის ქმნა ძალუძს, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ, ანდა ვიაზრებთ, —

21. დიდება ეკლესიაში ქრისტე იესოს მიერ ყოველი თაობის მიმართ, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

თავი მეოთხე

1. ამრიგად მე, ტყვე უფლის მიერ, გევედრებით თქვენ: იარებოდეთ ისე, როგორც შეშვენის ხმობას, რომლითაც ხართ ხმობილნი;

2. მთელი ქედმოდრეკილობით, თვინიერებით და დიდსულოვნებით; სიყვარულით შეიწყნარეთ ერთმანეთი.

3. ეცადეთ შეინარჩუნოთ სულის ერთობა მშვიდობის საკვრელით.

4. ერთია ხორცი და ერთია სული, ისევე როგორც ხმობილნი ხართ თქვენი ხმობის ერთი სასოებით;

5. ერთია უფალი, ერთია რწმენა, ერთია ნათლისღება.

6. ერთია ღმერთი და მამა ყოველთა, ყველაზე უზენაესი, ყველას მიერ და ყველა ჩვენგანში.

7. ხოლო თვითეულ ჩვენგანს ქრისტეს საბოძვრის ზომისამებრ მიეცა მადლი.

8. ამიტომაც ითქვა: ავიდა ზესკნელს, ტყვეჰყო ტყვენი, და უბოძა საბოძვარი ხალხს.

9. მაგრამ რას ნიშნავს — „ავიდა“, თუ არა იმას, რომ უფრო უმალ ქვესკნელში უნდა ჩასულიყო?

10. ჩასული იგივეა, ვინც ყველა ზეცაზე ზევით ავიდა, რათა აღევსო ყოველი.

11. და მანვე დაადგინა ზოგი მოციქულებად, ზოგი წინასწარმეტყველებად, ზოგი მახარებლებად, ზოგიც მწყემსებად და მოძღვრებად,

12. რათა სრულეყოთ წმიდანი, მსახურების საქმისათვის, ქრისტეს სხეულის ასაშენებლად,

13. ვიდრე ყველანი მივაღწევთ ერთობას რწმენისას და ღმერთის ძის შემეცნებისას სრულქმნილ კაცად, ქრისტეს ასაკის სისრულის ზომას;

14. რათა აღარ ვიყოთ ყრმანი, რომელთაც არყევს და აქეთ-იქით აქანებს მოძღვრების ყოველი ქარი, კაცთა ცბიერებითა და ცდუნების მზაკვრული ხელოვნებით.

15. არამედ სიყვარულით მივსდევდეთ ჭეშმარიტებას, და ყველაფერს ვზრდიდეთ მასში, ვინც არის თავი, ქრისტე.

16. ვის მიერაც მთელი სხეული, ყოველგვარი ურთიერთმჭიდე სახსრებით მწყობრად შეკრული და შენაწევრებული, თვითეული ასოს ზომიერი თანაშეწევნისამებრ, იზრდება, რათა თავისი თავი აღაშენოს სიყვარულით.

17. ამას ვამბობ და ვმოწმობ უფლის მიერ, რათა აღარ იარებოდეთ, როგორც იარებიან დანარჩენი წარმართნი, თავიანთი გონების ამაოებით,

18. გონებადაბნელებულნი, საღრმთო სიცოცხლისგან გაუცხოებულნი, თავიანთი უმეცრებისა და გულქვაობის გამოისობით;

19. გრძნობამიხდილნი, გაბრწნილებას თავმიცემულნი ყოველგვარი უწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდურებისა და ანგარების აღსასრულებლად.

20. ხოლო თქვენ ასე როდი შეგიცვნიათ ქრისტე,

21. თუ გისმენიათ მისთვის, და გისწავლიათ მისგან, — რაკიღა ჭეშმარიტება იესოს მიერ არის, —

22. განშორებოდით ცთუნების გულისთქმათაგან გახრწნილი ძველი კაცის უწინდელ ყოფას,

23. განახლებულიყავით თქვენის გონების სულით,

24. და შეგემოსათ ახალი კაცი, ღმერთისამებრ შექმნილი სამართლიანობით, სიწმინდით და ჭეშმარიტებით.

25. ამიტომაც განიშორეთ სიცრუე და თვითეული თქვენგანი ჭეშმარიტებას ეტყოდეს საკუთარ მოყვასს, რადგანაც ერთმანეთის ასოები ვართ.

26. მრისხანებისას ნუ სცოდავთ; დაე, ნუ ჩაესვენება მზე თქვენი რისხვით;

27. და ნუ დაუთმობთ ადგილს ეშმაკს.

28. მპარავი ნულარ მოიპარავს, არამედ უმალ იშრომოს, და კეთილი საქმე აკეთოს თავისი ხელით, რათა შეეძლოს გაიკითხოს გაჭირვებული.

29. ნურავითარი უგვანი სიტყვა ნუ დასცდება თქვენს ბაგეს, არამედ მხოლოდ კეთილი, რწმენის მიერ შესაგონებლად, რათა მადლი მიაგოთ მსმენელთ.

30. და ნუ შეაჭირვებთ წმიდა სულს ღმრთისას, რომლითაც აღიბეჭდეთ გამოხსნის დღეს.

31. ყოველგვარი სიმწარე და რისხვა, ყვირილი და ლანძღვა-გინება, ყოველი ბოროტებითურთ შორს იყოს თქვენგან.

32. არამედ იყავით ერთურთის მიმართ კეთილნი, თანამლმობელნი, და მიუტევეთ ერთმანეთს, როგორც ღმერთმა ქრისტეში მოგიტევათ თქვენ.

თავი მეხუთე

1. მაშ, როგორც საყვარელმა შვილებმა, მიბაძეთ ღმერთს.

2. და ვიდოდეთ სიყვარულით, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა ჩვენ, და მისცა ჩვენთვის თავისი თავი, ნელსურნელებით შესაწირავად და მსხვერპლად ღმრთისა.

3. ხოლო სიძვას და ყოველგვარ უწმინდურებას და ანგარებას სახელიც ნუ ერქმევა თქვენს შორის, როგორც შეშვენის წმიდათ,

4. ნურც სიბილწეს, ნურც ბრიყვულ სიტყვას, ნურც უკადრ ლიზღობას, არამედ უმეტესად მადლიერებას.

5. რადგანაც იცით, რომ არც მეძავს, არც უწმინდურსა თუ ანგარს, რომელიც არის კერპთმსახური, არა აქვს სამკვიდრო ქრისტესა და ღმერთის სასუფეველში.

6. ნურც ვინ გაცდუნებთ თქვენ ფუჭი სიტყვით, ვინაიდან ამისათვის მოიწევა რისხვა ღმრთისა ურჩობის ძეთა თავზე.

7. მაშ, ნუ იქნებით მათი თანაზიარნი.

8. რადგან ოდესღაც ბნელი იყავით, ხოლო აწ ნათელი უფალში; ვიდოდეთ, როგორც სინათლის შვილნი.

9. ვინაიდან ნაყოფი სულისა ყოველგვარ სიკეთეშია, სამართლიანობასა და ჭეშმარიტებაში.

10. გამოსცადეთ, რა ესათნოება უფალს.

11. და ნუ თანაეზიარებით ბნელის უნაყოფო საქმეთ, არამედ უმეტესად ამხილეთ,

12. რადგან ის, რასაც ფარულად სჩადიან ისინი, სათქმელადაც სამარცხვინოა.

13. ხოლო ყოველივე მხილებული სინათლისგან გამოცხადდება, რადგანაც ნათელია ყოველივე გაცხადებული.

14.ამიტომაც ითქვა: გაიღვიძე, მძინარევ, აღდეგ მკვდრეთით, და გაგანათლებს შენ ქრისტე.

15. მაშ, დაუკვირდით, როგორ დადიხართ, არა როგორც უგუნურნი, არამედ როგორც ბრძენნი.

16. გაუფრთხილდით დროს, ვინაიდან უკეთურნი არიან დღენი.

17. მაშ, ნუ იქნებით უგუნურნი, არამედ შეიმცნეთ, რა არის ნება ღმრთისა.

18. და ნუ დათვრებით ღვინით, რომლისგანაც არის სიბილწე, არამედ აღივსეთ სულით;

19. ელაპარაკეთ თქვენსავე თავს ფსალმუნებით, საგალობლებითა და სულიერი სიმღერებით; უგალობდეთ და უმღერდეთ თქვენი გულებით უფალს;

20.მადლს სწირავდეთ ყოველთვის და ყველასათვის, უფლის ჩვენის იესო ქრისტეს სახელით, ღმერთსა და მამას.

21. ჰმორჩილებდეთ ერთმანეთს ქრისტეს შიშით.

22. ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს;

23. ვინაიდან ქმარია ცოლის თავი, ისევე როგორც ქრისტე თავია ეკლესიისა, და თვითვეა სხეულის მხსნელი,

24. მაგრამ როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც თავიანთ ქმრებს ყველაფერში.

25. ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია, და მისცა თავისი თავი მისთვის,

26. რათა წმიდა ეყო იგი, განწმენდილი წყლის საბანელით და სიტყვით,

27. და, ამრიგად, წარმოედგინა ის თავის წინაშე დიდებულ ეკლესიად, მწიკვლის, ზადისა თუ სხვა რაიმე მსგავსის არმქონედ, არამედ რათა წმიდა და უმწიკვლო ყოფილიყო იგი.

28. ქმრებს ისე უნდა უყვარდეთ თავიანთი ცოლები, როგორც საკუთარი სხეული; ცოლის მოყვარეს თავისი თავი უყვარს.

29. რადგან არავის არასოდეს მოუძულებია თავისი ხორცი, არამედ უვლის და ასაზრდოებს მას, როგორც უფალი ეკლესიას;

30. ვინაიდან მისი სხეულის ასოები ვართ, მისი ხორცთაგანნი და მისი ძვალთაგანნი,

31. ამიტომაც მიატოვებს კაცი მამას თვისას და დედას, და შეერთვის თავის ცოლს, და იქმნებიან ორივენი ერთ ხორც.

32. დიდია ეს საიდუმლო, ხოლო მე ქრისტესა და ეკლესიაზე ვამბობ ამას.

33. ასევე თვითეულ თქვენგანსაც უყვარდეს ცოლი თვისი, როგორც თავი თვისი; ხოლო ცოლს ეშინოდეს თავისი ქმრისა.

თავი მეექვსე

1. შვილებო, დაემორჩილეთ თქვენს მშობლებს უფალში; ვინაიდან ესაა სამართალი.

2. პატივი ეცი მამას შენსას და დედას, ასეთია პირველი მცნება აღთქმით:

3. რათა კეთილი გეყოს შენ; და დღეგრძელი იყო ქვეყნად.

4. და თქვენ, მამებო, ნუ განარისხებთ თქვენს შვილებს, არამედ აღზარდეთ ისინი უფლის შეგონებით და სწავლით.

5. მონებო, დაემორჩილეთ თქვენს ხორციელ ბატონებს შიშით და ძრწოლით, თქვენი გულის სიწრფოებით, როგორც ქრისტეს,

6. არა თვალის ასახვევად და მოსაჩვენებლად, როგორც პირმოთნენი, არამედ, როგორც ქრისტეს მონებმა, აღასრულეთ ნება ღმრთისა სულით;

7. ჰმონებდეთ მათ, როგორც უფალს, და არა როგორც კაცთა.

8. იცოდეთ, რომ თვითეული იმასვე მიიღებს უფლისაგან, რაც კი რამ უქმნია კეთილი, მონა იქნება ის თუ თავისუფალი.

9. და ბატონებიც ასევე იქცეოდეთ მათ მიმართ, დაიოკეთ სისასტიკე, იცოდეთ, რომ თქვენი და მათი უფალი ცაშია, და რომ მისთვის უცხოა მიკერძოება.

10. და ბოლოს, ძმანო ჩემნო, გაძ-

ლიერდით უფლის მიერ და მისი სიმტკიცის ძალით.

11. შეიმოსეთ სრული საჭურველი ღმრთისა, რათა შეგეძლოთ წინ აღუდგეთ ეშმაკის ხრიკებს,

12. ვინაიდან ჩვენ ვიბრძვით არა სისხლისა და ხორცის, არამედ მთავრობათა და ხელმწიფებათა, ამ ბნელი საწუთროს ქვეყნისმპყრობელთა და ბოროტების ზეციურ სულთა წინააღმდეგ.

13. ამიტომაც აღმართეთ ღმერთის საჭურველი, რათა უკეთურ დღეს შეგეძლოთ წინააღმდგომა, და, ყოვლის მძლეველნი, კვლავ მტკიცედ იდგეთ.

14. მაშ, აღიმართეთ, შეირტყით წელზე ჭეშმარიტება და შეიმოსეთ სიმართლის აბრჯით,

15. და ჩაიცვით ფეხთ მზადყოფნა მშვიდობის სახარების საქადაგებლად.

16. უწინარეს ყოვლისა კი იპყარით რწმენის ფარი, რომლითაც შესძლებთ უკეთურის ყველა ცეცხლოვანი ისრის დაშრეტას;

17. და აიღეთ ხსნის ჩაჩქანი და სულის მახვილი, რომელიც არის სიტყვა ღმრთისა.

18. ყოველი ლოცვითა და ვედრებით ილოცეთ მარადჟამ სულით; ეცადეთ მთელი სიმტკიცითა და ვედრებით ყველა წმიდისათვის,

19. და ჩემთვის, რათა მომეცეს მე სიტყვა, ჩემი ბაგით სახარების საიდუმლოს აშკარად და თამამად საქადაგებლად,

20. რისთვისაც ვმოციქულობ ბორკილდადებული, რათა თამამად ვქადაგებდე, როგორც შემშვენის.

21. ხოლო რათა თქვენც იცოდეთ ჩემი ამბავი, ყველაფერს გაუწყებთ ტიქიკოსი, საყვარელი ძმა და სარწმუნო მსახური უფალში,

22. რომელიც სწორედ იმიტომ წარმოვგზავნე თქვენთან, რათა გაუწყოთ ჩვენი ამბავი, და ანუგეშოს თქვენი გულები.

23. მშვიდობა ძმებს და სიყვარული რწმენითურთ, მამა ღმერთისა და უფლის ჩვენის იესო ქრისტესაგან.

24. მადლი ყველას, ვისაც ურყევად უყვარს უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ამინ.

თარგმანი ძველბერძნულიდან.

შემდეგ ნომერში: პავლე მოციქულის ეპისტოლენი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილი

ორი ეტიუდი

ავადმყოფობა

ესაც ავადმყოფობაა, ავადმყოფობიდან მოდის, სიშმაგემდე რომ მინდა, თეთრხევზე გელაპარაკო ამ საწოლიდან, მარტომ, ჩრდილოეთის ამ დიდ, უთავბოლო ქალაქში.

ეს ხევი ჩვენს ზემოთ არის, სოფლიდან ხუთ კილომეტრზე. ჩამოედინება მთა ცივიდან. თეთრად ჩამოხვეწილი ფლატეებიდან. მოდის ტყეებს შორის, ჩამოდის ნამოსტრალამდე, — ყვითელ, უწესრიგოდ დაკბილულ ნანგრევებამდე, — და იქ უერთდება იორს. წყალი მოთეთროა წელიწადის თითქმის ყოველ დროს (თეთრი ფლატეების მიწა სწრაფად იხსნება შიგ), მაგრამ სუფთაა, ცივი, ჯანმრთელი. უმთავრესად იმოდენა მოდის, ინდაური გასჭყოპავს ფეხით, მაგრამ რიყე აქვს იორზე დიდი, დიდლოდებიანი. ივრიდან რომ გახედავ, ზღვასავით არის წამოსული ის რიყე შენსკენ. ლოდიანებში, შიგა და შიგ, თეთრი გუბეები დგას. ზოგი პირგადამხმარი, კიდეებაპრეხილი კუთხიან თეფშებად დატეხილი; ზოგი ჯერაც ციმციმა, მაწონივით. დიდი სიფრთხილეა საჭირო ამ რიყეზე, ხმელმა ტალახმა მოტყუება იცის, დაადგამ ფეხს იმ თეფშებივით მაგარ ნატეხებს და წახვალთ ქვემოთ-ქვემოთ, შეიძლება საქამრემდეც კი ჩაბრძანდეთ ტალახში. კიდევ არა უშავს, თუ იმ დროს მზეა, გარეცხავ გასარეცხს, გადააფენ კეცებივით გახურებულ ქვებს, ანდა ნაპირის ბუჩქებს. შენც იქ ჩაცუცქდები გასახუხავად, ხუჭალობის სათამაშოდ მზესთან. მაგრამ თეთრხევმა მარტო მზე არ იცის. იცის ხელიერთპირად გათეთრებული, გადანაცრისფერებული ცაც, ჯანღიც, დიდი და მოუსვენარი ჯანღებიც. ვმჯდარვარ და მიყურებია, როგორ მოიწევენ მკერდების ბერვით, ფერების ცვალებადობით, როგორ ჩამოდიან ბოლქვა-ბოლქვად ზემოდანაც, შეიყრებიან, გაბევრდებიან. მერე ისევ შორდებიან ერთმანეთს. სველებს ტოვებენ ქვებს, ბუჩქებს, ტყეს. ტყეში წითელი ნაწვიმარივით არის ხოლმე გაფენილი მწიფე შინდი. სეტყვასავით ურევია შიგ მაჟალო და პანტა. დაბლა ბალახია, ჯერ ისევ მწვანე, მაღალი. ხან ვინ ვედროიანები გადადიან რიყეზე დიდი სიფრთხილით, გადაძახილებით, ხან ვინ. ძერებმაც კი იციან, სად უნდა იტრიალონ — მაღლა. იციან ჩამოძახილებიც: — კიუ! კიუ!.. ჩხიკვები ხომ სათითაოდ აღრიცხავენ რიყეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოსულებთ. ტყეებში შესულებთ. რიყე ჩამოიყოლებს ტყეების ძირ-ძირ წმინდა. ცივ წყლებსაც. ტყიდან ხევს დაფიქრებულები დაჰყურებენ ბევრის მნახველი ბუმბერაზი მუხები. ტყეში ღრმად არის შესული რიყის სუნი.

საოცარი საყურებელია, როგორ დიდდება ხოლმე ჩვენი თეთრხევი. ვეება ბრეზენტები რომ გქონდეს და იმათ მოაგორებდეს მოთეთრო თხლეწყალი. ის ბრეზენტები სავსეა ნარიყით, ქვებით, ხმას გამოსცემენ, თითქოს ათობით ბულდოზერი ერთად მოდისო თავქვეზე. გადაეშვებიან მძიმე ზათქანით იორში და განთავისუფლებული ნარიყები ბავშვური სიხარულით მიაწყდებიან აქეთ-იქით. თან კი წვიმს, წვიმს...

მოდიან ადამიანები აქ, ნამონასტრალში, სალოცავად, და მთლად უბრალოდ, გასახარადაც. ააბოლებენ, ააგიზგიზებენ დიდ ცეცხლებს. წარმართებივით ხელებგაწვდილან იმ ცეცხლებისაკენ. ახარებთ ფერფლებიც კი, კვამლებს რომ მიაქვთ ცისკენ. წამოვა ცეცხლებში თოვლიც. თოვლი ხომ ხტუნაობასაც მოითხოვს, ვედრებასთან ერთად, — არ შეწყდეს, არ გადავიდეს თოვა.

თოვლი და ყვითელი ფოთლები ერთად ეფინებიან ხოლმე რიყეს. რიყესაც, ფოთლებსაც, თოვლის ნაგლეჯებსაც, ტყესაც ერთად გადაათეთრებს ჭირხლი. ზამთრობით, დიდ ყინვებში, თეთრხევსაც ჰყინავს. წყალი ყინულების ქვეშიდანღა იძლევა სუსტ ხმას. მაგრამ ამ ყინულებშიც — დაადგამ ფეხს გაუფრთხილებლად სადმე და ტკაცანთან ერთად სასიამოვნოდ რბილად წახვალ ქვემოთ, ქვემოთ...

აი, რა მემართება, რა არის ჩემი ავადმყოფობა, კეთილო: უკვე ქვემოთ სვლა სიამოვნებს ჩემს სხეულს, ეგეთი სვლაც კი, იმ თეთრხევში, სქელ ლაფში, თვით ყინვაში...

მაგრამ მე არა. მე აი, ასე რომ მაქვს გადაშლილი მკლავები გულაღმა მწოლიარეს, ეს რატომა მაქვს, იცით, ასე? ვებღაუჭები ხევის ლოდებს და ხელმისაწვდენ ბუჩქებს, თვით მაყვლის ბუჩქებს, სისხლები გამდის თითებიდან, მე ეს სისხლები შვებასა მგვრის.

მეორე გზა

თავთან საათი ედო. გაეღვიძებოდა, ისედაც იცოდა, მიახლოებით, რა დროც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც ფრთხილად აანთებდა კუთხეში ჩაჭყუნულ ღამის ნათურას და საათს აიღებდა. პირველი გაღვიძებისას სამის ნახევარი, ან სამი იყო. მეორე გაღვიძებისას — ოთხი, ან ხუთის თხუთმეტი წუთი (ამ დროს ყოველთვის საშინელ სიჩუმეს მოუცავს ქალაქი), მესამე გაღვიძებისას — ექვსის თხუთმეტი წუთი, ან ნახევარი. ექვსის ნახევარზე შეეცდებოდა, ცოტასაც წავუძინებო, ამოაბრუნებდა ბალიშს, მაგრამ ამაოდ, ველარ იძინებდა. ადგომისა კი ეშინოდა. რაც არ უნდა ყოფილიყო, მეორე ოთახშიც გაიგებდნენ მის ფაჩუნს და უეჭველად გაიღვიძებდა რომელიმე. — ადამიანს ერთი ეს ოხრული ძილი აქვს დასასვენებლად და ისიც ვერ დაუძინიაო. ვერც ღამის ნათურას ანთებდა ხანგრძლივად. შუქზე მეუღლის გვერდით მწოლიარე პატარა შვილიშვილი იღვიძებდა. იწვა ასე, სიბნელეში, და ცდილობდა სუნთქვითაც კი თავშეკავებით ესუნთქა.

ექვსი საათიდან თუ არა, შვიდის ნახევრიდან ქუჩა საბოლოოდ იღვიძებდა, ავტობუსები და ტროლეიბუსები ჯაჯგურით, ჯახჯუხით იწყებდნენ გაჩერებას და დაძვრას. ქვემოთ, პარალელურ ქუჩაზე, ნაგვის მანქანა იწყებდა ზარის რეკვას. დაბლა, სახლის კედელზე დაკიდებულ ტელეფონებზე ვიღაცეები ასტეხდნენ ყვირილს, საავადმყოფო იყო ახლოს და იქიდან გამოსუ-

ლი მომვლელები დაბეჯითებით ცდილობდნენ ზუსტად გაეგებინებინათ სათქმელი, გადასაცემი თავიანთი მსმენელებისათვის. რვის ნახევარზე შვილიც დგებოდა და შვილიშვილიც — შეეძლო, მათთვის ცოტა დაესწრო, ფრთხილად იცვამდე წინდებს და სპორტულ რეიტუზს, ზემოდან მისსავე ქურთუკს. ფეხაკრეფით გადიოდა სააბაზანოში, ჩაიკეტავდა კარს და ისე იბანდა სწრაფად პირს. მერე კიდევ უფრო მეტი სიფრთხილით, — ბოთლს ბოთლი არ მიჯახებოდა, ჩანთაში აწყობდა რძის, მაწვნისა და არაყნის ბოთლებს. ფრთხილად გააღებდა შემოსასვლელ კარს და ფრთხილად გადიოდა გარეთ. ჟრუანტელი უვლიდა კარის გახურვისას. კარს ერთხელ მაინც ხომ უნდა გამოეღო, — ჩხანკ! ჰოდა, თითქოს შიგ კისერში ხვდებოდა ეს „ჩხანკ“. უძლებდა ამასაც. რამდენიმე საფეხურს აჩქარებით ჩაივლიდა და იქ ძლივას წყნარდებოდა.

სიამოვნებდა დილის ბინდბუნდის ცინცხალი ჰაერი, ცის მზერა, უჩინარი თქორი. ძალიან უყვარდა ნაწვიმარი, პრიალა გუბეებს შორის ენერგიულად მიადგამდა ნაბიჯებს. არც წვიმა აკრთობდა, წვრილი წვიმა, რა თქმა უნდა, ჯერაც ასე სჯეროდა, რომ წვიმას ჯანმრთელობა მოჰქონდა ციდან ადამიანებისათვის. ჩაივლიდა ერთ პატარა ქუჩას, მეორეს, გადაჭრიდა პროსპექტს და რძის მაღაზია იქვე იყო, ოცოდე ნაბიჯზე. ამ მაღაზიას შვიდ საათზე აღებდნენ, ახლა უკვე რვას თხუთმეტი უკლდა, რიგი დიდი არ იყო, ბოლო ხანებში, რაც ეს საგანგებო მაღაზიები გახსნეს, რიგები დიდი აღარ იყო. აირჩევდა, რაც შეიძლება საიმედოდ დახურულ ბოთლებს, ჩაიწყობდა ჩანთაში ორ რძეს, ორ მაწონს, ორ არაყანს, ოთხ ხაჭოს. თითქმის ყოველ დღეს ასე. იცოდა რაც უნდა გადაეხარდა, მაგრამ ახალგაზრდა მოლარე ქალი 15-20 კაპიკს მაინც ზედმეტს ეტყოდა. ადრე, ერთი ორჯერ გაწყრა, — დებილი ხომ არ გგონივართ, მათემატიკური მაქვს დამთავრებულიო. აანგარიშებინა თავიდან, მოლარემ სწორედ იმდენი გამოუყვანა, რამდენიც აიღო, ისევ აანგარიშებინა. ამან უკვე ხალხი ააღელვა, — მოცლილები ხომ არა გგონივართ ჩვენთან! წამოვიდა გაძაღლებული... თანდათან, თანდათან და შეეგუა, — ღალას ეძახდა, ხურდას რომ აკლებდნენ, ატყუებდნენ. ახლა უკვე... მიიღებდა, რასაც მისცემდნენ, მადლობასაც იტყოდა და კმაყოფილი გამოდიოდა მაღაზიიდან. ყოფილი მონადირე, მაგარი მონადირე, ადრე რაღაც სამსხვერპლოს გაიღებდა ნანადირევიდან. ნანადირევები ახლა ჩანთაში ეწყო, მთავარი ეს იყო, — რძე, მაწონი, არაყანი... ხაჭო! ხაჭო!

ამასობაში კი სხვა მაღაზიებიც იღებოდა. შედიოდა ხორცეულში (აქ თევზიც იყო), ხორცად ყოველთვის საშინლად მსუქანი, გაყინული ღორის ხორცის ორი სამი დაძველებული ნაჭერი ეგდო, ან ტალონებზე ჰყიდდნენ კიდევ უფრო გაყინულ, გაშავრკინებულ საქონლის ხორცს. იქეთ მიხედვაც კი ზარავდა. ისევ ქათმები სჯობდა. იკითხავდა, საიდან ჰქონდათ მიღებული. თუ კოდისა იყო, ან კასპისა, ან საგარეჯოსი, თვითონ ამოარჩევდა თითის მიშვერით, — აი, ეგ, ფეხმოტეხილის დაბლა! გამყიდველიც მარიფათიანად ემორჩილებოდა, შინაურულად უღიმოდა, ვეება ქაღალდში გაუხვევდა (ესაც გამყიდველის გამორჩენა იყო), ერთ ოცდაათ კაპიკს ის აიღებდა ღალას... მაინც კმაყოფილი იხდიდა მადლობას, რადგან ეჩვენებოდა, გულით რომ ქათმები უნდოდა, სწორედ ისინი იყიდა. ეს კი ასე არ არის ყოველთვის. თანაც უარესობაა მოსალოდნელი. შედიოდა დიდ გასტრონომშიც. აქ ბრინჯს აიღებდა, ანდა ტალონით შაქრის ორ კილო ფხვნილს. ოცდაორ კაპიკს აქ იტოვებდა მშვენიერი ჯეკლუცი მოლარე. ყიდულობდა პურსაც, პურს შედარებით პირიანად, და დატვირთული, ხელდამშვენებული ადიოდა თავიანთ კიბეზე, მეხუთე სართულზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილიშვილი უკვე სკოლაში იყო წასული. შვილი ისევ ჩაწოლილიყო, ეძინათ სხვებსაც. ფრთხილად შეიტანდა ჩანთას სამზარეულოში, სააბაზანოში გაიხდიდა ფეხსაცმელს, აითრევდა ფლოსტებს და შეიპარებოდა თავის ოთახში. კიბეზე დაღლილისთვის მისწრება იყო საწერ მაგიდასთან ჯდომა, წელს ქვემოთ თხელი საბნის მოხვევა, რაღაც ნახევრად მიბურუსებულში კითხვა. კარი მაგრად ჰქონდა გამოხურული. არც მეუღლე ჩაჩუნობდა გამოსაღვიძებლად. ასე ჯდომა შეეძლო ნახევარ საათს. ამ ნახევარ საათში რაღაცეები დასტოვებდნენ მის სხეულს, დასტოვებდა, გვერდზე გავიდოდა პირველი გზაც. ამის შემდეგ, სახლიდან მეორე გასვლისას, იწყებოდა ბოლმე მეორე გზა. მაგრამ ამ მეორე გზაზე წინასწარი ფიქრის უფლებას არ აძლევდა თავს. თითქმის უკვე ეძინა, საწერ მაგიდაზე გვერდმიბჯენილს, უკვე მშვიდად ეძინა.

ხანდახან აშკარად აეტოტებოდა დათვი, ანდა ყუმბარასავით გამოვარდებოდა ვეება ტახი. ამოაბრწყინებდა მუხლებს შორის ბრტყელ დანას, თითებში ტკივილს იგრძნობდა დაძაბულობისაგან. გამოფხიზლებული, მაღლა ეწეოდა თავს, ღიმილით ისვამდა დიდ ხელს ლოყებზე.

საუზმე: — მხოლოდ ერთი კვერცხი, მხოლოდ ერთი! მეუღლეც უხარშავდა მოლოდ ერთ კვერცხს, თოხლოდ. კვერცხს მიატანდა პურისა და ყველის მცირე ნარჩენებს, ერთ ჭიქა ჩაის. ჩაიცვამდა ტვიდის რუხ კოსტიუმს, — გნახეთ დასუქებულები, — იტყოდა თავისთვის და მიდიოდა... მიდიოდა მეორე გზაზე, სამსახურისაკენ.

უყვარდა ტროლეიბუსში ჯდომა. კაცების, ქალების, ბავშვების სახეები — მდუმარენი, დაფიქრებულნი, სევდიანნი. ეჩვენებოდა, რომ სადღაც გაურკვეველში მიემგზავრებოდნენ ყველანი ერთად.

სამსახური შორს იყო. ზოგჯერ თითქოს სთვლემდა. არაფერი არ იყო გზაზე ასეთი. მაინც ხედავდა ძალიან აშკარად, ხომ გინახავთ საკრავი, ლიანდაგს რომ გავს — გრძელი, პრიალა. ზედ მაღერი, განძელებივით ფირფიტებია დაგებული. იმ ფირფიტებზე მიდის, ძალიან ფრთხილობს, მაგრამ ფეხი მაინც თავისას შვრება. აყღერდებიან ფირფიტები. ეს ხმები შუშებისა და ლითონის მსხვრევის ხმას გავს, ნელნელა, მაგრამ გრძლად მიმავალ ხმებს...

ხანდახან ზურგიდან ხედავს საკუთარ თავს — დახრილს, დაპატარავებულს. შესდგომია პრიალა ფირფიტებიან აღმართს, გრძელს, დაუსრულებელს. ხანდახან იძულებულია ხელებიც შეაშველოს ფეხებს. ეს კი... არა, არც ისე ძნელია. სულ ცოტა ხანს და... ყველაფერმა მიჩვევა იცის. მოიხედავს უკან, მომყვებიანო თუ არა. ისევ ტროლეიბუსშია, ისევ დაფიქრებულნი სხედან ყველანი. ისევ ერთად მიდიან გაურკვევლობაში...

არ უყვარს — სადმე თუ ბევრნი ჩადიან ტროლეიბუსიდან. ამოვიდნენ, ამოვიდნენ, ჩასვლით ნუ ჩავლენ ბევრნი. საშინელებაა გაურკვევლობაში სიცარიელე.

ღმერთო! ღმერთო!

(საუმაწვილო წიგნიდან)

სიზმრად ვხედავდი: მოაგორებდა სოფელში თვაური გია გაბერილ დიდ კამერას, გავიქეცი, მეც გამოვაყოლე ხელები იმ კამერას. ხელები დაბლა მიჰქონდა, ავიტანდი ზევით, ისევ მიჰქონდა. გავიარეთ სამივემ, — მე, გიამ და კამერამ, — ბალახიანი ჭყანტობი. მე თეთრ ბოტასებზე ვიყურებოდი, სულ

ღამესვარა. დაისვარა კამერაც. დაგვესვარა ხელებიც. დედისა მეშინოდა, მაგრამ კამერას მაინც თავს არ ვანებებდი. ის წინ მიიწევდა დიდის ამბით, ღიპიანი კაცივით. მივაგორეთ წყალთან, ჩვენს მდორესთან, ჯერ დავაწვინეთ, ხელები დავიბანეთ. მერე დავიწყეთ ტანსაცმლის გახდა. გავიხადე შარვალი, სიჩქარით შარვალს ტრუსიც მივაყოლე და სწორედ ამ დროს გამოჩნდა დედაც. გაალმასებული იყო, ხელში დიდი ჭინჭრები ეჭირა. მე შარვალს ვეცი, ვუყრიდი ფეხს, ვერ გავუყარე, ვუყრიდი, ვერ გავუყარე, ვუყრიდი, ვერ... ვბარბაცებდი.

და გამეღვიძა, დედა მაღვიძებდა.

— გაიღვიძე! გაიღვიძე!

დედაზე გაბრაზებული ვიყავი. ღამით, ტელევიზორში, „ბაში-აჩუკისთვის" არ მაყურებინა. ხომ გინახავსო! ხომ გინახავსო! მერე რა, რომ მინახავს! ახლა გადავბრუნდი, ზურგი შევუქციე და თავზე საბნის წაფარებასაც ვცდილობდი, მაგრამ დედამ არ დამანება, სულ გადამაძრო საბანი.

— შენ ხომ არ გინდა!.. შენ ხომ არ გინდა, აგიჭრელო ფეხები?!

მე მაინც ფეხებსაც ვიქნევდი, ხელებსაც. უცებ გამახსენდა, მე და გია კამერას რომ მოვაგორებდით, მერე დედა რომ ჭინჭრით მოდიოდა, გამეცინა.

— რას იკრიჭები, რას! — დედამ ღონივრად მომკიდა მხრებში ხელები და წამომსვა.

— მე და თვაური გია კამერას მოვაგორებდით...

— რას ბოდავ, რას?

— სიზმარში.

დედას ისეთი თვალები ჰქონდა, იძულებული გავხდი, ფეხები გადმომეყარა საწოლიდან. დედამ ღონივრად ამაძრო მაისური, კინაღამ ცხვირიც ააყოლა თან.

— ნელა, რა! ნელა! — ვიყვირე მე და ისევ გადავარდი უკან. ჩემს ბარძაყზე სილამ მიიღო ტკაცანი. სწრაფად წამოვჯექი.

დედამ სუფთა მაისური გადამაცვა, ახლა უკვე ფრთხილად. ზემოდან ორ ჩამოელო ცხვირი. მომიტანა ... ლი კოლგოტი ფეხებთან. მე, საერთოდ, ვერ ვიტან ამ კოლგოტებს. ჯერ რა ჰქვია! ისევ გავაქნიე ფეხები.

— ცივა, ცივა! სკოლაში გათბობა არ არის! — დამიჭირა დედამ ფეხები, მაცმევდა, ვერც მაცმევდა, ვიწრო იყო. ჭიმავდა აქეთ-იქით, ისე ეწეოდა ზემოთ. მე ისევ გამახსენდა სიზმარი, მეც რომ ვერ ვუყრიდი შარვალს ფეხს და ისევ ამივარდა სიცილი.

— რა გაცინებს, დებილო, რა!

— შენზე არ ვიცინი.

— არ გაგვიანდება სკოლაში?

— სიზმარშიც ვიცმევდი შარვალს და ვერ ვიცმევდი, შენ კიდევ მიახლოვდებოდი დიდი ჭინჭრით.

— შენს პატრონს!

დედამ კოლგოტი ჩამაცვა, ჭიპამდე ამიწია.

— მიჭერს, მიჭერს! — ვიძახი მე.

— კარგი ახლა, — ჩამოიხარა და ლოყაზე ლოყა მომადო, — ხომ ვიგიჟეთ, გვეყოფა. გაივლი რამდენიმე ნაბიჯს და აღარ მოგიჭერს.

ამ ჩამოხრამ და თბილმა ლოყამ უცებ მომალბო. გავიჭიმე ოფიცერთან მდგარი ჯარისკაცივით.

დედამ ფლოსტები დამიწყო წინ, აბაზანისკენ წავედი. ჩემი ძვირფასი და მარიამი (ჰო, სულ ასე ეძახიან, მთელ სიგრძეზე: მა-რი-ამ!) დივანთან ამთავრებდა ჩაცმას. მე დავეჭყანე, ისიც დამეჭყანა.

— შენ გაყურებინეს, არა „ბაში აჩუკს?"

— არა.

— დიდებულია!, ბრწყინვალეა! ოოო! — წავუმღერე, აბაზანაში შევედი, საპონი ავიღე, წყალი მოვუშვი, ჯერ ცხელი, მერე ცივი. ცხელიც დავკეტე, ცივიც. ცხელი ნელ-ნელა მოვუშვი, როცა ასე ვუშვებ, ონკანი ტრახტრახებს. ახლაც დაიწყო ტრახტრახი. მე ღიმილით შევუშვირე საპონი, ვატრიალებდი ხელებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოვარდა დედა.

— დებილო! დებილო! ან დაკეტე, ან კარგად მოუშვი, ნუ აგიჟებ მეზობლებს.

მე ონკანი მოვუშვი, მოვუმატე ცივსაც. სამჯერ შევისხი სახეზე. პირსახოცს მივწვდი.

— ყურები? ყურის ძირები?

თვითონ წაიწია, ღაისველა ხელები. ამომიზილა ყელი და ყურისძირები, თითები დამიტრიალა ყურის ძირებში. მე მართლა მტკიოდა და ვხტუნაობდი. პირსახოციც დედამ გამომართვა, მანვე დამიწყო წმენდა, კინაღამ მომაცალა აქაც ცხვირი.

მოკლედ — ჩავიცვი ყველაფერი, მე შევიკარი ფეხსაცმლის ზონარები. დავივარცხნე თმა. სასაუზმოდ მივუჯექი მაგიდას. მარიამი უკვე მიირთმევდა კარაქიან-თაფლიან პურს. წრუპავდა ჩაის.

მე უნდა მიმერთმია ჯერ ორი კატლეტი, მერე კარაქიან-თაფლიანი პური, თანაც, აუცილებლად, ჩაი.

— რა არის, რა, ამოდენები! — გვერდზე გავწიე ერთი კატლეტი.

დედამ ვერ გაიგო, ის სარკესთან იდგა, კაბას ისწორებდა და მეკითხებოდა:

— აბა რას ეწოდება თანდებული?

ვუპასუხე:

— მე შუა ჭამა-ში ვარ.

— მაგალითი კი არ მინდა, წესი.

— მე ვჭამ. ჭამის დროს აკრძალულია გამოცდების მოწყობა.

— ოჰ-ოჰ-ოჰ! — თქვა დედამ.

ამ დროს მარიამმა ამოიძახა:

— ვაი, დედავ! კახა ფეხებს მარტყამს.

რაღაცით არ მომწონდა მისი ისედაც სევდიანი თვალები.

— დაგიდუნდეს ეგ ფეხები, — წამოვიდა დედა, — ყურებს აგაგლეჯ.

— მე არა, დდა, მაგან, მაგან მკრა ფეხი,

— მტყუანს დაეყაროს მიწა!

— ეგრე.

დედა მოვიდა და ამიწია ყური.

ამ დროს გამოჩნდა მამაც. მარიამს მამასაც ახარა:

— მამა, კახა ფეხებს მირტყამს.

— კახა! — მამამ ხელი ასწია და დიდი თეთრი სილა დამანახა.

მე ჩაის დავეწაფე. კარაქ-თაფლიანი პური უკვე მოკბეჩილი მქონდა.

— ჯერ კატლეტი, ჯერ კატლეტი! — მეუბნებოდა დედა.

— ჯერ ეს. — ერთი დიდი ლუკმა კიდევ მოვკბიჩე კარაქ-თაფლიანი პურიდან.

— უკულმართო! უკულმართო! — იძახდა დედა, — ჩქარა, ჩქარა!

ცხრის ნახევარი ხდებოდა. მე ავჩქარდი. ხრუპუნ-ხრუპუნი ავუტეხე ჩაის. დედა და მარიამი რომ ლოჯიიდან გავიდნენ, ერთი კატლეტი წვენსაწურის ქვეშ დავმალე, მეორე ორ ლუკმად გადავძგნარე.

— მოვრჩი! — ავწიე ხელები.

— უპუროდ შეჭამე კატლეტები, არა?

— არა, პურიანად.

— იმიტომაც გავხარ მაიმუნს კლასში.

შემოსასვლელში:

ჯერ კაშნე, მერე პალტო! ოხ, ეს პალტო! მერე ნაქსოვი ქუდი.

— ნუ ჩამოიფხატებ თვალებზე. — შუბლი გამომიჩინა დედამ. რომ მიბრუნდა, მე ისევ ჩამოვიწიე ცოტაზე. ჩანთა გატენილია, ძლივას ვიკიდებ პალტოზე, დედა მეხმარება. მე ცხენი ვარ. ჩანთა — მხედარი. — აჩუ! გამოვაღებ კარს, გამოვდივარ გარეთ. მე და მარიამი გაბუტულები ვართ. მარიამი მეოთხე კლასშია, მე — მესამეში. მარიამს, საერთოდ, ჩუმად ყოფნა უყვარს. ძალიან უყვარს წიგნები. წაკითხული აქვს „ოთხმოციათასი კილომეტრი წყალქვეშ“, კიდევ — „საიდუმლო კუნძული“, ზოგჯერ, როცა გუნებაზეა, მიყვება კიდეც საინტერესო ადგილებს წიგნებიდან. ისე კარგად ყვება, ვფიქრობთ, მსახიობი გამოვა. მე ვუკითხავ ხოლმე ხმამაღლა მოლა ნასრედინის ოხუნჯო-

ბებს, ლადო ასათიანის ლექსებს, სულხან-საბას არაკებს. მასწავლებლებს ძალიან უყვართ მარიამი.

დედასაც პალტო აცვია და ნაქსოვი ქუდი ახურავს. მარიამი ეუბნება, რომ კარგად არ ახურავს, — დაიხარეო, დაიხარეო! დედა იხრება და მარიამი უსწორებს.

— იფ, ახლა სულ სხვაა.

კიბეზე სიგარეტის ნამწვავები ყრია. ამ ნამწვავებს მამა და ჩვენი კარის მეზობელი სანდრო ძია ყრიან. სახლში არ ეწევიან. აქ გამოდიან. აბოლებენ და მერე ნამწვავებს წკიპურტებით ისვრიან. დედა სულ ჩხუბობს ამაზე. ლურჯად შეღებილ კედელზე ცარცით წერია: „კახა-კვახა". ვიღაცას ხელი წაუსვია, მაგრამ ვერ წაუშლია ბოლომდის. ვიცი, ვისი დაწერილიც არის. გადავუხდი, როგორც მას ეკადრება.

მეორე სართულის კიბისთავის კუთხეში მთლად ახალი მუყაოს დიდი ყუთი დევს. დედა არ მაძლევს ახდის უფლებას. შეიძლება შიგ სხვა პლანეტიდან მოსული ვინმე ზის. გაგიღიმებს და გაიზრდება, გაიზრდება. აუჰ რა იქნება, ბიჭო, სხვა პლანეტელი ძმაკაცი რომ გყავდეს. ორ საფეხურს გადავახტები — სხვა პლანეტისაკენ, სხვა პლანეტისაკენ! დედას თვალები დადიდებული აქვს შიშით.

— კახა, შე საძაგელო!

— განა მართლა მივფრინავ. აქა ვარ! — ვუღიმი ქვემოდან.

აკანკალებულ ხელს მკიდებს, ჯერ შემანჭყრევს, მერე ხელჩაკიდებული მივყავარ. მარიამიც შეშინებულია, ცუდი ფერი ადევს.

სამაგიეროდ — უკვე ქუჩაა, ქოთქოთა, საინტერესო ქუჩა. მე მიყვარს მისი ხმა. პატარ-პატარა „ჟიგულებში" და „ვოლგებში" ვეება მანქანა მოდის, „ჟიგულები" ბორბლების თავამდე ვერცა სწვდებიან. დიდ მანქანას ბეტონის უზარმაზარი მილები მოაქვს. შიგ ისე გავირბენ, თავის დახრა არ დამჭირდება. ეგეთი მანქანა მომცა! ვუუ-ვუუ!

იაპონური „ტოიოტაც" მოდის, ახალი. ყველა მოწიწებით უყურებს მას. ო, ეგაც მომცა! რა თქმა! ისევ ... დიდი ვიქნები.

ერთ კაცს თიხის ქოთნით დიდი, თაიგულად გადაშლილი ყვავილი მოაქვს. ესაც კარგია.

ბაზრის წინ ხომ უამრავი მანქანა დგას და იქ სხვანაირი ჩოჩქოლია. ყუთები! ყუთები! კალათები! ტომრები! რა ხილი არ იქნება ჩაყუნჭული შიგ. მე რომ მსხალი მიყვარს „ოზეფინა". უჰ-უჰ-უჰ!

უკვე სკოლასთან ვართ, კიბეზე მათურიშვილი შემხვდა, მხარი მკრა, მეც ვკარი. იმან ისევ მკრა, მეც ისევ ვკარი.

— არ გამაგიჟო, კახა! — ყურთან მითხრა დედამ.

წამოგვეწია ჩიხრაძეც.

— გაიგეთ? — გვეკითხება.

— რა, ბიჭო?

— ავიდეთ მაღლა, იქ მოგიყვებით კარგად.

ეს ჩიხრაძე კარგი ვინმეა. სულ რაღაცეებს გებულობს, რაღაცეებს გვიყვება.

დედამ გამაფრთხილა. — არაფერი ცუდი არ მითხრან შენზე, თორემ...

— კარგი რა, დედა!

წავიდა.

ჩვენ კლასში შევედით. აქ უკვე ბევრნი იყვნენ. ზოგი იჯდა, ზოგი თავს ედგა მათ, ზოგი დადიოდა.

ჩანთები მოვიხსენით, პალტოები გავიხადეთ, ჩიხრაძე საამბობლად მოემზადა, შემოგვიერთდნენ სხვებიც. მაგრამ ზარი დაირეკა, ჩიხრაძე ვერ მოყვა მოსაყოლს.

დუდანა მასწავლებელი შემოვიდა, რბილი ნაბიჯებით, ალერსიანი ღიმილით. შავი ჩანთა და საკლასო ჟურნალი მოჰქონდა.

— გამარჯობათ, ბავშვებო! — მოგვესალმა თავდაბრით.

— გაგიმარჯოთ, დუდანა მასწავლებელო! — ვუპასუხეთ ჩვენ.

— როგორ ხართ? ხომ კარგად?

— გმადლობთ, კარგად! კარგად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სასიამოვნოა, სასიამოვნო.

შავი ჩანთა თავის მაგიდაზე დადო, სკამზე დაბრძანდა. ჟურნალი გადაშალა.

— ვინ არ მოსულა დღეს?

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ ასე უცებ ვერაფერი თქვეს. მაშინ სიის ამოკითხვას შეუდგა დუდანა მასწავლებელი.

— აბზიანიძე? თინა.

— ვარ! — წამოხტა აბზიანიძე.

— ნელა, რა ამბავია! არ გეშინია. აფრინდე უცებ?!

აბზიანიძეს გაეცინა, გაეცინათ ბავშვებსაც.

— აბუაშვილი ირინე.

აბუაშვილი მხოლოდ წამოდგა.

დუდანა მასწავლებელმა მას უთხრა:

— ხმაც ამოიღე, გოგო!

აბუაშვილს მის გვერდით მჯდომი ნემსაძე შეეშველა.

— ყელი სტკივა პატივცემულო მასწავლებელო.

— ოო, — თქვა მასწავლებელმა, — რატომღა მოდიოდი სკოლაში? მე გნახავ, გაკვეთილის შემდეგ. ბავშვებო, ქალაქში მძვინვარებს გრიპი. ნუ დაიწყებთ ტანტალს მეზობლებში და ნათესავებში. ეს საშიში გრიპია. სისხლის დენა იცის. ბაინდურაშვილი!

— ვარ!

— ბუხრაშვილი.

— მეც ვარ.

— გეგენავა!

— დადიანიძე!

მე წამოვდექი, — ვარ!

დუდანა მასწავლებელმა გამიღიმა. მე თვალები დავხარე.

ოთხი მოსწავლე გვაკლდა: ცერცვაძე, ფაცაცია, შაიშმელაშვილი და ლონდარიძე.

დუდანა მასწავლებელი წამოდგა:

— ყოველ დილას შეჭამეთ თითო კბილი ნიორი. ნუ მოერიდებით მის სუნს. სწორედ ნივრის სუნს ერიდებიან გრიპის ვირუსები.

წელში გაიმართა.

— დავიწყოთ გაკვეთილი. დადიანიძე! — მომაჩერდა პირველს მე. უნდა გვცოდნოდა დღეისათვის.

მეც უკვე ფეხზე ვიდექი.

— თანდებული და მისი მართლწერა.

— აბა, რა არის თანდებული?

— თანდებული არის ბგერათა ჯგუფი, რომელიც დაერთვის სახელს და აღნიშნავს ერთი საგნის მეორესთან ყოფნას, მიმართულებას ან სხვა დამოკიდებულებას.

— ყოჩაღ! აბა, მაგალითები?

— ში, — ზე, — თან, კენ, — მდე.

— კარგია, დაბრძანდი. ბუხრაშვილი! აბა, მაგალითები წინადადებაში?

ბუხრაშვილი ნანიც ყოჩაღად წამოდგა:

— ვაზი კარგად ხარობს კახეთ-ში! — ში — აქ თანდებულია. მდინარე-ზე ელექტროსადგური აიმართა. აქ ზე-ა თანდებული. მატარებელი გორამდე მიდის. აქ — მდე.

სულ წიგნის მაგალითები. მაინც „ყოჩაღ“ დაიმსახურა.

გამოიკითხა ჩიხრაძე. მერე — ლომაძეც. ლომაძეს ლექსი ჰკითხა დუდანა მასწავლებელმა, — წინა გაკვეთილზე რომ არ იცოდიო. ლომაძემ დაიწყო:

— „ოჯახის გამხარებელნი! დაბრუნდნენ სასწავლებლიდან ბავშვები ჟივილ-ხივილით; ზოგი თოვლს მოაგუნდავებს, ზოგი გამორბის კივილით“.

მაინც ვერა თქვა რიგიანად, ეშლებოდა.

დუდანა მასწავლებელმა თითი დაუქნია:

— არ გაპატიებ შენ ამას, არა!

ალბათ, ლაშას დედას ეტყვის ყველაფერს.

მოკლედ: ზოგს ახალ გაკვეთილს ეკითხებოდა, აწერინებდა თანდებულებს დაფაზე, ზოგს ძველს, ბოლოს დიდის ამბით გადაშალა წიგნი.

— ჩვენ ახლა შევისწავლით „უბედურ ქორბუდას“. ამ მშვენიერი მოთხრობის ავტორია ირეოდიონ ევდოშვილი. მისი ნამდვილი გვარი იყო ხოსი-

ტაშვილი. ევდოშვილი, ესე იგი, ევდოკიას შვილი, — ფსევდონიმია, მწერლობისათვის გამოგონილი გვარი. ევდოშვილი კარგი მეგობარი იყო ვაჟა ფშაველასი. მე მინდა „უბედური ქორბუდა“ თავად წაგიკითხოთ.

ისე კითხულობდა ქალბატონი დუდანა, ყველა გაშტერებული მივჩერებოდით. კითხვა რომ დაამთავრა და გადმოგვხედა, დუდანა მასწავლებელ! ცრემლები ედგა თვალებში.

— იმედი მაქვს, მოთხრობას კარგად წაიკითხავთ თქვენც. კარგად ჩაუკვირდებით, რისთვისაა დაწერილი. ზეპირად ისწავლეთ ის ადგილი, სადაც ზამთარია აღწერილი: „საშინელი ზამთარი დაგვიდგა...“ იპოვეთ? აი, მაინდან, გვერდის ბოლომდის: „საჭმელი მთლად გამოილია. მთაში აღარ გვედგომებოდა“.

ამასობაში ზარიც დაირეკა. დუდანა მასწავლებელი აბუაშვილთან მივიდა, ხელი მოჰკიდა და გარეთ გაიყვანა. ალბათ, ექიმისთვის უნდა ეჩვენებინა.

* * *

ჩვენ, ბიჭები, ჩიხრაძესთან ჩამოვდექით.

— ახლა თქვი, რა უნდა გეთქვა წეღან.

ჩიხრაძემ ხელი ხელში ჩაიდო, მხრებში წამოიწია:

— ვაიმე, ბიჭო! ნახალოვკაში ერთ ბიჭს გერმანული ნაგაზის ლეკვი ჰყოლია, პატარა, პატარა, ალერსიანი. სწორედ მაშინ, ოოხ, ბიჭი წაუყვანიათ ჯარში, ორწლიანში. ჯერ შუა აზიაში ყოფილა, მერე ავღანეთში ხომ იცით, რა ომიც არის იქა, ოო, საშინელი! ისე ისვრიან ავღანელები დანებს, როგორც რომ ტყვიებს. დაჭრილა, ჰოსპიტალში წოლილა, მორჩენილა, ისევ უომებიათ, სანამ ორ წელიწადზე მეტმა არ გაიარა, არ გამოუშვიათ. ბოლოს ეხლაღა, წინა კვირას ჩამოსულა თბილისში. შუაღამისას მისდგომია თავის სახლს, თვითონ გაუღია ალაყაფი. ლეკვი უკვე დიდი ნაგაზი ყოფილა, უცებ დასცემია ბიჭს ყელში, ვერ უცვნია, ყელი გამოუღადრავს.

— მომკვდარა ბიჭი?

— აბა, რა! საძილე ძარღვები გადაუწყვეტია, აესენი, — ჩიხრაძემ მე მომკიდა ხელი ყელზე.

მე რაღაც ცუდმა ჟრუანტელმა დამიარა. ჯერ იყო უბედური ქორბუდა, ახლა ეს.

ლომიძე იღრიჭებოდა:

— იგონებს, ბიჭო.

მე არ ავყევი. წავედი, ჩემს მერხზე დავჯექი. ვიჯექი. ადგომა არ მინდოდა.

მეორე გაკვეთილიც დაიწყო.

მეორე გაკვეთილს აღარ აღვწერ, არითმეტიკას. მარტო ბოლო გაკვეთილზეღა ვიტყვი, ფიზკულტურაზე. ფიზკულტურაში გვქონდა — ხტომები, სირბილი. სირბილში მარტო ლომიძემ მაჯობა. ლომიძე ორი ჩემოდენაა. ახალი კოლგოტი რომ არ მცმოდა, ისიც ვერ მაჯობებდა. ახალი კოლგოტი მიჭერდა, თითქოს სულ უკან მეწეოდა.

გადასახტომად დაღუნულმა, დედა დავინახე. მიღიმოდა, მეც გავუღიმე, გამოვქანდი და გადავხტი. მასწავლებელმა ტაში დაჰკრა, დედამაც — ასწია ხელი მაღლა და სკოლის კიბეზე ავიდა.

ზარი დაირეკა. სირბილით ავედით მაღლა, ჩავიცვით. დედამ მარიამიც მოიყვანა. ჩვენი გოგოები დაურიდებლად შეჰყურებდნენ მათ.

დედას და მარიამს, გზაზე, ნახალოვკელი ბიჭის ამბავი მოვუყევი. შეშინებული შემომყურებდნენ ორივენი. დედამ თქვა: — აკი ვამბობ ხოლმე, არავითარი ძაღლი არ არის სანდო. მარიამმა — სუსტი ხმით:

— ან ჩიხრაძის გამოგონილია, ეგ, ან თვითონ შენი.

მე მარტო შევხედე და შუბლის წინ ავატოკე ხელი.

ქუჩა წივილით ამოავსო სახანძრო რაზმის ორმა მანქანამ. ცოტა ხანში ამ ორს მესამეც მიჰყვა. გავჩერდით და თვალს მივადევნებდით მათ.

— დიდი ხანძარია სადღაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვამლიც კი არსად ჩანდა ჩვენგან.

არ ვმალავ, რასაც ვფიქრობდი მე იქ: აუჰ, რა არის წყლის მძლავრი ნაკადით მიახლოება ცეცხლთან! დაიხიე უკან!

ისევ ლოჯიაში, მაგიდასთან. ისევ დაფაციცებული, წამით შეფიქრიანებული დედა. მიუბრუნდებოდა რაღაცას, თან ჩვენკენ ეჭირა თვალი.

— ცოტა ყოჩაღად! ცოტა ყოჩაღად! ხომ იცით, სამშაბათი ძალიან დატვირთული დღე გვაქვს. სამისთვის ინგლისურზე მივდივართ, ხუთზე — მუსიკაზე.

წინ კი სუპიც მედგა და სუპის გვერდით — ბრინჯისა და ვერმიშელის პუ... პუ-დინ-გი. ლუკმას რომ ვყლაპავდი, სულ ყელზე ვფიქრობდი, გადაღადრულ ყელზე. როგორი გამოხედვა ექნებოდა დამნაშავე ძაღლს. რატომ არ ვიკითხეთ, მოკლეს? ცოცხალი დატოვეს? თავს ვაიძულებდი, სწრაფად და ღონივრად გადამეყლაპა ლუკმები.

მარიამიც დაფიქრებული ჭამდა. მე რომ ავდექი, მაშინ ჩაჭრა პუდინგი კოვზით. პირველსავე ლუკმაზე აუტყდა ხველა, უცებ წამოხტა, წაღუნული გაიქცა, ეცა ტუალეტის კარს და ველარ შეასწრო, გული აერია.

— დედა! დედა! — მე ავტეხე ყვირილი.

შეშინებული დედა მარიამთან შევარდა, თავი დაუჭირა, ანუგეშებდა:

— ნუ გეშინია! ნუ გეშინია!

მე მიმატანინა დიდი ტოლჩით წყალი. მარიამს აზიდებდა და აზიდებდა. დედა წყალს უსვამდა ტუჩებზე და სახეზე. ბოლოს, ცოტა ჩაწყნარებული, აბაზანაში შეიყვანა, პირი მობანა, შეუმშრალა, გამოიყვანა და დივანზე დასვა. თან კეფას უჭერდა, თან წარბებს უსწორებდა და ისევ ანუგეშებდა:

— ნუ გეშინია, არაფერია. — ფერი კი ცუდი ედო დედას.

მარიამს კიდევ აზიდებდა, მაგრამ გული აღარ არევია, დედამ — თერმომეტრი მომიტანეო. მარიამმა შეწუხებულმა ჩაიდო. მე გასაჩერებელ ადგილს ველარ ვპოულობდი, ბოლოს ბით დავდექი სკამზე, ხელები საბურგეზე გადავაწყე და ისე ვუყურებდი.

მარიამს სიცხე ჰქონდა, ოცდათვრამეტი გრადუსი და ორი ხაზი. დედამ სასწრაფოდ ჩააწვინა ლოგინში. საწოლთან პლასტმასის ტაშტი დაუდგა, თუ კიდევ წამოგიაროს გულის რევამ, თავს ნუ შეიკავებო. თავთან ტუმბოზე, დიდი ფინჯნით წყალი დაუდგა. თვითონ ტელეფონთან მივიდა, დას დაურეკა, ექიმს. ასე და ასე არის, მარიამს გული ერევა, სიცხე აქვს ოცდათვრამეტი და ორი. ღედას ნუ ეტყვი, წნევა აუწევს. როგორ მოვიქცე, რა დავალევინოო. დეიდამ რაღაცეები უთხრა. დედამ წვალებით, მაგრამ მაინც დაალევინა მარიამს ორი დიდი ფინჯანი თბილი წყალი. ის წყალიც და კიდევ რაღაც სხვაც მალე ტირილით უკან ამოაბრუნა მარიამმა. დედა კმაყოფილი იყო.

— ეგ კარგია, ძალიან კარგი. ახლა სულ მოგეშვებაო.

მართლაც, მოეშვა. გული აღარ არევია. კიდევ გაუსინჯა დედამ სიცხე, დაკლებული არ ჰქონდა, პირიქით, ორი ხაზი მომატებოდა. მე მარიამი ძალიან მეცოდებოდა.

ინგლისურზე მეც აღარ წამიყვანეს, არც მუსიკაზე. ცეკვასა მთხოვნენ ფეხები. ტელევიზორის ჩართვა მოვინდომე. თავი შევიკავე, არ ჩავრთე. დავიწყე მეცადინეობა, არითმეტიკა დავწერე. ზეპირად ვისწავლე ზამთრის აღწერა „უბედური ქორბუდაში". მაინც ვგრძნობდი, რომ გულს ვერ ვუდებდი გაკვეთილებს. გავიდოდი მარიამთან, დედა მიშლიდა. — ნუ მიდიხარ ახლოს, შენც გადაგედება, გრიპიო. გავჩერდებოდი ცოტა აქეთ და ვეკითხებოდი ღიმილით:

— როგორ ხარ?

უკვე მარიამსაც ეღიმებოდა.

— ცოტა უკეთესად.

მე მაწუხებდა ერთი ფიქრი, მიჭირდა, მაგრამ მაინც ვთქვი:

— უნდა მაპატიო რა, მარიკოკო, ხან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახან რომ გაბრაზებ, ხომ იცი, სიყვარულით.

— კაი, კაი. — ეს ისე თქვა, მაგაზე ლაპარაკი არ ღირსო.

— გინდა, წაგიკითხავ რამეს, გინდა, დაგიკრავ პიანინოზე.

— წამიკითხეო.

მე მოვიტანე სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა". დავჯექი მოშორებით და ღონივრად წავუკითხე „აქლემი და ვირი", მერე — „თათვალი", ამხანაგზე როა; ბოლოს — „ვირად ცნობილი ყადი".

სულ ეღიმებოდა მარიამს.

— შენ უკვე კარგად კითხულობ. — მითხრა გახარებულმა.

ისეთი სახე ჰქონდა, ისეთი თვალები, მეგონა, სულ კარგად იყო. მაგრამ დეიდა რომ მოვიდა, ექიმი, ოცდაცხრამეტი ჰქონდა, მამის მოსვლისას ხომ ოცდაცხრამეტი და ოთხიც. მამა, მართალია, იღიმებოდა, მაგრამ მაინც ვატყობდი, ცუდ გუნებაზე იყო. შებინდებისას ხომ, — ისე სუნთქავდა მარიამი, — მთლად დასევდიანდა ჩვენი ბინა. შემოდიოდნენ და მიდიოდნენ შეწუხებული მეზობლებიც.

მე ისევ მოვინდომე ტელევიზორის ჩართვა, ისევ არ ჩავრთე ჩემი თავის ჯიბრზე. ჩემი ხელის ჯამბაზი ვიპოვე, ორ ჯოხს შორის ძაფები რომ არის გაბმული, ზედ ტაკიმასხარასავით ვიღაც ჰკიდია, მოუჭერ ბოლოზე ჯოხებს ხელს და... ვაჩვენე იმ ჯამბაზის ტლინკვა მარიამს. რას აღარ ვაკეთებინებდი, ხან ცალი ფეხით დაეკიდებოდა ძაფს, ხან ნიკაპით, ხან აიჭიმებოდა მთლიანად, ხან მუხლებით დგებოდა ძაფზე.

ჯამბაზი მარიამმაც გამომართვა, ისიც მშვენივრად ატლინკებდა, იცინოდა. სიცხე კი თითქმის ორმოცი ჰქონდა.

ათი საათი გახდა. მე დასაძინებლად გამიყვანა დედამ. ისე ვწვებოდი, ვიცოდი თუ არა გაკვეთილები, არც კი უკითხავთ. მე მოვითხოვე — გამომკითხეთ-მეთქი. მამა მოვიდა. იმას ვუთხარი „ზამთრის აღწერა". უკვე ვაჟკაცი ხარო, — შემაქო მამამ. [illegible] დაიძინე კიდეც კაცურად.

—მარიამი რომ ცუდად გახდეს?

— ნუ გეშინია, ისეთი წამლები მივეცით, ცუდად აღარ გახდება. საბანი გამისწორა, სინათლე ჩამიქრო.

მე ვიწექი, არ მეძინებოდა. სულ ვფიქრობდი: აი, როგორია ცხოვრება, რა მშვენიერ გუნებაზე ვიყავით ყველანი და რა დღეში ვართ ახლა! როგორც... უცებ რომ ჩამოიღუშოს ცა და ატყდეს ჭექა-ქუხილი... დედა და მამა იბუზებიან ყველაზე მეტად. დედამ ორჯერ დალია დამამშვიდებელი წვეთები. მამამაც ამოიღო თავისი ვალიდოლი ჯიბიდან. მე ყველაფერს გავუგონებ დედასა და მამას. მარიამსაც.

შუაღამისას გამეღვიძა. ფრთხილად ავდექი და მარიამის ოთახში შევიჭვრიტე. ღამის ნათურისთვის რაღაც შავი დაეფარებინათ. შუქი მარტო კარისკენ გამოდიოდა. დედა და მამა ამ შუქში ისხდნენ მარიამის საწოლთან. თითქოს კინოში იღებდნენ. ორივე ყვითელი იყო, გამხდარი და მწუხარე. უხმოდ გამოვბრუნდი და დავწექი.

ალბათ, გათენებისას ვნახე სიზმარი: მე და თვაური გია ისევ მივაგორებდით, სოფელში, გაბერილ, ჩვენზე მაღალ კამერას. და, იცით, კიდევ რა? კამერაზე იჯდა, მაღლა, მარიამი და იცინოდა, მიკვირდა როგორ იჯდა იქ, ფეხებმოკეცილი, იცინოდა კი, იცინოდა ლამაზად.

როგორც კი გამეღვიძა, ეს გამახსენდა. რატომღაც მჯეროდა, რომ მარიამი კარგად იქნებოდა. ფეხშიშველი შევვარდი მის ოთახში. მარიამი ჩემს ჯამბაზს ათამაშებდა და იცინოდა.

— იცინი? იცინი?

სიცხე ოცდაჩვიდმეტი და ოთხი ხაზიღა ჰქონდა.

— იცი, რა ვნახე სიზმარში? მე და თვაური გია, სოფელში, მივაგორებდით ჩვენზე მაღალ კამერას, გაბერილს...

შემოვარდა დედა. მიმაბუნძულა ჩემს საწოლთან. მე ვიძახდი: — კამერაზე შენ იჯექი, მაღლა იჯექი, მარი-

კოკო. ფეხები გქონდა მოკეცილი და იცინოდი, იცინოდი...

მარიამს ხმამაღლა გაეცინა.

დედასაც ეღიმებოდა. თვითონ მაცმევდა პერანგს პატარასავით.

მამა წამიყვანდა სკოლაში. საბრალო მამა.

მე ისევ მარიამის ოთახში ვიდექი, ახლა ჩაცმული, ხელებაწეული ვამბობდი:

— აი, ამოდენა იყო კამერა... შენ კიდევ ფეხმოკეცილი იჯექი მაღლა... როგორ იჯექი, არ ვიცი. იცინოდა გულიანად. ღმერთო! ღმერთო! ... მიმყოფე ყველანი!

მარიამმაც ასწია წვრილი თეთრი მკლავები მაღლა:

— ღმერთო! ღმერთო!

რაღაც შუქი დგებოდა ოთახში.

— ღმერთო! — ვიმეორებდი გულშიაც.

მამა გაჩერებულიყო მოშორებით. მასაც ეღიმებოდა... მას ეღიმებოდა რატომღაც სიბრალულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრო გუაჩიძე

გარეუბანი

„რა ამოძრავებს კიპარისის ტანს"
გალაკტიონი

ქალაქის კეფას ეხლებიან ნელა ზარები
და მეც დავდივარ ამ ქალაქში, როგორც ტუსაღი.
და ჩემს სახეზე იკვანძება გრძელი ბზარები,
ვპატარავდები მე უჩინო, უნდო, უსახო.

გრილ სარდაფებში ქეიფობენ სიბარიტები,
სტომაქში მიაქვს ღვინის ყლურწებს ვეება ნერწყვი.
შორს, ზღვის პირას კი შრიალებენ კიპარისები,
შრიალებენ და იგრიხება ზღვაში მზის ცეცხლი.

ვაგზლების იქით, ლიანდაგებს იქით, გადაღმა,
რუხ შენობაში ცხოვრობს კაცი მარტო, საწყალი,
ბეჭზე სვირინგი — მზის სხივები, სახე — ჩარდახი,
ნიორი, პური, ხმელი თევზი — ხვედრის საწყაო.

საღამოობით მთვარის შუქი თევზის ქონივით
ამოსდის ყელში და წყალწყალა ღვინით ითრობა,
ცხოვრება, როგორც მონაჩმახი და მოგონილი,
მიუტივტივებს თვალწინ დაშლილ ნოეს კიდობანს.

ხოლო ნოეებს სადღაც სძინავთ ბნელ კვარტალებში,
მილიონ ნოეს... მილიონი ასე მძინარი...
ზოგს პირქვე დახრილს, ღვინიანი დარდით გალეშილს
ჰა ესიზმრება, მულ-ქვისლები და ოწინარი.

აიზლაზნება კატა მყრალი სადარბაზოდან,
სადაც კნუტები მთელი ღამე მწარედ კიოდნენ,
ცარიელია სკვერი, როგორც დაბლი ბაზრისა,
არ სძინავს ეშმაკს, როსკიპებსა და მიკიოტებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე კი ნიკაპი, ხმელი კეფა, მოხრილი ბეჭი,
გამალებული საკუთარი დარდის დარაჯი,
ადამიანი და აფთარი, ღვინო და ეჭვი,
უაზრობაში კიდევ ერთხელ გადავალაჯებ.

დაველოდები მწითური მზის სისხლიან სისხამს
ვაგზლების იქით, ლიანდაგებს იქით, გადაღმა,
სადაც ქალაქი სინათლიან სამოსელს ისხამს,
სადაც ჯუჯა ხე დაიხრუკა, დადნა, გადახმა.

და როცა მუშა ქარხანაში ჩაჰბერავს საყვირს,
როცა რკინაზე დაეცემა გრიალით გრდემლი,
როცა მამაკაცს სამუდამოდ დასერილს ნაღვლით,
ისევ ქუჩაში გამოისვრის მანია დევნის.

როდესაც გათხრის მესაფლავე პოხიერ საფლავს,
მესაფლავეებს რომ მოუხმობს იქვე ნადიმად,
მზე რომ ამოვა და მიწას რომ დახედავს დაბლა,
საფლავზე მძინარს რომ ნახავენ შტერს და დარდიმანდს.

ვაგზლების იქით, ლიანდაგებს იქით, გადაღმა,
რუხ შენობაში სულს რომ დალევს საწყალი კაცი,
გამთენიისას არყოფნა რომ მაგრად დადაღავს,
როდესაც ფერი დაედება გაქექილ ნაცრის —

მღვრიე მოედნებს შევერევი, ვიფარისევლებ,
ღამეს ზურგს ვაქცევ და უნებურ ჟრიამულს ვერწყმი,
შორს, ზღვის პირას კი შრიალებენ კიპარისები
შრიალებენ და იგრიხება ზღვაში მზის ცეცხლი.

* * *

გ-ს ხსოვნას

ქალაქის თავზე შეფენილ ანძებს
და სალტესავით თანავარსკვლავედს,
ნეტავ მაუწყა, რა ცოდვა აწევს,
მთვარის სხივი რომ ასე აწვალებს.
საღამოს სახლში დაბრუნდა მკვლელი
მუშტით გააგდო რკინის საგდული,
და ეტკბო სუნი საკუთარ კერის
ქვეყნიერების ფესვზე დადგმულის.
მოკლულს კი უკვე მძიმედ ეძინა,
იქ, სადაც მთვარე ნაძვებს აწვება,
რადგან ადამის მოდგმას ეწილა,
ქარმა იმისი სულიც დაძენძა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ქალი, რომელიც დაბრუნდა სახლში
და გრძნობს გათოშილ სხეულში
ტკივილს...
მთვარე კანკალებს და წუხილს ახშობს
სიწყნარე დაძრწის და მწარედ კვის.
მაგრამ შემოდის ოთახში ხელი,
კაცის, რომელმაც ცხოვრება ნახა,
ატოკებს ფარდას. ჭრიალებს სხვენი.
აკავებს პირქუშ საგნების ხარხარს.

არ შეუძლია იყოს მართალი
ქალის თხელ წვივებს. ქვეყნის ნიშებში
ღამეს ჭუჭყივით იხვევს კვარტალი,
სადღაც ვიღაცა ჩნდება შიშველი.
მღვდელი მუნჯივით დაანთებს სანთელს,
რომ გაანათოს ძველი ფრესკები,
კაცის ხელი კი შემოხსნის სალტეს
მტკივან სხეულს და გადაესკვნება.

ვაკის სასაფლაოზე

მე ჩამომვარდა ქვასავით ცრემლი,
ჭიქა მეჭირა, საფლავთან ვიდექ,
როცა შუადღემ შემართა ცერი
და დაილეწა დუმილის კლიტე.

ციდან დაეშვა მზის დიდი სვეტი
და შეეყინა ლაჟვარდს მერცხალი,
და მტვრის ბურუსი მეტი და მეტი,
შუადღის ხვატის გადამრეცხავი. —

თავგამეტებით ეტაკა ჩირგვებს,
თავგამეტებით ეხალა ანწლებს.
ჭიქა მეჭირა, საფლავთან ვიდექ
და გავცქეროდი ლაჟვარდის ნაწერს.

მაგრამ უეცრად განრისხდა ღმერთი,
ლაჟვარდი გახსნა, როგორც ეწერი,
შუბლზე დამეცა მზის შავი ღვენთი,
ტანზე პერანგის შემომფხრეწელი.

ავხედე ზეცას და ჩემი სახე
მშვიდად მოჩრდილა მწვანე ურთხმელმა.
ვიცი, წყვდიადი ნაბადში გამხვევს
და გამიმეტებს მერე უთქმელად...

წაბლის ხეებთან

ამაღამ ილაპარაკებს მკვდარი
წაბლის ხეებთან, მობუტბუტე წყლის ზედაპირთან.
ამაღამ ილაპარაკებს მკვდარი.
სიცარიელე აივსო ქარით და გადაფითრდა.
ამაღამ ილაპარაკებს მკვდარი.
მუქ სიმწვანეში. მკვდრის ხეივნის გაყოლებაზე,
და შენი ხელი იქნება კვარი,
შენ ჩამოწყვეტ დარხეულ ტოტზე ფოთოლს შემაზრზენს.
ამაღამ ილაპარაკებს მკვდარი.
სიმპათიური, სულ ახლახანს თმაშეკრეჭილი.
ამაღამ ილაპარაკებს მკვდარი.
რაღაც ექნება მაინც თვალში მწარე ეჭვივით.
სუყველა წასულს იხსენებს მტკვარი.
რაღაცნაირად უცნაურად მოიზლაზნება.
მას რაში უნდა ცრემლები მტკნარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ალბათ ნატრობს ნაპირებზე მკვდრების ზარ-ზეიმს.
ამაღამ ილაპარაკებს მკვდარი,
შეებორკება, ვიცი, ენა ნელთბილი ჯავრით
და მუქ ლაჟვარდის კიდეზე მდგარნი,
დავემგვანებით წყალზე ჩრდილებს კანკალით ჩავლილს.
ამაღამ ილაპარაკებს მკვდარი,
მე და შენ დიდხანს ვისაუბრებთ სველი ტუჩებით,
ტუჩების ირგვლივ სიტყვები მხდალი,
იტრიალებენ როგორც ბრძენი და ყრუ-მუნჯები,
ამაღამ ილაპარაკებს მკვდარი,
შავი ლაჟვარდი შორს დადგება, როგორც საწოლი,
შენი თვალები წყალივით მკრთალი,
ამოაბრუნებს რაღაც ფერებს ნაღველგაწოლილს.
ამაღამ ილაპარაკებს მკვდარი,
გადააქოთებს ხეთა ტევრი მთვარეს გვარიანს,
შენი ტერფი იქნება კვარი,
მკვდარი კი ჩემი ძველთაძველი მეგობარია.

ტვინი

(დრამატული მონოლოგი)

მე ტვინი ვარ — მე ვლაპარაკობ,
როცა ქალაქში ჩუმად ღამდება,
მე მოხვედრილი ამ საშინელ თავის
ქალაში
ვცახცახებ და ვთრთი
და ვედები მაღლა მავთულებს
და ქვემოთ კი ვკვეთ უსაშინელეს
გამგმირავ რელსებს.
მე ტვინი ვარ,
ჩემი თხელი ქსოვილის ტალღა
ბლანდავს ვნებებს, მიზნებს და
ლტოლვებს.
ჩემშივე წყდება ნაცრისფერი სამყაროს
ბედი!
ო, მე ვარ უზენაესი ინსტანცია.
(წურბელასავით ვღვივი ალკოჰოლში.
კონიაკი ხსნის ჩემს ვიწრო ძარღვებში
ახალ სამყაროებს
და იბადება ტკბილი სახელმწიფო
შედედებული ბლანტი სინათლით
სიზმარივით ამდოვრებული —
ბედნიერი!),
საღამოვდება,
საღამო ლურჯი გაზივით თრთის
ქვაფენილებზე,
მე ვედები ტელეგრაფის ბოძებს,
რადგან მომბეზრდა უვნებელი
სიცოცხლე
და მომწყურდა ვნება.
(ჩემში არსებობს იდეა სქესის
როგორც ცეცხლის წითელი ენა —
მე ყველაზე მრუში ვარ ალბათ)
ჩემს მთრთოლვარე მასის წიაღში
მე ვეკუთვნი პიროვნებას.
პიროვნება ყოველ საღამოს გამოდის
გაზეთის საყიდლად,
რომელიც მე ნაკლებად მაინტერესებს.
ეს ალბათ უფრო სახსრების ჩვევაა.
მე ვიყურები ორი ტეხილიდან
როგორც მანსარდაში დატყვევებული
და ვხედავ ქარვისფერულვაშიან
ქურთებს, რომლებიც ალკოჰოლივით
მათრობელ
ენაზე საუბრობენ.
და, როგორც ყოველთვის,
მწადია მავთულს შევახო ხელი
და ჩემივე თავი ვაქციო ნახშირად.
რადგან დღის მანძილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უამრავი წადილი მანგრევს,
თითქოს შორეულ ეზოში ქვისმთლელი
ურეოს იქნევს და ქვაზე ანარცხებს.
და მე კი მტკივა...
მე შევდგები მუდმივი
მოთხოვნილებებისაგან!
ამჟამად მწადია ნიკოტინი —
შავი თვალები და მბზინავი თმები,
ის მიოკებს სულ ოდნავ თრთოლვას...

მე მინახავს სხვა ტვინიც
მათი თვალებიდან დამინახავს
ამღვრეული ტვინები,
რომლებიც ცდილობენ თავის
ქალიდან ამოხტომას
და ქვაფენილზე დანარცხებას.
მე კი ტელეგრაფის ბოძს მივეკ[illegible]
და მინდა მავთულს შევახო [illegible]

შემთხვევა

შოთა ჩანტლაძეს

ქალაქში ცოლმა მოჰკლა ქმარი —
ქალაქის რომელიღაც უბანში —
და სისხლიანი დანა დადო მაგიდაზე.
და მერე როგორც ხდება —
აიღო დანა და დამალა
აიღო საკუთარი ხელები და დამალა,
სხეულიც დამალა
და იჭვრიტებოდა ვიწრო სამალავიდან.
მაგიდაზე დარჩა სუფრის საწმენდი
ჩვარი.
დარჩა კოვზი თიხისტარიანი.
დარჩა მზის ხაზი დანითურთ და
სისხლის წვეთებითურთ.

მოვიდნენ ქმრის ამხანაგები
და მრავალსართულიან სადარბაზოში
ალიაქოთი გამოჰფინეს დროშასავით,
ალიაქოთი აჰყვა კედლებს თარაზულად
და მეზობლების ოთახებში შეაღწია.
ეს იმ დროს მოხდა,
როცა სამსახურებში ცარიელი
ოთახებიღა რჩება,
როცა ხალხის მსხმოიარე მტევანი
აათკეცებს ტროლეიბუსის სიმძიმეს.
(ესეიგი ეს მოხდა მზისით)
ქმარს არაფერი არ უთქვამს
ამხანაგებისთვის,
რადგან სიკვდილთან შეიკრა პირი,
რადგან სიკვდილი მოულოდნელი
ძღვენივით მიიღო,
თუმცა არ ითვალისწინებდა
მეტამორფოზას საკუთარ ელენთაში.
ამხანაგები განეფინენ ცარიელ ოთახებს.
ამხანაგები განეფინენ ჭრელი
ფარდაგებივით.
ამხანაგებმა გააბოლეს გემრიელი
თუთუნი.
ამხანაგებმა განიკითხეს უენო ცოლი.
ცოლმა ამხანაგებს წარუდგინა ხელები
ცოლმა ამხანაგებს წარუდგინა სხეული
კურცხალი ცრემლიც კი არ გააჩნდა
ცოლს.

ამხანაგებმა საქმიანად შეარხიეს
მხრები.
ამხანაგების მხრებმა მიიღეს საქმიანი
იერი.
და როგორც საქმის მჩარხველებმა
ბოლთა დასცეს.
ამხანაგების მხრებმა და ხელებმა
ერთობლივი გადაწყვეტილებით
იყიდეს არაყი,
არაყი უყვარდა მკვდარსაც.
მაგრამ მას აღარ ჰქონდა დალევის
სურვილი.
მას სახეზე ეწერა უსურვილობა.
ამხანაგებმა დალიეს არაყი.
შინ წავიდნენ და დაიძინეს.
ცოლს ეძინა. ეძინა ქმარსაც.
მთვარე იყო ნახევარი
და ნახევარზე უფრო ცოტა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცეკვეში ხეებთან

(ბრეიგელი)

ეკლესიასთან სივრცე რომ შედედდა,
ცეკვა გააჩაღა ხეებთან ერთ-ერთმა.

მერე გავიფანტეთ ასკილის ჩირგვებთან,
აისი ღვინისფერ ტანსაცმელს ირგებდა.

ეკლესიასთან სივრცე რომ შეერთდა,
აისი ლანდივით განერთხა ხეებთან.

ტერფები დავკარით მიწაზე გლეხურად,
მინდორ-ველს ცვარნამის ხალიჩა ეხურა.

ქალები არხევდნენ — გოლიათ თეძოებს,
ხეებს მიუცეკვეს და ხეებს ეცოლნენ.

და ჩვენც შევიხსენით ვეება ქამრები
და ხეებს დავეცით ცეკვებით მამრები.

ეკლესიასთან სივრცე რომ შეერთდა,
გამოვეფინეთ და ვიცეკვეთ ხეებთან.

კვდომამდე ვეცეკვე ფერდობზე არყისხეს
და მერე ქალები ნაღველით აღივსნენ.

მინდორში მისროლეს ღონიერ მაჯებით,
და თან შეუკურთხეს არყისხეს გამჩენი.

ეკლესიასთან სივრცე რომ შედედდა,
ცეკვა გააჩაღა ჩვენთაგან ერთ-ერთმა.

ქალებმა დატორეს მინდორი ტერფებით,
ტიტველი ტერფები, ხტოდნენ ვით ნერბები...

აისით აევსო სუყველას მკერდები
და უელვარებდათ წითელი კერტები...

ეკლესიასთან სივრცე რომ შედედდა —
სიქაგალეული დავემხე კედელთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელნათურები

უმეგობრო ელნათურებო!
თქვენ ანათებთ ფანჯრებს, სკვერებს, სადარბაზოებს;
თქვენ ანათებთ ჩემს ფეხსაცმელებს,
ჩემს თავს და ჩემს მხრებს.
თქვენ ანათებთ ცარიელ დერეფნებს
და ცარიელ სამზარეულოებს;
თქვენ ანათებთ მაგიდაზე დარჩენილ დანას;
თქვენ ანათებთ ერთმანეთს —
ანათებთ! რადგან არ გენანებათ გრძელი სხივები,
და ჩემი ჩრდილი, მთელი ცხოვრება
ტუსაღივით გვერდზე რომ დამდევს,
თქვენს წრეშია შემოსროლილი.
და მეც, მეც ასე —
თქვენს ქვეშ ვდგავარ თავჩაქინდრული,
თქვენსავით უხმო და უალერსო
და ვაჩერებ შინისაკენ წამსვლელ მანქანას,
ხელს ვუქნევ, ვწვალობ და ვიტანჯები.

დიდი ხანია ზურგი მაქციეთ,
განზე გადექით, დამივიწყეთ?
დიდი ხანია აიყარეთ გული კაცზე,
მარტო რომ დადის ტროტუარზე?
არაფერია! კეთილმზრახველად ანათებთ მაინც
და თქვენ შუქში, როგორც საწყალ სიმარტოვეში,
ისე შევდივარ ძალიან ხშირად.
მრავლისმნახველნო!
თქვენს ვიწრო წრეში ავაზაკი,
როგორც ღამის ავი ნაგაზი,
სახეს ისწორებს და გზას აგრძელებს.

თქვენ ანათებდით
მანამდე, ვიდრე მე გავჩნდებოდი
და თქვენს მიერ შუქჩანერგილ
პროსპექტებზე და მოედნებზე
აღნუსხავდნენ ჩემს დაბადებას;
ინიციალებს -- ა. ბ. და სხვა მრავალ წვრილმანებს.
და ვცხოვრობდით ასე გვერდიგვერდ,
როგორც კათედრალური ტაძარი და მინდვრის
ალვისხე.
თქვენს ქვეშ იდგა ობოლი კახპა,
რომელიც ბოლო ავტობუსსაც კი არ მიჰყავდა
ოქროყანისკენ.

დღისით მე თქვენი არსებობა აღარ მახსოვდა,
მე ვივიწყებდი, თქვენს სინათლის შუქს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და სიმაღლეს,
ზიზღნარევ ზმუილს და მავთულჟღერას.
და ვუცქეროდი ხეებს
თქვენ კი ველარ გამჩნეედით.

რად იდექით,
ნუთუ იმიტომ რომ გენათებინათ?
ელნათურებო!
ახლა რატომ აღარ მეტყველებთ
თქვენს ძველ გზებზე თავჩაკიდულნი,
ოცნებებით ნერვებაშლილნი
და მიმწყვდეულნი გზის კიდეებზე
გადაჩეხვამდე?
თუ ჩაქრით ასე სათითაოდ,
თითო-თითოდ გადიწურეთ ყველამ იმედი
და ნათება უკვე მოგწყინდათ?

მე დავაწყე ჩემი ხელები და ფეხები
ცივ ქვაფენილზე.
სუყველასაგან დავიწყებულმა
და დავჯექი მოწყენილი თქვენს სინათლის ქვეშ
და უკვე მესმის თქვენი მჟღერი ხმა:
„მოდი... დაჯექი, მაინც ვერსად თუ ვერ წახვედი,
მე გაპკურებ ჩემს წმინდა ნათელს ქალის ცრემლივით,
რომელიც უფრო დარდს აგიშლის,
ვიდრე დაგწმინდავს...
მაგრამ მაინც მოდი, დაჯექი“.
ელნათურებო!
რად დავრჩით ასე სხვადასხვა მხარეს
თავჩაკიდულნი,
თქვენ თქვენთვის და მე კიდევ ჩემთვის?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლო მიწიშვილი

თეგერვალი

დაიწყო ეს ამბავი ამგვარად:

იყო მარტი. 1921 წელი. ქალაქ ბათომში.

ამ დღეს ბათომი განსხვანაირდა. ესე იგი ეს იყო უკანასკნელი დღე. ამ დღეს წავიდა მთავრობა (მენშევიკები), ამ დღეს დაიშალა დამფუძნებელი კრება (საქართველოსი), ამ დღეს დააპირეს ბათომის აღება თათრებმა. ამ დღეს მოხდა კიდევ მრავალი სხვა და სხვა მნიშვნელოვანი და არა მნიშვნელოვანი ამ-ბავი და როდესაც გათენდა შემდეგი დღე (მეორე დღე) — ქალაქში დაჯდა რევკომი. ანუ: ქალაქი ბათომი დაიკავეს ბოლშევიკებმა. მოვიდნენ ბოლშევიკები:

მათ დარჩათ ტფილისი. მათ დარჩათ ქუთაისი. და მრავალი — ხალხი, რომელიც მოაწყდა ბათომს (ლტოლვილები) გრძნობდა;

დარჩებოდა ბოლშევიკებს ქალაქი ბათომიც.

გრძნობა იყო კიდევ ასეთი:

ძველად ღელავდა ზღვა. ასკდებოდა წყალი ნაპირს, ნაპირი იყო საზღვარი ატეხილი სტიქიონის. ეხლა შეტრიალდა კანონები უკუღმა. ესე იგი: — აღელდა ეხლა ხმელეთი. პირველი ტალღა გაქანდა მიწაზე ოქტომბერში პეტერბურგიდან. (შეიძლება — მარტში. თუ თებერვალში) როდესაც დაიწყო რევოლუცია რუსეთის. ოქტომბერში ტალღა გაიშალა. ატორტმანდა რუსული მინდორი. მოაწყდა ეს ტალღა კავკასიონს და შეჩერდა (მაღალია კავკასიონი) შეიძლება, კიდევ ერთხელ აზვირთდა. აქაფდა. გადმოასხა მთებზე ღვრია წყალი და გაიბნა. ტალღა დაეჯახა ნაპირს (ზღვას), ზღვასთან გაჩერდა.

ტალღა გადაიქცა ოკეანედ. ოკეანე — ძინა. ზღვიდან ზღვამდე.

აქ იყო ნაპირი ამ ოკეანესი. და გრძნობდა ადამიანი (მრავალი) — ჩაიძირა ტფილისი.

ჩაიძირა ქუთაისი.

ჩაიძირებოდა (უთუოდ) ბათომიც. ბათომიდან კი იყო გზა ორნაირი:

გზა ზღვისაკენ — ეს იყო სიკვდილი. დახრჩობა. გადაშენება. ამოძირვა და მეორე გზა: გაჩერება ზღვასთან, მიწაზე, (მიწაზე მაინც). შეიძლება გზა კი საშიში. ორივე გზა — უფსკრულებზე. სიარული დანის პირზე.

ეს იყო ამ დღეს — მარტში.

მარტი ყველგან სტირის ყოველთვის. ბათომში უცნაურად.

ამ დღეს მარტი სტიროდა უარესად.

ბათომი კი სავსე იყო. აივსო ბინები, აივსო სასტუმროები. აივსო ვაგონები. ქუჩები. ხალხი მორბოდა: აღმოსავლეთით: იმერეთით. გაურბოდა — წითელ საშიშროებას. წითელი ფრთა კი მოდიოდა: გაშლილი ბადესავით. ეფარებოდა ლტოლვილს. ეხვეოდა აღმოსავლეთიდან.

იმერეთიდან.

ამინდი (ცუდი) ვერ აკავებდა ვერავის. ქუჩად იყო გამოსული მრავალი. (ბათომში) სახეები იყო დაღვრემილი. გაუპარსავი. აწურული.

იდგა სვეტივით გულზე:

შიში. სიცივე. წვიმა.

დაჩოჩავდა ქუჩებში მონყენილი ავტომობილები. ცხენიანი ურმები. (მიქონდათ ცხელი მჭადი ჯარისთვის).

დადიოდნენ —

პატრულები, ანუ ჯარისკაცები სოველი და ტალახში გასვრილი.

განსაკუთრებული რაზმის ხალხი. (ყაბალახი. ბლუზა. მოკლე პალტო. მესტები. მაუზერი).

დამფუძნებელი კრების წევრები.

და მრავალი სხვა — საეჭვო და უეჭველი.

მოქალაქეც დადიოდა აფუყული. იდგა ჯვარედინზე ჰგავდა: სოველ ბეღურას, სა-

---

მასალა მოგვაწოდა მწერლის ვაუმა ილიამაზ მიწიშვილმა. რისთვისაც რედაქცია მადლობას უხდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ნვეროზე რომ შემოჯდება ზამთარში.

ზოგი ცხარობდა ჯგუფში. და ილანძღებოდა უსათუოდ. ზოგი უსაქმოდ დადიოდა. ატარებდა მღვრია გულით. — მსოფლიოს სევდას. გაჩერდებოდა აქ. შესდგებოდა იქ. დასტოვებდა მაგარ სიტყვას ერთ ქუჩაზე. დაღვრიდა შხამს მეორეზე. წავიდოდა.

ზოგი დარბოდა საქმეზე და საქმიანად.

ხაზინაში. პორტში. სადგურზე. საწყობებში.

ლაპარაკობდნენ:

მთავრობაზე — წავა თუ არ წავა. (უცხოეთში) გაუშვებს ჯარი, თუ დახოცავს ყველას. ამას ლაპარაკობდნენ ჩუმად. სანდო პირებში. საშიში იყო. ხმის აწევა.

მენშევიკებზე — დაღუპეს ქვეყანა მაგ მამაძაღლებმა. მაგათი დედა...

გვარდიაზე — უდიერად იხსენიებდენ „მაგ ყაჩაღებს“:

არკვევდნენ მთავარსარდალის კვინიტიძის ტაქტიკას — აძაგებდნენ პარტიული კაცები. (მენშევიკები) აქებდენ მოქალაქენი. ქართველები: მაგ რომ არ ყოფილიყო, სულ მოგვეჭრებოდა თავი...

სტრატეგიას ენაცვლებოდა საკითხი ანტანტის უსინდისობისა და სფერო მაღალი პოლიტიკის იჭერდა ადგილს ამაღელვებელს.

ვაჭრობდნენ სარეკორდოთ და უჩვეულოდ:

— ქუჩის ფოტოგრაფები და რესტორნები.

იდგა სამფეხიანი აპარატი ყველა მოსახვევში. ბაღის მხრივ უფრო მეტად: ბაღთან წვიმაში არავინ დადიოდა. იქ მყუდრო ადგილი იყო. ვერავინ დაინახავდა ამ საიდუმლო საქმეს. სურათის გადაღება კი საჭირო იყო (აუცილებლად) საგარეო პასპორტისათვის.

სავსე იყო სამიკიტნო „მოდი ნახე“. ცხოველად ვაჭრობდა რესტორანი „არტელი“. თავგამოდებით უკრავდა იქ სიმებიანი ორკესტრი ბერძნების და რუმინელების. ბერძენი მაესტრო ხშირად ასრულებდა — „სამშობლოს“ (გამაგონე ეგ ხმა ტკბილი) და „ვენიზელოსის მარშს“...

ღვინო ისმოდა რიგზე მეტი: სიმღერა კი არ იყო. მრავალჟამიერი კი. ეს იყო საკვირველი, ამგრამ ეს ასე იყო. შესაძლებელი შემთხვევა. (ქვეყანაზე ყველაფერია შესაძლებელი) მაგრამ იშვიათი მეტად.

ფასი დაედო ძალზე — ჩემოდნებს. შეიქნა მოთხოვნილება ატმოსფერული. ვიღაცა ამას მიხვდა — გაჩნდა მაღაზიებში ძველი და ახალი ჩემოდნები. სისხლის ფასადა. მაგრამ ჩემოდნები საღდებოდა მაინც. ყიდულობდნენ. (ყოველი შემთხვევისთვის. ვინ იცის რა მოხდება. ეშმაკს თვალი არ უჩანს).

შემდეგ—

იყო სადღაც კრებები. თათბირი და ბჭობა. ვიღაცა ელაპარაკებოდა ვიღაცას. ვიღაცა სწყვეტდა საქმეს მნიშვნელოვანს. ... აცხადებდა. ვიღაცა არ აცხადებდა არაფერსაც. ვიღაცა მოითხოვდა ხელთაწერებს, თივას და აბჟანდებს.

ვიღაცა იჯდა ვაგონში და არავის არ ღებულობდა.

სადღაც კი არიგებდნენ —

ფეხსაცმელებს. პალტოებს. შაქარს. შედედებულ რძეს. ვიღაცანი ყველაფერ ამას ღებულობდა. ვიღაცა ყიდდა. ვიღაცა ყიდულობდა: (ყველაზე საკვირველი იყო უკანასკნელი ამბავი, მაგრამ ასე ხდებოდა: მყიდველი იყო).

იტვირთებოდა გემი რაღაც ნივთებით.

სადღაც ეძებდნენ რაღაცა სიას და სია არ სჩანდა. სადღაც ქაღალდზე აკრავდენ ბეჭედს და ვიღაცა ღებულობდა ფულს. ზოგს მიღებული ჰქონდა. ზოგიც მიღებას აპირებდა ეძებდა გზებს. გზები სჩნდებოდა.

მიღოლავდა ქუჩაზე: ეტლები, ფურგონები, საბარგო მანქანები. მიჰქონდათ ნოხები. სკამები. კალა. ჟესტის ყუთები. თბილი საბნები ბარდანებად შეკრული. ყველაფერს ათოვდა. და სტიროდა გზებზე წვირიანი თოვლი.

ქუჩაზე ყიდნენ დარცხვენილი ხმით „ერთობას“.

გაზეთის კითხვა დავიწყებოდა ყველას.

გაზეთში ეწერა საინტერესო ამბები.

„ამბოხება კრონშტანდში. პოლკოვნიკი კოზლოვსკის მოწოდება. აღება პეტერბურგის და მოსკოვის დაცლა ბოლშევიკების მიერ“.

შემდეგ — სწერდა საკუთარი კორესპონდენტი ამბავს თუ როგორ დამყარდა ტფილისში ახალი ძალაუფლება.

კიდევ ეწერა გაზეთში მრავალი საინტერესო ამბავი. მაგრამ მოქალაქემ იცოდა მეტი და უკეთესი. თვითეულ მოქალაქეს ქონდა შემონახული საკუთარი სენსაცია. ზოგი კი ღრუბელივით სავსე იყო სენსაციით.

ქუჩაზე იყო კიდევ ასე:

შეხვდებოდა ორი კაცი ერთმანეთს.

მიხვალ, თუ რჩები, — იყო კითხვა (ესე იგი — მიდიხარ საზღვარ გარეთ თუ რჩები, შე საწყალო, ბოლშევიკების ხელში).

— ვრჩები.

— შენ.

— მეც.

გააქნევდენ თავს. გაშლიდენ ხელებს. უხმოდ ასჩეჩავდნენ მხრებს და უხმოდვე შეაქცევდენ ერთი მეორეს მოდრეკილ ზურგებს. ეს ნიშნავდა: არის ბედნიერი ხალხი, რომელნიც მიდიან საზღვარ გარეთ. მე და შენ კი ასეთ რისკს ვეწევითო.

გულში კი ფიქრობდა:

ერთი: მე კი ავიღე საგარეო პასპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შენ როგორც გინდა ისე მოიქეცი, რა ჩემი საქმეაო.

მეორე: მე პასპორტი მზად მაქვს ღენერალ გუბერნატორის კანცელარიაში. მივალ და ავიღებ. რას მარგებს სხვისი ყურებაო. და მიდიოდა. პასპორტს მიიღებდა უთუოდ.

ქალაქში დადიოდა ბღავილით აჭარლების მანიფესტაცია. იძახდა „იაშასუნ ქემალ ფაშა-ო". ახსენებდენ აგრეთვე ქეზიმბეის. მიდიოდნენ ანგორის დროშით. აჭარელი მოღვაწეები მოსჩანდენ იშვიათად. დადიოდენ ჩუმად. თუ ვინმე ქრისტიანი ქართველი გაბოელაპარაკებოდა — ეტყოდენ: ჭკუაა საჭირო, ჭკუაო და ასწევდენ კუდს. რაღაცას მალავდენ. რაში იყო საქმე არ ამხელდენ.

დადიოდენ ერთად მწიფე ინდოურებივით.

არავინ არ იცოდა, თუ რა იქნებოდა ხვალ.

ყველა კი გრძნობდა. რომ რაღაც უნდა მომხდარიყო და ეს რაღაც იქნებოდა მეტად არა სასიამოვნო მოქალაქისათვის. დაახლოებით ყველა დარწმუნებული იყო, რომ მოხდებოდა პოგრომი. დაარბევდენ მალაზიებს, საწყობებს და მოქალაქეებს.

შემდეგ დახვრეტდენ. —

ოფიცრებს. (უთუოდ ყველას).

განსაკუთრებულ რაზმს. (პირწმინდათ).

პარტიულ ხალხს. (ზორბა-ზორბა და მცირეს).

მენშევიკებს. (ვინ დააკავებს) და სპეკულიანტებს. (უეჭველად)

შემდეგ —

უთუოდ დაჯდებოდა ჩეკა და ყოველდღე თითო-ოროლა კაცს (ვის — ეს შემთხვევის და გარემოების საქმეა) დახვრეტდა, ან ჩამოახრჩობდა მოედანზე სამაგალითოდ და ჭკუის სასწავლად. დაახლოებით ასე ფიქრობდა ყოველი მოქალაქე. (არავინ ხმამაღლა ამას არ იტყოდა. ფიქრობდა: რისთვის უნდა გავაფრთხილო სხვა. თუ წავხდით, წავხდეთ ბარემ ერთად). დანამდვილებით კი სინამდვილე არავინ არ იცოდა. ცხადი იყო, რომ იდგა შიში, სვეტივით ჩასობილი გულში.

სციოდა. სწვიმდა. ღამდებოდა.

ეს კი საკმარისი არ იყო და ხალხი მიეშურებოდა ქალაქის საბჭოს შენობისაკენ. იქ რაღაც დიდი კრება იყო განზრახული. ელოდენ მთავრობას და მთავრობის თანასწორ ხალხს. გაიგებდა კაცი რაიმე ამბავს.

ეს იყო ქალაქ ბათომს ზამთარში. მარტის დღეს.

ამ დღეს წავიდენ მენშევიკები (მთავრობა). ამ დღეს დაიშალა დამფუძნებელი კრება (საქართველოსი). ამ დღეს დააპირეს ბათომის დაჭერა თათრებმა. მოხდა ამ დღეს კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი და არა მნიშვნელოვანი ამბავი და როდესაც გათენდა. შემდეგი დღე, (მეორე დღე) — ქალაქში დაჯდა რევკომი. ანუ — ქალაქ. ბათომი დაიკავეს ბოლშევიკებმა. მოოდენ ბოლშევიკები.

ამ დღეს ცუდი ამინდი იყო ბათომში. და ამ დღეს ადამიანს არავისი არ სჯეროდა.

2.

სიმონიც მიდიოდა ქალაქის საბჭოს დარბაზისაკენ:

მისი გვარი იყო — ახალკაცი. ოცდარვა წლის. მაღალი გაპარსული. (შავი ულვაშები შეკრეჭილი). ფილოლოგი მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის, მსახურებდა სადღაც სამინისტროში. მაგრამ ეს არ იყო საინტერესო. საინტერესო იყო ის, რომ იყო კაცი და მიდიოდა ქალაქ ბათომის საბჭოსკენ.

რას ფიქრობდა სიმონი სიარულის დროს?

სიმონი არაფერზე არ ფიქრობდა. მიდის ადამიანი. გაიარს მანძილს და უეცრივ მოაგონდება, რომ ამ ადგილიდან აქამდე მან გაიარა. მაგრამ რა იფიქრა. როგორ გაიარა

ეს არ ახსოვს. არ ახსოვს ვინ შეხვდა. არ ახსოვს რა იფიქრა. ამ წუთში ის არის თითქოს მკვდარი.

ასე მიდიოდა სიმონი. და რადგან არაფერზე არ ფიქრობდა — არავითარი სურვილიც არ მოძრაობდა მასში. გაიარა მარინეს პროსპექტი. გადაუხვია ფურნესთან. შეჩერდა შუა ქუჩაზე. მიაშტერდა დაკეტილ ფურნეს და უეცრად მოშივდა. აქედან გაიხსნა ფიქრი. განათლდა გონება. და გაახსენდა სიმონს: არ ეჭამა დღეს სადილი. მოენატრა ძალზე —

თეთრი პური. ცხელი ხარჩო და იმერული ღვინო...

ეხლა, როდესაც იდგა შუა ქუჩაში და ფიქრობდა: თეთრ პურზე, იმერულ ღვინოსა და ცხელ ხარჩოზე — უცბად თავი ამოყო განვლილმა დღემ. ამოყო დღემ ბალნიანი თავი. გაიელვა და გაჰქრა. და ერთმა წუთმა (როდესაც გონებაში აენთო და გაჰქრა დღევანდელი დღე) სიმონი დაჰლალა საშინლად.

იგრძნო სისუსტე და თბილი სიცხე მთელ ტანში, (ახ. იმერული მჩატე ღვინო) უცბად შეტრიალდა თავში რაღაც აზრი. გამოჩნდა მეორე მხარე ფიქრისა — ერთი წუთით. და გაანათა სურათმა — უცნობმა. ნისლიანმა ხვალინდელმა დღემ. დეტალები:

გათავდა ყველაფერი. დაიშალა ჯარი. შემოვლენ ბოლშევიკები შეიძლება ამაღამ. შეიძლება ხვალ დილით. ზეგ ხომ უთუოდ. ლტოლვილი მოსამსახურენი დღეს აპირებენ ვაგონებიდან გადასვლას, რადგან საშიში გახდა ვაგონებში ცხოვრება. (სიმონიც ბინადრობდა ვაგონში მოედანთან) საჭიროა ფიქრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარ თავზე, სანამ კიდევ არის დრო საკუთარ თავზე ფიქრის...

სთქვა: —

— იქნებ არც ისეა საქმე. ვნახოთ.

ეს იყო სულ ერთ წუთს შუა ქუჩაზე ფურნეს პირდაპირ. გვერდზე კი მოსჩანდა სამიკიტნო და სიმონმა შეუხვია შიგ. იქ მან ვერ იპოვა, რაც სურდა: შეჭმული იყო ყოველი სურსათი. ღვინო კი, ალბად, ჯერ კიდევ იშოვებოდა. მრავალი შეზარხოშებული სახე დაინახა სიმონმა იმ პატარა სამიკიტნოში, სადაც არ იშოვებოდა საჭმელი. იყო იქ ხმამაღლა საუბარი და ხსენება — „ჩვენი პატარა საქართველოსი".

მეორე დუქანმა ასადილა სიმონი.

ნასადილევს არ წავიდა ის საბჭოს შენობისკენ. თავის ბინაზე წავიდა ვაგონში. იქიდან უკვე ბარგს ეზიდებოდა მრავალი. ვინ სად, ვინ სად. მიეკედლა სიმონი ოთხიოდე ამხანაგს და მოთავსდნენ ყველანი სასტუმროში. პატარა ოთახი იშოვეს მეგრელი მეპატრონესაგან. და იატაკზე გაიშალა საწოლები.

ათი საათი იყო, სიმონი რომ ქალაქის საბჭოს დარბაზში შევიდა.

ამბავი იყო აქ ასეთი. —

ავსებდა ხალხი კორიდორებს და ყოველ ხვრელს, სადაც შეისვლებოდა. ოთახები (სხვადასხვა) დაკავებული იყო მოთათბირე ხალხის მიერ. (აგერ მესამე დღე იყო ამ ოთახებში სწყდებოდა რაღაც საქმე) გაიღებოდა უცბათ კარი. გამოჩნდებოდა თუთუნის კომლში მცურავი ოფლიანი სახეები — დაიხურებოდა სწრაფ კარები. გამოვიდოდა ვინმე მოთათბირე. შეხვდებოდა კარებში ნაცნობს. ნაცნობი გაყვებოდა. გამოელაპარაკებოდა საიდუმლოდ. აეტუზებოდა შორიახლო მეორე — ნაცნობი ნაცნობისა. კიდევ მეორე. შეიქნებოდა ჯგუფი. დაეკიდებოდა პაერში კითხვები — ვინო. რაო. როდის. ვერ იშორებდა მოთათბირე კითხვებს. ვერ იშორებდა შემკითხველებს. გაწებილი ქაღალდივით რომ ეკვროდენ მას. უპასუხებდა ის. პასუხი იყო მიმიკით მეტი, ვინემ სიტყვით. იყო და არა იყო პასუხი. შემკითხველს სხვა რომ უნდოდა. სხვა რამეს ვერ ამბობდა პასუხი. ამიტომ ჯგუფი იშლებოდა უკმაყოფილო. ეცოდებოდათ მოთათბირე, რომელმაც არაფერი არ იცის...

აქ გაიგო სიმონმა:

მოსულა მთავრობა ამას წინეთ. ყოფილა მოხსენება მთავრობის: დამშვიდდით. საქმე კარგად მიდისო. — უთქვამს მინისტრს. უთქვამს ისეთის კილოთი, თითქოს — საქმე კიდევ დიდხანს იარს. შორი გზა აქვს საქმეს, ნუ გეშინიათ. არ გაჩერებულა საქმე ჯერ. მიდის და კარგადაც მიდისო. შემდეგ რაღაც დაუმატებია იგავით, დარჩენილა შთაბეჭდილება — დაიცადეთ. ისევ რომ გაიგებთ ამ ცოტა ხანში, რომ სიხარულისაგან კუჭზე გასქდეთო. მხოლოდ ამას ეხლა ვერ ვიტყვი: ჯერჯერობით ეს თქვენი ჭკუის საქმე არ არის. მალე კი ყველაფერს გაიგებთო.

უთქვამს ეს და წასულა მინისტრი.

რაში იყო საქმე?

ვინ იცის რაში იყო საქმე. შეიძლება მოდის ინგლისის ჯარი. იქნებ გამოვიდა ანგორა. შესაძლებელია ანტანტის ფლოტი მოადგეს ბათომს და ხვალ გადმოსხას წითელკანიანი ჯარები. ვინ იცის საქმე დიდი პოლიტიკისა. მხოლოდ მინისტრმა იცის ეს საქმე და მინისტრი არ აცხადებს რამეს დეე, ნუ გაამხელს, ოღონდაც კი იყოს რაიმე სახეირო. დეე, შეინახოს მინისტრმა საიდუმლო.. მაგრამ ეჭვი ებადებოდა მრავალს:

— რა უნდა იცოდეს მინისტრმა ისეთი, რასაც ჩვენ ვერ გავიგებთ.

და ეს ეჭვი ღრმავდებოდა მოქალაქის გულში. ღრმავდებოდა და იშლებოდა ამგვარად: — რასა ბრძანებთ. არაფერი მინისტრმა არ იცის ისეთი. უნდა მხოლოდ დამშვიდება ჩვენი. ნამდვილად კი — გათავებულია, ბატონო, ყველაფერი. წასულია საქმე და ცუდათაც არის წასული.

ფიქრობდა ამას მრავალი ურწმუნო (მრავალია ურწმუნო, რომელსაც მინისტრისაც კი არ სჯერა) მხოლოდ ფიქრობდა გულში. ხმამაღლა კი ვერ იტყოდა ამას.

შეიტყო სიმონმა — აქ კიდევ მოხდებოდა რაღაცა, ელოდა ხალხი, რაღაც ამბავს და არ იშლებოდა. მართლაც გავარდა ხმა —

კიდევ სხდომა საჯარო. კიდევ ამბავი ახალი. საინტერესო და მნიშვნელოვანი უაღრესად. ამიტომ ჩამკეიდრდა საზოგადოება სხდომების დიდ დარბაზში. ამიტომ კვლავ მოეძალა ტალღა დარბაზს.

მაგარი მკლავები ჰქონდა სიმონს. შეატანა. დაიჭირა პოზიცია. (ფანჯარასთან. აქ ჯდომაც შეიძლებოდა. გაიხადა პალტო. დააფინა ფანჯრის პირას... დაჯდა). დარბაზი:

ანათებდა ორი დიდი ლუსტრა. ერთი სამთვალა „ბრა" (მიაჩერდა სიმონი ამ სამთვალა სანთისს. და სთქვა — „ბრა"). მარცხნივ — ტრიბუნა. ტრიბუნას უკან პატარა მაგიდა. უკან — მეორე ოთახში გასავალი კარები. ეს ოთახიც სავსეა ხალხით. ეხლა შემოდიან — ალბათ აქაც საიდუმლოება თათბირობდა აქამდე. გავიდა საიდუმლოება ალბათ ოთახიდან. და გაავსო ოთახი მოქალაქემ. აქედან სურდა მას გაეგონა, თუ რა მოხდებოდა დიდ დარბაზში. ამ კარებთან იდგა ყმაწვილი — დარაჯობდა, რომ აქეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გამოსულიყო ვინმე. ისედაც ხომ ტევა არ იყო დიდ დარბაზში.

ტრიბუნას წინ (ირგვლივ) რამოდენიმე რიგი სკამებისა. იქ დეპუტატები ისხდნენ უკვე. ყველა კარები ღია იყო და კორიდორებიდან შიგ (ცერებზე) იყურებოდა ხალხი. დიდძალი. ტევა არ იყო. იდგა სიცხე როგორც აგვისტოში. მაგრამ (რაღაცა მიზეზის გამო) ქუდს არავინ იხდიდა. არც პალტოს. დეპუტატებიც კი. ამ უკანასკნელებს, გარდა ყველაფრისა, ხელში ეჭირათ — ჯოხის მაგიერ ქოლგები.

ვინ იყო იქ. ყველა მოქალაქე: უბრალო. ბრალიანი, ქალი. კაცი. ოფიცერი. ხიშტიანი ჯარისკაცი. სტუდენტი. გვარდიელი. მუშა. ვაჭარი. — ყოველგვარი მოქალაქე.

მაგიდასთან გაჩნდა კაცი. პატარა. შავგვრემანი. დაბალი ტანის გაპარსული — შეკრეჭილი ულვაშები მოკლე თეთრნარევი თმა. მასვე აყვა — მეორე. მეტად შავი. წვერებიანი. მოგრეხილი. ქოლგაზე დაბჯენილი და კიდევ სხვა — გრძელთმიანი. სათვალეებიანი. მათ დიაწყეს — საუბარი ჩუმად და რაღაც ანგარიში.

რა იყო კიდევ.

შავგვრემანმა კაცმა (ქუდი მისი იქვე იდვა მაგიდაზე. მასაც, ე. ი. კაცსაც, პალტო ეცვა ცოტათი მოგრძო). როდესაც მოათავა სხვა ორ კაცთან სათქმელი — გაიშვირა ხელი დარბაზისაკენ. ესე იგი — დაწყნარდით — ვიტყვით რაღაცასო, ჩამოვარდა ხმები — სსსს-ششش. აშინდა მღელვარება და გაშეშდა. კარებს მოსწყდა ყმაწვილი. გავიდა მეორე ოთახში. გამობრუნდა პატარა ზარით ხელში. გადასცა პატარა კაცს: ეს პატარა კაცი უნდა ყოფილიყო თავმჯდომარე: სიმონი ამაში თანდათან რწმუნდებოდა. კაცმა არ დარეკა ზარი: მუჭში დაიკავა და ზარით დაეყრდნო მაგიდას. მოიწმინდა ოფლი. (სიმონს ამ დროს წელზე დაპკრა ქარმა. ქარი მოასკდა ფანჯარას).

გარეთ ქარი იყო, თოვდა. ქარიშხალი არ იყო, მაგრამ იყო სუსხი. შორიდან (სადღაციდან ქალაქში) მოისმოდა ნელი თოფის სროლა. ხმა შორიდან. ხანდისხან. საშიშ რამეს არ გავდა. აწუხებდა გულს კი. მაგრამ შემაწუხებელი იყო მეტად ხმები სადგურის მხრიდან. იქ წიოდენ ორთქლმავლები. ჯავშნოსნები. და ეს ხმები უფრო იყო საზარელი. უმეტესად ასეთი სიჩუმის დროს. სიმონს ახსოვს ეს ხმები. ეხლაც ეშინია ამ ხმების მოგონება სიმონს.

სიჩუმე კი დარბაზში იდგა საშინელი. თითქოს ხალხი გააქვავა ამ შავი კაცის გაშვერილ ხელმა. სახეები ჰგავდა — ოფლიან მარმარილოს. სიცოცხლე სჩანდა მხოლოდ თვალებში. მხოლოდ გაშლილი. პირღია თვალები მოძრაობდა დარბაზში. თვალებში ჩასრესილი იყო — დაჭრილნა. [illegible] მწუხარება. თითქოს — აღსასრულის წინაშე იდგა ყველა. მსჯავრს ელოდენ თითქოს და ანეული იყო სმენა. ამიტომ:

რა იქნება, რა ამბავია, ხომ ყოველ წუთშია რაიმე ახალი მოსალოდნელი. რა უნდა იყვეს... ბრრრ. გაატრეოლა სიმონს: შეეშინდა. იქნება ისევ ქარმა დაპკრა ფანჯარას...

უეცრად (ამ სამარის სიჩუმეში) ჩაქრა ღაზღაზა ლუსტრა. მოსწყდა სინათლე. თითქოს ყუმბარა გავარდა აქ. შეკრთა ყველა. ჭერს მიეპყრო — შეშინებული ამ უეცარი გაქრობით. ჩაღამდა სახეები. ვიღაც ქალმა ნელა წამოიკივლა უკანა რიგში. ვიღაცამ ამოიოხრა. ვიღაცამ წინ წამოინია. შეტორტმანდა. კვლავ დარბაზი. ისევ აშრიალდა. მაგრამ —

— მოქალაქენო...

გაისმა მკვდარი ხმა მკვდარი კაცის.

მოკვდა დარბაზიცა. დაილურსმა და გაჩერდა გული...

3

მოქალაქენო! შეხედეთ — დღეს დავრჩით პირისპირ ერთი მეორეს წინაშე. დავრჩით ღვთის ანაბრად მიტოვებული. თქვენ ხედავთ აქ (მან შემოხაზა ირგვლივ ჰაერი) თქვენ ხედავთ — აქ აღარ არიან ისინი (მან ხელი გაიშვირა იქით, სადაც იყო ზღვა) ისინი ვისაც დღემდე ეწოდებოდა საქართველოს მთავრობა. ვისაც მოჰქონდა თავი — ხალხის მესვეურად, მის ბელადათ, ხელმძღვანელად ხალხისა. აღარ არიან ისინი დღეს აქ. უკანასკნელი მათგანი სულ მცირე ხნის წინედ კიდევ აქ იმყოფებოდა. წავიდა ისიც და სთქვა — თუ მოხდეს ასეთი რამ — მაცნობეთ: მე ვიქნები პორტის რაიონში, ან გემზედო. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვა ჩვენდამი. ასე გვანუგეშა მან. ასე წავიდა (მოქალაქენო) უკანასკნელი მათგანი...

სახეები შეინძრა დარბაზში. გაისმა ჩუმად — მწ... წ... წწ. წამოისისინა ვიღაცამ კბილებში: სირცხვილი... განმეორდა აქ. იქ. ჩუმად.

დიახ, მოხდა ბატონებო, სირცხვილი, მაგრამ სირცხვილი უმაღლესი, უნახავი სირცხვილი (ბატონებო) მთავრობა წავიდა... შეიძლება ვსთქვათ — გაიქცა მთავრობა.

აქ — შეირყა დარბაზი. დაიშალა სიმშვიდე საბოლოოდ. (ჩუმი დარცხვენილი ხმები გათავისუფლდა: ზიზღი, სირცხვილი. სირცხვილი — ეს განმეორდა ძლიერ).

გაიქცა, მოქალაქენო, და არც კი მოიხედა უკან. დაივიწყა სინდისი, ნამუსი. ზნეობა და პატიოსნება. და ასე უსახელოდ მიატოვა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლო კერა. ასე უსახელოდ მოსწყდა მშობელ მინას და დღეს, ბატონებო, დღეს (თავმჯდომარე — ეს იყო თავმჯდომარე — ლაპარაკობდა ნელა. პაუზებით. სჭრიდა მოკლე სიტყვებს), როდესაც ისინი ჩვენს შორის აღარ არიან დაუმატა ვიღაცამ დარბაზიდან — „აღარც იქნებიან". ეს გაუკვირდა ყველას: ვინ იყო ასეთი გაბედული რომ სთქვა — „აღარც იქნებიან". (ყველამ მიიხედა ხმისკენ. უჩინარ იქნა. თვალები კვლავ მიებჯინა პატარა კაცს ტრიბუნაზე) ჩვენ, ქართველი მოქალაქენი შევიკრიბეთ აქ, რომ ვსთქვათ უკანასკნელი სიტყვა. რომ დავსდოთ მსჯავრი მას, თუ რაც მოხდა დღეს. რომ გავიდეთ ამ დარბაზიდან ერთგვარი გეგმით, ერთი ფიქრით და გადაწყვეტილებით. ისინი (მოქალაქენი) წავიდენ, მაგრამ აქ დარჩა საქართველო. (ისროლა ვიღაცამ ტაში. გაიზარდა. გაავსო ტაშმა დარბაზი მხურვალე მოწონებით). ქართველი ხალხი — მშრომელი ხალხი აქ არის. და თუ მისი ცრუ მოციქულები წყალში გადაცვივდნენ, ჩვენ გვწამს, — ქართველი ხალხი მათ წყალში არ გადაჰყვება. ეს უნდა იცოდენ მათ, ვინც დასტოვა დღეს საქართველო.

დიახ, მოქალაქენო; უკანასკნელად შევიკრიბნეთ დღეს აქ ყველანი, მათ გარდა: ვინც ულალატა ქართველ ერს, ვინც მოიყვანა ის ამ ზღვის პირამდე. მაგრამ თავისი მუხანათობით თვითონვე მოუმზადა საკუთარ თავს ამ ზღვისავე უფსკრული.

გათავდა სამარცხვინოდ ეს ამბავი. მაგრამ თქვენ ქართველები ხართ. დაიცავით სიმშვიდე. დაატანეთ ძალა თქვენს აღელვებულ გრძნობებს. საჭიროა სიმშვიდე. სიბრძნე მოქალაქეობრივი ასეთ მძიმე დროს. ჩვენ შორი გზა გვაქვს კიდევ. ჩვენ ახალ ცხოვრებას უნდა შეუდგეთ კვლავ და მოიკრიბეთ ახალი ენერგია. მოქალაქენო. ნუ დაეცემით სულით.

მოშორდა საქართველოს უღირსი შვილები. დარჩა საქართველო გაწმენდილი. გაუმარჯოს ახალ საქართველოს, მოქალაქენო. სირცხვილი მოღალატეთ. დიდება ჩვენს ერს. დიდება ქართველ ხალხს და მის მოწავალს.

ახმაურდა ძალზე დარბაზი. ტაშით. ძახილით. არ დაწყნარდა აღელვებული გრძნობანი მოქალაქისა, როგორც ფიქრობდა ორატორი. მოეძალა ხალხი დარბაზს. წამოიწია. დარეკა ზარი თავმჯდომარემ. ასწია ქუდი შემდეგ. თითქოს: შეეშინდა ზარის წკარუნის. ქუდის აწევით ფიქრობდა სიწყნარის დამკვიდრებას აღელვებულ დარბაზში. ამ გრძნობათა აღელვების ზღვაში.

ვიღაც კაცი ამოსცურდა ტალღებიდან. გაფითრებული. მოწყენილი სახით, გაჩერდა უბმოთ ტრიბუნაზე, ხანდისხან (ლაპარაკის დროს; შემდეგ, როცა ლაპარაკი დაიწყო, ხა. უწყდებოდა ხმა. თითქოს სიტყვის მაგივრად პირიდან მოსწყდებოდა ცრემლი. შეხვდა მას დარბაზი — ზეიმით. ღირსეულად. ცნობილი იყო ეს კაცი — როგორც კეთილშობილი. ხმები — სსსს-შშშშ... გაიშალა. ვიღაცამ დაიყვირა უკანა რიგიდან საშუალო ხმით — სიჩუმე.

რადგანაც ხმების — სსს-შშშ... იწვევდა უარეს ხმაურობას. გაიხედა ყველამ — სიჩუმისკენ. სიჩუმე ჩაჰქრა უკანა რიგში. უცნაურად დაბინდულიც იყო ეს კრება რაღაც საიდუმლო ძალით. იყო რაღაც საზღვარი ხმის. მას ვერ ასცილდებოდა ვერავინ. ამიტომ აკვირვებდა ყველას — უეცარი წამოძახილი. რახუნი. სკამის წაქცევა. ამ დროს მოისმა ქუჩიდან ყვირილი. ჩხუბი, ძახილი: „მოჰკალით მაგ მამაძაღლი". შეაკრთო ამან ყველა მეტზე მეტად. დარბაზმა წამოიწია ფეხზე. მაგრამ კვლავ დაეშვა სკამებზე. გაიელვა ფიქრმა ამ დროს: თუ კი უბედავენ „მამაძაღლო", მაშ ის ერთი ყოფილა. ამ ერთს გაუსწორდებიან — გარეთ ბევრია ხალხი და ჩვენამდი რაიმე საფრთხე ვერ შემოაღწევს. ამიტომ სწრაფ დამშვიდდა ყველა და მიაპყრო თვალი ტრიბუნას.

ორატორი განაგრძობდა მღელვარების თესვას.

გულდასმით უსმენდა მას სიმონი. ფიქრობდა ის და გრძნობდა: ისტორიულია ეს საღამო. არ განმეორდება მეორე ასეთი. უჩვეულოა ამბავიც. მნიშვნელოვანი და სამეხსიერო.

ორატორი მიდიოდა ნელა. ხნავდა ქართველის გულს მოწამლული გუთნის პირით. თითქოს მას ხელში ეჭირა თავისი გული. ამ გულს სწურავდა სისხლისაგან. აწვეთავდა. მოქალაქეს თავზე სისხლიანი გული. სტკიოდა გული ამ კაცს. მაგრამ სრესდა მაინც. თითქოს—უნდა სრულიად გამოსწუროს, გამოაშროს, ამოიღოს მთელი სითბო გულისა და გადააგდოს შემდეგ — ცივი ჩვარი — ცივ ზამთარში.

— ქართველებო. რა უნდა ვსთქვა მე თქვენს წინაშე. ბედნიერი ვიქნებით; რომ არ ვიყვე დღეს ცოცხალი. რომ არ მოვსწრებოდი მას, რაც ვნახე. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ვიყვე მუნჯი. ქვა — ცივი და უგრძნობელი. განა სიკვდილი არ სჯობს ამ სირცხვილს, რომლის მოწამენი და მონაწილენი ჩვენ ყველანი ვართ. ქართველი ხალხი მიატოვა მისმა მეთაურებმა. (რა მოხდა: მიატოვა ქართველი ხალხი) ქართველი ხალხი მოატყუეს. გააბახეს, გააუპატიურეს. ლეჩაქი მოხადეს მისივე შვილებმა. მათ ჰქვიოდა — ქართული მთავრობა. არ გამოჩნდა მათში არც ერთი პატიოსანი ადამიანი. არც ერთი

კეთილშობილი მოქალაქე, რომ ჩვენთან მოსულიყო, რომ ეთქვა — უბრალო ამბავი მაინც. ნაცვლად ამისა — გაიპარა ისინი. განა კაცი უცოდველია. ვის არ მოსვლია მარცხი. შეცდომა. ვინ არ ნამობორძიკებულა ცხოვრების მძიმე გზაზე. მაგრამ საჭიროა — კეთილშობილება. გამბედაობა, აღიარება შეცდომის. რა მოხდებოდა (რა უჭირდათ) მოსულიყვნენ აქ. ეთქვათ — შეეცდით ჩვენ. წავაგეთ საქმე და ანგარიში გაცრუვდა ჩვენი. მაგრამ ისევ მოვედით თქვენთან, რადგანაც ორივენი ვერიეთ ამ საქმეში, რადგან — ეს იყო საერთო საქმე. და გასაჭირიც უნდა იქნას საერთო. არ ქნეს. ამის მაგიერ ისინი — წავიდნენ: უსირცხვილოდ, უტიფრად. მიატოვეს თავისი მრევლი. შიშველი და მშიერი ჯარი სიცივეში (მწწწწ. „სირცხვილი" „ზიზღი მათ" სიტყვა — „ზიზღი" არ მოსწონდა სიმონს. თითქოს განგებ ისმოდა ეს ხმა განსაკუთრებულ დაჟინებით). არამც თუ ეს არ ქნეს — წავიდნენ და წარიტაცეს ქონება და სიმდიდრე ერისა. ისედაც ღარიბი და დარბეული ხალხის სიმდიდრე. პურიც კი არ დაუტოვეს მშიერ ქალაქს. ძუძუმწოვარ ბავშვებს წაართვეს რძე — თან წაიტანეს ევროპაში ნაყიდი რძე, მოქალაქენო. განა ეს ყველაფერი ჩვენი არ იყო. (ჩვენი იყო. უთუოდ ჩვენი იყო).

რა ვქნათ ჩვენ, მოქალაქენო, დღეს რა გზას ვეწიოთ.

მე მრწამს საქართველო და მისი უკვდავება. (ტაშით ამოიოხრა დარბაზმა: საქართველო) მე მრწამს აგრეთვე, რომ ვინც დღეს მოშორდა საქართველოს — ისა არაა საქართველო. საქართველო სხვა რამ არის. „ქვიშანი დარჩებიანო". ის არის (დიაღ ის არის). გადაევლო და გადაიარა საქართველოზე ამ წყალმა. დარჩა ნოყიერი მსუქანი ქვიშა და ქვიშაზე აღმოცენებულ ახალ ნაყოფს — ველოდეთ, მოქალაქენო. წარვიდა წყალი და წარიტანა ჭუჭყი ჩვენი ცხოვრებისა და გაჰყვა მას თან წყეველა, კრულვა, ამბოხი ჩვენის გულისა (ბატონებო).

ვინა სთქვა მოკვდაო საქართველო — საქართველომ პერანგი გამოიცვალა მხოლოდ. (წარმოიდგინეთ) ჩვენ ვიხილავთ ცხოვრებას უკეთესს. და საქართველოს ცას — გადაფერილს. მხოლოდ — გიყვარდეთ საქართველო თვინიერ ყოვლისა. მეტი სიყვარულით და სათნოებით. მწამს — გაიარს წლები დაცხრება გრძნობანი, მოვიგონებთ ჩვენ დღევანდელ დღეს და ვიტყვით: თითქოს გასაჭირში ჩავარდით ერთ დროს, როცა საქართველო ჩიხში ჩაადგო მეთაურებმა. მაგრამ ერი გამოდგა ძლიერი, ერი გაყვა თავის გზას და ამ გზაზე დასტოვა მან საფლავები. გაუაროთ დღეს იმ საფლავებს — გავაგრძელოთ ჩვენი გზა — წინ. გავიდეთ აქედან ქვიტკირის გულით და იმედით, რომ ხვალ ჩვენს თავზე ამობრწყინდება იგივე მზე, რომელიც ათბობდა ქართულ მინას ათასი წლის წინეთ. იმედით შევხვდეთ ამ ნათელს. ის გაათბობს ჩვენს მომავალს. საქართველო მოკვდა — გაუმარჯოს საქართველოს. დიდება მას.

(„ვაშა" მოყვა ამ სიტყვებს და გათბა გული. მოვიდა იმედი, ჩაიხედა გულში, გაშალა ტკბილი სახე. თვალებმა გაიწია დარბაზში — აღტაცებისკენ. აღტაცება დააყარა დარბაისელ კაცს).

ხელახლა დაისვენა დარბაზმა და მიაპყრო სხვა სახეს თვალი. ეს სახე იდგა ტრიბუნაზე. იყო გრძნობა: თითქოს ეს დარბაზი (და საქართველო) ბეჯითად აგლესდა აყალო მიწით ღვინით სავსე ქვევრს. ახადეს ამ ქვევრს თავი — აღმოჩნდა სასმელი მოშხამული და ბეჯითად აგლესდა ამ ქვევრს ხალხი, რომ მოეხადათ სხვა ქვევრი.

ამიტომ იდგა ტრიბუნაზე კაცი სათვალეებიანი. ესეც სჭრიდა საკუთარ ძარღვებს. ესეც იცლებოდა მოწამლული სისხლით. წვეთავდა სისხლი — სიტყვებით: ...ვნახე მე ამ დარბაზში სცენა. (ჩუმი სცენა) იდგა აქ მინისტრი. ლაპარაკობდა სიცრუეს თურმე. ტკბილ სიცრუეს და როცა შემდეგ ჩამოჯდა აქ ტრიბუნის ახლო და ერთმა ურწმუნომ ჩუმათ შემოსძახა ქვევიდან — „ჩვენ დაგვღუპეთ, მაგრამ თქვენც ხომ მოგინელეთო", მინისტრი დაექადნა თითის ქნევით ამ კაცს (ურწმუნო კაცს) და ჩუმადვე უპასუხა — „დავბრუნდებით კიდევ. ისევ დაგაჯდებით კისერზედო". (ამ სიტყვას დაეჯახა ამოძახილი — „არასოდეს". „ტყვილი იმედია". ზოგმა გაიცინა. შეშრიალდა დარბაზი: „ვნახოთ" „ვნახოთ") ეს ფრაზა (ბატონებო) მეტად დამახასიათებელია, გაქცეული პირებისთვის, რომელთა ღალატი (ასეთი მუხანათური) ჩვენ გავიგეთ მხოლოდ ამ წუთში და რომელნიც დღეს უცხოელ გემზე გადაბარგდნენ — ნადავლით: მათ (თქვენ იცით) საგძლათ ხალხის ქონება. სიმდიდრე და სამკაული.

ფიქრობდენ ისინი, რომ საქართველოა მათი სამფლობელო. და ისინიც მეფობდნენ აქ თავისუფლად. თავისუფალი სინდისისაგან, პატიოსნებისაგან, თავისუფალი კანონისაგან. (რისი კანონები) თქვენ იცით ყოველივე ეს და ზედმეტია ლაპარაკი ამაზე. იყვნენ ისინი კონტრაბანდისტები, კონკვისტადორები და იქცეოდნენ, როგორც ესპანეთის აზნაურები კორტეცების დროს ამერიკაში. მათ მიქონდათ ფული ჯარისთვის — ფული ქრებოდა. მიქონდათ ფული პურისთვის — იყო ჭვა, პურის წილ („ქერი", „ქერი" — სთქვა ვილაცამ. „ცხენები ვიყავით" — ისროლა ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმა) მათ გაქონდათ უცხოეთში ჩვენი სიმდიდრე — არ გვინახავს ანალები. ვსთხოვდით მოეწყოთ შინაური ცხოვრება — ისინი ამყარებდნენ ანარქიას და ტერორს (ყაჩაღები. მაუზერისტები). დიახ, ბატონებო — ყაჩაღები. და ეხლა განა ყაჩაღურად არ მოიქცენ? ჩვენი ეკლესიები გადურჩა მონღოლების შემოსევას, სპარსელებს, თურქებს და რუსებს: არ გადურჩა ამ ხალხს („სირცხვილი", „პაზორ", სთქვა ვიღაცამ რუსულად. ვიღაც დეპუტატმა (მაგრამ დღეს დაინგრა ეს სიყალბე და დაეყარა მათ თავზე. ჩავარდა ეს შენობა სიცრუისა და გადიშალა შავი ბუნება მისი. ამ ტალახში ჩაესვენენ ისინი საიალაღოდ. დეე, ბატონებო, აქ პოვონ მათ ცხონება სულისა. (გაიცინა ვიღაცამ.)

მე გავათავე, ბატონებო. ხვალ აქ სხვა ხალხი მოვა და ჩვენც აქ დავრჩებით მათთან — ერთ ჭერ-ქვეშ. ჩვენ შევხვდებით ყველანი ხვალინდელ დღეს, როგორც შეფერის მოქალაქეს. (იმედიანი ჩახველება, რომ ყველანი ერთად ვიქნებით).

იქნებ ყოველ ჩვენგანს მოელის საფრთხე. მოხდეს იქნება ექსცესი სამწუხარო. უბედურება უარესი დაგვეცეს ჩვენ პიროვნულად. მე არ ვიცი რა იქნება. მინდა ვიფიქრო, ხვალ ეს არ მოხდება. გამოიჩინეთ სიფხიზლე, ბატონებო.

უეცრათ იგრიალა კარებთან თოფმა. მაღალი ხმა გაიშალა დარბაზში. შეკრთა, ზეზე წამოვარდა ყველა. ეცა კარებს — კარში ვერ გავიდა: დერეფნიდან მოაწყდა ხალხი კარებს. შემოვარდა სიტყვა — „არაფერია". შემთხვევით გავარდა თოფი. აირია დარბაზი. გაიტენა თოფვითი. დარჩა ტრიბუნას წინ მცირე ადგილი. ტრიბუნაზე კი აღარ იყო ორატორი ნავიდა.

(„გაალეთ ფანჯარა. დავიწვით". „ხომ არ გადირიეთ — გავცივდებით, ამოვწყდებით ყველა".).

დარბაზში გაიზარდა ხმაურობა. შეიქმნა ბზუილი. მოწოლა. პოზიციების ძებნა. (ალბათ წასასვლელად) ადგა თავმჯდომარე — პატარა კაცი. სთქვა რაღაცა სადღეგრძელოსავით. შემდეგ ამოიღო რაღაც ქაღალდი (იქვე იდო მაგიდაზე) კაპიკიანი ფურცლის მეოთხედი. ამას ჰქვიოდა — რეზოლუცია. იქ ეწერა სიტყვა — უნდობლობა. უარი ქართველი ხალხისა წასულთა მიმართ. ამაზე დასთანხმდა ყველა — დარბაზში წამოხტა ხელები მრავალი ხელი გაიზარდა უცბათ. სხვანაირი შეიქნა დარბაზი: კაცებს ყურების მაგივრათ ამოსვლია ხელები. გრძელი, თითებიანი ხელები, და თითები აწეულან სანთლებივით, როგორც აღდგომა დღეს ეკლესიაში ანთება კანდელი. ეს საქმე იქნა კაპიკიანი ქაღალდის მეოთხედმა., რომელსაც ქვიოდა — რეზოლუცია და რომელზედაც ეწერა სიტყვა — უნდობლობა, კაპიკიანი ქაღალდის მეოთხედი ეჭირა ხელში მაგიდასთან მდგარ კაცს და ქაღალდი თრთოდა ამ კაცის ხელში.

დაეცა ქაღალდი მაგიდაზე.

ჩამოიყარა ძირს დაღლილი ხელებიც

4

დარბაზი იცლებოდა — მღელვარებისაგან სიცხისაგან.

მაგიდასთან იდგა ათიოდე კაცი. სიმონმა გაიარა ახლო. ესმოდა ხმები:

— უნდა წავიდეთ, ამაღამვე.

— უნდა გამოუშვათ ისინი. მაშ, აბა როგორ იქნება.

— თათრის ჯარები.

— კომისია.

— ციხე.

სიმონმა ჩაიარა კიბეები. გავიდა ქუჩად. იქ იდგა ავტომობილი. იდგენ ჯგუფად თოფიანი კაცები. სიცივეში აბარტყუნებდენ ფეხებს ქვაფენილზე. ნახა სიმონმა ამხანაგები და გაეშურნენ სამივენი სასტუმროსკენ. იქ ერთ ოთახში ეძინათ ხუთს.

მიდიოდნენ ჩუმათ, სთქვა ერთმა.

— ჰაი დედასა, დედასა. მიგვატოვეს... და შეიგინა.

მეორემ ჩაიოხრა. ეხხ... და გადაახტა გუბეს.

შეჩერდნენ მოსახვევში. გამოჩნდა თათრების პატრული. ჩაიარა.

— ეს თათრები სეირს არ დაგვაყრის.

— წავიდეს, მაგათი... გულიანათ შეიგინა მეორემ.

— ვიშოვოთ პური სადმე, — სთქვა სიმონმა.

ეძებს და პური ვერ იშოვეს. ფურნეები პირლია იყო, შიშველი თაროებით: შეხედეთ დარწმუნდით, რომ პური არ არისო. სადღაც თორნეში იშოვეს ცომი მჭადი.

სიჩუმე იდგა ქალაქში. არავინ სჩანდა. არც მილიციელი. არც ყარაული. მკვდარი იყო ქალაქი. სასაფლაოს მსგავსი. სიჩუმე უარესი. — ვინემ საფლავების. სიჩუმე ყვიროდა — საშინელებით. მოულოდნელობით. მეხით. მყვირალა სიჩუმე იდგა ქალაქში.

და მართლაც — გავარდა მეხი. მეხი გავარდა ბაღთან, ზღვის პირას. ეს იყო სროლა — წყობით. გამომწვევი სროლა. თავდამსხმელი, ბნელის კუთხიდან. სროლას უპასუხა სროლამ სადღაც ახლო. მას გამოეხმაურა კიდევ სროლა. კიდევ სხვა ადგილიდან. კიდევ სხვა ადგილიდან: ტრახ-ტრახ-რა-რახ. მოიცო მთელი ქალაქი ტყვიამ და მეხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჩერდა სამი კაცი. გადახედეს უხმოთ ერთი-მეორეს. შემდეგ გაუჩქარეს — წინ დახვდათ ისევ სროლა. გვერდზე — აქაც სროლა. გვერდზე — აქაც სროლა. ისროდენ სიტყვებს სამნი გაკვირვებულის ხმით:

— რა არის.

— რა ამბავია.

— ბოლშევიკები.

— თათრები.

— გვარდია.

— მთავრობას დაეცენ.

მირბოდა სამი კაცი ღამეში ტალახიანი გზით. ტალახში ვარდებოდა სიტყვები და უპასუხოდ ცივდებოდნენ გზაში. სამი კაცი კი გარბოდა ოთახისკენ. მიასწიეს. სროლამ უმატა. თითქოს ქუხდა ყოველი სახლი. ყოველი დარაბა. ქუჩა. თითქოს გაიხა ცა და გადმოიბნა ხის იატაკზე კვერცხის ოდენა თხილის კაკლები. ურმობით. მრავალი ფუთი.

— ანარქიაა, — იფიქრა სიმონმა. საშიში ამბავი დაიწყო ქალაქში. რა მოხდება ამაღამ, როდესაც არ არსებობს — არც უფროსი, არც უმცროსი, არც პატრონი ვინმე.

— დაიწყო ანარქია, ფიქრობდა ყველა. ლაპარაკს კი ვერ გაბედავდენ ამის შესახებ. სცდილობდენ შეენელებინათ გულის ცემა: გული ძალზე რეკდა, ხმა მაღლა რეკდა და უშლიდა სმენას. ამიტომ ხუთი კაცი ნელა სუნთქავდა. ოდნავ. დიდის პაუზებით — რომ სუნთქვას არ დაეშალა გაგონება. მაინც გაბედა ერთმა ხმის ამოღება. უპახუხა მეორეს. მოეწყოს საუბარი. საუბარი მიადგა ორ კაცს. ტფილისიდან ჩამოსულს.

იმეორებდენ გაგონილს:

ტფილისში სიწყნარეა. არ არის ხვრეტა. არც შიში ისეთი. ცხოვრება მიდის ჩვეულებრივ. შეირყა კი ცხოვრება, მაგრამ შუშდება თანდათან. მშვიდდება. აწი არა უშავს.

კიდევ რა.

მიეცით იმედი: იქნება არც ისეა საქმე, იქნება გადავრჩეთ და იქნება (ამას გულის კუნჭულში ფიქრობდა თვითეული — საიდუმლო. საკუთარი) იქნება სამსახურშიაც დაგვტოვონ, ჩვენს ადგილებზე დავრჩეთ. ამას ფიქრობდა გულში თვითეული და როცა ამას გაიფიქრებდა — ჩამოვარდებოდა პაუზა ლაპარაკში. გაიფიქრებდა ამას გულში. გაიარდა ნუთი — განახლდებოდა ლაპარაკი.

საუბარი შეიცვალა.

— დასაკლავი არიან ეგ... (ე. ი. მთავრობის ხალხი) მიგვატოვეს, მაგრამ ასე როგორ მიგვატოვეს. წავიდნენ, მაგრამ ასე როგორ წავიდენ. აგვრიეს. მოგვშალეს. მოგვწამლეს.

ახსენებდენ ქრთამს. ღალატს და გაიძვერობას. ახსენებდენ ჟორდანიას: მას რომ ყველაფერი ეს სცოდნოდა. ხანგორდ ეენებოდა საქმე.

ზოგს არ სჯეროდა ეს — შეუძლებელია რომ არ სცოდნოდა...

აქ სნყდებოდა ლაპარაკი. რიგდებოდა ყველა იმაზე, რომ მართლაც არ ვარგოდა მთავრობა. ცუდი იყო ის თავიდან-ბოლომდე.

მაგრამ უცუდესი ისაა, რომ ერთს ოთახში მთელი ღამე ლაპარაკობს ხუთი კაცი და ხუთ კაცს სადაო არაფერი არა აქვს. ყველა ერთი მეორეს ეთანხმება და არაა განსხვავება არაფერში. ასეთ დროს მოდის ძილი. და მართლაც ძილმა წაიღო ხუთი დაღლილი კაცი.

სიმონს არ ეძინებოდა. იწვა იატაკზე საბანში გახვეული. ეხურა ზევიდან პალტო. უვლიდა სიმონს შორიახლო ძილი. მხოლოდ არ ეკარებოდა თვალს. ფიქრები თუხთუხობდენ მძიმედ. ნელნელა. წისქვილივით. და უჭირდა სიმონს მობრუნება მძიმე ფიქრების.

— მაშ გათავდა ყველაფერი, ნახდა საქართველო. დავმარცხდით... დავმარცხდით. რატომ ჩვენ? ჩვენ კი არა — ისინი დამარცხდნენ, ვინც გაექცა საქართველოს.

საქართველო.

— რას ეტყვი საქართველოს?

დააჩერდებოდა თვალღია ფიქრი სიმონს. ჩაჰკითხავდა. არ ასვენებდა. მოვიდოდა, დაჰკენტავდა მწარედ. გაიქცეოდა.

— რას ვიტყვი? არ ვიცი, რას ვიტყვი... ვიცი, რომ აქ დავრჩი, რომ ესაა სინამდვილე და სიმართლეა ალბად, ეს.

— ხი, ხი, ხი; ხი — გადაიხარხარა თვალებმა. ღალატობ?

სიმონი შებრუნდა. წამოინია. თითქოს ადგომა დააპირა. ისევ ჩაიკეცა და გაეხვია საბანში.

— არ ვიცი, არ ვიცი... ხვალ... ზეგ... შემდეგ. გავიგებ... ვიგრძნობ.

წყალში რომ დაიღლება მცურავი და უძნელდება ხელის გაშლა. ნელა. ნელა... მოღლილი მკლავი სთვლის — ერთი, ორი, ერთი... აღარ ამოდის ხელი წყალიდან. ცივდება. შეშდება. იღვრება ხელი სანთელივით. იძირება კაცი. მიდის ძირს. რა კარგია დაძირვა. მხოლოდ ძირს, მხოლოდ გაჩერდეს სადმე. მხოლოდ ხელი არ გაანძრიო. დაისვენე. დაივიწყო ყველაფერი... დაეძინა სიმონს.

5.

ეს დილა გათენდა ისეთივე უცნაური, გუშინდელი დღე რომ იყო. ამინდმაც გამოიტანა უბედურება თავისი. თითქოს — განთავისუფლდა ზეცა მწუხარებისგან ნუხანდელი მეხის თესვით. დღეს დილით იდგა მზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ათბობდა ახალ მთავრობას ქალაქ ბათომში.

წარსული ღამით (სროლა, რომ იყო) ქალაქი ბათომი ვერ აიღო თათარმა. ვერ მოახერხა თათარმა ბათომში დაბინავება. გათენდა დღევანდელი დღე და მზეს მიეგება სხვა მთავრობა. არც მენშევიკური. არც თათრული — გაჩნდა მთავრობა ბოლშევიკების. დაჯდა გუბერნატორის სახლში — რევკომი.

ამ გვარად გაჩნდა წითელი, ბოლშევიკური მთავრობა და გუბერნატორის სახლზე აფრიალდა წითელი ფერი. ეს გამოირკვა საბოლოოდ დღეს — დილით. და გამოერკვა ამასთანავე ამინდიც. ესე იგი:

თბილი მზე ადნობდა გაყინულ გუბეებს ქუჩებში. დასავლიდან კი ჰქროდა ცივი ქარი, მაგრამ ზღვა ნელა გორავდა კალაპოტში. მთებზე ჩამოწოლილი თეთრი ნისლი ქურდივით აყვა ზემო აჭარის კალთებს. გადაალაჯა უღელტეხილს და გაიპარა: გუშინდელი ნისლი იყო. ალბად ერიდებოდა დღის. სხვა დღის.

დილით სიწყნარე იდგა ქალაქ ბათომის ქუჩებში. არავინ გამოსულა. (შიში) შემდეგ, მზე რომ გაიშალა საკვებით — მოადგა, მოაწვა ხალხი და ქუჩები აილესა მოძრაობით.

დატრიალდა მზეში ქარი. და გადაეფარა ქალაქს ერთი ფიქრი. ერთი სურვილი — უნდოდა მოქალაქეს (შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი) უნდოდა რომ:

— ჩაეგდო ხელში რაიმე ნაგლეჯი ქაღალდი. ვარსკვლავიანი. ესე იგი — მოწმობა რაიმე, ახალი მთავრობისაგან. (რევკომი) რაიმე ქაღალდი, საცა იქნებოდა აღნიშნული, (სულ ერთია რა ენაზე, თუნდა სპარსულად) რომ პატრონი მამა ქაღალდისა (სახელი მისი) ჭეშმარიტად ესა და ეს კაცია. მეტი არაფერი. მეტი და უმეტესი ამ ქაღალდზე იქნებოდა: ბეჭედი ხუთ წვერიანი ვარსკვლავით და გარშემო ბეჭდის შეერთებული — პროლეტარები მთელი ქვეყნისა".

ეს იყო სანუკვარი ფიქრი მოქალაქისა ამ დილით. ეს იყო პირველი თუ არა — მნიშვნელოვანი მეტად. იყო კიდევ სხვა სურვილი, იდუმალი ზრახვა და სხვანაირი:

უნდოდა ყველას დარწმუნება, რომ ის ცოცხალია.

მოქალაქეს არ სჯეროდა (დილით რომ გაილვიძა) თუ ის არაა მკვდარი. და სურდა ამაში დარწმუნება. თვითონ თავისი თავი ამაში ვერ დაეჯერებინა. საჭირო იყო სხვისი ნახვა. კითხვა. კითხვა პასუხი. ამ სურვილმა უფრო გამოაგდო მოქალაქე კარში. გრძნობდა მოქალაქე ასტრალურად, რომ კონსულტაცია ამისა რევკომთან ხდება. ესე იგი: მხოლოდ რევკომთან დარწმუნებულ კაცი — ცოცხალია ის. თუ უკვე [illegible] ალარ არის და ეს მშვენიერი დღე, ეს მზე, ეს ბედნიერება —სიზმარი და იმ ქვეყნიური ოცნებაა 1921 წ. მარტში გარდაცვალებული მოქალაქისა.

რა იყო რევკომთან?

რევკომთან იდგა მთელი ქალაქი (ოთხ ფორმულიანი სისტემა) ქალაქს კი თავზე ადგა ცხელი მზე.

ჩამოყალიბდა სურვილები მოქალაქის მზეში: — კონსულტაცია... (მოხდა უკვე: ცოცხალი ვყოფილვარ (ქაღალდი ბეჭდიანი...) მაგრამ უფრო შორს მიდიოდა მოქალაქე — გაუმაძღარია კაცის გული და კაცის გული კი ანგარიშობდა ასე:

იქნება დღეს გამოვიდეს ბრძანება საშინელი და ყველანი დაგვწყვიტონ ბოლშევიკებმა. თუ ეს მოხდა — (სხვა დროა. ყველაფერია შესაძლებელი) გავწყდეთ ბარემ ყველანი ერთად. იმედი გაქვს, იმედი და კმაყოფილება, რომ მარტო შენ კი არ დაგხვრიტეს ამ წყეულებმა, შენთან მოყვა სხვებიც (უკან რომ არ დაგვრჩება ვინმე — კარგია. ხი ხი. ხი. გიხარია).

ფიქრობდა მოქალაქე, რომ ეს არ სჭირდება (მთავრობას) დახვრეტა ამდენი ხალხის მაგრამ ჯერ-ჯერობით არ იცოდა მოქალაქემ — რა სჭირდება მთავრობას და ეშინოდა ამიტომ. თუმცა ამხნევებდა მოქალაქეს ის იმედი, რომ სრულის ერთგულობით მოვიდა რევკომთან, გულწრფელის თანაგრძნობით და ერთგულებით. (ღმერთია მონამე — გულწრფელის ერთგულებით. ყველა).

და ფიქრობდა მოქალაქე კიდევ:

— ეს მენშევიკები ხომ წავიდენ და წავიდენ. ჯანდაბა მათ თავს. მთავრობა მოვიდა ახალი. მთავრობა ხომ საჭიროა (უთუოდ საჭიროა მთავრობა). ჰო, და ეს მთავრობა უკვე არის. ა, ბატონო ა: ამ სახლშია მთავრობა. მოვიდა. დავანებოთ თავი, თუ როგორ მოვიდა. ხომ კი მოვიდა, ხომ კი არის ამ სახლში და ხომ კი ველი მისგან ვარსკვლავიან ქაღალდს...

გადიგრიხებოდა მოქალაქეს ფიქრი, გადუხვევდა, გადახტებოდა ამ ადგილს: („როგორ მოვიდა").

სიმთვრალით აყბედებული კაცი გაუარს ხოლმე, კომისარიატს, თუ ჩეკას, შეჩერდება, (ინსტიქტურად — გაჩუმდება) გასცილდება ამ ნაძრახ ალაგს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს და აღიღინდება ხელახლად.

ასეთ მოვლილს აკეთებდა მოქალაქე, როცა მოადგებოდა ამ სახიფათო საკითხს. მაგრამ გადახტებოდა, განაგრძობდა მსჯელობას: — ჰო და მოვიდა. ეტყობა (უთუოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტყობა), რომ არა უშავს. შეიძლება შეურიგდეს კაცი.

მოურიგდება კაცი მას — შემდეგში, მხოლოდ, ეხლა კი —

დამანებოს თავი, მიშვას ხელი.

ეს ნიშნავდა:

მომცეს ქაღალდი. ნუ მომკლავს და გამიშვას შინ მშვიდობით. თუ ამას მიზამს — (ეს მინდა, რა მინდა მეტი ამას გარდა) ვფიცავ და შევფიცავ უთუოდ. ერთგულებას... ბოლოს და ბოლოს (გულზე რომ კაცმა ხელი დაიდო) ვის უყვარდა ეს მენშევიკები. თქვენმა მზემ არ უყვარდა არავის. ჰო და, არაფერი არ უშავს ამ რევკომს. იყოს და იყოს. ვეყაბულები; ბატონო, ამ რევკომს... ესაა რაცაა...

ასეთნაირად სდუღდა მოქალაქეს ფიქრები რევკომის ირგვლივ ზღვა ხალხი იდგა. რევკომზე ფრიალებდა ნითელი ფერი, უფრო ზევით კი — თბილი. მზიანი დღე თავს ინონებდა.

უყვარდა მოქალაქეს ასეთ დღეში სიცოცხლე. ტკბილია სიცოცხლე და უტკბესია მზიან დღეში, გაზაფხულზე. თბება ძვლები და თუ ზურგზე გაცხუნებს მზე — ისეთი სიამოვნება დაგადნება კაცს ზურგზე... და თუ კიდევ — გამთბარ სიცოცხლეზე დაანვეთებ თბილ სიტყვას — შეგიყვარებს შენ ადამიანი მაღალის სიყვარულით, რამეთუ სითბო და სიტკბოება შვებს ერთგულებას და სიყვარულს.

ამიტომ იდგა მოქალაქე. ხელში ეჭირა მას აფართხალებული გული, იშვერდა მას სამ სართულიანი სახლისაკენ (რევკომი) და მოელოდა:

ერთ წვეთს ტკბილ სიტყვას. თუ დაეცემოდა გულს ტკბილი სიტყვა-გაიშლებოდა გული სიყვარულის და ერთგულების ყვავილად.

ასე იდგა მოქალაქე, რევკომის წინ დიდ ხანს: ერთი, ორი, ოთხი საათი... განა უჭირდა მას დგომა ასეთი? სტკბებოდა ამით. ხედავდა — შედის კაცი შიგ. (რევკომში) გამობრუნდების და გამოაქვს: თეთრი ენა — ქაღალდი (წვრილი და გრძელი) ბეჭდიანი. ბევრი შედის ბევრი გამოდის ბეჭდიანი ქაღალდით. დაგვიანებული (გაუბედავიც) მოქალაქე მიდის ნელ-ნელა წინ. თითქოს რევკომში არც კი უნდოდეს შესვლა. თითქოს მზემ დააცხუნა და ჩრდილში გადის ნელი ნელ, მაგრამ კარებთან შეჩერდება ჩუმად კიბეზე. ვიღაცას ეკითხება, სთხოვს ვიღაცას. მიდის. მიდის. — ამასთან. იმასთან, სანამ:

— ამხანაგო. ღიმილით უპასუხეს მას (სამხედრო ტანსაცმელში — არა სამხედრო პირი) მობრძანდით ხვალ ათი საათიდან. მოგართმევთ ყველაფერს. შემდეგ — მზადდება მატარებლები და გაგზავნილ იქნებით თავთავის ადგილზე...

ხანდისხან თამბაქოს კვამლი ეცემა კაცს თვალში. უეცრად. წამოვა თვალიდან ცრემლი — სიმწარისაგან. და კაცი მოიგრეხს ცხვირს. ასე ეგრიხება ცხვირი მოქალაქეს. განა სიმწარით? — სიხარულით: უნდა გაიცინოს, იყვიროს, იბღავლოს, ატროკინდეს სიხარულისაგან, როგორც მოზვერი. მაგრამ სცხვენია, იკავებს თავს და ამიტომ ეგრიხება ცხვირი მოქალაქეს რევკომის კიბეზე გამობრუნებულს. და მართლაც — მოხდა კონსულტაცია: ცოცხალია მოქალაქე და იცოცხლებს რამდენიც მის კეთილ სურვილს მოუხდება. ბეჭედს დაკრავენ ხვალ, სახლში გააბრუნებენ... (ეი, მიბწკინეთ, ვინ ხართ მადლიანი).

სულ წამხდარი არ ყოფილა საქმე. — ფიქრობს ქუჩაზე მოქალაქე. მას უნოდეს: „ამხანაგო" და ეს უთუოდ კარგი ნიშანია. ალბად არის მასში რამე ამხანაგური. უთუოდ სავსეა ის ამხანაგურის გრძნობით. უყვარს მოქალაქეს მსოფლიო, მზე, ქუჩა, რევკომი. წითელი ფერი და ყოველივე — ფერიანი და უფერო. სიყვარულით აღვსილი მიდის იგი. ხედავს —

მიქრიან სავსე ავტომობილები. (წითლებით, შავებით, ჩოხით, დაღებული პირებით სავსე) უზარმაზარი წითელი ბაირაღებით. პლაკატებით:

— „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს".

— „ინტერნაციონალს".

— „სოციალიზმს".

— ყველაფერს გაუმარჯოს, — ფიქრობს მოქალაქე. გაუმარჯოს ყველაფერს და ყველაფერს ვენაცვალე. ოღონდ...

გაიარეს წითელ ჯარის კაცებმა. მიდიან დაღალული, დასვრილი, დახეული, მაგრამ კაცებია. როგორც გინახავს რუსი. მხოლოდ წითელ ვარსკვლავიანი, ახურავს ქუდი და მიდის ქუჩაზე თავისთვის... შუა ქუჩაზე მიდის ასეთი ხიშტიანი ჯარი და ქუჩის ყურას კი სდგას ხალხი და უყურებს ხიშტიან წითელ რუსს...

(აბა. სდგას და უყურებს) არა მარტო სდგას —

გაიშალა სახეები ქუჩაზე. მზემ ჰქნა ალბად ეს. (ვინ იცის რამ ჰქნა. ვინ იცის რამ ჰქნა) გაჩნდა კი შორცხვი ღიმილი. ფერი იცვალა ადამიანის სახემ ქუჩაზე. აგერ კი — ქუჩის ყურში მზეა. ათიოდე კაცი სდგას (ლაპარაკია საოხუნჯო):

ბლუზიანი ვიღაც ასახელებს მეორეს. და ამბობს — „შეატყო თურმე — ცუდათაა საქმე. იყიდა ქათამი. შეანვევინა და გაუგზავნა ერთ ბოლშევიკს საპყრობილეში (მაშინ კიდევ დაჭერილი იყვნენ ბოლშევიკები) ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამში წერილი ჩასდო. წერილში ჩასწერა „შეგარგოს ღმერთმა“-ო.

სიცილია მოსახვევში. მორცხვი სიცილი, მაგრამ არის მაინც. იცინიან, იცინიან, წარმოიდგინეთ.

სიმონი იდგა ახლოს. ესმოდა ოხუნჯობა. და როცა გამოიცვალა საუბრის თემა — სიმონმა გადაუხვია ბალისაკენ.

დღეს მან ხუთი მოწმობა აიღო და ორდერები ტფილისში წასასვლელი: ერთი თავისთვის. ოთხი — ამხანაგებისთვის. ებრძანათ — პირველ რიგში წახვალთ, სამსახურშიაც დარჩებით. უნდა გამგზავრებულიყვენ ხვალ — ნაშუადღევს. ეხლა კი სასტუმროში გამოსარკვევი იყო დეტალები მგზავრობისა.

ნელა მიდიოდა ის ბალის ქუჩაზე. თბილოდა. შევიდა ბალში. გამობრუნდა უკან: ცუდი ქარი ქროდა ზღვიდან და მიწაც კი ჯერ კიდევ სველი იყო. გაჰყვა გზას საკრებულოსკენ. მიადგა საკრებულოს შენობას. მოაგონდა ძველი დღეები. ინგლისელები. ღენერლები — კუკკოლისი. სტოკსი.

— კუკ კოლისი. — გაიმეორა სიმონმა ეს სიტყვა. სასაცილო სახელია: კუკ-კოლისი. სიმონს ნახული ყავდა ეს ყაჩაღის მსგავსი, თეთრ კბილებიანი ინგლისელი. ბატონი იყო ის აქ დასცინოდა ყველაფერს. აქაურ მთავრობას და მის ხალხს ბათომში... ესენი დადიოდნენ მასთან — მორიდებით, კრძალვით (ბრიტანეთის იმპერია).

— სვოლოჩ, — სთქვა რუსულად სიმონმა და წავიდა. გაიარა ცოტა და შეკრთა უცბად, თითქოს — სილა გაარტყა ვინმემ, ან ცხელი წყალი გადაასხა. შეკრთა იმიტომ, რომ გაუკვირდა — როგორ სთქვა მან ეს სიტყვა: სვოლოჩ და ვინ იყო სვოლოჩი: ღენერალი კუკ-კოლისი, თუ ისინი, ვინც მასთან დადიოდა.

სიმონმა დაიჭირა თავი იმაში, რომ ეს სიტყვა ეკუთვნოდა ორივე მხარეს: კუკ-კოლისსაც და მათაც, ვინც დადიოდა ინგლისელ ღენერალ კუკ-კოლისთან ასეთის მოკრძალებით. უკვირდა სიმონს: რამ ათქმევინა მას ეს სიტყვა. ვერ გაარკვია. შესწუხდა. წავიდა ნელ-ნელა წინ. გაჰყვა გზას თეატრისაკენ. გაჰყვა ფიქრი ფიქრს... დატრიალდა კორიანტელი მზეში...

. . . . . .

— ანდრეი შენიე, ანდრეი შენიე. როგორ გადაგორდა შენი ლამაზი თავი გილიოტინაზე...

...ბრუნავს მორგვი. იფუშება. ირღვევა. ჩქარა. ჩქარა. სახეები. სახეები... საფლავები... წინწამური... ყიზლარი... ილიამ გამოიგონა საქართველო... დაასაჭურისა ერრდანიამ... გაჰყვა. გაჰყვა უცნაური ფიქრები. უცნაური მოგონებანი. ასოციაციები.

— სძულს საქართველოს კაცი... საქართველო ვერ ითმენს დიდ კაცს.

და ყოველი დიდი კაცი ებრძოდა საქართველოს. საქართველოს ყველაფერი სძულს და საკუთარი თავიც ყველაფერთან ერთად. ჯოგია უმწყესოთ. უძაღლო. ჯოგი სჭამს ძაღლსაც და მწყემსაც. მოწამლული, ტყემალსა და ძმარში ჩადებული ტვინი.

— რა სულელი ფიქრებია... გააჟრჟოლა სიმონს.

— მალარია, მალარია — სთქვა მან. მაციებს. საჭიროა ქინა. უთუოდ საჭიროა. იქნებ ჩვენებს აქვს... საჭმელი იყიდა ცოტაოდენი საგზალისთვის წავიდა ბინაზე.

ძალზე მოძრაობდა ქუჩა. ცახცახებდა სიჩქარეში. მიზეზი იყო მრავალი. და ერთი უმთავრესი: მიტინგი (მოედანი „აზიზიე“) იზიდავდა ყველას. დანიშნულ დროს მთელი საათი აკლია. მაინც იდგა ხალხი მოედანზე. შეიძლებოდა ნელა წასვლა — ხალხი კი მიეჩქარებოდა. ამ დღეს შეუყვარდა ყველას ერთი მეორე. არ სცილდებოდენ ერთი მეორეს. ყველა ერთად დადიოდა. ენატრებოდათ შეგროვებულათ ყოფნა.

შემოხვდა ჯგუფი სიმონს. გაჰყვა უკან მას. გზაც იქით ქონდა. დაუგდო ყური.

— პო და, გავიდენ თურმე სოფლად, რომ გაეგოთ ხალხის სულიერი განწყობილება. „რა შეგვეხება ჩვენაო“, — სთქვეს თურმე გლეხებმა, ბოლშევიკი მოერია მენშევიკს და ანასუნ მის საქმესო“... ამბობდა ერთი.

— ხალხი, კაცო, თხაა — სთქვა მეორემ.

— თხა კი არა ჭკვიანია. თხები ჩვენ ვართ, რომ წამოვცვინდით...

გადაუხვია სიმონმა სასტუმროსკენ. ჩაუჯდა თავში სიტყვა — ანასუნ.

— რა არის — ანასუნ. ანა-სუნ... ცუდი სუნი კი უდის ამ სიტყვას. ანასუნ მის საქმეს... გაიცინა მან და შევიდა სასტუმროში. ამხანაგები სადილობდენ.

— რა გიჭირს, ჩვენ ჩამოვტყავეთ ქალაქი საგზალისთვის, შენ კი დადიხარ, დასეირნობ ხომ იცი, ძმაო, ეხლა კომუნიზმია. ბატონყმობა დაემხო — შესცინეს სიმონს ამხანაგებმა.

— მეც მოვიტანე, — სთქვა სიმონმა. მიაგდო მაგიდაზე — ორი გირვანქა ხმელი ქლიავი, სარდინკა და თხელი მჭადი.

— სხვანაირდება ქვეყანა. ნითელი საქართველო. საბჭოების. როგორ მოგწონთ.

— საქართველო ხომ არის და ნითელი იყოს, თუ გინდ ყვითელი სულ ერთია. —

— აღარაა, ჩემო ძმაო, საქართველო, თუ არა კარგი შენ, — ამოიოხრა მეორემ და ჩამოასხა ღვინო პატარა ტიკიდან. — აღარაა თუ დამიჯერებ და...

— სანამ ამ ღვინოს სვამ, სანამ სული გვიდგია და ქართულად ვალაპარაკობთ მანამდი საქართველოცაა. ესაა საქართველო და სხვა გვარი ის არასოდეს არ ყოფილა. აი მაგალითად, რომ მოხდეს მიწის ძვრა, ხელმეორედ ჩავარდეს გორი, გავარდეს ბსკერი ტფილისს — ეს სხვა საქმეა. ამისი მართლა მეშინია. ისე რა გვიჭირს...

რუსები რომ მოვიდენ.

უცბად შესწყდა ლაპარაკი. სხვა და სხვა ფიქრი და აზრი იყო თვითეულის გულში ამის საპასუხოდ. მაგრამ ყველამ არჩია — შეენახა თავის აზრი საკუთრად. სიმონი უყურებდა ამ კამათს. რომელიც უცბად შესწყდა. წამოეშველა — სთქვა.

— ბატონო, ა. წავიდეთ და ვნახოთ. რას იტყვიან ეს რუსები. ეხლა მიტინგი იწყება.

აალაგეს მაგიდა: შეხვიეს მაგიდაზე გადაფენილი გაზეთები — „ერთობა" და „ეხო ბატუნა". გამოიტანეს ქუჩაში — გადააგდეს.

მოედანი ირეოდა. სამიტინგოთ ჩამდგარიყო მრავალი, სალაპარაკოთ კი — სამი სული: მაღალი ხმელი ქალი, გრძელ წვერა ქართველი მოხუცი და თოფიანი რუსი. ჰქროდა ქარი. მოხუცი ეხვეოდა საკუთარ წვერებში (თვითონ პატარა იყო, მოკლე წვერები დიდი) ქალი და ჯარისკაცი კი ეხვეოდნენ წითელ ბაირაღში.

ლაპარაკობდნენ ქართულად და რუსულად. ტკბილი იყო და შემარიგებელი საუბარი ძმობა-ერთობაზე, თავისუფლებაზე, პროლეტარიატზე და იდეალებზე. ეტყობოდა — „ამგენმა" ლაპარაკი მენშევიკებზე უკეთ იციან. მაგრამ უნდა სთქვას კაცმა სიმართლე: კარგად იცოდნენ ლაპარაკი მენშევიკებმაც.

ბევრს — მოხუცი კაცის კაკანა ლაპარაკი არ მოსწონდა. სხვა დროს შეიძლება მოეწონებოდა ვინმეს ეს ლაპარაკი — ქართველერზე. მაკედონელ ალექსანდრეზე და ბუცეფალზე, მაგრამ უბედურება იმაში იყო, რომ ამ წვერიან კაცს გვერდში თოფიანი რუსი უდგა, რომელიც აგრეთვე ლაპარაკობდა. თოფიან რუსს თოფი ჰქონდა ხელში და ეს აფუჭებდა ბებერი კაცის საქმეს. ადამიანი ყოველთვის ორში ირჩევს ერთს. მოქალაქემ აირჩია რუსის ჯარის კაცი, ვინაიდან ის საქმის კაცია (თოფი მაგას კიდია და ზარბაზანი). ვინაიდან ძალა უთუოდ მის ხელშია. ზურგი აქცია მოქალაქემ ბებერ კაცს, თუმცა გულდასმით არც რუსის ლაპარაკი მოუსმენია მაინც და მაინც. ან და რათ აინტერესებდა მოქალაქეს წვრილმანები. უმთავრესი იყო საქმიანობა და ეს იყო საინტერესო სწორეთ. ეს უმთავრესი კი მან უკვე იცოდა. უმთავრესი იყო რამ —

— გადავრჩი...

მოაწია საღამომ. ცის [illegible] ცალთვალა მზე. იხედებოდა წითელი მზე წითელის თვალით. აჭარის მთებზე ჩამოჯდა ბანჯღვლიანი ღამე. მრისხანეთ გადახედა მზეს. თითქოს — გაიპარე აქედან ჩქარაო. მზემ ჩაყვინთა ზღვაში. მოვიდა მსუბუქი ღამე. და ღამეს მიეგება ქალაქი (მოქალაქე) ასეთის ფიქრით:

— გავიდა მთელი ღამე (მთელი ღამე) ბოლშევიკების ხელში. ფეხზე ვდგავარ მთელი დღე. ვიყავი რევკომში. ვნახე ჯარი. ვნახე მიტინგი, ვნახე ყველაფერი და მაინც ცოცხალი ვარ... ხომ ცოცხალი ვარ..., ცოცხალი ვარ. ცოცხალი ვარ...

მიტინგიდან ეს გრძნობა გადაიფანტა ქალაქში. დაღამებისას მოქალაქეს უკვე ჰქონდა გეგმა და გამონყობილი შეხედულება საქმეზე. მოქალაქემ უკვე იცოდა ბევრი რამ. ცოტა კი არა ბევრი რამ. მაგრამ ჯერჯერობით არ ამხელდა რამეს. გამოურკვევლად კი იტყოდა:

— თუ კაცი ჭკუით იქნება... მოუნო.

უკანასკნელ სიტყვას მოქალაქე იტყოდა რუსულად. იტყოდა ისეთის ტონით, ისეთი მიმიკური გრეხვით და ხელის გაშლით. რომ ამ სიტყვის შემდეგ იგულისხმებოდა ყველაფერი.

— შეიძლებაო... იტყოდა მხოლოდ. და რა შეიძლება — იცოდა მხოლოდ მან, მოქალაქემ, რომელმაც გაატარა მთელი დღე ბოლშევიკების ხელში და მაინც ცოცხალი დარჩა. შეიძლება... მუშაობა. შეიძლება... იქნება მოქალაქე ამ სიტყვას იქით გულისხმობდა: შეიძლება... საქმეების გამოჭახრაკებაც კიო.

ვინ იცის, ვინ ჩაუძვრება ადამიანს გულში.

ბევრი რამე იგულისხმებოდა ამ სიტყვას — „მოუნო"-ს იქით.

ასე დაღამდა ეს დღე. და ამ დღემ სთქვა:

— მოუნო.

6

მეორე დღეს შუადღით ტფილისისკენ მიდიოდა საგანგებო მატარებელი.

მატარებელი დაინიშნა, რომ წაეყვანა ტფილისში —

გამოქცეული მოსამსახურეები.

ჩვეულებრივი მოქალაქენი (ლტოლვილნი).

და უჩვეულო და არაჩვეულებრივი ხალხი.

დილით უკვე ახალი მთავრობის გაზეთები გამოვიდა ბათომში. გაზეთი ამშვიდებდა ხალხს — მოუწოდებდა: შემოერთდით ყველანი ჩვენს გარშემოო.

ეწერა გაზეთში აგრეთვე — ტყუილია ჭორები, თითქო ჩვენ ვატყავებთ მოქალაქეს. თითქოს ვხდით მას ტანსაცმელს. კარგი ჩაცმა-დახურვა ჩვენც გვიყვარს. ამის წინააღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდეგი ახალი მთავრობა როდიაო. ჩაიცვით, დაიხურეთ, ნუ შეშინდებითო.

ეს ამბავი ბევრს ესიამოვნა, რადგანაც ბევრმა გაიხადა, რაც კარგი რამ ეცვა. ძველებში დადიოდა ყველანი, ამ განცხადებამ კი ოდნავ დაამშვიდა მოქალაქე. მაგრამ ოქროს საათი მაინც შენახული ჰქონდათ საიმედო ადგილას. ვინ იცის რა მოხდება. ერთიც ვნახოთ და...

ოქროს ძეწკვიან საათზე ყაითანი მოაბა. შავი ყაითანიც კარგია ძეწკვით. მშვენივრად ამაგრებს საათს. ჰო, და შემდეგ — ვნახოთ. იქნება საათმაც მიიღოს ძველი ეშხი ჯერ-ჯერობით კი იაროს საათმა პროლეტარულად. მოითმინოს. დიდხანს ნებივრობდა ბურჟუაზიულ ძეწკვზე ჩამოკიდებული...

დაბარგული მიეშურებოდა სადგურისაკენ ყველა.

სადგურის ახლო ფორტებზე დილიდან ბრძოლა იყო. იბრძოდა ქართველი ჯარი.

ფორტებში იჯდა თათარი, არ იქნა მისი გამოდევნა. იბრძოდა სასტიკად. თავგამოდებით. თათარს ბათომი სწყუროდა. დაიჭირა კიდეც ქალაქში — ფოსტა, საბჭო, რამოდენიმე სხვა ადგილიც. ჩაჯდენ სახლში. გამოჰკიდეს ანგორის მთვარე და გამაგრდნენ. არ გამოდიოდენ გარეთ. სახლის წინ კი იდგა ხიშტიანი წითელი რუსი ძაბრის ქუდით. იდგა და არ იცვლიდა ფეხს. არ უშვებდა თათარს გარეთ. შიგნი ვერ შედიოდა რუსი — სახლი ყუმბარებით იყო სავსე. ამიტომ იჯდა თათარი ალყა შემორტყმული, სანამ სურსათი არ გამოელიათ. სამაგიეროდ თათარი იბრძოდა ფორტებზე.

თათრის კუნძულები იდგა ქალაქში ერთი კვირა.

მაგრამ ფორტებზე მოფშვნეს თათარი ერთ დღეს.

ეს ქნა ქართველმა ჯარმა. გამორეკა სანგრებიდან მტერი. ამოყარა და გააქცია.

შუაღამისას ბრძოლა შესწყდა.

სადგურზე ქშინავდა მატარებელი. ხალხი ემატებოდა სადგურს თანდათან.

ემზადებოდა წასასვლელად ახალის იმედით. ახალის შიშით. და ახალის მღელვარებით. — ვინ იცის რა შეხვდება კაცს გზაში.

მივდივართ კი — მივდივართ. მაგრამ ერთიც ვნახოთ: დაგვწყვიტონ გზაში ბოლშევიკებმა. ან ტფილისში დაგვემართოს ფათერაკი.

ასეთი ფიქრი აწუხებდა ყველას. და იმედი იყო მხოლოდ ერთი — ყველა მიდის, მეც ვიქნები ყველასთან ერთად. ბათომს გადურჩი — წინ ამხელა გზაა. შემდეგ ტფილისი. იქ ხომ არის და არის.

ბედზე ლოცულობდა მოქალაქე — ტფილისისათვის გამზადილი. ამ ბედს ნაყარ-ნაყარ და საკუთარ თავს.

იყო ლაპარაკი:

— აფეთქებულია ხიდები, ჩავრჩებით გზაში. საშიშოა. დავიღუპებით.

დაიძრა მატარებელი. წააკივლა სადგურს და წაიღო ტვირთი აღმოსავლეთისკენ.

ყველამ გაიკრა ხელი ჯიბეზე —

ხომ თავის ალაგას არის ბილეთი. ხომ არ დაკარგულა ვარსკვლავიანი მოწმობა. (არ დაკარგულა. რიგზეა ყველაფერი).

ფიქრში (გუნებაში) გადიწერა პირჯვარი ყველამ. ამ ნიშნის საქყვეყნოდ გამოსახვა სირცხვილი იყო კულტურული კაცისთვის. ერიდებოდათ. გულში კი ყველამ ახსენა ღმერთი: ეხლა იწყება. გადამარჩინე ღმერთო, მეუფეო.

ნელა მიდიოდა მატარებელი დაბეჟილ გზებზე. მხოლოდ საღამოს მიაღწია აფეთქებულ ხიდს. გადმოსხა მგზავრები და დაბრუნდა უკან. დამხდური მატარებელი არ იყო. დარჩა მგზავრები ცის ქვეშ.

ღამე. შიში. გამოურკვევლობა.

ჯარის ნაწილები დახეტიალობს ამ ადგილებში. შეგვეფეთოს რომელიმე. ეხლა ხომ აღარაა უფროს-უნცროსობა. მიგახევს შენს ვარსკვლავიან მოწმობას. გაგატყავებს და მიგახვრეტს სადმე თხმელის ძირას, წადი და ეძიე მერე შენი უკანონოთ დაღუპული სული.

შეიქნა თათბირი — რა ვქნათ. და ღამეში უეცრათ — მეხივით გავარდა საშინელი სიტყვა:

— ეძებენ.

შიში დაეცა გულს ლახვარივით. გაიარა მთელი ტანი და გაჩერდა ფეხებში. ფეხებმა შიში ვერ სძლია და ფეხები აკანკალდა.

ვის ეძებენ. რას ეძებენ. ვინ ეძებს.

— დაიწყო... ფიქრობდა ზოგი.

— ეს არი — ამბობდა მეორე.

ალყათ შემოეხვია ძაბრიანი ჯარისკაცები მგზავრებს. ჯარისკაცები მეტად თავაზიანი იყვნენ. ამიტომ ზოგი თამბაქოს აწოდებდა მათ. ზოგი პურს. (ზოგი ჩუმათ შეასმევდა ღვინოს).

ეძებდნენ იარაღს. იარაღი არ აღმოჩნდა. წავიდნენ.

გლეხებს მოეწყოთ ახალი ორგანიზაცია — სატრანსპორტო საზოგადოება.

მუშაობდა ასამდე გლეხი ორგანიზაცია — სატრანსპორტო საზოგადოება.

მუშაობდა ასამდე გლეხი. ხიდი აფეთქებული იყო. მატარებელი არ გადიოდა. ეზიდებოდა ურმები შემდეგ სადგურამდე. უცდიდა ამხანაგობა მსხვერპლს (ჩაგიყვან, ბატონო , სამტრედიამდე). მივარდა მგზავრი გლეხთან — შეტრიალდა დამწვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივით უკან. — გლეხმა დააფასა მომენტი. მომენტი უდრის საუკუნეს. იცის გლეხმა მომენტის დაფასება. ამისათვის არაა საჭირო მინისტრობა.

ბრძანა ფასი გლეხმა ასტრონომიული. დაესო ამ ფასზე და არ მოიცვალა ფეხი. გაატყავა გლეხმა ინტელიგენტი. გაფცქვნა და აიკიდა ზურგზე.

სიმონი მოყვებოდა ურემს გვერდით. რიონის ველზე ამ ცივ ღამეში სამი ნელი ყვირილი იდგა. გარემო სდუმდა გაციებული. დაფარული ცივი ნისლით. მთვარე ასხამდა რძეს ნოტიო ველზე. ხმები სჭრიდა ცივ პაერს. გადიოდა ტყეში. იშლებოდა ველზე. ტლაშა-ტლუში სახრეების არ სცხრებოდა. ურმები მიდიოდენ ნაყანებში (გზა არ იყო) ურმის ბორბალი ღერძამდე ეფლობოდა აფუნებულ მიწაში. და შუაღამეზე ქარავანი დაეფლა ჭაობში.

უცაბედად გადაუხვიეს გზას. შესტოპა წინა ურემმა, მიყვა უკანა. დაეფლო მთელი ქარავანი. დაიკარგა მიმართულება. შორიდან ყვიროდენ გზის საძებრი გაგზავნილი გლეხები (ეშინოდათ შორს ხომ არ ნავედითო).

გაჩერდა ყველა შორიახლოს. უცდიდენ რაღაცას. ზოგი ფიქრობდა გათენებამდე აქ დარჩენას. მაშინ უნდა გამოეხსნათ ხარები. გასულიყვნენ ტყეში. ტყის ეშინოდა ყველას. ზოგი არაფერსაც არ ფიქრობდა (რა დროს ფიქრია). ღამეს ახელებდა ძაღლის ყეფა, ნამოეყვანა ვიღაცას თეთრი მეძებარი, ხტოდა ძაღლი. ეძებდა რაღაცას. ცეცხლს უკიდებდა. უცბად გაექანა. აყეფთა საშინლად. მიხვდა ყველა — რაღაც ამბავი მოდის, რაღაც ახლოვდება ღამეში. მოისმა ხმა — ბრაგუნი. ცხენის ფეხის ხმა. ატკაცუნდა ჩალის ღეროები.

შეშინებულის ხმით ნამოიძახა ვიღაცამ —

— რუსები.

ვიღაცამ შეჰკივლა.

ვიღაცამ დაიყვირა — თავს უშველეთ.

თავის შველა გვიან იყო: ცხენოსანი ყაზახები შემოერტყა ქარავანს ირგვლივ.

—

დამუნჯდა ყველა. გაცივდა ენები. მდუმარებაში გაისმა ვიღაცის ხმა:

—

—

— დავიღუპეთ, — იფიქრა მგზავრმა.

ყაზახი მოითხოვდა ჩემოდნების გახსნას — ვეძებთ ფეხსაცმელებს. (სახელმწიფო ქონებას). ვიცით, თქვენ ფეხსაცმელები მიგაქვთ. მგზავრებმა იცოდენ თუ გაიხსნებოდა ჩემოდნები — ფეხსაცმელებს თან წაყვებოდა მრავალი სხვა რამეც. გამოსავალი არ იყო. დაშინებული, დამფრთხალი მგზავრი მოელოდა ყოველგვარ უბედურებას.

შეუძლებელი იყო ასე უხმოდ გაჩერება. და შეიძლება ამიტომ დაარღვიო სიჩუმე. ვიღაცამ.

—

შეხტა ყაზახი. გაგულისდა. —

—

—

გაისმა აქა-იქ ნაძალადევი სიცილი. გამოეკიდა ამ სიტყვას... მაგრამ სერიოზული განზრახვით იყო მოსული ყაზახი-რუსი. გადაკრა მათრახი ცხენს. ცხენი შეხტა. წამოწია წინ.

—

გასწირა თავი ერთმა და გამოელაპარაკა ყაზახს:

— ჩვენ ღარიბი მოსამსახურეები ვართ. სახელმწიფო (კაზიონი) თუ რა იყო. თან ნაიღო მენშევიკებმა.

ყაზახი ჯინიანობდა. გამოსწია ფეხი აბჯანდიდან.

— აი, ხედავ რითი ვიბრძვი... და უჩვენა გახეული წუღა.

— რა ვქნათ, ამხანაგო, აი, მე ჩექმები მაქვს. გავიხდი, მოგცემ. თუ გნებავთ...

— თქვენ ხომ ვერ ივლით ფეხშიშველი... (პირდაპირ ასე სთქვა ყაზახმა — თქვენ ხომ ვერ ივლით ფეხშიშველი). —

მაშ, რა ვქნათ. იყიდეთ ამხანაგო.

— რითი? სად უნდა ვიშოვო ფული.

— აი, ამხანაგო — მგზავრი მიუახლოვდა ცხენოსანს. (დადგა განკითხვის წუთი) აი ამხანაგო... ჩექმისთვის ფულს მე მოგართმევთ. მეც ღარიბი კაცი ვარ, მაგრამ თქვენი მდგომარეობაც ხომ ძნელია. აი — მგზავრმა ამოიღო პალტოს ჯიბიდან ფულის ბონა. გაპყო შუაზე. ამ დროს წამოიწია ზევიდან მხედარმა. მოეხმარა მგზავრს ამ საქმეში. ნაზად დაადო ფულს თითი — მესამედი მგზავრის მხარეზე დასტოვა. დანარჩენი ასწია ზევით. ჩაიდო ჯიბეში.

მდუმარება...

—

დაიძახა ყაზახმა და მოწყდა ცხენი. ატკაცუნდა ჩალის ღეროები. თეთრი ძაღლის გულმოსული ყეფა შეუერთდა ამ ხმას და მალე ყველაფერი დამთავრდა.

—გადავრჩით.

— მადლობა ღმერთს.

გაჩნდა სალაპარაკო. გამოირკვა მრავალი ახალი გარემოება ამ საქმეში. ყოველი მგზავრი მოვალეთ სთვლიდა თავს შეეტანა წვლილი ამ ზეპირ გადმოცემაში, რომელსაც ჰქვიოდა — საშინელი შემთხვევა რიონის ველზე.

შემდეგ გაჩნდა კითხვები —

— რამდენი წაიღეს. ვის წაართვეს. რა წაართვეს.

გამოირკვა — ადვილად გამოვსულვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილაცამ გაიცინა. ვილაცამ დალოცა ზდილობიანი ყაჩაღები. ვილაცამ მათ სასარგებლოთ შეწირულების მოგროება განიზრახა.

ამ შემთხვევამ თითქოს ხარებსაც შემატა ძალა. გლეხებს. ხარებსაც. მგზავრებსაც.

— ჰეი... ჰო... ჰუ... აპა ბიჭო ...ოოო. ხიი... ოოო.

დაიძრა ქარავანი.

დილით მიადგნენ ორპირის ბორანს.

შუადღეზე შევიდენ სამტრედიაში. ქალაქი სამტრედია (ქალაქი სამტრედია) გაფხეკილი, შემწვარი ტარანივით.

ეხლა კი გაცივებული და ტალახში გასვრილი.

აქ იყო რევკომი. აქ იყო ახალი კომენდატი — (სადგურის ყველაზე უფრო საშინელი და საჭირო კაცი. აქედან იწყებოდა ახალი ურთიერთობა ახალ მთავრობასთან.

გაინურა მგზავრები სამტრედიის ქუჩებში.

ყოველ მათგანს ყველაფერზე უფრო აქ დასჭირდება ერთი სიტყვა.

— ამხანაგებო...

გაეჩვია მოქალაქე ამ საქმეში...

— ამხანაგებო, ეს რა ღირს. ამხანაგო, ეს რა არის...

გულში იცინის მოქალაქე. ეხალისება, რომ ეს სიტყვა — „ამხანაგო", ასე კარგად გამოდის.

„ამხანაგო". „ამხანაგო".

რა საჭირო ყოფილა ამხანაგობა. თურმე...

7

ტფილისი. ტფილისი.

ეს სიტყვა ითქვა ერთი კვირის შემდეგ.

მთელი კვირა გრძელდებოდა მოგზაურობა (ბათომიდან ტფილისამდე).

სიტყვა ტფილისი ითქვა მეშვიდე დღეს — დილით.

უცნაური გრძნობით აივსო მგზავრები.

ალბათ ასეთი გრძნობა აღელვებდა კოლუმბის მეზღვაურს, გემის ანძაზე რომ იჯდა, პირველათ რომ დაინახა შორეული ნაპირი. პირველმა რომ იყვირა —

— ძიწა, ძიწა.

ტფილისი.

ყველა ეცა ფანჯრებს: ნისლში (თეთრ ნისლში) მოსჩანდა ტფილისი. მტრედივით დამჯდარიყო მთის კალთებზე მამა-დავითი.

ტფილისი.

ალბად. ვერასოდეს ვერ ახსნის ქართველი კაცი ამ საიდუმლო სიტყვას. ტფილისი მარტო სითბოსგან წარმოშობილი როდია. მაშინა კიდევ სხვა რაიმეც — რომელიც აძოფარებულია ლანდივით ამ სიტყვის უკან. და ის მეორე, ის ლანდი ამ სიტყვისა — იდუმალათ ჩასრესილია ქართულ ბუნებაში. ქართულ სისხლში. აზრის გარდა აქ ... დევ უაზრობა, გაუგებარი, მიუ... ... ღაც, რომლის შესახებ ვერ ფიქრობ გარკვეულის ფიქრით, მაგრამ რომელიც მუდამ გახვევია, რომელსაც სუნთქავ, სვამ. გრძნობ ყოველის გრძნობით და იმავე დროს ვერ გრძნობ. ვერ ხედავ — მიუცილებელს და ხელუხლებელს.

ეს სიტყვა ჩალესილია ქართულ სხეულში, რადგანაც პირველი ჰაერის ნონა, რომელიც შესუნთქა ამ ადგილას პირველმა ქართველმა — ეს ჰაერი შთამომავლობით ხტის ყოველი ქართველის ცისფერ ძარღვში. და როდესაც ითქმის სიტყვა — ტფილისი — ქართველ კაცში ადუღდება სისხლი საუკუნეების. ალაპარაკდება ხმები, აქ რომ ისმოდა ათასი წლის წინეთ.

ტფილისი როდია გეოგრაფიული ტერმინი. ტფილის პატოლოგიაა. ტფილისი ატავისტური ბგერაა ქართველი სისხლის. ეს არის ატმოსფერო, ფლიუიდი საუკუნეების — უჩინარად რომ დადიან ქართულ ჰაერში და ეხვევიან ქართულ ფიქრს, ქართულ საქმეს. ქართულ აზროვნებას.

ტფილისი — მარადიული სითბოა ერის.

ეს სითბო უწყვეტელ ბგერათ მოდის იმ დროიდან აქ რომ პირველმა ქართველმა დაიძახა ეს სიტყვა.

და ტფილისი არ გაცივდება. არ გაცივდება საქართველოც. რადგან ტფილისი გამთბარია ორი ათასი წლის განმავლობაში დაღვრილი თბილი სისხლით. ეს თბილი სისხლი გადმოდის ტფილისში, როგორც სამკურნალო წყალი. და გვათბობს ეგ სითბო ჩვენ.

განა, დააკვირდით ამ სიტყვას. თითქოს დედა ქალაქს წინეთ ერქვა „თბილი სისხლი". და ოდესღაც. სადღაც, ამ სიტყვას მოსტეხია ბოლო, დარჩა მარტო — ტფილისი...

ამ სითბომ გაუარა ყველას როდესაც დაიძახა ვილაცამ ამხელა სახელი.

ახსოვდა სიმონს. —

ერთი თვის წინეთ სტოვებდა ტფილისს.

ერთი თვის წინეთ — ცეცხლის ნითელი არმია ევლებოდა ქალაქს გარშემო. დაისის წითელი ალივით იდგა ცეცხლი მთებზე. და ჰფიქრობდა სიმონი ეხლა — ასი წლის წინეთ ეს მიდამოები უკანასკნელად განოყიერდა ქართული სისხლით. გათბა ტფილისი და გაათბო ამ სისხლის მადლმა საქართველო. ალბათ — დრო იყო ახალი შემობერვის. ახალი სითბოს დაცლის. ალბად საჭირო იყო მოღალული ჩქერის გაცხოველება.

საჭირო იყო, ალბათ, სისხლი.

ერთი თვის წინეთ სისხლი უვლიდა ამ ქალაქს. ანვეთდა მას თავზე, როგორც გახს-

ნილი ქრისტეს მკერდიდან — ცხელი წვეთები. ასეთია საქართველო ფიქრობდა სიმონი ესაა ქართული გზა — საქართველო, გამნურავი საკუთარი ძარღვების. საქართველო სისავს სისხლის ხორბალს და ხორბალი ამოდის ოქროდ. და სიმბოლური არის ამბავი: — ვიღაცამ, ოდესღაც მოიტანა აქ ქრისტეს კვართი. წითელი პერანგი ქრისტესი ჩახატული იყო ქართულ ღერბში ძველათ. წითელი კვართი. წითელი ფერი — ნიშანი უკანასკნელი წამების, გოლგოთისა და ნიშანი ამაღლებისა და აღდგომის.

აგონდებოდა სიმონს ქალაქიდან წასვლის უკანასკნელი ღამე.

სადგური. ჩუმი ხალხი და მკვდარი მატარებლები. იუდმალი ხმები. დახუთული გაგუნი სადგურისა და საზარლათ მდუმარე გზა.

მცხეთა. სვეტიცხოველი.

სვეტიცხოველი. იქვე — ხიდი მაკედონელის დროიდან. ვის არ გაუვლია ამ ხიდზე. ვინ არ მოსულა ამ გზით. რამდენმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, განვლო და გადაიარა.

სდგას ხიდი. სდგას სვეტიცხოველი.

მაშინ იყო — იტირა სიმონმა. იმ ღამეს იყო (ტფილისიდან მიმავალმა) მოიხადა ქუდი ჩუმად ვაგონში. მიაკრა ცხელი სახე ცივ ფანჯარას და ფანჯარა ჩამოხაზა ადუღებულმა ცრემლმა...

სდუმდა მაშინ სვეტი ცხოველი. სდუმდა მცხეთა. თითქოს ლოცვათ გამდგარიყო ტაძარი. თითქოს იმ ცივ ღამეში, როდესაც სვეტიცხოველი ასრულებდა მარადიულ რიტუალს, არ ფიქრობდა ტაძარი, თუ რად ღელავდა ადამიანი, მატარებელი, რათ ჩამოხაზა ფანჯარის მინა ცრემლმა.

ეხლა კი — მიხვდა სიმონი — სულმოკლე იყო ადამიანი. მართალი იყო სიმშვიდე ტაძრისა იმ ღამეს. მართალი იყო ის ხიდის მოდრეკილი ზურგი — პირველად რომ გადაატარა პომპეუსის ლაშქარი. არ სტყუოდა კიდევ ეს მღვრიე მტკვარი — რომელიც ისევ წყნარი და შურდულად მსვლელი იყო, როგორც მაშინ — პირველად რომ დალია ეს წყალი რქა მაღალ ირემმა.

დიახ, ისევ ტფილისი, ტფილისი ხელახლა.

ფიქრობდა სიმონი წინეთ, რომ აღარ იქნება ამიერიდან ტფილისი, რომ აღარ არსებობს იგი. ყოველ შემთხვევაში იმ ღამეს, როდესაც ამ ქალაქს შორდებოდა, მისი ფიქრი იყო აღარ იქნება აწი ტფილისი. შეიძლება დარჩეს ნანგრევები, როგორც მიწისძვრის შემდეგ. სხვა რამე კი აღარ დარჩება ხსენება იქნება მხოლოდ იმ ქალაქის. ეხლა — ხედავს: ტფილისია. უფრო ტფილისი. აი სცურავს მსუბუქ ნისლში [illegible] ქრება თანდათან. ქალაქი იხატება რელიეფად, ცხადად, დიახ. ტფილისია და სიხარული კიდევ იმ გრძნობით გადამეტებული, რომ არის ტფილისი და მეც ცოცხალი ვარ. ორივე ვართ. აი შევხვდებით. მალე. მალე.

სდგას ვაგონის კიბეზე სიმონი. და ლურჯი თვალის უპედან ოდნავ ახელს თვალს. დაღალულს, უძილობისაგან დამძიმებულ თვალს.

გაჩერდა მატარებელი.

სადგური. ვაგონები. ჯავშნოსნები. წითელარმიელი. პლაკატები.

გაყვა. გავიდენ ქუჩისკენ მგზავრები.

იყო ფიქრი — დააკავებდენ ყველას აქ. მაგრამ ეს არ მოხდა. თითქოს არავის შეუმჩნევია ახლად ჩამოსულნი. თავისუფლად მიდიოდენ. და მათი ბედის მონანილე თეთრი ძაღლიც თავისუფლად შევიდა სადგურში. შევიდა და შეაყეფა — კარებში შეხვდა მეორე ძაღლი.

— ხლაფორთს გადაგვიდებს ეს ძაღლი, — სთქვა ვიღაცამ ნერვიულად. — ვისი ჯანდაბისაა...

მართლაც ყეფაზე ძაღლს წითელარმიელი გამოენთო. ძაღლი თამამად შეხვდა მასაც. მიაყეფა სხაპა-სხაპით და გაჩერდა გასაკვალ კარებში გულმოსული. არმიელმა გაიცინა. გააქნია თავი და გავიდა პერონზე.

ძაღლები კი ერთი მეორეს შეეხალა. რაღაც წაილაპარაკეს ძაღლურათ. გამოეცნაურენ ერთი მეორეს.

ეტყოდა დამხდური.

— ვინა ხარ, ჩემო ძმაო. ასეთ ამბებს რომ ჩადიხარ, გეტყობა ახალი კაცი უნდა იყო. ალბად, ახლა ჩამოსულხარ. აქ მასეთები აღარ გადის. სულ სხვა ამბებია. საიდან მოდიხარ. კონტრ-რევოლუციონერი უნდა იყო უთუოდ გეტყობა.

მოსულმა არ ჩააგდო ჭკუაში დამხდურის ნათქვამი. თითქოს უპასუხებდა. №

— აქაურობა შენზე კარგად ვიცი მე, ჩემო ძმაო. რა უნდა ვქნა — ისიც კარგად გამეგება. ჭკუას ნუ მასწავლი.

და ჩამოსულმა ძაღლმა უდიერად მიასველა კიბის ყურე.

მეგობრული საუბარი მოაწყო ძაღლებმა.

შერიგდენ.

და შემდეგ იქვე მგზავრების წინაშე ორმა, ახლად გაცნობილმა წყვილმა საქმით გამოხატა თავისი ინტიმური გრძნობანი.

1923 წ.
პარიზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკა გაძრაძე

* * *

მე დავამთავრე.
თოჯინებო.
თქვენთან თამაში
და როცა ისევ გადამძალა
ჩემი ბავშვობის
მზისფერმა სევდამ
ავდექი და
მონანავე ქარის უბეში
წვიმის წვეთებად აკინძული
მონატრების ფარდა გავფინე

* * *

(სიტყვებო... სიტყვებო...)

რა უცებ მეცლებით ხელიდან.
რა უცებ გაკლდებათ სითამამე.
როგორ დავიჯერო.
ისე დამამშვიდებთ.
აღარ დამიტოვებთ წუხილს სანუგეშოდ
როგორ მათქმევინებთ: არღა ეშველება
მაგას ვეღარავინ გაუგებსო...

* * *

უსათაუროდ დარჩენილი ლექსის არ
იყოს.
უსადაუროდ გაჩენილი კაცის არ იყოს.
ბედმა რაგვარად უნდა გაგრძელოს
სხვისი ავ-კარგი ვეღარ გაიყო...

ყველა ტკივილი ჟამმა წარიღო.
ყველა კლიტული კარი გაიღო.
ბოლოსდაბოლოს მხეცმაც გაიგო.
ღრუბლის ლოგინი ცამაც დაიგო...
ხე ცდუნებისა მაინც დაირგო,
ციხე გოდოლი მაინც აიგო.

ნ. „მნათობი", № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

და ყველაფერი
რაც ყოველთვის ხდებოდა და
მომავალშიც უნდა მოხდეს
მხოლოდ იმიტომ,
რომ ოდესმე მაინც მიხვდე
მხოლოდ იმიტომ!

რომ ყოველივე, რაც ამ ქვეყნად
კაცის ხელით და
სიყვარულის სახელით ქმნილა...
სიცოცხლესა და უკვდავებას
მოემსახუროს.

* * *

მე მონატრების ჩუმი სევდა
მომიყვანს თქვენთან.
ასე საოცრად ახლობელი მიწის
ძახილი...
და რა თქმა უნდა ვიქნებით ერთად
ყველა მართალი კაცის სახელით

მე დამამშვიდებს ამ ცისა და მიწის
სინაზე
და გაგახსენებთ, რაც ესოდენ
გაკრთობდათ წინათ;
და დაწყვეტილი სულის სიმებზე
დაგედინებით ნუგეშის წვიმად.

* * *

ყოველი წუთი
ასე საოცრად მძიმე და მძაფრი
ყოველი წამი
დატვირთული რაღაც ძვირფასით
იმდენს იტევს და ისე, სავსეა,

რომ ზოგჯერ, კიდეც მეშინია
ასე სათუოდ გამოწვლილვით
გადანახული...
ცუდუბრალოდ არ დაიხარჯოს...
ჩემი გულის სალარიოთგან...

* * *

იმაზე მეტი რაც გაგაჩნია არც რა
არა გაქვს,
რაც მოიპოვე ვაი-ვიშით და სულის
მიხდომით
ჰოდა იკმარე რამეთუ მიზეზს
უმთავრეს მიზეზს
თავის თავში უნდა დაძებნა.
რა გაგაჩნია რისი იმედით?!

ერთხელ მაინც თუ დაფიქრებულხარ..
როდემდე უნდა ითრიო ფეხი?!
სხვა გზა არა გაქვს... შეისმინე,
სხვა ხსნა არ არის...
იმაზე მეტი რაც ხარ — არა ხარ...
რისი გულისთვის,
ვისი იმედით?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტეფანე კასრაძე

თარი-არალე

რომანი

17

ნაშუადღევის ექვსზე, ჯერ კიდევ დღე იყო, როდესაც კოტეს თანხლებით, ბატონი სოლომონ ფერეული შევიდა საკათედრო ტაძრის გალავანში.

ნაწვიმარზე ცხელოდა და დასავლეთით გადახრილი მზე, ისე წარმოადგენდა გალავნის კვიპაროსებს, თითქოს ისინი ყოფილიყვნენ დახრუკულნი.

სოლომონი, სიარულში, როდესაც შუბლზე მომდგარ ოფლს იწმენდდა, ისე ოხრავდა, როგორც იციან მოხუცმა მამაკაცებმა, რომელთაც საზრუნავი დაულაგებიათ და კმაყოფილი არიან.

ტაძრის კარები ღია იყო.

სოლომონი ტაძარში შევიდა, კოტე ჭადრის ძირში დაჯდა. (ჭადრებიც იდგნენ გალავანში და ისინი, როგორღაც პოულობდნენ ჰაერს და მათი ფოთლები მხიარულად ქშუოდნენ.) ეხლახან დაერეკათ ლოცვისა. მაგრამ ლოცვა ჯერ არ დაწყებულიყო.

ტაძარში გრილოდა და იდგა ერთი იმ საკვირველ სიჩუმეთაგანი, რომელიც მითაა საკვირველი, რომ თან ახლავს სხვა-დასხვა გვარი სუნნელებაც და სანახაობანიც, რომელნიც სიჩუმეს ეკუთვნიან თუ დამატებანი არიან სიჩუმესი და ძნელია გადაწყვეტა, თუ რომელია მათში მთავარი.

ტაძრის მნათე, მოხუცი ადამიანი, ანთებულ სანთლით მიმოდიოდა ტაძარში და ხატების წინ სანთლებს ანთებდა; ძველი, შავი ფერის ხატები იწყებდნენ ციმციმს.

მლოცველები არ იყვნენ ტაძარში. მხოლოდ ერთი ქალი, შავებში ჩაცმული, დაჩოქილიყო ეკლესიის სიღრმეში და ისევე მშვიდი სჩანდა, ვით სხვა ყოველივე აქ.

ლოცვა დაიწყო. გაისმა გალობა. აღსავლის კარებს მოედო საკმეველის ბოლი.

სოლომონმა ხელები წინ დაიჭდო, თვალები მილულა და მიეცა იმ აუშფოთებელ გარინდებას, როდესაც გონება ადამიანისა გაყუჩებულია, გაყუჩებულია აგრეთვე სხეული, მხოლოდ გაურკვეველი რაღაც ნაწილი ადამიანისა, რაშიაც ალბად გონებაც ურევია და სხეულიც, ადამიანისავე არსებიდან გამოდის და დაეხეტება ისეთ სფეროებში, რომელნიც გონების თვალთათვის არიან გადარაზმულნი, ვით ფუტკარი ადამიანისათვის, ისე აგროვებს სიტკბოებას, ამდიდრებს სულს. მაგრამ გარინდება მიტომაა და ისიც აუშფოთებელი გარინდება, რომ ადამიანმა არ

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 6.

იცის და არც ჰსურს იცოდეს, თუ მართლა სიტკბოებაა ეს, თუ მართლა სიმდიდრეა სულისა, ან ყოველივე ეს სინამდვილეა მართლა თუ მხოლოდ მოჩვენება.

„მერმე და მერმე უფლისა მიმართ ვილოცოთ!"

„მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა, კეთილად დგომისათვის წმიდათა ღვთისა ეკლესიათა და ყოველთა მათ ერთობისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ..."

ასეთი სიტყვები, ვით ძილში ისე ჩაესმოდნენ სოლომონს. სოლომონი ლოცულობდა. კონსტანტინე ფერეული კი, სოლომონის ვაჟი, გალავანში დარჩა და არ ისურვა ტაძარში შესვლა. სამაგიეროდ მან დაჰკარგა სიამოვნება, მიუხედავად ამისა, სოლომონი ვერ ჰკადრებდა შვილს, ამ საგანზე საუბარი ჩამოეგდო.

მომავალი თაობა ეკლესიას არ სწყალობდა.

დიდი ხანი იყო ასე გარინდებული სოლომონი. ლოცვა ჯერ კიდევ არ გათავებულიყო და ისევ გალობდნენ, როდესაც სოლომონს მოესმა ფეხის ხმა; უთუოდ ვიღაც სოლომონისაკენ მოდიოდა, მხოლოდ უცნაური ის იყო, რომ ნაბიჯები ისე ისმოდნენ, თითქოს ვინმე გუმბათიდან ჩამოდიოდა.

გაკვირვებულმა სოლომონმა თვალები გაახილა; ეს ის დაჩოქილი ქალი იყო; შავებში ჩაცმული, იგი თვალს არ აშორებდა სოლომონს და ოდნავ-ოდნავ იღიმოდა. სოლომონმა იცნო თავისი ქალიშვილის, მანანას, ფრანგული ენის მასწავლებელი; სოლომონმა იცოდა, რომ მანდილოსანს ერქვა — ანნა ივანოვნა! (გონებაში აღდგა მანანა, რომელიც იზეპირებდა; ლანდი, მარდი სეტ, მერკრედი პეტერ!). მხოლოდ ბატონ სოლომონს, ანნა ივანოვნასთან ნაცნობობა არ ჰქონია, მაგრამ რადგან მანდილოსანი დაჟინებით იცქირებოდა, ამიტომ სოლომონმა თავი მძიმედ დაუკრა.

ქალმა გაიღიმა, სალამი მისცა და წავიდა.

ცოტაოდენი ხანი კიდევ დაყოლილ ლომონმა ტაძარში და, [illegible] და.

ამ მანდილოსნის შეხვედრამ წონასწორობა ოდნავ დაარღვია. ჯერ მარტო ის იწვევდა უკმაყოფილებას, რომ გონება აღნიშნავდა უცნობ მანდილოსნის შეხვედრას: შემდეგ სოლომონმა სხვა რამეებიც გაიფიქრა და ყველაფერი უკმაყოფილოდ:

„აი, ამიტომ იყო, რათა სულიერ მშვენიერებისა და სიტკბოების მთლიანობა არ დარღვეულიყო, ბერები ეძლეოდნენ მარტოობას; ხოლო იმ მანდილოსანს, ანნა ივანოვნას, როდი ეპატიებოდა, ისეთი დაჟინებული, რაღაც სხვა-გვარი ცქერა, თითქოს თვალებით ეხებოდა".

უთუოდ, თუ კი ადამიანი შესძლებს და გაწვდება ისეთ მშვენიერებას, როგორიც სოლომონმა ტაძარში განიცადა, ამისი სიტკბოება უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ყოველგვარი ალერსი...! მაინც ქალი, რომ ყოველგან და ყოველთვის ქალია, როგორ გაიღიმა ანნა ივანოვნამ..!

რა ლევანის დატუსაღების ამბავი გაიგეს, სოლომონმა, სწორედ ისე, როგორც ლევანი ანგარიშობდა, ხელები გაშალა: ხელმწიფე ჩემო...

კოტემ გაიცინა:

— მაშ დაამწყვდიეს ვაჟბატონი! — და ამ სიტყვაში: დაამწყვდიეს!, იგულისხმებოდა დამწყვდევა პირუტყვისა, გინა ფრინველის, ხოლო საერთოდ დაცინვა.

მამა ღელავდა, მისი ფიქრით საჭირო იყო ეხლავე ნახვა: იმ ბრიყვის, იმ უგნურის, იოსა თავაძესი და ბავშვის განთავისუფლება!

კოტე ამბობდა:

— დაიცა, დაიცა! არაფერი არ არის საჭირო! — წარბშეჭმუხვნილი იგი ასე ეფიქრობდა:

დღეს ცოტაოდენი იარაღი იქნა გადატანილი; ეს კარგია, ხოლო ამის საფასურში, რომ ლევანი რამდენიმე დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეკაში დარჩეს, არც ეს არის ურიგო! — კოტემ განაცხადა:

— მე მომანდეთ ყოველივე! —

მას თუმცა არ განუცხადებია, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა, ონა თავაძისათვის არაფერი ეთქვა. შინაურები კოტეს დაეთანხმენ.

18

მზე დასავლით გადაიხარა და დაიწყო მიმწუხრი.

ტბა იყო ამ დროს წყნარი, ლურჯი და ელვარე; ლურჯნი იყვნენ აგრეთვე შორეული აჭარის მთები, რომელთა ანარეკლი სჩანდა ტბაში.

თომა და ონისიმე პატარა ბაიდაში ისხდნენ და ხმა გაკმედილნი, ვით ადამიანები, რომელთაც ლაპარაკი დიდი ხანია მოუთავებიათ, ქალაქისაკენ მისცურავდნენ.

ისინი, ფიჩორის მიდამოებში ამუშავებდნენ ყანას და ამის გამო, ხშირად უწევდათ ბაიდით მოგზაურობა.

ონისიმე უკანა საჯდომზე წამოწოლილიყო; მას ეფინა ალერდი სიმინდის ფოთლები, ხოლო თომა ნიჩბებით მუშაობდა და როდესაც გაიფიქრებდა რაიმე მრისხანეს, გაისმოდა მაშინ ნიჩბების ჭრიჭინი და ღრიალი გაკვეთილი წყლის. ასეთ დროს იყო თომა რომ გაუწყრა ონისიმეს, რომელიც თავისთვის ღიღინებდა:

— მოიცა კაცო, ყური დაუგდე სიჩუმეს! — ონისიმემ გულში ჩაიცინა და გაჩუმდა.

თომას გონებას ამ ჟამად იპყრობდა ერთი ბაასი, რომელიც მას კოტესთან შეემთხვა, და რომელიც, მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, იყო ცხარე და მღელვარე.

— მე მირჩევნია მომკლან, ვიდრე მოვკლა! — სთქვა ამ ბაასის დროს თომა ფერეულმა.

ბაასი სწარმოებდა ღამით, თომას კარავში და ამ სიტყვებზე კოტეს დაეტყო, რომ თავი შეიკავა, თორემ კინაღამ რაღაც წამოიძახა.

კარავში ანათებდა მთვარე. კოტე აკვირდა თომას და შემდეგ [illegible]

— ბიძია თომა, შენ ავად ხარ! ნამდვილად ავად ხარ, თორემ ჯანმრთელი კაცი, ასეთ სიტყვებს ვერ იტყვის.

— რატომ!

— იმიტომ... არ ვიცი რატომ... ერთი სიტყვით... — კოტე დაიბნა, ან არ უნდოდა ეთქვა ის, რაც სთქვა:

— ასე შეიძლება ფიქრობდეს ისეთი ადამიანი, რომელსაც სასიცოცხლო ძალ-ღონე გამოლეულია და სულერთია იცოცხლებს თუ არა... —

მაშინ თომამ, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, დამშვიდებით ჰკითხა:

— კოტე, კარგად მოიფიქრე და სინიდისის წინაშე მიპასუხე, შეგიძლია თუ არა სხვა-დასხვა გარემოებებში თავი გასწირო!?. —

კოტემ წამოიძახა: შემიძლია! — და ამოისუნთქა. თომამ ოდნავ ჩაიცინა.

— აბა, ბიძია თომა, ან უკეთ რომ ვთქვათ, მართალი ხარ, მხოლოდ ბევრი ლაპარაკი ვერაფერს გამოარკვევს — და დაიწყო კოტემ თავიდან — ვიყოთ უბრალონი და დავანებოთ თავი სიბრძნეს; მოეშვი იმასაც: თუ ვინაც აღიღოს მახვილი, მახვილითვე დაეცეს. ამაზე მეტი ჩვენი დაცემა არ შეიძლება და აი, პატარა ამოცანა: შენ აქ მოგივა იარაღი, იარაღი დააბინავე! არ იფიქრო, რაიმე გარკვეული გეგმა არსებობდეს სამხედრო ხასიათისა, ჯერ არავითარი! მხოლოდ ხალხი ირაზმება! მონაწილეობა რომ არ მიიღო, რა თქმა უნდა შეგიძლია, მაგრამ ეს იქნება ან შიში, ან სურვილი რომ არ დაგესვაროს ხელთათმანები. — ისეთი დაბეჯითებით ლაპარაკობდა კოტე, რომ თომა უნდა დათანხმებულიყო და დასთანხმდა, თუმცა დარჩა გრძნობა უკმაყოფილებისა, რადგან თომა დასთანხმდა გონებით და არა გულით.

ამის შემდეგ, მას რამდენჯერმე მოუვიდა იარაღი. ეს იყო უმთავრესად ხრახნიანი თოფები და ვაზნები, რომელთაც თომა ზეთავდა, ჩვარში ახვევდა

და ინახავდა კარავში, თავის საწოლ-ქვეშ გათხრილ ორმოში.

დღესაც მიიღო იარაღი და დათქმულობის თანახმად მიდიოდა კოტესთან მოსახსენებლად. ონისიმე, ცხადია ბევრ რამეს ხედავდა, მაგრამ რაკი არაფერს ეუბნებოდნენ, ცდილობდა არ შეემჩნია. მას ზოგავდნენ როგორც ცოლშვილიანს.

რაღაც მოძრაობა შენიშნეს ქალაქში თომამა და ონისიმემ.

გაურკვეველი მხრიდან მოისმოდა ჩოჩქოლი და ამ ჩოჩქოლის მიმართულებით გარბოდნენ ქალები და ბავშვები.

ფერეულებმა, თომამ და ონისიმემ ერთმანეთს გადახედეს. იმ ხანებში, ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ კომუნისტებს სხვა-დასხვა პირობათა ძალით, ჩვენი ქვეყანა უნდა დაეტოვებიათ, და ამ პირობად, ხან ოსმალეთ-საბერძნეთის ომი მოჰყავდა, ხან შინაგანი გართულება, ხან ევროპის წინადადება.

წამით, რაღაც იმედი ამოძრავდა ფერეულთა გულში.

— ნეტავი მართლა ხომ არ მიდიან! წამო, ვნახოთ — სთქვა თომამ.

ონისიმეს ხელთ ეპირა ნორჩი სიმინდით სავსე კალათი.

— არა თომა, შენ ნახე თუ გინდა — ონისიმე სახლში მიიჩქაროდა.

თომა ჩქარი ნაბიჯით წავიდა და რა გავიდა ტაძრის ქუჩაზე, მას წარმოუდგა უცნაური სანახაობა: გალავანს ხალხი ირგვლივ ერტყა. გალავანშიაც ხალხი იყო, მხოლოდ ამათ ემჩნეოდათ, რომ საერთო არაფერი ჰქონდათ გარედ მდგომ ხალხთან, რომელნიც თუმცა მდუმარენი, მაგრამ წყრომით შეჰყურებდნენ შიგ მყოფთ.

როგორც თომამ შემდეგ გაიგო, გალავანში მყოფნი, უმთავრესად იყვნენ მახლობელ სოფლის ბინადრები. მათ მიტინგი ჰქონოდათ. გალავანში იდგა მაგიდა და მაგიდის ირგვლივ, დიდრონი წითელი დროშები.

ერთი ქალი შემდგარიყო მაგიდაზე და უთუოდ რაღაცას ლაპარაკობდა. მაგრამ ყველანი, მყოფნი [illegible] გარედ. მისჩერებოდნენ [illegible] ბათს, სადაც ორი კაცი, ალბად ზეინკალი, ცდილობდა ჯვრის მოჭრას.

ჯვარი იყო დიდი და ფერად ყვითელი.

ზეინკლები, რომელნიც თოკებით მიბმულიყვნენ გუმბათზე, ჯვართან შედარებით, პატარებად სჩანდნენ; ისინი ხერხსაც ხმარობდნენ, ჩაქუჩსაც სცემდნენ, მხოლოდ მოძრაობაში ემჩნეოდათ გაუბედაობა, თუ სიფრთხილე, ჯვარი ჯერ არ ირყეოდა.

გალავანში მდგომნი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, დაბლიდან აქეზებდნენ ზეინკლებს:

— გადაამტვრიეთ, გადაამტვრიეთ! — იძახდა ერთი.

მეორე ჰყვიროდა:

— დაუფრთხეთ ძილი მამა-ზეციერს! — და რადგან ასეთი ძახილი გახშირდა, ხოლო მისი აკრძალვა მიტინგის ხელმძღვანელებმა არ ისურვეს, ამიტომ მოლაპარაკე ქალი, მაგიდიდან ჩამოვიდა.

გალავნის გარედ მდგომმა ქალებმა თანდათან მოთმინება დაჰკარგეს. ისმოდა მათი კრულვა.

ერთმა კიდეც დაიძახა:

— წავიდეთ ქალებო და თუ მამაკაცებს ეს არ შეუძლიათ ჩვენ დავიხოცოთ! ეს იყო გამხდარი, მეტად ღარიბად ჩაცმული მანდილოსანი, რომელსაც ირგვლივ შემოეხვიენ და დაუწყეს დამშვიდება.

ზეინკლები დიდხანს ეწვალენ გუმბათზე, ჯვარი არც ირხეოდა და გარედ მდგომთ იმედი მიეცათ, იქნებ ვერაფერი ავნონო. მაგრამ აი, გუმბათზე კიდევ ორი ახალი კაცი გამოჩნდა; ისინი საჩქაროდ, გუმბათზე თოკებით მიეკრენ და დაიწყეს ღონივრად ცემა ჩაქუჩისა. ყველამ იგრძნო, რომ ჯვარი ვერ გაუძლებდა და გალავანში მდგომთ ასტეხეს „ვაშას“ ძახილი, მალე ჯვარი შეარყიეს და ზეინკლებმა ხალხს ჩამოსძახეს, რათა ყოფილიყვნენ ფრთხილად.

— ამხანაგებო, ფრთხილად, ფრთხილად! — იძახდა ხალხი.

ლითონის ჯვარი მოტყდა და გრიალით დაეშვა თუნუქის სახურავზე. ხალხმა ასტეხა ტაშის ცემა, რომელიც დიდხანს არ შეწყვეტილა.

ამ ხნის განმავლობაში, გუმბათზე დაადგეს წითელი დროშა და მოლაპარაკე ქალმა, რომელსაც ამას წინად სიტყვა წაერთვა, მოასწრო მაგიდაზე შემხტარიყო და ხალხისათვის დაეყვირა:

— გახსოვდეთ, რომ რელიგია ხალხის ოპიუმია! —

ქალს მამაკაცური სახე ჰქონდა; სთქვა თუ არა ეს, იგი მაგიდიდან ჩამოვიდა.

როდესაც ამის შემდეგ თომა სოლომონის სახლისაკენ მიდიოდა, ის იყო დაღლილი და ნაღვლით სავსე; ქალმა, რომელიც ჰგავდა უწვერ-ულვაშო მამაკაცს, სთქვა თუ რელიგია არისო იპიუმი, მხოლოდ ისეთი ველური სიხარულით დაიყვირა ქალმა ეს სიტყვები, თითქოს იმას კი არ ამბობდა რაც სთქვა, არამედ ვინმეზე შური იძია. ამ დებულების მთქმელნი დროშებზე ეხატათ. მხოლოდ ისინი, ასე კადნიერად უთუოდ არ იყვირებდნენ ამას.

იონა თავაძეს ეს კარგად უნდა სცოდნოდა, მაგრამ ისიც იქ იდგა, თავის პარტიულ ამხანაგებთან ერთად და ქალის სიტყვებზე მანაც გაიღიმა და ისე ვით სხვებმა, ტაში დაუკრა.

მაინც რამდენი განსხვავებაა ადამიანთა შორის; ერთს სიამოვნებას ჰგვრის ის, რაც სტანჯავს მეორეს და მართლა, რომ ადამიანი არის სუსტი და ამის გამო ღირსი სიბრალულისა.

მორწმუნე ხალხმა, გალავნის გარედ რომ იდგა, კარგად დაიჭირა თავი; ყოველივე ისე მიიღო, როგორც ღვთის განრისხება და დროებითი სასჯელი. ესეც არის, მწუხარებასაც და ბედის სივაგლახესაც ადამიანმა პატივი უნდა სცეს, რადგან ესეც ცხოვრებაა და აგრეთვე წარმავალი ვით ცხოვრება.

თომა ფერეული, როგორც იყო ნაღვლიანი, ისევე დარჩა სოლომონის სახლში, სადაც ტაძრის დახურვა [illegible] და დამწუხრებულნი სდუმდნენ. დამწუხრებულიყვნენ უმთავრესად ბიცოლა ნინო და სოლომონი, სხვები სდუმდნენ ამათი პატივისცემით.

ლევანის დატუსაღების ამბავი, პირველად თომამ ვერ გაიგო:

— აკი ტფილისშია ლევანი! — გაიკვირვა მან. მას აუხსნეს. ამის შემდეგ თომა დაემშვიდობა იქაურთ და იმის მაგივრად, რომ ონისიმეს სახლში წასულიყო, ზღვის-პირისაკენ გაემართა, სადაც ივანე იდგა, მოხუცი მედავითნე და სადაც თომა ხშირად დადიოდა სასაუბროდ.

19

მოხუცი ივანე იდგა ზღვის პირად მარტო, მაგრამ დღეიდან მასთან უნდა ეცხოვრა მის დისშვილს, გოგია კოკოსაძეს, რომელიც ჩამოვიდა ტფილისიდან.

ეს მოხდა ასე: დილის ათზე, გოგია გადმოვიდა მატარებლიდან და თავისი ალმა-დალმა სიარულით გასწია ბიძის სახლისაკენ.

ჩვენს სანაპირო ქალაქში ძვირფასი გოგია კოკოსაძე ჩამოდიოდა თითქმის ყოველ ზაფხულს; ამიტომ ის კარგად იცნობდა აქაურ მიდამოებს და რადგან საფიქრალია, რომ აქაურობა მას უყვარდა, გოგია კოკოსაძე მიდიოდა და გულ-უბრყვილოდ იღიმოდა.

მას აქ ახალგაზრდობა იცნობდა, ხოლო თვითონ, მით იყო ძვირფასი გოგია კოკოსაძე, რომ მანდილოსნები, როგორც თვითონ ჰფიქრობდა, მას არ სწყალობდნენ.

გამოჩნდა ზღვის პირი, მაგრამ სანამ ზღვა გამოჩნდებოდა, ჰაერს დაეტყო სიგრილე, ხოლო ნიადაგი შეიქნა სილიანი, სადაც ჩიმობნეული იყო თეთრი ხოჭოები.

ეს არ იყო ის, რაც დასტოვა ტფილისში. წამოდგა ზღვაც! ამან გოგია მთლად ააღელვა და მას მოაგონდა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი მეგობარი ქალი, რომელიც ეწეოდა პაპიროსს და რომლის სახელი, გოგიას არ უნდოდა წარმოეთქვა:

— მშვიდობით, მშვიდობით! იყავი ბედნიერი !—

ძია ივანეს სახლი ისეთი პატარა იყო, ვით ქოხი. ქოხს ირგვლივ ერტყა ბუჩქები, ხეები, ხოლო მის ირგვლივ დიდ მანძილზე არ სჩანდა მოსახლეობა.

თვითონ ბიძია ივანე სახლის უკან მუშაობდა.

ეს უნდა ყოფილიყო ბოსტანი, სადაც გოგიამ შენიშა ცოტა მცენარეულობა და ემჩნეოდა ბიძია ივანეს, რომ არასოდეს არ უმუშავნია და იყო ხან-დაჩან სასაცილო. რომ ბიძიას მუშაობა არ გამოუდიოდა და მიუხედავად ამისა, იგი მუშაობას არ ეშვებოდა, ბიძია იყო ძალიან მაღალი და თეთრ-წვერა. გახეულ პერანგში მოუჩანდა გამხდარი ნეკნები და საერთოდ, გოგიას ის აგონებდა შეხერეზადის ერთ გმირს, ალადინს, თუმცა ალადინი სრულებით არ იყო ღარიბი. გოგიამ დაუძახა:

— ბიძია! —

გოგიას ბოხი ხმა ჰქონდა და დაძახებაში უნებურად გამოამჟღავნა რაღაც ნათესაური სითბო და წუხილი იმის გამო, რომ ასეთ მდგომარეობაში ჰხედავდა მას. ბიძია ივანეს ძალიან გაეხარდა. იგი წამოვიდა ნელა, შეჰყურებდა, თითქოს არ სჯეროდა და ხელით მზეს იჩრდილებდა:

— ბიჭო, დავიჯერეო გოგია ხარ! — სთქვა მან, მოახლოვდა, გაიცინა და თავისი დისშვილი, გოგია კოკოსაძე გულში ჩაიკრა; შემდეგ გამხდარ სახეზე ოფლს იწმენდდა და ლაპარაკობდა:

— ყოჩაღ ჩემო გოგია, ყოჩაღ! ღმერთმა დაგლოცოს რომ ჩამოდი და მაამე... — ქოხის გვერდით დიდ ნიგვზის ძირად, ბიძია ივანეს ჰქონდა ამოღებული ჭა; აქ განსაკუთრებით გრილოდა და ივანემ იქ მიიწვია გოგია. დასხდნენ და ისაუბრეს.

მზე ჩავიდა. წითლად აელვარდა ზეცის დასავალი. ბიძია ივანე და მისი დისშვილი ქოხის წინ ესხდნენ და ელოდნენ მშვიდ ბაასს.

გოგიას ნათქვამი ჰქონდა, რომ აქ მოიტანდა რაღაცას (ეს იყო სტამბა) და თუ ბიძიას არ ეშინოდა, გოგია საკუთრად დაიჭერდა ერთ ოთახს. ბიძია დათანხმდა. და გოგიას ის უხაროდა, რომ არა თუ დათანხმდა ბიძია, არამედ რაღაც ასეთიც სთქვა:

„გოგია, ობოლი კაცია და ვაი ბიძამისის ბრალი, ვერაფერს შველის განათლების მიღებაში: მას, გოგიას მეტი თავისი სისხლი და ხორცი ამ ქვეყნად არავინ გაეჩნია, მაგრამ ეხლა სოფელს ისე უჭირს, რომ ყველამ უნდა უშველოს: გოგიას ამას ვერ აუკრძალავს და ამას ლაპარაკობს ბიძა მისი ივანე". —

ამის შემდეგ გოგია იყო წყნარად, გული ავსოდა სიხარულით და უსმენდა ბიძიას: თუმცა, ერთი რამ აწუხებდა გოგიას: ლევანი, რომელიც უნდა მოსულყო და არ მოვიდა!

ბიძია ივანე ამბობდა:

— რა დამრჩენია მე ამ ქვეყნად? იმდენი არაფერი ყოველშემთხვევაში, რომ იმაზე ღირდეს, ვინმეს საყვედური აკადრო! არა, არა! არც პირადი სიამისათვის ვლაპარაკობ მე ჩემო ბიძია! მთელი ქვეყანა იყო აწყობილი, დიდსა და პატარას ადგილი ჰქონდა მიჩნეული... ეხლა რა.!? —

ბიძია ივანე აბოლებდა ყალიონს და ყველაფერს რასაც ამბობდა, თან ახლდა სევდა. ასეთი სევდით მან მოიგონა თავისი ღარიბი წარსული, როდესაც კვირაობით, იგი გადიოდა ქალაქის ბაზარში, სადაც ვებერთელა ქოლგის ქვეშ ჰშლიდა თავის „ლატორიას", ლატორიას ეტანებოდნენ ბავშვები. ივანე ამბობდა:

„მე უხმობდი ჩემს პატარა მუშტრებს, ვიძახოდი: მოდით ჩემთან ბავშვებო! მოდით პაწია ყვავილებო ჩემი სულისა და გულის! თქვენ აქ შეგიძლიათ გამოსცადოთ თქვენი ბედი, ეს ღირს მხოლოდ ერთი კაპიკი.

ერთ კაპიკად თქვენ მოიგებთ თაბაშირის მშვენიერ ქანდაკებას. აბა, შეხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეთ. შეხედეთ! ვიძახოდი მე და ხახამის პაწია ქანდაკებას, თავზე ხელს ოდნავ დავკრავდი. თავი იწყებდა ქანაობას და რომ ბებერი. წვერიანი ებრაელი, რომელსაც მუხლზე წიგნი გადაეშალა, თვალებ-დახუჭული ლოცულობდა.

„გარდა ამისა, თქვენ მოიგებთ ფოჩიან კამფეტებს და ნახავთ ქვეყნის გასაოცარ სანახაობებს!" თუ პატარები ლატორიაში ვერაფერს მოიგებდნენ, მე მათ ვუჩვენებდი სურათებს გამადიდებელი შუშით, თან ვუხსნიდი: „ეს გახლავთ პარიზის მთავარი ქუჩა; ის მანდილოსანი, რომელსაც თქვენ იქ ხედავთ, გახლავთ ძვირფასი ბიცოლაჩემი, სახელად გაიანე. იგი მიიჩქარის სახლში, რათა მოამზადოს ჩემთვის კარგი სადილი!" მე სრულებით არ ვიცინოდი და ჩემი პატარა მუშტრები განცვიფრებული შემომცქეროდნენ და არ იცოდნენ რა ეფიქრათ. მართლა ბიცოლა ჩემი იყო ის მანდილოსანი თუ მე ვიყავი გიჟი.

ასეთ საუბარში იყვნენ გართული, როდესაც მოვიდა თომა ფერეული. თომამ ხუმრობით დაიძახა:

— მასპინძელო, სტუმარს თუ ღებულობ! —

ბიძია ივანე სტუმარს მიეგება:

ვიცი თომა, ვიცი! — ამბობდა ივანე — ეკლესია დაუკეტიათ! არც გამკვირვებია. შენ წარმოიდგინე, თუმცა ვერ მოვიფიქრებდი თუ ამას ჩაიდენდნენ; მოდი ნახე ჩემი დიშვილი. —

— როდის ჩამობრძანდით, გოგია! —

— დღეს ბატონო —

— მაშ ლევანთან ერთად გიმოგზაურიათ? —

— კიდეც ჰო, კიდეც არა! —

— კაია თქვენ მაინც გადარჩენილხართ, ლევანი დაუჭერიათ, უთუოდ გაიგებდით! —

გოგიამ წამოიძახა:

— რას ამბობთ! აკი არ მიკვირდა, არ მოვიდა!! —

გოგიამ გამოიჩინა ცნობის მოყვარეობა: სად დაუტუსაღებიათ, ბებში, რატომ, ან უნახეს თ[illegible] იმე?! თომამ ამდენი არ იცოდა: მართალია მისთვის ბევრი რამ ეთქვათ, მაგრამ იმდენ ნალაპარაკევში მხოლოდ ის ახსოვდა, რომ ლევანი დაატუსაღეს, ხოლო დატუსაღების ვითარება, კარგად იცოდა ერთმა ახალგაზრდა მხატვარმა ვანო უთნელიძემ.

— ძალიან კარგი! — სთქვა გოგიამ და შემდეგ ისეთი სიმტკიცით, თითქმის ბრძანებით გამოუცხადა თომას თავისი სურვილი:

— გთხოვთ ამ საღამოსვე შემახვედროთ ვანო უთნელიძეს! —

თომა გაოცდა, თუმცა ხელათვე მიხვდა, რომ გოგია ღელავდა არა მარტო ლევანისადმი მეგობრული სიყვარულის ძალით.

როდესაც თომა და გოგია წასასვლელად მოემზადნენ, ბიძია ივანემ ისაყვედურა:

— რა გეჩქარებათ თქვე დალოცვილებო!? —

ბიძია ივანეს ნამეტანი უყვარდა თომასთან საუბარი; თომა იყო კარგი მომსმენი და ნაკლებ მოლაპარაკე. ეკლესიის დაკეტვას მოხუცი ივანე აღელვებია. მას სასაუბრო დაჰგროვებოდა, მაგრამ გოგიასთან ამ საგანზე საუბარს იგი ალღოთი მორიდებოდა. ამიტომ ბიძია ივანემ ისურვა გოგიას და თომას ცოტაოდენი გაცილება. მოხუცი მოძღვრავდა:

— სწორედ უცნაურია, სწორედ გაუგებარია ადამიანის უვიცობა და აგრეთვე ის, თუ როგორი თავგამოდებით ეყრდნობა იგი ამ თავის უვიცობას, ვითა ჭეშმარიტებას... —

მზე ჩასულიყო. ისინი მიდიოდნენ ვიწრო, კლაკნილი ბილიკით, რადგან ეს მიდამოები მდებარეობდნენ ქალაქგარეთ. ივანე მეტყველებდა:

— ვითომ არ შეიძლება არსებობდეს ისეთი რამ ამ ქვეყნად, რაც ადამიანმა არ იცოდეს! რა თქმა უნდა, ასე ღმერთი ზღაპარია! მაგრამ ერთი მიბრძანე, განა ჩვენ, ყველაფერს რომ თავი დავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებოთ. ჩვენი თავი კი ვიცით? არა, ჩვენ ჩვენი თავი არ ვიცით! ვიცით ესა თუ ის გზა, თუ მდინარე, სად იწყება და ჩნდება, სად, უხვევს, სად თავდება, ჩვენი თავისა?! ეს არ ვიცით! ან რა არის გასაკვირალი, ადამიანის ცხოვრებას რომ უფრო მეტი აზრი და გონიერება გააჩნდეს, ვიდრე ის აზრი, რაც დღეს მას გააჩნია: ჭამა-სმა, ძილი და სიკვდილი!... —

ქალაქში შევიდნენ. მოხუცი თომას დაემშვიდობა, გოგია დაარიგა სახლში მალე მისულიყო და საუბრით ცოტათი გულმოჯერებული. უკანვე გაბრუნდა.

———

ვანო უთნელიძე ქალაქის ხეივანში იყო. იგი გაიხმეს, მცირე საუბრის შემდეგ, თომა ფერეული, გოგია კოკოსაძე და ვანო უთნელიძე გაემართნენ ვანოს სახლისაკენ. მათ აედევნათ წყალქვეშა. ჯერ წყალქვეშამ თუთუნი შეახვია, ააბოლა და როდესაც ის სამნი დაწინაურდნენ, გაჩაღებული თუთუნი გადააგდო.

წყალქვეშამ სრულებით არაფერი იცოდა; იგი ასრულებდა მხოლოდ წესს, რომ ასეთ საქმეში მეთვალყურეობის დროს საჭირო იყო გამრჯელობა: ვინ იცის სად რა გამოვიდოდა.

———

დაღლილი თომა დასაძინებლად წავიდა. ამ საღამოს იგი იძინებდა ონისიმეს სახლში. ონისიმეს უბანს უკვე ეძინა. იდგა სიჩუმე. ქუჩას ანათებდა ელექტრონი და მთვარე, ორივ ერთად, თუმცა ეს იყო სულერთი; სულერთი იყო აგრეთვე ყოველივე ის, რაც თომამ დღეს ნახა, მოისმინა:

ბიძია ივანე ამბობდა, რომ ქართველი ერი დიდი მორწმუნეა და ეკლესიების დაკეტვას ვერ აიტანსო, ხოლო გოგია არ დაეთანხმა და საერთოდ გოგია აღმოჩნდა სრულიად მოულოდნელი რაღაც, თუმცა ღირსი პატივისცემისა! გოგიამ ჯერ სთქვა:

— ჩვენი ქვეყანა არასოდეს მორწმუნე არ ყოფილა, ჩემო ძვირფასო ბიძია! — მერე სთქვა:

— ქართველ ერს ამ, საგანგებოდ, ეცალა, თუმცა მისი ბუნება მოყვარულია ნათელობის, გარკვეულობის და ყოველივე იმისი, რასაც ადამიანმა შეიძლება ხელი მოჰკიდო, ხელი შეახო... — და როცა ამაზე ბიძა გაჯავრდა, — ცხადია, ეკლესიების დაკეტვა დასაგმობია, მხოლოდ გოგიამ დაასკვნა:

მე იმისი თქმა მინდოდა, რომ საკითხი ღვთის ძიებისა, სრულებით არ არის ქართული საკითხი... —

ბიძია ჯავრობდა, გოგია არა. და თუმცა ასეთ კარგ საგანზე იყო მსჯელობა, თომა არც აღელვებულა და არც სურვილი მოსვლია რამეს თქმისა.

„ნუთუ მართალი იყო კოტე, რომელმაც თომას უთხრა ავად ხარო!“ თომამ ოდნავ, ოდნავ გაიღიმა. ღიმილს იწვევდა მოხუცი ივანე, რომელმაც ბრძანა.

— არა, ჩვენ არ ვიცით ჩვენივე თავი! —

20

წყალქვეშამ ძალიან შორს გაუშვა ორი ახალგაზრდა, გოგია და ვანო, რომელთაც იღლიაში ამოჩრილი რაღაც მიჰქონდათ. საგანი, მათ რომ მიჰქონდათ მძიმე უნდა ყოფილიყო.

წყალქვეშა გამოცდილი ადამიანი იყო, არც მოტყვილება შეიძლებოდა მისი ადვილად, არც აჩქარება. მას სურდა ამ საღამოს, მხოლოდ ბინა გაეგო იმ საგნისა: შემდეგ, ოდესმე საგნის ვინაობაც გამოირკვეოდა. საჭირო იყო სიდინჯე.

როგორც გვითქვამს, „წყალქვეშა“ მეთვალყურეობდა ადამიანის საქციელს და თუ კი რაიმე საეჭვოს შენიშნავდა, იგი აცნობებდა მთავრობას.

ახალგაზრდებმა სტამბა მიიტანეს მოხუც ივანეს სახლში. ვანო დაბრუნდა მარტო.

ანათებდა მთვარე და ქვეყნიერება მთვარის შუქზე იყო ზღაპრულად ბუნდოვანი და დიადი: ამ ბუნდოვან ქვეყნიერებაზე, მიმოდიოდა გარემოს ეშხით მთვრალი ვანო უთნელიძე. მან შე-

ეხვია სოლომონ ფერეულის სახლისაკენ. მართალია მანანას ვერ დაინახავდა, მაგრამ დაინახავდა ეზოს, სახლს, ფანჯრებს და ეს მეტად საჭირო იყო, რადგან ვანო უთნელიძე, საქვეყნო საქმეებში იმარჯვებდა, ეხლა-ხან სტამბა გადაზიდეს და რაა დასამალი! ყოველივე ეს, ეკუთვნოდა მანანას: საქმეებიც, სურვილები და ფიქრი.

მაგრამ შესაძლებელია, სრულიად შემთხვევით მანანას არ სძინებოდა, არამედ ჰცმოდა თეთრი, ღამის კაბა და აივანზე მჯდარიყო.

ვანომ თვალები დახუჭა და სთქვა: ნეტავ მანანა დამანახვა! —

დღეს მანანა ბევრს იცინოდა და სიცილის დროს ირხეოდა და ვანოს ხელს ხელზე ახლებდა;

სოლომონის სახლში ეძინათ. ვანოს გული მოუკვდა.

ფანჯრებში, აივანზე თუ ეზოში არავინ სჩანდა, მხოლოდ შორს ქუჩაში, ვანომ დაინახა ვიღაც მიმავალი კაცი, რომელიც ჯერ იდგა, თითქოს რაიმეს უთვალთვალებდა და წასვლა არჩია, რა დაინახა მოახლოებული ვანო.

ვანო დაედევნა. ეს იყო წყალქვეშა. „ამ ქოფაკს შემიხედე!" მუქარით ამბობდა გულაძგერებული ვანო;

მან ჯერ იფიქრა წყალქვეშას დასძგერებოდა და გაელახა, მაგრამ მალე გონიერებამ სძლია.

ვანო უთნელიძე სახლისაკენ გაბრუნდა.

21

მეორე დღეს, როდესაც ვანო მშობლებთან ერთად სადილად ჯდებოდა, იყო მდუმარე ვით ,ადამიანი, რომელიც მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებს და ეს საქმეები ჰგვრიან სიამოვნებას.

მამაც სდუმდა. დედაც.

მაგრამ მშობლების დუმილი, რომლისთვისაც ვანოს ყურადღება არ მიუქცევია, იყო მშფოთვარე და სხვადასხვა ნაირი. დედამ რამდენჯერმე ძოწოლვითა და უმწეო ვედრებით შეხედა თავის მეუღლეს, რომელიც ... შეკრული იჯდა, და ყველაფერზე ... ნეოდა, როგორ გატეხა მჭადი, როგორ შესვა ღვინო, რომ იყო განრისხებული, მაგრამ ჯერ არ ამჟღავნებდა. სადილი გათავდა.

ადგომის წინ ჩვეულებრივ, ვანო დედას მოჰხედავდა და მიდიოდა შემდეგ, ხოლო მამა ამ დროს, ყოველთვის მშვიდობიანი ხმით ამბობდა ლოცვას: გმადლობ შენ მეუფეო, რამეთუ გამაძღენ მე... — ეხლა მამამ ვანოს უთხრა:

— გამიგონე! —

—ვანო განცვიფრებული შესდგა, რადგან მამამ თითქმის ყვირილით წამოიძახა: გამიგონე! არასოდეს მამის ყვირილი ვანოს არ ჰსმენოდა. მამა ჰყვიროდა:

— მე შენ გთხოვ სწორედ, ამ ხალხს თავი დაანებო, თორემ ჩვენ ვერ მოვეწყობით! შენ კარგად იცი მე რაზე გელაპარაკები და მე არ მინდა, რომ ჩემი შვილი იმათთან ერთად ეკლესიებს ანგრევდეს და მამა-პაპეულ სარწმუნოებას ებრძოდეს! მე ეს არ მინდა, გესმის! —

დედას თვალთ ცრემლები მოადგა, რადგან ვანო გაფითრდა და გაფითრებულმა სთქვა:

— მე არ მესმის... მე ვიცი რას ვშვრები! —

ვანო წავიდა. ისე ჩქარა წავიდა ვანო, თითქმის გაიქცა, კარები მიახეთქა, ხოლო მამა კიდევ დიდ-ხანს ბობოქრობდა.

ვანო ტალავერში იჯდა; სჭამდა ატამს. რამდენჯერ დამშვიდდა და ისევ აღელდა.

მამამ სთქვა:

— მე შენ კარგად ვერ მიცნობ ბიჭო, მიფრთხილდი! —

ეს იყო მუქარა; ვანოს მუქარის არ შეჰშინებია და მანაც უპასუხა:

— ვერც შენ მიცნობ კარგად, მამაჩემო. ბავშვი არა ვარ! — ამის შემდეგ ვანო ტალავერში გამოიქცა.

ატამი იყო ტკბილი და სუნნელოვანი და მის ნათალს, გელეში არც სჭამდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც კისერზე იყენებდა. ვანო ჰფიქრობდა:

„სულელებია მოხუცები! ვანომ რომ არ გააკეთოს, განა სხვა ვერ გააკეთებს? რაც მთავარია, ამითი ვანო მშვენივრად იმუშავებს და ბოლშევიკები ეჰვს ვერ აიღებენ! სამწუხარო იყო რომ არ შეიძლებოდა ამისი თქმა, თორემ მამას რომ ეს სცოდნოდა, აბა რას იყვირებდა?! ნეტავ მართლა თუ მორწმუნეა მამა!

გარეგნობით: გადაპარსული თავი, ოდნავ შეხუთული თეთრ-ნარევი წარბები, დაშვებული ულვაშები, ხოლო მთლიანად სახის გამომეტყველება, — თვით დარწმუნებული ერთეული. იგი უფრო წარმოიდგინებოდა ძველთაძველი ქართული სიმღერების მოქმედ პირად; ეს სიმღერები: გურული, მეგრული, აფხაზური, სვანური, მთელი პოემებია, არიან დიდათ წარმართულნი, მეტად ხმოვანნი და ყოველი ხმა ილტვის თავისი განსაკუთრებული გზით, რათა მეტოქეობაში ერთი-მეორე გადაჰკვეთონ, შემდეგ გასაოცარი მოულოდნელობით გაიყარონ, ზოგი უფსკრულის პირად, საიდანაც ბოლივით ზოზინობს ნისლი, ზოგი ტყეში, რომელიც აყვავებულა და სადაც ხან ფრინველთა გალობა პოულობს უპირატესობას, ხან მხეცთა ღმუილი და მხოლოდ იშვიათად, ამ სიმღერებში, ხმები თანხმდებიან და ემორჩილებიან კეთილ სმენას,

გარდა ყველაფრისა, ისინი არიან გმირულნი და უდავოა, არიან შექმნილი ძალ-ღონით აღსავსე მამაკაცთა მიერ, რომელთაც ამ ქვეყნად ბევრი უცხოვრიათ, ბევრი უხილავთ და საბოლოოდ უცვნიათ და მიუღიათ მხოლოდ მიწიერი".

არალუი!

მზე გადახრილიყო. ვანოს უნდა ენახა კოტე ფერეული და ორიოდე ეთქვა, წყალქვეშას წუხანდელ შეხვედრის შესახებ; უნდა ენახა აგრეთვე და მოესმინა მანანა, თორემ ისე გაძლება იყო შეუძლებელი და უმიზნო.

22

მთელი დღის განმავლობაში კოტე ფერეული დარწმუნებული იყო, რომ მერაბის სახლში არ წავიდოდა, მაგრამ საღამოს კოტე აქ იყო.

მაია იცინოდა შეხუთული ხმით. კოტეს ეს აღელვებდა; აღელვებდა აგრეთვე ის, რომ ქალს ტიტველ ფეხზე აჩნდა პაწია შავი ბუსუსები და მოძრაობის დროს, სხეული მიმოჰქონდა ზანტად.

ოთახში სინათლე ჩააქრეს. ჩააქრო კოტემ.

ფანჯარაზე მომდგარიყო მთვარე, დიდი და რაღაც ბრიყვულად მოღიმარი და მაიამ, ძველი, მდაბიოთა ჩვეულების თანახმად სცადა გულსაკინძის შებნევა, რათა მთვარისათვის მკერდი არ ეჩვენებია. კოტე გაჰხელდა.

— შენ უთუოდ გინდა გამაგიჟო მაია! — თავდავიწყებით იძახდა იგი.

ქალი თრთოდა, ის იყო არა ჩვეულებრივი: ვნებიანი და ჯიუტი.

— არა ფერეულის ბიჭო, არა, მერაბი მოვა!.. — და როცა, მართლა მოისმა ცხენების ფრუტუნი, ხოლო მთვარის შუქზე, კედელზე ჩაიარა მხედრის ლანდმა და შეშინებულმა მაიამ იწყო ბუტბუტი: — დავიღუპე, დავიღუპე! — — კოტემ სთქვა:

— მე არ მივდივარ! მით უარესი შენთვის —

გავიდა მცირედი ხანი, საკმარისი იმისათვის, რათა მხედარი ცხენიდან ჩამომხდარიყო, კეხი და საპალნეები ჩამოეხსნა და კარებზე გაისმა რახუნი.

— რა ღმერთი გაგიწყრა, ქალო! —

მაიას უკვე ეთქვა კოტესათვის: გადარეული! კოტე წასულიყო. მაიას თითქოს ეძინა.

მან უსაყვედურა ქმარს:

— შემაშინე ერთობ! — ეს გამოვიდა ბუნებრივი.

მიუხედავად ამისა, არ გასულა ერთი კვირა, რომ კოტე ფერეულს მერაბისაგან მოციქული მოუვიდა. მოციქული ხნიერი კაცი იყო და რათა ამბავი საი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუმლოდ შენახულიყო, კოტე ცალკე გაიხმო, მერაბს ყოველივე შეეტყო.

— ვხედავ გამიწყრა ღმერთი! — უთვლიდა მერაბი კოტეს — ჩემთვის თავი მოგიჭრია, მაგრამ არ იფიქრო შეგრჩეს; დღეის ამას იქით, ჩვენ ვართ მტრები! დრო იშოვო მომკალი, დროს ვიშოვი მოგკლავ! — გულისტკივილით წამოსცდენოდა მერაბს მოციქულთან; — ცალთვალა რომ ვარ, იმ უსინდისო ფერეულმა იმიტომ დამჩაგრაო! —

ეს სიტყვები კოტეს ნამეტანი ეწყინა:

— რა უთქვამს იმ ოჯახქორს — წამოიძახა შეწუხებულმა; ბოლოს გაჯავრდა და მოციქულს დაებარა:

— რას ამბობს, მე არ ვიცი... მაგრამ თუ რაიმე ჰსურს, მოვიდეს და ჰქნას, როდესაც უნდა, სადაც უნდა! —

23

ორი თვის პატიმრობის შემდეგ განთავისუფლებული ლევან ფერეული, მდინარე ფიჩორის პირად იჯდა და თევზაობდა. იქვე იჯდა ვანო უთნელიძე, რომელსაც აგრეთვე ჩაეყარა მდინარეში ანკესები, მაგრამ ლევანმა იცოდა, რომ თვალი უნდა ედევნებია ვანოს ანკესებისთვისაც, რადგან ვანო უმეტესად ღრუბლებს გასცქეროდა.

გაწითლებული, ვეება ღრუბლები ისე ელვარებდნენ ჩამავალი მზით, თითქოს ისინი იყვნენ ქვეყნად რომ ჰგზავნიდნენ სითბოს.

ღრუბლებში სჩანდა მანანა. მანანა იყო ყოველგან; მას ეკუთვნოდნენ ფიქრები და მთელი არსება ახალგაზრდა კაცისა.

რამდენი ხანია ვანოს, არც არაფრის გაკეთება შეეძლო, არც ჰსურდა. ეს იყო საშიში, შეიძლებოდა ჩამორჩენა!, თუმცა ირგვლივ, ყოველგან სადაც კი სმენა მიწვდებოდა გაიძახოდნენ: რომ ეხლა იყო დრო ბრძოლათა და გამარჯვებათა და არა შემოქმედების!... ბრძოლაში ვანოც ერია და გამოდიოდა, რომ არ იყო დიდი შეცოდება თუ ღამით, წიგნს განზე გასტყორცნიდა და დაიწყებდი ქალაქის მძინარ ტუტუნებ ხეტიალს, როდესაც უნებურად, სადაც არ უნდა წასულიყავ, მანანას სახლთან აღმოჩნდებოდი და ბუტბუტებდი: მანანა!

დედამ უთხრა:

— შვილო,, შენ ძალიან გახდი და საჭმელს ვერ ჭამ; იქნებ ავად ხარ შვილო! —

დედა მუდამ შფოთავდა და ანგარიშში ჩასაგდები არ იყო —

უეცრად ვანო უთნელიძემ იწყო თრთოლვა; გარეგნულად მშვიდსა და ფერმკრთალს, სუნთქვა ეკვროდა და ამისი მიზეზი იყო სიხარული იმის გამო, რომ მან გადასწყვიტა მუშაობის დაწყება. ვინ იცის საიდან დაიბადა ასეთი გადაწყვეტილება, მხოლოდ იგი იწვევდა ერთსა-დაიმავე დროს სიამესა და ტკივილს, შიშსა და სიამაყეს და ყმაწვილი კაცი თავის-თავს არწმუნებდა: „რა საჭიროა დიდრონი ნივთების წერა, მაგალითად მანანას სურათი! ვანოსთვის ეს ჯერ ძალიან ადრეა; საჭიროა პირველ-ყოვლისა სწავლა, სწავლა და შრომა!

აი, ეგრედ წოდებული მკვდარი ბუნება"!

მხოლოდ მუშაობის დროს, ჩემო უძვირფასესო მანანა, უნდა ჩაიძირო საკუთარ არსებაში: აკი ჩაძირულ არიან მდინარე ფიჩორში ეს ტყეები და ღრუბლები! და როდესაც შენ დასწერ საგანს, ისე ვით ახალშობილს ახლავს დედის სისხლი, აგრეთვე იმ საკანს უნდა ახლდეს შენი სისხლი და ხორცი, რადგან იგი ამოგყავს საკუთარ სხეულიდან!"

„ამრიგად, ჩემო პატარა ბატონო ვანო უთნელიძე, ჩვენ მივიღებთ მოვლენას, ნივთსა თუ საგანს, რომელიც არსებობს სინამდვილეში და რომელსაც ზედ ერთვის ის ადამიანი, რომელმაც მოვლენა თუ ნივთი ჩვენ წარმოგვიდგინა! ეს გახლავთ შემოქმედება!

და ნურასოდეს ნუ შეშინდები წარმოიდგინო ისე, როგორც ჰხედავ, იყავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამბედავი! დეე სხვებმა გადარეულად ჩაგთვალონ, მხოლოდ შენ უნდა იცოდე, შენ უნდა გახსოვდეს, რომ გადარეული არა ხარ!" —

ასე ასწავლიდა ბავშვობისას პატარა უთნელიძეს ბატონი ვლადიმერი. ბატონი ვლადიმერი იყო მხატვარი. იყო კოჭლი, დიდი, ოთხ-კუთხი თავი ჰქონდა, არასოდეს არ იცინოდა, მაგრამ ბავშვები გრძნობდნენ მის სიყვარულსა და ბავშვებს იგი უყვარდათ.

ვანო უპასუხებდა მასწავლებელს.

— კარგი ვალოდია. მესმის ვალოდია! — რადგან ბატონმა ვლადიმერმა ვანოს უბრძანა:

— მე შენში ვხედავ ამხანაგს, ასე რომ ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთთან ვიყოთ შენობით! —

ვანო წამოდგა. ასეთ ფიქრების შემდეგ ძნელი იყო დაყოვნება და დროს კარგვა; საჭირო იყო მუშაობა, წინსვლა და საზოგადოდ რაიმე მოძრაობა, რაიც ითხოვდა ძალ-ღონეს, ნიჭს, ნებისყოფას .მართალია, ირგვლივ ყველაფერი იყო კარგი! მდინარის პირად, იქვე სადაც თევზაობდნენ, იწვა ორი კამეჩი და ვანომ, როდესაც წამოწვა, ერთ მათგანს მენჯზე თავი დაადო და კამეჩებს ეს არ გაჰკვირვებიათ, არამედ განაგრძობდნენ ცოხნას;

როდესაც მზე გადაიხარა, მდინარეს მოედო ნისლი, რაღაც სუბუქი ობობას ქსელის დაგვარი, მასში ირეოდნენ პაწია მწერები თუ ქინქლა და მის დაბლა მიდიოდა მდინარე.

ლევან ფერეულიც იყო კარგი. ის იჯდა უხმოდ და მისჩერებოდა თავის ანკესებს. ლევანი იყო ახალგაზრდა, მაგრამ ვანოს ფიქრით, იგი ჰგავდა ძველ, წარმართულ სარწმუნოების სასულიერო პირს, რომელიც მდუმარეთ ლოცულობდა; და საზოგადოდ აქ, მდინარე ფიჩორის პირად, დუმილი იყო მეტისმეტი! ეს იქნებოდა მშვენიერი, ვინმე მოხუცი ადამიანისათვის, მხოლოდ ვანო უთნელიძე, რომელმაც მუშაობა გადაწყვიტა, აღელვებული წამოდგა.

„მდინარე ფიჩორი ლამაზია. თევზებიც უთუოდ სიღრმეში მიმოდიან, მაგრამ თევზაობის დროს ხმაური მაინც არ ვარგა; გარდა ამისა, დუმილი და მყუდროება ფიქრთა სარბიელია, თუმცა ქვეყნად რომ სამართალი ყოფილიყო, ლევანი არ უნდა მჯდარიყო ამ დროს აქ, არამედ საქმეები ეკეთებია" —

ასე ედავებოდა თავის-თავს ლევანი და ამ დავაში პოულობდა გამოხატულებას ყოველივე, რაც ირგვლივ ხდებოდა, აგრეთვე რაც მომხდარიყო.

საპყრობილეში ჯდომას ლევანი დაესუსტებია. არც რაიმე ბრალდება წაეყენებიათ მისთვის, არ დაუკითხავთ. სტამბა გადარჩენილი იყო. იგი მალე დაიწყებდა მუშაობას.

მაგრამ არავითარ კმაყოფილებას არ ჰგვრიდა ლევანს ასეთი მუშაობა; მისი აზრით, ხალხი იმდენად იყო ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებული, რომ საჭირო იყო ზრუნვა მხოლოდ არსებით ბრძოლაზე და რაც მალე, მით უმჯობესი; სტამბები, მიტინგები და აგიტაციები იყო არა თუ ზედმეტი, არამედ მავნე, რადგან ეს ხდებოდა მიზეზი ხშირ და მრავალრიცხოვან დატუსაღებათა.

ლევანი, საპყრობილედან გამოსული, საზოგადოებამ მიიღო როგორც გმირი; ლევანი გმირი არ იყო და აი, ვანოსთან ერთად განმარტოებული, იგი ფიჩორის პირად იჯდა და თევზაობდა.

არც ამაში იყო ძველებური, ბავშვური სიამოვნება. არც თევზი იჭირებოდა. ერთად-ერთი ლოქი დაეჭირათ, რომელიც წყალში ჩაებად და არ არის საკვირველი, რომ ვანომ მწოლარე კამეჩებს თავი ანება და ზე-წამოხტა.

ვანო ისე დასდგომოდა ლევანს თავზე, რომ უთუოდ რაიმეს იტყოდა, მაგრამ ამ დროს, გაღმა ნაპირზე, სადაც ვრცელი ჭაობიანი ველი მდებარეობდა, ატყდა კივილი.

ტურები ჰკიოდნენ. ისინი იყვნენ მრავალნი. გამორბოდნენ ულრან ტყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან, რომელიც იწყებოდა შორს ველის დასასრულ. მორბოდნენ ველზე ლაქაშებსა და ლერწამებში, ჰხტოდნენ და შემყურენი ჩამავალ მზისა. როდესაც თვით მზისაგან დაწითლებულნი სისხლიანებსა ჰგავდნენ; აღებდნენ წითელ ხახას და ჰგოდებდნენ.

ისინი მოსდევდნენ მზეს, რომელიც ნელა ესვენებოდა და მათ კვილში ისმოდა სასოწარკვეთილება მგლოვიარე ქალისა და შიში თავზარდაცემულ ნადირის.

არა ერთჯერ სმენოდა ვანოს ამ პაწია მხეცების ტირილი. იგი მას მუდამ ცუდ გუნებაზე აყენებდა. ვანო გაშეშდა. ასე გაშეშებული. დიდ ხანს გასცქეროდა იგი ველს, მერე ლევანთან უხმოდ დაჯდა. ლევანს ხმა არ ამოუღია.

მზე ჩაესვენა და კვილი შესწყდა. ტურები მიმოიფანტნენ. მაშინ ვანომ სთქვა:

— ავღელდი! —

— მეც ავღელდი — უპასუხა ლევანმა, მხოლოდ ეს არ იყო მართალი; ლევანი რაღაც სასაცილოს პოულობდა, როგორც მხეცების, ისევე ვანოს საქციელში, ვანო შეშინებულიყო.

ვანოს შიშს იწვევდნენ არა მხეცები, არამედ წარმოდგენა იმისი, რომ ოდესმე დაირღვევა ნათელი, მზე საბოლოოდ ჩაესვენება და ამაზედ სტირიან ეს ცხოველები.

ვანოს ეს ჰქონდა ნათქვამი ძველად და თუმცა ისეთ მეგობარს ეუბნებოდა, როგორც იყო ლევანი, მაინც ეთაკილებოდა ამისი გამჟღავნება.

„დახე რაებს გრძნობს ეს პატარა ბავშვი!? — განცვიფრდა მაშინ გონებაში ლევანი. ვანო მას ეჩვენა ძლიერ სათუთი და გამქვირვალე; ყოველივე ეს იყო განსაკუთრებული და კარგი.

— დიახ, მეც ავღელდი — ამბობდა ლევანი და ახვევდა ანკესებს.

მზის ჩასვლის შემდეგ, ველურმა ფრინველებმა სადღაც ერთი-ორი დაიკივლეს და იწყო ნელ-ნელა დაღამება. ყოველივე მიყუჩდა.

ვანო, რომელსაც ხალისი დაჰკარგოდა, ავადმყოფივით დაუძლურებულიყო და ხმას არ იღებდა. ლევანიც სდუმდა. იგი მფარველობდა და პატივს სცემდა ვანო უთნელიძის ყოველგვარ განწყობილებას.

ის იყო ახალგაზრდებმა ანკესები აკრიფეს და ბაიდაში ჩაალაგეს, რომ მდინარეში გამოკრთა თომას ლვილი. შიგ იყვნენ თომა და ონისიმე.

— სალამი ყმაწვილებო! რა ინადირეთ! — დაუძახეს მათ ახალგაზრდებს.

— ბევრი ვერაფერი... კაცო დაგვიცადეთ რას გარბიხართ... —

ნიჩაბზე იჯდა ონისიმე, მდინარის ჩქერიც შველოდა და ამის გამო ლვილი მიჰქროდა ვით გატყორცნილი. უკვე შორს იყვნენ ისინი როდესაც მოსძახეს:

— მოცდას რომ ითხოვთ არ გცხვენიათ? ახალგაზრდები ხართ, დაგვეწიეთ...

ახალგაზრდები დატრიალდნენ; საჩქაროდ ჩასხდნენ ბაიდაში და ლევანმა მოუსვა. ვანოც შველოდა. შესაძლებელია მართლა დასწეოდნენ და თომა რომ შორიდან დასცინოდა, იქნებ გაეწბილებიათ, მაგრამ ნიჩბის თოკმა უმტყუნათ. თოკი გაწყდა და ორივენი ბაიდაში გადაკოტრიალდნენ.

ეს მოვლენა უთუოდ სასიამოვნო და სასაცილო იყო.

დინჯი ონისიმეს სიცილიც მოისმა, ხოლო თომამ ხმა მოაწვდინა: რომ ასეთი ყოჩაღი ბიჭები მას მეტი არსად ეგულვება და რომ სიცილით ლამის გასკდეს!... —

ახალგაზრდებიც იცინოდნენ. თომამ კიდევ მოაწვდინა ხმა:

— ნახვამდის, ნახვამდის! თქვენისთანა სტუმრებს მე არ ვღებულობ და სადაც გსურთ იქ მობრძანდით! —

ვანომ ღიმილით სთქვა:

— მთლად მასხრად აგვიღო თომამ... მაგრამ ვაი თუ მართლა არ მიგვიღო..! —

მათ ღამე უნდა გაეთიათ თომას კარავში. თოკით ნიჩბები ისევ დაამაგრეს და გზა განაგრძეს, თომას ლვილი აღარსად სჩანდა; ერთგან მათ დაინახეს ნაპირზე მიბმული ბაიდა და ვიღაც კაცი.

რომელიც ტყიდან გამოვიდა, მოაბიჯებდა წელამდე ლაქაშში და მოემართებოდა ბაიდისაკენ.

— ბიჭო, ბიჭო შეხედე! — აღელდა ვანო. ლევანი განცვიფრდა.

— ერიჰა�ა! —

ახალგაზრდებმა იცნეს წყალქვეშა. ის იყო წელში მოხრილი და ისე მიდოდა, თითქოს რაიმეს ეპარებოდა; დაბლა დაშვებული ხელები სჩანდნენ ძალიან გრძლად.

— მოდი ლევან თუ ძმა ხარ გამოვეხმაუროთ! —

— გიჟი არ იყო! —

ვანომ მუქარით სთქვა: ჰო მე მაგისი...

წყალქვეშა დიდ გამრჯელობას იჩენდა. ერთსა და იმავე დროს მას ხედავდნენ ყოველგან.

— სირცხვილით აღარ უნდა მოდიოდეთ სწორედ — ასეთი სიტყვებით შეხვდა კარავში თომა ახალგაზრდებს. ონისიმე წასულიყო. კარვის წინ ენთო ცეცხლი, ზედ ქვაბი ეკიდა, ხოლო მოშორებით, ბალახებში იწვა მურა, რომელიც სტუმრების გამოჩენაზე არც შერხეულა.

მოიტანეს ლოქო და დაუწყეს ხარშვა.

— მოდი, თომა, დალაბული გააკეთე

— ეს ითხოვა ლევანმა. თომა ცეცხლში ნორჩ სიმინდებს აწყობდა შესაწვავად; მან გაიღიმა და პასუხი არ გაუცია.

თანდათან ეშვებოდა ღამე და ცეცხლსა და კვამლს ეძლეოდა ფერი. რამდენჯერ მიმოიხედა ვანომ ირგვლივ, ყურიც დაუგდო და ღრმად ამოისუნთქა და თუმცა არ წამოსცდენია, ეს უდრიდა წამოძახილს: უჰ, რა მშვენიერებაა! —

წყალში, ზოგჯერ შორს, ზოგჯერ სულ ახლოს ისმოდა თევზების ტლაშუნი, ტყეშიც გაისმოდა და მისწყდებოდა სულიერი სხვა-დასხვა ხმები, გამომხატველი უმწეობისა თუ შიშის.

როდესაც წყალქვეშამ ჩაიარა, მურამ თავი აიღო და ავად დაიღრიალა. თომას არ გაჰკვირვებია წყალქვეშას გამოჩენა, მხოლოდ როგორღაც დაღუმდა და ნაღვლიანი თვალებით მიაჩერდა ცეცხლს.

— ეჰ, სწორედ საბრალოა ადამიანი... ეს უბედური მაინც ცუდად გაათავებს...

ცეცხლის პირად ივახშმეს. ჰქონდათ ქინძის ძმარში დალაბული ღლავი, სულგუნი, გაფიცხებული მჭადი და შემწვარი ნორჩი სიმინდები. აკლდათ და ნატრობდნენ ღვინოს.

ვახშმის შემდეგ ხასიათი გამოიცვალა. ვანომ უთხრა თომას.

— ღმერთმა აგაშენოს თომა, ეს ვახშამი სწორედ დიდებული იყო! —

ლევანმა უთხრა თომას:

— მაგრამ გახსოვდეს, თომა, შემდეგში უნდა დაგირჩეს ღვინოც —

ტყეს თავზე დასდგომოდა მთვარე; მთვარის შუქზე კაშკაშებდა ტბა და თომა დაბალი ხმით ღიღინებდა, ხოლო ლევანი, ხანდახან ჩაურთავდა ბანს. მისი ბანი იყო რაღაც მწყრომიარე, მთრთოლვარე და მით ძვირფასი. ამათ სიმღერაში, ვანო მოჰყვა ტურების ამბავს.

— აბა! ასე ავღელდი დღეს! — დაასრულა მან და შემდეგ იკითხა: ნუთუ ადამიანის ამდენ მღელვარებას არავითარი ფასი არა აქვს! —

თომამ გაიღიმა:

— არავითარი, მოყვარისათვის არავითარი! ვინ იცის რამდენი აღელვებულა ამ ქვეყნად და რამდენი კიდევ აღელდება. შესაძლებელია ამითი მხოლოდ სული იზრდებოდეს და კარგია, სხვა არაფერი —

— შენი სიტყვები, თომა — სთქვა ლევანმა — მე მაგონებს ომარ ხაიამს; ეს სპარსელი პოეტია, მას აქვს ნათქმი: ვინ იცის კიდევ რამდენი მოვა დილა... აი, ამდენი სიბრძნეა ხალხში და მოვა, ვინმე ევროპის სახელმწიფო და იტყვის: ბალა-ბალა! ესე იგი, ველურები ხართო. ლაპარაკში დაგვცინებს..! —

თომამ ჯერ გაკვირვებით შეხედა ლევანს, შემდეგ გაიცინა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველაფერი მწამს, მაგრამ სად ტურები, სად ევროპა, სად სპარსელი მგოსანი, საიდან სადაო... — ვანოც ფიქრობდა: საიდან სადაო! ,მხოლოდ თავისი ფიქრებით, ვანო იყო ლევანის მხარეზე: „დახე, როგორ უნაკვარდია ადამიანის გონებას: ტურები, პოეზია, პოლიტიკა“ ვანოსაც წაეკითხა სპარსელი მგოსნები და ამჟამად მოაგონდა „ნელა იარე! ნიადაგი სადაც დადიხარ, მშვენიერ ასულთა ბაგეებია, შენ ჰქეჯნი მათ“.

დაწვნენ. დაბლა ეგო ნორჩი ლერწამი, მხოლოდ ვანოს, ნატყვიარობის მიზეზით დაუგეს თომას ქურქი.

24

აქ მოთხრობილ ამბების შემდეგ გავიდა ორი წელი. რუსეთმა დიდი სიმშილი განიცადა, რასაც მრავალი მსხვერპლი შეეწირა. ამის შემდეგ მთავრობამ „სამხედრო კომუნიზმი“ მოხსნა და შემოიღო „ახალი ეკონომიური პოლიტიკა“. „გამდიდრდით!“ ნაწილობრივ ნება-დართულ იქნა კერძო ვაჭრობა, კერძო საკუთრება. ხალხმა ოდნავ ამოისუნთქა. პოლიტიკის მარჯვნივ გადახრამ, მრავალ მოაზროვნეს მისცა იმედი, რომ ცხოვრება თავისას გაიტანდა და ასახელებდნენ საფრანგეთის დიდ რევოლუციას.

ამავე დროს, თვით ბოლშევიკთა შორის თავი იჩინა მრავალმა უთანხმოებამ, უთანხმოებანი იყვნენ მრავალნი, იმ ბოლშევიკებს, რომელნიც არ იყვნენ „თანახმანი“, უწოდებდნენ გადახრილთ. ხელისუფლება მათ დიდრონ თანამდებობებს ართმევდა და აქვეითებდა, ამ გადახრილთ. ერი ისევე უწდობლად უცქეროდა ვით პოლიტიკის მწარმოებელთ, რადგან მათ შორის, ჯერ კიდევ, საერთო უფრო მეტი იყო, ვიდრე სადაო.

ერი ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა. ამ ხნის განმავლობაში, მოხდა ორი აჯანყება. ბევსურეთისა და სვანეთის. ორივე მთაა. სუფთა და გულადი. აჯანყებები ჩააქრეს. აჯანყებათა მონაწილენი, უამრავი დაიხოცა [illegible] ლი ტყვედ გავიდა და ტყვეობ[illegible] ნი ეწეოდნენ ისეთ ცხოვრებას, როგორიც შეჰფერის პარტიზანთ. ამ გარემოებამ, მთავრობას გაუადვილა მიეღო უკიდურესი ზომები: ტუსაღთა მძევლად გამოცხადება და საჭიროების დროს ხვრეტა, მიხედვით სიისა და არა ბრალდების. გარდა ამისა, გამრავლდა არა ლეგალურად მცხოვრებთა რიცხვი. ერი მათ ინახავდა. ერი იყო წინააღმდეგი ხელისუფლებისა. ხელისუფლება ატუსაღებდა ხალხს: ზოგს, როგორც აჯანყებათა მონაწილეს, ზოგს როგორც ფარულად მომუშავეს. სხვა-დასხვა პროვინციებში, ხელისუფლება მოითხოვდა დარჩენილ იარაღს.

ეს ვითარებაც საბაბი ხდებოდა დატუსაღებათა. სატუსაღლები აივსო.

საჭირო შეიქნა მოვლა ერთის მხრივ ტუსაღთა, მეორეს მხრივ უპატრონოდ დარჩენილ მათი ჯალაბობისა. ერთსაც და მეორესაც სჭირდებოდათ ტანსაცმელი და საკვები.

ესეც ბრძოლა იყო და ქვეყანამ ესეც იკისრა.

სანაპირო ქალაქში, სადაც მოსავალი უკვე მოეწიათ, ყოველ საღამოობით, ხან აქ, ხან ეზოებში იმართებოდა ნადი. ადამიანები სხდებოდნენ ხის ძირად და ჩირაღდნის შუქზე არჩევდნენ სიმინდსა და ისმოდა ხმა-მაღალი საუბარი, თხილის მტვრევა, ხუმრობა და სიცილი. ბალბი იჩენდა უდარდელობას და არა, იმიტომ, თითქოს კეთილდღეობა ყოფილაყო ამისი მიზეზი, არამედ ეს იყო გაგრძელება ჯანმრთელ ადამიანთა ჩვეულებისა.

ამასწინად, სანაპირო ქალაქის მანდილოსნებს თავი მოეყარათ და მისულიყვნენ აღმასკომში.

ქალები ითხოვდნენ ეკლესიის გახსნას; ისინი ამბობდნენ ასე:

— გაგვიღეთ ეკლესია! თუ იგი არის ცუდი, თქვენ იქ ნუ მოხვალთ. ჩვენს შესახებ კი, გთხოვთ ნუ იზრუნებთ, რადგან ჩვენ უკვე ხნიერი ადამიანები

ვართ და გვსურს ისე მოვკვდეთ, როგორც მომკვდარან ჩვენი წინაპრები! —

ხელისუფლება დაბნეულა. ქალები ყოფილან ბევრნი და მათ შორის, ადგილობრივი ბოლშევიკების ცოლებიც; ბოლოს ხელისუფლებას გამოუცხადებია:

— კეთილი! ამაზე ჩვენ მოვილაპარაკებთ, მხოლოდ ეხლა დაიშალეთო! —

ქალები დაშლილან. ეს გარემოება, სანაპირო ქალაქში იწვევდა მრავალნაირ განმარტებასა და ოხუნჯობას.

25

დიდი სიცხეების გამო, ზღვის პირი, ნავთსადგურის გასწვრივ ხალხით სავსე იყო.

ზღვა სრულებით წყნარი სჩანდა, თუმცა დროგამოშვებით დგებოდნენ „მკვდარი" ტალღები, რომელნიც ქშუილით ეცემოდნენ სილიან ნაპირს და აქაფებულნი, წამით ჰფარავდნენ მას. ნაპირზე იწვნენ მობანავენი და როცა ტალღები მათ წვდებოდათ, იწყებოდა ჟივილ-ხივილი. აქვე, სილაში იწვნენ ჩვენი ამბის გმირები: კოტე და ლევან ფერეულები, ვანო უთნელიძე, გოგია კოკოსაძე და ორიც სხვა ახალგაზრდა.

ზღვიდან ახლად ამოსულ ჩვენს გმირებს, ტანთ სილა ერტყათ, თითქოს შემოსილები იყვნენ, სახეზედაც სილა ჰქონდათ და უცნაურად უელვარებდათ სოველი თმა და სიცილის დროს თეთრი კბილები. მზეზე გაწოლილნი ისინი ბჭობდნენ.

კარგ ფარულ მუშაობად, ისეთი მუშაობა ითვლება, როდესაც სჩანს გაკეთებული საქმე და არა გამკეთებელი.

ბოლშევიკებთან ეს არ იყო ადვილი, რადგან თვით ისინი დახელოვნებული იყვნენ ასეთ საქმეებში და დაახლოებით შეეძლოთ წარმოედგინათ, თუ სად რა გაკეთდებოდა. ჩვენი გმირები, ზღვის პირად, წარმოადგენდნენ თითებს, რომელნიც მუშაობდნენ და თუმცა მუშაობდნენ ერთად, ევალებოდათ არ სცოდნოდათ სხვა არაფერი გარდა იმისა, რასაც თვითონ აკეთებდნენ. საქმე ეხებოდა ადამიანთა სიცოცხლეს და გადაჭარბებულ ცნობისმოყვარეობას ... ცოდნას. შეეძლო გამოეწვია სისხლი.

ორი უცნობი ახალგაზრდა ჩამოსულიყო სხვა-დასხვა სოფლიდან, მათ, ორთავემ ერთი და იგივე სთქვეს: რომ ხალხი განიცდის უკიდურეს გაჭირვებას, რომ არიან მზად და მოითხოვენ შეიარაღებულ დარტყმას. ახალგაზრდების ასეთი განცხადება, ყველაზე უფრო ლევან ფერეულს მოეწონა:

— ვამბობ, მეგობრებო, გულისწყრომით და საყვედურით: სამსახურში ჩემთან, დღეს მოდის ორი ახალგაზრდა და მაწვდის სიას; რა ამბავი? ტუსაღთათვის აგროვებენ ფულს, სურსათს ან ვისაც რა შეუძლია. ვკითხულობ სიას; ვინ გინდა შიგ არ არის: ანიკო ბადრიძე, ბარბალე ბადრიძე, მთელი ქალაქი! ამხანაგებო, სია ბავშებს მე აუკრძალე... ამის მეტს არაფერს ვლაპარაკობ, ასეთი სიებით ჩეკა, არა თუ ხალხს იპერს, ასახლებს კიდეც. თქვენ ამას ეძახით ბრძოლას, მე კი ეს მგონია ისეთი საზრუნავი, რაც ევალებათ მოწყალების დებს... —

გოგიამ სთქვა:

— ო, სიები არ უნდა ჰქონოდათ! —

კოტე ფერეულმა სთქვა:

— ლევან ფერეულო, შენ უნდა ყოფილიყავ ჩემთან ჯარში და მაშინ გასწავლიდი, რომ ბრძანების ასრულების დროს მსჯელობა არ შეიძლება! —

გაიცინეს და წამოიშალნენ.

— აბა, მოგზაურობა ზღვაში — იძახდა კოტე ფერეული.

— მშვიდობიანი თუ არა მშვიდობიანი!? —

— მშვიდობიანი, მშვიდობიანი! მე არ შემიძლია, გაბერილი ვარ — ჰყვიროდა ვანო უთნელიძე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ცურაობის დროს, ერთი-მეორე არ ჩაეყურყუმალავებიათ, არამედ ეუცრად წესიერად. და არ დაესრულებია ვანოს თავისი სიტყვები, რომ კოტე ფერეულს მან თვით ფეხი გამოსდო. კოტე წაბორძიკდა, ხოლო ვანო, შეშინებული რათა კოტეს ხელთ არ ჩავარდნოდა, ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რხარით ზღვისაკენ გაიქცა. მას მიჰყვნენ და ემჩნეოდა, რომ მოგზაურობა არ იქნებოდა მშვიდობიანი.

ამ ადგილას, დიდი მანძილი უნდა გაეცლოთ ზღვაში, სანამ სიღრმეს მიაღწევდნენ; ვანო უთნელიძე, სანამ თეძოებამდე წყალი მიწვდებოდა, ხტუნვით გარბოდა; შხეფებმა მას სილა ჩამოკბანეს და გამოჩნდა, მზეზე გაშავებული და მშვენივრად აგებული სხეული. ზურგში ოდნავ აჩნდა ნატყვიარი. ვანოს ბეჭებზე მოხვდა სოველი სილა, შემდეგ მოხვდა კისერში, ამას კოტე ისროდა და ვანო უთნელიძემ ხელებ გაწვდილმა წყალში დაიწყო ცურვა.

ხუთივენი კარგად სცურავდნენ; მხოლოდ სოფლელი ორი ახალგაზრდა, უთუოდ სოფლად, მდინარის სისწრაფეს შეჩვეულები, ხელს ჩქარ-ჩქარა ხმარობდნენ; ზღვაში ეს საჭირო არ იყო.

ვანოს დაეწივნენ.

როდესაც კოტე ფერეული ვანოს მიუახლოვდა და წყალზედ, ერთბაშად წელამდე ამართული, აწურულ მკერდითა და მკლავებ გაშლილი ვანოს დააცხრა, ადამიანი იფიქრებდა, რომ ის იყო ზღვის ვეშაპი. კოტემ ჯერ ხელებით ჩასძირა ვანო, შემდეგ ფეხი დაჭკრა თავზე; ვანომ მოასწრო დაყვირება, რომ ის „გაბერილია" ესე იგი, წყალი ბევრი ეყლაპა. შემდეგ ნაღვლით გაიფიქრა, რომ კოტეს სამაგიეროს ვერ გადაუხდიდა და ნეტავ არ გაჰხუმრებოდა და კვანტი არ გამოედო. იმდენად ღრმად ჩავიდა ვანო წყალში, რომ იგრძნო წყლის გაცივება, თან სული ეხუთებოდა და მთელი ძალ-ღონით ცდილობდა დაბლა სრბოლა შეენელებია და მაღლა ეწყო ამოსვლა.

როდესაც ვანო მაღლა ამოდაოდა, მის თვალ წინ, თავდაღმა დაშვებულებმა ჩაიარა ოთხივემ, რა თქმა უნდა, წყალში თვალები გახელილი ჰქონდათ და შენელებული მოძრაობა, მათ ამსგავსებდა ალიეთრიონებს ანუ მედუზებს. რომელნიც ხან აღმა სცურავენ და ხან დაღმა, რადგან არიან ზღვის ცხოველები.

ვანო მიხვდა, რომ მცურავები მიდიოდნენ ფსკერზე, სილის ამოსაღებად, მაგრამ ეს უთუოდ გაძნელდებოდა სიღრმისა გამო.

რა ზედაპირზე ამოვიდა, ვანომ ხახა დააღო და ხარბად იწყო სუნთქვა. მერე წყალზე გულ-აღმა გაიშოტა. ამაში იყო უდიდესი სიამოვნება.

გოგია კოკოსაძეს უფლება ჰქონდა კმაყოფილი ყოფილიყო. მან სტამბა გამართა და რამდენჯერმე გამოვიდა „ფურცლები". ისინი იყვნენ დაბეჭდილი გაზეთის ჩამონაჭერ ქაღალდებზე. ერთი გამბედავი ქალიშვილის თანხლებით, გოგიამ ღამით ჩამოიარა ქალაქი და ფურცლები გააკრა. მხოლოდ ხელმძღვანელობამ გოგია გააფრთხილა, მეორედ ეს არ ჩაედინა! მას ებარა მხოლოდ სტამბა!

ფურცლების ამოჩენამ ხელისუფლება გააშმაგა; სასაცილო იყო, თუ როგორ დაძრწოდნენ ისინი, ვისაც ასეთ საქმეების გამო ძრწოლა ევალებოდათ. მაგრამ უფრო სასაცილო ის იყო, რომ დაბნეულებმა, რა კვალს ვერ მიაგნეს, დაასკვნეს: ტფილისიდან შემოგვაპარესო.

მოქალაქენი ჩუმად იცინოდნენ. მათ ამხნევებდათ შეგნება, რომ ბრძოლა გრძელდებოდა. ასეთ ბრძოლას ლევან ფერეულმა უწოდა პოზიციური და სწორედ უცნაურია, გამოაცხადა ზედ-მეტად. გოგიას ხმა არ ამოუღია.

ასე რომ სილაზე იწვნენ და ბჭობდნენ, მაშინ იყო, ნაპირიდან მოშორებით რომ ჩაიარა კაბრიოლეტმა; შიგ ისხდნენ ქალბატონი ბარბალე ბადრიძე, ანიკო ბადრიძე და სოლომონ ფერეულის ასული მანანა. ცხენს მართავდა ანიკო. ქალები მიმი იცნეს, რომ კაბრიოლეტი ეკუთვნოდა ბატონ ბადრიძეს და ყოველ დღე კარგ ამინდში, ქალები დადიოდნენ საბანაოდ.

ლევანს ხმა ოდნავ აუთრთოლდა და იგი ცდილობდა ქალებისაკენ არ გაეხედა. ვანოსაც უმატა გულიძგერამ და ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო კარგი, რომ ამ დროს ვანო არ ლაპარაკობდა.

წყალზე გულ-აღმა გაწოლილმა ვანომ გაიხედა იქით, სადაც ქალები ბანაობდნენ.

ეს იყო შორს.

ზღვაში სჩანდნენ თეთრით თავ-წაკრული ქალები, რომელთაც ტანთ ეცვათ გრძელი თეთრი პერანგები. სიშორის გამო, კაბრიოლეტი, ისე ვით ცხენი მოსჩანდა ლურჯად და გამჭირვალედ.

ამგვარადვე მოსჩანდნენ შორეული ნაპირები და ტყეები.

ჩაყვინთულმა ახალგაზრდებმა იწყეს ამოსვლა. ისინი ზედა-პირზე გამოჩენისთანავე აღებდნენ პირს; სასაცილო იყო, თუ როგორ ჩამოსდიოდათ სახეზე წყალი და სილრმეში შეცივებულები, თუ როგორ უნებურად ამქლავნებდნენ მზის გამო სიამოვნებას.

უკანასკნელად გამოჩნდა კოტე. იგი არ იყო მთლად ამოსული, როდესაც, ვანომ თავზე ხელები დაჰკრა და უკანვე გაგზავნა!

ამაზე სულ არ უფიქრია ვანოს; ეს ჩაიდინა თავის უნებურად; მან იწყო სიცილი, ისე, როგორც იცინიან წყალში შეშინებული ადამიანები, თან გამალებით მისცურავდა ნაპირისაკენ.

კოტემ, როდესაც ზედა-პირზე ამოვიდა, სთქვა:

— კინალამ არ დამაღრჩო ამ ციგანმა ბაღანამ!? — იგი ქოშინით ითქვამდა სულს. მერე გაიცინა. მოეწონა და დაიფასა ვანოს გამბედაობა. ახალგაზრდები ნაპირისაკენ დაბრუნდნენ. ნაპირზე მათ უცდიდათ ერთი ქერა კაცი, სათვალებიანი და ბეჭებში ცოტათი მოხრილი. ეს იყო ჩვენი ძველი ნაცნობი, ვიკტორ რაზმაძე.

26

ვიკტორ რაზმაძე, ლევან ფერეულთან ერთად, მსახურობდა ჭიათურის შავი-ქვის სამრეწველო საზოგადოებაში. ჭიათურის შავი ქვა ანუ მანგანუმი, დიდი ღირებულების მოვლენაა. ის იგზავნებოდა საზღვარ-გარეულ ევროპასა და ამერიკის სახელმწიფოებში, როგორც აუცილებელი ნივთიერება მძიმე ინდუსტრიაში. საზოგადოება, რომელიც მანგანუმის საქმეებს განაგებდა, იყო მდიდარი და თავის განყოფილება ჰქონდა სანაპირო ქალაქშიაც.

პავლე ბადრიძე, როგორც მანგანუმის საქმეების მცოდნე და თვით აქციონერი საზოგადოებისა, განაგებდა სანაპირო ქალაქის განყოფილებას; მან თანამშრომლებად მოიწვია ვიკტორ რაზმაძე, აგრეთვე ლევან ფერეული.

საფიქრალია, რომ ხელისუფლება ან არ იცნობდა მრეწველობის საქმეებს, ან ეშინოდა, თვით რომ ხელთ აეღო საქმეთაწარმოება, არ დაჰკარგოდა მუშტრები — უცხოეთის სახელმწიფოები. ამ რიგად საზოგადოების არსებობა, დათმობა იყო მთავრობის მიერ, სამაგიეროდ მას მიჰქონდა შემოსავლის დიდი ნაწილი. სანაპირო ქალაქში, მანგანუმზე მუშაობდა ხუთასი მტვირთავი მუშა. მუშები დიდ ფულს აკეთებდნენ, მათი მაგიდის გამგე იყო ვიკტორ რაზმაძე, რაზმაძის თანაშემწე ლევან ფერეული.

ნავთსადგურის ჩრდილოეთ მხარეს, სადაც იდგნენ ევროპის საბარგო ხომალდები, სადაც ნაპირზე არაზინდოებივით ელაგა მანგანუმი, დილიდან საღამომდე სწარმოებდა. მუშაობდა.

კიბილით მიმოდიოდა ორთქლმავალი და მოჰქონდათ მადნით სავსე ღრმა ონოდები. ონოდებზე ჩაღდებოდა მუშაობა. იდგა ბული და ისმოდა ჯალამბრების განუწყვეტელი რახრახი.

ერთ ონოდაზე, ერთ ჯგუფში, რომელიც თხუთმეტიოდე კაცისაგან შესდგებოდა, იშვიათი თანხმობით მუშაობდა სამი კაცი; ერთი იყო ონისიმე ფერეული, მეორე ბატონი ვარლამი და მესამე თემუყვა.

არც პირველი, არც მეორე მუშა არ იყო და თუ მთავრობას დაეყვედრებოდა მათთვის: მუშა-კაცს ლუკმას ართმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვო!!. არ შეეძლო ამისი თქმა თემუყვასათვის.

თემუყვა იყო მუშა; თემუყვა იყო 55 წლისა, დაბალი, სქელი, ოდნავ ქერა, მელოტი, ხოლო სულითა და გულით — სუფთა ადამიანი.

ეს სამი მუშა-კაცი, ბევრ რამეში ეთანხმებოდა ერთიმეორეს და რაშიაც არ ეთანხმებოდა, იმაშიაც ურთიერთს პატივს სცემდა.

ცხელოდა; ამ სიცხესა და მადნის ბუღში მუშაობა, არ იყო ადვილი. ამაში ერთმანეთს ეთანხმებოდნენ.

თემუყვამ იცოდა ოფლის მოწმენდა და ამ დროს ამხანაგებს შეჰღიმებდა. ამ ღიმილში სჩანდა გულის სიკეთე.

ყველამ იცოდა რას ფიქრობდა თემუყვა და როგორც ფიქრობდა; მას ჰსურდა სოციალიზმი, ჰსურდა გატაცებით, არა პირადათ თავისთვის, არამედ მრავალთათვის. ვარლამმა უთხრა:

— თემუყვა! ჩემო ბეჩაო თემუყვა, აი მოვიდა შენთან სოციალიზმი და შენ მას ზურგი შეაქციე — ვარლამს თემუყვა უყვარდა. ეს უთხრა ხუმრობით და თუმცა თემუყვას ხუმრობა ესმოდა, მაინც მიუგო: რომ სოციალიზმი მასთან არ მისულა, რადგან იგი თუ მოვიდოდა, უნდა მოსულიყო არა როგორც ჯალათი, არამედ ვით ბრძენი მოსამართლე, რომელსაც ყველა პატივს სცემს—

რადგან თემუყვა ასე აზროვნებდა, ამიტომ, როდესაც უფროსი მუშა, ხელისუფლების წარმომადგენელი და თვით ბოლშევიკი მუშებთან ჩაივლიდა, თემუყვა ბარს დაეყრდნობოდა და ხელებ-გაშვერილი ეუბნებოდა: ქვო უსკვე თანდემ აბუთერე, კატელინა, პაციენცია ნოსტრა! — ეს ლათინური ისტორიული წინადადება, რაიც ნიშნავს: როდემდე გწადია კატელინა, ბოროტად სარგებლობდე ჩვენი მოთმინებითაო!, ვარლამმა ასწავლა.

მუშები იცინოდნენ, ყველაზე მეტად ვარლამი, რადგან გაუგებრობაში ჩავარდნილი მთავრობის უფროსი მუშა, იმასლა ახერხებდა, რომ იქაურობას გასცლოდა.

კიდევ უთხრა ვარლამმა თემუყვას:

— როგორ გაგიბედო ჩემო საყვარელო თემუყვა, მაგრამ ეს შენი სოციალიზმი, კაი დიდი ზღაპარია! — ამ საგანზე ეს სამი კაცი ვერ თანხმდებოდა; თემუყვამ მშვიდად გაიღიმა:

— ღმერთო! ამ კაცს რა მოუხერხო! —

იმ დღეს ხელფასი მიიღეს. ახალი გამოსული იყო „ბაჯაღლო“, ჩერვონეცი, თუმნის ღირსებისა, აგრეთვე ვერცხლის ფულები.

ნავთსადგურში მუშაობა შესწყდა. მუშებმა ხელ-პირი დაიბანეს და ხმამაღლა ლაპარაკით, ჯგუფ-ჯგუფად წავიდ-წამოვიდნენ.

თემუყვამ თავისი მეგობრები სასადილოში მიიპატიჟა. შევიდნენ. იქ ისხდნენ მუშები და სვამდნენ ზოგი ლუდს, ზოგი ღვინოს. სასადილოში გრილოდა. როდესაც მოიტანეს თეთრი, ჩაცივებული, ღვინო, მშრალი კერძები და დაილოცეს და თვითო-თვითო გადაჰკრეს, ამან ჩვენ გმირებს მეტყველების სურვილი შეუქმნა.

ქართველი ადამიანი, ღვინის სმის დროს გულში კეთილად იღიმის. ონისიმემ ულვაშებში ჩაიცინა: — მშვენიერია! — სთქვა მან. ეს ეხებოდა ღვინოს. მერე თანამესუფრეთ უთხრა: — თქვენც კარგი ხართ, მარა დიდხანს ნუ დამაყოვნებთ! სახლში რა მიმაჩქარებს, ყველაფერს ვერ გეტყვით... ეხლა ავიტაცებ ბავშვებს და ამ ჩემი გამურული ტუჩებითა და ულვაშებით კარგად გავსვრი. ვერ წარმოიდგენთ რა კარგია!... აქეთ ქალი მიყვირის: ბავშვები ნუ გამიწვრიანეო!... —

— ჰე-ჰე-ჰე! — თემუყვამ გაიცინა — ვერ გაგიშობ, ონისიმე, ვერა! მე და ვარლამი ერთი-მეორეს ვებრძვით. შენ უნდა იქნე მოსამართლე —

ირგვლივ ხმაურობდნენ სასადილოში, მაგრამ ხმაური იდგა ისეთი, რომელიც საუბრისათვის განაწყობდა. თამბაქოს ეწეოდნენ. კვამლში, მდუმარედ იჯდა ბატონი ვარლამი და თემურყვას უსმენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარლამი იყო უზარმაზარი და ნაყვავილევი. იგი ეხუმრა თემუყვას:

— რა ჩემმა ცოდვამ შეგაყვარა ეს სოციალიზმი! — ვარლამი სახის გამომეტყველებას არასოდეს არ იცვლიდა, თუმცა იცოდნენ თუ როდის ხუმრობდა.

— გამიგონე, საყვარელო თემუყვა! — სთქვა ვარლამმა — ნუ დაგავიწყდება, რომ მე ვარ ისტორიკოსი და ქვეყნის ტრიალის თანამიმდევრობაში, გათვითცნობიერებული ადამიანი... —

მაგიდაზე ოთხიოდე ცარიელი ბოთლი ედგათ. მეხუთეს სვამდნენ; სახეები წამოსწითლებოდათ, თვალები უცინოდათ.

— ძალიან კარგი, რაკი შენ ისტორიკოსი ბრძანდები, სწორედ შენ უნდა გამიგონო... მე ვითხოვ არა ადამიანების თანასწორობას, არამედ უფლების თანასწორობას, რომ ქვეყნის სიმდიდრით ყველამ ისარგებლოს. გარდა ამისა ადამიანს უნდა ენდო... განა არ შეგრცხვება კაცს, შენსავით ადამიანზე ბატონობდე!? მითხარი ეხლა, ეს არ მოვა!? არ უნდა მოვიდეს? —

ვარლამს, ისე როგორც თემუყვას, ამ წუთში ქვეყნიერება უყვარდა. ყველაზე უფრო კი, უყვარდა თემუყვა, ეს უბრალო ადამიანი, რომელსაც ბევრი ეფიქრა, რომლისთვისაც ყველაფერი ნათელი იყო და ეხლა, მისჩერებოდა ვარლამს და ელოდა პასუხს.

— მოვა, უეჭველად მოვა — სთქვა ვარლამმა და გააგრძელა — უთუოდ დადგება ოდესმე დრო, როდესაც პიროვნების ხარისხისა და საქციელისათვის პასუხისმგებელი იქნება მისი მთავრობა; ეს გახდება შესაძლებელი მაშინ, როდესაც ადამიანის ბუნების უარყოფითი და ბოროტი თვისებანი დაემორჩილებიან მკურნალობას... —

თემუყვა თუმცა ყურადღებით უსმენდა ვარლამს, მაგრამ კარგად მაინც ვერ გაიგო, დაეთანხმა მას ვარლამი თუ არა!

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა გმირებმა ბევრი შესვეს, ისინი იყვნენ შეზარხოშებულნი და არა მთვრალნი. ახსაკუთრებით არა ემჩნეოდათ რა ოხისიმესა და ვარლამს. მხოლოდ ხანში შესული თემუყვა, როდესაც სუფრა დასტოვეს და შინისაკენ გაემართნენ, ლაპარაკში გართული, ხშირად დგებოდა და სხვებსაც აიძულებდა შეჩერებულიყვნენ. როგორც თვითონ ამბობდა: მისთვის გამოირკვა, რომ ვარლამისა და მისი უთანხმოება. უთანხმოებათვე დარჩა! —

ამას ამბობდა ოდნავ ენა დაბმით და სიცილით.

— ან კი, რად გჭირია შენ სოციალიზმი, ჩემო ძვირფასო ვარლამ! შენ უიმისოდაც კარგი ბიჭი ხარ, მხოლოდ იგი მჭირია მე... —

ჩვენს შეზარხოშებულ გმირებს, გზაზე შეხვდათ მუშათა მაგიდის გამგე ვიკტორ რაზმაძე, რომელიც საბანაოდ მიიჩქაროდა.

27

ნამდვილად კი, ვიკტორს უნდოდა ენახა კოტე ფერეული. მას რაღაც აწუხებდა. ზღვის პირად ფერეულების ტანთი მოსძებნა და დაიწყო ლოდინი.

მალე წყლიდან ზედი-ზედ იწყეს ამოსვლა ჩვენმა ახალგაზრდა გმირებმა. ისინი იყვნენ სრულიად შიშველნი, ვიკტორი დარცხვენით იღიმოდა. ერთბაშად კოტეს მიადგა:

— თქვენთან საქმე მაქვს! —

არ შეიძლებოდა ეს ყოფილიყო ხუმრობა. კოტე სილაში ჩაჯდა; დანარჩენები გაშორდნენ და იწყეს ჭიდაობა.

იმდენად საყურადღებო იყო ყოველივე ის, რასაც ამბობდა ვიკტორი, რომ თავის-და უნებურად, კოტემ ჯერ წამოიწია და დაჩოქილი ისმენდა, შემდეგ სრულიად ადგა.

როგორც ვიკტორის სიტყვებიდან ირკვეოდა, იონა თავაძეს, ესე იგი საგანგებო კომისიას, ცნობები მისვლოდა თუ იჭვი აეღო, რომ ქალაქის მიდამოებში, არსებობდა სამხედრო იარაღის საწყობი და ამ გარემოებასთან დაკავშირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ახსენებდნენ კოტე და თომა ფერეულებს. კოტე იდგა ვით ელდა-ნაცემი და ისმენდა; ამავე დროს ყველაფერზე ერთად ჰფიქრობდა: „ნუთუ ვინმემ გასცა! ვინ! ვის შეეძლო! საიდუმლოება იცოდა მეტად სანდო პირებმა, მათი რიცხვი იყო მცირე! ან იქნებ შემთხვევით თვალი მოჰკრა! ვთქვათ „წყალქვეშამ", რომელიც სად-და სად არ დაბოდიალობდა, თომამაც აღნიშნა რამდენჯერმე! აქ იქნებ ეს კაცი, ვიკტორ რაზმაძე იყო მოგზავნილი!?.."

კოტემ მკაცრად ჩაჰხედა ვიკტორს თვალებში: ვიკტორ!.. — ვიკტორმა იგრძნო.

— მესმის! — სთქვა რაზმაძემ — ეს საქმე ძალიან მძიმეა! მხოლოდ თქვენ უნდა გამიგოთ! მე არაფერი ვიცი და არც არაფერი მსურს ვიცოდე! შემთხვევით მოვისმინე ყოველივე ეს და ამის შემდეგ, მე მას ვივიწყებ! —

ვიქტორ რაზმაძის საქციელში, არაბუნებრივი არაფერი იყო; იონა თავაძე მას თავის კაცად სთვლიდა და ხშირად, განსაკუთრებით როდესაც ნასვამი იყო, ეუბნებოდა ცოტაოდენ საიდუმლოებებს; თავის კაცად კი, მას შემდეგ სთვლიდა, რაც ტფილისის დაცემის წინა ღამეს იგი, ვიკტორმა თავის ბინაზე შეიფარა, ეს იყო გაბედული საქციელი. ამის შემდეგ მეგობრობა და ხშირი ვახშმობა, მით უმეტეს, ღვინო ორივეს უყვარდა.

არც იმდენად სულელი იყო იონა თავაძე, რომ არ სცოდნოდა საიდუმლოების შენახვა;

გარდა ამისა, თავაძემ იცოდა, რომ ვიკტორი ფერეულებს მეგობრობდა, მაშასადამე შეიძლებოდა დაშვება, რომ იგი, ძველი მეგობრობის ძალით აფრთხილებდა კოტეს. აკი ამგვარადვე, როგორც დღეს, ვიკტორ რაზმაძემ სიტყვა მოუტანა, რომ მერაბი პარტიის კანდიდატი გამხდარიყო და ატარებდა იარაღს, რათა კოტეზე შური ეძია. ეს მართალი აღმოჩნდა.

მაგრამ დღევანდელი შემთხვევა იყო სულ სხვა. შესაძლებელია კოტეს უთვალთვალებდნენ, საჭირო იყო თხილე!

რაც არ უნდა ყოფილიყო, საგონებელში ჩავარდნილ კოტეს რამდენიმე გადაწყვეტილება ჰქონდა: ჯერ ერთი, როგორმე უნდა გაეგო, თუ საქმე როგორ გახმაურდა; საჭირო იყო გარდა ამისა, შემცირება საიდუმლოების მცოდნეთა და რადგან ამის შემდეგ იარაღი იქ არ დაიტოვებოდა, იგი უნდა გადაეგზავნა მთებში, სხვა-დასხვა ჯგუფებისათვის, რომელთაც იარაღი სჭიროდათ და დიდი ხანია ითხოვდნენ. მანამდე კი, იარაღისათვის სასწრაფოდ უნდა გამოეცვალათ ბინა.

იწყო შეღამება, როდესაც კოტე გავიდა ქალაქის განაპირას, ხე-ტყის საწერხ ქარხნების უბანში. იქ კოტემ მოსძებნა ერთი მუშა-კაცი და რამდენიმე ხნის შემდეგ, ორივე ღვინოში იჯდა და თითქოს საბადეგოდ მისცურავდნენ ტბაზე. ეს მუშა კაცი, სახელად მათია, მამაცი და გამბედავი, ერთი იმათგანი იყო, რომელთაც იცოდნენ იარაღის საიდუმლოება.

იმავე ღამეს, მთელი იარაღი, რაც კი თომას კარავში მოიპოვებოდა, იქნა გადატანილი და დაცული შუაგულ ტყეში.

28

წესი ითხოვდა, რათა ზღვაზე დარჩენილ ახალგაზრდებს, კოტეს წასვლისა არც მიზეზი ეკითხათ, არც ყურადღება მიექციათ.

მათ ტანთ ჩაიცვეს და ნელი ტაატით, ვიკტორის თანხლებით აყვნენ ზღვის ნაპირებს.

ჩამავალი მზე ნახევრად ჩაძირულიყო ზღვაში, ხოლო მეორე ნახევარი, უზარმაზარი და წითელი ისე ჭრტიალებდა, რომ ადამიანის თვალი ვერ უძლებდა მის ცქერას. ცხელოდა ისევ.

ახალგაზრდები ნავთსადგურში შევიდნენ.

ნაბანევები, ისინი იყვნენ დაღლილნი და მოშივებულნი, მაგრამ არც ერთი მათგანი, რათა ჯგუფი არ დაშლილიყო,



არც დასვენებას ჰფიქრობდა, არც დანაყრებას. მხიარული საუბრით, ისინი მიდიოდნენ ნავთსადგურის იმ მხარეს, სადაც ზღვაზე ამართული იყო, ვეება ქვებისაგან ნაკეთები გალავანი, რომელიც ჰქმნიდა ნავთა და ხომალდთა წყნარ საყუდელს და რომელზედაც კარგ ამინდში, ქალაქის ბინადართ უყვარდათ სეირნობა.

ქალბატონი ბარბალე ბადრიძე ყოველ საღამოს დადიოდა აქ ბანაობის შემდეგ; მას თან დაჰყავდა ანიკო და მანანა, რადგან მისი აზრით, შეცდომად ისიც კმაროდა, რომ წელს სააგარაკოდ არ წასულან, ხოლო მეორე შეცდომა ის იქნებოდა, რომ არ ესარგებლათ ზღვის სუფთა ჰაერით.

იქნებ ზოგიერთები ჩვენს ახალგაზრდებში, მილეული და მანანას გულით ჰფიქრობდნენ და ელოდნენ ანიკოს შეხვედრას, მაგრამ საქციელში ეს არ ემჩნეოდათ. საუბრობდნენ უდარდელად და იცინოდნენ. ვიკტორის [illegible] ჭირო არ იყო. ვიკტორ [illegible] და. მან სთქვა: რომ დღეს ქალაქში უთუოდ ბავშვებს ტელეგრაფის მავთულებზე გაეტყორცნათ და შეებათ ეროვნული პატარა დროშები და რომ ჩეკა დარბოდა და ცდილობდა მათ ჩამოხსნას.

კოტე იდგა ვით ელდა-ნაცემი და ისმენდა; ამავე დროს გმირებს მეტყველების სურვილი შეუქმნა.

მზე ჩავიდა, მაგრამ ბადრიძეთა ეტლი არ გამოჩენილა და ახალგაზრდებმა ქალაქში დაბრუნება გადაწყვიტეს. ნავთსადგურს რომ გამოსცდნენ, მათ შემოხვდათ ბატონი სოლომონ ფერეული, რომელიც მისეირნობდა მარტო.

სოლომონი ახალგაზრდებს მიესალმა და თეთრი საზაფხულო ქუდი, რომელიც მისალმების დროს მოიხადა, არ დაუხურავს ისე შესდგა ქვის ზღუდეზე.

(გაგრძელება იქნებაი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ძიგვაშვილი

დიდ ლიტერატურულ გზაზე შედგა ფეხი გიორგიმ, მაგრამ წუთისოფლის უკუღმართობა გადაეღობა და 1942 წელს თანატოლებთან ერთად დაიჭირეს და დახვრიტეს.

ბევრი ლექსი და თარგმანი არ დაუტოვებია, მაგრამ რაც დარჩა ყმაწვილ პოეტს, ისინი მის განსაკუთრებულ ნიჭიერებაზე მეტყველებენ.

მე შევკრიბე გიორგის ლექსები და თარგმანები, ვაგროვებ თანატოლებისა და ნაცნობების მოგონებებს. მალე ცალკე წიგნად გამოსცემს გამომცემლობა „მერანი" გიორგი ძიგვაშვილის კრებულს, რომელსაც დავარქვი მისი საუკეთესო ლექსის სათაური: „გაზაფხული მარაბდის სასაფლაოზე".

ლადო სულაბერიძე

თქმულება ციხის აგებაზე

მოდით, წარსულიც ავაკიაფოთ,
წუთით თქვენც ენდეთ ლექსებს
ჩემსავით.
ერთი ზღაპარი მინდა გიამბოთ —
აკაკის დარჩა გაულექსავი.
...ერთხელ, მოსეულ მტრის
დასახვედრად
ციხის აგება იწყეს ჩვენებმა,
მაგრამ ქვის კედლებს ქარი ანგრევდა
და არ დასრულდა თურმე შენება.
განრისხდა მეფე, ხალხიც გლოვობდა,
ყველა შიშმა და დარდმა დასეტყვა,
მაგრამ მოხუცი ვინმე მოვიდა,
გაჰხედა ქვებს და თურმე ასე თქვა:
„— მეფევ, ეს ციხე არ აშენდება,
ამაოდ სტანჯავ ოსტატებს ფიქრით,
ქვა ქვაზე ისე არ დაშენდება
თუ ვინმე ჭაბუკს არ ჩასდებთ შიგნით".
შეშფოთდა, მაგრამ მტრების
მოსვლამდის
ხალხში აფრინა მეფემ ბრძანება:
„— მოვიდეს ჩემთან, სამშობლოსათვის
ვისაც სიცოცხლე არ ენანება!"
...და დადგა დილაც — ღიმილისმფენი.
მზემ იალბუზი ნათლით შებურა,
გაჰხედა გზას და რას ხედავს ბრძენი —
ჭაბუკთა ჯარით ამოვსებულა.
ყველა იმეტებს სიცოცხლეს ლხენით,
მეფე არჩევით დაოსებულა.
წინ წარსდგა მაშინ თურმე ის ბრძენი
და ასე ბრძანა გაოცებულმა:
„— ციხეს რად უნდა რკინის კარები,
როცა რკინაა ვაუკაცი ყველა.
ამ გმირთა პატრონს ციხე არ გინდა,
თქვენ ეს ადრევე გამცნო ზეცამაც.
ციხის აგებას სჯობს თვით წახვიდეთ
მტრის ციხეების დასალეწავად..."
...და ამ იმედით მუდამ, აქამდე —
ჩემი ზღაპარი ასე თავდება —
მტრობის ყოველგვარ ზღუდეს ლახავდა
ხალხის სიმტკიცე და თავდადება.

1940

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ მერცხლებს

მერცხლებო, იებს დაუსწრია, მორთულან ტყენი,
არც ნისლი სადმე... არც ზამთრული ყინვა და თოში...
მე მისრითიდან მომესმოდა გალობა თქვენი —
კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ჩემს სამშობლოში.

შორეულ მგზავრებს ერთი ცელქიც რომ შეგხვდეთ ავად,
შიშით და წყენით ატოკდება ათასი მკერდი:
„რა დაგიშავა, ბიჭო სესე, რა დაგიშავა,
ალალმართალი, უწყინარი ჩიტია ერთი...“

ვისთანაც თქვენ ხართ, თქმულებაა — მას ბედი სწყალობს —
ბედნიერ გულს კი ბედნიერი სიმღერაც უნდა.
პირველ ლექსივით ამიფრინდი, შავო მერცხალო,
დაბუდებულო ახალგაზრდა ვაჟკაცის გულთან.

ლაღად იფრინეთ! — ყვავილებით ავსილან ტყენი,
არც ბიჭი სესე... არც ზამთრული ყინვა და თოში...
მე მისრითიდან მომესმოდა გალობა თქვენი —
კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ჩემ სამშობლოში!

1939

ღამე ოპერის ბაღში

სადაც აკაკის ქანდაკებაა და ფალიაშვილის, მარჯანიშვილისა და სარაჯიშვილის სამარე.

დეკორატორი არ აფორმებს ამ ტრაგედიას:
თოვს, პროსპექტის შუქს და შვიდი ცის შვიდკეც ბისონებს
მარჯანიშვილი არ დაუთმობს სხვა რეჟისორებს —
იქვე აკაკიც — სუროს ტბაში თითქოს გედია.

იქნებ ლირის ხმა სამარეში ვერ დაეტია,
იქნებ ოპერა მოენატრა დიდ კომპოზიტორს?
ის ქარს შესჩივლებს — მშობლიური ხმები მოზიდოს —
სჩანს, მარადი წვა შემოქმედის წმინდა ბედია.

შეერთდებიან, მოჰქარგავენ ბაღის ხალიჩებს,
დილის დროაო — რეჟისორი ჩიტებს ანიშნებს
და მერე ქალაქს რომ წამოშლის მათი ყიჟინი —

უკანასკნელად მოითხოვენ ბინდის შლეიფებს...
სამი აკლდამა ფრთოსან სხივებს მხრებზე შეიფენს
და მზეს ლილეოს შეჰღაღადებს სარაჯიშვილი.

1940

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტ ბერნსი

პატიოსანი სიღარიბე

ვინც პატიოსან სიღარიბიდან
სირცხვილს ელის და ნაღველს ატარებს,
მე მას გვერდს ვუვლი, იგი ბრიყვი და
მხდალი ყოფილა, მაშასადამე
ყველა ამისთვის,
ყველა ამისთვის,
თუმც მძიმედ ვშრომობთ ჩვენ დღე
და ღამე —
მდიდარს ოქრო აქვს, ჩვენ კი თვითონ
ვართ
ოქრომჭედლები, მაშასადამე.

რა ვუყოთ, ჩვენ თუ მდიდრულად არ
ვჭამთ
და უხეშ ხამის სამოსს ვატარებთ,
ბრიყვს ვერ გამოსცვლის ღვინო და
ფარჩა —
საქმე კაცია, მაშასადამე
ყველა ამისთვის,
ყველა ამისთვის,
აქ არის ყველა სიბრძნის სათავე:
ალალი კაცი, თუნდაც ღარიბი
სოფლის მეფეა მაშასადამე.

შეხედეთ ამ ლორდს — ზოგს მისი
სჯერა,
რადგან ის ჯვრებს და მედლებს
ატარებს,
ისიც ზევიდან დასცქერის ყველას —
ბრიყვია იგი, მაშასადამე
ყველა ამისთვის,
ყველა ამისთვის,
მისი ვარსკვლავი, ჯვრები, სათვალე —
თავისუფალ და ჭკვიან კაცისთვის
სასაცილოა მაშასადამე.

მეფემ რაინდად იქნებ გაქციოს,
კაცი ლორდათაც მყის შეიცვლება,
პატიოსნებას რომ მიაღწიო,
ეს კი ბრძანებით არ შეიძლება.
ყველა ამისთვის,
ყველა ამისთვის
ბევრი კარგ ხარისხს ყალბად ატარებს:
კარგი ხარისხი ჭკუა-გონება
და სიმტკიცეა, მაშასადამე.

მაშ, ჩვენც ვითხოვოთ თავდავიწყებით—
მეც ამ სიმღერას ასე ვათავებ —
ვითხოვოთ, ქვეყნად ნიჭს და ღირსებას
რომ სცენ თაყვანი, მაშასადამე
ყველა ამისთვის,
ყველა ამისთვის,
დადგება ის დროც, ვატყობ ცხადად მე,
დადგება ის დროც, როცა ყველანი
ძმები ვიქნებით მაშასადამე.

1941

თარგმნა

გიორგი ძიგვაშვილმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ნარსია

მამული, როგორც ცრემლი...

ო, ბექა ბიჭო,
გლოვა გლოვაა,
უფრო მწარეა ერი, რომ გლოვობს!..
იმ ვოლიერში ლომი რომაა,
რაღა ლომია თუ კი ვერ ლომობს.
ო, ბექა, შვილო,
შენ, შენი წილი,
უნდა გაიღო სულიც და სისხლიც...
გინდაც გეხვიოს ცოლ-შვილი წვრილი,
როგორმე უნდა დაასწრო სირცხვილს.
ვაიმე, რაღაც ვერ არის რიგზე,
ყოველდღე ველი ზვავსა და მეწყერს...
ქამთა სვლა, შვილო,
ამგვარად ვიგრძენ,
ჩემი სიცოცხლე ჰკიდია ბეწვზე.
ათას ურჩხულთან მოგიწევს შეხლა,
მოკვდი...
სინდისს არ განუდგე განზე...
ხვალინდელი დღის მემკვიდრე შენ ხარ,
მადლობა უფალს, აქამდე გავძელ.
ეს ქარიშხლები თუმცაღა მარყევს,
ჯერ არ დავღლილვარ...
საწადელს ვატყობ...
დრო, დრო სჭირდებათ შენნაირ
ბარტყებს,
აქ მოდექ,
ფრენას გასწავლი ბარტყო.
დიდი უფალი დაგყურებს მაღლით,
იგი აგვაცდენს შხამიან ისრებს...
კურთხეულ იყოს ქართველი ხალხი,
ღმერთს შევევედროთ...
უფალო გვიხსენ!
ტყუილად როდი იღვრება ცრემლი,
ტყუილად როდი მოიმღერს ჩქერი...
რა ბედენაა სიკვდილის ცელი,
ოღონდ მოგხმარდეს სიცოცხლე ჩემი.
...სამშობლო —
შენი მამულ-დედული,
უზესთაესი აის-დაისით...
გატანჯულია და უბედური
და როგორც ხატი,
გულზე დაისვი.

როგორც მე...

როგორც მე ვდარდობ,
დარდობს ისე სხვაც,
თავისი დარდით,
თავისებურად...
ვიღაცამ ჩემგან
დარდი ისესხა,
ვერ მოირგო და გაფიცხებულა.
ზოგჯერ არც ვიცი,
ირგვლივ რა ხდება,
ზოგი რას ფიქრობს,
ზოგი რად ფიცხობს,
ზოგი მათგანი იქცა თავხედად,
რა შევულოცო,
რა დავაფიცო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგ მათგანს
ჩემი სული სჭირდება,
ზოგ მათგანს
ჩემი ნაღდი კაცობა...

დღეს, რა გალობაც
მითხრეს ჩიტებმა,
ევრც ეს გაიგო...
ზოგმა ნაცნობმა.

ილიას ხსოვნას...

წიწამურის გზა ცრემლმა წარეცხა,
გამუქდა ვარდი და იდილია...
რამდენად შორს ხარ,
უფრო მწარეც ხარ,
მიტომაც გქვია დიდი ილია.
ნაღველი მომდევს,
ვერც რამ წარხოცა,
ვედრება სადღაც განდევნილია...
ვაიმე,
სულთან როგორ ახლოს ხარ,
მიტომაც გქვია დიდი ილია.
ყაყაჩოს ველი ჰყვავის, სისხლივით,
თითქოს ბრძოლებიც გადახდილია...
მაგრამ ხსოვნაში
კივის სირცხვილი,
როგორ გაგწირეს დიდი ილია.
შავდება ის დღე და იკაწრება,
გული სიმწრისგან დაკოდილია...
ეს შენი ერი ვიღამ დასწყევლა,
ვინ გაგიმეტა დიდი ილია.

შენსკენ მოვქრიკვარ,
შენსკენ მოვქროდი,
თუმცა ეკლები გაწმენდილია...
გვიან შეგამკეს დაფნა-ოქროთი,
წმინდანად იქეც დიდი ილია.
კვლავ იზუზუნებს ვერაგის ტყვია,
თუ ერის ფიქრი დავრდომილია...
ალბათ
ისევე მამული გტკივა,
მამულზე დარდობ, დიდი ილია.
აქ წიწამურთან მუხლზე დავეშვი,
თუმც მცხეთის ჯვარი დასევდილია...
კვლავაც ჩაუდექ ერს სათავეში,
მიტომაც გქვია დიდი ილია.
...წიწამურის გზა გლოვამ წარეცხა,
მუქია ვარდი და იდილია...
რამდენად შორს ხარ,
უფრო მწარეც ხარ,
მიტომაც გქვია დიდი ილია.

მამის ხსოვნას...

ვაიმე, გლოვის შავად ღაღანო,
ვაიმე, მამავ!
კაცო ქართველო...
ახლა, ამ ტანჯვით სად დავაღამო
და თუ დაღამდა — სად გავათენო?
ერთბაშად გაქრა ყველა წვალება,
(ვაჰმე, ბრძოლანო და ქარტეხილნო)...
ისე გეწვია გარდაცვალება,
თითქოსდა
სხვა დროს არც კი გეხილოს...
სხივები შენთვის ვერ იწვიმებენ,
ვეღარ დაგღლიან მძაფრი ქარები...
ვერ მოგენთება მოჭრილ წვივებზე,
ტკივილის გრძნობა განუქარველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაგჭირდება არც ომბოხები;
ვერ ივლი.
ტკივილნარევ კოჭლობით...
წუხელი კიდევ სიზმრად მოხვედი
და ამიდუღდა სულის კოჭობი.
ამ უღვთო ვარამს თუ გავუძელი.
ბატონო მამავ!
შენი ხათრისთვის...
სხვა ვინ ყოფილა გარდაუცვლელი.
რომც დაიჩოქონ ყველა ხატის წინ.
ამ წასვლას.
მაინც ვეღარ ვეჩვევი.
შენეულ ტანჯვებს ისევ განვიცდი...
ავიფოფრები, ავიჩეჩები,
როგორ გიშველო.
რა ვქნა. არ ვიცი.
ვერ მოვიშორე ცრემლი უცაბედ.
დღეს ისევ
ცრემლის კვირაძალია...
ამ ამინდს ფერი ვეღარ ვუცვალე.
წვიმს და თოვს...
სულშიც მცივა ძალიან.
...აღარსაიდან საშველს არ ველი.
იყო დრო,
როცა ტკივილს გპარავდი...
აწ ზენა იყოს შენი მფარველი,
შემეძლოს. კიდევ დაგიფარავდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოგი მაისურაძე

აკგაი

თავი I

ციმბირის უსასრულო სტეპი დასავლეთით ურალის მთაგრეხილამდე აღწევს, სამხრეთით ყაზახისტანის საზღვარს გადადის, მდინარეების: ერთი მხრით ირტიშისა, მეორე მხრით ირგიზ-ტურგაის შუა მიემართება არალისა და ბალხაშის ტბებამდის, ავსებს მათ შორის მდებარე სივრცეს, თავის წიაღში იკცევს დაბებსა და ქალაქებს, რუსულ სოფლებსა და ყაზახურ უიშლაყებს. იქ არის პატიმართა სახელგანთქმული ბანაკები: ყარაგანდა, ყარაბასი, ბალხაში, ჯესკაზგანი, კინგირი, ბაიკანური, კარსაკპაი და სხვა. ორმოციანი წლების მიწურულს ამ ძველი ბანაკების ქსელში ხატოვნად ჩაექსოვა ახალი, სპეციალური ბანაკები: „სტეპლაგი", „აეშლაგი", „ლუგლაგი", სადაც პოლიტპატიმრებს ზურგზე მარკვენა ფეხსა და მარცხენა ხელზე ნომრავდნენ. ღამე ბარაკებში აკეტავდნენ. პატიმარს უფლება ჰქონდა წელიწადში მხოლოდ ორი წერილი გაეგზავნა თავისიანებისთვის. თუკი ვინმე გაბედავდა თავისი პატიმარი ენახა, ამაოდ, პაემანის უფლებას არ მისცემდნენ და მხოლოდ გაწბილება შერჩებოდა.

სოფლისა და ქალაქის აქაური მოსახლეობა ერთმანეთს ზოგან ასეული და მეტი კილომეტრითაა დაშორებული. უწინ ყაზახები ჩრდილოეთსა და სამხრეთში ადგილმონაცვლეობით საქონელს ძოვებდნენ, როცა საუდამოდ დაშკვიდრდნენ, ზოგმა მიწათმოქმედებასაც მიჰყო ხელი, ზოგი ქალაქებში განიბნა.

„სტეპლაგის" ბანაკების განლაგებაში ერთგან სტანიცაში ცხოვრობს რუსი კაზაკი, მას ყაზახები თავიანთ ენაზე აკბაის, თეთრ ბატონს ეძახიან. კაზაკური სტანიცას ყაზახური უიშლაყი ემეზობლება. ორივეს თავთავისი კოლმეურნეობა აქვს და საერთო სოფსაბჭო. სტანიცის ბოლო ხახლი უიშლაყისაკენ აკბაისაა, უიშლაყის ბოლო ხახლი სტანიცისაკენ — ისანტაისაა, შუა ეწერია, „არავისი მიწა". ისანთაის ვაეს ცოლადა ჰყავს აკბაის ახული, თითქოს ასეცაა, რომ უიშლაყ-სტანიცაში ერთობა სუფევს, მაგრამ მაინც აქეთ-იქით საგუშაგოებივით დგას აკბაისა და ისანთაის სამოსახლოები. აკბაის დიდი ხახლი უდგას, „პროეეი დვორი". სამეურნეო ეზოში თავლაა. აქა-იქ აყუდია ფორნების ბორბლები, სხვა ნაწილები. აკბაის შინ სასტუმრო აქვს გამართული, იქ ჩერდებიან მგზავრი კაზაკები: ფორნის შესაკეთებლად, ცხენების საკვებად და დასარწყულებლად. ეზოში ჭაა, სარწყული კოდი და ბაგები. დიასახლისს სახელი აქვს განთქმული შინაური ლუდის გამოხდით. მგზავრებთან ერთად აკბაიც ილხენს ცოლის ნახელოვნებით, წაიმწარებს და ერთი ბოთლი აბრუებს. ცოტა ძვირად კი ჰყიდის, იცის ნასტიამ ფასი თავისი ნამზადის, რაც მართალია, მართალია, სუფთად აკეთებს. ღმერთს ფიცულობს, რომ არ თვალთმაქცობს, არაფერს მავნე მათრობელას არ ურევს. ძოძრობი ცოლ-ქმარი, ჰა და ჰა, რომელი-რომელს გადაწონის, დიასახლისს რუხი ნაოჭებასხმული კაბა აცვია წითელწინსაფრიანი, თავს რუხივე წითლად დაწინწკლული ლეჩაკი ახურავს. აკბაის ძველი კაზაკის დაფანჩული ულვაშები შერჩენია. ორივენი, ციმბირელი კაზაკების მოლოროსიული კილოკავით მეტყველებენ.

უფროსი ვაჟი ომში დაეღუპათ, კომკავშირში ჩაწერისთანავე აკბაისთან უთანხმოება მოუვიდა, უკეთ, დაბგმო მამამისის წარსული, პატიმრობიდან გამოსულ მამას განუცხადა, „კონტრას" სახლში ვერ ვიცხოვრებო და წავიდა. ომის დაწყებიდან წლისთავზე უცნობი რძლისაგან წერილი მიიღო, ამცნობდა, ვანიას დაღუპვას. მომდევნო ახულნი გათხოვილნი არიან, უფროსი ქმართან ციმბირში ცხოვრობს, უმცროსი კი ისანთაის ვაეს ჰყავს. ყარაგანდაში ცხოვრობენ. უმცროსი, ვანია, ახლახან დაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნდა სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან.

აკბაი უმცროს ვაუს ელოდება. გაჭყურებს გზას ყიშლაყისაკენ, ვასია ისანთაის სახლთან გამოიცვლის, ეწერს გამოჭყვება. სოფლის საბჭოშია წასული ამბის შესატყობად, ხმა გავარდა, რომ სპეცბანაკიდან პატიმრები გაქცეულანო.

— დედილო, „ბრაგა" დამალევინე.

— აღარაა, გუშინ არ გათავდა?

— ნაძირალა გეკნება. გამოვწურავ. მწყურია.

— კასრი გუშინ გამოვრეცხე. კუმისი დალიე, თუ გწყურია.

— აააა, კუმისი და აირანი რა კაზაკის სასმელია, — მაინც მიდის დერგთან სამზარეულოში, დიდ-დიდი ულუპებით სვამს კუმისს. ჭურჭელს, რომ დგამს, ხელის ნებით ულვაშებს იშშრალებს. აპაპანებაა, კუმისი აგრილებს, მეკვე და მომლაშო სასმელი წყურვილს უკლავს და მცირედ აბრუებს. ყაზახები დილიდან საღამომდე სვამენ ხაკუმისოში და ძლივძლივ თვრებიან. ისევ სარკმელთან მიდის. სიო ელამუნება ქონიან და ოფლიან სხეულზე.

სასტუმროში გრძელი მაგიდაა, აქეთ-იქით დიდი ტახტები დგას. მაგიდა მგზავრების ზინთით და ჭუჭყითაა შავად მოკრიალებული. მაღლა, კუთხეში, თითქმის ჭერთან, ღმრთისმშობლის ბაზრული ხატი ჰკიდია, ტყვიის ჭაღალდითა და ზიზილებით მორთული. სარკმლის რაფებზე ერთ მომინანქრებულ, ატკეჩილ ქვაბში თუნუქის კონსერვის ქილებში ჯუჯა ფიკუსები და ოთახის ჩვეული წითელი ყვავილები აღმოუცენებიათ.

— ვასია იგვიანებს, — ამბობს დიასახლისი.

— ეს არაა კაზაკის სასმელი, — კვლავაც ამბობს აკბაი, — ყირგიზების სასმელია, იმათი, — თავს ისანთაის სამოსახლოსაკენ იქნევს.

— ნუ ამბობ ასე! ახლა მათ ყაზახებს ეძახიან.

— ჰაიტ. ყირგიზებო! ყირგიზი ყირგიზია! მთავარი ისაა, რა ხარ, ის კი არა, რას გეძახიან.

— შენ ყოველთვის შენსას ამბობ.

— რატომ არ ვიტყვი? მართალს ვამბობ. ვიტყვი კიდევაც.

— მართლის თქმა არ შეიძლება. ამ სიმართლისთვის შეიძლება ისევ ჩაგსვან. რა, ჯერ არ ყოფილხარ და არ იცი?

— კმარა, დედილო, კმარა!

ფიქრობს, ვასია აქამდე სად დაიკარგაო. რაც მეტად იგვიანებს ვაჟიშვილი, მით მეტად მოუთმენლობს, ცოლის ფლასუნით სიარულიც აღიზიანებს. სხვები უთუოდ უკვე გავიდნენ სტეპში საძებრად, „ხანადიროდ", როგორც აკეთია ხეიბარი მიშუხა ქირდვეთ ეძახის. ცალი ფეხი გერმანიაში დაჭკარგა, ახლა კი გალოთდა, ომგამოვლილი ხალდათ[illegible] კარგა. გამოქცეული კა[illegible] იკერს, იქნებ თავადაც არ სწყლს ისინი. მაგრამ რა უშველოს? თვითონ ხომ ვერ გარდაქმნის იმ ზნეობას, რაც ინერგება? მერე ისიცაა, გაქცეულს ურჩევნია, კაზაკებმა ან ყაზახებმა რომ დაიჭიროონ. პატიოსნად ჩაბარებენ ხელისუფლებას, ყილდოდ პურის ფქვილსა და შაქარს მიიღებენ. თუ კანვოის ჩაუვარდა ხელში, შეიძლება ადგილზევე დახვრიტონ გაქცეული.

სტანიცა ციმბირიდან გადმოსახლებულმა კაზაკებმა დააარსეს. აკბაი ამ სტანიციდან წავიდა ომში, დაჭრილს ამ სტანიცაში მოუსწრო რევოლუციამ, იომა სამოკალაქოშიც. მაგრამ მათ უკვე თეთრებს ეძახდნენ. რადგან აღარ იყო მეფეიმპერატორი, ქვეყანა ორად — თეთრებად და წითლებად გაიყო. როცა წითლებმა გაიმარჯვეს, კაზაკებს ცუდი თვალით დაუწყეს ყურება, ამბობდნენ, რომ ისინი მეფის ტირანული ხელისუფლების ბურჯნი იყვნენ. ციმბირელ კაზაკებთან ერთად ეს ბედი ეწვია იმპერიაიკალელებს, ურალელებს, დონელებს, ყუბანელებსა და თერგელებს. მაგრამ, როდესაც შუა აზიაში ბასმაჩობა დაიწყო, მთავრობამ მათ ნდობა გამოუცხადა. კაზაკებს საშუალება მიეცათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ერთგულება დაემტკიცებინათ, რაც მათ წარსულ დიდებას დაუბრუნებდათ. აკბაიმაც თავი ისახელა ბასმაჩებთან ბრძოლაში. თითქოს მისი ცხოვრება აღმავლობის გზით უნდა წასულიყო, მაგრამ გამოხდა ხანი და გაიაულაკეს, გაიშავსიელეს, ციხეშიაც ჩასვეს. ივან იგნატიჩს მაშინ შეარჭვეს აკბაი ყაზახებმა, ბობოლა, თეთრი ბატონიო. მკაცრი კაცი იყო, მბრძანებლური სიტყვა-პასუხი, დიდკაცური ქცევა. ახლა ის იხტიბარი აღარა აქვს.

თვალი მომკრა სახლისაკენ ჩქარი ბიჯით მომავალ ვასიას და გაიფიქრა, მართალი ყოფილა, რაცა თქვესო. ცოლს გასძახა:

— დედილო, საგზალი გაგვიმზადე! იქნებ ამაღამ სტეპში დავრჩეთ და ურიგო არ იქნება თუ... დასალევსაც გაგვატან.

— რა მაქვს, რომ გაგატანო?

— სტეპში ღამით ცივა... შეგვახურებდა.

— თეთრი წუხელ არ ჩაუკაპეთ? ლუდიც ერთი მთხლეულა ძროზე. აკი გითხარი? — უპასუხა დერეფნიდან ცოლმა ყელჩირვებიანის ხმით.

— რაც არის, არის, იყოს მთხლე. აკი კასრი გამოვრეცხეო?

— გამოვრეცხე. ნაძირალა კი ჭურჭელში გადავიღე, — ნასტია ილინიშნა სასტუმროს კარზე მიადგა, — დამავიწყდა, წუხელ ნათლიასთან ერთად არ ამოხვრიპეთ? ერთი ლიტრაღა იყო კამკამა, ამ დილით ვასიამ და ბრიგადირმა დალიეს.

— მაშინ ერთი ბოთლისა მომეცი. გზაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალაზიაში ვიყიდით, ჰაა, ნასტია, — მკლავზე უჩქმიტა და გადიხარხარა.

— ,,აცო, ხორცი მილურჯდება, ნუ, ნუ!

— ერთი ბოთლისა, ნასტია.

— აღარც ერთი ბოთლისა მაქვს.

— გეკნება, ნასტია! მაინც ლუდი მალე გამოიღია.

ვასია ნასტუმროში შევიდა. ჯარში სავალდებულო სამსახურიდან ახლახან დაბრუნებულს ისევ სამხედრო ფორმა ეცვა, მხოლოდ კუდზე ვარსკვლავი აეცალა და სამხრეები მოეხსნა.

— რა ამბავი მოიტანე?

— მართალია ორნი არიან.

— სტეპში საძებრად ჯერ არავინ გასულა?

— არ ვიცი, მე არავინ დამინახავს.

— მიდი, ცხენები შეკაზმე.

ვასია სწრაფად გადის.

— დედილო, ერთი ბოთლისას რას მეტყვი?

— დაიცა, ვნახავ... აი, ამ წუთას დუსიას წერილი მივიღეთ, იწერება, კარგად ვართო, — კმარს ფოტოსურათი გაუწოდა. აკბაიმ დახედა.

— ბავშვებიც ბუსურმანები არიან.

— ასე ნუ ლაპარაკობ.

— გოგო იმდენად არა, მაგრამ ბიჭი გამოცხადებული ყირგიზია.

— ბიჭიცა და გოგოც ჩვენებურად სწავლობენ, სახეც გამოეცვლებათ, დუსია, იწერება, რაც უფრო იზრდებიან, მით უფრო კეთდებიანო.

იქნებ რუსის თოფსა და ზარბაზანს არ გაუკეთებია იმდენი, რაც რუსის ქალმა გააკეთა ტუზუმცების ათვისებაში: ურალზე თუ ციმბირში, სემირეჩიასა და ალტაიზე, იმერბაიკალიის მხარეში თუ იაკუტიაში, შორეულ აღმოსავლეთში, შუა აზიაში თუ კავკასიაში. უკორწინო თუ კორწინებით ამრავლებდა იმათ, რომელნიც დედის გვარზე ხტიან. იქნებ რუსდედიანები უპირატესობას რუსი ერისას დედულით გრძნობენ.

— ღმერთმა ქნას! — უპასუხა აკბაიმ, — მაგრამ ის კი არ მჯერა, რომ ეგენი ბუსურმანები აღარ არიან. სულ ერთი არაა. გინდა ყირგიზი, გინდა ყაზახი. იყვნენ და დარჩებიან ბუსურმანებად. ტუზუმცებად და ჩუჩმეცებად.

— ჰაიდა, წავიდეთ! — მოისმა ვასიას ხმა.

— ჰაიდა, ჰაიდა! — აკბაი ჩაცმას შეუდგა. გარეთ, რომ გავიდა, ვასიას ცხენები დასადგმელებული ეჭირა. მან ძმას მიუუვანა ცხენი და, როცა აკბაი ჯდებოდა, მცირედ უბიძგა.

— აბა, საგზალი, — ნასტიამ ჩანთა გამოიტანა და შვილს გაუწოდა.

— დედილო, იმისა რა ჭქენი?

— აბა, ჩატუკერი.

აკბაიმ ცხენს ქუსლი ჭრა და დაიძახა:

— ჰაიდა, ჰაიდა!

8. „ძნალობი", № 7.

დიასახლისმა პირჯვარი გადაწერა და დალოცა:

— ღმერთი გწყალობდეთ! კეთილად...

— კეთილად, დედილო! — ბიბა-შვილი ეზოდან ჭენებით გავიდნენ. გეზი ყიშლაყისაკენ აიღეს, გაიარეს ეწერი. ისანთაის სამოსახლოსთან მისულებმა წინ აქლემზე ამხედრებული ისანთაი დაინახეს, აკბაიმ გაიფიქრა: ეს დაფეხვილიც „ხანადიროდ" სტეპში მოდიხო. აკბაის ახლა თუ გამოქცეულების შეპყრობა სხვამ არ დაახწრო, ჯილდოდ აღებულ ფქვილიდან ცოლს დიდ პურს „კარავაის" გამოაცხობინებს. გაკულაკების შემდეგ ჯერ რომ არ გამოუცხვიათ, როცა დაიჭირეს, ერთ-ერთ ბრალდებად ის წაუყენეს — ბორბლისოდენა პურებს აცხობთო, სხვებს კი ლუკმა პური ენატრებათო. ჰოოო, ნასტია დიდ პურს გამოაცხობს, ადრე რომ აცხობდა, ორ მკლავს რომ ვერ შემობვევ.

ისანთაიმ ღიღინი შეწყვიტა და აკბაის გამოელაპარაკა:

— ჩქარობ, აკბაი, ჩქარობ!

— იჩქარე, ისანთაი, იჩქარე!

— ნუ გეშინია, აკბაი, წილში არ შემოგვალ.

— მაგისი არ მეშინია, — დაიმედა აკბაიმ. ისევ ფიქრში გაერთო. იგონებდა პატიმრობას, შავსიელობაზე, ბობოლობაზე რომ იჯდა არცთუ დიდხანს, მაგრამ შიმშილით სულსა ღაფავდა. ხელისუფლებამ ახლა, როცა სპეცლაგერები დაარსა პოლიტპატიმრებისათვის, გამოქცეულებზე რეჟიმი უფრო გაამკაცრა, უფრო აქტიურად ჩარია მოსახლეობა.

საბჭოს შენობასთან, მაღაზიის წინ ყიშლაყელები და სტანიცელები მოგროვილიყვნენ. ვასია მხედრულად ჩამოხტა ცხენიდან და სადავე მამას მიუგდო. ხეიბარმა, ყავარჯენსჩამოკიდებულმა ცალფეხა მიშუბამ არ ადროვა. ვასიას გასძახა:

— ჰეი, შენ, გადამდგარო ეფრეიტორო! დაუდგამ სტანიცელებს არაყს, არმიიდან დაბრუნების მაღარიჩს. ჰაა, ვასიოკ!

— ეს რა წესია? სამსახურის მობდას რა მაღარიჩი უნდა?

— ვინც დემობილიზებით ჩამოდის, ის არაყს დგამს. ძალიანაც კარგად იცი, თავს ნუ ისულელებ.

— ყველა დგამს?

— იცი შენ, გაგეგონება. ფრონტიდან დაბრუნებული მე ყველას ვასმევდი. სტანიცელებსაც და ყველა გამსვლელსაც. ერთ თვეს ასე ვიხარჯებოდი. მიშკა, ვანკა, ანდრეი! ასე არ იყო? ვასკას არ სჯერა!

— იქნებ ალაფი ჩამოიტანე და არ იცოდი, როგორ გაგეფლანგა?

— ჰაიდა, ვასიოკ, ჰაიდა! — დაუძახა აკბაიმ.

— აი, ჩემი ალაფი, — იყვირა ბეიბარმა და ყავარჯნები ზევით ასწია.

ვასიაშ არაყი იყიდა და გარეთ გავიდა.

— ვასიოკ, ჰაიდა! ჰაიდა!

— თეთრო ბატონო! ასე ჩვენ, კაზაკები კი არა, ყაზახები გეძახიან. ისე, რომ ჩვენ ძმასთან, კაზაკებთან ბატონობას ნუ დაიჩემებ!

— ჰეი, შენ, ლოთო-შფოთო! ჯერ ვერ დაილია არაყი ქვეყანაზე და არც საქაქანო გაგითავდა? — მკაცრად გასძახა აკბაიმ, ცხენი მიჯლიბ-მოჯლიბა.

— ჰაااა, ძველო ბობოლავ!

— ენას კბილი დააჭირე! — ვასია მისკენ მიდგა.

— შენ რა, გინდა გამარტყა? აბა, მოდი, აბა, მოდი! — უკუღმა ისკუპა და ყავარჯენი მოუღირა.

— ცილს რატომ მწამებ, გარტყმა არც მიფიქრია!

— ვასიოკ, დაანებე თავი მაგ უბედს, ჰაიდა, ჰაიდა!

— წადით, სანადიროდ დაგაგვიანდებათ... ჯერ არ გადაშენებულან სტეპში ზუმანები? მახეები გაქვთ დაგებული?.. წადით, თაგვიჭერიებო! წადით, თორემ აგერ ისანთაი მოდის აქლემზე ამხედრებული, ჯილდოს წაგართმევთ! იჩქარეთ, იჩქარეთ!

— დამპალო! — მიაძახა აკბაიმ, ცხენს ჭუსლი ჰკრა.

. . . . . .

მზე აქლემის კისრის სიგრძეზე დაწვდა დასალიერს.

თავი 2

სპილენძის შახტში ღამის ცვლაში წასასვლელმა № 17 ბრიგადის ბალანდიორმა ბარაკში ვარცლით პურის ულუფა შეიტანა. ბალანდიორები ბრიგადირების თანაშემწეებიც არიან, მაგრამ ბუკვთ ერთი-ორი მომხმარე, რომლებსაც როდის-როდის გასამრჯელოდ სალაფავის ნარჩენი შეხვდებათ ხოლმე. ბალანდიორმა ვარცლი თავის საწოლზე დადო, ქვედა ნარზე. გადაღმა ნარზე, ბრიგადირი მხარ-თეძოზე იწვა და ხელში ეჭირა მტკაველზე ოდნავ გრძელი დაფა, რაზეც ბრიგადის სია იყო ჩამოწერილი. როცა დაფა დაითხვრებოდა, ფხეკდნენ და სიას ხელახლა წერდნენ. ბრიგადირის თავზე, ნარის მეორე სართულზე, პირქვე გართხმული ყმაწვილი იწვა. იურის თავი ქვევით გადაეყო, უცქერდა ბრიგადირს, ულუფებით სავსე ვარცლს გადაფაფრებულ ბალანდიორს, ულუფის მისაღებად მიგროვილ ბრიგადის წევრებს. გვარის ამოკითხვისას იწვდიდნენ გამხმარ, მზით გარუჯულ ხელებს, ბალანდიორი სიასაც თვითონ კითხულობდა და ულუფასაც თვითონ გასცემდა ხოლმე. პური იქნებოდა, თუ ბალანდა. ზოგჯერ თვითონ ბრიგადირს მოუტანდა ბოდა სიის წაკითხვა. იურის, დაზერული, მოჩუქურთმებული ასოებით [illegible] უჭირდა. ყმაწვილი ჩურჩულით უსწორებდა, რაც მას აღიზიანებდა, აბრაზებდა. ზევით აჰხედავდა რისხვით.

— ეს რა გიქნია? ხომ არ ფიქრობ, სტუდენტი ვარ და სწავლული ვარო?

— რატომ სწავლული, ლამაზად მინდოდა დამეხატა.

— ეს არის ლამაზი?! სია კი არ უნდა დახატო, უნდა დაწერო! რას ჰგავს ეს კავები და ღვარჭნილები, რა, თავს იწონებ?

— მე არ ვამბობ, თავს ვიწონებ-მეთქი:

— როცა გენდობიან და ბრიგადის სიას გაწერინებენ, უნდა ნდობა გაამართლო.

ბრიგადირს ხელის მტევნებიც მოესვირინგებინა მარცხენაზე ეწერა — „დედა ძვირფასო". მარჯვენაზე არწივი ეხატა. იური უფრთხოდა მას, რეციდივისტს. თანაც ეჭვობდა, კანონიერი ქურდები ბრიგადირებად არ დგებიან და არც პოლიტიკურ დანაშაულს არ ჩადიან. ამას ოკუპაციაში ეტყობა, რაღაც ჩაუდენია გერმანელების სასარგებლოდ და მიუზედავად იმისა, რომ გულ-მკერდზე ლენინ-სტალინი ჰკონდა მოსვირინგებული, მაინც დაიპირეს. მარცხნივ, სტალინი ეხატა, მარჯვნივ — დიდი ბელადი. იურიმ იცოდა, ბრიგადირს იმიტომ კი არ ეხატა გულზე სტალინი, რომ ლენინზე მეტად სცემდა თაყვანს, უბრალოდ უფროს-უმცროსობის წესს იცავდა. პატიმრები ლაპარაკობდნენ, ვისაც ლენინ-სტალინი ახატია, მას არ ბვრეტენო. იქნებ ამიტომაა, რომ პატიმრობაში ბელადების სვირინგების წყალობით ბრიგადირს ხელისუფლება უპყრია. ბრიგადირი ახტრახანელი რუსი იყო, გვარად ვოლკოვი, მაგრამ იერში გამოსჭვივის თურქმანი წინაპრის უვრიმალები.

— სიას აღარ დავწერ.

— ეი, სტუდენტო, იცი, რას გეტყვი, შენ მაინც დაწერ სიას რადგან სია ბრიგადას სჭირდება. ბრიგადა ფეჰმეკს, გახაზრდოებს. ახე გინდა გადაუხადო ამაგი, — მუშტი აღმართა და ბოხი ხმით ლოზუნგი წარმოთქვა — მივცეთ ქვეყანას მილიონი კუბმეტრი ხე-ტყე! ეს ძალაა! ნათელი და ცხადი. შენ გგონია, არ მისცემ? მისცემ, ისე მისცემ, რომ მზე მაღლით იქნება.

— რა უნდა მივცე, აქ ხომ ხე-ტყე არაა?

— მართალი ხარ, სპილენძის მადანი ხომაა?:... შენ გგონია, ნორმას ასრულებ? ნორმა რომ შეასრულო, მოკვდები, ერთ დღესაც ვერ იცოცხლებ. პროცენტს გაძლევ და ენა მუცელში ჩაიგდე. ნუ ლაყბობ.

— ლაყბობაზე არ ვზივარ.

— აბრამოვი — ხუთასი!... ქამაკოვი ხუთასი გრაში!... ლიმაზოვი იურის ძე, ოთხასი გრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი!... გეუურება? — სტუდენტს ამბედა და უთხრა. — ასი გრამი უნდა ჩამომეკრა, მაგრამ ალარ ვქენი... რაბინოვიჩი ბუთასი!

— დილით რამდენი იქნება? — იკითხა იურიმ.

ბალანდიორმა ულუფა პური მიაწოდა და უთხრა:

— ოთხას გრამს არ იცი რამდენი ახლავს?... მაგ რადგან კითხულობ, თუკი იცი. — გაუბრაზდა ბალანდიორი. იგი თვალთმაქცი იყო. ანუ ილუზიონისტი. ცირკის არტისტები ცალკე ალრიცხვაზე მყავდა ზედამხედველებსა და კონვოის. ბრიგადირს ჭკუას ასწავლიდა ხოლმე.

— რატომაა ასე ცოტა? — იკითხა დამტკრეული რუსულით გერმანელმა, ჩაილაპარაკა, — შვაინ

— იბ ბინ შვაინ? — ჭკითხა ბალანდიორმა.

— ნაინ. ნაინ!

მეშაბტეები სხვებზე უკეთ იკვებებოდნენ. ბევი პურის ულუფა რვაას გრამამდე აღწევდა. დილით ბუთასი და ხალამოს სამასი. ღამის ცვლაში პირიქით. სამუშაოზე, გასვლამდის, დიდ ულუფას, სამუშაოდან მობრუნებულები კი დილით პატარა ულუფას იღებდნენ.

— ბუშინ შენ შეცდომით ასი გრამით მეტი მოგეცი. ახლა იმ ას გრამს, — ბალანდიორმა ასგრამიანი ჩამონაჭერი აჩვენა ცალთვალას და დასძინა. — აგერ, კულიბაას მივცემ, გუშინ ბაგას დაკლდა.

— ჩემი ბრალია, რომ შეცდი?

— მაგ, ჩემი რა ბრალია? — ჭკითხა კულაბაამ.

— არც შენი ბრალი არაა, არც — ჩემი.

— რას მიედ-მოედები. — შეუტია ბრიგადირმა. — რა პატიოსნებაზე ლაპარაკობ? საერთო ბანაკში ეგ თვალი რატომ ამოგთხარეს. ეიკაცობაზე არა?

— მაგას ამ ას გრამთან რა კავშირი აქვს, — იწუინა ცალთვალამ.

— ისა, რომ ულუფა პური მოიპარე, ამიტომაც ამოგთხარეს თვალი.

— თვალში ლატანი მომხვდა.

— ნუ ალაპარაკებ. ეგ ასი გრამი კულმაას მიეცი. მაგას კი ჩემი ულუფიდან მოუტეხე, ანდა — პირიქით.

სტუდენტი იური არ იხძრეოდა, ბრიგადირს თავზე მტვერი და ქვიშა რომ არ დაჰყროდა, ძილშიც ახსოვდა. არ უნდა გადაბრუნებულიყო, მრთუმეტეს. სიფხიზლეში სიფრთხილე მაკლაჯუნასავით ანვა.

ბანაკს. არცთუ უმართებულოდ, ოფიციალურად „პეშლაგი" ანუ „ქვიშობ-ბანაკი" ერქვა. გარეთ და შიგნით ბარაკში ყველგან ქვიშა იყო. ლოგინში. ტანსაცმელში, საჭმელში, ჭამისას სრაშაბრუში გაჭყონდა! ლაპარაკისას ენაზე ჩლიქავდა, ყურებს ანშობდა. ცხვირის ამობოცვისას — ნესტოებს სისხლს ადენდა. ქუთუთოების დაფახულებისას თვალს ჭრიდა. მეუბედავად იმისა, რომ სამუშაოდან [illegible] ბული პატიმრები გარეთ იფერთხებოდნენ, [illegible] რაკში ქვიშის მტვერი მაინც შედიოდა. შენ[illegible]ოდა უხილავი ღრიჭოებიდან, სარკმლების ჩარჩოებიდან, კარებიდან. თუ ბრიგადიდან ვინმეს კარცერში ჩასვამდნენ, ან სტაციონარში დააწვენდნენ ავადმყოფს, მაშინ სტუდენტს დროებით, იმ ცარიელ ადგილზე გადაიყვანდნენ, რომ ჯიგიტ ბრიგადირს თავზე ქვიშის მტვერი ალარ დაყროდა. საკმარისი იყო ნარის გაჭრიალება, რომ ჯიგიტი-ბრიგადირი ყმაწვილს ასძახებდა:

— რა მოხდა? რა მწვადივით ტრიალებ? იური, არ გესმის?

— ჩამთვლიმა და დამესიზმრა, თითქოს გავრბოდი.

— სად გარბოდი, რას მიჭარავ?

— არ ვიცი... თითქოს ზონიდან გავრბოდი და მომდევდნენ.

— ბეი, რას ჩმახავ?... შენ გამქცევი ხარ? ნარზე გარბიხარ და თავზე მტვერს მაყრი. ეგ აზრი მოიშორე! შენ რა, შანტაჟს მიწყობ?

— ჩემდა უნებურად გავრბოდი, მე ხომ არ მინდოდა.

მაღაროელები ფერმკრთალნი და მწვანეები იყვნენ, უმზეობითა და სპილენძის. თითქოს მადნის ფერით შეფერილები. გარეთ მომუშავეებს კი მზით დამწვრობის გახუხული ფერი ედოთ, ერთნიცა და მეორენიც სვირინგოვნებსა მგვანდნენ, პირისახის ნაკვთებს სირმასავით შეუუკეთებოდა თეთრი ნაოკი.

— იური სტუდენტო, სამამ ნარზე აძვრები, ლოგინი და ტანსაცმელი დაიბერტყე?

— მთელმა ბრიგადამ...

— მთელ ბრიგადაზე ჩემი თანაშემწეა პასუხისმგებელი, შენზე კი შენა ხარ პასუხისმგებელი. გაიგე?

ყმაწვილი ყოველ დილა-საღამოს ზედა ნარიდან დაცქეროდა პურის ულუფებით სავსე ვარცლს, რომელსაც ნავსადგურს ამსგავსებდა. საიდანაც მიცურავდნენ, ტოვებდნენ ვარცლ-ნავსადგურს პურის ულუფა-გემები. გემებს, ზოგს ერთსართულიანი, ზოგს ორსართულიანი დანაწონები ჰქონდა, რომლებიც კოშკურებს ადგონებდა. ყველა დანაწონს დარჯობილი ჰქონდა ჩხირი, რომელიც გემის მილს მგავდა.

— ეს არ იქნება სამასი გრამი. — თქვა შუახნის მამაკაცმა, ან — 203 ნომერი რომ ეკრა ზურგზე. მარცხენა ხელზე, მარჯვენა ბარძაყზე და ქუდზე. სპეც-ბანაკში ყველას თავისი ნომერი ჰქონდა. თანაშემწეს მიწოდებული ულუფა ხელში ანონა.

— რაცაა, ესაა. რატომ გგონია, რომ არ იქნება?

— ახე ზუსტად როგორ მოკვდეს, დანაწონი რომ არა აქვს?

თანაშემწემ პური გამოართვა, მეორე ულუფაც აიღო ვარცლიდან და ერთმანეთს შეუწონა. უკან დაუბრუნა და ავად უთხრა:

— შენ ყოველთვის თვალს იკლებ.

— ამას აკლია, ყველა ულუფას აკლია.

— შენ რა, იცი, რომ აკლია? — ჰკითხა ბრაზით ბრიგადირმა.

— მაგას რა ცოდნა უნდა, აბა, ისინი, მეპურეები და მზარეულები ჩემსავით შიმშილობენ?

— ისინი არ შიმშილობენ. შენ უნდა იშიმშილო, შენ მიწა უნდა თხარო, იმ ამონათხარში ჩაწვე. შენ ყველას ცილსა სწამებ, მე გადაგაჩვევ მაგ ლაყბობას. გარეთ ლაყბობდი და ათი წელი მიიღე სასჯელად, შენ არ იცი, რომ პატიმრობაში ჩადენილი დანაშაული უფრო მძიმე დანაშაულად ითვლება და სასჯელიც უფრო სასტიკია? თუ კაცი ვარ, გადაგაჩვევ მაგ ლაპარაკს.

— ყველა პურის ულუფას აკლებენ — ოცოცდაათ გრამს. ახლა ბალანდას, რამდენს აკლებენ? ერთმანეთს რომ მიუმატო, ოცდახუთი მისჯილიდან ერთი წლის ულუფა შეგროვდება — შუაზიელი ჯიუტად ლაპარაკობდა მეპურეებისა და მზარეულების ქურდ-ბაცაცობაზე.

— ღამის ცვლიდან მობრუნებისას დიდი ულუფა უნდა მოგვცენ, — თქვა შავ-შავმა კაცმა, გადალმა, ქვედა ნარზე რომ ჩამომჯდარიყო და პურის ქერქს ციცქნიდა.

— რატომ? ახლა ზომ ჩვენთვის დილაა. — უპასუხა ბრიგადირმა.

— დილითაც და საღამოთაც დიდ-დიდი ულუფები, არა? — ქირდვით ჰკითხა ბრიგადირის თანაშემწემ, — დაწერე, იქნებ სასჯელიც გაპატიონ.

— რა უნდა დავწერო? — ჰკითხა შავ-შავმა, № სს-444-მა.

— რაც გინდა, ის დაწერე. წერე და იკითხე.

— მართალს გეუბნება, რაც გინდა, ის დაწერე. — სიტყვა წაართვა ბრიგადირმა, — დაწერე, ცოლ-შვილი მომენატრა-თქო, იქნებ შინ გაგიშვან. შენ ზომ გიყვარს წერა, იმიტომაც არ ზიხარ, უტვინო ასოთამწყობო... არა, ყველამ ერთად, კოლექტიურად დაწერეთ. რა არ გინდათ და რა გინდათ.

ზოგიერთები მიხვდნენ, რომ ბრიგადირი და თანაშემწე, კოლექტიურად დაწერეთო, რომ აქეზებდნენ, ამით „დანაშაულზე" უბიძგებდნენ, რადგან პატიმარს არ ეკრძალება კერძო საჩივრის დაწერა, მხოლოდ კოლექტიური საჩივრის დამწერნი ისჯებიან.

— სხვისი კი არა, რა მინდა, ჩემიც ვერ გამიგია, — უპასუხა იმ № 444-მა.

— დიდი სასჯელი მაქვსო, იმას კი არ ვჩივი, ისა ვთქვი, ულუფას აკლია-მეთქი, — ყველაზე ჯიუტად თქვა მამაყულიმ.

— მალე მე თქვენი ბრიგადირი ... ბი და მაშინ გამიხსენებთ, როგორ ვიბრძოდი თქვენთვის ყოველი პროცენტისათვის. სასტიკი ბრიგადირი ვარ?

— ისეთი, როგორც ყველაა, — თქვა უმაწვილმა იურამ.

— შენ თავი იქით გასწი, ქშუტუნობ და ციხეს სახეში მაფრქვევ.

— სად ხარ? ეს შენი ულუფაა, — უთხრა ბალანდიორმა № 202-ს და ულუფა გაუწოდა, — დღევანდელი ულუფაც შენი ყოფილი ბრიგადის პროცენტითაა, ხვალიდან ჩვენგან მიიღებ... სულ ეკვსახი გრამია.

— რატომ შვიდასი მაინც არა?

— ბრიგადიდან წასულს ყოველთვის ცოტას უწერენ, რა, არ იცი? — ჰკითხა ახალს ბრიგადირის თანაშემწემ.

— მე არ ვიცი, ეგ შენ ძველ ბრიგადირს ჰკითხე, — უთხრა მკაცრად ბრიგადირმა და წამოჯდა.

— ახლა დაიშალეთ! — მოუწოდა თანაშემწემ. — ჰაერი მოუშვით! დაიშალეთ!

თანაშემწე ბრიგადირის მარჯვენა ხელია, ერთგული ქვეშევრდომი. ეს თანამდებობა არაა ოფიციალური, ბრიგადირი თვითონ იყენებს დამხმარედ ბრიგადიდან მარჯვესა და საიმედო კაცს თანაშემწე განაგებს ბრიგადის სამნეო საქმეს: კვებას, ჩაცმასა და სხვა საარსებო საშუალებებს. თანაშემწე ბრიგადირის სახელით აიძულებს ცოცხალ-მკვდარ პატიმრებს სულისამოხდამდე იმუშაონ. თანაშემწე ასევე ბრიგადირის პირადი მსახურიცაა, ის აფათურებს ხელს ბრიგადის წევრების შინიდან ცოდვა-დაგვით გამოგზავნილ ამანათებში. ბრიგადირისათვის არ ყმარა სხვისი ამანათების წილში ჩადგომა, თუ მარჯვე, ერთგული მოადგილე ყავს, ეს მზარეულს შეეკვრება, ბრიგადის წევრის ამანათიდან „ბაცილას" მიუტანს და საფასურად რამდენიმე დღით სქელ სალაფავს, „ბალანდას" მიიღებს. თვით ამანათის პატრონს — (ზოგ მათგანს) ურჩევნია ამანათით მიღებული ეპოხტი მზარეულს სქელ სალაფავში გაუცვალოს, ვისაც მსურს, რამდენიმე დღის სიმაძღრე. აშვიათად არიან პატიოსანი ბრიგადირები, პატიოსანი თანაშემწე-ბალანდიორები კი — არა.

მამაყული ნარზე ამბობდა. სტუდენტის გვერდით ნარები ოთხკაციანი იყო, ორი — ქვევით და ორი — ზევით.

— მისმინე, იური, შენ ახალგაზრდა ხარ და უნდა იცოდე, ვინ დაწერს საჩივარს? მე რატომ უნდა დავწერო საჩივარი? გიჟი ვარ? გიჟი არა ვარ. რატომ უნდა დავწერო? ულუფა არის, პური და ბალანდა? არის! ჩასაცმელი არის? არის! ლოგინი არის? არის! კიდევ რა არის? ჰო, უფროსობა არის? არის, კანონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის? არის! ყველაფერი არის? სამუშაო არის? არის! სხვა, მეტი რა უნდა? არაფერი არ უნდა! საჩივარიც არ უნდა დაწერო.

— მართალი ხარ, მამაყული, ყველაფერია.

— ის ამბობს, — ჩურჩულით უთხრა და სალოკი თითი დაბლა მიმართა. — არ მოგწონს. იჩივლეო.

— ბრიგადირი ხომ შენებურია? — სტუდენტმაც ჩურჩულით ჰკითხა.

— არა, — ხელი აიქნია მამაყულიმ.

— ეგეც ხომ მაამადიანია?

— მერე რა... ეგ კავკასიელია.

— მეჩვიდმეტე ბრიგადა სასადილოში! — დაიძახა მაძახურშა.

თავი 3

№ 17 ბრიგადა შახტში ორად გაყოფილი მუშაობდა. მეტნი ახალ — შტრეკში, ნაკლებნი — ძველში. ძველში ცოტა მადანი რჩებოდა. გზაც გრძელი იყო ამწე-დანადგარამდე. სულ ორი ურიკა მოძრაობდა. იქიდან არ ეშურებოდნენ მადნის გამოღებას, იზოგავდნენ, პროცენტისათვის უკეთესი იყო ორგან მუშაობა.

სტუდენტი იური და მამაყული ძველ საბადოში მუშაობდნენ ურიკებზე. მეორე წყვილთან ერთად სხვები თხრიდნენ და ტვირთავდნენ ურიკებს. ბრიგადირის თანაშემწე ძველ საბადოში მომუშავეებს მეთვალყურეობდა, ზოგჯერ სამუშაოს ხელს წაუკრავდა. ბრიგადირი კი ახალ საბადოში დიდ ჯგუფს თავს ადგა. შუადამისას ამწე-დანადგარი მოიშალა. მამაყულიმ და იურიმ ურიკები ჭასთან მიაგორეს და იქვე ჩამოსხდნენ. თანაშემწე მათთან მივიდა.

თანაშემწე „პალიცაი" იყო, გერმანელების დაპყრობილ ტერიტორიაზე პოლიციაში ნამსახური, საბჭოთა პატიმართა ბანაკებში პატიმრებიც კი ავი თვალით უცქერდნენ, მათ ყველას კატორღა ჰქონდათ მისჯილი. სტუდენტი იური სამშობლოს ღალატისთვის იჯდა, ტყვედ ჩავარდნილი ვლასოვის არმიაში მოხვდა. მისი დამოკიდებულება ვლასოვთან და სამშობლოს ღალატთან მისივე მონაყოლი ამბით განისაზღვრებოდა. ტყვეთა ბანაკიდან რუსი ტყვეები მირეკეს ვლასოვის არმიის განლაგებაში, მშვიერები, დატანჯულები, სულთმობრძავები. ჭკუა დაარიგეს, რომ ამას იქით ერთმანეთს „ამხანაგი" კი არ უნდა უწოდოთ, არამედ — ბატონიო... დილით კი ბრძანება რომ გაისმა „ადექით", ჯარისკაცის მიკნავებული ხმა გაიგონა: „ბატონებო, ჩემი ტოლაღები ვინ აწყაჭნა?" იგი უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო, შინ მარტო დედა ჰყავდა, ბელმოკლე ქალი. იურის აკრძალვის მიუხედავად, ამანათს 8-4 თვეში ერთხელ უგზავნიდა, საციმბირო „სამთავს": ამობტს, წეკოსა და ნორს.

— მამაყული, შენ მაინც მოითხოვ ფურცელ-ფას? — ჰკითხა თანაშემწემ და წეკო გააბოლა, გაზეთის ქაღალდში გახვეული ღეროები ატკაცუნდა, დაიკლაკნა და გამოეჩარა.

— აი, ის როდის იქნება? — იკითხა მამაყულიმ.

— რა?

— ყველა რომ მიიღებს იმდენს, რამდენიც უნდა?

— მალე იქნება, მამაყული, გაუძელი.

— ეგ არასოდეს იქნება!

— ეგ რა წეკოა? — ჰკითხა იურიმ თანაშემწეს, წეკო რომ ატკაცუნდა, — კარგი სუნი აქვს.

— პეტრო-პავლოვსკისაა, ბიისკის და მოეისკის არ ვარგა.

— ეგ ფაბრიკისაა, მე ვიცი, ერთი უკრაინელი იღებს სოფლურ წეგოს...

— არ ეწევი და საიდან იცი, რომელია კარგი, რომელი — არა? — გაბრაზდა მამაყული.

— მამაყული, მაგას არაფერი გაეგება და ყურს ნუ უგდებ.

— მეც მაგას ვეუბნები, როცა არ იცი, ნულაპარაკობ-მეთქი.

— ენა უნდა ამოგლიჯო.

— მომისმინე, ვისაც ჯერ წვერი არ ამოსვლია, იმან რა იცის? თანაც კატორღელი ჰქვიან.

— ვისაც დიდი წვერი და ულვაში აქვს?

— ეგ გითხარი? მე ვთქვი, ვისაც ყბებზე ბალანი არ ამოდის-მეთქი. თანაც უკვირს, რატომ არ ვიცი.

— არ დამცალდა წვერის ამოსვლა.

— რას ჰქვია, არ დაგცალდა?

— ასე მგონია: ვისაც გარეთ არ ამოუვიდა წვერი, აკ აღარასოდეს ამოუვა, — თქვა იურიმ სინანულით.

— კაცი რომ იყო, რა შეგიშლიდა წვერის ამოსვლას? ან ვინ შეგიშლიდა? კანვოი? უფროსი? ზედამხედველი და ბრიგადირი? იქნებ მე?...

— რა ვიცი!

— ჰოოო, რომ არ იცი, ეგაა. ქვევით ამოგივიდა, თუ მანდაც დაგიშალეს?

— ქვევით კი, ამომივიდა.

— აბა, ადექი! — თავს დაადგა ბრიგადირი და რატომღაც იმ წუთსვე გაეცალა. შახტის ჭაში ამწე ახმაურდა.

— ახლავე მოვალ. მუცელი ამტკივდა, — უთხრა იურიმ თანაშემწეს.

— მთელი საათი უქმად ვისხედით, ახლა მოგინდა, — გაუწყრა ბრიგადირის თანაშემწე, მიაძახა, — მალე მოდი!

იური წავიდა ძველ, მიტოვებულ შტრეკში, სამუშაო ადგილიდან საკმაოდ შორს. მას ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გჯერ ცრუ მუცლის გვრემა ემართებოდა. დიდხანს უქმად იჯდა ხოლმე ჩაცუცქული. ჭინთვებისას თავში გაბედული აზრები ებადებოდა, მხოლოდ წუთიერად. თითქოს ძალ-ღონეხაც იკრებდა. ამ დროს ხშირად ფიქრობდა, როგორ აეწაპნა ღორის ხორცის ნაჭერი ან ტკბილი ხმიადი. ვინმე ბობოლას ამანათიდან. მაგრამ ამჯერად ბრგადირი გაახსენდა. დღეს მან ორი ჯამი სქელი ბალანდა შეთქვლიფა და აპოხტის ნაჭერიც დააყოლა. სვავია ბრიგადირი — ჯიგიტი. ძველი ბრიგადირი ასე არ იქცეოდა. თუკი ძღვენს მიართმევდნენ, ხალაფავს პირს არ დააკარებდა...

უცებ ფეხის ხმა მოესმა, და თითქოს ლანდი ნამით გამოკრთა. ვიღაც მოპირდაპირე მხარეს კედელ-კედელ ხელის ფათურითა და ფეხის ჩოჩებით მოდიოდა. აქეთა მხარეს რომ ნამოსულიყო, მას გადაეწყდებოდა. სმენად იქცა. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს, დაყოვნებით, მესამე. ახლა უფრო მკვეთრად ისმოდა ფეხის ხმა. უეცრად ჯიბუნი და ჭრიალი გაიგონა, ხმაური ნელინელ ზევით და ზევით მიიწევდა.

იურის გაახსენდა, რომ ამ შტრეკში გაუქმებული ჭა იყო. ზევით, მიწაზე, ჭისპირი ფიცრებით იყო გადაჭედილი. ეზოში პატიმრების მშენებელი ბრიგადები მუშაობდნენ, იქ უმუშავია მშენებლობაზე და იცის ის ჭისპირი, ვიღაცეებს ზევით საავარიო კიბით ასვლა განუზრახავთ. ღამით იქ პატიმრები არ მუშაობენ და, ალბათ, არც გუშაგები დგანან. ეტყობა, ვიღაცას ამ ჭით გაქცევა განუზრახავს. ვინ უნდა იყოს, მას წინასწარ ექნება ყველაფერი აწონილი და გამოანგარიშებული. შახტის წყვდიადში გაჩნდა ხვრელი, ალმა ასასვლელი. ზევით ვიღაცეები მიისწრაფოდნენ. მას საშიშროებაზე არც უფიქრია, მეწინავე და მეგზური ნინ მიუძღოდა და იცოდა, ის არ უნდა დაეკარგა. სწრაფად გადაინაცვლა მოპირდაპირე კედელთან და ხელის ფათურით გაჰყვა. უეცრად წაეწყდა ხის კიბეს, წუთით გაჩერდა და დააყურა. ზევიდან სულ ახლოს წკანწკარით ეშვებოდა წყლის პატარა ნაკადი. შხეფები პირისახეზე ესხურებოდა. ისმოდა კიბის ხაფეხურების ჭრიალი, ზოგჯერ მკრქალი სინათლე გაახეუტებდა. მეწინავე ასანთს ან ჯიბის პატარა ფანარს ანათებდა. ერთხელ-ორჯერ თავზე მიწა დაეყარა. ბაქან-ბაქან ისვენებდა, ახლა წკანწკარა წყალი ქვევით დარჩა. მეწინავე ერთხანს იდგა, თითქოს უცხო ხმაურს აყურადებდა, მაშინ იური შედგა დასასვენებლად, რომ თავი არ გაემეღავნებინა. ხანამ ზევით, მიწაზე არ ავიდოდა, მას შეეძლო იგი მოეკლა, შახტში გადაეგდო, რომ ზედმეტი გაუთვალისწინებელი ტვირთი მოეშორებინა. მეწინავე ამოძრავდა და უმაწვილს თავზე ლაწუნით დამჩიჩიული ფიცრის ნამტვრევები დააცვივდა. ასე გამეორდა კიდევ და კიდევ. ჩანდა, მიხვდა, რომ უკან ვიღაც მიბაჯებოდა. [illegible] და წიხლის ცემით კიბის ხაფეხურების აბაგრევდა მის დასაბრკოლებლად. [illegible] თავისი ვარაუდის სიმართლეში, როცა ორგან კიბეს ხაფეხური ჭრონდა გამოცლილი, ძლიერ ავიდა. არაქათგამოცლილი მიიწევდა მაღლა ჭის უელისაკენ, ოფლად იღვრებოდა, სულთქმა უჭირდა. ზოგჯერ ეგონა, რომ აგერ-აგერ მოწყდებოდა მონჯღრეული კიბიდან. მკვდარს იქ იპოვნიდნენ და ბანაკის სახაფლაოზე დამარხავდნენ არა გასაპატიოსნებლად, არამედ მკვდარი რომ არ დაეკარგათ საბალანსო ანგარიშისათვის. ზემოდან ბრახუნი მოესმა, მეწინავე ჭისთავზე გადაჭედებულ ფიცრებს აცლიდა. უმაწვილმა ამით დრო მოიგო. ნელინელ ზევით აიწია, ბოლოს, როგორც იქნა, ჭის თავი აიხადა. მერმე ისევ დაიხურა. მან ზევით ააღწია და ფიცრები მოსინჯა, ერთი ფიცარი დანებდა ხელის ბიძგებას. აძვრა მთვარით განათებულ ეზოში, სადაც ჩამიჩუმი არ ისმოდა. კანგოი მართლაც არ იდგა. პატიმრობის ხუთი წლის მანძილზე პირველად იგრძნო, რომ აღარავის აბარია... შეკრთა. უმწეობა და მიუსაფარობა იგრძნო. ყოყმანი მიეძალა. ნასულიყო უგზო-უკვლოდ ამ „თავისუფალ", საშიშ მიწაზე. ყოველ წამს იმის მოლოდინში, რომ დაიჭერდნენ ან მოკლავდნენ, თუ ისევ ჩაბრუნებულიყო შახტში, საიდანაც, კი ოდესმე სასჯელმოხდილს გარეგან გამოსვლა თუ ელირსებოდა არ იცოდა.

* * *

— ვინა ხარ?

— ბრიგადირო, მე ვარ.

— სსსუ, ჩუმად... აქ რა გინდა? რატომ ამედევნე. ახლა რა გიყო, სტეპში წაგათრიო თუ შახტში ჩაგიშვა? სად მოგკლა?

— მეც წამოვალ შენთან.

— ხაიქიოს კი არ მივდივარ, რომ თან წაგიყვანო. წადი, ჩაძვერი ჭაში, წაეთრიე. იქაც ჩემი სათრევი იყავი, აქ სადღა გათრიო.

— არა, კიბეებზე ჩასაფოფხებლად მე უკვე ძალა აღარა მაქვს. თუ მაიძულებ, უკან დავბრუნდე, პირდაპირ დავბრუნდები შახტის კარებთან. ვახტზე მივალ.

— ძაღლიშვილო, მიხვალ და დამახმენ, არა?! იმწამსვე დამედევნებიან, თუ მიპოვეს, ცხელ გულზე მომკლავენ კიდეკაც.

— ვიტყვი, რომ მუკარით დამაბრუნე.

— მერედა, შენი ნათქვამი სასჯელს შემიმსუბუქებს?

— გამიშვი, წავალ ჩემთვის.

— არა, ასე ვერ წახვალ. ჩაბარდები თუ არა, იმწუთს ძებნას დამიწყებენ...

— იქნებ ახლაც გეძებენ. ბრიგადირი ყველას წამდაუწუმ ჭირდება.

— შენ მე მაგვიანებ. ძაღლიშვილო! წაყვანით. [illegible] წაგიყვან. მოგკლავ. [illegible] ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგთოკავ და პირში ბურთს ჩაგჩრი! — შემდეგ ივარაუდა: საბუშაოს დამთავრებამდე ოთხი-ბოთი საათი რჩებოდა, კაზვოი მხოლოდ პატიმრების დათვლისას შეიტყობდა მათ გაქცევის ამბავს. თანაშემწეს მიანდო ბრიგადის მეთვალყურეობა, უთხრა, მთელი მაღარო რომ დაინგრეს არ მეძებოთ, მოკალაქე ქალთან ვარ აალმაზზე წასულიო.

ეს ობერი აფერხებდა. ქალაქი უნდა გაიარონ, ღამეა, ბაგრან იქნებ ვინმემ შეამჩნიოს ნისი მორუბო-ლურჯი პატიმრული ტანსაცმელი, თვითონ კი პატიმრულს გაინდის, ქვეშ სამოკალაქო აცვია. მთავარი მაინც ის იყო, რომ ცოტა საკვები და სულ ერთი მათარა წყალი ჰქონდა საგზლად. ამას რა უწილადოს. სულს ძლივს ღაფავს, სტეპში სიარულს, უმბელობას, უსმელობას როგორ აიტანს. იმანაც გაიკვირვა, როგორ შეძლო ბაში ამოსვლა. უკან რომ მიბრუნდეს, საავარიო კიბით ისიც უკან გაბუნდება, მათი გაქცევის მცდელობას ვერავინ გაიგებს. თუმცა თუ ეპვი აიღეს? ეს ბრიყვი ბატუდება, მე ვიყავიო. იქნებ სჯობდა სტეპში გასულიყვნენ და ერთი-ორი დღის სავალზე მიეტოვებინა. დაუოვნება აღარ შეიძლებოდა. ბრიგადირმა ზურგჩანთა მოიკიდა და უბრძანა:

— მომყევი შორიახლოს. იცოდე, თუკი გაქცეულად გცნეს და დაგიჭირეს, ჩემზე თითით არ აჩვენო!

— რა, შენ მე მაბეზღარა ხომ არ გგონიხარ?

— ნუ ყბეღობ! — ბრიგადირს არ მოეწონა ბომბაკვდავის ჭიკური პასუხი. მას ბანაკში ასე, თანასწორის კოლეგი არასოდეს არ მიუმართავს. აქ თავისუფლება იხელთა თუ არა, გათავდედა. ბრიყვმა არ იცის, რომ მის მოსაკლავად აქ ხელები უფრო ხსნილი მაქვს, ვინემ პატიმრობაში.

— რომ მომკლან, მაინც არ ვიტყვი, ორნი გამოვიქეცით-ბეთქი.

— თუ დამიჭირეს, ხომ იცი, მე თუ არა, ბანაკში სხვები აგიგებენ წესს.

დაბა ჩკარი ნაბიჯით განვლეს, ეშინოდათ „წითელკუდები" არ შეეყროდნენ, სულ სამი კაცი დაინახეს შორ მანძილზე. მეშახტეთა ახალ უბანში ბნელოდა, ერთგან, ღია, განათებული ფანჯრიდან ბალალაიკის ხმა ისმოდა. ვიღაც გარეთ უშვერად იგინებოდა. სტეპში გასახვლელი ქუჩის ბოლოს ბრიგადირი მთვრალს გადაეყარა. იგი ბოძს ეხვეოდა და ბურდღუნებდა. ჩავლისას ბრიგადირს ჩაებღაუკა.

— მიტია, ძაღლიშვილო, რატომ მცემ: ერთად დავლიეთ, მერე რა, რომ შენ გადაიბადე ფული, მე შენთვის რამდენჯერ დამიდგამს ღვინოც და ირაყიც რამდენჯერ დამიოვრიხარ, ცუდი რა გაგიკეთე? დიდიხარ მარუსიასთან... იარე, ხომ არარას ეამბობ. ნინათ ჩემი იყო, ახლა შენია. მეტი რაღა გინდა? შენ ... ტებით მცემ, ასე არ ვარგა, მიტია...

ბრიგადირი მთვრალს მჯლიკვით იშორებდა, ის არ ეშვებოდა, მთვრალმა ერთიც იხელთა, მუშტი პირისახეში მოახვედრა. გამწარებულმა ბრიგადირმა ხელი ჰკრა, გაშხლართა, ავისმომასწავებელი სისინით უთხრა:

— მოგკლავ, ბრიყვო, დაწექი და დაიძინე.

— ხომ გითხარი, უსინდისოდა მცემ, დავიძინებ, აღარ გამარტყა.

— მოდი, ჩკარა ტანსაცმელი გავხადოთ.

— არ გავიხდი, ჩაცმული დავიძინებ, — ამოილუღლუღა მთვრალმა.

მეშახტეების უბანს როცა გასცდნენ, ბრიგადირმა იურის მკაცრად უთხრა:

— თუ არ ივლი, იცოდე, მიგატოვებ.

თავი 4

რიჟრაუამდე იარეს, ჩკარობდნენ, იმ ღამით პატიმრების ბანაკს შორს უნდა გასცლოდნენ, უთუოდ კაზვოი უკვე ეძებდა გაქცეულებს შესაპყრობად. ყიშლაუებსა და სტანიციებში ეცოდინებოდათ „საგანგაშო მდგომარეობის" შესახებ. დაღლილები დასაძინებლად მიეყარნენ. ძილ-ღვიძილში ესმოდათ დროდადრო ჭარის მოტანილი ძაღლების ყეფა. ღამით სტეპში ცივოდა. დილით მზემ ანგაგანგებულები დაიცხრო და დათბა, შუადღემდის ეძინათ, სანამ არ დასცხათ. ჯერ ბრიგადირმა გაიღვიძა, შიშნეულად თქვა:

— რას მოგვიტანს, ვინ იცის, ეს დღე? — ზურგჩანთიდან პურის ნატეხი ამოიღო და გაკბიჩა, ზურგი შეაქცია გაღვიძებულ იურის.

ზეცა გუგუნმა შეძრა.

თვითმფრინავმა ზეცა ირიბად გადავლო.

— ჩვენ გვეძებენ? — იკითხა იურიმ.

— შენ გეძებენ, გმირო!

— მე რა გმირი ვარ. ომში ვერ გავხდი გმირი, აქ როგორ გავხდები.

— გმირობა არაა, რომ ამეკიდე, — ბრიგადირმა პურის ნატეხს ყუა მოატეხა, რბილი იურის გადაუგდო.

იურიმ პურის ნატეხი ხელში აწონ-დაწონა, ივარაუდა: ეს იჯრის ყველაზე პატარა, ორასგრამიანი ულუფის ნახევარიც არ იქნებაო.

— მადლობ, ბრიგადირო!

— შენი მადლობა არ მინდა, ცხვირს რას იბზუებ! აწონე, არა?!

— აქაც გამომყავ ბანაკის ჩვეულება.

— ბანაკშიაც მე გაგმევდი, აქაც უნდა გაგამო? მაგის იმედი ნუ გექნება, ჩემს ულუფას შენ არ გაგმევ. ჭურდებს ასეთი კანონი არა გვაქვს. შენ, შენს ღმერთს შეევედრე, მან მოგცეს დიდი ულუფა, ან ციური მანანით გამოგკვებოს.

— შენ რა იცი, მანანით კვება რაა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შთამომავლობით ქრისტიანიცა ვარ და ისრაელიც...

— მაჰმადიანიც? შენ ჯიგიტიც მგონიხარ, სხვანაირად უჭცევ.

— ზოგჯერ მგონია, ყველა ვარ ერთად, რაც საბჭოთა კავშირში სარწმუნოება და ხალხია, მათი ნაყოფი ვარ, ზოგჯერ კი — თითქოს არავინ.

— შენ სარწმუნოებისა კი რა, ინტერნაციონალის ნაყოფი ხარ.

— წაეთრიე, ბრიყვო, რატომ ამეკიდე. ვერ იფიქრე. გასაქცევად ძალა რომ არ გეყოფოდა? იმის იმედი გქონდა, რომ ყოველ დღე ულუფას მოგცემდი? — მან პატარა ჭიქაში მათარიდან წყალი დაისხა და წრუპვით დალია.

— ახლა გვიანაა დაბრუნება, დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია.

იურიმ გაიფიქრა: იგი პატიმრობაშიაც ჩემი მბრძანებელი იყო, აქაც ჩემი მბრძანებელია, არაფერი შეცვლილა, რაც იქ იყო, აქაც ისევეა. ჩემზე ღონიერია, ჩემზე ნაკლებად ნაშიმშილარი. უცებ გაახსენდა პატიმრული თქმულება, რომ სტეპსა თუ ტაიგაში გაქცეულები, როცა საკვები გამოელევათ, ძლიერი სუსტსა სჭამს, ზოგჯერ წინასწარი განზრახვით ზვარაკს გაიყოლებენო. იგი თვითონ გაეკიდა გაქცეულს. ბრიგადირი თუ კი საჭირო შეიქნა, მას დაკლავს კიდეც. იურიმ უნებურად დაუყვირა:

— კაციჭამია! კაციჭამია!

— რას ბოდავ? — შეშინებული ჰკითხა ბრიგადირმა. იფიქრა, ეს ზედმეტი სახელი იმიტომ ხომ არ დამარქვა, პატიმრებს ცუდად, სულისამომხდელად რომ ვეპყრობოდეო.

მზემ დაცხუნა, როცა გზას გაუდგნენ.

მზის ჩასვლამდის იარეს.

— ვიცი, ბანაკში კაციჭამიას მეძახდნენ, რა, პირში არ უთქვათ თუ? მიწა ცხვირით უნდა მეხნევინებინა.

— აკი გვახნევინებდი კიდეც.

— ცხვირით, ცხვირით უნდა მეხნევინებინა!

— ბრიგადირო, უნდა ვეცადოთ, ამ ურწყულობაში ოფლი არ გამოვიდინოთ. ნიავ-ქარი ისედაც სხეულს ფიტავს;

— ქარიც ჩვენი მტერია, არა? შენ ძალიან ბევრი იცი, სტუდენტო! იმას მაინც არ მეუბნები, სად ამირეგ მისვლას.

— არსად მიმესვლება.

— გაგიუებულხარ! მაშ რა? ხელახლა დასჭერად თუ სასიკვდილოდ გამოიქეცი?

— არ ვიცი... მინდოდა კაცობა გამომეცადა.

— ბრიყვო, გამოქცევას გერჩია, სექსოტი მოგეკლა, ამით ვაუკაცობას გამოცდიდი, ბანაკში სამართლიანი კაცის სახელი გაგივარდებოდა. ახლა დახვრეტა აღარაა, ისევ ოცდახუთს შეგითავებდნენ.

— კაცს ვერ მოვკლავ, თუნდაც სიმართლეს სათვის. ის რა სიმართლეა, კაცის კვლა რომ დაჭირდება.

— შენ მორწმუნე ხარ?

— ქრისტიანი ვარ.

— მე მრავალღმერთიანი ვარ, უკეთ, ჩემი ხორცის შექმნაში, სულ ცოტა, სამმა მაინც მიიღო მონაწილეობა. იმაზე რას ფიქრობ, ჩემ პურს რომ ჭამ და ჩემ წყალს სვამ? და სათრევად მხარზე ჩამომეკიდე... ძალლიშვილო, მე ჩემი გზა მაქვს, შენ კი უგზო-უკვლოდ მოეთრევი.

ასიოდე ნაბიჯი განვლეს.

— ძალლები კვლავაც უეფენ. სადაც ძალლია, იქ კაციცაა. დაგვეძებს კანვოი, დაგვეძებენ ყიშლაყელები და სტანიცელები. დიდ სტეპში, უდაბნოში, ჯერ არ გავხულვართ.

— სტანიცელები და ყიშლაყელები არ მოგვკლავენ დაჭერისას, კანვოიმ კი შარშან არ გახსოვს, „სტროიკომბინატიდან" ერთი მოჰკლა, სამ დღე-ღამეს, ბანაკის ვახტასთან ეგდო ცხედარი.

— ჰოოოო, მახსოვს, ის აქაური იყო, სტანიციდან. გვარი აღარ მაგონდება. ბრიყვულად, მწყობრიდან გარბოდა. გაგიუდა! ჩვენ მიწისქვეშეთიდან ამოვძვერით და აგერ... ის კი კანვოის თვალწინ გაიქცა.

— არ გარბოდა, მხოლოდ ერთი ბიჯი გადადგა განზე.

— დაწექი, თვითმფრინავი! — ბრიგადირი პირქვე წაემხო, იურიმ მას მიბაძა. თვითმფრინავმა ირაო შეკრა და ზეცა ირიბად გადიფრინა.

— შენ რა? თვითმფრინავს „მაიაკს" აძლევდი?

— ეგ რაა, არ ვიცი.

— თითით აჩვენებდი ჩემზე; გამეცი, გამყიდე! — ბრიგადირმა დანა იძრო, — ამით დაგჭრი, დაგსერავ! ცოცხალ-მკვდარს თავგები დაგლრღნიან და ქვეწარმავალნი დაგგესლავენ.

— რატომ ამიხირდი?

— თუ თვითმფრინავი აქ მოფრინდა და დაჯდა, ხანამ დაგვიჭერენ, ამ დანით მოგკლავ.

— რატომ ამიხირდი? — გაუმეორა სტუდენტმა.

— გაჩუმდი, ბრიყვო!

— ჰოოო, თუმცა შენი ხალხი უწინ ამ სტეპებში ცხოვრობდა, მაინც ვერ მოიმეხრე ეს მხარე. შენ ხომ მოხლოლური თვალები და ყვრიმალები გაქვს. ვინა ხარ შენ?

— ვინა ვარ და კაცი ვარ! პასპორტი არაოდეს მქონია, მე ნაციონალობა მაქვს, მე მოქალაქე კი არა, მუდმივი პატიმარი ვარ. ამ ხაქმეზე ერთი გვარით ვზივარ, სხვა საქმეზე — სხვა გვარით. ახლ, ათჯერ გამოვიცვალე გვარი. ხუთი ენა ვიცი, ვინა ვარ, არ ვიცი. ეგ არცაა საჭირო.

მზე დღისით ძლიერ აცხუნებდა. უკიდეგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეპს. დამით ციოდა, ძილში აძაგძაგებდათ, ერთმანეთს ზურგებით ეკვროდნენ, გასათბობად. იურის ყოვანა მთქნარება აუტუდა, თითქოს ბოლო სულთქმას აყოლებსო. ბრიგადირი უკრძალავდა, მაგრამ იგი ხმას ვერ იმორჩილებდა. რიურაუზე სიცივე როცა მატულობდა, თუ ვერ გამოფხიზლდებოდნენ, მზის ამოსვლისას ძილი ტკბებოდა და ველარ იღვიძებდნენ. სანამ მზე არ დააცხუნებდა, თუკი რიურაუის სიცივე გაადვიძებდა ბრიგადირს, დაისრესდნენ ხელებსა და სახეს და გზას გაუდგებოდნენ. არ იცოდნენ მთვარის სრბოლვაზე გზის მიმბრობა. ბრიგადირს ეკვი შეეპარა, ერთ ადგილზე ვტრიალებთო. დღიური სავალის დიდ ნრეშიო. იურის ეუაუანებოდა, რატომ შენს მაგივრად მავანი (გვარს არ ამბობდა) არ გამომეკიდა. ის ნამდვილი მეგზური იქნებოდა, აქაური სტეპი ხელისგულივით იცისო. ღამეს უიმედობა მოჰქონდა, თუმცა დღე უთუოდ უფრო საშიში იყო. დღის პაპანებიდან ბრიგადირი თავს კეპიანი ქუდით იცავდა. იური კი თავშიშველა იყო და წუწუნებდა, თავში ტკივი მიდუღსო. ერთხელ თქვა:

— ეს მზის მუხტი რომ არა, მე უთუოდ ვერ ვიკლიდი, საჭიროა ძალღონისათვისაც და იმედისა და აღგზნებისთვისაც.

— ბოლო, მზის სხივები ჭამე. ახლა მე შენთვის არ მინდოდა ბოლო პური და წყალი გამეყო, მაგრამ თურმე უკაცრიელ სტეპში მოკვდავიც ძვირად ფასობს, აბა! — პურის პატარა ნაჭერი გაუწოდა, პატარა ჭიქით წყალიც დაალევინა.

მალე ბრიგადირი გაკვირვა უმაწვილის ამტანობამ. თვითონ ელენთა ატკივდა, ეგონა, რომ ორ დღეში გაათავებდა. მაშინ ეკვი შეეპარა საკუთარ გამძლეობაში. იქნებ იურიზე ადრე იგი თვითონ წაქცეულიყო. მაშინ სტუდენტი მოაგდებდა ბას. უეცრად ხაშინელი შიში იგრძნო, იურის უპირატესობის ცნობა იმის ტოლფასი იქნებოდა, თავი მის ზვარაკად ეცნო.

იმ ღამით ძილში ბრიგადირს წამოაბოდა:

— იური, იური, სადა ხარ? იური, არ მიმატოვო! — იმ წუთსვე გამოფხიზლდა, ჭიკთხა, რას ვლაპარაკობდიო. იურიმ უთხრა რაღაც ამბობდა, დასძინა:

— ცუდ სიზმარს ნახავდი.

— ბოლო, სტეპის დიდი მგელი მიღრენდა.

ამის შემდეგ მადევრებს სტეპის დიდი მგელი მიემატა, თავზარდამცემი მტაცებელი, აქაურ მხეცთა მეფეთ-მეფე. გაქცეულების ყველა მტერთაგან მან პირველი ადგილი დაიკავა ულმობლობითა და მძვინვარებით.

ბრიგადირმა ზევით გაიხადა, წელამდე გაშიშვლდა. მზემ დასწვა, ბელადების სვირინგები ეკერცლა, იურიმ უთხრა:

— რატომ გაიხადე, ხამოსი?

— მზე ძალას მმატებს, შენც ასე [illegible] დი?

— მზე მაგზნებს, ძალას მმატებ[illegible] არ მიჭირს, როცა ჩადის, ძალ-ღონეს მაცლის.

— იური თავისმა ნათქვამმა შეაკრთო, ბრიგადირმა იქნებ მაშინ მიმატოვოს მოქანცული, როცა ფეხის გადადგმას ვერ შეეძლებო. ეს თვითონ ვუთხარიო.

— იცი, რატომ გავიხადე?

— არ ვიცი.

— შენ, სტუდენტო, ბრიუკი ხარ, ვერ მიხვდები.

— თქვი, რატომ გაიხადე.

— ბელადების ამ პორტრეტების გამო „კონტრები" ავად მიუურებდნენ, არაჭ კაჩვი, რომ თავს დაგვესხას, დამინახავენ და არ მესვრიან, სმენაზე დამიდგებიან. შენ კი აქვე გაგაკრობენ.

— ბო, კი, გჯეროდეს მაგ ტაუილის. სტეპის დიდი მგელი მოვა კუდის ქიცინით... ბოო, როგორ, კანვოი ბელადებს სალუტს გაუმართავს, შენ კი საპატიოდ გაგათავისუფლებენ.

— მაინც ასე იქნება, ნახავ, თუარა.

თავი ა

ბრიგადირის პურისა და წყლის მარაგი მალე გამოილია. იურის სულ ცოტა უწილადა. ორი ლუკმა პური და ულუპი წყალი. შემდეგ კი მათი სხეულები მთლიანად შინაგან სასიცოცხლო მარაგის ხარჯვას შეუდგნენ. იური ბრიგადირზე მეტად უნდა დაემშია და მოქანცა გაქცევას, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ადრეე მასზე მეტად იყო შეგუებული შიმშილსაც და ჯაფასაც. თითქოს გზას ამიტომ უფრო უძლებდა. მზის ჩასვლის დეპრესია, ჭანცის გაცლა ძილ-ღვიძილში რომ ეგდებდა, იქნებ სტეპში აგრილების ბრალი იყო. იურიმ ბრიგადირს რომ უყვირა კაციჭამიაო, ეს იყო უნდობლობის პირველი გაცხადება, პატიმრული თქმულებიდან არეკლილი: უდაბნოს თუ ტაიგაში გაქცეულთაგან ძლიერი სუსტს ჭამსო. ორივეს გულში ჭკონდა „სუსტი და ძლიერი", თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ძალის ჩვენებაში. ორივენი თავდასხმაზე კი არა, დაცვაზე ფიქრობდნენ. შესაძლებელი მგელი იურისთვის ბრიგადირი იყო და ბრიგადირისთვის — იური.

ზეცა საწვიმარმა ღრუბლებმა მოიცვა, ჭექაქუხილმა ვერ გამოფხიზლა გაქცეულები. თითქოს განზრახ წიაღვარმა ჯიბრით თვალსა და ხელს შუა ჩაუარა. იურიმ მოახწრო ძილ-ღვიძილში სველი სახელო გაელოკა. მას ესმოდა, ბრიგადირმა ხელკვაბი როგორ ახმაურა, მაგრამ წვიმამ გადაიღო. ხელკვაბში ერთი ულუპი. ამის გადასაყლაპავი წყალი ჩამდგარიყო. ათიოდე ნაბიჯის მოშორებით ცხადად დაინახა

წყალი, აღტაცებით უნდოდა დაეყვირა, მაგრამ შედგა, გაიფიქრა, მომეჩვენაო, მალუციონაციად მიიჩნია. დაიძრა წინ და წყალში შეეყაპუნდა.

— წყალი, წყალი, აგერ წყალი! — იყვირა.

— ჰაა, სად? აბა?... მოგეჩვენებოდა!

— არა, არა, წყალში ვდგევარ! ჩქარა! თუ წვიმის წყალია, მალე შეიხრუტება. სუფთა წყალია. — შეაძაგძაგა.

ბრიგადირი მივიდა, დაბატა წყალს დასალევად. სული მოითქვა.

— ჰოო, სუფთა წყალია, შემაცივნა, ისედაც გალუმპული ვარ. — თქვა.

თენდებოდა. წყალი სიგრძე-სიგანით ჩნდებოდა.

— არ გაგვეპაროს, აბა, ასანთის ღეროები ჩაგდე.

— თუ მდინარე ან ტბაა, მაშინ საშიშია, ყიშლაყელებს ვინძლო ცხვარ-აქლემები აქ დაუდით დასარწყულებლად. ღერები არ იძვრის.

— ნაპირზე ბალახი არ ხარობს, ტბორია.

— ბევრი დავლიოთ და აქაურობას გავეცალოთ. პირუტყვი თვითონ მოაგნებს წყალს, იმას კაცი მოჰყვება.

იურიმ ძალისძალად დალია და არწყია.

— დალიე, რომ მარაგი დაიჭირო. — ხელკვები და მათარა აავსო.

იური კვლავ დაეწაფა წყალს. უეცრად ბრიგადირი თავს დაეცა. თითქოს მისი დაღრჩობა ჰსურდა, იური დაუსხლტა და ბრიგადირი ტბორში პირქვე ჩავარდა. განცვიფრებულს ალმოხდა:

— რა იყო?

— ჩქარა, წავიდეთ, ძაღლები უეფენ.

— ხელკვებს მე წამოვიღებ.

— უეცრად მუხლები მომეკეცა და შენ დაგეცი.

მეორე დღეს ქარაშოტი ამოვარდა. სიარული გაძნელდა. დაწვნენ, ქარს ზურგი მიუშვირეს. ქარი მიმართულებას იცვლიდა.

— შეხედე, შეხედე ქარბორბალა! — იყვირა იურიმ და წამოდგა.

— რას გვიზამს?

— ჩვენკენ თუ წამოვიდა, ჩაგვმარხავს.

მაღალი სვეტი ბრუნავდა. იგრაგნებოდა, იხვევდა ქვიშას და ყველაფერს, რის ატაცებასაც შეძლებდა.

— თავს ვუშველოთ!

— გავიქცეთ, ჩვენსკენ მოდის!

ნელნელა ქარბორბალა დაიმცრო, კვლავაც სწრაფად აღიმართა, მიაღწია უმაღლეს წერტილს და ჩამოშვავდა. ნამუსრევზე პატარა ქარბორბალა წამოდგა, განვლო მცირე მანძილი და ისიც წაიქცა.

— თუ ადამიანს გარს შემოერტყა, დაღრჩობს, თუ ვერ დაღრჩო, ჩაქოლავს. პატარა ცხოველებს კი აიტაცებს და ძირს ანარცხებს.

— ვიცი, ჰკლავს. წავიდეთ, [illegible] ვნახოთ. ზურმანი ან სხვა, [illegible]

— შენ ეგ ახლო გგონია? [illegible]

— წავიდეთ... იური შენ ბევრი რამ იცი, მაგრამ ბრიგადირობას მაინც ვერ შეძლებდი. შენ ბევრი რამ იცი, მაგრამ საშშვიდობოზე გასასვლელ გზას ვერ ნიაგნებ.

— მართალი ბარ!

გეზი ქარბორბალას ნამსხვრევებისაკენ აიღეს.

— ბრიგადირობა ფულით ვიყიდე... — ბრიგადირმა გაიფიქრა: ვითომ დაიჯერა იურიმ, რომ მუხლებში სისუსტე ვიგრძენი და ზედ დავეცეო? რა მოხდა მაინც, იქნებ უნდოდა, დაეღრჩო, ან წყლით გეეპყრა, დეესაჯა, რათა გაემყარებინა ბრიგადირის ძალაუფლება, რომელიც შეეძლო დაეკარგა.

— აგერ... აგერ! — უცებ წამოიძახა იურიმ.

— რა მოხდა? რააა? ჰოო, ეგ ირია...

მღრღნელი საზიზღარი შესახედავი იყო, სიბერითა თუ ავადმყოფობით ალაგ-ალაგ ბეწვგაცლილი, გაყვლეფილი. ცაბცაბით ძლივძლივ იძვროდა. ბრიგადირმა გოროხი აიღო და დაუმიზნა. დიდხანს აკნევდა ხელს, გოროხს იმარჯვებდა. ეს ცხოველები მაინც ცქვიტები არიან. რაგინდ სნეულნი და მომაკვდავნი იყვნენ (სოროებიც რომ ყოველთვის ახლოსა აქვთ) ასწრებენ შიგ ჩაძრომას. ბოლოს ბრიგადირმა ესროლა. წელზე მოხვდა. ზურმანმა დაიწრიპინა და პირიდან სისხლი წასკდა. გაფსაკუნდა და დაცხრა.

— ეგეც მაგის ბედი ყოფილა.

— ყველას თავისი ბედი აქვს.

— შენ ხარ მაგის ბედის განმგებელი.

— ამას შიგნეულობა სტკიოდა, იმიტომ იყო გაყვლეფილი, — ბრიგადირმა ჯიბიდან დანა ამოიღო, ზურმანი მუცელზე გაფატრა, შიგნეული გამოყარა, — ეს მოვაშორე, სნეული შიგნეული... იური, საქსაული მოაგროვე, ბალანს შევუტრუსავ, შევბარაწავ.

— იცოდე, როცა დავარდები, მე ვერ გზიდავ.

— როდის გითხარი, მზიდე-მეთქი.

— არ მინდა, რომ შიმშილით მოკვდე, თუ მდევრებმა შენი გვამი იპოვნეს, ჩემს კვალსაც დაადგებიან.

— არც მე მინდა, რომ მოკვდე. მაგრამ შენ მაგ მომაკვდავი ზურმანის შეეშა მოგკლავს.

— მშიერ სიკვდილს მაძღარი სიკვდილი სჯობია, აიღე ჭუდი, ცეცხლი გააღვივე, ინ დღეს რომ მკითხე, მე უარი გითხარი, როგორ მიხვდი, რომ სამნი ამოვედით შახტის ჭიდან ბა?

— შემიძლია ფეხის ხმა დავითვალო.

— ნიჭიერი ბიჭი ხარ. გეტყვი, როგორც იყო, ახლა ყველაფერი დაკარგულია. იცი, ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაა მეთვრამეტე ბრიგადაში არონ არონოვი არა? არონ ეიდი, არა? მე მას მოვუგე კარტში გაქცევა, ათი ათას მანეთად მოვიგე, თვითონ წინ გამიძღვა და მე უკან მივუევი.

— მესამე ვინ იყო?

— ის იყო მეგზური, მოკალაქე, რომელსაც არონი შეეკრა. იქნებ ფული მისცა, იქნებ არა, არ ვიცი, ეგ ვინაა, არც მინახავს, არც იცოდა, უკან რომ მივყვებოდი.

— კანონიერი ქურდი ხარ?

— მაშ, რა ვარ, 58-17 მუხლი მაქვს, ბანდიტობის. ასე გვთვლიან, მე რა პოლიტიკური ვარ.

— ბრიგადირი რატომ ხარ?

— მე ბომ ქურდების ბრიგადირი არა ვარ. არიფების ბრიგადირი ვარ, ამის უფლება ქურდული კანონით მაქვს.

საქსაული ნაკვერცხალს ვერ იყენებდა, ზურმანი ბოლით იმურებოდა და ნაცარში იგანგლებოდა. ბრიგადირმა ქუდი დაიბერტყა.

— მაგ ზურმანით გაძღომას შიმშილით სიკვდილი სჯობს, — თქვა იურიმ.

— ორი დღე და ერთი ღამეა, რაც არ გვიჭამია.

— ახლა მდეგრები გაგვიმრავლდა, ჯერ მარტო ორნი იყვნენ, ჭის ყელიდან რომ გამოგვყვა, კანეოი და მოკალაქე, ეს მოკალაქე ყიშლაუელად და სტანიცელად იქცა. მერმეთ შორიახლოს სტეპის დიდი მგელი აგვედევნა, დაბოლოს, სანამ, რომელიმე მათგანი წამოგვეწევა, ჩვენს ძარღვებში თანდათან სისხლი დედდება, რომ ტანჯვა-წამებით სული ამოგვხადოს.

იურიმ მარცხენა ხელის ნებზე დაიხედა, თვალი გააყოლა დატოტვილ ხაზს, ცერა და სალოკ თითებს შუა რომ იწყებოდა, ხელისგულისკენ მიიწევდა, კვეთდა ორ შეეულ ხაზს და მესამეს, ნეკიდან მომდინარეს, ზედ ემთხვეოდა. შეკრთა და ხელის მტევანი იღლიის ქვეშ დამალა. ბანაკში გავრცელებული იყო პირობანტია, ერთი მოწევა თამბაკოზე ან წეკოზე მკითხაობდნენ.

— გატრუსვა არ ეყოფა, გაღვლეპილი კანი უნდა გავაცალოთ, — მან საქსაული მოაგროვა და ბრიგადირს თავზე დაადგა, იგი თრიას ტყავს ადიჯნიდა. სისხლიანი ხელები ქვიშამიწით გაიწმინდა. ასანთის კოლოფი ამოიღო. სტეპში სიო ყოველთვის ქრის, ქუდს დანით კეპი შემოარღვია, მუყაო დაფურცლა. ზურგით სიოსკენ დადგა, ასანთით ცეცხლი ფურცელს, ფურცლიდან საქსაულს მოუკიდა. ხორცი ბრტყელ ქვაზე დადო და ცეცხლს მიაფარცხა. ნელდა საქსაული ხრჩოლავდა.

— გაადვიე ცეცხლი.

— ქუდი მომეცი, რა დავუქნიო.

— სული შეუბერე!

იური დაიხარა, სულის ბერვას შეუდგა, იცრემლებოდა და ხველება აღრჩობდა, დაღლილი წამოჯდა.

— რას გაჩერდი, შეუბერე! მაძებრები დაგვინახავენ, ბოლზე მოვლენ.

— ეს სულთქმა რკინისგზამდე მიმაღწევინებდა, — თქვა აქელებულმა.

— აბა, დაუბერე, — ქუდი მიუგდო. იური შეუდგა ქუდის ქნევას.

ბრიგადირიც ზურგჩანთას უქნევდა ბილს გასაფანტად. ჯიბრით უთხრა ეგ სულთქმა პირველ კანვოიმდე მიგაღწევინებდა, ახლა კი ცეცხლს შეალევო.

(— ვერ შევჭამ ამ ზეზეულად გახრწნილ თრიას, შენ შეუბერე და შენვე ჭამე, — იურიმ ქუდი დაუგდო.

— ასე იყოს, — მან ხორცი ცეცხლს გამოტაცა, ბარკალი მოატეხა და შესანსლა, მერე მეორე. პირი ეწვოდა, თან სულს უბერავდა. ძვლებსაც ტკვერავდა.

იური არ უცქერდა, მხოლოდ მწვლაკუნი ესმოდა. მას კუჭის მწარე წვენი მოაწვა ყრონტში, ძლივძლივობით გადაყლაპა. გაიფიქრა, სჯობია ამოარწყიოს, ასე შიმშილი უფრო ნაკლებად შეაწუხებსო.

— წავიდეთ, დღეს ცოტა ვიარეთ. — თქვა იურიმ.

— იქით წავიდეთ, ქარბორბალა რომ დაიმსხვრა.

— გზას არ გაგვიმრუდებს?

— შეხედე ამ სტეპს, რაც უნდა გეზი გაამრუდო, მაინც სწორი იქნება. შენ გგონია, რომ ჩვენ ეს დღეები სწორი გზით მივდიოდით? არა, ჩვენ დღეღამის სავალ დიდ წრეში ვიყავით ჩართულნი... ვტრიალებდით, ვტრიალებდით! შენ გეგონა, რომ რკინიგზისკენ ვისწრაფოდით? არა, ჩვენ იქნებ ახლა უფრო შორსა ვართ რკინიგზიდან.

— მაშ რა ვქნათ? საით...

— სიკვდილისკენ! იქით... შენ, რატომ არ ჭამე ზურმანი? შეგეშინდა, მოკვდებიო? გინდა, მე მოვკვდე და შენ შემჭამო? შენ მემძორე ხარ, ტურა, ყვავი... კაციჭამია! — ბრიგადირმა დანა დაიძრო.

— რა ბრალსა მდებ, მე!...

— ჰოოოო, შენ, შენ! ვიცი, ამიტომ ამედევნე! — იგი დაიძრა დანამომარჯვებული, იური გაექცა, წრეს უვლიდა, ბრიგადირი მისდევდა. ორივენი დაიქანცნენ, აკოშინდნენ, ძლივს იძვრიდნენ. იური მიუტრიალდა:

— ნუ, ნუ დამკრავ! გაგიყდი თუ რაა?!

— ეეეეეჰ, შენ! — დანა მოუქნია. იური მაჯაში სწვდა. ერთბანს ხელდახელ ეჭიდებოდნენ ერთმანეთს. ბრიგადირი ჩაიკეცა და პირქვე წაემბო.

— ბრიგადირო, რა დაგემართა? — ჰკითხა ჭოშინით, გადააბრუნა. დანა გულში გარჭობოდა. დაბრეცილად მიჰხედა. დანა ამოაძრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარვალს შეაწმინდა, ჯიბეში ჩაიდო, იქვე ახლოს მიეგდო. როცა ინათა, გაელვიძა. ცხედარს ვერ დამარხავდა, საამისოდ არც ძალა შესწევდა, თანაც შიშველი ხელებით სამარეს ვერ გათხრიდა. პირისახიდან ჭიაღუა მოაშორა და ცარიელი ზურგჩანთა დააფარა. თვალები დაუხუჭა და წალასლასდა. მცირეხანს იარა, დაიღალა და დაჯდა, დაელოდა, მზე როდის დაცხუნებდა, რომ გზა განეგრძო. როგორც თვითონ მიაჩნდა, მზე ძალლონეს მატებდა.

დაბალ ბორცვს ორი მხედარი გადაადგა.

აკბაიმ დაიძახა:

— აგერ ყოფილა! მიდი, ვასია!...

— შენი საბუთები! — შესძახა ვასიამ ლტოლვილს მხედრული შემართებით და ცხენიდან ჩამობტა. იურიმ ხელები ასწია.

— ფრთხილად, ვასია, საბუთები არ გინდა. ვინცაა განა არ ჩანს ტყვედ გვნებდება, ფრთხილად, ფრთხილად გაჩხრიკე. ცივი იარაღი არ ჰქონდეს!

— ი, ეს მაქვს. — თქვა ტყვემ და ბრიგადირის დანა ფეხთით დაუგდო. გაიფიქრა: იმ ბევრ მტერთაგან გამომეცხადა ყველაზე ნაკლებ საშიში, სულერთი იქნებოდა, ყიშლაყელები თუ სტანიცელები იქნებოდნენ. იმ ყველათაგან მარტო ამათ არ ჰქონდათ ჩვენი მოკვლის განზრახვა.

— მეორე პატიმარი სადაა? — ჰკითხა აკბაიმ.

— მოსაკლავად მეცა, თავისივე დანას წამოეგო.

— მაგას არ დაგიჯერებენ. მკვლელობაზე მოგისჯიან.

— დახვრეტა აღარაა, სულ ერთია, გაქცევაზეც ისევ ოცდახუთ წელიწადს შემითავეზენ, მეტს ხომ აღარ მომცემენ.

— მერე მკვლელობის მუხლი კანიბალობის განზრახვით? ჰა?

— ჰოოო, ეგ მძიმე მუხლია. მე ხომ მაგაში დამნაშავე არა ვარ, არც განმიზრახავს, — გაიფიქრა, ასეა, ყოველთვის ჩადენილ დანაშაულზე მეტი ბრალდებით სჯიან ხოლმეო.

— მერე ბანაკში თუ ხმა დაგივარდა, ამას კარგი ამბავი არ მოჰყვება.

— წადი და ნახე, გვამისთვის ხელი არ მიხლია. უკან დავბრუნდეთ, ნახე. მე კაციჭამია არა ვარ.

— იმ ადგილს ვეღარ მიაგნებ, სადაც ცხედარი დატოვე.

— მაშ, რა ვქნა?

— წავიდეთ! — უბრძანა ვასიამ. თვითონ ცხენს მოახტა, მერე აკბაის დახმარებით იური შეისვა ცხენის გავაზე.

— მესამედ გამოვედი სტეპში საძებნად. კანონის რომ ჩავარდნოდი, ამდენს არ გალაპარაკებდა. ეს კია, რომ შენი ამხანაგის ნახევარი ჯილდო დაგვეკარგა.

ბორცვებს შუა გავიდნენ.

აკბაის უფრო მეტად მიეზიდა [illegible] „კარავაის" გამოცხობის სურვილი, ძველებური პურის, კაცი გაშლილ მკლავებს ძლივს რომ შემოაწვდენს. ამ ლტოლვილის დაჭერაში შაკარსა და ფქვილს რომ მიიღებს ჯილდოდ. იმ ფქვილიდან გამოაცხობს ნასტია. ველარავინ დაიბეზღებს, შინ ძველებურ „კარავაის" აცხობენო. გაახსენდა ძველებური, ციმბირული ჩვეულება ტაიგის სოფლებში, საიდანაც უაზახისტანში გადმოსახლდნენ, აკბაი ბავშვი იყო, მაინც ახსოვს. ძილის წინ ყველა ოჯახი, გარეთ, კარის თავზე, თაროში, გამოქცეული პატიმრის საგზლად პურსა და აპოხტს სტოვებდა. აკბაიმ გაიფიქრა: დროება იცვლება, მაშინ ისეთი წესი იყო, ახლა ასეთია, მაშინ გაქცეულებს ტაიგის მოხახლეობა ხელს უწყობდა, ახლა კი გაქცეულების დაჭერაში ჯილდოს იღებენ. დროების ცვალებადობის გამო აკბაის სინდისის ქენჯნა არ უგრძვნია.

— მამა, ისანთაი კვლავაც გამოჩნდა.

— ოოომ, ჯიბრიანია ისანთაი, არა და არ უნდა ჩამოგვრჩეს.

— ეგ ვისი დამჭერია.

— აბა, ეგ ვისი დამჭერია. ვასიოკ, მაგ ტყვეს პური მოუტეხე, ვინძლო, რა ხანია პური არ უკამია.

— ახლავ, პაპიკო, — მხარიღლივ გადაკიდებულ ჩანთიდან პური ამოიღო, მოუტეხა, ნახევარს თვითონ შეექცა.

შორს აქლემზე ამხედრებული ისანთაი გამოჩნდა, გამაყინავი ხმით მღეროდა. ჩაქჩაქით მიიწევდა მამა-შვილის შესახვედრად. გზადაგზა თხზავდა ლექსი-სიმღერას. მღეროდა იმას, რაც იმ წუთს ხედავდა: თვითონ აქლემზე იჯდა და სტეპში სანადიროდ მიდიოდა. სხვა აქლემები სძოვენ მავთულხლართებივით საქსაულს. მზე ჩადიოდა, ბერკუტი დატრიალებდა მსხვერპლს. აგერ ხედავს აკბაის და ძეს მისას.

— აკბაი, იხშარ ხეირ!

— ახშამ ხეირ, ისანთაი!

ისანთაიმ მიამღერა:

— მე ვხედავ, მამაცო აკბაი, მარჯვედ გინადირია.

შენსა და შენს გულად ძეს,
გხედავთ ცხენებზე ამხედრებულთ,
დავლითა და ტყვეთ!
ვაშა და ვაშა, ვაშა და ვაშა!
ვაშა თქვენ!

— ისანთაი, დაიგვიანე.

— ჰო, ცოტა, ცოტა დავიგვიანე.

აკბაიმ ცხენებს დაუტაკანა:

— ჰაიტ, ჰაიტ, ჰაიტ!

1960 წელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირიან მირნელი

* * *

აფრინდება ჩიტი
მაღალი კოპიტის კენწეროდან
და ხეს რომ ფოთოლივით დააკლდება.—
ცას კვირტივით შეემატება

...თუა ცასწავალა.

* * *

ციოდა —
მეფის
კარფანჯრებდაგმანულ
სასახლეში.
თბილოდა —
ჩემს ფარღალალა ფაცხაში:

იქ —
ბრწყინავდა,
აქ —
ათბობდა.

...ცეცხლი.

* * *

შეიფრთხიალა ჩიტუნიმ —
ბუმბული გასცვივდა ორიოდ ღერი.

მიფრიალებს ფრთოსანი
ზევით,
ზევით.

მოფარფატებს ბუმბული

ქვევით.
ქვევით.
ქვევით.

მათ შორის კი

...თვალი მტკივა სიცარიელეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

არ ჩადგა ნაგზაურს
დიდი მღვრიე მდინარე მანამ,
არ ამიმღვრია სანამ
ღელე პატარა და კამკამა
და...
ვაითუ ქმნას ამან,
ჩემმა ღელუკამ ფიცხელმა,
უარესი:

დაერიოს კიდევ უფრო პაწიებს,
რუებს, წყაროებს და ბინულებს —
გაბრაზებულ გულზე!..

. . . . . .

ნუთუ აღარაა სხვა გზა,
თვინიერ ერთის,
უარესისკენ მიდის რომელიც?!

* * *

მოვიდა
ჩემი თვალჩხორია დილა
და გააგდო შენი
ჭრელა-ჭრელა დღე. —

ვენაცვალე
გაზაფხულის
თეთრქათქათა ფრთებს:
თეთრი —

თეთრს
ანუ:
ფერი —
ფერს
და...
მადლი —
ფიროსმანს
და კიდევ —
ღმერთს!

* * *

აწყდება ფარვანა
სანთლის პაწია ალს
და...
ძირს ენარცხება უსულოდ,
და მოლოდინში ახალი მსხვერპლის
იწვის სანთელი,

იწვის,
იწვის,
გარნა

...ანათებს ღვთის სახლს დიდებულს
იგივე სანთელი კეთილშობილი.

დატირება

ვაი სიბრძნეო სოფლისაო,
ვაი სიყვარულო და სიხარულო ჩემო,
ცის ნატეხო მარიხიანო,
აწ უკვე აღარ მფეთქავო,
აღარ მღელვარო
ზღვათა და მყართა შინა,
ვაი,
ვაი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაი,
რად არ იყავ.
რად არ იყავ ,
ცოტა უარესი.
ცოტა უფრო გაუცინარ-გაუღიმარი.
ცეცხლი — ცოტა უფრო გაუღვივარი.
უფრო —
ზამთარი
ნაკლებ —
გაზაფხული,
უფრო—
სუსხი და ჭირხლი.
ნაკლებ —
სითბო და ალერსი,
ცოტა უფრო უსალმო და უთავაზო,
ენამწარე და ცოტაც ენაკვიმატი.
ანუ
რად არ იყავ სულაც
კუშტი და ქუში.
პირმკვახე და პირქურუხი.
მეხი და პირმეხი.
სეტყვა და მერეხი.
ვაი,
ვაი,
ვაი,
რად არ იყავ.
რად არ იყავ
ცოტა სხვანაირი,
ცოტა უარესი. —
ცოტა უკეთესად ვიქნებოდი

...ჩემი სიკვდილის დღეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა

თავგადასავალი ლევან გოთუასი

ოჯახმა ძალიან მძიმედ განიცადა ლევანის მესამედ დაპატიმრება და ასე შორს გადასახლება. არც ლევანი იყო ნაკლებ დღეში.

წარმოუდგენლად მძიმე იყო მისი განცდები. ის შემაძრწუნებლად გამოიყურებოდა რკინის ბადის მიღმა. მისი ყოველი ნაკვთი და მოძრაობა გამოხატავდა დიდ გულის ტკივილს და აღშფოთებას, მისი ასეთ მდგომარეობაში ყოფნის, თავმოყვარეობისა და ადამიანური ღირსების შელახვის, თავისუფლების დაკარგვისა და მისი დამონების გამო.

მძიმე გრძნობითა და გულის ტკივილით დავცილდით ლევანს. გაშეშებული შევცქეროდით შორს მიმავალ მატარებელს. განძრევის და ლაპარაკის თავი აღარ გვქონდა.

სახლი დაცარიელდა და თითქოს ჭერი ჩამოინგრა. დედა და თინა ავადმყოფობდნენ. მე და მზია ჯერ არ ვმუშაობდით. ოთახი დალუქული იყო. ლევანის ნაწერებს რა ბედი ელოდა, არავინ ვიცოდით, ჩვენ კი გადასახლებას გვპირდებოდნენ.

გაგვიჭირდა მატერიალურად. ნივთების გატანა ბაზარში არ ხერხდებოდა, ყველაფერი ისე იყო გაფუჭებული და დამტვრეული. საკვალაო ისიც იყო, რომ ლევანს ძალიან დიდი თანხა აქონდა მისაღები სხვადასხვა დაწესებულებებიდან, მაგრამ მის დაპატიმრებასთან დაკავშირებით ყველგან უარი გვითხრეს. ლევანის მინდობილობები რომელიც ციხეებში დატოვა, არ მოგვცეს. სამცხე-ჯავახეთის შესახებ ჩანაწერები კი საერთოდ გაანადგურეს.

სულიერ და მორალურ მხარეზე საერთოდ ალარაფერს კიტყვით. ჩვენთან არავინ მოდიოდა, ყველას ეშიოდა. პირველ ხანებში დიდ უხერხულობასაც კი ვგრძნობდით, სახლიდან გასვლა და არავის შეხვედრა არ გვინდოდა. ნაცნობ-მეგობრები, ვინც ლევანს კარგად იცნობდნენ, ყველაფერში გარკვეული იყვნენ, ყველაფერს უსამართლოდ თვლიდნენ და გულის ტკივილით იმას ამბობდნენ, ისეთ გარემოში ვცხოვრობთ, რომ საშველი არ არსო.

გულისხმიერებით ეუცდიდით ლევანის წერილს, არა და ცნობა ძალიან იგვიანებდა.

ლევანის გადასახლების შემდეგ ეს ნელი კიდევ უფრო დაგვიმძიმა მისი მეგობრების გადასახლებამ. უდანაშაულო მართალი ხალხი ჩეკაში უმონყალოდ, უსამართლოდ აწამეს და აწვალეს. იქ ნამების რა ხერხებს არ მიმართეს, რომ ცრუ ბრალდებაზე ხელი მოეწერებინათ და ლევანის მიმართ დანაშაული დაედასტურებინათ. ბოლოს სიცოცხლის შენარჩუნებას და განთავისუფლებას დაპირდნენ, ზოგი ანკეტს წამოეგო, ხელი ყველაფერს მოაწერა, ბრალდება თავზე აიღო და ამით მხრებზე აიკიდა მძიმე ჯვარი, მათი საქციელი შესაძლებელია სიცოცხლის შენარჩუნებისათვის იმ პირობებში გამართლებული კიდეც ყოფილიყო. უმრავლესობა პატიმრებისა კი სამართალს ეძებდა. ლევანთან დაპირისპირებას მოითხოვდა. ლევანმა ამხანაგების დაპატიმრება ძალიან გვიან გადასახლების წინ გაიგო ბენუკელისგან. ამ ამბავმა საშინლად გაამწარა, შეაძრწუნა და ააღელვა. გაუმწვავა ისედაც გამძიმებული ცხოვრება. სიბრაზისაგან არ იცოდა, რა მოემოქმედა. ამ წყობის სიძულვილმა და შურისძიებამ მოთმინების ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა, მაგრამ რა ექნა, ყოველმხრივ შებოჭილი იყო. დამწყვდეული ლომივით შფოთავდა.

პატიმრებს, მიუხედავად იმისა, ბრალდებაზე ხელი მოაწერეს თუ არ მოაწერეს, ყველას ერთნაირი განაჩენი გამოუტანეს — სამშობლოს ღალატი, დანაშაულის მუხლიც ერთნაირი მიუსაჯეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შორეულ ციმბირში შრომა-გა-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწორებელ ბანაკებში გადასახლებით. დაპირებები კი გვერდზე დარჩათ.

გადასახლების წინ ოჯახებმა შესძლეს მათთან შეხვედრა და სიმართლის გაგება. შეუძლებელია იმის აღწერა, რა ცეცხლი ტრიალებდა. სუყველა ნაცემი, ნატანჯი, ნანვალები და შეცვლილი, მაგრამ ცოცხლები იყვნენ. ეს ახალგაზრდა ხალხი ღრმა მოხუცებს ჰგავდნენ. ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ ყველაფერი ჩეკაში იყო შეთხზული, მშველელი და პატრონი კი არსად ჩანდა. მაგალითად, ვაშაკიძეს ლევანის მოადგილეობას აბრალებდნენ და რა არ იღონეს, რომ ბრალდებაზე ხელი მოეწერა. ვლადიმერმა ცრუ ბრალდებაზე ხელი არ მოაწერა. ამისათვის რა წვალება და წამება არ შეხვდა მას. ერთხელ დაკითხვაზე თვით რაფავასთანაც შეიყვანეს. იქ გენერალი რუხაძე დაინახა, გაეხარდა კიდეც, ალბათ მეშველაო, ჩემი სიმართლე დამტკიცდებაო, გაიფიქრა. ვინაიდან რუხაძეს კარგად იცნობდა, მათ დიდი ჯიხაიშის სკოლა ერთად დაამთავრეს.

— ბიჭო, მიშველე რამე, არაფერში დამნაშავე არა ვარ! — მიმართა რუხაძეს.

— შენი ბიჭი ვინ არის, — გაცხარდა რუხაძე, — ახლავე ხელი მოაწერე ბრალდებას, თორემ გაგათავებ, — და უცებ ორივე ხელით ეცა თმაში და დიდი ბღუჯა თმა კანთან ერთად ამოგლიჯა.

გრძნობაზე ახალ საკანში მოვიდა, იქ მისდა გასაკვირველად ვიღაცა პატიმარიც დახვდა.

— ბიჭო, ცოდო ხარ მოგკლავენ. სიკვდილს ხელის მოწერა ჯობია. სიცოცხლე, სიცოცხლე შევინარჩუნოთ, მერე იქნებ გაირკვას ჩვენი ამბავი, მე ვერ გავუძელი ცემას, ხელი მოვაწერე ყველაფერს.

ვალოდიას პირველ ხანებში ეს პატიმარი მათი მოგზავნილი ეგონა, მერე კი გაირკვა, ერთ საქმეზე ისხდნენ. სპირიდონ ჭყონია აღმოჩნდა. ასე აწვალეს და აწამეს ეს უდანაშაულო ხალხი, მარტო იმისათვის, რომ ლევანისათვის და მათთვის ნაყენებული ცრუ ბრალდება დაემტკიცებინათ. ამ ჯგუფიდან ჩეკაში ზოგი დაიღუპა კიდეც.

მძიმე 1947 წელიც გადავიტანეთ, და აი, ბედნიერი დღე დადგა, ძლივს მოვიდა ლევანის პირველი წერილი:

„ჩემო კარგებო! ბოლოს როგორც იქნა მივედი ადგილზე I/II—48 წ. ჩამოვედი ქ. ვორკუტაში.

მოკლედ, ჩემი მოგზაურობის თავგადასავალი ასეთი იყო: ბაქოში დიდხანს აღარ გავჩერებულვართ. სულ რამდენიმე საათი. სამი დღის შემდეგ როსტოვის ციხის გადასაგზავნ პუნქტში ამოვყავი თავი, აქაც სულ ხუთიოდე დღე ვიყავი, ახლა მოსკოვისკენ გავწიე, რა თქმა უნდა ისევ მავთულხლართებიან ვაგონით. როსტოვში უკვე თოვლი, [illegible] იყო. მოულოდნელად მკაცრ ზამთარში ამ[illegible] ვყაკი თავი. მოსკოვში კი უკვე მაგარი ყინვები შემომეყარა და მაშინ დავაფასე ქურქი., რომელიც თქვენ გამომატანეთ. მოსკოვის ციხეში აღარ მოგვიხდა ყოფნა. რამოდენიმე კვირა სადგურის ჩიხში ჩამდგარ ვაგონში ველოდით შორეულ გზას ჩრდილოეთისაკენ. ვერ წარმოიდგენთ სიმძიმის ეს რა გამოცდა იყო. ყველა გავფუჭდით. შემდეგ კი ჯერჯერობით ბედი გვწყალობდა. შეუფერხებლად, შედარებით სწრაფად მივიწევდით დანიშნულ ადგილისაკენ.

სიძნელეებს ნუ კითხულობთ, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ დასაწყისი იყო. მოსკოვიდან გავწიეთ — გორკის გავლით კიროვისაკენ (ყოფ. ვიატკა), სადაც ჩავედით 2/I.

სადღაც გზაში გავითენეთ ვაი ახალი წელიწადი. ფიქრებში ჩამომაწვა საახალწლო კრიალოსანი. გამახსენდა სახლი. მახლობელთ შორის ჟამი სასიკეთო. ურთიერთ მილოცვა, სამშობლოს მომავლის საუკეთესო სურვილები, ოდესმე გამეგონოს თავისუფლება.

ჩემთვის მძიმედ გადმოილახა ახალი წელი, ახალ მიჯნას ისევ წვალება და გულისტკივილი მოჰყვა. მე თვითონ არ ვიცი რისთვის, ჩვენი ოჯახისა არ იყოს, სამშობლო გულმოკლულია წარსულითა და აწმყოთი. იმედის თვალით შესცქერის მომავალს. მეც მომავლით ვცხოვრობ, მაგრამ ახლო მომავალში კარგს ვერაფერს ვხედავ ამათ ხელში. შორეულში კი შეიძლება უფრო ცუდიც გამოვლინდეს. რატომღაც ამ წყობის არაფერი მჯერა და ვერც დავიჯერებ.

ქ. კიროვში ჩავიჩხირეთ და დიდხანს მოგვიხდა აქ დარჩენა. აქ ისეთი მაგარი ყინვები შეგვხვდა, რომ მე ყინვებში მოსიარულე კაცს, ალბა, რა უნდა გამკვირვებოდა, მაგრამ საჭიროებისათვის გარეთ რომ გაგვიყვანეს, სული შემეკრა, მოყინულმა ფეხებმა ძლიერი ტკივილი მაგრძნობინა. სწრაფად უკან დავბრუნდი. კიდევ კარგი, რომ საკანში ისევ ვართ გაჭედილი, ტევა არ არის და ვერ გაინძრევი, არამც თუ არ ცივა, არამედ ოფლად ვიღვრებით. ამ უამრავ პატიმარში, სადაც ვაჟკაცის ცრემლი და რისხვაა გამეფებული, შეძრნუნებულ სიმარტოვეს და სულში სიცარიელეს ვგრძნობ ისე გამიჭირდა.

სამიოდე კვირის შემდეგ — გადმოვენყვეთ საბარგო ვაგონებში და ჩრდილოეთისაკენ გავემართეთ. გვიკვირდა, მიუხედავად იმისა, რომ ეშელონი მეტად გრძელი გამოვიდა, დღეში ერთხელ საზიზღარს. მაგრამ მაინც თბილ „პალლობკას" გვაჭმევდნენ. რისგან არის დამზადებული, ვერ გავარკვიეთ, მაგრამ მაინც ვჭამდით, სასიცოცხლოდ სხვა გზა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვქონდა. მატარებელი მიჰქროდა ტაიგის თვალუწვდენელ სივრცეებში. ჩემი ფიქრი კი მარადჟამს სამშობლოს დასტრიალებდა. სულ იმას ვფიქრობ და თავს ვიტეხავ, ვის დასჭირდა ჩემი ასე სასტიკად დასჯა. რატომ? ვინ რა იცოდა გულში თუ ფიქრად რა მქონდა, ისე კი მიუხედავად ჩემი განწყობისა ხელნამოსაკრავი არ მომიქმედია.

გავიარეთ კოტლასი-პეჩორა-აბისი და ბოლოს ერთი კვირის შემდგომ მივედით ვორკუტაში. აქ უკვე სრულიად კლასიკური ტუნდრაა, არავითარი მცენარეულობის ნიშანწყალი ჯერ არ მინახავს, საოცარი ყინვებია, ასეთი ჩვენ კავკასიონზედაც არ იცის. 45-50°, ამაზე ამბობენ თბილი ზამთარიაო. მხოლოდ ახლა დავაფასე თბილეულობა. მოკლედ მოვედი დანიშნულ ადგილზე. გზა რა თქმა უნდა არც თუ იოლი იყო, მოკლეთ აქ ჩამოსვლისთანავე მაშინვე საავადმყოფოში მოვხვდი, ამისთანა მგზავრობის შემდეგ მესაჭიროება საკმაოდ ხანგრძლივი მკურნალობა, დასვენება და სურავანდის ნიშნების მოშუშება. ეს დასაცავი ჩრდილოეთის ავადმყოფობა ჯერ კიდევ გზაში შემპარავი ძალლივით შემომახტა და დამკბინა. ასე დაგვემართა არა მარტო მე, არამედ უმრავლეს პატიმრებს. მეტად დამისივდა ფეხები, ვერაფერი ველარ ჩავიცვი. ამიტომ ჯერ სამუშაოდ არსად არ გამამწესეს და საერთოდ ვერ წარმომიდგენია აქ სად, ან რაზე ვიმუშავებ. ალბათ ფიზიკურად მუშად.

აქ დიდი და მრავალი ქვანახშირის მაღაროებია, მე მოვხვდი სააღმშენებლო პუნქტში ОЛП-ში (Отдельный лагерный пункт) რამდენ ხანს დავრჩები საავადმყოფოში არ ვიცი, მაგრამ ყველა სიკეთესთან ერთად, ჯერ კიდევ მანდ, შინაგან ციხეში ცეება შემეყარა, თუ განმიახლდა საოცარი ძალის ტროპიკული ცეება, სიცხე — 41° გრადუსი მქონდა არა ერთ გზის. მანდ მინამლეს ქინაქინით და აკრიხინით, მაგრამ აქ ისევ მომიგონა ცეებამ, თუმცა ნელ ფორმაში. ერთი სიტყვით საქართველოდან აქ ჩამომყვა. ულვაშები, სურავანდი და ცეება.

ვორკუტა არის მდინარე პეჩორას შესართავის მახლობლად, ყინულოვან ოკეანესთან სულ ახლოს 150 კმ. დაშორებული (Карские ворота) აქედან პაპანინის ცნობილ ბანაკამდე არც თუ დიდი მანძილია. ასე ჩრდილოეთით მე არასოდეს არ ყოფილვარ.

ჩემმა მტრებმა ალბათ იციან ჩემი გეოგრაფიული ცოდნა და უნდათ უფრო კარგად და ღრმად შემასწავლონ ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე — სხვადასხვა მხრიდან მიდგომით, ძირფესვიანად, ამაზე შემდეგ მოგნერთ.

ჩე გზადაგზა გწერდით ბაქოდან, კიროვიდან, არ ვიცი მიიღეთ [illegible] ბარათები — თუ არა.

ეხლა აქაური პირობები — ჩემი მუშაობის შესახებ: სად ვიქნები არ ვიცი, სპეციალობაზე თუ საერთოდ სამუშაოზე. ერთადერთი ეს ვიცი, ჯერჯერობით არაფერი საიმედოა და ყველაფერი მოსალოდნელია უფრო ავი და მძიმე. კვების მხრივ, აბა, რა მოგწეროთ. დრო და დრო ხალხს საავადმყოფოში ათავსებენ და მის ფიზიკურ „დამჭლევებას" გაძლიერებული კვებით დროებით ასალბუნებენ. ბევრი იხოცება, განსაკუთრებით ცუდია ბოსტნეულის უქონლობა, აქ ერთი-ორი ქართველი შემხვდა. ჩემი ძველი ნაცნობების შესახებ კი არაფერი ვიცი, ან მათ რას ერჩოდენ რა საქმე შეუთხზეს. უპატრონოდ ვიყავით, კარგი პატრონი არ გვყავდა არცერთს, გაგვწირეს. მანდ რა ამბავია მომწერეთ — დაწვრილებით და ყველაფერი. რა არის ახალი? განსაკუთრებით მწერლობაში, უსათუოდ გამომიგზავნეთ წიგნები — ბანდეროლით. ჯერ გაზეთები და „მნათობები", უბრალო წიგნებიც სცადეთ. ამ საკითხზე მერე უფრო დაწვრილებით მოგწერთ. ჯერ მეც არ ვიცი კარგად აქაური წესი.

აქ საერთოდ ძალიან ცოტა წიგნებია და ვგონებ საინტერესოც. ამანათები კი უფრო წესიერად მოდის. ფულის საქმე ასეა: მოსული თანხიდან ჩემი განცხადების საფუძველზე იძლევიან ხელზე თუმანს, ამაზე მეტი კი მხოლოდ ანგარიშში ჩაირიცხება, ჩემთვის უსარგებლო იქნება. შეიძლება თვით ამანათში გამოეწყოს — სარეცხის საპონი მჭირდება მაგალითად, აბა თქვენ იცით. მომაშველეთ რაიმე ვიტამინი, განსაკუთრებით აქ საჭიროა ლიმონი ან ლიმონის სიმჟავე. რაიმე მჟავე ექსტრაქტი, ხახვი-ნიორი, ჩაი, ტკბილეულობა და სხვა. ამ მხრივ თქვენ უფრო იცით. ტანისამოსი არაფერი არ მინდა. რაც ნამოვიღე საკვირველია ყველაფერი შემრჩა. წარმოიდგინეთ რა ხალხში ვარ, მე ერთადერთი კაცი ვიყავი, ვისაც ტანისამოსი შემრჩა, ვნახოთ აქ რას მიზამენ. ძალიან მძიმე გარემოცვაში მოვხვდი, უამრავი თავზეხელაღებული ქურდები და რეციდივისტებია. საერთოდ, თუ ვინმეს მოუხდება ჩემდაგვარად მოგზაურობა, რასაც ზედ არ ჩაიცვამს სხვა არაფერი არ ნამოიღოს, რადგან ყველაფერს დაკარგავს, ან გზაში გადაჰყრის, ჩემი მისამართია:

Коми АССР гор. Воркута. Почтовый ящик Л/к № 223/50.

გამომიგზავნეთ კონვერტები, საწერი ქაღალდი და რვეულები, ფანქრები და კალმები, აქ არაფერი არ იშოვება. საერთოდ აქ ახლოში თავისუფალ მოსახლეობას სრულიად ვერ ეხვდებით და ვგონებ არც არის. კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომიგზავნეთ ქინაქინა ან აკრიხინი, თუ იშოვნება მანდ.

— სად არის ჩემი ნაწერები?

თუ მიიღეთ მინდობილობა რომელიც მე ციხეში დავტოვე და თუ გამოგადგათ რამეში?

ყველაფერი მომწერეთ! ჯანმრთელობით როგორ ხართ!

გამომიგზავნეთ მე რომ მქონდა სამოგზაურო ქვაბი „სამთო სასურსათო", აქ არავითარი ჭურჭელი არ იშოვნება. საქონელივით ვჭამთ. ტანსაცმელი ჯერ არაფერი მინდა და არც გამომიგზავნოთ.

წერილების წერა შეიძლება ქართულად, ეს უკეთესია. აბა დანვრილებით ველი თქვენგან ცნობას — მომწერეთ ყველაფერი თბილისის და თქვენი ცხოვრების შესახებ.

კარგად ჯანმრთელად იყავით. მოუარეთ დედას და თქვენ თავს.

ყველას დიდი მოკითხვა და კეთილი სურვილები.

დაწყნარდით, მელოდეთ.

გკოცნით, გეხვევით,
თქვენი დაკარგული ძმა
ლევანი.

დედის სახელზე გამოგზავნილი უკონვერტო სამკუთხა ბარათი, კიდევ კარგი, რომ ჩვენამდე მოვიდა. მან ცრემლიანი სიხარული მოგვიტანა. ძალიან გვეცოდებოდა ჩვენი საწყალი, დაკარგული ძმა, როგორ ცუდად ტრიალებს მისი ბედის ბორბალი, ულმობლად ტანჯავს და აწვალებს.

— უშორეს ადგილში მოხვდა ჩრდილოეთ ოკეანესთან ახლოს, სიცივეში როგორ უნდა გაძლოს თავის მოყინული ფეხებით. — ვნუხდით ყველა. უფრო მეტი სადარდებელი კი მისმა ავადმყოფობამ გაგვიჩინა. ცხადია ლევანი დაუძლურდა, მის ჯანმრთელობაზე მეტად იმოქმედა თბილისის შინგანი ციხის რეჟიმმა, იქ ნვალებამ, როგორც სულიერად ასევე მორალურად და ფიზიკურად დაასუსტა. ან რა კვება ჰქონდა 7-8 თვის განმავლობაში? ჩვენგან გადაცემას არ ღებულობდნენ და აბა იქ რას აჭმევდნენ, თვითონ განსაჯეთ.

საწყალი ლევანი! ცხოვრებაში როგორი ძლიერი პარადოქსებით განვლო ხანმოკლე ცხოვრება, ლაღი ახალგაზრდობა, უცებ საშინელი პირობები — დაპატიმრება, ტანჯვა-წვალება, გადასახლება სოლოვკებში, იქედან თავის დაღწევა. მაგრამ ჩეკას მუდმივი კონტროლი, თავისუფლებისათვის თავდადება — ისევ სიმძიმე და სიმწარე, მეორედ გადასახლება ნარიმში უფრო მძიმე და მკაცრი — დაბრუნება, მწერლობაში, დრამატურგიაში გალაღება, საუკეთესო ხანა, დიდი პოპულარობა, შემდგომში ასეთი გამარჯვების და სიხარულის მაინც განახევრება ჯაბუშის აკიდების გამო და აი ისევ გრძელი და ძძიმე გზა, ისევ უფსკრულამდე დაცემა.

ბინა ბოლოს და ბოლოს აღარ წაგვართვეს, გასახლების სიიდანაც ამოგვიღეს. ლევანის ნაწერების და არქივების ბედი კი ასე გადაწყდა. შინსახკომში დიდ თანამდებობაზე გენერალი რუხაძე დაინიშნა. იგი მოქმედი გენერალი იყო და დიდ სამამულო ომში, გენერალ კონსტანტინე ლესელიძესთან შემთხვევით შემხვდა. მე ეს გავიხსენე, დიდი, მორიდებითა და კრთომით მასთან შეხვედრის განცხადება შევიტანე. გენერალმა მიმილო, მე გავახსენე ჩემი თავი, მერე დახმარება ვთხოვე როგორც ქართველ პატრიოტს, ლევანის ნაწერები შინ დაეტოვებინათ და არ გაენადგურებინათ. იგი დამპირდა დახმარებას. ერთ დღეს მთელი ლევანის ნაწარებით მანქანა გაავსეს და შინსახკომში წაიღეს. მე საშინლად აღელვებულმა და შეშინებულმა მეორე დღეს ისევ გენერალს მივაკითხე. მან დამანყნარა და ჩემდა გასაკვირველად დიდი საიდუმლოება მითხრა. — ლევანის ნაწერები არ დაიკარგება. ის რომ დაბრუნდება მოიკითხოს მწერალთა კავშირის სარდაფებში, იქ გადავმალეთ, არავინ იცის ჩემსა და იქ მომუშავე ქალის მეტმა. ეს დიდი საიდუმლოებაა და არავინ არ უნდა იცოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე მძიმე ხასიათს მიიღებს. წადით და მშვიდად იყავით. ვფიქრობ. კარგი საქმე გავაკეთეთ. მე ძალიან ორჭოფული მადლობა გადავუხადე და წამოვედი. სახლში რომ ვთქვი, არავინ დაიჯერა. რამდენიმე ხნის შემდეგ თინამ ნახა ის ქალბატონი, რომელმაც დაუდასტურა ყველაფერი. მას ნამდვილად ებარა ლევანის არქივი, ძალიან შეშინებული იყო და დაიფიცა, ეს აქ არავინ იცის და არც უნდა იცოდეს. ისინი შეთანხმდნენ და მართლაც ლევანის ჩამოსვლამდე არავინ იცოდა მწერალთა კავშირის სარდაფებში ლევანის არქივის არსებობის ამბავი. ლევანმა განთავისუფლების 10 წლის შემდეგ მიაკითხა თავის ნაწერებს და ყველაფერი შინ წამოიღო.

ლევანს სასწრაფოდ გავუზგავნეთ წერილები, ბანდეროლი გაზეთებით. ამასთან სურსათი და ფოსტით ფული. ერთი თვის ღელვის შემდეგ კვლავ ლევანის წერილი მოვიდა.

ჩემო კარგებო!

ეს უკვე მეხუთე წერილია, მაგრამ თქვენგან პასუხი ჯერაც არ მოსულა. ძალიან მაწუხებს ეს გარემოება, როგორ ხართ? რა ბედი ეწია ბინას და ჩემს ნაწერებს? მომწერეთ ყველაფერი დანვრილებით. ეხლა ჩემს შესახებ. რადგან არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი წინანდელი ბარათები მიღებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქვთ, მოკლეთ ყველაფერს გწერთ თავიდან.

ვიმყოფები — ვორკუტაში — ეს ადგილი მდებარეობს ტუნდრაში პოლარულ ხაზს იქით. ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანიდან 150 კმ დაცილებით. აქ რკინიგზის გაყვანა ახლახან დამთავრებულა. უმტიმეს ტუნდრის პირობებში უმოწყალოდ ამუშავებენ პატიმრებს. ათასობით ადამიანის სიცოცხლე ჩაიფერფლა და ჩაიყინა. აქ ასე ამბობენ ყოველი შპალა ადამიანის ძვლებით არის გამაგრებულიო.

ამ საშინელი ტუნდრის სიღრმეში უდიდესი სიმდიდრეა. ქვანახშირის საბადოები და მრავალი მაღარო.

ამ საზარელ კრიახ ადგილზე მეფე ნიკოლოზს უთქვამს: იქ, სადაც ჩიტები ვერ ბუდობენ, ადამიანიც ვერ გაძლებს ეს გასაჭირიაო.

სტალინმა კი პირიქით, აქ კონცენტრაციული ბანაკები გახსნა და შემორეკა არა მარტო პოლიტიკური პატიმრები, არამედ ქურდები, რეციდივისტები და მკვლელებიც.

გადასახლება და ციხე ის რა დასჯაა თუ დამნაშავეებმა მორჯულებაში და გამოსწორებაში არ ნახეს დიდი გაჭირვება და წვალებაო. მაშინ დააფასებენ ნესწყობილებასო. თუ ვერ გასძლებენ, დაუნანებლად ადვილად ჩამოეწერებიანო, ომის შემდეგ ხომ საჭიროა დანგრეული სახელმწიფოს და ქალაქების აღდგენა, ამისათვის სხვა ბევრთან ერთად აუცილებელია ბევრი ქვანახშირი და უფასო მუშა ხელი. სწორედ ეს არის ვორკუტაში გამეფებული. უამრავი ქვანახშირი. ურიცხვი პატიმრები — უფასო მუშა-ხელი. მძიმე ყოფა და არაადამიანური შრომის პირობები.

აქ შორიახლოს მოსჩანს ურალის ქედის ჩრდილოეთ ბოლო ნანილი — და მეტი არაფერი. არც ერთი ხე, თოვლი, თოვლი და კიდევ თოვლი. საოცარი ყინვებია — ქარბუქი. 40-50°, ხანდისხან მეტიც, დიდი ქარბუქის დროს ბარაკიდან ბარაკში გადასვლა ჭირს და მოძრაობა თვით შემოფარგლულ ზონაშიაც აღარ შეიძლება. ასე ჩრდილოეთით ძე ჯერ არ ვყოფილვარ. აქაურ ყოფაზე და ცხოვრებაზე ვერ მოგწერთ ისე მძიმეა. აქ მარტო ეს არის კარგი და ჩემთვის მნიშვნელოვანიც, რომ წერილების და ამანათების გაგზავნა განუსაზღვრელია, შეიძლება ნიგნების გამოგზავნაც, გაზეთების გამოწერაც ან გამოგზავნა ბანდეროლით. ასე რომ თქვენი იმედი მაქვს, ნუ ჩამომწყვიტავთ საქართველოს. ქართული ახალი გამოცემანი უსათუოდ გამომიგზავნეთ, როგორც ქართული ისე რუსული. ისიც გაითვალისწინეთ, რომ აქ კლასიკური ტუნდრაა. ყოველმხრივ. და არაფრისაგან არაფერი არ [illegible]

როდესაც თქვენგან მივიღებ ბარათს — მაშინ უფრო დანვრილებით და დალაგებით მოგნერთ ყველაფერს.

მე ძალიან ვნუხვარ, რომ ისევ იძულებული ვარ თქვენ მოგმართოთ დახმარებისათვის, გამომიგზავნოთ საკვები და ფული. ვიცი, რომ თქვენც გიჭირთ, გამომცემლობიდან ჩემი მისაღები ფული კი ალბათ დაიკარგა.

აქ შემხვდა რამოდენიმე ქართველი. ჩემი ძველი ნაცნობები არ არიან. ქართველები ერთმანეთს ვეხმარებით, ეს დიდი შეღავათია. ძალიან მაინტერესებს მანდაური ცხოვრება მომწერეთ დანვრილებით. ყოველთვის გულს მიკლავს ჩემი დანაშაულის არსი. — მე სამშობლოს მოღალატე? ჩემი სამშობლო საქართველოა, მისი მოღალატე არასდროს არ ვყოფილვარ და არ ვიქნები, ჩემი ცხოვრების უკანასკნელ დღემდე. ნყობის კი რა მოგახსენოთ. მომავლის იმედით ვცხოვრობ. ისე მე სიცოცხლისმოყვარე კაცი, ისე გავმწარდი. სიცოცხლე არაფრად მიღირს.

ალა გულითადი მოკითხვა ყველას
გკოცნით, კარგად იყავით ლევანი.
22/VI-48 ნ.

ჩემო კარგებო!

ბოლოს მივიღე თქვენგან ნერილებიც. ასე რომ ჩვენი ოჯახის ამბავი ასე თუ ისე ვიცი.

მე სამივე (თამარის, მზიასი ერთად და თინასი ცალკე) ნერილი ერთად გადმომცეს 20/VIII-48 ნ.

რომ იცოდეთ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აქ მშობლიურ მხარიდან ნერილების მიღებას — ალბათ ყოველდღე მომწერთ. თინა რით იყო ავად? რაშია საქმე? დანვრილებით გამაგებინეთ. თამრიკო როგორ არის, რაღა ყველაფერი ერთად დაემთხვა ჩვენს ოჯახს? ყოჩაღ რომ თქვენ მანდ არ დაიბენით და სულიერად არ დაეცით. ეს მე ნამდვილად გამათავებდა.

თამარი — სად დაიწყებს მუშაობას? ან სად გააწესეს? საქართველოდან ყოველშემთხვევაში ნურსად წახვალ. აქ ჩამოსვლაზე ნუ იფიქრებთ ჩემის აზრით ეს სრულიად არ არის საჭირო. უჩემოდ ეს საკითხი არ გადაწყვიტოთ, არის მრავალი მიზეზი. ვფიქრობ აქ ვერ შეეხვედებით და გულდაწყვეტა უფრო დიდი იქნება.

მზია მაშ მთამსვლელი გამხდარხარ. გამეხარდა. მე იმ ადგილებში ყველგან ნამყოფი ვარ (გარდა ნიკოლაევის მწვერვალისა). ნარმოდგენილი მაქვს რამდენ სიამოვნებას იგრძნობდი.

ალექსანდრა ჯაფარიძეს ჩემს მაგივრად მიულოცე განდეგილის ქვაბულის აღმოჩენა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად მაინტერესებს და ამ აღმოჩენის შესახებ მოუთმენლად ველი გაზეთებს ან შენ დაწვრილებით წერილს. რა შესანიშნავი თემაა გარდა სხვა ყველაფრისა: ქალმა დაამხო ძველი განდეგილი ბერი და ისევ ქალმავე აღმოაჩინა იგი — ალბათ თავის ძლიერების — ხელმეორედ დასადასტურებლად! ეჰ, იქნებ ოდესმე დავწერო, ჯერ კი ხელები შემოკლებული...

ბინის და ხელნაწერების ბედი მახარებს. საერთოდ თუ წაიღეს რამე სახლიდან? თუ რამე საქმისათვის დაგჭირდებათ იქ მისვლა მალანიასთან დარჩა ჩემი საველე ჩანთა ჩანაწერების რვეულით. ჯავახეთის შესახებ — ისიც განუხორციელებელი წიგნია — „ახალი სამცხე". რომელიც მე „უკალმოდ და უქაღალდოდ" აქ დაწერილი მაქვს და მხოლოდ სამუალება და ქაღალდია საჭირო, რომ ხორცი შევასხა. ვნანობ თუ ის ჩანაწერი დამეკარგა. მაგრამ ჯერჯერობით ხომ კალამიც დაკარგული მაქვს.

ჩემს შესახებ: მე ჯერ კიდევ საავადმყოფოში ვიმყოფები, მაგრამ კარგადა ვარ, დავისვენე, მოვჯობინდი, ძველებურ ჯანზე არა ვარ, არც ისე ვარ, რომ მტერს გაუხარდეს.

აქ შემხვდა ქართველები ჩემზე უფრო ძველი მოსულები ამ „სანეტარო ადგილში", ისინი მეხმარებიან და ყურადღებას მაქცევენ. განსაკუთრებით ნიკოლოზ მღებრიშვილი (გორელია) მისი და ალბათ შემოიველის თქვენთან.

კიდევ რამოდენიმე ხანს ვიქნებით სტაციონარში — რადგან ეს ყველაზე უმჯობესი სასურველი ადგილია აქაურ პირობებში. მერმე გაზაფხულიც დაიწყება და სად არ უნდა მომიხდეს მუშაობა აღარ მეშინია. ეხლა კი რომ იცოდეთ რა ყინვებია?! მე რომ გამიკვირდება რაღა უნდა იყვეს?! მაინც ქარბუქია საშინელი. (пурга). ჩვენი მეზობელი — „ჩრდილოეთ პოლუსი" უხვად და უმოწყალოდ გვიბერავს, ხოლო მოტვლეპილ ტუნდრაში ქარბუქს არაფერი არ ეღობება.

ვორკუტა მცირე ქალაქია — უფრო სწორედ კი დიდი ბანაკია. ჩვენი განყოფილება ე. ი. შემოფარგლული ზონა (მავთულხლართებით) ქალაქიდან ორიოდე კილომეტრზე დაშორებული. ეს საალმშენებლო პუნქტია. ჩვენ მახლობლად კი მაღაროებია. ვხედავ კიდეც მათ შენობებს და ნახშირის გორაკებს. აქ თავისუფალი მოსახლეობა არ ცხოვრობს გარდა თვით ვორკუტისა, სადაც არიან თავისუფალი მოსამსახურენი ან ადგილგადანაცვლებული ხალხი.

ჩვენს განყოფილებაში არც სამკითხველოა და არც რადიო, გაზეთებიც ძლივს იშოვება, ამ მხრივ ჩამორჩენილი განყოფილებაა (შახტების განყოფილებებში ამბობენ. რომ ბევრად უმჯობესია). ასე, რომ წიგნებიც, გაზეთები და რაც მთავარია საწერ-ქაღალდიც მანდედან უნდა მომეხმაროთ. იცოდეთ რომ აქ მყარი არაფერი არ არის. დღეს საავადმყოფოში შეიძლება იწვეს კაცი— ხვალ კი მძიმე, საერთო სამუშაოზე მოხვდეს. სპეციალისტებიც ბევრი მინახავს მძიმე სამუშაოზე და ჩემისთანა „ინვალიდებიც". მე სად ვიმუშავებ, ან რა ხელობას მოვკიდებ ხელს — ჯერ არ ვიცი, მაგრამ არაუშავს რა, როგორც გწერდით წერილები და ამანათები განუსაზღვრელია — და არც თუ იგვიანებენ. სხვათა შორის ამანათები უფრო სწრაფად მოდის. რადგან ცენზურა არ აგვიანებს. აქ ჩვენ თვალწინ ხსნიან გასასინჯავად. გამოგზავნა შეიძლება ყველაფრისა: სურსათ-სანოვაგე, როგორც ნედლი, აგრეთვე კონსერვირებული და სამოსი. წიგნები, ჟურნალ-გაზეთები უფრო საჭიროა, ქონეული, შაქრეული და ხილეული, ჩაი, ბოსტნეული. რადგან აქ ვერაფერს ვერ ვშოულობთ, ხოლო რასაც გვაძლევენ ყოვლად უვარგისი და ამასთან ერთად მცირეა. ამანათის წონა რამდენადაც მე ვიცი არ უნდა აღემატებოდეს 8 კილოგრამს. ტანსაცმელიდან მე არაფერი არ მინდა. გამომიგზავნეთ თუ რაიმე ახალი წიგნი დაიბეჭდა.

ეხლა კი წიგნები, წიგნები და ქაღალდები! საქართველოს ამბავს ნუ მომწყვიტავთ, რადგან მხოლოდ მაგითი ვცოცხლობ და ვსულდგმულობ.

ვკოცნი დედას, სანდროს, დევის და თქვენ ყველას.

როგორ არიან ნათესავ-ნაცნობები.

სად გადავიდა სამუშაოდ თათუშას ქმარი? ან ვინ არის მის მაგიერ.

მომწერეთ მთამსვლელების ამბავი.

მოკითხვა გადაეცით მწერალთა კავშირის ამხანაგებს. აბა ვთავავ წერილს, უკვე თენდება. აქ ეხლა მეტად ადრე თენდება. ქარბუქებში გამოძვრება ხოლმე სითეთრე, ხოლო თუ მოწმენდილია — დაბალი მზის სხივები თვალს სჭრის... თოვლის მიერ აქ ყველაფერი დამონებულია, მხოლოდ ტუნდრაა გამეფებული ორგვლივ. მძიმე სიტყვა ყოფილა ტუნდრა!

გავჭაღარავდით აქ ყველა «Батя»-ს და «Старик»-ს, ვინ «Дедушка»-ს მეძახის რაც ფრიად მაცინებს, მაგრამ მართალია ულვაშები მთლიანად გამითეთრდა, წვერებზე ხომ აღარას ვიტყვი. თმა კი საერთოდ გაკრეჭილი გვაქვს არ გვიყენებენ.

ამ წერილს როდესაც მიიღებთ — მანდ ხომ გულდაგულ ზაფხული იქნება გამეფებული. აქ კი ჯერ „ბარეორი" ყინვა დაჰკრავს და ქარბუქი გადაგვივლის. თუმცა ჰაერს და გარემოს შეეტყო — ისეთი საოცარი ყი-

ნვები 500 აღარ არის. უეცრივ ჩამოთბება ხოლმე „თოვლი ჩაშავდა", ზოგან გადაიხვეტა და ტუნდრის სიშავე უარესად გამოჩნდა. სჩანს ისევ ზამთარი სჯობია ტუნდრაში. იქნებ ზაფხული უკეთესი დარჩეს... ვნახოთ. მე ვეჩვევი გარემოს, რა ვქნა სხვა გზა არა მაქვს. ვწუხვარ, რომ ყოფის პირობები იმდენად მძიმეა, რომ ლიტერატურული მუშაობის ნარმართვა მეტად მიჭირს, ეს კი ჩემი სასიცოცხლო პირობაა, ვცდილობ და ვეცდები მომავალშიც — ეჰ უამრავი მაქვს საწერი. მოუთმენლად ველი ქალალდს და წიგნებს. იმედს არ ვკარგავ რომ კიდევ დავწერ და არც თუ ცოტას.

ამანათი, რომ გავხსენი ჩემი თავი საქართველოში მეგონა, ასე ხშირხშირად ამანათების გამოგზავნას თქვენ ვერ შესძლებთ. თვეში რომ ერთი მოახერხოთ და გამომიგზავნოთ, ისიც დიდია და საკმარისიც. მე ეხლა კარგად ვარ და ნურც თქვენ გაღარიბდებით, ამდენი ხარჯით, რომელიც მე თქვენ მოგახვიეთ ჩემდა უნებურად. ყველაფრისათვის ისედაც დიდი მადლობელი ვარ. გულითადი მოკითხვა ყველას! ვკოცნი დედას!

მომწერეთ, მომწერეთ მე ყველაფერი მაინტერესებს რაც მანდ ხდება და როგორ ცხოვრობთ, ამ მხრივ საოცარი სიხარბე დამჩემდა.

ყველას მოკითხვა გკოცნით.

ლევანი.

ცოტა ხნის შემდეგ ლევანისგან რამდენიმე ღია ბარათი მივიღეთ. ლევანი გვატყობინებდა ამანათებისა და ბანდეროლების მიღებას. მერე წერილებიც მივიღეთ. ასე, რომ მიმოწერა მონესრიგდა, ამით მცირედი შეღავათი მოგვეცა ჩვენცა და ლევანსაც. თითქმის ყოველ დღე ვუგზავნიდით გაზეთებს, წიგნებს, წერილებს, კვირა ისე არ გადიოდა, რომ ამანათი არ გაგვეგზავნა და ფოსტით ფული. იმის შემდეგ, ლევანმა საპონზე ასე ორჭოფლურად რომ მოგვწერა, ჩვენ მივუხვდით, 25 მანეთიანს შევაცურებდით ხოლმე სარეცხის საპნის სილრმეში და გარედან ისე ოსტატურად გავალამაზებდით, რომ საპონზე ჩვენი საიდუმლოების არავითარი კვალი არ რჩებოდა. პირველ ხანებში მაინც ვღელავდით, ამის გამოვლინებას ლევანისთვის არ ევნო, მაგრამ წლების მანძილზე ეს მეთოდი მეტად უშიშარი და მყარი აღმოჩნდა.

ჩემო კარგებო!

26/VII — 48 .წ

თქვენი გამოგზავნილი ნერილები და ამანათები წესიერად მივიღე, განსაკუთრებით ძვირფასი გამოდგა საპონი... სულ ბეწვზე მომისწრო და წესიერათაც მაგრამ ამ მხრივ ცოტახანით უზრუნველყოფილი ვარ. ფოსტით გამოგზავნილი ფული ჯერ არ მიმიღია. ვმუშაობ აქაურ აფთიაქში. ისევ ახალი სპეციალობით, თუმცა ხშირად ვეხმარები ანგარიშსწორებაშიც, ასე რომ შემდგომში მედიკამენტები არ დამჭირდება, არც ვიტამინები.

ეხლა ბანდეროლის მოლოდინში ვარ, ველი წიგნებს, გაზეთებს და ქაღალდს — იქნებ დავწერო რამე. ეჰ რამდენი შეკითხვა და რამდენი გაგება მინდა, მაგრამ... საიდან დავიწყო არ ვიცი, ვინ არის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე — მდივანი? ჩემ ხელნაწერებზე რომ მწერდით თუ მიაკითხეთ? მინდობილობა გამოგადგათ თუ არა — ახლა ალბათ ყველგან უარი — დასდევს ჩემს გვარს... არაფერია, მთავარია თქვენ კარგად და ჯანმრთელად იყავით. მე კი ვფიქრობ, ჩემი „ბედის" იმედი მაქვს... ახლო მომავალში შეტრიალდება. როდისმე — სიმართლემ, ხომ უნდა საბოლოოდ გაიმარჯვოს. ვნანობ რამდენი განსახორციელებელი წიგნები დამრჩა, მაგრამ ვეცდები არ დავიტოვო.

ერთს გთხოვთ კიდევ, ჩემ წერილში დასმულ კითხვებს უპასუხოდ ნუ დასტოვებთ.

მოკითხვა, შორეული სალამი ყველას — შინაურებსა და სხვათაც. მე განგებ სახელებს არ ჩამოვთვლი ხოლმე. არცა ვწერ სხვებს. ასე უმჯობესია.

ძალიან ვნანობ და განვიცდი სხვა ჩემსავით შორს წასულთა უბედობას, მაგრამ ან რას მოვეხმარები, ან რასა ვიქ?! ვერ გამიგია ვის? ან რად დასჭირდათ ყოველივე ეს?! უდანაშაულო ხალხის დასჯა-წამება, ეს ხომ ბარბაროსობაა, თუმცა...

მოიწერეთ უფრო დაწვრილებით მათ შესახებ.

წიგნებს კიდევ ველი თქვენგან, მხოლოდ მათი მეოხებით ვცხოვრობ და ვცოცხლობ.

აქ უამრავი ცალკეული ბანაკებია დახურული და სარეჟიმო, მართალია იქ რა ხდება არავინ ვიცით, მაგრამ ყველგან ისეთი მძიმე ყოფა და უმძიმესი შრომაა გამეფებული, ალბა იქ რა იქნება? ალბათ საშინელება. ეს ყველასათვის ასეა ცნობილი. — ბევრი ვერ უძლებს და ასე უმოწყალოდ იღუპება. კატორღელებიც აქ არიან ჩვენთან ერთად. ჩვენ შორის განსხვავება წაშლილია. ჩვენც კატორღელებათ ვითვლებით ნომრიანები.

გკოცნით და გისურვებთ მრავალს და მრავალს.

ლევანი.

ჩემო კარგებო ვსარგებლობ შემთხვევით და კვლავ გწერთ. ხშირად გწერთ, სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გწერთ, გულს ვიოხებ. თქვენს სამყაროში გადმოვდივარ და აქაურ ანბყოს ვივიწყებ, თქვენ კი იწერებით ორი თვეა წერილი არ არის. თქვენი ბარათები და ამანათები მომდის, გასაკვირველად სავსებით წესიერად, მთელი თავისი შინაარსით და მოცულობით.

მე ჯერ იქვე ვარ სამუშაოზეც (აფთიაქში) და ადგილსამყოფელის მხრივაც.

აქაურ მძიმე ცხოვრებას ვგონებ შევეგუე, არა ვერ მივეჩვიე. მხოლოდ შევეგუე. მადლობა ყველაფრისათვის, განსაკუთრებით წიგნებისათვის. რომ გავერთობი ხოლმე ქართულ წიგნებით, თავი საქართველოში მგონია. ამის წინად გწერდით წიგნების სიას, თუ მიიღეთ. აბა კარგად იყავით, სულ კარგად.

გკოცნით
თქვენი ლევანი
8/IX — 48 წ.

თინა! დღეს მივიღე შენი წერილი. ამ კვირაში კიდევ მიღებული მაქვს თამრიკოს დაწერილი ბარათი და ღია წერილი (ახალდაბიდან), ასევე მიღებული მაქვს სავსებით წესიერად 2 ამანათი და 2 ბანდეროლი. მხოლოდ ბანდეროლში ლიტერატურული გაზეთები აღარ აღმოჩნდა (სიაში კი ეწერა). თქვენი წერილებიც წესიერად მომდის, ესაა აქედან გამოგზავნილი ჩემი ბარათები ივვიანებს.

— როდესაც ქართულ წიგნებსა და გაზეთებს ვკითხულობ მაშინ ვცოცხლობ — სხვა დანარჩენი დრო კი თითქოს ძილ-ბურანში მიიზლაზნება. ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ, ვეგუები, უფრო სწორედ უნდა შევეგუო — მით უფრო უკვე ზამთარში შევდგეთ ფეხი. წყალს უკვე ყინავს, ურალი კარგახანია დათოვლილია — თქვენთვან — ალბათ ეს ამბავი საოცრად ურწმუნოდ ჟღერს.

ხშირად, ძალიან ხშირად შევნატრი იმ თეთრ დათვს — რომელიც აქედან არის წამოყვანილი და მანდ თბილისის ზოოლოგიურ ბაღში სიცხისაგან სული ამოსდის! არც მე მადგია კარგი დღე — მის სამშობლოში.

— მაშ ციხისძირში იყავი! მზია! შესანიშნავი ადგილია, რომ მომაგონდება ზღაპარი მგონია და საერთოდ მე ახლა აქ მხოლოდ წარსულის ზღაპრებით ვცხოვრობ. წიგნები — ქართული წიგნები — ვიცი ძვირია — თქვენც ვერა ხართ დალხენილ, მაგრამ ყველაფრის ხარჯზე — წიგნებს ნუ მომაკლებთ. მე მეტი არაფერი დამრჩენია!

1. დავით აღმაშენებელი I-II ტომი გამომიგზავნეთ.

2. ამბავი ბესიკ გაბაშვილისა, ვგონებ უკვე სამი ტომია.

3. საქართველოს ისტორია (ჯანაშიასი, ბერძენიშვილის და ჯავახიშვილის) ყველაფერი ლებლად მჭირდება.

4. „ჯავახეთი" ეტნოგრაფიული ნარკვევები მაკალათიასი.

მე მქონდა ჩემს წიგნებში, აუცილებლად ნახეთ.

დანარჩენი თქვენ იცით.

ლიტერატურული გაზეთის გამონერისათვის დიდი, დიდი მადლობა.

ტანისამოსი არაფერი არ მჭირდება, აქაც არაფერი გამომირთმევია.

— ოღონდ თუ შესძლოთ შალის ხელთათმანები და ჩუსტები გამომიგზავნეთ.

აბა კარგად იყავით, კარგად და თქვენი ამბავი ხშირხშირად მომწერეთ.

ველი მზიას წერილს როგორ მოიზაფხულა, მოკითხვა ყველას ვისაც ვახსოვარ. თუმცა კარგად ვიცი, რომ დავიწყებას ხსოვნაზე უფრო დიდი ძალა აქვს.

თქვენი ლევანი.
ვორკუტა მისამართი იგივე.

15/XII
ჩემო კარგებო!

რამდენ ქორწილებსა და ნათლობებს ჩამოვრჩი. აქ ძველებურად მიიზლაზნება ვადა. ზამთარი საოცრად თბილი გამოდგა ჯერჯერობით, აქეთ ტუნდრა გვწყალობს, მაგრამ წინ ბევრი ქარბუქები გველის, მეტად ბევრი, გარშემო, შინ და სულში.

წავიკითხე მყინვარწვერზე დიდ-ლაშქრობის შესახებ, მოხარული კარ, რომ მთამსველობა ისევ ვითარდება. მაინც ვითარდება და მწვერვალებს იპყრობს. მე მუდამ „მწვერვალების" მოტრფიალე ვიყავი და დავრჩები. მათთან საერთოს გარდა — პირადი სამადლობელოც მაქვს. სანუკვარი სრულიად თავისუფალი წუთები, მე მხოლოდ და მხოლოდ მთებში განმიცდია. ამ „ვადიდან" ალბათ ვერასოდეს ველარ ამოვალ, მაგრამ მთის ხილვას იმედით გულში ვატარებ.

ჩემს ცხოვრებაში ჩემს კისერზე იმდენი „ორომტრიალი" ამოგორდა და გადაიფარცხა, რომ მჯერა — სადმე ცისარტყელა მაინც დამხედავს. დღევანდელი ჩემი ცხოვრება კი „არც ჰოსა ჰგავს და არც არასა".

გკოცნით ლევანი.

1949. 3/I
ჩემო კარგებო!
ესეც ახალი წელი!

მოგილოცავთ! შორიდან მოგილოცავთ!

ისე შორიდან რომ არც კია სარწმუნო — ძნელი დასაჯერებელი, რომ აქაც და მანდაც ერთი და იგივე თარიღია!! ერთდაიგივე წელთაბრუნვა!?

გისურვებთ — ყველას ერთობლივ და სა-

თითაოდ — ბედს, კარგ ბედს, კეთილ ბედს, ასე და ასე...

ოჰ! რა ტკბილია თვალს რომ დავხუჭავ და მაქაურ დროის მაჯის ცემას შორიდან გა-ნაბ-ულად ვუსმენ. ადამიანურ სევდას გავი-ნაპირებ და ფიქრით მომავლისაკენ გავიტყო-რცნები.

ოცნება ხომ იმ მატარებელსა ჰგავს, რო-მელსაც ორთქლმავალი უკან აბია და წინ მიაქროლებს, უკან კი განვლილი ლიანდაგი რჩება და ორმაგად ბზინავს.

კეთილად მოვიგონოთ ღირსეულნი, სამ-შობლოს დედანი და მამანი, ის მოღვაწენი, რომლებიც ამ მიჯნამდე ვეღარ მოგვყვნენ! და ახალნლის სათვალავზე ჩვენ შორის აღარ აღმოჩნდნენ... გზაც დავულოცოთ ვინც ამის შემდეგ მოვა ცხოვრებაში, დე ბარაქიანი იყოს საქართველოს მომავალი, რომელიც ახალთაობის კვალს ჯერ ფეხშიშველა გაი-ტანს მერე კი განმტკიცებული მუხლით და მხარით გასწევს მძიმე ჭაპანს საბოლოო გა-მარჯვებამდე.

იგივე — მახლობლებს, კეთილმსურველებს — ნათესავ-მეგობრებს. ვისაც ვახსოვარ, ვი-საც რაიმედ უღირს ჩვენი სურვილი, მოლოცვა და კარგად ყოფნა.

სახელდებულ მოკითხვას კი კარგა ხანია თავი დავანებე... გადავეჩვიე. უფრო სწორედ გადამაჩვიეს, მაიძულეს.

ანალ წელიწადს ჩვენც „თითქოს" საქარ-თველოში ვიყავით ამანათებმა მე და კო-ლიაც (მედიკოს ძმა) ზედ სულზე 31/XII მოგვისწრო. ასე რომ ქართული „სუფრა" გავშალეთ და ამ ჩვენ სუფრას — გოზინა-ყიც არა ჰკლებია — კოლიამ მოადუღა (მის ამანათში თაფლი გამოჩნდა, ჩემში კი ნიგო-ზი)... მართალია ცოტა — დაგვეწვა. მაგრამ ვისაც გავასინჯეთ — ფრიად დიდი ქება-დიდებით აგვავსეს. ერთი სიტყვით ტკბილ-ქართულ ახალწელიწადი გავითენეთ, ისევ საქართველოს მადლით, თქვენი წყალობით.

ამანათები სულ წესიერად მოვიდა, რამაც ესოდენ გამაკვირვა.

სიამოვნებით ვკითხულობ „არგონავტიკას" და „ვეფა ფშაველას".

ხმელი ჩირი და ჩურჩხელები ხომ სავსე-ბით ავსებს აქაურ „ქართულ სურათს". აქ მრავალი უცხოელი და სხვადასხვა ტომია და ჩურჩხელას «Грузинская колбаса» დაარქვეს, ხოლო ხახვსა და ნიორს ნუღარ აგზავნით. რადგან აქ დუქანი გაგვიხსნეს და შიგ ასეთი რამ იშოვება.

ტანისამოსიდან არაფერი არ მინდა. ჯერ არ გამიცვეთია ან სად უნდა გავცვითო, სულ ტანზე მაცვია, რეცხვა იშვიათად არის, თუმცა თეთრმა ეხლა შავი ფერი მიიღო. არც ყეხსაცმელები მჭირდება რაც შეეხება თხოვნის მინერას. მეც, ასე ეფიქრობ, ჯერ დრო უნდა გავიდეს. [illegible] — [illegible] ბა შემსუბუქებას მომიტანს. ჩათვლების შე-სახებ კი უკვე გწერდით, არავითარი ჩათვ-ლები.

დღე-დღეა — ისეც უმზეო, ჩალამებული, ჩაყინული ქარბუქითა და მავთულხლართე-ბით ჩამოხუთული. ამ კვირია — კი ისეთმა სიცივემ შემოგვიტია, რომ რკინას აცრემ-ლებს — ნახევარ ასეულ გრადუსს გადააჭა-რბა... ვაი იმის ბრალი, ვისაც გარეთ უხდება გასვლა და მუშაობა. მე — პირადათ თბილ ადგილასა ვარ... ხოლო ჩემი მთამსვლელური „გუდანაბადი" — საძილე ტომარა — მეტად მშველის, ასე რომ კარგად ვარ. ჯანმრთელად.

საერთოდ მე დავრწმუნდი, რომ ქართვე-ლები მრავალი სხვა ტომზე უფრო გამძლე-ნი და ამტანები ყოფილან — თვით შორე-ულ ჩრდილოეთის პირობებში. მით უფრო მა-შინაც კი როდესაც მძიმე პირობების გამო ადამიანური ღირსებაც აქვთ შელახული. — სიამოვნებით ვკითხულობთ — გაზეთებში და რუსულ ჟურნალებში ქართველ მთამსვლელთა ასვლების შესახებ, მიხარია და თითქმის მა-თთან ვარ, როგორც ჩრდილი, მათი ასვლე-ბის მონაწილე და მათი სიხარულის თანამო-ზიარე.

მართალია, ეს უკვე ძველი ამბებია თქვენ-თვის. მაგრამ აქ „ქვეყნის კიდეებზე" — ყოველ მანძილს ჩვენთვის მნიშვნელობა და-კარგული აქვს... მათ შორის დროის მანძი-ლიც... საერთოდ... როგორც უცნაურობა აქ დროსა და მანძილის გარეშე ვცოცხლობთ! ვცხოვრობთ, ვადას ვთოხნით და ვცოხნით.

დევის და სხვა ბავშვებს გულითადი ახალი წლის მოლოცვა, ყველანი მახსოვს, ყველას ვიგონებ, ყველას შორეულად ვესიყვარულე-ბი. ვოცნებობ საქართველოზე და ოცნებაში იგი უფრო ლამაზი, უფრო სანდომი და უფ-რო მშობლიური მგონია, მაგრამ ამასთან ერთად გული მტკივა, როდემდის ასე შეგო-ჭილი და დამონებული ტუსაღი მძიმე გა-რემოცვაში უნდა იყვეს.

— ახალ ქართულ ლიტერატურაში ნუთუ არაფერი არ არის კარგი და ღირსშესანიშ-ნავი? გამომიგზავნეთ „ვეფხის ტყაოსანი" მცირეზომის გამოცემა. მანდ მქონდა მე ნუ-ცუბიძისეული. რუსული თარგმანიც გამო-მიგზავნეთ. სხვა ახალი ნიგნები არ დაგა-ვინყდეთ. თავს გაბეზრებთ ამით, მაგრამ რა-ვქნა ჩემთვის აქ ქართული ნიგნი — ქარ-თული მიწაა! და იქნებ მეტიც მიწაცაა და სულიც. ყველაფერი ნამდვილი ქართული უსაზღვროთ განსაკუთრებულად მიყვარს, იქნებ ამიტომაც ვისჯები.

თქვენი შორეული ძმა ლევანი.

კარგა ხანია მზე აღარ მიხახავს, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანვარში მზე უკვე უნდა გამოჩნდეს ცის-კიდურზე. ჯერ კი იმერპოლარული ღამეა. თქვენ მზეს გაუმარჯოს, საქართველოს მზეს, რომელიც მე შორეულ იმედათ მაქვს.

ლევანი

14/11 1949 წ.

სალამი ყველას!

ჩემო კარგებო!

კვლავ ახალ წელს გილოცავთ, შორიდან ახალწლიურ მრავალჟამიერს გეტყვით და გაიხარეთ, ყველას იმედიან გამარჯვებას გეტყვით, დროის სივრცეში გაცრილ მადლ-მარილიან სიტყვას გიგზავნით. ქართული სიტყვაც ხომ ჩვენი ახმაურებული, ენაამოდგმული მინა-წყალია. ჩემი სამშობლო მთელ კაცობრიობასთან ერთად კიდევ ერთი წლით უფრო ხნიერი გახდა, უფრო დაბრძენდა. ჩვენი მინა-წყალი ჩვენ ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი. დედა-ენას დიდ ბურჯს სამშობლოს დაგილოცავთ.

ეს უკვე მესამე „მოლოცვიანი" წერილია... მაგრამ ვაი თუ არცერთი სასიკეთოდ არ მოვიდა საქართველოში?

ღმერთმა ნუ ქნას. ყოველ შემთხვევაში მე ვოცნებობ გამარჯვებას.

— ვსარგებლობ და გწერთ — ხან მოკლედ, ხან ვრცლად... ხან დალაგებით, ხან კიდეც „უსწორ-მასწოროთ" — ისევე როგორიცაა ჩემი ცხოვრება.

1949 წელი... ვნახოთ — ეს წელი რაღა ახალბედს მოგვიტანს!

გისურვებთ მრავალს, კეთილს კარგს — თქვენცა და ყველას კეთილ მსურველებს და კეთილ ქართველებს. ესეც იცოდეთ — სალამი და სურვილი რაც უფრო შორეულია, მით უფრო ძლიერია და დიდია!

უკვე მალე სამი წელი შესრულდება, რაც მე აღარ ვარ თქვენს შორის. ამჟამად კი აღარ ვარ იქ, სადაც დავიბადე, სადაც ამიძგერდა გული და კალამი, სადაც სიკვდილი მიამებოდა... გუშინდელივით მახსოვს „იქ ცხოვრების" უკანასკნელი დღეები! სუსხი, აუგი ნგრევა, რომელიც ტყვილად მომწვდა ჩემი ცხოვრების შუა გზაზე და ისევ ყველაფერთან ერთად მხატვრულ შემოქმედებითი ოცნებები ჩამიფერფლა და ჩამომფარცხა. გული სევდით და ოხვრით ამივსო. ჩემი ცხოვრება არარაობად გახადა. საერთოდ ნგრევის მხრივ ჩემი ცხოვრება საოცრად ჰგავს იმ ხერთვისის ციხეს, რომლის ნანგრევების ძირშიაც მე დავტოვე ჩემი თავისუფლება.

დარჩა ბევრი სათქმელი თუ საწერი. დაინგრა ოცნება.

საერთოდ ჯავახეთი ჩემთვის ყოველთვის საბედისწერო დარჩა.

უსამშობლოდ ცხოვრება მიჭირს, [illegible] მხარე თავისებურად ღრმად მიყვარს. [illegible] შორეთში რუდუნებით ვზიდავ [illegible] ეს ყველაფერი წარსულია. თითქოს სხვის ცხოვრებიდან ამოღებული. მომავალზე უიმედოთ სიცოცხლეც არ მინდა.

ახალმა წელმა ბევრი ფიქრი და ოცნება მომიტანა. რა არ წარმომიდგა თვალნინ ჩემი სამშობლოს საკეთილდღეოდ, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა, რომლებსაც გვჭირდება დაცვა და ქომაგობა, თანაგრძნობა. ახალგაზრდებმა მომავალში უნდა ალადგინონ ჩვენი სამშობლოს პირვანდელი სახე — ბედნიერებისა, ამისათვის კი საჭიროა სწავლა და განსწავლულობა თანამედროვე მეცნიერების უმაღლეს დონეზე აყვანით, სადღეისოდ ახლა აქვს როგორც არასდროს ამას დიდი მნიშვნელობა და კიდევ ბევრი და ბევრი... ვერ ვნერ თვითონ განსაჯეთ.

ახლა აწმყოზე: კარგად ვარ! ჯანმრთელად! მიუხედავად მკაცრი ჰავისა და ქარბუქისა მე საქართველოს მზე დაკარგული.

ჩვენი ბანაკის ქუჩები (თუ ასე შეიძლება მათ ეწოდოთ) ასეა დაზვინული თოვლის გორებით, რომ „ბარაკებს" შორის თოვლში საძრომებს ვაკეთებთ ხოლმე. აქაური „ძველ მცხოვრებნი" კიდეც აქებენ ნლევანდელ ზამთრის მიმდინარეობას.

როგორც ვნერდით, ყველა ამანათები მიღებული მაქვს, მათ შორის უკანასკნელი ზედ ახალნლის წინა დღეს, ასე რომ ახალი წელიწადიც ქართული ნუგბარით გავითენეთ.

ჩვენ პატიმრები — ბევრში ბავშვებს ვგავართ, სულ ცოტა რამ გვახარებს და ასევე ცოტა გვაღონებს, გულს გვიკლავს. აქ ძველებურად სულ ძველებურად დახავსებულად ვცხოვრობთ.

„ქართული ისტორია" მიღებული მაქვს „არგოვნატიკაც" მივიღე.

ტანისამოსისეული არაფერი მჭირდება — თბილად ვარ. ველი ბანდეროლს, გაზეთებს... ქართულს, რუსულს, ლიტერატურულს და ასე და ასე.

გამომიგზავნეთ „ვეფხის ტყაოსანი". „ჯიბის მცირე გამოცემა" ქართულიცა და რუსულიც ორივე მანდა მაქვს ჩემს ნიგნებში. თუ გამოვიდა ქართული განმარტებითი ლექსიკონი, ისიც გამომიგზავნეთ.

საერთოდ ნუ მომწყვიტავთ ახალ ქართულ ღირსშესანიშნავ გამოცემებს. ჩემთვის ეს მეორე პატიმრობა იქნება. ჩემი ნაბეჭდი ნაწერები საერთოდ თუ შემოგრჩათ, სადმე რაგორშე გამომიგზავნეთ.

მაშ ასე. როგორც ხედავთ ჩვენთან ახალი და კარგი არაფერია. აქაური დღეები უფრო სნორედ ღამეები ქვანახშირით დატ-

ვირთულ საბარგო მატარებელს მაგონებს, ყველა ეროი-ერთსა ჰგვანან, ისეთი შავები და უხალისონი არიან. ვმუშაობ ძველებურად საანგარიშო ღარგში და გაუთავებელ ჩალასავით ვლეჭავ ვადას — მაგრამ საერთოდ ჯერ დრო უნდა გავიდეს, მეც ასე ვფიქრობ, მერე ან მომიგონებენ ან მე მოვაგონებ თავს. ნუთუ სინდისის ქენჯნა აღარ არსებობს მანდ და გაირეცხა ყველაფერი. არა და თქვენ კარგად იყავით, ჩემი დარდი ნუ გექნებათ. ახლა ისეთ ხასიათზე ვარ, მგონი ასწლიან ვადას ავიტან... მივეჩვიე...

აბა გკოცნით თქვენი ჩრდილოელი ძმა.

ლევანი.

ქ. ვორკუტა

მისამართი იგივე

სალამი ჩემო კარგებო!

15/II — 49 წ.

მე სულ ვწერ და ვწერ, გულს კიოხებ. ორი ამანათი ერთად მოვიდა.

№ 1 გამოგზავნილი თინას წერილით და № 2 თამარის მიერ 24/I გამოგზავნილი. რა ამბავია, თქვენ თავს მიხედეთ. აბა მე კი ნუ გადამყვებით. ამას უკვე მეორეჯერ გწერთ, რადგან შარშან მრავლად და განუწყვეტლად მომდიოდა ამანათები. მე ხომ ვიცი ეს როგორ ძნელია, გარჯით და ხარჯით.

ფული არ მჭირდება — მაქვს, ფოსტით არ გამომიგზავნოთ, ამანათები სრული წესიერებით მოვიდა. მხოლოდ მანდარინები იყო მოყინული.

საოცარი გემოვნებით იყო გაკეთებული შაქარლამა — ნამცხვარი, ვიგრძენი დიდი ოსტატობა და კეთილი გული ოსტატისა, გადაეცით დიდი მადლობა შვიდი ათასი კილომეტრის სიშორედან შემოთვლილი დიდი სიყვარულით. ჰოი, რა შორი მანძილია! მაგრამ გულითად მადლობას და სიყვარულს დედამინის ყოველგვარი მანძილი ემორჩილება... მით უფრო სიშორით გაძლიერებული სიყვარულითა და გრძნობით.

— ასეთი შაქარლამა წარმოდგენილი მაქვს. მოკითხვა მათ სამივე თაობას, შუა თაობას კი განსაკუთრებით!

„ძველ-ქართული ქრისტომატია" მით უფრო ჩემთვის ძვირფასი საჩუქარია, ვეცდები ავასრულო თინას პირობა, და თუ ოდესმე მინერია საქართველოში დაბრუნება თან ჩამოვიტან ბევრ ნაშრომს გამდიდრებულს ჩემი გულისთქმით.

გამახარა „ბესიკის" სამმა ტომმა ერთი სიტყვით, ეხლა გვაქვს საკითხავი ქართული წიგნები.

წიგნებით თავი შეგაწყინეთ, მაგრამ მეტი გზა არაა! ჩემი ბუნების [illegible] — [illegible] გნი თავისუფლების შეგრძნებ[illegible] [illegible]რია. ვნანობ. რომ ჯავახეთის ეტნოგრაფიული ნარკვევი ვეღარ იპოვნეთ — დაწერა მინდოდა. ცოტა-ცოტა ვმუშაობ მაინც... უფრო ვცოდვილობ. მაგრამ ეგეც არაფერია — ქართველი მწერლის ბედი სიცოცხლეში მაინც დამაინც სახარბიელო არასოდეს არა ყოფილა! მით უფრო ამ დროში ეხლა, მაგრამ მე ისეთი უკეთესმართი ბედისა ვარ, სიკვდილის შემდეგაც გადავაეინყდები ყველას.

მზიას მადლობა ლიტერატურული გაზეთის გამოწერისათვის. ასე, რომ მომავალში ველი — და განა მარტო მე?!

— ველით!... ჩვენ ხომ რადიო და არც სამკითხველო არა გვაქვს. თინა და თამარ — მედიკოს სია გამოუგზავნა კოლიამ, სამედიცინო წიგნებისა და თუ ძნელად საშოვნელი არ არის მიეხმარეთ. კოლიაც მეცადინეობს და აქ სხვა თქვენ კოლეგებსაც სჭირდებათ და ძალიან იხვეწებიან.

მე შევიკეთე კბილები. ასე, რომ მანდაური ქალიშვილები „კბილებით" ვერ დამინუნებენ. ჯერ ძველებურად ყველა შემრჩა.

...თქვენი დახმარებით აქ არც „საკბილე" მაკლია, ვერც ჯანმრთელობას დავემდურები. ჯანი ისევ ძველებურ-მეგობრულად ერთხელ კიდევ გვერდში ამოზიდგა და ერთგულად მემსახურება, რა ჰქნას ბევრი ჭაპანწყვეტა შეგვხვდა, კიდევ ნინ ვინ იცის რა მოგველის, დრო ბლომად არის ჩემ გრძელ ვადას ორი ხელის მტკაველი სჭირდება. კოლიას კი სამი. ასე უბრალოა თიოების ანგარიში წაღმაც არის და უკუღმაც.

მაგრამ ეს ნურავის ნუ დააღონებს არც იმდენია, რომ კაცმა გული გაიტეხოს და არც ისე მცირე, რომ სულნასულობა გამოიჩინო?

ზამთარი აღარ მაშინებს, კვლავ მივეჩვიე და თანაც არც თუ ისე როგორც უმალ. გარდა იმისა, მე თბილ ადგილას ვმუშაობ, ასე რომ ამ მხრივ ნუ დაიდარდებთ.

ელენე ჩერქეზიშვილის საოცარი სათუთი ტრაგედიის ამბავი არ ვიცოდი ჰაი, ჰაი, ის დიდ მსახიობთან ერთად, დიდი დედაც ყოფილა.

წავიკითხე თბილისის ახალმშენებლობათა შესახებ. ჩინებული ამბავია, ნეტავი ერთი თვალით გადმომახედა.

ჩვენ მწერლებს კი რა „დამბლა" დაეცათ? მოსკოვში და სხვაგან კი რა მუყაითად მუშაობენ გასაკვირია.

დედა როგორ არის. გაამხნევეთ, ჯანმრთელობა გამოუკეთეთ. ექიმები არა ხართ, ჩემგან დიდი სიყვარულით მოკითხვა გადაეცით. ვერ წარმომიდგენია რომ ჩემთვის ბარათის მოწერა აღარ შეუძლია. ეს კი წინათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთვის მე მამხნევებდა და იმედის საინერგეს მმატებდა.

აბა ეხლა მოკითხვას ვიწყებ:

ყველას ყველას: „ოთხკუთხივ“ მოკითხვა მომინერია!

ქართული ლექსიკონი თუ გამოვიდა აუცილებლად მიშოვნეთ.

დევიკოს აკოცეთ ჩემს მაგივრად.

თინა შენი წერილი — სადაც მწერდი — თელავის „ერეკლეს“ დადგმაზე, მე არ მიმიღია. ასე რომ არაფერი ვიცი, როდის იყო წარმოდგენა 1946 წელს? თუ მერე?

ერეკლეს დროინდელი — იმდენმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ მაინც მაინტერესებს.

ლიტ. გაზეთში წავიკითხე გამოსულა „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“ ჯანელიძისა, უსათუოდ გამომიგზავნეთ.

გკოცნით ყველას თქვენი ლევანი.

2/IV — 49 წ.

ჩემო კარგებო!

რაღაც შეგვიანდა თქვენი წერილები.

მე კი გწერთ და გწერთ. წერის დროს სულ მავიწყდება გარემოცვა ფიქრით და გულით თქვენთან ერთად სამშობლოში ვარ.

ყველას დიდი მადლობა საერთოდ და ცალკეულად. ყველას ვგრძნობ, ყველა მახსოვს. ყველა განსაკუთრებულად მიყვარს და ღრმათ ვცემ პატივს, ყველაფრის მადლობელი ვარ, რა ვქნა ასე „სამადლოდ“ შემიქმნეს ჩემი ცხოვრება და საქმე. თუ მესამეჯერ მომიხდა ცხოვრების დაწყება კიდევ მოვახერხებ მთელი გულით სიყვარული გადაგიშალოთ, ვიდრე მე ცოცხალი ვარ, მელოდეთ, მელოდეთ და თუ გამიმართლა იმედმა არც ხელს მოგაკლებთ და არც სინათლეს, კიდევ მოვახერხებ ვალებიდან ამოსვლას.

ყველა ამანათი და წიგნები მიღებული მაქვს.

მე კარგად ვარ, საოცრად მივეჩვიე ჩრდილოეთს, ეს არც არის გასაკვირი... ბოლოს და ბოლოს მე მხოლოდ დავიბადე საქართველოში — თორემ — გავიზარდე და ვგონებ ვბერდები კიდევაც ამ ჩრდილოეთში. რა ჭირი გადამეყარა! სახედრისა და პიტნისა არ იყოს.

მანდ აპრილია. აქაც აპრილია — ქართულივე კალენდარის მიხედვით. აგერ მიკიდია კედელზე თქვენი გამოგზავნილი, რომელიც ტკივილსა და სიხარულს ერთდროულად მანიჭებს, მაგრამ გარეთ წუხელ და დღეს ისეთი გიჟი ქარბუქი ამოვარდა, რომ ვერავინ გავიდა სამუშაოზე, ქარი თხრის და ანგრევს ყველაფერს, ამ ისედაც მოთხრილ და მუდამ შფოთიან მხარეში. 40 მეტრის სიჩქარეს აღწევდა წუთში, სულის მოთქმა არ შეიძლება გარეთ. ესეც პირველი აპრილი.

ტყვილად კი არ მღერიან აქ:

Эх ты Коми — Воркута.
дывная планете.
двенадцать месяцев зима.
остальное лето.

შესაძლოა ლექსი არ ვარგოდეს, მაგრამ სიმართლე კი უდაოა.

ისიც თითქოს პირველი აპრილია, ოკუპაციიდან და ტყვეობიდან დაბრუნებული დატანჯული ხალხიც აქ არიან, ბევრმა არც იცის რა აქვს მისჯილი და რისთვის ზის. ემიგრანტების ჯგუფში ბევრია საწყალი გადმობირებული ქართველებიც.

ამ ბოლო დროს ვეშურები წერილების მოწერას, ახალ ადგილიდან, სადაც მე უნდა გადამგზავნონ სხვა განყოფილებაა, ეს სულ 10-12 კილომეტრის მანძილზეა ჩვენგან, — ვინ იცის როგორ იქნება. როგორც გწერდით იქ უფრო მსხვილი მავთულია და სასიკეთოს ჩემთვის ვერაფერს ვხედავ.

სიამოვნებით ვკითხულობ, ძველ-ქართულ ქრესტომატიას, ვისვენებ სულიერად.

ცოტა ხელი ავაწყე კალმოსნობაც მოვახერხე, გადასვლასთან დაკავშირებით ახლა კი ისევ მეშლება ხელი.

ერთი სიტყვით ჩემი ცხოვრება ცხენზე გადაკიდებულ ხურჯინსა ჰგავს, ხან ერთი მხარე გადაძლევს — ხან მეორე.

თქვენ ყველა როგორ ხართ? როგორ ცხოვრობთ?

თქვენსკენ რა ამბავია?

ათასი კითხვა მაქვს. მაგრამ რა ვქნა, ყველაფერი, რომ შეგეკითხოთ — ამდენი კითხვის ნიშნებს რა წერილი გაუძლებს?! ნერილი კი არა გეოგრაფიის ბოძებად ეყოფოდა აქედან საქართველომდე.

გკოცნით ყველა ნათესავებს.
თქვენი ძმა ლევანი.

ჩემო კარგებო!

27/IV — 49. გიგზავნით ბარათს ახალი ადგილიდან, კარგად ვარ, ჩემი მისამართია:

Коми АССР, гор. Воркута ОЛП № 2 Почтовый ящик № 223/40 «Р». უკანასკნელი ასო ნიშნავს Реж. лагер ახალი ბანაკი უფრო დიდია, ის 3 მაღაროს ემსახურება. Ачуга шахта № 12. აქ 7 ქართველია — ვაშა! ჩემს ცხოვრებაში თითქოს არაფერი არ გამოცვლილა ჯერჯერობით ცოტა ხნით. აფთიაქშიაც ვმუშაობ ბუხჰალტრად — თითქმის ფარმაცევტობაც ვისწავლე ამ ხანში. ერთი სიტყვით მუშაობა თუ აქეთ იქით გაგრძელდა, ვადის დამთავრებისას ექიმი არ გამოვიდე მეშახტესთან ერთად. აქ ბინის მხრივ მძიმე პირობებია. ჩვენი ბანაკები ძველი ტიპისაა და სიმაღლე

აკლიათ. ორი წყება ხის ნარებია შიგ, ვინ მოთვლის რამდენი მწკრივით.

აქ მყოფი უმრავლესობა მაღაროში მუშაობენ. ჯერ-ჯერობით წყნარი, წესიერი ხალხია. აქ ნომრიანი და უნომრო პატიმრები საერთო პირობებში ვცხოვრობთ, იგივეა როგორც ძველ ადგილზე. ნომრებიანი კატორღელები არიან. ეცადეთ პირველ ხანებში ნერილები რუსულად მწეროდ.

აქაც ვიგრძენით გაზაფხული, თუმცა თოვლი არ ადნა, მაგრამ ტუნდრაში შავი ლაქები გამოჩნდა, მდინარე — ვორკუტა, რომლის მახლობლად არის ჩემი ამჟამინდელი სამყოფელი ჯერ კიდევ ყინულის ჩოხაშია ჩამჯდარი. უკვე ნათელი ღამეები დაიწყო, მალე სრულიად აღარ დაღამდება.

თქვენგან ნერილის მიმოსვლა მაინც შეფერხდა ახალ ადგილზე ჩემი გადასვლით ჩვენი ნერილების ისედაც დიდ გზას ერთი ხვეული — საფეხური კიდევ შეემატა, ათასგვარი მოსალოდნელი და მოულოდნელი საფრთხენი და დაბრკოლებანი უნდა გადალახოს ოთარაანთ ქვრივის — რკინის ქალამნები გაცვდებოდა, აბა ქაღალდი რაღა ბედენაა.

აქაც შეიძლება დიდხანს არ დამტოვონ, რადგან ჩვენ, პატიმრები უმცირესობა ვართ, დანარჩენები კატორღელები არიან. ეს ნუ ჩაგაფიქრებთ, სულ უბრალო ამბავია. ჩვენს შორის არავითარი განსხვავება არ არის, ჩვენზე იტყვიან:

ტოლნი არიან — სწორნი არიან.

ერთად მიდიან, მიიმღერიან!

მაგრამ მე შედარებით უფრო კარგ პირობებში ვარ.

ჩემი ჯანმრთელობის მიუხედავად — ის აღარ ვარ, რაც ვიყავ, მაგრამ კიდევ ბევრი დაეხარბება ჩემს გაძლებას. აქ კი განსაკუთრებით.

ვნანობ, რომ ისევ შემიფერხდა კალმოსნობა. აქ მეტი მაქვს სამუშაო და ცხოვრების პირობები მწერლობისათვის ხელმოუმართავი. თავიდანვე ასე მჭირდა, ჩემი ნაწერები და ჩემი გმირები ყოველთვის ჩემზე ბედნიერები იყვნენ — დეე არა მშურს! ასეთია ბედის შეუვალობა. გულის ტკივილს და მათ სიყვარულს კი ყოველთვის ვგრძნობ.

მთელი ჩემი ლიტერატურული მუშაობა დაცდაზე და მოსწრებაზე იყო დამოკიდებული. ეს ჩემი კალამი კი ჭიაყელასავით მისრიალებს ხელში. ჯერ-ჯერობით კალამი დაკარგული მაქვს და დამრჩა ბევრი განუხორციელებელი წიგნი. რომელიც მე უკალმოდ და უქაღალდოდ დანერილი მაქვს. ბავშვობიდან ასე მაქვს და ასე დამრჩა ფანტაზიისა და ასოციაციის დიდი უნარი. მისი სიმრავლე ჯერ დაუწერელ წიგნებს და მოთხრობებს მაგონებს. შესაძლებელია [illegible] შევასხამ და თქვენ გამ[illegible]

— რაც დრო გადის, საქართველო სულ უფრო და უფრო მშორდება, რეალურ სახეს თანდათანობით ჰკარგავს და რაღაც არა ხორციელ ოცნებად მექცევა.

ამ გრძნობას თქვენ ალბათ ვერ შეიგულისხმებთ, იგი მხოლოდ სამშობლოდან შვიდი ათასი კილომეტრის მიღმა იშვება.

ბედმა იმდენი საოცრება მარგუნა, რომ მცირედი კეთილი გაკვირვებს და ვეება აუგი ბუნებრივად მიმაჩნია.

— ეს ვერ გამიგია, სამშობლო იმიტომ მიყვარს, რომ ასე შორსა ვარ. თუ იმიტომ ვარ, ასე შორს, რომ ასე ძლიერად მიყვარს სამშობლო.

— ეჰ! ისევ სხვა რამეზე ვისაუბროთ — ეს ყველაფერი კი ჯოჯოხეთია მოსაგონებლად.

თქვენ სულ აღარ მწერთ რა ამბავია?

ოჯახში ხომ ყველა კარგად ხართ?

ისევ და ისევ შორეული მოკითხვა ყველას სათითაოდ და ერთობლივ.

თქვენი ძმა ლევანი.

თინა!

3/VII — 49 წ.

ეს ნაწყვეტი რომანიდან „ორომტრიალი" შემინახეთ, ასე ნაწყვეტ-ნაწყვეტად და „ნაკუწ-ნაკუწად" — ვწერ როცა ამის საშუალება მაქვს, თუ გული მომეცემა ხოლმე. ასე „გაცოდვილებულად" წერა — არ შეიძლება. მაგრამ მე სწორედ ის მხვდება წილად, რაც „არ შეიძლება", უნდა შევძლო! თუ ოდესმე მეღირსება — მთლიანად ღერძზე ავაგებ ამ ნაწყვეტებს, გამოგზავნილს ან გამოსაგზავნს დაწერილს ან დასაწერს...

პოი! რამდენი მაქვს დასაწერი? ნუთუ — ამის დრო აღარ მომეცემა?! თუ არა... დეე მათ სინდისზე იყვეს, ვინც მე კალამი ხელში შემატეხა, მაგრამ ჩემდა გასაკვირველად ბოლოს წერაც მოვახერხე. ვხარობ კიდევ არ დამჩლუნგებია კალამი.

თუ-ჰო! და კიდევ, ბარე ორ-წიგნს დავა: გორებ ქართულ ლიტერატურის მაღალ თაროზე.

კარგად ვარ შედარებით და შეფარდებით.

ამანათებსა და ბანდეროლებს წესიერად ვიღებ. წერილებს კი მეტად აგვიანდება — ოჰ ეს ცენზურა!

შემაშფოთა რუსთაველის თეატრის ბედმა, რა მოხდა. დიდი ზარალია! და დიდი დანაკლისი.

ჩემს ცხოვრებაში ჯერ არაფერი შეცვლილა, სხვა ბანაკში გადასვლასთან დაკავშირებით. ჩემი სარეჟიმო ბანაკი (Реж. лагер)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოყალიბების სტადიაშია — ვნახოთ რას მოიტანს.

უსტარის მიღება დამიდასტურეთ.

გკოცნით სუყველას.

ლევანი.

10/VIII — 49 წ.

ჩემო კარგებო!

გუშინ მივიღე ამანათი თამარის წერილით. ცალკე წერილები კი დიდიხანია აღარ მიმიღია. მე კი როგორც შესაძლებლობა მომეცემა ხოლმე უმალ გწერთ. მხოლოდ ეს არ ვიცი აღწევს კია თქვენამდე? ვწუხვარ. ეს აუგი და გარდუვალი კითხვის ნიშანი მუდამ თან სდევს ჩემს ცხოვრებას, ყოფას, მოქმედებასა თუ შემოქმედებას.

ჩვენ აქ ძველებურად ვართ. წარმოიდგინეთ ჭაობის ერთფეროვნება. ძალიან მძიმე გეოგრაფიაა ტუნდრა, ისიც იმერ-პოლარეთში და ისიც ბანაკში. ხალხი აქ შეუმჩნევლად ცვდება, იფიტება, უფერულდება, ავადდება, კვდება, ანდა იმდენად გლახაკდება გამყიდველად ვითარდებოდა. მე არ ვეპუები ამას თითქოს, მაგრამ ნლებსა და გარემოს თავისი მაინც მიაქვს. სულიც მიაქვს და მე საბოლოოდ არ ვიცი, რაღა დამრჩება, ესეც საფიქრებელი და სადარდებელია. ფიქრმა კი შეიძლება მოგისწრაფოს აუგი და გაგაგიჟოს.

მადლობა, მივიღე „დავით აღმაშენებლის" ტომი II. ბანდეროლებს ველი, არ ვიცი აღარ აგზავნით, თუ მე ველარ ვიღებ?!

რუსთაველის თეატრის ხანძარზე უფრო დაწვრილებით მომწერეთ, ასეთი დაუდეგრობა?! ასეთი ზარალი?! ალბათ ბევრი აგებენ სათანადო პასუხს? ნუთუ მავნებლობაა, არა მჯერა.

ჩემი უსტარი — № 3-4 მიიღეთ თუ არა, გული წაიღო ამ ფოსტამ, პირდაპირ ავი სიდედრია.

მომაწოდეთ მასალები საქართველოზე, ნუ მომწყვიტავთ მას. მე მისი ყველაფერი მაინტერესებს წარსული, აწმყო და მომავალი, მე ამით ვსაზრდოობ, ამით ვცოცხლობ.

სხვათა შორის სანამ საბოლოოდ დაზუსტდებოდეს ჩვენი დახურული ბანაკის ნესი, მწერეთ რუსულად, თორემ ქართულის წამკითხავი აქ არავინ არის და ამიტომ მეშინიან უსტარს ბუხარს წააკითხავენ. მოკითხვა და დიდი სიყვარული სათითაოდ სახელდობრ, მაგრამ დაუსახელებლად.

ნეტავი მთამსვლელები რას შერებიან?

ქართველ ფეხბურთელებს რა დამბლა დაეცათ?

ე?! ჯერ კიდევ ყველაფერი მაინტერესებს, თუმცა იზრდება და ფართოვდება ჩვენს შორის ზღურბლი და მანძილი.

მაშ ასე. ისევ მოკითხვა და კეთილის სურვილები შინაურებს და ნაცნობ-მეგობრებს.

გკოცნით ლევანი.

7/IX

ჩემო კარგებო! სალამი და კარგად ყოფნა! ასე და ასე — ისევ ძველზე ძველებურად ვარ.

ჩვენთან ხომ დროც გაჩერებულია — მხოლოდ ამინდი იცვლება და ჩვენც თანდათან „ვიცვლებით". ძველ ხურჯინივით ამ მავთულხლართებში გადაკიდული.

უკვე დაიწყო აქაური ზამთრის დიდი აღმართი, მაგარი ჭირხლიანობა ცივ-სითეთრე შემოგვეპარა.

აუ! ამ აღმართს რა გალევს?! დაგვწნეხეს, ჩაგვიხერგეს რეალობის სრულფასოვანი შეფასების უნარი. წაგვართვეს სულიერი სამყარო და არარაობა შემაგრძნობინეს.

ჰო, ჰო! რომ იცოდეთ რამდენი „თოვლი" უნდა ვთელოთ და რამდენი „ქარბუქი" უნდა ვყლაპოთ. უენოდ, ჩუმად.

კიდევ კარგი — შემოფარგლულ ადგილში ვბრუნავთ და აქაურ „თავისუფალ" ხალხის გასაჭირს აცილებული ვართ. ჩვენი დაცვა ეხლა უფრო საფუძვლიანი. ჩარკინებული და უფრო ბეჯითია. ჩვენი ცხოვრების ფარგლები სულ უფრო და უფრო იკვეცება და ვიწროვდება და რაც მთავარია ისე ნვრილმანდება, რომ ლაპარაკიც არ ღირს. აფთიაქში აღარ დავდივარ, აქ ვმუშაობ მაღაროში. არა უშავს რა. ჩემი თბილისში უკანასკნელი 10 ნლის ცხოვრება სულ აღმართი იყო დიდი წინააღმდეგობის დაძლევით. მეც მთამსვლელი ვარ, აღმართს მიჩვეული — გავუძლე და დავძლიე, დაღმართიც აღარ მაშინებს, საკმარისად კარგად ვარ მიჩვეული. ოჰ! მომავალო. ხელი მომიმართე...

გკოცნით ყველას.

ლევანი.

22/IX — 49 წ.

ჩემო კარგებო!

მეტად შეგვიმძიმდა მიმოწერა, მეც არ ვიცი რაღა მოგწეროთ. რის გამოგზავნა გთხოვოთ. ხან რას აგვიკრძალავენ და ხან რას... წერილების შესახებ უკვე მოგწერეთ, გამოგვიცხადეს — წერილების გამოგზავნის უფლება ჩვენ პატიმრებს გვაქვს წელიწადში არაუმეტეს ოთხი ცალისა, ხოლო ჩვენთან მყოფ კატორღელებს კი ორი ცალისა. ჩემისთანა პატიმარი ვის მიეკუთვნება არ ვიცი. მიღების უფლება კი გვაქვს შეუზღუდავად. აღარც ბანდეროლებს უშვებენ, თქვენგან კარგა ხანია ქართული გაზეთი აღარ მიმიღია (ივლისის შემდეგ).

ეს სულიერი საზრდოც მომესპო და გამეცალა. საერთოდ ახლა ყველაფერის „არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსულის" მიღებას გვიშლიან. აქ დედამინის ყოველი კუთხის წარმომადგენელია და აბა ამდენ ცენზორს და მთარგმნელს სად იშოვნიან!?

ასე, რომ თქვენც წერილები რუსულად მწერეთ.

ვაგლახ! — ქართული სიტყვა ჩემი ახნული გულის ტკივილს მალამოდ ედებოდა, მაგრამ ვაგლახ... და ვაგლახ! ჩემ სავალს ეს ეკლიანიც აკლდა და ესეც აიკიდა.

ჩემ ბედად აღარც ქაღალდები და კონვერტები დამიტოვეს, ამიტომ ცოტ-ცოტა აგზავნეთ.

ეჰ სულ ერთია — ჩემი აქაური სამწერლო მუშაობა სახრჩობელაზე ჩამოკიდებულ კაცის სიმღერასა ჰგავს. მაგრამ ამ ყოველივეს დაძაბუნების კილოდ ნუ ჩამითვლით არა და არა.

მართალია ჩემი (და განა მარტო ჩემი) სულიერი, გონებრივი და ფიზიკური სამყარო მეტად შემოიწურა და შემოიფარგლა, მაგრამ უფრო შენივთდა!... მაგრამ ისევ ამინდებზე ვისაუბროთ:

კვლავ დაგვიზამთრდა, მოვიდა ისევ-ისეთივე ცივი-უჯმაჯური და მსახვრალი როგორც ტუნდრას ეკადრება და თქვენ, რომ მწერთ „სიცხისაგან ვიხრუკებით" უკვე რაღაც ვერ ნარმომიდგენია.

ჰოი — როგორ გვაკლია მზე!

პატიმრობის გარდა — უმზეობაც გვჭირს!

შემთხვევისთანავე გწერთ, ეს რა თქმა უნდა ანგარიშის გარეშე. ვჩქარობ გული ვიჯერო. — იქნებ მერმე კიდევ უფრო გაჭირდეს მიწერ-მოწერა.

— აქ ძალიან ბევრი შემთხვევაზეა დამოკიდებული, ასე რომ ქართული წიგნები, გაზეთები მაინც გამოგზავნეთ. იმედი მაქვს რომ მაინც მოგვცეს ბოლოს და ბოლოს.

ხილის ბანდეროლები კი — მედიკოს ჰკითხეთ — და მისი მოცემული მიზამართით აგზავნეთ.

მეტად მიამა რომ ჩემი უსტარი № 3-4 მიგიღიათ. გაგრძელება იქნება თუ ათას ერთმა შეფერხებამ სულ არ მომიკვეთა კალმის ნამსხვრევი.

მწერეთ ხშირ-ხშირად ღია ბარათები, ჩვენ სოროში — ისინი უფრო მოსაწდომი არიან.

აბა ისევ და ისევ მოკითხვა ყველას და ყველას.

გკოცნით ლევანი.

5/XII—49.

ჩემო კარგებო!

ცოტა შევაგვიანე წერილი... მაგვრად — თქვენგან ყველა წერილები, ამანათები, ბანდეროლები მიღებული მაქვს. უფრო ზუსტად ნიშნობრივ.

საერთოდ ოფიციალურად ორი წერილის გამოგზავნის უფლება მაქვს — წელიწადში. მე-თუ „გამიანგარიშეს" [illegible] ლების რაოდენობით — მთელი ვადა გამითავებია. ქართულ წიგნებს და გაზეთებს აქ უცნაურად — უცხო ენაზე დაწერილად სთვლიან და აღარ გვაძლევენ.

თუმცა ამ ბოლო დროს საერთოდ ყველა წიგნები მოაგროვეს და რაღაც რეგისტრირებას ელიან, მერმე გვპირდებიან დაბრუნებას, ვნახოთ. მოკლედ ყოველ დღე ახალ-ახალ შეზღუდვებს იგონებენ, რომ საბოლოოდ დაგვიმძიმონ და გაგვიფუჭონ ისედაც გატეხილი ცხოვრება, ძალადობის მძიმე ფორმების გამოყენებით, იმდენად გაგვამწარონ და გამოგვიყვანონ წყობიდან. რომ თვითმკვლელობამდე მიგვიყვანონ, რაც აქ სავალალოდ მეტად ხშირია. უდანაშაულო ხალხის სიკვდილი მთავრობას სრულებითაც არ ანუხებს. პირიქით მათ ხელთ აწყობთ კიდეც.

არის იმდენად მძიმე განცდები და ემოციები, რომ მათი დავიწყება არ შეიძლება და ისინი დიდხანს რჩებიან მეხსიერებაში. ვერავითარი ძალა მას ვერ ამოაგდებს. მართალია ჟამთა სვლა ანელებს მის სიცხარეს, მაგრამ ვერ შუშავს დარჩენილ ჭრილობებს. ჩემმა ცხოვრებამ მე თითქოს ჩამრეცხა კიდეც. გამიყინა სიცოცხლე. მაგრამ უფრო მტკივნეულად, უფრო მძაფრად გამიშიშვლა გულში ჭრილობა ჩემი თავგადასავლის სახით, ამაზე დაწვრილებით მერე მოგწერთ უცენზუროთ. რაც შეეხება წერილების წერას, აუხსენით ნათესავებს, რომ მე ძლიერ შეზღუდული ვარ ამ მხრივ — ასე, რომ თავი შეიკავონ. მათთვისაც ასეა უკეთესი. ამ მთავრობის ხელში, შარი არ გამოუბან. ქართულ მწერლობას რამდენადაც ხელი მიმიწვდება თქვენი დახმარებით თვალს ვადევნებ. ხოლო გული... გული არც მათ შერჩენიათ ნიჭს რაღა უყვეს. იქნებ სადმე სოფლის კალოზე ან ქალაქის საბავშვო ბაღებში თუ დარბიან ფეხშიშველა ან თავქოჩორა მომავალი მწერლები, თორემ ჩვენ თაობაში როგორც ჩანს არც ილიას, არც აკაკის, არც ვაჟას და არც ბარათაშვილს მემკვიდრეები ჯერჯერობით არ გააჩნიათ. მე კი მჯერა, რომ ასეთები მომავალში იქნება. ეჰ, წერილს როცა ვწერ, თავი საქართველოში მგონია. მერმე, რომ მომაგონდება შვიდიათას კილომეტრზე გაკიდებული მანძილი, შევაჩერებ წერას და გულისხმად გადავიქცევი. გული მიგრძნობდა. ამიტომ ვიყავი ასე დახარბებული ქართულ კუთხეებს, ქართულ არე-მარეს, ხევებს, ქართულ მნვერვალებს და ქართველ ხალხს. არა ერთი გზით შემშურვებია ჩემი ალიოშას ბედი, რომელსაც უშბის უბეში ვალმოხდილს სძინავს. მე ვერც ვალი მოვიხადე, ხოლო ძილისა კი სრულიადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ვიცი რა (რბილად რომ ვთქვათ), მაგრამ ჯერ ცოცხალი ვარ და შეძლებისდაგვარად ერის ვალი მაინც მინდა მოვიხადო, სხვას რომ თავი დავანებოთ. ზეპირად ასე შიგა და შიგ და ფრაგმენტულად ნერა მეტად ძნელ-ცუდია, ზიანდება და კოჭლობს ფაქტების ისტორიული მხარე, აგრეთვე მხატვრული დონეც. მაგრამ თუ ვინმე ამ სტრიქონებს წაიკითხავს — იცოდეს, რომ თუ მოვიკოჭლე, ეს იმიტომ, რომ ხელ-ფეხზე იმდენი მავთული მეხვია — ძთელ დედამინას შემოერტყმოდა.

კარგად, კარგად იყავით ყველა.

გკოცნით ლევანი.

და-ძმური დამოკიდებულება ალბათ არავის არ გაუკვირდება. მაგრამ ლევანი თავისი ქცევით, განცდებით, თავისებურებით და სიყვარულის ღრმა გრძნობით განსაკუთრებული ძმა იყო ჩვენთვის. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ლევანი, რომელიც ოჯახს დიდი ხნით ჩამოცილებული გვყავდა, მისი დარდი, ფიქრი და ყოველდღიური საზრუნავიც გახდა.

დრო მიიზლაზნებოდა უფერულად, ჩვენი ოჯახის ცხოვრება უფრო სწორედ არსებობა გრძელდებოდა ერთი მიზნით ლევანისთვის ეშველა და დახმარებოდა. თურმე რა დიდი დრო გასულა შეუმჩნეველად. სამი წელი სრულდებოდა მისი დაპატიმრებისა და ასე შორს, ჩრდილოეთში გადაკარგვისა, ჩვენ კი ისევ ისე პირველ დღესავით, მძიმედ და მტკივნეულად განვიცდიდით ყოველივეს, რაც მასთან იყო დაკავშირებული, ალბათ იმიტომ, რომ გულში ჯერ კიდევ ღრმად გვქონდა მოუშუშებელი ჭრილობა და ყველაფერს „გუშინ" მომხდარად ვსაზღვრავდით.

არა! ჩვენს ოჯახში ლევანის არ ყოფნას კი არ მივეჩვიეთ, არამედ უნებლიედ შევეგუეთ. მხოლოდ სანყალ დედაზე არავითარი იმედი და ნუგეში არ მოქმედებდა, მძიმე სიმნარით, დედა-შვილური გრძნობით სულ იმას გაიძახოდა — ლევანის დაბრუნებას მე უკვე ველარ მოვესწრებიო.

საქართველოში ამ პერიოდში ბევრი რამ ხალხისათვის გაუგებარი გახდა. სათავეში მოექცნენ ეგოისტი, უგულო დანვრილმანებული საეჭვო პირები, მათ შორის გამწვავდა უნდობლობა და შუღლი, გაძლიერდა სკამის დაკარგვის შიში. ვის ეცალა უსამართლოდ განწირული ხალხისათვის. ვინ შეისმენდა ამას? ამ ნლების განმავლობაში ლევანთან მიწერ-მონერა ასე თუ ისე მაინც მონესრიგდა. მართალია პერიოდულად სხვადასხვა მიზეზით ან რეჟიმის შეცვლით, მიმონერა ფერხდებოდა. რასაც თან სდევს ჩვენი გულის ხეთქვა და შიში. მიუხედავად ამისა, წერილებს ჩვენ მაინც ყოველდღიურად რიგრიგობით ვწერდით. ხან ქართულად და ხან რუსულად.

ბანაკში სასურსათო ამანათები ბევრად უფრო წესიერად ხდებოდა. პირველ ხანებში ამანათს ყოველ კვირას ვაგზავნიდით. მერე კი 10 დღეში ერთჯერ. ვინ მოსთვლის რას არ ვუგზავნიდით. ვცდილობდით განსაკუთრებით ის გაგვეგზავნა, რაც ლევანს უყვარდა, მაგრამ არც იმას ვივიწყებდით, რომ ჩრდილოეთში გაძლებისათვის საჭიროა მსუყე და ნოყიერი საკვები.

კარგი წესი არსებობდა, ბანაკში ყოველი ამანათის მიღება დასტურდებოდა პატარა ბარათის გამოგზავნით. ეს ჩვენი დამაწყნარებელი ნამალი მალამოსავით მოგვეცხებოდა „გულზე" (ამისჯანა ბარათები სახლში ბლომად შემოგვენახა).

ყოველ 2-3 დღეში ვუგზავნიდით ბანდეროლით: გაზეთებს, ნიგნებს, რვეულებს. ხშირად ცენზურის გამო ქართული ნიგნები, რომლებსაც ჩვენ აქ ძლივს ვშოულობდით ლევანამდე ვერ აღნევდა და ის ბევრჯერ თავის ნერილებში ერთდა იგივე ნიგნს გვთხოვდა. იკარგებოდა გაზეთები. რვეულებზე ხომ დიდი გასაჭირი იყო. ლევანს სჭირდებოდა ცალხაზიანი პატარა რვეულები, რომელიც ადვილი გამოსატანი იყო ბანაკიდან. საუბედუროდ თბილისშიაც ამ პერიოდში ქაღალდის ნაკლებობა იყო. ჩვენ მაინც ხელზე ვშოულობდით და ლევანს ბლომად ვუგზავნიდით. იქ კი ანახევრებდნენ. ლევანი ისე მიეჩვია და განიცდიდა ქაღალდის ნაკლოვანებას, რომ ეს შიში მას სიცოცხლეში მაშინაც თან სდევდა, როდესაც ქაღალდი უამრავი ჰქონდა.

ლევანი ორივე ქალაქის თბილისის და ვორკუტის ფოსტას ძალიან ემადლიერებოდა. თბილისის განყოფილებაში თანამშრომლები ლევანის მიმართ კარგად იყვნენ განწყობილნი და ამიტომ, ყოველ მხრივ ხელს გვინყობდნენ. ვორკუტის ფოსტაში კი ვალერიან ჭუმბურიძე მუშაობდა, ამიტომ აქაც ყველაფერი წესიერად სრულდებოდა. არსებული დაბრკოლება კი ცენზორის ბრალი იყო. ზოგჯერ იქ ქართული ნერილების და გაზეთების წამკითხავი, არავინ იყო და კორესპონდენცია პირდაპირ ღუმელში მიდიოდა.

ყველაზე კარგად ფულის გაგზავნის საქმე გვქონდა მონესრიგებული. ამის რამდენიმე გზა ვიცოდით. პირველი, კბილის პასტაში შევაცურებდით 25 მანეთიანს და ამანათით ვგზავნიდით, სულ გული გვისკდებოდა იქ არ გაეგოთ ეს ამბავი. ერთხელ ლევანმა თვითონ შეგვატყობინა პასტის ამბავი. აქ სულ უბრალოდ გატყდაო. ერთ-ერთი პატიმრის ამანათის გახსნის დროს ცენზორმა სთხოვა კბილის პასტა მაჩუქეო, პატიმარი საშინლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენუხდა, პასტა მე მჭირდებაო, არ მისცა. ამან კი ჩეკისტი დააეჭვა. პატიმარს პასტა ჩამოართვეს. შემდეგ კი ატყდა დიდი აურზაური, ფულის გაგზავნის მეორე გზაც სახიფათო იყო, მაგრამ უფრო მყარი და საიმედო. ბანაკში ჯერ არ იყო შეცნობილი.

სარეცხის საპონს კოხტად ამოვუჭრიდით, გვერდებს, შიგ ფულს ჩავდებდით და ისე ოსტატურად დავხურავდით, რომ კვალი სულ არ ჩანდა. ჩვენგან ლევანმა ასე მიიღო საკმარისი რაოდენობის სარეცხის საპონი. მაგრამ ჩეკისტების თვალის ახვევის მიზნით, საჭირო გახდა ნაწილი ფულის მაინც ფოსტით გაგზავნაც. იქ პატიმრებს, [illegible] 10 მანეთს აძლევდნენ, ხელზე. დანარჩენს კი თითქოს მათ ანგარიშზე [illegible] ნენ, ამას ლევანიც და ჩვენც მეტად საეჭვოდ ვუყურებდით.

მოკლედ მთელი ოჯახი ყოველდღიურად ლევანზე ზრუნვით ვცხოვრობდით. ყოველივე ეს მოითხოვდა დიდ გარჯასა და ხარჯს, მაგრამ ამ მხრივ არასდროს არ ყოფილა დაბრკოლება. გვიახლოვდებოდა 1950 წელი, მოლოცვებთან ერთად ამანათიც ისეთი გავუგზავნეთ. რომ ახალ წელს ნამდვილი ქართული სუფრა გაეშალა.

□ბაბრაძელება იაონება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ კოსტავა

მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა საქართველოში

მართლმადიდებლური ქრისტიანობის და მისი მატარებლის, მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია საქართველოში, თავისი შინაგანი და გარეგანი მდგომარეობითა და გარე-სამყაროსადმი ზეგავლენით, ხასიათით და დროის ხანგრძლივობით სავსებით განსხვავებულ ოთხ ძირეულ ეტაპს მოიცავს.

პირველი ეტაპი — ყველაზე ხანგრძლივი, IV საუკუნიდან XVIII-XIX საუკუნის მიჯნამდე გრძელდება. მას შეიძლება ეწოდოს: „საეკლესიო ცხოვრება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოში".

ამ პერიოდში საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მოიპოვა ავტოკეფალია. საკუთარი კათალიკოს-პატრიარქის არჩევა დაიწყო. რამოდენიმეჯერ აღზევდა იგი და განიწმინდა უღირს მღვდელთმსახურთაგან, განსაკუთრებით, ვახტანგ გორგასლანის, დავით აღმაშენებლისა და თამარის ხანაში.

მეორე ეტაპი საქართველოს ეკლესიის ისტორიისა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან 1918 წლამდე გრძელდება და მოიცავს საქართველოს ისტორიას, როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალი გუბერნიის პერიოდს. იმჟამად, რუსეთის მიერ რუსეთ-საქართველოს 1783 წელს დადებული შეთანხმების ხელყოფისა გამო, საქართველო ძალმომრეულად შეუერთდა რუსეთის იმპერიას და სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამაც დაკარგა დამოუკიდებლობა, ავტოკეფალია. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ნაცვლად მას რუსი ეგზარხოსი მართავდა.

მესამე ეტაპი საქართველოს ეკლესიის ისტორიისა უველაზე ხანმოკლეა. 1918 წელს, ორი რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერია დაეცა და მის ნანგრევებზე საქართველომ კვლავ დაიბრუნა დამოუკიდებლობა, აღიდგინა სახელმწიფოებრიობა. საქართველოს ეკლესიამ კი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მოიპოვა ავტოკეფალია, რითაც დამტკიცა, რომ მუდამ იყო და არის ერთიანი, სუვერენული საქართველოს იდეის გამომხატველი. რუსეთის დროებითი მთავრობისა და სინოდის წინააღმდეგობის მიუხედავად, რომლებიც საქართველოს ეკლესიის არა ტერიტორიალურად, არამედ მართოოდენ ნაციონალურ ავტოკეფალიაზე აცხადებდნენ თანხმობას, საქართველოს საეკლესიო მოღვაწეებმა — კირიონ სამაგლიშვილმა და ლეონიდე ოკროპირიძემ საქართველოს ეკლესიის ტერიტორიალური ავტოკეფალია გამოაცხადეს, რითაც თავის უველა უფლებაში აღადგინეს მისი უკანონოდ წართმეული დამოუკიდებლობა, ამით მღვდელთმსახურებმა ბრწყინვალე მაგალითი მისცეს იმჟამინდელ პოლიტიკურ მოღვაწეებს და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება მოამზადეს. ეპისკოპოს კირიონის კათალიკოს-პატრიარქად კურთხევისას მცხეთაში, 1917 წლის 1 ოქტომბერს შემთხვევით როდი წარმოსთქვა მრავალრიცხოვან თანამემამულეთა წინაშე მღვდელმა, პ. ჯაფარიძემ შემდეგი სიტყვები:

„საქართველომ, საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ფაქტიურად პოლიტიკური თვითგამორკვევაც უნდა განახორციელოს". მღვდელმსახურთა ქმედება მალე კულტურტრეგერებისაოვისაც მაგალითად იქცა, რომელთაც 1918 წლის 26 იანვარს საქართველოს დამოუკიდებელი კულტურის კერა, თბილისის უნივერსიტეტი დააარსეს.

მხოლოდ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ

საქართველოს ნაციონალური საბჭოს მიერ.

ასე რომ, საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირველ მერცხლად, მის მეხაყვირედ საქართველოს ეკლესია იქცა. თუ როგორ მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტს მამულის მტრები, ჩანს იქიდან, რომ ავტოკეფალიის გამოცხადებისთანავე მისი მთავარი მომპოვებელი, კათალიკოს-პატრიარქი, კირიონ II ვერაგულად იქნა მოკლული მარტყოფის მონასტერში დაუდგენელი ტერორისტების მიერ.

საქართველოს ეკლესიის მეოთხე პერიოდი გასაბჭოებისთანავე, 1921 წლიდან იწყება და გრძელდება დღემდე. მისი ბედი და მდგომარეობა ასევე არ გახლავთ ერთფეროვანი. მეთერთმეტე არმიის შეჭრამ რუსეთიდან აზერბაიჯანის გამოვლით, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაუქმებამ და ძალმომრეობამ, რითაც იგი სსრკ-ს შემადგენლობაში იქნა შეყვანილი, ქართულ საზოგადოებრიობაში საპროტესტო რეაქციის ქარიშხალი გამოიწვია, რაშიც უკანასკნელ როლს როდი თამაშობდა საქართველოს ეკლესია. 1922 წელს, საქართველოს კათალიკოსმა ამბროსი ხელაიამ თბილისში მიმართა გენუაში ჩატარებულ ხალხთა საერთაშორისო კონფერენციას, საქართველოს ბედ-იღბლისათვის მიეხედა. საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარის გაყვანას, უცხო თესლის ძალმომრეობა „მზრუნველობისაგან" სახალხო საგანძურის დაცვას, ნაციონალურ დამოუკიდებლობას მოითხოვდა იგი, ეროვნული ხასიათის, ზნე-ჩვეულებებისა და კულტურის შესატყვისი პოლიტიკურ-სოციალური წყობის დამყარებას. საუბრობდა ეკლესიის მძიმე მდგომარეობაზე, რელიგიის დევნაზე, სინდისის თავისუფლების ხელყოფაზე. ამ მიმართვისათვის კათალიკოსი ამბროსი დაიპატიმრეს და დიდხანს ამყოფეს საპყრობილეში. ცნობილია სასამართლოზე ნათქვამი მისი ფრთიანი სიტყვები: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული — საქართველოს, ხოლო გვამი — თქვენ გქონდეთ, ჯალათებო". მის გარდა მემორანდუმს ხელი მოაწერეს ეკლესიის მსახურებმა კალისტრატე ცინცაძემ და თოთიბაძემ, რის გამოც რამოდენიმეწლიანი პატიმრობაში იმყოფებოდნენ.

უნდა აღინიშნოს: გასაბჭოების შემდეგ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია არ დაუკარგავს. მებრძოლი ათეიზმი თუმცა არ დაინტერესებულა ეგოდენ კერძო საკითხებით, მაგრამ რელიგიის წინააღმდეგ გაფფრებული ბრძოლა მისი სამოქმედო პროგრამის უმთავრეს პუნქტად იქცა. საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნებით მარტოოდენ რუსეთის შოვინისტურად განწყობილი სიწოდი არ იყო კმაყოფილი, რომელიც ორმოციან წლებამდე არ სცნობდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას. ამბროსიდ 1943 წელს აღდგა კავშირი რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის, ხოლო 1945 წელს, რუსეთის ეკლესიამ პირველად სცნო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და შესაბამის ეპისტოლეებში აუწყა ამის შესახებ აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქებს.

გასაბჭოებისთანავე ქართული ეკლესია უმძიმესი, ჯერ არნახული განსაცდელის წინაშე დადგა. იმხანად რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა როდი ამოიწურებოდა ანტირელიგიური პროპაგანდითა და მატერიალიზმის ქება-დიდებით, იდეოლოგიის, პრესისა და ტრიბუნის გარდა მთელი ძალით მოქმედებდნენ დამსჯელი ორგანოები, ღვთისმსახურთა ფიზიკურ განადგურებასაც რომ არ ერიდებოდნენ. ზოგჯერ რელიგიასთან ბრძოლის ლოზუნგით ისინი აწამებდნენ მღვდელთმსახურებს, ცხვრის საკრეკი მაკრატლით აჭრიდნენ ცხვირს, ყურებს, უვსებდნენ თვალებს. ამ ხაუკუნის ოციან წლებში, ფანატიურად განწყობილმა კომუნისტებმა დახვრიტეს კ. ქუთაისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიის წინამძღვარი, მიტროპოლიტი ნაზარ ლეუავა, კაცი ღირსეული და ზნემაღალი. სიკვდილის წინ იგი ლოცავდა ჯარისკაცებს, რომლებშიც მისმა სპეტაკმა და სნივმოსილმა სახემ ისეთი მოწიწება აღძრა, რომ ცრემლმორეულებს, ხელები აუკანკალდათ: „ნუ გეშინიათ, ისროლეთ, ბიჭებო", ამხნევებდა და ლოცავდა იგი მათ". მცირეოდნი შემთხვევები თუ არის ფიქსირებული დამსჯელთა აღვირახსნილობისა და იმ წინააღმდეგობის, ძლიერი და უშიშარი ბუნების ღვთისმსახურნი რომ უწევდნენ მათ. მაგალითად, აწ გარდაცვლილ ლევან ტყესაშაძეს, შემდეგ თბილისის სამეფის ეკლესიის მღვდელი რომ გახდა, უბრძანეს, გაეხადა ანაფორა. იგი აწამეს, ცხენს გამოაბეს და დიდხანს ათრიეს, მაგრამ ვერ გატეხეს.

მღვდელს სოფელ ეწერაშიდან, იოსებ ნაცვლიშვილს, 1924 წელს მრევლის წინაშე ანაფორის გახდა და სარწმუნოების უარყოფა შესთავაზეს. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დახვრეტით ემუქრებოდნენ. ხულის უდრეკობამ მისი მოძალადენი გაგვინაწყენა. ჯვარშემართული გამოვიდა იგი მრევლის წინაშე და ცეცხლოვანი სიტყვით სარწმუნოებაზე მტკიცედ დგომა უანდერძა მას. საკუთარი ხელით გაათბრევინეს საფლავი და სხვა ტუსაღებთან ერთად დახვრიტეს საფიჩხიაზე. ქუთაისის გარეუბანში. ხულის ამგვარი ხიმტკიცისა და მოწამებრიობისათვის უწინ ეკლესია წმინდანად რაცხდა და დიახაც. საბჭოთა პერიოდში რწმენისათვის წამებულთაგან როდესმე ჩვენში უთუოდ შეირაცხება ვინმე წმინდანად. იმჟამად მრავალ მღვდელთმსახურს აპატიმრებდნენ და იძულებით კრეკდნენ. აფეთქე-

ბდნენ და აწგრევდნენ ეკლესიებს, გუმბათებიდან ბსნიდნენ ჯვრებს, კრძალავდნენ ღმერთმსახურებას, ეკლესიებს ხანგობებად იყენებდნენ. ზოგიერთ კომუნისტსა და კომკავშირელს ხატები გამოჰკონდათ ეკლესიიდან, სხვების დასანახად ჭრიდა, ან ხვრეტდა მათ რევოლვერით, თან გაჰყვიროდა: „თუ ღმერთი არსებობს, დაე, დაგვსაჯოს". მაგალითად, გურიაში, სოფელ ციხეში არსებული ერისთავების ეკლესიიდან კომკავშირლებმა გამოიტანეს სასწაულმოქმედი ხატი — „ლომისკარელი" და რაიონის ცენტრში, ჩოხატაურში წაასვენეს, სადაც იგი რევოლვერით დაცხრილა აგიტატორმა. შემდგომში ცკ-ს წევრმა, თენგიზ ელენტმა, რომელმაც სულ მალე იმავე რევოლვერით მოიკლა თავი, ასევე მოიკლა თავი ხატების შეურაცხმყოფელმა კომუნისტმა, ალექსანდრე გეგეჭკორმა.

ჯერ კიდევ 1964 წელს, ზედაზნის მონასტერში ესვენა კომუნისტებისა და უსულგულო ათეისტების მიერ დანით უმოწყალოდ დასერილი და ტყვიით დაცხრილული უამრავი ხატი, მორწმუნეების მიერ რუდუნებით შეგროვებული და გულმოდგინედ დაკემსილი. მძიმე, უსიამოვნო განცდებს იწვევდა იმათი ჭვრეტა. ბოლოს 60-იანი წლების ხელმძღვანელობამ რესპუბლიკისა სადღაც გადამალა გასაბჭოების შემდგომი ვანდალიზმის ეს დამადასტურებელი საგნები.

ამ საუკუნის იმავე ოციან წლებში მზეცურად შეურაცხმყოფეს არგვეთელი მთავრების, ქართველი წმინდანების, დავით და კონსტანტინე მხეიძეების წმინდა ნაწილები — ძვლები მოწამეთის ტაძრიდან, რომლებიც დაწყვეს ურემზე და ხალხის საჩვენებლად დაატარებდნენ ქუთაისსა და მის შემოგარენში. შემდეგ ისინი რიონში გადაყარეს, მაგრამ მორწმუნეებმა იპოვეს და გამოიტანეს იქედან. ამ უღირს საქმიანობაში განსაკუთრებულ აქტივობას კომუნისტი ვალია ბახტაძე იჩენდა, რომელიც შემდგომ ისევ თავისიანებმა დახვრიტეს. აი, როგორ ეწეოდნენ ანტირელიგიურ პროპაგანდას, შეურაცხყოფდნენ რა ქართველებისათვის წმინდათა წმინდას, იმ გმირთა წმინდა ნაწილებს, ვაუკაცურად რომ ებრძოდნენ არაბ დამპყრობლებს ქრისტიანული სარწმუნოებისა და ხამშობლოსთვის თავდადებულნი. ეს ნაწილები გადაარჩინა ქუთაისის მუზეუმის დირექტორმა, ტრიფონ ჯაფარიძემ. მან ჯერ მუზეუმში მოათავსა, ბოლო შედარებით მშვიდობიანი დროის დადგომისთანავე კვლავ მოწამეთაში დაბრუნა ისინი.

1957 წელს, დახვრეტებისა და დაჭერების, აგრეთვე ათეისტური ბუთნლედის ორომტრიალში, როდესაც მიზნად რაც შეიძლება მეტი ეკლესიის დახურვა განიზრახეს, რათა აღარ აღვლენილიყო ხსრკ-ში ხახელი ღვთისა, უფლისა ჩვენისა ბაგეთაგან კაცთა, [illegible] ებასაც დაუნდობლად აპატიმრებდნენ. [illegible] ტიმრეს სიონის ტაძრის პროტოიერეი, მიხეილ (ნაცვლიშვილი), რომელიც უკვალოდ დაიკარგა. უკვალოდ დაიკარგა იმავე წელსვე დაპატიმრებული პროტოპრესვიტერი ალექსანდრე ნეველის ეკლესიისა იოანე (სმირნოვი). დიდხანს სტანჯეს ციხეში იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის პროტოპრესვიტერი იოანე (ლაზოვრო), მიტროპოლიტი ეფრემი (შემდგომში კათალიკოს ეფრემ II), დიაკვანი ამბროსი (ახობაძე). დიაკვანი ამბროსი თითქმის 7 წელი იჯდა (1937-1943 წ.) სვერდლოვსკის კოლონიაში, ულრან ტაიგაში რომ მდებარეობდა. გამოძიებაზე მას წიხლებს სთავაზობდნენ სახეში, გახურებული შანთით აწამებდნენ, რის გამოც დაუზიანდა მარცხენა ხელი და ეპილეფსიით დაავადდა. თუმცა იმ პერიოდის რეპრესიები სიკვდილის შემდეგ მხოლოდ სტალინს შეახეცეს, რის შედეგადაც შეწყდა პოლიტიკით მოტივირებული განუწყვეტელი დაჭერები სასულიერო პირებისა. მაგრამ საეკლესიო საქმეებში სახელმწიფოს ფარული ჩარევა ოდნავადაც არ შენელებულა, თუმცა ოფიციალურად ეკლესია გამოეყოფილია სახელმწიფოსაგან. სახელმწიფოს ამგვარი ჩარევა ვრცელდებოდა თავად ღვთისმსახურთა კურთხევაზე და თვით სასულიერო სემინარიის მისაღებ გამოცდებზე. მათი შთანაფიქრისათვის შესატყვისი კონტინგენტის შერჩევის მიზნით. მიზანი კი გახლდათ მრევლზე ზემოქმედება მათ მიერ შერჩეულ ღვთისმსახურთა ურწმუნოებისა და ამორალიზმის მეოხებით, რასაც ნაწილობრივ აღწევდნენ კიდეც. რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს მეთოდად სტალინის შემდგომ პერიოდში რელიგიურ დღესასწაულების წინააღმდეგ მასიური ღონისძიებების ჩატარება მიიჩნეოდა. ჯერ კიდევ 70-იან წლებში, რელიგიური დღესასწაულების დროს, განსაკუთრებით აღდგომა ღამეს, კომკავშირის, რაიკომისა და მილიციის მუშაკების მიერ ტარდებოდა თავისებური ადმინისტრაციული რეიდები ღმერთმსახურებაზე დასასწრებლად მოსული მორწმუნეების წინააღმდეგ. აღდგომა ქართველი ხალხის უსაყვარლესი დღესასწაულია, რამეთუ იგი ქრისტიანული რელიგიის ძირეულ, გარდამწყვეტ მომენტს წარმოადგენს, სიცოცხლის სიკვდილზე, ბოლო ნათლის ბნელზე გამარჯვება. აი რა აღავსებს იმედით და განმსჭვალავს ოპტიმიზმით როგორც ხახარებას, ქრისტეს ცხოვრებისა და ქმედების ამ დიდ ეპოპეას. ასევე კაცობრიობის მთელს ევოლუციას. ქართველი ხალხი განსაკუთრებით გრძნობს აღდგომის დღესასწაულიდან გამომდინარე. უკვდავების იმპულსებს და ამადაც აღდგომა ღამით აწყდება ეგოდენი გულმოდგინებით ეკლესიათა კარიბჭესა და შემოგარენს ლიტურგიის

მოსასმენად. ქართულმა ეკლესიამ არ იცის სხვა უფრო მრავალრიცხოვანი დღესასწაული. კარგად უწყოდნენ რა ყოველივე ეს, ეკლესიის მოწინააღმდეგენი სწორედ ამ დღეს ძაბავდნენ მთელს ყურადღებას. კომკავშირის, პარტიისა და მილიციის გადაცმული მუშაკები აკავებდნენ ლიტურგიაზე მოსულ ახალგაზრდებს და მიჰყავდათ ეკლესიების მახლობლად მოწყობილ სპეციალურ შტაბებში. იქ მათ აშინებდნენ, იწერდნენ სახლის მისამართს, სამსახურის ტელეფონის ნომერს, მეორე დღეს მათ სახელებს გაზეთებშიც აქვეყნებდნენ და დასძენდნენ: „თუმც საბჭოთა კონსტიტუცია სინდისის თავისუფლებისათვის ღაღადებს, მაგრამ ჩვენ ვერ შევურიგდებით რელიგიურ დღესასწაულებში ახალგაზრდების, განსაკუთრებით კი კომკავშირლების მონაწილეობას". როგორც ჩანს, ამგვარ სტატიათა ავტორებს, საბჭოურ კონსტიტუციაში კორექტივის შეტანა განუზრახავთ სადაც განურჩევლად ცხადდება ყველასათვის სინდისის თავისუფლება. განა კულტების ინსტრუქციათა შესახებ კანონებში, სსრკ-ს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რელიგიურ კულტებთან დაკავშირებულმა [illegible] დგინა, მოსკოვში 1961 წელს, არ ეწერა შავით თეთრზე რომ „ხელისუფალთა ადგილობრივი ორგანოების აღმასრულებელი კომიტეტები, სსრკ-ს მინისტრთა საბჭოსთან არსებული კომიტეტი, რომელიც რელიგიურ კულტების ქმედებას უწევს ზედამხედველობას, ასევე მათ მიერ ნდობით აღჭურვილი პირები ადგილზევე მკაცრად უნდა ადევნებდნენ თვალყურს, რათა სსრკ-ს კონსტიტუციის მიერ დადგენილი სინდისის თავისუფლებით უზრუნველყოფილი იქნას ნებისმიერი მოქალაქე; არ უნდა დაიშვას ბრძოლის ადმინისტრაციული საშუალებები რელიგიის წინააღმდეგ (უკანონოდ დახურვა სამლოცველო შენობებისა და ა. შ.), რელიგიურ გაერთიანებათა საქმეებში ადმინისტრაციული ჩარევა, სასულიერო პირების მიმართ უხეში მოპყრობა და მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

მწერლობის მოთვინიერება

განჯგონებულობა

იდეალის თვინიერ სიტყვაკაზმული მწერლობა არ არსებობს. ზოგჯერ აშკარად არის ეს იდეალი გამოსახული და ზოგჯერ — ფარულად. მაგრამ იგი ყოველ ნაწარმოებში არსებობს.

თეისტურ საზოგადოებაში იდეალის პოვნა იოლია. იგი ღმერთია და ადამიანი, როგორც არასრულყოფილი არსი, მოვალეა, „სწრაფ-ვოდეს იმ ზნესრულობისაკენ, რასაც უფალი განასახიერებს. იდეალის პოვნა ძნელია და რთული ათეისტურ საზოგადოებაში, რამეთუ აქ ღმერთი უარყოფილია და მწერლობამ არ უწყის ნათლად და მკაფიოდ — ვინ უნდა აღიაროს იდეალად.

„კაცია-ადამიანი?!"-ში ილია მიმართავს ლუარსაბ თათქარიძეს კითხვით — „წირვა-ლოცვას არ ვაკლებდით. რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა, იყავ შენ სრულიო". აბა, ან ერთს წამს სიცოცხლეში მაგისათვის სცდილხარ?.."

თუ ათეისტური საზოგადოების ლუარსაბ თათქარიძეს მივმართავდით ამგვარივე კითხვით, მაშინ ვინ უნდა დაგვესვა ზეციერი მამის ანუ ღმერთის ადგილას? ვისებრ სრულყოფილებისაკენ შეიძლებოდა მოგვეწოდებინა? ამ კითხვას ვერ ვუპასუხებთ. რაკი ღმერთი უარყოფილია, რჩება მხოლოდ ადამიანი. ადამიანი კი, როგორიც უნდა იყოს იგი, მაინც ადამიანია, ე. ი. არასრულყოფილი არსია. მწერლობის წინაშე დგას გადაულახავი დაბრკოლება. ჯერ ერთი, როგორ აქციოს არასრულყოფილი არსი სრულყოფილად და მეორეც, რა აზრი აქვს. ერთ არასრულყოფილს მოუწოდო მიბაძოს მეორე არასრულყოფილს? ეს გარემოება ქმნის აბსურდულ მდგომარეობას.

აქ მახსენდება ერთი შემთხვევა, მომხდარი ჩემს ბავშვობაში, როცა პირველად მიმიყვანეს სკოლაში.

ყველაფერი პირველი იყო: პირველი სექტემბერი, პირველი გაკვეთილი, პირველი მასწავლებელი, კლასის პირველი ამხანაგები.

მზით გაჩახჩახებულ ოთახში მაგიდასთან იდგა ძაძებში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი. ხელში ეჭირა ხაკლასო ჟურნალი და მოწოტონური ხმით კითხულობდა მოწაფეთა გვარებს. კითხვა დაამთავრა, ჟურნალი დადო და აგვათვალ-ჩაგვათვალიერა. იგი დუმდა. კლასიც სულგანაბული მისჩერებოდა, რას იტყოდა მასწავლებელი პირველად.

როგორც იქნა მასწავლებელმა პირველი კითხვა დაგვისვა:

— ბავშვებო, ვინ გიყვართ ყველაზე უფრო?

თითქოს ბომბი გასკდაო, ისე ამოვარდა ჩვენი გულებიდან სიხარულის ყიყინა. კითხვა ადვილი იყო. პასუხის გაცემა ყველას შეგვეძლო. ყველას გვწვავდა თავგამოჩენის სურვილი.

როგორც იქნა, მასწავლებელმა მიუშვირა თითი ერთ-ერთ ჩვენთაგანს. იგი წამოხტა და რიხიანად უპასუხა:

— დედა!

— არ არის სწორი! — მკაცრად თქვა მასწავლებელმა — დაჯექი!

გაკვირვების ტალღამ გადაუარა კლასს, მაგრამ ენთუზიაზმი მაინც არ გამქრალა: თუ დედა არა, მაშასადამე, მამა უნდა გვიყვარდესო... და კლასი კვლავ ბობოქრობდა. მასწავლებელმა მეორე წამოაყენა. პასუხი ისევ რიხიანი იყო.

— მამა!

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელს უკვე ნერვიულად უთრთოდა ხახე.

— არ არის სწორი, არა! დაჯექი!

კლასში ენთუზიაზმი გაქრა. აშკარა დაბნეულობამ დაისადგურა. მხოლოდ გაბედულები არ ცხრებოდნენ და ისმოდა პასუხი:

— ბებია!

— ბაბუა!

— და!

— ძმა!

ძარღვებაშლილი მასწავლებელი ოთახში დარბოდა და ცივი ხმით ჰკიოდა: — არ არის სწორი! არ არის სწორი!

კლასი დადუმდა. გაჩუმდა და გაიტრუნა. ოღლი კითხვის პასუხი ურთულესი აღმოჩნდა. თავზარდაცემული ვცადაბებდით. მასწავლებელი კარგა ხანს ჩუმად მოგვჩერებოდა. მერე დაცინვით შემოგვხედა და ღვარძლიანი ხმით იკითხა:

— როგორ, ბავშვებო, თქვენ ლენინი არ გიყვართ?

ამის გაგონება იყო და მთელმა კლასმა დაუფიქრებლად ერთხმად ვიბღავლეთ:

— გვიყვარს, გვიყვარს, გვიყვარს!

მიდიოდა დრო და თანდათან გახაგები ხდებოდა, რომ თეისტური საზოგადოების იდეალი ღ მ ერ თ ი სსრკ-ის ათეისტურ საზოგადოებაში იცვლებოდა პ ა რ ტ ი უ ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი თ, უფრო ზუსტად, კომუნისტით. რაკი კომუნისტის იდეალურ განსახიერებად ლენინი ითვლებოდა, იგი იკავებდა ღმერთის ადგილს. მუშავდებოდა და ინერგებოდა ფორმულა — არ არის ღმერთი, გარდა ლენინისა... ამის გაცნობიერება მკაფიოს ხდიდა, რომ სსრკ-ში ბატონდებოდა ახალი რელიგია — მარქსიზმ-ლენინიზმი.

თუ არ ვცდები, ქართულ მწერლობაში მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიად პირველად გეორგი ქიქოძემ მოიხსენია. „მართალია ჩვენი პლანეტა დიდია, ახალი რელიგიის (ე. ი. მარქსიზმ-ლენინიზმის — ა. ბ.) მიმდევარნი კი ჯერ მცირე რიცხოვანნი არიან, მაგრამ განა განახლება ყოველთვის რჩეულ უმცირესობას არ დაუწყია?"[1] მერე ნ. დუმბაძემაც რელიგიად მონათლა მარქსიზმ-ლენინიზმი. „— ჩემი რელიგია (ე. ი. მარქსიზმ-ლენინიზმი — ა. ბ.), ბატონო იორამ, ჯერ ასი წლისაც არ არის და იმდენი მორწმუნე ჰყავს, რომ თქვენს რელიგიას (ე. ი ქრისტიანობას — ა. ბ.) არც კი დასიზმრებია".[2]

სხვათა შორის, კომუნისტები რომ არც ისე თავგამოდებული ათეისტები არიან, როგორც თავს გვაჩვენებენ, კარგად ჩანს ჰო-ში-მინის ანდერძშიც. ციტატა საგანგებოდ მოგაქვს ბოლოსული თარგმანით.

Поэтому я оставляю эти несколько строк, чтобы, для всего нашего народа... не было полной неожиданностью если я уйду к Марксу, Ленину и другим революционерам старшего поколения (Из завещания Хо Ши Мина, Ханой, 1969 г.).

როგორც ხედავთ, ჰო-ში-მინი კი არ კვდება, არამედ მარქსთან და ლენინთან მიდის. ეს არ არის მხატვრული თქმა. აქ იმ ქვეყნად გადასახლების რწმენაა გამომეღავნებული.

კომუნისტების დამოკიდებულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი რომ რელიგიურია და არა მეცნიერული, ამას ბევრი ნიშანი ადასტურებს.

პ ი რ ვ ე ლ ი. მარქსიზმ-ლენინიზმი სსრკ-ში გამოცხადებულია ზემეცნიერებად. იგი მიჩნეულია ერთადერთ და უცდომელ მოძღვრებად. მისი ცოდნა სავალდებულოა ყოველი მოქალაქისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმის კრიტიკა სასტიკად აკრძალულია. ნებადართულია მხოლოდ მისი ხოტბა-დიდება.

თუ მარქსიზმ-ლენინიზმი მეცნიერებაა, მაშინ მისი კრიტიკა, მისი დიდებულების გადაფასებაც უნდა იყოს შესაძლებელი. მოგეხსენებათ, არ არსებობს მეცნიერება, რომელიც არ ცდება და რომლის დებულებებიც არ ძველდება. ასე რომ არ იყოს, მაშინ მეცნიერება ერთ ადგილს გაქვავდებოდა და შეუძლებელი იქნებოდა წინსვლა. კომუნისტების სიტყვით კი, მარქსიზმ-ლენინიზმში არაფერი ძველდება, ყველა დებულება უცვლელი და მარადიული ჭეშმარიტებაა.

რაკი განსჯა, მსჯელობა, გადაფასება გამორიცხულია, რჩება ერთადერთი გზა — რწმენა. მარქსიზმ-ლენინიზმი განუსჯელად და ბრმად უნდა იწამო. განუსჯელი და ბრმა რწმენა რელიგიის თვისებაა და არა მეცნიერების.

მ ე ო რ ე: ზემოთ მოვიხსენიე ფორმულა — არ არის ღმერთი გარდა ლენინისა — მაგრამ ბოლომდე არ მითქვამს რა სახე აქვს მას. სრული სახე ამ ფორმულისა ასეთია: არ არის ღმერთი, გარდა ლენინისა და სკკპ ცკ გენერალური მდივანია მისი მოციქული. ამ ფორმულაში ლენინის ადგილი მუდმივი და შეუცვლელია. ვაკანტურია მხოლოდ მოციქულის ადგილი და მას შესაბამისად იკავებს ის, ვინც სკკპ გენერალური მდივნის ტახტზე ზის.

სტალინის დროს: არ არის ღმერთი, გარდა ლენინისა და სტალინია მისი მოციქული.

ხრუშჩოვის დროს: არ არის ღმერთი, გარდა ლენინისა და ხრუშჩოვია მისი მოციქული.

ბრეჟნევის დროს: არ არის ღმერთი, გარდა ლენინისა და ბრეჟნევია მისი მოციქული.

სანამ მოციქული ანუ სკკპ ცკ გენერალური მდივანი ცოცხალია და პოსტი უჭირავს, ისიც

1 „ალიფიონი", № 1, გვ. 375.

2 ნ. დუმბაძე — „მარადისობის კანონი", 1978 წ., გვ. 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთივე უცდომელი და უცოდველია, როგორც ლენინი. თუ კომუნისტი მოციქული, ანუ სკკპ-ს გენერალური მდივანი მოკვდა ან მოხსნეს, მაშინ იგი უეჭველ ცოდვებით არის სავსე. ყველა დანაშაული და ბოროტება მას უნდა დაბრალდეს. თურმე ლენინის მოძღვრება ვერ გაუგია, ვერ აუთვისებია და ამიტომ მომაკვდინებელი შეცდომები დაუშვია. ახალ მდივანს კი ზუსტად და შეუცდომლად ესმის მარქსიზმ-ლენინიზმის არსი და, ლენინის დროშით, პირდაპირ კომუნიზმისაკენ მიუძღვება საბჭოთა ხალხს.

ასე მარტო სსრკ-ში არ არის, ასევე სხვა კომუნისტურ ქვეყნებშიც.

ერთხელ ხელში ჩამოვარდა რუსულად გამოცემული კორეელი ლურნალი „კორეა სეგოდნიაჩ" (1990 წ. № 9). გადავათვალიერე იგი და რას ვხედავ — ოურრე კორეელები ისევე ალმერთლენენ კიმ-ირ-სენს, როგორც საბჭოელი მოქალაქეები ლენინს. რა ეპითეტებით არ ამკობენ ამ ეურნალში კიმ-ირ-სენს!

მშობლიური ხელმძღვანელი — მამა,

მარშალი — მამა,

ერის სხე,

დიდი ხელმძღვანელი,

ლეგენდური გმირი,

დიდი ამბაბაგი,

ფოლადის მხედართმთავარი,

უპრეცედენტო მხედართმთავარი ზეცით მოვლენილი.

დედამიწაზე უყველაზე გამოჩენილი ადამიანი, კაცობრიობის გადამრჩენელი...

ეს უკანასკნელი ეპითეტი პირდაპირ გამოაკნებელია სსრკ-ის მოქალაქისათვის. თუ კიმ-ირ-სენი კაცობრიობის გადამრჩენელია, მაშინ ლენინი კინღ

? თურმე ნუ იტყვით და ყველა მოვინისტურ კომუნიზმს თავისი საკუთარი „ღმერთი" ყოფილა და სხვა კომუნისტური ერების „ღმერთებს" არ სცნობს.

საბჭოელი მოქალაქეებისათვის ეს ღმერთი ლენინია, ჩინელებისათვის — მაო ძე დუნი, კორეელებისათვის — კიმ ირ სენი, ვიეტნამელებისათვის — ჰო ში მინი, ალბანელებისათვის — ენვერ ხოჯა, იუგოსლავიელებისათვის — ტიტო, რუმინელებისათვის — ჩაუშესკუ და ასე შემდეგ.

ამის მერე კომუნისტები გვარწმუნებენ, ათეისტები ვართო. როცა ჩვეულებრივი მოკვდავის ამგვარი კულტი და ფეტიშიზმი გაბატონდება, ცხადი და გასაგები, როგორი სულიერ მონობის მსხვერპლი გახდა კომუნისტურმა მოძღვრებამ კაცობრიობის დიდი ნაწილი. რა აქვს საერთო დიქტატორის ამგვარ ფეტიშიზმს ათეიზმთან? ეს თეიზმის ყველაზე მახინჯი ფორმაა. იგი არღვევს ერთ-ერთ უპირველეს ზნეობრივ ცნებას — არა ქმნენ თავისა შენისა კერპნი.

მ ე ს ა მ ე: ქრისტიანულ ფილოსოფიაში ერთ-სებობს ცნება — თეოდიცეი. [illegible] ბილია, ამგვარი ცნების შემოღება აუცილებელი გახდა შემდეგი გარემოების გამო.

ყოველივე არსებული ღმერთის შექმნილია. ღმერთი აბსოლუტური სამართლიანობაა. ამ ორმა დებულებამ დაბადა კითხვა: თუ ყველაფერი ღმერთის შექმნილია, მაშინ ბოროტებაც ღმერთს გაუჩენია. თუ ღმერთი აბსოლუტური სამართლიანობაა, მაშინ რატომღა შექმნა ბოროტება? ამ კითხვას პასუხი სჭირდებოდა და შემოშავდა თეოდიცეი ანუ ღმერთის გამართლება. თეოდიცეი გვეუბნება: მართალია, ბოროტება არსებობს, მაგრამ ღმერთი არაფერშუაშია. ღმერთმა ადამიანს მიანიჭა გონება ანუ კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი. ადამიანმა მათ შორის არჩევანი თავად უნდა მოამდინოს. ღმერთი არ ზღუდავს ადამიანის ნებას. ადამიანის ნება თავისუფალია და უფლებაჩარსილია შეხედულებისამებრ მოიქცეს. თუ ღმერთი განსაზღვრავს ადამიანის ნებას, მივიღებთ მექანიკურ, დაპროგრამებულ კაცს. ეს დაპროგრამებული კაცი, მართალია, ბოროტებას აღარ ჩაიდენს, მაგრამ აღარ იქნება თავისუფალი, გახდება სხვისი ნების ამსრულებელი. სხვისი ნების ამსრულებელი ადამიანი კი აღარ არის ადამიანი. ამდენად, ქრისტიანულ ფილოსოფიაში არსებული ცნება — თეოდიცეი — უფრო ადამიანის ნების თავისუფლების დაცვაა, ვიდრე ღმერთის გამართლება.

კომუნისტებმა კი შექმნეს პარტიადიცეის თეორია, თუმცა ისინი ამ ტერმინს არ იყენებენ. ყველა ბოროტება, რომელიც კი სსრკ-ში ხდება, მიეწერება ცალკეულ პირებს, ხოლო კომპარტია ყოველთვის მართალი, უცდომელი და სწორია.

თუ ქრისტიანული თეოდიცეი ადამიანის ნების თავისუფლების დამცველია, კომუნისტური პარტიადიცეი თრგუნავს, იმონებს ადამიანის ნებას, რამეთუ სსრკ-ში ადამიანს ერთადერთი ოფლება აქვს — კომპარტიის ზედამეფინის განკარგულებათა უსიტყვო მორჩილებით ასრულების უფლება. სხვა აზრი ან არჩევანი პირწმინდად გამორიცხულია. ეს ხდება იმიტომ, რომ კომპარტია ყოველთვის მართალია და თუ ასეა, საპრეტენზიო ან საპროტესტო საბჭოელ მოქალაქეს რა უნდა ჰქონდეს?

მ ე ო თ ხ ე: თუ ქრისტიანისათვის წმინდა ქალაქი იერუსალიმია, მაჰმადიანისათვის — მექა, კომუნისტისათვის ამ ფუნქციას ასრულებს მოსკოვი, თუ რომელიმე კომუნისტი არ ცნობს მოსკოვს კომუნისტური სამყაროს მეჭად, იგი გაწდგომილია და უნდა მოიკვეთოს.

მ ე ხ უ თ ე: რელიგია ყოველი მორწმუნისაგან ითხოვს აღსარებას. მორწმუნემ გულღიად უნდა გაანდოს კულტის მსახურს ფიქრი, განცდა, ჩადენილი საქციელი. ამ გულწრფელობით

იგი დაიმსახურებს ღმერთის კეთილგანწყობილებას, ცოდვების მიტევებას.

აღსარების ნაცვლად კომუნისტებს აქვთ თვითკრიტიკა. თვითკრიტიკის დროს ყოველმა მოქალაქემ კომპარტიის წინაშე გულახდილად უნდა აღიაროს ყველა შეცდომა, დანაშაული, ცოდვა. აქით იგი დაიმსახურებს კომპარტიის კეთილგანწყობილებას და მონანიეს პარტია დიდსულოვნად შეუნდობს.

მ ე ე ქ ვ ს ე: რელიგია იცნობს სამოთხის ცნებას. მარქსიზმ-ლენინიზმი სამოთხეს კომუნიზმით ცვლის. როგორც სამოთხეში, ისე კომუნიზმში სუფევს სრული ჰარმონია, აღკვეთილია ბოროტი და მხოლოდ კეთილი დღესასწაულობს. თუ სამოთხის კარი მართლმორწმუნეთათვის არის ღია, კომუნიზმშიც შევა ის, ვისაც უყოყმანოდ სჯერა მარქსის, ლენინის და სკკპ ცკ ცოცხალი გენერალური მდივნის (თუ გენერალური მდივანი მკვდარია ან მოხსნილია, მისი აღარც უნდა გჯეროდეს და აღარც უნდა გახსოვდეს).

სამოთხესა და კომუნიზმს შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სამოთხეში მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ შეიძლება მოხვდეს მართლმორწმუნე, კომუნიზმში კი ცოცხალი ადამიანები შევლენ, ოღონდ როდის, ეს ჯერ დაზუსტებული არ არის.

მ ე შ ვ ი დ ე: გავრცელების თვალსაზრისითაც მარქსიზმ-ლენინიზმიც იმგვარ საშუალებებს მიმართავს, როგორსაც რელიგია — პროპაგანდასა და ძალადობას. სადაც მარქსიზმ-ლენინიზმის დასამკვიდრებლად სიტყვა არ სჭრის, იქ ცეცხლითა და მახვილით ბატონდება კომუნიზმი.

მ ე რ ვ ე: რელიგია ინახავს წმინდანთა ნეშტებს. მერე მათ მორწმუნენი თაყვანს სცემენ. ასევე აქვთ შენახული კომუნისტებს მავზოლეუმებში ლენინის, მაო ძე დუნის, ჰო ში მინის, დიმიტროვის ნეშტები (თუ გაბრაზდნენ კომუნისტები, შეუძლიათ კომუნისტი წმინდანის ნეშტი მავზოლეუმიდან გამოაგდონ, მაგალითად, სტალინის). ამ მავზოლეუმების წინ ადამიანთა უსასრულო რიგები დგას. ისინი მოდიან, რომ კომუნისტ წმინდანს თაყვანი სცენ.

მერწმუნეთ, თუ კომუნისტებმა კიდევ დიდხანს შეინარჩუნეს რუსეთში ხელისუფლება, ერთ მშვენიერ დღეს მავზოლეუმიდან ლენინის ნეშტი გაქრება და კრემლი გამოაცხადებს — ლენინი ცად ამაღლდა და ღმერთის მარჯვნივ ადგილი დიკავაო. ვინ უწყის, ტერორიზირებულმა საბჭოელმა მოქალაქეებმა შეიძლება დაიჯერონ კიდეც ეს.

მ ე ცხ რ ე: ისევე, როგორც ქრისტიანულ მწერლობას ჰქონდა, კომუნისტურ ლიტერატურასაც აქვს ეგიოგრაფიული ჟანრი. კომუნისტურ ეგიოგრაფიას ეკუთვნის ლენინიადა, სტალინიადა, ძერჟინსკიადა (განსაკუთრებით კინოში), ხრუშჩოვიადა, ბრეჟნევიადა, „წმინდანისადმი" დამოკიდებულებით, მასალების, საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით, ქრისტიანული და კომუნისტური ეგიოგრაფიული მწერლობა გარეგნულად ჰგავს ერთმანეთს. კომუნისტი „წმინდანიც" ისევეა უდრეკელი, უშიშარი, უცდომელი, რწმენისათვის თავდადებული და გაუტეხელი, ერთგული, ყოველგვარი ტანჯვა-წამების გადამტანი, როგორც ქრისტიანი წმინდანი. როგორც ქრისტესათვის სიკვდილი იყო უდიდესი ბედნიერება და ნეტარება, ასევეა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის სიკვდილი უდიდესი ბედნიერება და ნეტარება.

არის განსხვავებაც. ქრისტიანულ ეგიოგრაფიას ტრაგიკული პათოსი აქვს, კომუნისტურ ეგიოგრაფიას კი — პაროდიული. ქრისტიანული ეგიოგრაფოსი რწმენით წერდა, კომუნისტი ეგიოგრაფოსი — დაფარული ირონიით. ქრისტიანული ეგიოგრაფიული თხზულების კითხვის დროს მკითხველი ღრმა მოკრძალებით იმსჭვალება, ხოლო კომუნისტური ეგიოგრაფია ღიმილს ჰგვრის პუბლიკუმს, უნდობლობით მსჭვალავს.

მ ე ა თ ე: ჩვეულებრივი წესია: მორწმუნე მადლობას სწირავს ღმერთს მზრუნველობისა, მფარველობისა და მოწყალებისათვის. სსრკ-ში კი ამგვარი მადლობა კომპარტიას უნდა უთხრა. გაზეთები აჭრელებულია კომპარტიისადმი მიძღვნილი მადლობებით, ყველაფრისათვის (შიმშილისათვისაც კი, ციხეში ჩასმისათვისაც კი) კომპარტიას უნდა გადაუხადო მადლობა. კომპარტია მზრუნველი, მფარველი, მოწყალე. ეს კი საბჭოელ მოქალაქისაგან უსაზღვრო მადლობას და ქედმოდრეკას ითხოვს.

მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე: როცა საბჭოურ გაზეთებში ნეკროლოგებს კითხულობთ, აუცილებლად წაწყდებით ფრაზას — სკკპ წევრი ამა და ამ წლიდან. ეს იგივეა, რაც ეკლესიის დოკუმენტებში აღნიშნული — მართმადიდებელი ქრისტიანი, კათოლიკე ქრისტიანი და ა. შ.

მ ე თ ო რ მ ე ტ ე: საბჭოურ სასწავლებლებში მარქსიზმ-ლენინიზმი ისევე ისწავლება (და ეს აუცილებელია), როგორც 1917 წლის ოქტომბრამდე საღმრთო რჯული ისწავლებოდა.

მაგონდება ჩემი სტუდენტობის დროს გავრცელებული ხუმრობა.

აკად. ივანე ბერიტაშვილისათვის სტუდენტს საგანი ვერ ჩაუბარებია. გაკვირვებულ მეცნიერს მისთვის უკითხავს — რატომ არ იმეცადინეთო? სტუდენტს მიუგია — პარტიის ისტორიას ვსწავლობდი და თქვენი საგნის სწავლა ვეღარ მოვასწარიო. — როგორ, პარტიის ისტორიასაც სწავლობთო, — მთლად გაოგნებულა ივ. ბერიტაშვილი. როცა სტუდენტისაგან დასტური მიუღია, გაუღიმია და უთქვამს — საფრანგეთში უამრავი პარტიაა და ყველას ისტორია რომ ასწავლონ სტუდენტებს, წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგიდგენიათ, როგორ გამოყეყეჩდებიანო!..

საქმე ის გახლავთ, რომ ყველა ამ ისტორიული თუ დიალექტიკური მატერიალიზმის, მეცნიერული კომუნიზმისა თუ კომპარტიის ისტორიის სწავლების მიზანი ერთია: ჩაუნერგონ საბჭოელ მოქალაქეებს მარქსიზმ-ლენინიზმისადმი რელიგიური მოკრძალება.

ყველა ზემორეჩამოთვლილი ნიმუში საბუთია იმისა, რომ სსრკ-ში ათეისტური პროპაგანდის მიზანი იყო და არის ძველი რელიგიების (ქრისტიანობა იქნება, მაჰმადიანობა თუ რომელიმე სხვა) შეცვლა ახლით — მარქსიზმ-ლენინიზმით. დღეს უკვე აშკარაა, რომ კომუნისტების ეს ბრძოლა მარცხით დამთავრდა. ხალხმა დაკარგა მარქსიზმ-ლენინიზმის რწმენა, ზურგი აქცია მას და ისევ ძველი რელიგიისაკენ მიბრუნდა. ამის უტყუარი საბუთია ახალგაზრდობის ლიანდაგური დაინტერესება რელიგიით. მართალია, ოფიციალური პრესა, რადიო-ტელევიზია, სკოლა-სასწავლებელი, ურილობა-კონფერენციები მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველ, უკვდავ და მარადიულ მოძღვრებაზე გაჭკივიან, მაგრამ ინერციით. ნამდვილი მამოძრავებელი მოტორი უკვე დასუსტდა და სადაც არის გაჩუმდება, დადგება და გაჩერდება.

რამ გამოიწვია ეს ასე მალე?

მარქსიზმ-ლენინიზმი სოციალ-ეკონომიკური მოძღვრებაა. მას ეთიკურ-ზნეობრივი ნაწილი არ გააჩნია. თუ ამ კუთხით მარქსიზმ-ლენინიზმი რაიმეს ამბობს, ის უფრო ამორალურია, ვიდრე მორალური. ამას ნათლად დავინახავთ, თუ ქრისტიანული ზნეობრიობის პრინციპების თვალთახედვით განვიხილავთ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის შედეგებს.

ქრისტიანობა ამბობს — არ კაც მკლა.

მკაფიო და ნათელი ზნეობრივი პრინციპია. მართალია, მისი განხორციელება პრაქტიკულად არ ხერხდება, მაგრამ ეს სწორედ იმის საბუთია, რომ ზნეობრიობის დაცვისათვის აუცილებელია მაქსიმალიზმი. ქრისტიანობას თეორიულად არ დაუშვია კომპრომისი. მაგრამ პრაქტიკულად იძულებული იყო ზღვა სისხლი დაეღვარა იმ ცნების დასამკვიდრებლად, რომელიც ღაღადებდა — არა კაც მკლაო. ახლა ნათლად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა მოხდება იქ, სადაც ზნეობრივი კომპრომისის დაშვება შესაძლებლად მიაჩნიათ. სწორედ კომუნისტური მოძღვრება თვლის შესაძლებლად ზნეობრივი კომპრომისის დაშვებას. ასეა, რაკი მარქსიზმ-ლენინიზმის თანახმად, ჯერ ერთი, „დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია".[1] და, მეორეც, ზნეობა კლასობრივია.

თუ კაცობრიობის ისტორიას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ მას, ეროვნული წინსვლისა და აღმავლობის გზით, ეფექტია და მისი უარყოფა შეუძლებელია. ამის გათვალისწინება და მისი შეფარდება დებულებებთან — „დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია" და ისტორიის მამოძრავებელი ძალა კლასობრივი ბრძოლაა — მოგვცემს გამაოგნებელ აბსურდულ დასკვნას: პროგრესის, წინსვლის, აღმავლობის საფუძველი ბოცვა-ულეტა ყოფილა, რამეთუ კლასთა ბრძოლა სხვა არაფერია, თუ არა დაუნდობელი განადგურება ერთმანეთისა. ამას ნათლად ადასტურებს მთელი ისტორია კაცობრიობისა და კერძოდ ის, რაც რუსეთში, ჩინეთსა და კამპუჩიაში მოხდა მე-20 საუკუნეში. მე არ ვიცი, გამოანგარიშებული აქვს თუ არა ვისმეს — რამდენი კაცი დაიღუპა სსრკ-ში სამოქალაქო ომის, კაპიტალისტების, მემამულეების, კულაკობის ლიკვიდაციისა და პარტიული ბრძოლის დროს, ჩინეთში კულტურული რევოლუციის მიმდინარეობისას, კამპუჩიაში პოლ პოტის რეჟიმის ბატონობისას. მაგრამ დარწმუნებული ვარ მსხვერპლთა რიცხვი თავზარდამცემია. ამასთან შედარებით ორი მსოფლიო ომის დროს დაზოცილთა რაოდენობა ზღვაში წვეთად მოგვეჩვენება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ფსიქოლოგიურად მკვლელობამ მიჩვევა იცის, სისხლმა — მოწყურება, ხელმა — გაწაფვა. ასეც მოხდა, სსრკ-შიაც, ჩინეთშიც, კამპუჩიაშიაც, როცა კაპიტალისტები, მემამულეები, კულაკები შემოელიათ, ერთმანეთს დაერიენ და, ყველას კარგად მოეხსენება, რა ცოდვის კალოც დაატრიალეს. ამორალიზმის ჯინი, რომელიც კომუნისტებმა ბოთლიდან ამოუშვეს, მათვე მიუტრიალდა და მუსრი გაავლო. მერედა, შესაძლებელია ეს უსაზღვრო სისხლისღვრა რითიმე პროგრესთან, წინსვლასა და აღმავლობასთან დავაკავშიროთ? ამ კითხვის უარყოფით პასუხს დიდი ჭკუა არ სჭირდება.

კაცობრიობის პროგრესი, წინსვლა და აღმავლობა დაკავშირებულია არა მტრობასთან, სიძულვილსა და ბოცვა-ულეტასთან, არამედ — სიყვარულთან, ნდობასა და პატიებასთან. ეს კანონზომიერება კლასიკური უბრალოებითა და სიცხადით გამოთქვა ილია ჭავჭავაძემ — „რაც მტრობას დაუცევია, სიყვარულს უშენებია".

ზნეობის კლასობრივად გამოცხადებამ ბოროტმოქმედებამდე მიგვიყვანა. ჩამოყალიბდა დამნაშავე ადამიანი, რომლის პრიმიტიული „მორალი" ამბობს: თუ მოვკლავ კაპიტალისტს, ბურჟუაზს, მემამულეს, კულაკს ეს სიკეთელია, თუ მოვკლავ მუშას ან გლეხს — ეს კი ბოროტება. ამ ზნეობის ადამიანები იწყებენ ბოროტმოქმედებით, კერძოდ მკვლელობით, კვეხნას.

„მონაწილეობას ვღებულობდი ტერორის-

---

1 მარქსი, ენგელსი — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". 1954 წ., გვ. 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტულ აქტებში — სადგ. გრაკალში მოკვალი ცნობილი ჯაშუში კოშაძე და გორის ხიდზე ციცეშვილი, რომელიც დავალებული მქონდა გორის ორგანიზაციის ერთი ჯგუფისაგან"[1] თავს იწონებს ერთი რევოლუციონერი.

„ჩემ მიერ გავლილ რევოლუციურ მუშაობაში მოვახდინე სამჯერ ტეროროისტული აქტი: ტფილისში 1899 წ., ბაქოში 1908 წ., და ფინლიანდიაში 1907 წელს"[2] — ტრაბახობს მეორე.

რევოლუციონერთა გადაწყვეტილებით, უნდა მოეკლათ გენერალი გრიაზნოვი. „აქტის ხასრულეში მოყვანა ამბ. ჯორჯიაშვილს დაავალეს და. დამიძახა კობამ (დღეს სტალინმა) და მითხრა: მოამზადე რამდენიმე ყოჩაღი ბიჭები და ერთ კვირაში თუ ჯორჯიაშვილმა ვერ შეასრულა. შემდეგ შენ მოგანდობთო, მე ძალიან გამეხარდა. დავამზადე კიდევ ორი ამხანაგი და ველოდებით ერთ კვირას. ამხანაგმა ჯორჯიაშვილმა ჩინებულად შეასრულა თავისი მიანდობილობა და მე კი დამტოვა პირლიკ"[3] — გულდაწყვეტილია მესამე.

ბევრი ამგვარი ციტატის მოტანა შეიძლება. ცხადია, ამ კვეხნაში გაკვირვებთ არა ის, რომ ბრძოლის, რევოლუციის დროს მკვლელობა ხდება. ეს ჩვეულებრივი ამბავია. გაოცებთ, დამოკიდებულება მკვლელობისადმი, ის სიხარული, შინაგანი კმაყოფილება, გამოწვეული კაცის მოკვლით, რასაც ზემორეციტირებული სტრიქონების ავტორები ამყღავნებენ. ისინი სრულიად არ სწუხან იმის გამო, რომ მიზნის მისაღწევად იძულებული იყვნენ კაცი მოეკლათ და სისხლიანი გზა გაევლოთ.

ყველა რევოლუციის ისტორიისა და გამოცდილების გათვალისწინება ერთ დასკვნამდე მიგვიყვანს:

რევოლუცია და რევოლუციონერი უზნეობის ღრმა პატივისმცემელი არიან. უზნეობა მათ ძლიერებად მიაჩნიათ და ამიტომ ეთაყვანებიან. ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება, მაგრამ ახლა გაგახსენებთ ერთს. რუსული „ნაროდნაია ვოლიას" კართველ მიმდევართა შორის იყო ერთი შიო დავითაშვილი (თუმცა თავად „დავიდოვ" ფორმას ამჯობინებდა და მოგონებანიც ასეთი ხელმოწერით აქვს გამოქვეყნებული), რომელსაც იუდა ქრისტეზე დიდ პიროვნებად მიაჩნდა. იგი ხაზოგადოებას უმტკიცებდა:

„ეკითხულობდი რა სახარებას, ჩემი ყურადღება მიიპყრო იუდა ისკარიოტელის ფიგურამ. რატომ გასცა მან თავისი მასწავლებელი, ნუთუ 30 ვერცხლისათვის, რა გინდ თვალსაჩინოთ უნ. და ეოფილიყო ეს თანხა ამ [illegible] ქრისტეს ასის ხაზინადარი [illegible] გამცემსა და ბოროტ [illegible] ძლო ხელთ ეჭიდა. ასეთი [illegible]? შევადარე რა ერთმანეთს სახარებაში გადმოცემული ფაქტები ქრისტესა და იუდას ურთიერთობას შესახებ, მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ იუდა არა თუ არ იყო გამცემი, არამედ, როგორც იდეური მოღვაწე, იგი ზოგიერთი მხრით ქრისტეზე მაღლაც იდგა. და მართლაც, თუ ეკუთვნოდეთ ქრისტეს სასწაულმოქმედ ძალას, მაშინ ცხადია, რომ ყველა ასეთი სასწაული, როგორც მაგ. წყლის ღვინოდ გადაქცევა ან ბუთი პურით 5 000 კაცის დასაურება, — არის არა ქრისტეს მიერ მოხდენილი სასწაული, არამედ სხვა შეთქმულთა და, უმთავრესად, იუდასი, როგორც ხაზინადარისა, რომელიც გაანაგებდა სამეურნეო ნაწილს. იყო შეთქმულთა მთელი ჯგუფი, რომელიც სარგებლობდა ქრისტეს ეკზალტიური ბუნებით და შეპყრობილი ჰყავდა იგი ჩიპნოზით, ჯგუფი უკარნახებდა ქრისტეს. ხოქვი ახე და ახე და მოზდება სასწაულიო. იესო ხანგამოშვებით ურჩობდა: „არ დამდგარა ჯერ ჩემი დროო", მაგრამ მას არ ეხსნებოდნენ, როგორც ანას ქონდა აღგილი წყლის გადაქცევის დროს ღვინოდ და მისი ვედრება ქმნიდა სასწაულს. მას უთხრეს, რომ იგი უნდა მოკვდეს და კვლავ აღსდგეს სამი დღის შემდეგ და ავი ემორჩილება ამ წინასწარმეტყველებას სიტყვათ და ხაქმით. ბოლოს უკანასკნელ „წმინდა სერობას" ქრისტემ უთხრა თავის მოწაფეთ: „რომელმან შთაბეყოს ჩემთან ხელი პიალასა ამას ამან მიმცეს მე". იუდამ აიღო პურის ნაჭერი და ჩაუწია ხამარილეში. იესომ უთხრა იუდას: „წადი და ქმენ რაცა ეურს". იგი აღგა და მიატოვა მასწავლებელი. ქრისტემ იცოდა ხად მიდიოდა იგი და იუდამაც იცოდა ხად წაიყვანდა ქრისტე თავის მოწაფეთ, იმის ნაცვლად, რომ მიეცა მათ დასვენების ხაშუალება „სერობის" შემდეგ, და იუდას მიეყვანა მცველნი ბაღში, ხადაც შეიარაღებული მოწაფენი პირველად იცავენ იესოს. ყოცნა და სხვ. ყველაფერი ეს მოხდა წინასწარი შეთანხმებით, „რათა ეოწაფეებში გაძლიერებულიყო რწმენა" ქრისტეს ღვთაებრიობისა. ბოლო, როგორ დასრულა იუდამ თავისი მისია? მან ხანში მიაყარა მღვდელმთავრებს ყველა 30 ვერცხლი და თავი დაიხრჩო... ამ გვარად, ქრისტე მიდიოდა რა სიწამებლად დარწმუნებული იყო, რომ ან არ მოკვდებოდა (უკანასკნელ წუთამდე აღვიძებდა მის გულში იმედს ეს — „ან, ან"), ან და კიდევ მეტი დიდებით აღსდგებოდა მესამე დღეს მკვდრეთით, ხოლო იუდამ დაისაჯა რა თავი,

შეგნებულად მისცა თავისი ხახელი ნუკვლაკრულვას. ასეთი მსხვერპლი ისტორიაში არ მოიპოვება. და ამ მხრით იუდა, როგორც

---

1 ეურ. „რევოლუციის მატიანე", 1923 წ., № 2, გვ. 160.

2 იქვე, № 4, გვ. 212.

3 იქვე, გვ. 56.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეური მუშა და მოწამე უსათუოდ მაღლა სდგას ქრისტეზე".[1]

რაკი რევოლუციას მიზნის მისაღწევად სხვა ძალა არ გააჩნია, გარდა ძალადობისა და მკვლელობისა, იგი ბუნებრივად იწყებს უზნეობის ბოტბას. ყოველნაირი ავკაცობის გამართლებას. აღარ ფიქრობს იმაზე, რა შედეგი მოჰყვება ამას. როგორ შეგნებას ჩამოაყალიბებს. მეტი თუ არა ორი ათასი წელი მაინც იქნება, რაც კაცობრიობას მუდამდღე ესმის — ნურავის მიაგებთ ბოროტს ბოროტის წილ, წინასწარ განიზრახეთ კეთილი ყოველი კაცისათვის, რამდენადაც შესაძლებელია, ყოველ კაცთან მშვიდობიანად იცხოვრეთ, თუ შიოდეს შენს მტერს, პური მიეც, თუ სწყუროდეს — წყალი ასვი, კეთილით სძლიე ბოროტს... (პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ, თავი XII, მუხლები — 17, 18, 19, 20, 21). და მაინც ადამიანი ყოველგვარ ბოროტებას სჩადის. ახლა წარმოიდგინეთ, რას გააკეთებს ადამიანი საზოგადოებაში, სადაც ღმერთი უარყოფილია. იგი გადაიქცევა მხეცად, რადგან ღმერთის უარყოფა იმას ნიშნავს, რომ გაუქმებულია ზნეობა. ხოლო იქ, სადაც ღმერთი და ზნეობა უარყოფილია, უარყოფილია ადამიანიც. მხოლოდ ამგვარ პირობებშია შესაძლებელი წამოცდეს პოეტს, თუნდაც უნებლიეთ — „მე დავლევ სისხლს, რომ ჭიქაში სისხლი დამისხათ". უარესსაც მოისმენთ — „ბობოლებივით მავნე მგოსნებს გაანადგურებს სოციალისტურ მშენებლობის ცხელი ღადარი".[2] ეს არ ყოფილა შემთხვევით წამოსროლილი ფრაზა. ეს გეგმაზომიერი ზნეობრივი პოლიტიკის ლოგიკური დასკვნა იყო. როცა ეს აღსრულდა და მართლაც გაიმართა სახელმწიფო მოღვაწეებისა და მწერლების განუკითხავი ხოცვა-ულეტა, გაზეთები გადაჭრელებული იყო ამ ფელური აქტის მოწონებითა და ქებით.[3]

ასეთ ვითარებაში მწერლობის სრული დეჰუმანიზაცია ხდება. იგი კარგავს იდეალს. იქცევა მთავრობის ხელში სათამაშო ტიკინად. კისრულობს როგორც თავისთავის, ისე სხვისი ჯალათის როლს და ერთგულად ასრულებს ამ მოვალეობას. ავიწყდება უმთავრესი (ურომლისოდაც არ არსებობს სიტყვაკაზმული მწერლობა და ხელოვნება), რომ ყოველ ადამიანში არის ერთიანი სულიერი საწყისი, რაც სიყვარულის საფუძველია. რასაც ქადაგებდა ქრისტე, რასაც ქადაგებდნენ კონფუციუსი, ლაოძე, სოკრატე, ბუდა, რამა-კრიშნა, მარკუს ავრელიუსი. თუ ნაძალადევად და ხელოვნურად ამ ერთიან საწყისს კლასობრივად დაანაწილებ, მაშინ სიყვარულის ადგილს სიძულვილი ჭერს, კეთილისას — ბოროტი. ძნელად ზნეობრიობა ვრცელდება, თორემ ამორალიზმი თვალისდახამხამებაში იპყრობს ყველას. მათ შორის მწერლობასაც. მხატვრული ლიტერატურის კლასობრიობის პროპაგანდა ამორალიზმია, რაც არსებითად მწერლობისა და ხელოვნების დაღუპვის საწინდარია.

დავაკვირდეთ სხვა ზნეობრივ მცნებასაც. არა იპარო — ქადაგებს რელიგია. აქაც მოთხოვნა მაქსიმალისტურია. მიუხედავად ამისა, ადამიანი მაინც ჭურდობს. უფრო მეტიც: ეკლესიის მსახურთა შორისაც არიან მპარავნი. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ამ მცნების დასაცავად შეუძლებელია დავუშვათ კომპრომისი, შევხედოთ მას კლასობრივი თვალსაზრისით. ყველა ჯურის რევოლუციას და რევოლუციონერებს (ცხადია, კომუნისტებსაც) დასაშვებად მიაჩნიათ ექსპროპრიაცია. თვლიან მას სამართლიანობის გამოვლენად: სამართლიანობის ეს იდეალი, მოგეხსენებათ, „არსენას ლექსში" ასეა ჩამოყალიბებული: „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა". მაგრამ წართმევით თანასწორობისა და სამართლიანობის განხორციელების ცდა უაჩაღური პრინციპია (ლექსშიც უაჩაღი ახორციელებს მას). განა საზოგადოებას შეუძლია უაჩაღის პრინციპით იცხოვროს? რა თქმა უნდა, არ შეუძლია, რადგან საზოგადოების იდეალი შრომით ცხოვრების პრინციპია. საზოგადოება, რომელიც შრომას უარყოფს, იშლება და იღუპება. სხვათა შორის, ყოველი უაჩაღის უბედურებაც ის არის, რომ იგი შრომას წყდება და არსებობს წართმევის საშუალებით. ამიტომ იღუპება ყოველი უაჩაღი, მათ შორის არსენაც.

წართმევის პრინციპი ანუ ექსპროპრიაცია შრომის პრინციპს უპირისპირდება. ამიტომ არის იგი ანტისაზოგადოებრივი პრინციპი. რევოლუციონერთა შორის გონიერთ ესმით ეს და ისინი ეწინააღმდეგებიან ექსპროპრიაციას, როგორც ზნეობრივად უაღრესად საშიშ მოვლენას. კომუნისტებს შორისაც ყოფილა ექსპროპრიაციისადმი დამოკიდებულების სხვადასხვაობა.

„იმ დროს (1905-7 წლების რევოლუციის — ა. ბ.) ორი მიმართულება არსებობდა პარტიაში ამ კითხვების შესახებ. მენშევიკები გმობენ ექსებს[1] (თუმცა ტფილისში კი აკეთებენ) იმ მოსაზრებით, რომ ექსები პარტიულ ამხანაგებს რუვნისო. ეჩვევა მუქთახორობას, პირდაპირი პარტიული მუშაობიდან ხრის ძარცვაგლეჯისაკენ. ფსიხოლოგია უფუქდება და ბო-

1 შ. დავიდოვი — მოგონებანი („რევოლუციის მატიანე", 1923 წ., № 4, გვ. 191-192).

2 ეურ. „პროლეტარული მწერლობა", 1931 წ., № 1-2. გვ. 101-102.

3 იხ. მაგალითად, „ლიტერატურული საქართველო", 1937 წ., 10 თებერვალი, 15 მაისი.

1 ექსები — ექსპროპრიაცია.

ლო ხანებში „ეკსებსაც" პარტიული ელფერი ეკარგება.

ბოლშევიკები სულ წინააღმდეგი აზრისანი იყვნენ: სახელმწიფო „ეკსები" და ხანდახან ტერორისტული აქტებიც პარტიზანული ომის ნაწილია, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს მთავრობის მეხანიზმში".[1]

როგორც ვხედავთ, ზოგიერთ რევოლუციონერს ზუსტად შეუმჩნევია ექსპროპრიაციის ანუ წართმევის პრინციპის ზნეობრივი შედეგი — გარყვნა, მუქთახორობა, ძარცვა-გლეჯა, უშრომელი ცხოვრება. სოციალისტურმა სინამდვილემ პრაქტიკულად დაადასტურა ამ დასკვნის სიმართლე. სსრკ-ში ტოტალურად გავრცელებული ქურდობა, ფლანგვა და ამგვარი სხვა დანაშაული მორალურად პირდაპირი რეზულტატია წართმევის ანუ ექსპროპრიაციის პრინციპისა, რასაც ადრე სხვის წინააღმდეგ იყენებდნენ იარაღად.

რევოლუციამდე არსებობდა მქონებელთა კლასი. უქონელთა კლასი ძარცვავდა მას. რევოლუციის შემდეგ მქონებელთა კლასი მოსპეს. დარჩა მარტო უქონელთა კლასი. მისი ცნობიერება კი მოწამლულია წართმევის პრინციპით. ექსპროპრიაცია მიაჩნია სამართლიან საქმედ. მაგრამ გასაგირშია: ძარცვა-გლეჯისათვის მქონებელთა კლასი აღარ მყავს, გაანადგურა. იგი, ნებით თუ უნებლიეთ, იწყებს კლასობრივი თანამოძმის გაქურდვას. უფრო მეტიც, თავისთავის გაძარცვას. ამორალური პრინციპი ბუმერანგივით შემოტრიალდა ექსპროპრიაციის მოტრფიალეთა წინააღმდეგ.

როცა სსრკ-ში არაოფიციალურად ქურდობა გამოცხადდა არსებობის ერთადერთ წყაროდ და საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელმა პირვა დაიწყო, პროფესიონალი ქურდი ზნეობრიობის შარავანდედით შეიმოსა.

რატომ მოხდა ეს? პროფესიონალ ქურდს არ დაუწყია ნიღბის ტარება, თვალთმაქცობა, სხვისი მოტყუება. თავი არ გაუსაღლებია პატიოსან კაცად. ქურდობისათვის რაიმე საპატიო სახელი არ დაურქმევია. არაპროფესიონალი ქურდები კი ტყუიან, თვალთმაქცობენ, ნიღაბს ატარებენ, გაუთავებლად ლაყბობენ სინდისნამუსზე. ყველას ჭკუას ასწავლიან, საზოგადოების ბურჯად მოაქვს თავი. ხელთ უპყრიათ ნაირნაირი თანამდებობანი, ატარებენ ნაირნაირ საპატიო წოდებებს, არაჩხუნებენ ნაირნაირ ჩინ-მედლებს... როცა რიგითმა მოქალაქემ, უბრალო მშრომელმა ერთმანეთს შეადარა ორი ქურდი — პროფესიონალი და არაპროფესიონალი, — აღმოჩნდა, რომ პირველი გაცილებით ალალი, გულწრფელი და სუფთაა, ვიდრე მეორე. მას ბუნებრივად გაუჩნდა პროფესიონალი ქურდის პატივისცემის გრძნობა.

1 ქურნ. „რევოლუციის მატიანე", 1923 წ., № 4, გვ. 58.

დაპატიმრებულ ახალგაზრდა მებრძოლს ეკითხებიან:

„— ვინ მიგაჩნიათ ყველაზე მოსახიბლად მიანად ქუთაისში?

— კუკურია თვალება... ჯონი ჯინჭველაძე ღა...

ვინ არიან ისინი? — ქურდული „ელიტის" წარმომადგენლები..."[1]

ეს განწყობილება ლიტერატურაშიც აისახა. ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონში" სნეული ბაჩანა რამიშვილის სანახავად მრავალნაირი ადამიანი მოდის. მაგრამ არც ერთ მათგანს გულწრფელად არ აინტერესებს ავადმყოფის მდგომარეობა. ყველას ერთი მიზანი აქვს: ისარგებლონ ბაჩანას ავტორიტეტით და თავისი ავკაცური საქმე მოაგვარაკონ. ერთადერთი კაცი, ვინც ალალად არის შეწუხებული რამიშვილის ავადმყოფობით და გულით სურს რითიმე დაეხმაროს, ვახტანგ ამბოკაძეა. და თუ გაოცებული იორამივით, ჩვენც ვიკითხავთ — ვინ არის ეს ღვთისნიერი კაცი, — პასუხად მივიღებთ — ქურდი, პროფესიონალი ქურდი.

ცხოვრებაშიაც და მწერლობაშიაც ნათლად ჩანს, ცხოვრების სოციალისტურმა წესმა რა ზნეობრივ სიღატაკემდე მიიყვანა ადამიანი. სოციალიზმს აქ თავის მართლება არ შეუძლია, რადგან სწორედ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელი ბრძანებს: „ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას".[2] ამ დებულების თანახმად, უნდა ვალიაროთ, რომ საბჭოელი ადამიანის მიერ ქურდის იდეალად გამოცხადება განსაზღვრულია და გაპირობებული სოციალისტური სინამდვილის ყოფიერებით. ამიტომ არის, რომ ე. წ. „ნეგატივური მოვლენების" წინააღმდეგ პრესაში გაჩაღებულ ყაყანს არავითარი შედეგი არ მოაქვს. საბჭოელი ადამიანი მშვიდად აგრძელებს ქურდობას, ფლანგვას, ქრთამის აღებას, ხალტურას, კომბინაციას, გამოძალვას... კარგად იცის რომ სხვაგვარად ვერ იარსებებს.

ამ მდგომარეობის წყალობით, საბჭოურ ლიტერატურაში გაუგონარი მოვლენა მოხდა: რეციდივისტი, ხისხლის სამართლის დამნაშავე გამოყვანილია, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართველი ძალა.

ეს პროცესი აქტიურად ქართულ მწერლობაში 60-იან წლებში დაიწყო და თანდათან ძლიერდება. ამის საბუთად შეგიძლიათ წაიკითხოთ გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი", ვანო ურჯუმელაშვილის „ფერისცვალება", გი-

1 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1981 წ., 12 სექტემბერი.

2 კ. მარქსი — პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953 წ., გვ. 10.

ორგი ციციშვილის „სძლიე სიბარბესა შენსა", რამაზ კობიძის „გვიმრის ფოთლები", და სხვათა მოთხრობანი თუ რომანები. რა თქმა უნდა, მათი მხატვრული ღირებულება სხვადასხვაა, მაგრამ ლიტერატურაში შემოსულ მოვლენას ნათლად გვიჩვენებენ. განსაკუთრებით მკაფიოდ იგი დრამატურგიაში ჩანს. იშვიათად წაიკითხავთ პიესას, რომლის კონფლიქტი ქურდისა და არაქურდის დაპირისპირება არ იყოს.

მწერლობის მოყვარულმა ყოველმა მკითხველმა იცის, რომ ყველა დროის და ყველა ხალხის მწერლობაში (ასე იყო ქართულ ლიტერატურაში XIX-იან წლებამდე) რეციდივისტი ჩვეულებრივ დახატულია როგორც საზოგადოების ცხოვრებიდან მოკვეთილი პირი, როგორც პარია. სხვანაირად არც შეიძლება. რეციდივისტად ხდება ადამიანი, რომელიც სხვადასხვა გვარი უსამართლობის შედეგად აცდა ცხოვრების პატიოსან გზას და ბოროტმოქმედების შარას დაადგა. რეციდივისტი, უბედური ყისმათის გამო, შეიძლება იწვევდეს სიბრალულს, დასაშვებია გაჩნდეს მისი გადარჩენის სურვილი, მაგრამ არსად არასოდეს იგი სოციალურ ძალას არ წარმოადგენდა. რეციდივისტი გამოთიშულია თავისი საზოგადოების, თავის კლასის სოციალურ ცხოვრებას. ამიტომ არის უძლური და განწირული დასაღუპავად. მას, როგორც დეკლასირებულ ელემენტს, არა აქვს არავითარი ძალა, რომელიც საზოგადოების ცხოვრებაზე რაიმე გავლენას მოახდენს. ადრე მწერლობა რეციდივისტს უყურებდა, როგორც მსხვერპლს და, თუ იგი მხატვრულ ნაწარმოებში შემოჰყავდა, სურდა ამით ეჩვენებია სოციალური ცხოვრების მანკიერებანი, რომელთაც შეეძლოთ ადამიანის მოკვეთა, მისი განწირვა, მისი დაღუპვა.

ამგვარად დამოკიდებულება დღევანდელმა საბჭოურმა ლიტერატურამ ძირფესვიანად შეცვალა და, როგორც უკვე ითქვა, რეციდივისტი წარმოგვიდგინა ძალად, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვა შეუძლია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოციალიზმის დროს რეციდივისტი მსხვერპლი კი აღარ არის, არამედ — ჯალათი. პარია კი აღარ არის, რამედ — ბატონი.

რამ გამოიწვია ეს?

ამის მკაფიო პასუხს საბჭოური პრესა იძლევა. წაიკითხეთ გაზეთები, მოუსმინეთ და უყურეთ რადიოსა და ტელევიზიას და ნახავთ, რომ საბჭოურ საამხელეო იერარქიაში არ არსებობს თანამდებობა (სულერთია მინისტრი იქნება, დირექტორი, მმართველი, თავმჯდომარე, მდივანი თუ უმაღლესი სასწავლებლის რექტორი), რომლის მფლობელი ბოროტმოქმედებას არ ჩადიოდეს. თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოური პრესა მომხდარ დანაშაულებათა მხოლოდ ერთ პროცენტს აშუქებს, ხოლო დანარჩენ ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტს გულმოდგინედ მალავს, შეგიძლიათ, სრულიადაც წარმოიდგინოთ საბჭოელი მოხელეების ბოროტმოქმედების მასშტაბი.

ბოროტმოქმედებას მარტო არ ეწევიან. ყოველთვის იკრიბება ხალხმრავალი გუნდები. ამ გუნდებში პროფესიონალი რეციდივისტებიც არიან. არაპროფესიონალებს პროფესიონალთა გამოცდილება სჭირდებათ. მათ შორის მარმონიული კავშირი მყარდება. დამნაშავეთა გუნდებს კი ამა თუ იმ თანამდებობის პირი თავკაცობს.

ბოროტმოქმედი სახელმწიფო მოხელე დიდხანს არის ხელუხლებელი შეიძლება (და ძირითადად ასეც არის) იგი ისე მოკვდეს, რომ არც კი მოხდეს მისი მხილება. ამას ორი საფუძველი აქვს. პირველი ის, რომ სსრკ-ში თანამდებობის პირის კრიტიკა აკრძალულია. იგი მხოლოდ ლიქნის, ლაქუცის, ხოტბის საგანია. მისი გაკრიტიკება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მოხსნეს და ისიც კომპარტიის ცკ-ს დავალებით. ამიტომ ბოროტმოქმედ თანამდებობის პირს საზოგადოებრივი აზრის არ ეშინია. მეორე კი ის გახლავთ, რომ ბოროტმოქმედ მოხელეს მხოლოდ მაშინ ხსნიან ან იჭერენ, როცა იგი თანამდებობით მასზე მაღლა მდგომ ჩინოვნიკს აწყენინებს. ასე, რომ მავან და მავან ბოროტმოქმედ მოხელეს, თუ იგი თავშეკავებული კაცია, იცის სად როგორ მოიქცეს. შეუძლია შავი საქმე სიკვდილამდე აკეთოს, ყურზე ხახვს ვერავინ დააჭრის. იმ ფაქტმა, რომ ხანდახან ამა თუ იმ თანამდებობის პირს დანაშაულისათვის იჭერენ, არ უნდა შეგვაცდინოს. მტკიცედ უნდა ვიცოდეთ: მოხსნა ან დაჭერა ხდება არა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, არამედ — შურისძიებისა. შურისგება მორჩილების იარაღია. ყველა თანამდებობის (დიდი იქნება თუ პატარა, სულერთია) პირს ურყევად უნდა ახსოვდეს: ყველა მოხელეს, რომელიც თუნდაც ერთი ხაფეხურით მაღლა დგას, უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდე და თაყვანს სცემდე. თუ გაკადნიერდება და ატოკდება ვინმე, მას მაშინვე გაახსენებენ ჩადენილ დანაშაულს და ვირის ბაბანოში უკრავენ თავს.

ურუ მორჩილების ატმოსფეროში სახელმწიფოც იოლად იმართება და ბოროტი საქმეც ადვილად კეთდება.

ცხოვრების ამგვარმა წესმა ყველა ჯურის რეციდივისტი, პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი, ერთმანეთთან დააკავშირა, ერთ მუშტად შეკრა და სოციალურ ძალად აქცია.

მწერლობამ დაინახა ეს სურათი, შეამჩნია ეს პროცესი და ასახა კიდეც. ცხადია, მას სოციალისტური სინამდვილის მხილება არ ჰქონია მიზნად. იგი ცალკეული ხარვეზების დაგმობას ცდილობდა, მაგრამ შუბი ხალთაში არ დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალა. უნდოდა თუ არა ლიტერატურას ეს ობიექტური სურათი მაინც გამომეღავნდა. ამ სურათმა კი ყველას გასაგონად მთელი ხმით იყვირა: დაიგმო და უარყოფილი იქნა ძველი მცნება — არა იპარო. გაბატონდა სხვა ლოზუნგი, მართალია დაუწერელი, მაგრამ საზოგადოების ცნობიერებაში მტკიცედ ფესვგადგმული — იქურდე, თორემ სხვანაირად ვერ იცხოვრებ.

ამრიგად, ჩვენ თვალწინ მოხდა ზნეობრივი კატასტროფა, რაც უთუოდ გამოიწვევს ეკონომიკურ და სოციალურ კატასტროფასაც, შესაძლებელია ეროვნულსაც.

ასევე გაუფასურდა სხვა მცნებაც — არ აცილისწამო მოყვასსა შენსა ნამებითა ცრუითა.

ახლა ვნახოთ, როგორ ვასრულებდით ამ ცნებას.

როცა პროზაიკოსი დააპატიმრეს, კრიტიკოსი წერდა:

„ის გარემოება, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ჩვენი სამშობლოს და საბჭოთა ხალხის მოღალატეთა ბანდის, ჯაშუშებისა და დივერსანტების გარეწარი ხროვის მონაწილე აღმოჩნდა, უსაზღვრო ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ყოველი საბჭოთა მწერლისა და მოქალაქის შეგნებაში. მაგრამ ეს ფაქტი არავის არ გააკვირვებს, რადგან მიხეილ ჯავახიშვილის მთელი მოქალაქეობრივი და სამწერლო ბიოგრაფია მკაფიოდ ახასიათებს მას, როგორც მუხანათურად შენიღბულ და უაღრესად თვალთმაქცობით შეიარაღებულ კლასობრივ მტერს, უსაზღვროდ გაცოფებულს პროლეტარული რევოლუციის მიღწევებისადმი მტრობით და სიძულვილით.

ცნობილია, რომ მიხეილ ჯავახიშვილს საკმაოდ დიდი სტაჟი აქვს მოღალატური და კონტრრევოლუციური „მოღვაწეობისა". ქართველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენციის წიაღში აღზრდილი, იგი მტრულად დაუბჯდა საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას და საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველსავე წლებში აქტიური მონაწილეობა მიიღო კონტრრევოლუციური კლასების ბატონობის რესტავრაციისათვის წარმოებულ ბრძოლაში. მაგრამ როდესაც ბრძოლის ამ გზაზე იგი პირისპირ შეხვდა საბჭოთა ხალხის ურყეველ ძლევამოსილებას, მან განიზრახა შეეცვალა გამარჯვებული მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები და საშუალებანი. მან გაიხსენა თავისი დიდი-ხნით მივიწყებული და უკუგდებული სამწერლო საშუალებანი და მოინდომა ლიტერატურულ ფრონტზე გაეშალა მუშათა კლასის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული „მუშაობა".[1]

როცა კრიტიკოსი ამას წერდა, [illegible] და, რომ ტუუილს ამბობდა და ცილს წამებდა მიხ. ჯავახიშვილს? რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ თავი უნდა გადაერჩინა. ამისათვის აუცილებელი იყო მოყვასისათვის ცილი დაეწამებინა. 1937 წლის 27 ნოემბრის „ლიტერატურული საქართველო" იუწყება, რომ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა განიხილა ბ. ეღენტის საკითხი. „ბ. ეღენტმა — გვამცნობს გაზეთი — დაუშვა მთელი რიგი უხეში პოლიტიკურ-ლიტერატურული ხასიათის შეცდომები. იგი ხალხის მტრებთან ახლო ურთიერთობაში იყო; მიუხედავად გაფრთხილებისა მან დღემდე არ აღიარა თავისი შეცდომები და არაფერი სთქვა თავის ურთიერთობაზე ხალხის მტრებთან. პრეზიდიუმის ამ სხდომაზე მისი გამოსვლა არ იყო დამაკმაყოფილებელი.

პრეზიდიუმმა დაუშვებლად ჩათვალა ბ. ეღენტის ხელმძღვანელ სამუშაოზე დატოვება მწერალთა კავშირში და გამოიყვანა იგი მწერალთა კავშირის სამდივნოდან და პრეზიდიუმის შემადგენლობიდან".

1937 წელს ეს სასიკვდილო განაჩენს უდრიდა, რომ გადარჩენილიყო, სხვა უნდა გაეწირა, თავზე ნაცარი დეეყარა და ყველაფერი ეკისრა.

1937 წლის 10 ივნისის „ლიტერატურული საქართველოს" განწირული პოეტის სიტყვის შინაარსს ასე ეადმოგვცემს:

„...ელიავა ტიპიური ლაზღანდარა, ორჭოფი და შურის ჩამომგდები კაცი იყო. მისადმი არავითარი სიმპათია არა მქონია. მაგრამ მაინც ვერ შევსძელი მისგან სრულიად ჩამოცილებაო.

...ასევე დაახასიათა მან პ. აღნიაშვილი, როგორც სულიერად სნეული, მერყევი ადამიანი, რომელიც პარტიულ ამხანაგებთან ერთს ლაპარაკობდა, ხოლო უპარტიოებთან — მეორეს.

როგორც პ. იაშვილმა აღიარა, იგი ხშირად ყოფილა ლომინაძის, აღნიაშვილის, მათიკაშვილის და სხვა თვალთმაქცების ერთად შეკრების მოწმე. ლოლობერიძის ბინაზე მოსკოვში თავს იყრიდნენ თვალთმაქცნი, ხალხის მტრები — მ. ტოროშელიძე, გ. ყურულაშვილი, ფირუმოვი, ივანიანი, ლომინაძე, პ. აღნიაშვილი.

...მეც ვიცოდი პარტიული ხელმძღვანელების წინააღმდეგ თქმული მათი აზრები, მაგრამ მაკლდა მოქალაქეობრივი გამბედაობა მემხილა მათი მტრული განწყობილება. მეშინოდა მათის მხრივ შურისძიებისა".

განა პოეტმა, როცა ამას ამბობდა, არ იცოდა, რომ თავის ამხანაგებს და მეგობრებს ცილს

---

1 გაზ. „ლიტერატურული საქართველო". 1937 წ., 24 აგვისტო.

სწამებდა და ტყუოდა? რა თქმა უნდა იცოდა. მაგრამ მასაც თავის გადარჩენა უნდოდა. მასაც ემუქრებოდნენ: „ავალე რაშვილმა, რომელიც უკვე 40-ზე მეტი წლისაა, დროა ჭკუა ისწავლოს. სიკეთე არ მოგყვება მის ნავარდს ლომინაძიდან ჯიქიასკენ, ჯიქიადან აღნიაშვილისაკენ, ღოღობერიძიდან ლომინაძისაკენ და, ბოლოს, ელიავას კლანჭებში", ესეც სიკვდილის განაჩენის მომასწავებელი იყო. ვ. რაშვილიც ფართხალებდა, რომ როგორმე თავი ეხსნა. მაგრამ მიხვდა, რომ ბორცი მეტისმეტად ძვირი უჯდებოდა და სულის ხსნისათვის თავი მოიკლა.

როცა პოეტი დაეპატიმრეს, კრიტიკოსი წერდა:

ნიკოლო მიწიშვილი „...ყოველთვის ცდილობდა დაემალა მკითხველისათვის თავისი ნამდვილი განზრახვანი, რომელიც არ სწერს იმას, რასაც ფიქრობს, რომელიც დაუსრულებლად თვალთმაქცობს მშრომელი ხალხის წინაშე და თავის „ლოიალური" დეკლარაციების იქით, ხალხის მტერთა ბინძურ ზრახვებს ლაქიურად ეძსაბურება. თავისი სიბინძურის და შემაძრწუნებელი გათახსირების გამოაშკარავებისა, ნიღბის ჩამოგლეჯისა, რა თქმა უნდა, მას ეშინოდა".[2]

როცა მეორე პოეტი დაეპატიმრეს, კრიტიკოსმა ისევ დაწერა:

„...მან (ტ. ტაბიძემ — ა. ბ.) შეაფურთხა ქაცობრიობასაც ,საშშობლოსაც, პოეზიასაც და საერთოდ ყოველგვარ ჭეშმარიტ გრძნობას; თურმე ქართველი ხალხის მთავარი თვისება — სიზარმაცე და ლოთობა ყოფილა, ამაზე მეტი უპასუხისმგებლობა და თუ გნებავთ დადაიზმიც მართლაც ძნელი მოსაძებნია.

...რეტროგრადული სიბნელით, საშუალო საუკუნეობრივი თილისმებით და მისტიკური ბნედიანობის შხამით მოწამლულია უდიდესი ნაწილი მისი ლექსებისა".[3]

როცა ამას წერდა, განა კრიტიკოსმა არ იცოდა, რომ ტყუოდა და ცილს წამებდა ნიკოლო მიწიშვილსა და ტიციან ტაბიძეს? რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ თავის გადარჩენის ინსტინქტი აიძულებდა.

1935 წლის „მნათობის" მეოთხე წიგნში მიმართვა გამოქვეყნდა. ქართველ მკითხველს აუწყებდნენ:

„...ქართველი მწერლების რიგებს მოღალატურად სტოვებს და როზენბერგის ... ეკიდება ერთი ქართველი მწერალი, რომლის სახელი ამიერიდან ხდება სამარცხვინოდ ყოველი საბჭოთა მწერლისა და მოქალაქისათვის.

ეს მწერალი არის გრიგოლ რობაქიძე.

ეს თვალთმაქცი ადამიანი, დღეიდან საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისა, ატყუებდა რა ხელისუფლებას, მწერლობას და საბჭოთა საზოგადოებას, გულში ატარებდა მშრომელთა ქვეყნის და საბჭოთა საქართველოს ღალატის მუხანათურ აზრებს.

და ეს ზრახვები დღეს გრიგოლ რობაქიძემ განახორციელა საბჭოთა საქართველოდან ჟურდულად უცხოეთში წასვლით, ფაშიზმის ბანაკში აშკარად გადასვლით და იქ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ მოღალატური, გამცემლური მუშაობით.

მისი ღალატის გამომჟღავნების შემდეგ ჩვენთვის აშკარაა, რომ ქართული საბჭოთა მწერლობისათვის ამ უჩვეულო საქციელს სარჩული წარსულში ჰქონდა. და ვინც გაიხსენებს რობაქიძის მუშაობას რუსულ შავრაზმულ პრესაში, მის ბულვარულ რომან „ფალესტრას" და იდეალისტურ რასისტულ წიგნს „გველის პერანგს" და მთელ მის მხატვრულ პროდუქციას, გამსჭვალულს გადაგვარებულ კლასთა იდეურ სიღატაკით და დაკნინებულს მხატვრული ფორმით, — მისთვის რობაქიძის ეს უმსგავსო და ბოროტი საქციელი გასაგები ხდება, როგორც ლოღიკური დასკვნა ამ განდიდების სენით შეპყრობილ, გადაგვარებულ პიროვნების მუშაობისა".

განა ამ სტრიქონების ავტორებმა არ იცოდნენ, რომ ტყუოდნენ და ცილს წამებდნენ გრიგოლ რობაქიძეს? რა თქმა უნდა, იცოდნენ, მაგრამ ბადეში მოხვედრილი თევზებივით იყვნენ განწირულნი, მოყვასს, მეგობარს, მასწავლებელს წირავდნენ თავისთავის გადარჩენის მიზნით, მაგრამ ამაო იყო ეს ცდა. კომუნისტური სიკვდილის ცელი დაუნდობლად თიბავდა ყველას. ამ ოთხი პოეტიდან მხოლოდ ერთს ერგო ბუნებრივი სიკვდილი. დანარჩენი სამი კომუნისტური ტერორის მსხვერპლი შეიქნა.

ყველასათვის ცხადია, რომ ეს მიმართვა ძალდატანებით არის დაწერილი. და დააწერინეს სწორედ გრ. რობაქიძის მეგობრებს. ამით კომპარტია ზნეობრივად ანადგურებდა, სახელს უტეხდა მათ, ლაფში სვრიდა და ამ გზით მუდმივ მორჩილებასა და მონობაში აგდებდა. ზნეობრივად გატეხილ ადამიანს უპირს როგორც თავისთავის, ისე ხვისი დაცვა და, ანკესზე გამობმული თევზივით, საითაც უნდა იქით წაათრევს მბრძანებელი. ეს გამიზნული პოლიტიკა იყო და კომპარტია განუხრელად ატარებდა მას. ცილისწამება სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელი ნაწილი იყო და არის.

---

1 გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1937 წ., 20 მაისი, ლ. ბერიას სიტყვა.

2 გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1937 წ., 30 ივნისი, გ. ნატროშვილი — ხალხის მტერი მწერლის ნიღაბში.

3 გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1937 წ., 30 სექტემბერი, გ. ნატროშვილი — პოლიტიკური გაბრწყინის ჭაობში.

ასეთ სიტუაციაში ცალკეული ადამიანი თუ მთელი საზოგადოება თანდათან უარს ამბობდა მცენებაზე — არა ცილისწამო მოყვასსა შესსა წამებითა ცრუთა, საშუალოდ ივიწყებდა მას, სანაცვლოდ გულმოდგინედ იმახსოვრებდა უზნეობის ლოზუნგს — ცილი დასწამე მოყვასს, გაიდე იგი, თუ გინდა თავად გადარჩე. იხდიდა მას ცხოვრებაში საზოგადო წესად.

ძველი მცენება — არა იმრუშო — მხოლოდ ბორციელ სიძვას არ ითვალისწინებდა, უფრო მეტად და ძირითადად გულისხმობდა სულიერ გარყვნილებას. საერთოდ ადამიანის და კერძოდ შემოქმედი სრული დამონებისათვის აუცილებელი იყო სულიერი მრუშობის გაბატონება. მისი განხორციელება სახელმწიფო ტერორით დამფრთხალ და დაშინებულ საზოგადოებაში უკვე ადვილი იყო.

ჯერ ბრალად დაგდებენ — „კ. გამსახურდია ცნობილია, როგორც რეაქციონერი — შოვინისტი და ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალიზმის, თავადაზნაურული იდეოლოგიის, შოვინიზმისა და „შავი ჩოხის" ტრადიციის დასაცავად. ხსენებული გაუსწორებელი რეაქციონერი მწერალი დღევანდელობისათვის პოლიტიკურად მავნე მხატვრულ ნაწარმოებებს აქვეყნებს"[1] — და მერე, როცა თავზე ჯალათის ნაჯახი აღიმართება, გათქმევინებენ „ლავრენტი ბერიამ გაუზარდა საქართველოს გულმოდგინე პატრიოტები, ქვეყნისათვის, საქმისათვის თავდადებული პარტიული მუშაკები. მისი პირადი გამოცდილების, მისი მითითებების ნიადაგზე გაზრდილი მრავალი თვალსაჩინო პარტიული მოღვაწე, რომელნიც დიდი წარმატებით განაგებენ დღეს ჩვენს რაიონებს: ჩვენი რაიკომის მდივნები, თავდადებული და თავმდაბალი მოღვაწეები".[2]

საერთოდ, კ. გამსახურდია ჰგავდა იმ ადამიანს, რომელსაც სახლში პური მიაქვს და უკან კბილდაღრეჯილი კოფეკი მისდევს. პური რომ შინ მიიტანოს და თავად ძაღლის დაკბენას გადაურჩეს, იძულებულია დრო და დრო ნაგაზს პურის ნატეხი გადაუგდოს, დროებით შეაჩეროს და სახლში შეასწროს. მთელი ცხოვრების მანძილზე ასე გაურბოდა მწერალი უკანდადევნებულ საბჭოთა ბელისუფლებას. ხანდახან უყრიდა მწერლური პურის ნატეხებს — „ბელადს", „ვაზის უფავლობას", ნარკვევებს, — რომ ბუნებრივ სიკვდილამდე მიეღწია და ქართველი ხალხისათვის დაეტოვებინა „დიონისეს ღიმილი", „მთვარის მოტაცება", „დიდოსტატის მარჯვენა", „დავით აღმაშენებელი".

ჯერ დაგვაწერინებენ ბერიას ... ქსებს, მის მეხოტბედ გაგხდიან ... ქმევინებენ — „უდიდესი კაცობრ... ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობად, უპრინციპობა — პრინციპულობად, მტრობა და სიძულვილი — სიყვარულად.

განჯგონებულთა საზოგადოებას არ სჭირდება იდეალად ღმერთი, როგორც ზნეობრივი სრულყოფილების სიმბოლო. მოწოდება — „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს" (მათე, V, 48) — რომლითაც საზრდოობდა ქრისტიანული კაცობრიობის მწერლობა კომუნისტური ხელისუფლების გაჩენამდე, საბჭოური ლიტერატურის მიერ უარყოფილია. იგი შეცვლილია პრაქტიკული განკარგულებით — მოიქეცით ისე, როგორც კომპარტია გიბრძანებთ. თუ საზოგადოება იწამებს ღმერთს, მაშინ აუცილებელია ბრძოლა ზნეობრივ მცნებათა დასაცავად, მათ განსახორციელებლად. ამ რწმენით აღვურვილ ადამიანს, საერთოდ და კერძოდ მწერალს, ვერ ათამაშებ ტიკინასავით. იგი არ გახდება თოჯინა არავის ხელში. ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის უპირველესი ამოცანა კი ის არის, რომ მწერალი (და საერთოდ ადამიანი) იყოს კომპარტიის სათამაშო თოჯინა. მწერალი (და საერთოდ ადამიანი) უნდა ყოველთვის კომპარტიის დუდუკზე ცეკვავდეს. ამიტომ ებრძვის იგი, ერთი მხრივ, ღმერთს და, მეორე მხრივ, სიტყვას, ანუ უარყოფს რწმენას და მისი გამოხატვის და გადაცემის საშუალებას. ულმერთო ანუ ურწმუნო კაცი უძლურია. უსიტყვო კაცი მარტოხელა და იზოლირებულია. ცრუ სიტყვას ადამიანთა შეკვრა-შედუღაბება არ შეუძლია. ეს ხელეწიფება მხოლოდ მართალ სიტყვას. ურწმუნო და მარტოხელა კაცი იოლი დასამონებელია და შესაძლებელია ისე იმსახურო, როგორც გსურს. ამიტომ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი აბატონებს ურწმუნოებას ანუ ულმერთობას და ცრუსიტყვას. ამით საფუძველს უქმნის კომპარტიის განუყოფელ ძალაუფლებას.

ძალაუფლების სიმტკიცისათვის სრულებით არ არის საჭირო ზნესრულობის იდეალი. საკმარისია მისაბაძი პერსონა. ამან წარმოშვა პარტიული ლიდერის (იქნება იგი ლენინი, სტალინი, ბრეჟნევი თუ სხვა ვინმე, ეს სულერთია) კულტი. ამიტომაც ითხოვს ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი მისაბაძ გმირს. მაგრამ მისაბაძ გმირს შეუძლია ადამიანში აღზარდოს მხოლოდ კომპარტიის დავალების მორჩილად შემსრულებელი. ამგვარი შემსრულებლის იდეალი გახლავთ საფუძველი ისეთი ლიტერატურული პერსონაჟების დახატვისა, როგორიც არიან პავლე კორჩაგინი („როგორ იწრთობოდა ფოლადი"), დავიდოვი და ნაგულნოვი („გატეხილი ყამირი"), ტარასი ხაზარაძე („კოლხეთის ცისკარი") და სხვანი.

ზნესრულობის იდეალი ზრდის [illegible] ადამიანს, ხოლო ლიტერატურაში ქმნის ისეთ პროტაგონისტებს, როგორიც არიან ავთანდილი, ფაუსტი, დონ კიხოტი, ჰამლეტი.

დიდი ჭკუა არ სჭირდება იმის მიხვედრას — რომელი გზა უნდა აირჩიოს მწერლობამ, თუ არ სურს დაკარგოს ფუნქცია. რომელ გზას უნდა მიჰყვებოდეს — ავთანდილის, ფაუსტის, დონ კიხოტისა თუ კორჩაგინების, დავიდოვების, ნაგულნოვების, ხაზარაძეების? რა აკეთოს — დახატოს თავისუფალი ადამიანი, რომლის მოქმედება და საქციელი ბადებს სხვადასხვაგვარ იდეას, თუ აღწეროს აკვიატებული აზრის შესაბამისად კონსტრუირებული მანეკენი? ამ არჩევანის გაკეთება იმას შეუძლია, ვინც მიხვდა, რა იდეალს ემსახუროს.

თუ დასკვნის გაკეთებას მოვინდომებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ რელიგიის (ქრისტიანული იქნება თუ რომელიმე სხვა) მარქსიზმ-ლენინიზმით შეცვლა არ მოხერხდა. მაგრამ ამ ცდამ დაარღვია და დაშალა ზნეობრივი მცენებანი, რითაც კაცობრიობა ცხოვრობდა, და ადამიანი ამორალიზმის მონა გახდა. უზნეო ადამიანმა უარყო ღმერთი, როგორც ზნესრულობის იდეალი, რითაც მორალური კატასტროფისათვის გასწირა პიროვნებაც და საზოგადოებაც.

ხანა შესაძლებელია მხოლოდ ღვთაებრივი იდეალის აღდგენით. მაგრამ არა ძველის განმეორებით, არამედ ახალი გაგებით. თუ ცოდნის დაგროვების პირველ პერიოდში მეცნიერებამ შეარყია რელიგიური რწმენა და ადამიანს ათეიზმის უფსკრულში უბიძგა, ცოდნის დაგროვების მეორე პერიოდში (სხვანაირად რომ ვთქვათ, დღეს) იგივე მეცნიერება საფუძველი ხდება უზენაესის რწმენისა და თეიზმის აღორძინებისა. თანდათანობით ვრწმუნდებით, რომ ცოდნა კი არ გვაშორებს ღმერთს, არამედ გვაახლოებს მას. ეს პროცესი სულ უფრო და უფრო გაიზრდება და ყოვლისმომცველი გახდება. რამდენად ღრმად ჩაიხედავს ადამიანი კოსმოსის საიდუმლოებაში, იმდენად მეტად ირწმუნებს ღმერთს. და რამდენადაც მეტად ირწმუნებს ღმერთს, იმდენად მეტი მოკრძალებით დაბრის თავს ზნეობრივი სრულყოფილების წინაშე. ყველასათვის ნათელი გახდება კანტის დიდებული გამონათქვამის აზრი: „ორი რამ აღავსებს სულსა და გულს სულ ახალი და მზარდი საოცრებით... ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზევით და მორალური კანონი ჩემში".

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოილაძე

ვახტანგ გორგასალი და პეტრე იბერი

(ურთიერთნათესაობის საკითხისათვის)

491 წლის გაზაფხულზე უჯარმის ახლოს „იორსა ზედა", ირანელებთან ბრძოლაში, 60 წელს მიღწეული ქართლის მეფე, ვახტანგ გორგასალი სასიკვდილოდ დაიჭრა და მალე გარდაიცვალა. იმავე წელს, ბიზანტიის იმპერიაში — სირიის ქალაქ მაიუმში მიწას მიაბარეს გამოჩენილი თეოლოგი, ფილოსოფოსი, ნეოპლატონიზმის უფროსმდებელი ქართლის მეფის ძე — პეტრე იბერი (სხვა ცნობით, პეტრე 488 წ. გარდაიცვალა). ეს ორი დიდი მოღვაწე, მართალია, დღეს საქართველოს ისტორიის მშვენებაა, მაგრამ თუ ვახტანგ გორგასალის სახელი ქართველთა შეგნებაში იმთავითვე შარავანდედით შეიმოსა, მშობლიური ერის მუდმივი სიყვარულისა და შთაგონების წყაროდ იქცა, V ს. II ნახევრის ფილოსოფიური აზროვნების „ერთ-ერთმა უსაჩინოესმა წარმომადგენელმა", „მსოფლიოში განსაცვიფრებლად სახელგანთქმულმა ადამიანმა" (როგორც მას V ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი ზაქარია რიტორი უწოდებდა) პეტრე იბერმა სახელი იმთავითვე საქართველოდან დაშორებით — ბიზანტიაში გაითქვა. ისტორიკოს ევაგრეს (536-593) სიტყვით, „პეტრე იბერმა ბევრი ლაპარაკი გამოიწვია". ანონიმი ბიოგრაფი კი პეტრეს პავლე მოციქულსა და მოსე წინასწარმეტყველს ადარებდა.

თანამედროვეთა მიერ ასეთი მაღალი შეფასების მიუხედავად, პეტრე იბერმა სამშობლოში პოპულარობა ამ ცოტა ხნის წინ მოიპოვა (მისი სახელი ძველ ქართულ წყაროებში ნახსენებიც კი არაა). როგორც ცნობილია, 1942 წელს პროფ. შ. ნუცუბიძემ (1888-1969) წამოაყენა ჰიპოთეზა ფსევდოდიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტურობის შესახებ. 1952 წელს შ. ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად მსგავს დასკვნამდე მივიდა ცნობილი ბელგიელი ბიზანტინისტი ერნსტ ჰონიგმანი (1894-1954).

ნუცუბიძე-ჰონიგმანის ჰიპოთეზამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. პეტრე იბერის სახელი ცნობილი გახდა ძველი ფილოსოფიით დაინტერესებულ ევროპელ მეცნიერთათვის. არნახულად გაიზარდა მისი პოპულარობა საქართველოშიც. მაგრამ, დღემდე არაა გარკვეული თუ რა ნათესაური დამოკიდებულება აკავშირებდა პეტრე იბერს ვახტანგ გორგასალთან.

საკითხი უბრალოდ წყდებოდა: პეტრე იბერის ქართული და სირიული „ცხოვრებების" ცნობებზე დაყრდნობით ერთხმად უთითებდნენ, რომ იგი ქართლის მეფის ძე იყო. მაგრამ, გარდა იმისა, რომ ქართული და უცხოენოვანი საისტორიო წყაროების მონაცემებიდან გამომდინარე, V ს. II ნახევრის ქართლში ვახტანგ გორგასალი მეფობდა, ვახტანგსა და პეტრეს სულ სხვადასხვა წინაპრები ჰყავდათ. ქართულ წყაროთა ცნობით, ვახტანგის წინაპრები — მამა მირდატი, პაპა არჩილი და ა. შ. ქართლის მეფეები იყვნენ. თავის მხრივ, პეტრე იბერის სირიული „ცხოვრების" ავტორი ქართლის მეფეებად ასახელებს პეტრეს მამას ბოზმარიოსს (ასევე ბოზმარიოსი რქმევია პეტრეს მამის მამას. მაგრამ „ცხოვრებაში" იგი მეფედ არაა დასახელებული), ბიძას — წმიდა არჩილს, პაპას დედის მხრივ „დიდ ბაკურს" („ცხოვრების" ავტორი მას ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ აცხადებს). სირიული „ცხოვრება" პეტრე იბერის სხვა ნათესავების შესახებაც დეტალურ ცნობებს გვაწვდის.

ქართლში ვახტანგ გორგასლისა და მისი წინაპრების მეფობის ფაქტი ეჭვს არ იწვევს. ასევე ძირითადად რეალურია პეტრე იბერის

სირიული „ცხოვრების“ ცნობები, რადგან იგი პეტრეს ბოწაფის, მისი „თვითმხილველისა და თანადამხვდურის“ მიერაა შედგენილი. ზემოაღნიშნულთან ერთად, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მოსაზრებებით 874 წლიდან (ან IV ს. 70-იანი წლების დასასრულიდან) ქართლი ერთიანი და ირანის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო. ძველი ქართული წყაროების ცნობებიდან გამომდინარე კი ქართლის ტახტზე ვახტანგის წინაპრები ისხდნენ, თავისთავად ისმება კითხვა: სად მეფობდნენ, ან იყვნენ საერთოდ მეფეები პეტრე იბერის სირიულ „ცხოვრებაში“ ქართლის მეფეებად დასახელებული პეტრეს წინაპრები? რა ნათესაური დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან V ს.-ში მცხოვრებ-ფარნავაზიანთა სახლის ორ გამორჩენილ მოღვაწეს ვახტანგ გორგასალსა და პეტრე იბერს?

დასმულ საკითხებში რომ გავერკვეთ IV ს. და V ს. I ნახევრის ქართლის პოლიტიკურ ისტორიას უნდა გავეცნოთ.

298 წელს ქ. ნისიბისში დადებული 40 წლიანი ზავით სომხეთისა და ქართლის სამეფოებზე რომის პროტექტორატი დამყარდა. 388 წელს ზავის დადებიდან 40 წელი გადიოდა და ქართლის სამეფო პროტექტორატისაგან განთავისუფლდებოდა. მაგრამ ამ წელს ქართლის სამეფოში წარმომობილმა შინაპოლიტიკურმა აშლილობამ სამეფო კარი აიძულა პროირანულ ორიენტაციას დასდგომოდა.

ვითარება შემდეგმა გარემოებამ გაართულა: ხანში შესულმა ქართლის პირველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე, სამეფო ტახტზე თავისი უფროსი ძე რევი დასვა. მაგრამ, რევი მირიანის სიცოცხლეშივე 384 წელს 34 წლისა გარდაიცვალა. ამ დროისათვის რევის ერთადერთი ძე თრდატი დაახლ. 14 წლისა იყო. ამიტომ, მირიანმა ტახტზე თავისი მეორე ძე, რომის იმპერიაში მძევლად ნამყოფი ბაკური (ბაქარი) აიყვანა. იმავე 384 წელს თვით მირიანიც გარდაიცვალა.

მეფე ბაკური (384 — დაახლ. 368) დიდ ყურადღებას უთმობდა ახლად დანერგული ქრისტიანული რელიგიის შემდგომ გავრცელებასა და დამკვიდრებას. მან „მოაქცივნა უმრავლესნი ქაკახიანნი, რომელი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა“. მაგრამ, ბაკურის მშვიდობიანი მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. რევის ქვრივი, სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფის თრდატ III (298-330) ასული — დედოფალი სალომე და მისი შვილები (რევის, როგორც ჩანს, ასულიც ყავდა. ისინი, ადრე მირიანისაგან საუფლისწულოდ მიღებულ კახეთსა და კუხეთს ფლობდნენ და უჯარმაში ცხოვრობდნენ) ქართლის ტახტს თავიხად თვლიდნენ. ამიტომ, თრდატი (მას პაპის ხახელი ერქვა) გახდა თუ არა იმ ხნის, რომ მეფობას შეძლებდა, დედოფალმა სალომემ სომხეთის სამეფოს [illegible] ბით ქართლის ტახტზე მისი დასმა მოინდომა. დაახლ. 388 წელს (ამ წელს, როგორც ითქვა, ნისიბისის ზავის ვადა გავიდა და ირან-რომს შორის ბრძოლები განახლდა) ქართლის ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო. „არ აძლევდნენ (საშუალებას) სომეხნი, — აღნიშნულია „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში, — რომ ემეფნა ბაკარს, რადგან უნდოდათ გაემეფებინათ ტრდატის ქალის შვილი“.

რთულ ვითარებაში ჩავარდნილი მეფე ბაკური, როგორც „მეფეთა ცხოვრება“ გვამცნობს, „ეზრახა სპარსთა მეფესა“, „დაემოყვრა“ მას, მოირთო, სპარსთა ძალი, ეწყო „სომეხთა ჯავახეთს“ ხძლია და აოტა ესინი. გამარჯვებულმა ბაკურმა ბერძენთა და სპარსთა მეფეების შუამდგომლობით დაუწერა „ხელითწერილი“ ძმისწულებსა და მათ დედას სალომეს, რომ „ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაკარისი, რომელსა ეძლოს პურობა მეფობისა. მისი იყოს მეფობა, და არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისათა“.

შემორიგებული უფლისწულები აქამდე თუ კახეთსა და კუხეთს ფლობდნენ ცენტრით უჯარმაში, ამ ახალი „ხელით-წერილით“ ბაკურმა მათ მხოლოდ კუხეთი მისცა და „დასხნა რუსთავს ერისთავად“. ასე რომ, ქართლის ტახტისათვის მებრძოლმა თრდატ რევის ძემ „ხელითწერილით“ კახეთი ცენტრით უჯარმაში დაკარგა. რის გამოც, რევის ყოფილი სამფლობელო საგრძნობლად შემცირდა. მაგრამ, დამარცხებული უფლისწული იძულებული იყო ბედს დროებით შერიგებოდა.

ზემოაღნიშნულის შემდეგ საეჭვო არ უნდა იყოს, თრდატ რევის ძე ყოველ ღონეს რომ იხმარდა, რათა მცხეთელი ნათესავები არა მარტო ტახტიდან გადაეყენებინა, დაესაჯა კიდეც.

მართალია, „ხელით-წერილის“ პირობით, ბაკურის შთამომავლები თუ მეფობას ვერ შეძლებდნენ, იმ შემთხვევაში რევის შთამომავლებს შეეძლოთ ტახტი დაეკავებინათ, მაგრამ ასეთი დრო როდის დადგებოდა არავინ იცოდა. ამიტომ, თრდატმა მისთვის ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარების დადგომას დაუწყო ლოდინი.

ასეთი დრო IV ს. 80-იანი წლებიდან დადგა. 361-363 წლებში ირანთან ომში დამარცხებულმა რომის იმპერიამ ამიერკავკასიაში თავისი პოზიციების განსამტკიცებლად და ქართლში გასაბატონებლად ქართლის სამეფო კარისადმი განაწყენებული თრდატ რევის ძე გამოიყენა. მეორე მხრივ, რომის საიმპერატორო კარს საკმაო საფუძველი ჰქონდა რათა ქართლის მეფე დაესაჯა. იმის შიშით რომ ომში ირანის მხარე არ დაეჭირათ, წერს IV ს. რომაელი ისტორიკოსი ამიანუს მარცელინუსი, „ყველაზე

უფრო მეტად მოკრთამულნი იქნენ არშაკი და მერიბანი, არმენიისა და იბერიის მეფეები ბრწყინვალედ შემკული სამოსით და მრავალნაირი საჩუქრებით". მაგრამ, ქართლისა და სომხეთის მეფეებმა, რომაელთა მოთხოვნა ვერ შეასრულეს. როგორც ზემოთ ითქვა, გარდა იმისა, რომ 338 წელს ქართლის ტახტი მეფე ბაკურმა ირანელთა დახმარებით შეინარჩუნა (ამ დროიდან ქართლის სამეფო ირანული ორიენტაციისად არის საგულვებელი). ამიანუსის ცნობით, იმ ხანად ირანის შაჰის კარზე ქართველი უფლისწული ყოფილა მძევლად (336 წლიდან ქართლის ტახტზე ბაკურის ძე მირდატი იჯდა. იგი უნდა იყოს ამიანუსის მიერ დასახელებული მერიბანი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, ქართლის მეფე ირანელების წინააღმდეგ მებრძოლ რომაელებს ვერ დაეხმარებოდა.

რომაელთა აქტიურ მოქმედებას ამიერკავკასიაში ერთხანს 363 წ. ირანთან დადებული ე. წ. „სამარცხვინო ზავის" ის მუხლი აბრკოლებდა, რომლის თანახმად, იმპერია სომხეთის საშინაო საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო (ირანის წინააღმდეგ მებრძოლ სომხებს არ უნდა დახმარებოდა). თავის მხრივ, ამ მუხლით ისარგებლა ირანის შაჰმა შაბურ II (309-379) და სომხეთში შეიჭრა. იმავე დროს, როგორც სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი გვამცნობს, სომხეთის მეფე არშაკის ქვეშევრდომები აჯანყებულან. არშაკი შეკავშირებია ქართველებს და „ქართველთა რაზმების" დახმარებით აჯანყებულნი დაუსჯია.

ხორენაცი თუ ქართველთა და სომეხთა თანამშრომლობის შესახებ მოგვითხრობს, საწინააღმდეგო ცნობა აქვს V ს. სომეხ ავტორს ფავსტოს ბუზანდაცის. 368 წელს რომაელებთან ერთად ქართლში სომხეთის ლაშქარიც შემოვიდა. როგორც ბუზანდაცი წერს, სომეხთა სარდალმა მუშელ მამიკონიანმა „დაიპყრო ქართველთა ქვეყანა... ბრძანა ფარნავაზიანები ჯვარს ეცვათ".

სწორედ ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს „მეფეთა ცხოვრების" ის ცნობა, რომელიც ვარაზ-ბაკურ მირდატის ძის „ხიდარად უკუჯდომის" ამბავს გვამცნობს. როგორც ჩანს, ცოცხლად გადარჩენილი ბაკარიანი უფლისწული მცხეთიდან გაიხიზნა. ქართლის ტახტს, რა თქმა უნდა, თრდატ რევის ძე დაიჭერდა.

რომაელთა (ასევე სომეხთა) ასეთი მოქმედება ირანის შაჰს არ მოწონებია. ამ ამბების თანამედროვე ამიანუს მარცელინუსის ცნობით, განაწყენებულმა შაბურ II-მ სავრომაკი (საურმაგი) გაძევა, რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას და იმ ხალხის გამგებლობა ვინმე ასფაგურს გადასცა.

სანამ ამიანუსის მიერ ქართლის მეფეებად დასახელებულ საურმაგისა და ასფაგურის ვინაობას შევეხები, მინდა სომეხ ავტორთა მომოტანილ ცნობებზე შევჩერდე. ხორენაცისა და ბუზანდაცის ცნობები, როგორც ვნახეთ, საგრძნობლად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. თუ მეფე არშაკმა ქართველთა დახმარებით დაჯა თავისი ქვეშევრდომები, მაშინ რამ განაპირობა სომეხთა მთავარსარდალმა ფარნავაზიანები რომ ჯვარს აცვა?

ძველი სომეხი ავტორების ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები მხოლოდ მაშინ გახდება გასაგები, ქართლის სამეფოში ფარნავაზიანთა ორ შტოს შორის არსებულ დინასტიურ ბრძოლას თუ გავითვალისწინებთ. გაქირვებაში მყოფ სომეხთა მეფეს, რა თქმა უნდა, თრდატ რევის ძე დაეხმარებოდა. 368 წელს, კი როცა ქართლში რომაელთა და სომეხთა ჯარი შემოვიდა, და მცხეთელი ფარნავაზიანები დამარცხდნენ, იმავე რომაელთა და სომეხთა დახმარებით თრდატმა ქართლის ტახტი დაიკავა (ამ დროს დასვეს სომხებმა რომაელთა თანხმობით ქართლის ეკლესიის მეთაურად „იობ სომეხი", ეპისკოპოსი იაკობი კი გადააყენეს). აი, ამის შემდეგ შემოვიდა ქართლში დიდი ლაშქრით შაბურ II და, როგორც ამიანუსი წერს, რომაელთა მიერ გამეფებული საურმაგი გაძევა და ტახტზე ასფაგური დასვა.

მკვლევართა საერთო მითითებით, ამიანუსის მიერ ქართლის მეფედ დასახელებული ასფაგური იგივე ვარაზ-ბაკურია. ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს საურმაგი თრდატ რევის ძე რომაა.

ირან-რომის მეტოქეობა ქართლში გასაბატონებლად ზემოაღნიშნულით არ დამთავრებულა. ქართლიდან გაძევებული საურმაგი დაახლ. 369 წელს რომაელთა 12 ლეგიონით, რომელსაც ტერენციუსი სარდლობდა, ქართლში დაბრუნდა. როცა მდ. მტკვარს მოადგა ასფაგურს მისთვის უთხოვია: „როგორც ნათესავებმა ერთად ვიმეფოდო, იმ მიზეზით, — დასძენს ამიანუსი, — რომ არც გადადგომა შეეძლო, არც რომაელების მხარეზე გადასვლა. რადგან მისი ძე სპარსელებს ყავდათ მძევლად".

ვარაზ-ბაკურის ასეთ მოთხოვნას რომის ხელისუფლება დათანხმდა. მხოლოდ ქართლი ისე უნდა გაყოფილიყო, საზღვრად მდინარე მტკვარი დადებულიყო. საურმაგს არმენიისა და ლაზეთის მოსაზღვრე (მხარე) რგებოდა, ასფაგურს კი — ალბანეთისა და სპარსელების მომიჯნავე.

ასე გაიყო 369 წელს ქართლი ორ სამეფოდ. თრდატ-საურმაგმა რომაელთა და სომეხთა ხელშეწყობით ქართლის ნახევარი მიიღო. კუხეთის მფლობელი ნახევარი ქართლის მეფე გახდა.

როგორც ამიანუსი გვამცნობს რომაელთა ასეთი მოქმედება შაბურ II-ემ „ხელშეკრულების შინაარსის საწინააღმდეგო" მოქმედებად

მიიჩნია და ხელსაყრელ დროს დაუწყო ლოდინი, რათა ომი დაეწყო. 374 წ. შაბურმა რომაელებს მოთხოვა მოესპოთ ორმეფობა და ქართლი მთლიანად ასფაგურისათვის დაემორჩილებინათ. მაგრამ ირანის შაჰის ასეთ მცდელობას, როგორც ჩანს, შედეგი არ მოჰყოლია. რომაელთა მიერ ზურგგამაგრებული რევის შთამომავლები ქართლის ნაწილში მეფობას აგრძელებდნენ და უფლისწულებსაც ხშირად გზავნიდნენ იმპერიაში მძევლებად (მაგ., ბაკურ თრდატის ძე, პეტრე იბერი).

369 წლიდან V ს. 30-იანი წლების ბოლომდე მდ. მტკვრის მარჯვნივ მდებარე, რომის (შემდეგში ბიზანტიის) გავლენაში მოქცეულ ქართლში მირიანის უფროსი ძის რევის ჩამომავლები — რევიანები მეფობდნენ, ხოლო მდ. მტკვრის მარცხნივ მდებარე, ირანის ქვეშევრდომობაში დარჩენილ ქართლში მირიანის უმცროსი ძის ბაკურის (ბაქარის) შთამომავლები — ბაქარიანები აგრძელებდნენ მეფობას.

ფარნავაზიანთა დინასტიის ბაქარიანთა შტოს განეკუთვნებოდნენ: ბაკურ მირიანის ძის შთამომავლები: მირდატი, ვარაზ-ბაკური (ასფაგური), ფარსმანი, მირდატი, არჩილი, მირდატი, ვახტანგ გორგასალი, დაჩი, ფარსმანი, ფარსმან სხვაა, ბაკური.

რევიანთა შტოს წარმომადგენლები იყვნენ: თვით რევ მირიანის ძე, თრდატი (საურმაგი), ბოზმარიოსი (პეტრეს პაპა მამის მხრივ), ბაკური (პეტრეს პაპა დედის მხრივ), ბოზმარიოსი (პეტრეს მამა), არჩილი (პეტრეს ბიძა), მირიანი და გრიგოლი (ვახტანგ გორგასლის თანამედროვენი) და თვით პეტრე (ერისკაცობაში მას ქართული წყაროს მიხედვით მურვანი, ხოლო სირიულის თანახმად ნაბარნუგიოსი ერქვა).

ასე რომ, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მოსაზრება, თითქოს 369 წელს ირანსა და რომს შორის გაყოფილი ქართლი 374 წელს (ან IV ს. 70-იანი წლების ბოლოს) კვლავ ერთიანი და ირანის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო, არაა სწორი. მაგრამ, ქართულ ისტორიოგრაფიას, რატომ დარჩა შეუმჩნეველი ქართლის ორ სამეფოდ გაყოფის ფაქტი? განა ძველ საისტორიო წყაროებში არაა სათანადო მითითებანი ორმეფობის შესახებ?

369 წლიდან ქართლში არსებული ორმეფობის შესახებ „მეფეთა ცხოვრებაში" მართალია არაფერია ნათქვამი, მაგრამ, ამ წყაროს ცნობა, ვარაზ-ბაკურის ძე მირდატი რომ იყო „მამულად ბაქარიანი", ხოლო „დედულად რევიანი" ორივეა მირიანის ძეთა ნათესავი, იმის მაჩვენებლად უნდა იქნას მიჩნეული მირდატის (398-399) თანადროულ ქართლში ფარნავაზიანთა დინასტიის ორი შტო რომ არსებობდა.

ორმეფობისა და ფარნავაზიანთა სახლში წარმოქმნილი ორი შტოს შესახებ [illegible] ბით საინტერესოა ჯუანშერის მოგვიანებითი

447 წელს ჩრდ. კავკასიაში სალაშქროდ მიმავალმა ვახტანგმა ჯუანშერის ცნობით, „...დაუტევნა განმგებელად სამეფოსა თჳსისა დედა მისი საგდუხტ და დაჲ მისი ხუარანძე, და დაწერა ანდერძი ესრეთ: „უკეთუ არღარა შემოვიქცე ცოცხალი, დაჲ ჩემი ხუარანძე შეირთოს მირიან, რომელი ეყოფდა ვახტანგს მამის ძმისწულად, ნათესავისაგან რევისა, მირიანის ძისა, რომელი სიძე იყო თრდატ სომეხთა მეფისა. მან შეირთოს დაჲ ჩემი, და მან იპყრას მეფობა. ...ესე დაწერილი, — დასძენს ჯუანშერი, დედასა მისსა მისცა, და სხუასა არვის აუწყა. და იგი მირიან, მამის ძმისწული მისი დაუტევა მცხეთას".

ზემომოტანილ ციტატაში, როგორც ვხედავთ, ჯუანშერი ორჯერ ხაზგასმით აღნიშნავს მირიანი ვახტანგის „მამის ძმისწული" იყო. „მამის ძმისწულს" თუ პირდაპირი შინაარსით გავიგებთ, მაშინ გამოდის, რომ მირიანიც ბაქარიანი უფლისწული ე. ი. ვახტანგის მამის — მირდატის ძმისწული იყო და ცდება ჯუანშერი მირიანს სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფის თრდატ III-ის ხიძის რევ მირიანის ძის შთამომავლად რომ ასახელებს.

რას გულისხმობს ჯუანშერი გამოთქმაში „ძმისწული"? მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგის მამას მირდატს ძმა არ ყავდა, ჯუანშერს ასეთი გამოთქმა შემთხვევით არა აქვს ნახმარი. ამ მხრივ არანაკლებ საინტერესოა მის მიერ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის (რომელიც ვახტანგის დაბადებამდე თითქმის ხაუკუნით ადრე გარდაიცვალა) ვახტანგის „მამის მამად" და „მამად" დასახელება.

ბიზანტიის წინააღმდეგ 458 წელს დაწყებული ლაშქრობის ერთი ეპიზოდის აღწერისას ვახტანგი ამბობს: „მამის მამა ჩემი მირიან", რა თქმა უნდა, ჯუანშერის მიერ როგორც ვახტანგის თანამედროვე მირიანის ვახტანგისთან ნათესაობის აღსანიშნავად ნახმარ გამოთქმას „მამის ძმისწული", ისე ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის — მირიანის ვახტანგის „მამის მამად" დასახელებას უფრო ღრმა შინაარსი უდევს, ვიდრე უბრალოდ ეს იგულისხმება.

მირიანის შთამომავალნი „მამაში" აშკარაა ფარნავაზიანთა სამეფო სახლიდან წარმოქმნილი ბაქარიანთა და რევიანთა შტოების წინაპრებს — მირიანის ძეებს ბაქარსა (ბაკური) და რევის გულისხმობდნენ. სწორედ ამ მნიშვნელობით ხმარობს ჯუანშერი ამ ტერმინს, როცა იგი ვახტანგს ათქმევინებს: „მამის მამა ჩემი მირიან". ვახტანგისათვის მირიანი რადგან „მამის მამა" ე. ი. მათი შტოს დამაარსებლის ბაქარის მამა იყო, მაშინ — ჯუანშერი უფრო

ადრე, ვახტანგის თანამედროვე მირიანს რომ ვახტანგის „მამის ძმისწულად" იხსენიებს, ცხადია, ამ შემთხვევაში ვახტანგის მამის ძმაში მირიანის უფროსი ძე რევი იგულისხმება. ხოლო ვახტანგის თანამედროვე მირიანი ამ რევის წული ე. ი. რევიანთა შტოს დამაარსებლის წული (შთამომავალი) გამოდის.

ბაქარიანთა და რევიანთა ურთიერთობის აღსანიშნავად „მამის ძმისწულისა" და „მამის მამის" გარდა ჯუანშერს კიდევ ერთი მეტად საინტერესო გამოთქმა აქვს ნახმარი. ბიზანტიის წინააღმდეგ 453-456 წლების ლაშქრობის აღწერისას ჯუანშერი ვახტანგს ათქმევინებს: „შეიწყნარა მამამან ჩუენმან მირიან სახარება ქრისტესი ნინოს მიერ". სარწმუნოება, რომელიც „დანერგნა მამამან ჩუენმან მირიან, გინა თრდატ დედით ნათესავმან ჩემმან-ო".

ამჯერად, როგორც ვხედავთ, ჯუანშერი მირიანს ვახტანგის მამად ასახელებს. რაც მთავარია, რადგან ამ შემთხვევაში „თრდატ, დედით ნათესავი" ვახტანგისა, სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფე (რევ მირიანის ძის სიმამრი) თრდატ III (298-330) არის, ვახტანგი მამით ბაქარიანთა, ხოლო დედით რევიანთა ნათესავად (შთამომავლად) გამოუავს.

ვახტანგი რადგან ბაქარიანთა შთამომავალი იყო, მეორე მხრივ კი, ჯუანშერის მიერ ვახტანგის დედით სომეხთა მეფის თრდატ III-ის ნათესავად დასახელება, ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ, ჯუანშერი არც ამჯერად ცდება. იგი სწორად გადმოგვცემს ვახტანგის წინაპართა ნათესაურ დამოკიდებულებას. თუ ვახტანგის პაპის პაპის ვარაზ-ბაკურის „ოჯახურ ამბებს გავითვალისწინებთ, ვახტანგს მართლაც შეეძლო ქართლის პირველ ქრისტიან მეფესთან — მირიანთან (რომელიც ვახტანგის „მამა" და „მამისმამა" იყო) ერთად, სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფე — თრდატ III „დედით ნათესავად" მიეჩნია". ჯუანშერის ამ უკანასკნელი გამოთქმის შინაარსში რომ გავერკვეთ, ვარაზ-ბაკურის ნათესავებს უნდა გავეცნოთ. „მეფეთა ცხოვრებაში", როგორც ზემოთ ვაჩვენე, ვარაზ-ბაკურის ძე მირდატი მამით ბაქარიანად, დედით კი რევიანად არის დასახელებული. ამავე წყაროს ცნობით, მირდატის დედა იყო ვარაზ-ბაკურის მეორე მეუღლე, რევიანთა შტოს პირველი მეფის თრდატის ასული. მეორე მხრივ, ეს მირდატი, რადგან ვახტანგის პაპის — არჩილის მამა იყო, დედით რევიანი პაპის მამის გამო, ვახტანგს მართლაც შეეძლო თავი სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფის თრდატ III-ის „დედით ნათესავად" მიეჩნია.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, V ს. შუახანებისათვის ქართლი ორ სამეფოდ აღარ იყო გაყოფილი, „ურთიერთისა კვლითა" შეიერებული რევიანი უფლისწულები „ეუბეოს ფლობდნენ და რუსთავში ისხდნენ. ჯუანშერი, როგორც ვახტანგის თანამედროვე, [illegible] ვიანთა სიძეს (წმინდა არჩილ რევიანის ძის წულის ქმარს) კარგად სცოდნია ფარნავაზიანთა სახლის ორი შტოს ნათესაური კავშირები. ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, ზემომოტანილი ცნობები 369 წლიდან ქართლში წარმოშობილ ბაქარიანთა და რევიანთა შტოებზე, აქედან გამომდინარე ქართლში ორი სამეფოს არსებობაზე რომ მიგვითითებს.

რევ მირიანის ძის შვილიშვილი „წმინდა არჩილი" ბიზანტიის გავლენაში მოქცეულ ქართლში დაახლ. 428 — დაახლ. 439 წლებში მეფობდა (ტახტზე მან პეტრეს მამა ბოზმარიოსი შეცვალა). ქართულ ისტორიოგრაფიაში კი, რადგან ქართლის ორ სამეფოდ გაყოფის ფაქტი იყო უცნობი, ჩვენს ისტორიკოსებს იგი „მეფეთა ცხოვრებაში" ქართლის მეფედ დასახელებული არჩილ მირდატის ძის (ბაქარიანის) იდენტურ პირად მიაჩნდათ. მაგრამ, მათი იდენტურობის საფუძველს წყაროები არ იძლევა. თუ „მეფეთა ცხოვრების" ცნობიდან გამომდინარე ვახტანგის პაპა არჩილ მირდატის ძე სრულიად ახალგაზრდა, ქართლში სამწლიანი უმეფობის შემდეგ დასვეს ტახტზე 402 წელს ქართლის ერისთავებმა, პეტრე იბერის სირიული „ცხოვრების" ცნობით წმინდა არჩილი რევიანებში არსებული ტახტისმონაცვლეობის წესის (ტახტზე გვარში უხუცესი ადიოდა) საფუძველზე ძალზე მოხუცებული გამეფდა. თანაც მას ძე არა ჰყავდა.

ვფიქრობ, ქართლის ორ სამეფოდ გაყოფა ასახულია პეტრე იბერის სირიულ „ცხოვრებაშიც" (ამ თხზულებაში რევიანთა შტოს გენეალოგია და ისტორიაა გადმოცემული. მასში პეტრეს წინაპრები ქართლის მეფეებად არიან დასახელებულნი). „ცხოვრების" ავტორი როცა ბაქარიანთა შტოს წარმომადგენლის ფარსმანის კონსტანტინოპოლიდან გამოქცევისა და თეთრი ჰუნების დახმარებით ქართლში გამეფების ამბავს (ვარაზ-ბაკურის ძეების მცირეწლოვანების გამო 383 წლიდან ბაქარიანთა კუთვნილ ქართლშიც თრდატ რევის ძე მეფობდა. 395 წელს ფარსმანმა იგი გადააყენა თეთრი ჰუნების დახმარებით) გადმოგვცემს წერს: ფარსმანის გამეფება „ვინც რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ მათთვის მრავალი უბედურების მიზეზი გახდა"-ო რომაელთა ქვეშევრდომებში, რა თქმა უნდა, რევიანთა ქართლი იგულისხმება. როგორც ჩანს, 395 წელს ბაქარიანთა კუთვნილ ქართლში გამეფებულმა ფარსმანმა თეთრ ჰუნებს რევიანთა ქართლი დაარბევინა.

უცხოენოვანი წყაროს მონაცემებით, ქართლი ორ სამეფოდ გაყოფილი ჩანს V ს. 40-იანი წლების დამდეგსაც. ასე მაგ., იმ ეპის-

კოპოსთა შორის, რომლებმაც 488 წელს ეფესოში შემდგარი III მსოფლიო ხალკედონის კრების მონაწილეებს კონსტანტინოპოლიდან ეპისტოლეები გაუგზავნეს, იბერიის სპარსული ნაწილის ეპისკოპოსი იერემიაცაა დასახელებული.

ამრიგად, ზემომოტანილი მახალების შემდეგ ეფიქრობ, ხელვეკ არ უნდა იყოს, 888 წლიდან V ს. 40-იანი წლების ბოლომდე ქართლი ორ სამეფოდ რომ იყო გაყოფილი. ირანის კუთვნილ ქართლში ბაქარიანები, ბიზანტიის კუთვნილში რევიანები მეფობდნენ. ვახტანგ გორგასალი ფარნავაზიანთა სახლის ბაქარიანთა, პეტრე იბერიელი კი რევიანთა შტოს განეკუთვნებოდა. ვახტანგი ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის უმცროსი ძის ბაქარის (ბაკურის), პეტრე მირიანის უფროსი ძის, რევის შთამომავალი იყო. ვახტანგსა და პეტრეს მირიანის სახით ერთი წინაპარი ჰყავდა. მირიანი მათი „მამის მამა" ე. ი. ბაქარიანთა და რევიანთა შტოების დამაარსებელთა მამა იყო. ასევე, როგორც საერთო წინაპარი მირიანი ვახტანგსა და პეტრეს მამადაც ეკუთვნოდა, აღნიშნულიან ვამომდინარე, ისევე როგორც ვახტანგის თანამედროვე მირიანი და გრიგოლი, ჯუანშერის ხიტყვით რომ ვთქვათ, პეტრე იბერი ვახტანგის „მამის ძმისწული" იყო.

და ბოლოს: პეტრე იბერი რომ ძველ ქართულ წყაროებში (მხედველობაში მაქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და „ქართლის ცხოვრების" ის ნუსხები, რომელთაც ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა ხელში არ გაუვლიათ) არ იხსენიება, ეს რა თქმა უნდა, ბაქარიანთა და რევიანთა შტოებს შორის არსებული მეტოქეობით არ უნდა აიხსნას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ „მეფეთა ცხოვრება" და მისი უშუალო გაგრძელება ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" ქართლის სამეფოს ოფიციალური ისტორიაა. ამიტომ, ქართლის სამეფო დინასტიიდან გამოყოფილი ცალკეული შტოებისა და ოჯახების ისტორია, როგორც წესი, მათში არ გადმოიცემოდა. აღნიშნულის მიუხედავად, რევიანები რადგან დაახლ. 70 წელი ოფიციალურად მეფობდნენ ქართლის ნახევარში, ჯუანშერი იძულებული გამხდარა მირიანიდან ვახტანგის ჩათვლით ათი ბაქარიანი მეფის გვერდით „ნათესავი რვა" (უნდა იგულისხმებოდნენ: 1. თრდატ რევის ძე, 2. ბაკური, 3. ბოზმარიოსი, 4. ბოზმარიოსი, 5. არჩილი, 6. მირიანი, 7. გრიგოლი, 8. პეტრე იბერი) მოეხსენებინა.

თუ „მეფეთა ცხოვრება" და ვახტანგის „ცხოვრება" ქართლის სამეფოს ოფიციალური ისტორიის გამომხატველი ნაწარმოებები არიან, ჩემი ვარაუდით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ" რევიანთა ორიენტაციის თხზულებაა. მაგრამ, პეტრე იბერი მასშიც რომ არ იხსენიება, ეს პეტრეს მრწამსით უნდა იყოს განპირობებული.

ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ, როგორც ცნობილია, ქართლი ქალკედონური მრწამსის (დიოფიზიტური) აღმსარებელი ქვეყანა იყო. პეტრე იბერი კი, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილიც უთითებს, იმპერიაში მონოფიზიტობის ერთ-ერთ ბურჯს წარმოადგენდა. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა პეტრეს სახელი იმთავითვე რომ ამოშალეს ორთოდოქსი მართლმადიდებლური მიმდინარეობის იდეოლოგიის გამომხატველი ქართული წყაროებიდან (შემდეგში მსგავსი ბედი ეწია VII ს. I ნახევრის ცნობილ ქართველ მოღვაწეს, ქართლის კათალიკოსს კირიონს).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. გოგიბერიძე

ბრძოლა სამშობლოსათვის

მემუარული ხასიათის წინამდებარე ნაშრომი ერთ-ერთ საინტერესო ფურცელს შლის ჩვენი ტრაგიკული ისტორიის ახლო წარსულიდან. კერძოდ, აქ დაწერილებითაა აღწერილი თვითმხილველისა და თანამონაწილის მიერ საქართველოს ვითარება 1921-1924 წლებში და, უფრო ზუსტად, გურიაში. ეს მოგონება დაწერილია 1935 წელს და იმ მოვლენათა აღწერიდან, რომელთაც ავტორი გვთავაზობს, შედარებით დიდ ჟამს არ გაუვლია, ამიტომ იგი პირველი გვერდებიდანვე იპყრობს ჩვენს ყურადღებას თავისი „ცოცხალი" აღწერითა და დეტალების სიუხვით. საინტერესოა, რომ ავტორი, სოც. დემოკრატიული პარტიის წევრი, ჰეშმარიტების პოზიციიდან აკრიტიკებს თვით ამ პარტიის ლიდერსა და საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ნოე ჟორდანიას. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს ავტორის ობიექტურობაზე.

წიგნში ხშირადაა მოხსენიებული ტალახაძე. როგორც საქართველოს ჯალათი იმ წლებში, აღსანიშნავია, რომ ამ ჯალათს არც შემდგომში უღალატია თავისი ზნისათვის. 1937 წელს საქართველოში იგი „ტროიკის" წევრად გვევლინება, რომელიც უკანონოდ ასაჯრეს სიცოცხლეს ათასობით ადამიანს. პარადოქსია, მაგრამ ეს ჯალათი, ილარიონ (ვალიკო) ტალახაძე, 50-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის გამგედ გვევლინება და უკვე სულიერ ჯალათობას ეწევა განსაკუთრებით ქართველ ისტორიკოსთა შიმართ, ბრალს სდებს რა მათ „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში". საბოლოოდ, იგი მოსკოვში გადაბარგდება — „ვეღარ აიტანა ნაციონალიზმი საქართველოში".

დაბოლოს, ამ მცირე შესავალს დაეამთავრებ ავტორისავე, მე ვიტყოდი, წინასწარმეტყველური სიტყვებით, რომლის თქმაც იმ შავბნელ დროს, 1935 წელს, თითქოს არ უხდა ყოფილიყო გამართლებული: „ჯალათები ქართველ ერს თავის შეობას ვეღარ დაავიწყებენ... ჩვენი მომავალი ბრწყინვალეა".

ნაშრომი გამოქვეყნდა პარიზში 1935 წელს.

ვიქტორ რცხილაძე

ვუძღვნი:
ვანო, ღლონტს, გიორგი სალუქვაძეს, ეასო ჩიტაიშვილს, ვანო ცომაიას, სერგო ახდღულაძეს, დათიკო ჭორიძეს.

ავტორისაგან

1921 წლის დასაწყისში საქართველომ დაპაკარგა თავისი დამოუკიდებლობა წითელ რუსეთთან ბრძოლაში. მე მქონდა ბედნიერება ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიმეღო და დაპყრობის შემდეგ კეოფილიკური მოწმე იმ მოვლენებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საერთოდ საქართველოში და კერძოდ გურიაში 1924 წ. ბოლომდე. საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ. მე. ხხვებთან ერთად, სამშობლო დავტოვე. საქართველო ადგია ერთხელ და სამუდამოდ აღებულ გზას და მე იმედი მაქვს, რომ ის ერთ დღეს თავის მიზანს მიაღწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელ პირობებში მეტის მეტად ძნელია, გეხაგებ მიზეზების გამო, ყველაფერზე ლაპარაკი ან წერა. მაგრამ განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის საჭიროა წარსულის გაშუქება. საჭიროა ვიცოდეთ, შეგვეძლო თუ არა დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ან მივიღეთ თუ არა ყოველივე ზომები იმისათვის, რომ ის ენერგია, რომლის მოცემა მაშინ საქართველოს შეეძლო, დროზედ და ბეირიანად გამოგვეყენებინა?

სამწუხაროდ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მეტის მეტად ძნელია იმ თაობისათვის, რომელიც წარსული მოვლენების პირადი მონაწილე იყო; არა თუ ჩვენ, რომელთაც ომიც წავაგეთ და დამოუკიდებლობაც დავკარგეთ, არამედ სახელმწიფოს მჭონე ერებსაც კი უჭირთ წაგებულ ომის მიზეზების სასწრაფოდ გამორკვევა და ერთი, ყველასათვის მისაღებ აზრის ჩამოყალიბება. ჩვენში ეს ალბათ მაშინ მოხდება, როცა საქართველო განთავისუფლდება; დღეს კი, განსაკუთრებით უცხოეთში, ყველა თავისი საკუთარი საზომით უდგება ჩვენს წარსულს, ყველა სცდილობს თავისი პირადი წარსული სინათლის შუქით მოჰფინოს და ყოველივე ნაკლი მოწინააღმდეგე პარტიას ან პიროვნებას დააბრალოს. საკითხის ასეთი მიდგომა იწვევს ფაქტების დამახინჯებას, მოვლენების გაუგებრობას, პიროვნებათა და პარტიათა შორის, ერთობის მაგივრად, შუღლსა და შეხლა შემოხლას.

ყოველივე ეს მავნებელია არა მარტო წარსულის სინამდვილის აღდგენისათვის, არამედ, და რაც უმთავრესია, მომავალი ბრძოლისათვის.

მეორე მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში ხალხს არა აქვს საშუალება ასეთ საკითხებზედ სწეროს და იმსჯელოს. დროთა განმავლობაში კი ბევრი რამ წარსულიდან დავიწყებას ეძლევა და მომავალში მეტად ძნელი იქნება ყველაფრის მოგონება. ამ მხრივ ჩვენ, ვინც უცხოეთში ვართ, ბევრად უკეთეს პირობებში ვიმყოფებით და ვინაიდან ნებისმიერ ხმარების გაწევა საქართველოსათვის ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი ვალია, შეძლების და გვარად, ეს დანაკლისი შევავსოთ. საუკეთესო საშუალება კი ამისათვის, ჩემის აზრით, იქნება ის, თუ თვითეული ჩვენგანი, უბრალო ჯარისკაცი თუ მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, მოიგონებს და დასწერს მიუდგომლად, რაც მან უშუალოდ ნახა ჩვენი დაღუპვის დროს თუ შემდეგ. ამნაირად შესაძლებელია საკმაო მასალა დაგროვდეს და საერთო ჯამში მივიღოთ სურათი ჩვენი ახლო წარსულისა და შეიძლება პასუხიც იმ კითხვებზედ, რომლებიც ზევით ვახსენეთ. ყოველ შემთხვევაში ეს მასალები დარჩებიან ჩვენს ჩვენებად იმ მომავალი მოსამართლეებისათვის, რომლებიც ერთ დროს, მე მწამს, ჩვენს ავსა და კარგს გაარჩევენ.

მე არ ვფიქრობ, რომ ჩემი მოგონება დიდ რამეს წარმოადგენს, მაგრამ თუ ეს ჩემსავით პატარა ჯარისკაცებს ასეთსავე ნაბიჯს გააბედვინებს, და უმცროსებს უფროსებიც წაბაძავენ, მე ჩემს თავს ბედნიერად ჩავთვლი. ჩემი მიზანი მიღწეული იქნება.

უნდა აღვნიშნო, რომ მოვლენათა შორის სულიერი კავშირის შენახვისათვის, მე არ მივსდევ მათ ქრონოლოგიურ წყობას; რომ ბევრი რამ საინტერესო გამოტოვებულია საიდუმლოების დაცვის მიზნით; რომ მოვლენებს ვაფასებ იმ შთაბეჭდილებით, რაც მე მქონდა მაშინ, არალეგალური მუშაობის დროს, რათა უფრო სწორად იქმნას გადმოცემული მაშინდელი ჩვენი სულის კვეთება.

დასასრულ, უდიდეს მადლობას ვუძღვნი იმ ჩემს ამხანაგებს, რომელთაც დიდი დახმარება გამიწიეს მასალებისა და საბუთების მოწოდებით. აგრეთვე მათ, ვინც თავიანთი წვლილი გაიღეს ამ წიგნის გამოსაცემად.

ს. გოგიბერიძე

სენაკლუ

აგვისტო, 1955 წ.

ნაწილი I

1921 — 22 წლები გურიაში

1921 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში სახალხო გვარდიის შთავარი შტაბის განკარგულებით, მე, რამოდენიმე გვარდიელთან ერთად, დავინიშნე ქალაქ გაგრაში, სადაც უნდა შეკმნილიყო გვარდიის ერთი გუნდი, რომელიც დაემატებოდა სახალხო გვარდიის სოხუმის ათასეულს. ჩემი უფროსის ნებართვით მე გავიარე ერთი დღით გურიაში და გამობრუნებული ჩავედი ფოთში 11 თებერვალს, სადაც გაზეთებიდან გავიგე ჩვენს საზღვარზე მყოფ ჯარის ნაწილებზე თავდასხმა, ვითომც ავანყებული სომხის მოსახლეობისა. ჩემი თანამგზავრები უკვე წასულიყვნენ წინა გემით და მე მომიხდა მარტოდ მგზავრობა, ჯერ ნავით სოხუმამდის და შემდეგ ეტლით გაგრამდის. ამინდი იყო მეტად ცუდი. გზები თოვლისაგან თითქმის დაკეტილი და მე გაგრაში ჩავედი მხოლოდ 18 თებერვალს დილით. სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ, როცა რუსის ჯარმა, მე-9 არმიის 31-ე დივიზიამ, ამ ფრონტზე შემოტევა დაიწყო. ამ მგზავრობის დროს, ყოველ დაბაში მისვლისას, მე ვეცნობოდი ადგილობრივ გვარდიის შტაბებში თბილისიდან მიღებულ ცნობებს. ეს ცნობები საერთოდ დამაკმაყოფილებელნი იყვნენ და ხალხიც ძალიან აღტაცებული იყო. ყველას ეტყობოდა, რომ ამ ბრძოლას ისინი არ სთვლიდნენ იმ უბრალო ექსპედიციად, რომელსაც ჩვენ ასე დავეჩვიეთ სამი წლის განმავლობაში. მახსოვს გუდაუთში, ფოსტის უფროსმა გვარდიის შტაბს მეტის მეტად სასიხარულო ცნობები გადმოსცა; ეს ამბავი ხელად ქალაქს მოედო და ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მიუხედავად საშინელი თოვლ-ჭყაპისა, მთელი ქუჩები სავსე იყო ქუდ მოხდილი ხალხით, რომლებიც ერთმანეთს ჰკოცნიდნენ. ახალგაზრდები და მოხუცები თანასწორად მოხალისეებად ეწერებოდნენ; ყველა მოელოდა, რომ მათაც დაუძახებდნენ და სადმე ფრონტზედ გაგზავნიდნენ. აქაური ქართველობა, როგორც მოსაზღვრე და მაშასადამე თეთრ თუ წითელ რუსეთის კარგად მცნობი, გრძნობდა, რომ საქართველოს ბედიღბალი წყდებოდა. გვარდიის შტაბში, სოხუმში, გარდა საინფორმაციო ცნობებისა, არავითარ განკარგულებას ცენტრიდან არ ღებულობდნენ, აგრეთვე ჯარის ნაწილიც, რომელიც სოხუმში იდგა. მთელი ეს კუთხე და გაგრის საზღვარი თითქოს დავიწყებული იყო. რუსებიც მშვიდად იყვნენ და მხოლოდ 18 თებერვალს მოიტანეს პირველი იერიში. ოთხი დღის ბრძოლის შემდეგ, მათ გაარღვიეს ჩვენი ხაზი და 22 თებერვალს საღამოს შემოვიდნენ გაგრაში. წინა ხაზიდან (სოფ. პილენკოვო, მდ. ბაშუპსე) უკან დახევისას მე დანიშნული ვიყავი ზურგის მცველ ნაწილში, ჩავჯარდი ტყეედ სხვებთან ერთად და ვიჯექი სოხუმის ციხეში მაისის ბოლომდე.

განთავისუფლების შემდეგ ვიმგზავრე ბათომამდის გემით და ივნისის პირველ რიცხვებში ავედი გურიაში, ციხეში ყოფნისას მე არაფერი ვიცოდი იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა საქართველოში, თუ როგორ შეხვდა ხალხი დამოუკიდებლობის დაკარგვას და საოკუპაციო ხელისუფლებას. მე ,სახლში დავბრუნდი ციებით დაავადმყოფებული, ასე რომ პირველ ხანებში არსად არ დავდიოდი და ყველა ჩემი ნაცნობ-ნათესავები მოდიოდნენ ჩემს სანახავად. მათი შემწეობით, მე გავეცანი თუ რა მოხდა სხვა და სხვა ადგილას საქართველოში. ბევრი მათგანი მსახურობდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ჯარში, გვარდიაში, მილიციაში და სხვა და სხვა დაწესებულებებში. ჩემი თხოვნით ისინი მაცნობდნენ თუ რა ნახეს მათ ამა თუ იმ ფრონტზედ და მიხსნიდნენ იმას, რაც ჩემთვის უცნობი იყო. ყველა მათგანის ნაამბობი ერთმანეთს ეთანხმებოდა: ბევრ ალაგას იყო ბევრი პირადი თავგანწირვაც [illegible] ასევე დულო აქტიც, როგორც [illegible] [illegible] [illegible]

ხალხის მათთან ბრძოლას, და, მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ზემოხსენებულ დასკვნამდე მივდივარ. ასეთივე აზრისა იყო ბევრი ქართველი ჩემი იქ ყოფნის დროს.

ქართული ანდაზაა: „არ ცოდნა — არ ცოდვაო". მაგრამ უდიდესი ცოდვა იქნება ერის წინაშე, რომ არ ვსთქვათ ის, რასაც გულწრფელად ვფიქრობთ. არ აღვნიშნოთ ის, თუ როდის და სად ვერ ვიკარგეთ. თუ გვექნება ამისი გამბედაობა, ეს ნიშანი იქნება იმისა, რომ ჩვენ კიდევ ვარგვართ ბრძოლისათვის.

ქართველი ერის კეთილშობილება უსაზღვროა: ჩემი იქ ყოფნის დროს ბევრი ძმური, ამხანაგური თუ მკვლა-შვილური საყვედური მოგმისწენია ჩვენი ხელმძღვანელობის მიმართ, მაგრამ არასოდეს ამ საყვედურებს ლანძღვა-გინების ხასიათი არ მიუღია. არასოდეს ხალხს მათთვის ზურგი არ უქცევია და მათი ნდობა არ დაუკარგავს! მოწინააღმდეგის წინაშე ხალხი სცდილობდა მათ გამამართლებელ საბუთების მონახვას! და ასეთი ხალხი ღირსია იმისი, რომ ჩვენ მას ნდობით მოვეკცეთ, ჩვენს პირად თავმოყვარეობას დავსძლიოთ და ყოველივე სიმართლე ვუთხრათ.

* * *

თუ როგორ შეხვდა ხალხი თვით გურიაში რუსის ხიშტებზედ დაყრდნობილ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, ეს აშკარად სჩანდა იმ ფაქტებიდან, რასაც ადგილი ჰქონდა მთელს გურიაში და რომელთაგანაც მე აღვნიშნავ მხოლოდ ორს: აპრილში გურიაში ჩამოესვენებინათ ტაბახმელასთან მოკლული საბალმო გვარდიის ბათომის ათასეულის უფროსი კაპიტანი გრიგოლ კვაშალი. მთელი მაზრა ამ მოვლენისათვის წინასწარ მომზადებულიყო; ქალაქ ოზურგეთის და ახლო მახლო თემების მცხოვრებნი, დელეგატები სხვა რაიონებიდან, დიდძალი ხალხი შავებში ჩაცმულნი, დიდი შავი დროშებით შეეგებნენ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირის ცხედარს. უსიტყვოდ, სამარისებური სიჩუმით მიასვენეს ის და დაკრძალეს ოზურგეთის ქალაქის მოედანზე ეკლესიის ეზოში. საბჭოთა მთავრობამ ვერავითარი ჩარევა ვერ გაბედა. ეს ჩუმი პატივისცემა ბრძოლაში დაკარგულისადმი მთელი მაზრის მიერ, უდიდესი პროტესტი იყო სამშობლოს მოღალატეთა და დამპყრობელთა მიმართ! ამ დღეს გურიის ხალხმა, პირველად აშკარად დაანახა საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ის სრულიად არ შერიგებია რუსეთის საქართველოში გაბატონებას და რომ ის ბრძოლებისათვის ყოველ ემზადებოდა. თითქმის ასევე, უფრო პატარა მასშტაბით, ხდებოდა ყველა რაიონებში შეხვედრა და დასაფლავება სხვა და სხვა ფრონტებიდან მოსვენებულ მხედრებისა.

როცა მოახლოვდა ᲫᲘ მაისი, პირველად ეროვნული დღესასწაული ქართველი ერის ... ...

ლო კვლავ მოიპოვებდა თავის დამოუკიდებლობას. რატომღაც მეტის მეტად ზერელედ უყურებდნენ საბჭოთა ხელისუფლების „საქმიანობას". ამბობდნენ: „ესენი აქ იმას ვერ იზამენ, რაც რუსეთში ჭკნესო". რაღაცნაირად ჰქონდათ დიდი იმედი ხაზღვარ გარეთ წასული მთავრობისა, წყალწყალებულივით ეჭიდებოდნენ ყოველგვარ ხავსს, იმეორებდნენ ათასგვარ ჭორებს საზღვარ გარეთელ ამბებზედ, ბერძნების წინსვლაზედ ოსმალეთში, თითქოს ამას ჩვენს საქმესთან რაიმე კავშირი ჰქონდა და სხვა...

მოკლედ: აწმყოზედ და მომავალზედ ჩამოყალიბებული აზრი ხალხში არ ყოფილა. მოწინავე პირები კი, ვინც კარგად იცოდა თუ რა მობდა, უცდიდნენ მდგომარეობის გარკვევას ყოველ მხრივ, მომავალი სამუშაო ხაზის ასაღებად.

* * *

თავის მხრივ საოკუპაციო ხელისუფლება, პირველ დღეებში აწყობდა მიტინგებს, სადაც ხალხს ელაპარაკებოდა, თავის ჩვეულების თანახმად, მომავალ ბელშევიზმზედ. საქართველოს დაპყრობის წინ ბოლშევიკური ორგანიზაციები გურიაში თითქმის განადგურებული იყვნენ და ეხლა კომუნისტები მთელს თავის შრომას ანდომებდნენ მათი პარტიის წევრთა რიცხვის გამრავლებას და თანდათანობით საკ(მოკალაქო დაწესებულებებში ძველი მოხელეების შეცვლას. მანამდე კი ბევრი დაწესებულება ავსებ იყო ისევ ძველი ხალხით და ისინი მუშაობდნენ ბოლშევიკების ხელმძღვანელობის ქვეშ. ამავე დროს ხელისუფლება ატარებდა შედარებით რბილი ხასიათის რეპრესიებს. საალდგომოდ 1921 წელს ყოფილიყო საერთო დაკერები და ბევრი საზოგადო მოღვაწე თუ სახელმწიფო მოხელე დაეკერათ რამოდენიმე კვირით.

ციხის რეჟიმი იყო რბილი, ტუსაღებს უფლება ჰქონდათ მიეღოთ ყოველგვარი გადაცემები და პირველ ხანებში ციხეში ყოფნა წარმოადგენდა ერთგვარ ყრილობას ანტი-საბჭოთა ელემენტებისა: ყოველ შემთხვევაში, ვინც დაუჭერელი გადარჩა, ცოტა შერცხვენილად სთვლიდა თავს ამხანაგების წინაშე.

რასაკვირველია, იყო ბევრი (გამონაკლისი: ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო ის ხალხი, ვისაც ბოლშევიკები იცნობდნენ, როგორც შეურიგებელ მტერს. ან ვინც დამოუკიდებლობის დროს მონაწილეობა მიიღო ბელშევიკების წინააღმდეგ რეპრესიებში. გურიაში რამოდენიმე პირი ასეთი ხალხიდან უკვე არალეგალურად ცხოვრობდნენ, იარაღით ხელში თუ უიარაღოთ. ამავე დროს საბჭოთა ადმინისტრაცია სცდილობდა ეშოვნა ხალხი, რომლის საშუალებითაც, კერძოდ მტრობის ხასიათის მიცემით, შესაძლებელი გახდებოდა ბევრი [illegible] მოკვლა. ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, მათ მიმართეს ისეთ პირებს, ვისაც დამოუკიდებლობის დროს, სისხლის სამართლის დანაშაულის გამო მისჯილი ჰქონდათ რამოდენიმე წლის ციხე და განთავისუფლებულნი იყვნენ საბჭოთა მთავრობის მიერ. უნდა ითქვას, რომ ასეთ ხალხშიც მათ ვერ იშოვნეს კაცი, რომელიც ფულის გულისათვის ან პირადი ინტერესის გამო მოკლავდა იმათ, ვისაც ხალხი ნდობით უყურებდა.

* * *

როცა გაიარა ხალხის დაბნეულობამ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, გურიაში დაიწყო ნელნელა საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობის მოწყობა. ეს მუშაობა პირველად გამოიხატებოდა სოციალ დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციების აღდგენაში, თემების სამაზრო ცენტრთან დაკავშირებაში. მოკლედ, ეს პერიოდი იყო უმთავრესად ხანა თავისი პოზიციების ძებნისა სოციალ დემ. პარტიის მიერ. აქა იქ დაბებში არსებობდა აგრეთვე სხვა პარტიების ორგანიზაციები. პირველ ხანებში საბჭოთა მთავრობას არ ჰქონდა აშკარა საბუთი ამ ორგანიზაციების არსებობის. მაგრამ ჩქარა მთავრობის მიერ წარმოებულ მუშაობაზე ხალხმა მთელ გურიაში გასცა მწყობრი და ერთნაირი პასუხი, რითაც ამ ორგანიზაციების არსებობა მთავრობისათვის ნათელი გახდა.

ეს ზომები მთავრობისა გამოიხატებოდა მის შეტევაში კოოპერატივების წინააღმდეგ, იქიდან ხალხის არჩეული პირების გამოხარეკად და მათ თავის ხელში ჩასაგდებად. გურიაში კოოპერატივები ძალიან იყო გავრცელებული. ყველა ეკუთვნოდა ხალხს და თავისი დამოუკიდებელი მუშაობით უხერხულ მდგომარეობაში აყენებდნენ მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას და წარმოადგენდნენ ერთგვარ ღერძს, რომლის გარშემო ჯერ კიდევ ტრიალებდა ყველა სფერო, უფლება აყრილი ხალხის დამოუკიდებლობა მთავრობისაგან.

კოოპერატივების გარშემო ბრძოლამ გასტანა თითქმის მთელი წელი. ამის გამო ბევრმა იგემა ციხე, დაშინება და ათასი უბედურება, მაგრამ ხალხმა მათ ხელი არ გაუშვა და ბოლოს საბჭოთა მთავრობამ გამარჯვება მოიპოვა წმინდა პოლიციური ზომების აშკარად ხმარებით.

მეორე კითხვა იყო მათი ველური პოლიტიკა ტყეების გაჩეხის შესახებ. წმინდად სადემაგოგიო მიზნით და მიწის საკითხი. თუმცა მიწა, როგორც დიდი ერთეული, აღარავის ჰქონდა, რომ ჩამორთმევა ყოფილიყო საჭირო.

მესამე საკითხი იყო სკოლების დაპყრობა. გურიაში სკოლების მეფის დროიდანვე ხალხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთვნილებას და ნაამაგარს შეადგენდნენ. უღარიბესი გლეხობა პირიდან ლუკმას იძრობდა მათ 'გასამრავლებლად. გურიას ჰყავდა მთელი თაობა თავდადებული მასწავლებლებისა, რომლებმაც ათასგვარ დაბრკოლებათა წინაშე შესძლეს ეს სკოლები გაემრავლებინათ და ხალხისათვის შეეყვარებინათ. საქართველოს დაპყრობის დღიდანვე საოკუპაციო ხელისუფლება შეუდგა მათ წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს, რათა ისინი დაეშინებინა და კომუნიზმის მჭადაგებლად გადაექცია. 20 — 25 წლის ნამოღვაწარი მოხუცი მასწავლებლები თვეობით ციხეებში ლპებოდნენ და ამ დროს კი სკოლებში პატრონი არავინ იყო. როცა მთავრობამ ამ გზით თავის მიზანს ვერ მიაღწია, მან შეაქმნა სასწრაფო კურსები „ახალი კადრების" შესაქმნელად და შეუდგა ძველი, გამოცდილი ხელმძღვანელების უვიც „კომსომოლეებით" შეცვლას. წინანდელ ორკლასიან სკოლებში მასწავლებლებად ამავე სკოლის მოწაფეები „კომსომოლას" წევრები ინიშნებოდნენ. უვიცობასთან ერთად, ესენი ათასგვარ უზნეობას ახვევდნენ თავზე ბავშვებს „კომუნისტური აღმზრდელობის" სახით. კომუნისტურ სასაძაგლეებში ყველაზედ საზარელი ეს უმწიკვლო ბავშვების ძალით გადაგვარება იყო, და ვისაც არ შეეძლო თავის ბავშვებისათვის ოჯახში დიდი ყურადღება მიექცია, ის ხედავდა, თუ როგორ ეცლებოდა მას ხელიდგან მისი მომავალი იმედი და დგებოდა დაღუპვის გზაზედ. და თუ. მიუხედავად მთავრობის ასეთი ზომებისა ქართველი ბავშვების უმეტესობა მაინც ერს შერჩა, ეს მიეწერება ხალხის მიერ ამ საკითხისადმი ჭკვიანად და სათუთად მოპყრობას და აგრეთვე ოთხი წლის განმავლობაში იმ ჯოჯოხეთური სურათის ცქერას, რომელიც საოკუპაციო ხელისუფლებამ დაამყარა გურიაში და რომელსაც ბავშვის წმინდა გული ალღოთი უნდობლობით უცქეროდა. ბავშვი ყოველდღიურად ხედავდა თავის მამას, ან ძმას, ხშირად დედასაც კი. ან მეზობელს და ნათესავს, გაუბედურებულს კომუნისტების მიერ, და მისი გული ტანჯულთათვის ფეთქავდა. ამ ოთხი წლის განმავლობაში მთელი არალეგალური მუშაობის დროს ჩვენს საუკეთესო შიკრიკებად ბავშვები ითვლებოდნენ და არ ყოფილა მაგალითი როდისმე, რომ მათ კომუნისტების წინაშე ზედმეტი სიტყვა წამოსცდენოდეთ 1922 წლის 11 თებერვალს მთელს საქართველოში მოსწავლე ახალგაზრდობამ მოაწყო საქართველოზედ რუსეთის თავდასხმის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები. დასავლეთ საქართველოში და კერძოდ გურიაში ამ გამოსვლებმა ფართე ხასიათი მიიღო და აუარებელი მოწაფე და მასწავლებელი იქნა დატუსაღებული მთავრობის მიერ. დიდებისათვის მისაბაძი იყო ახალგაზრდებმს დისციპლინა, საიდუმლოების შენახვა და გასაოცარი გამჭრიახობა ... რთხის წინაშე. ის რაც ჩვენ, დიდებს, ... ქმის ნაძალადევად მოგვეხვია თავზედ, მათ ბავშვობიდან თან ეზრდებოდათ, ბუნებრივად და აუცილებლად ხდებოდა და ჩვენც იმედს გვაძლევდა, რომ თავის დროზედ, ვეფაკად ქცეული, ეს თაობა თავის სიტყვას იტყოდა. თვით ციხეებშიც 16 —17 წლის ბავშვები გასაოცარი სიმტკიცით იქცეოდნენ. გურიის კომიტეტის ერთი შიკრიკთაგანი, მოწაფე მსხალაძე დატუსაღებულ იქმნა წერილით ხელში და ჩეკა შეეცადა მისი საშუალებით მთავარი ორგანიზაციების მიგნებას. საშინელი ტანჯვა-წამება მიაყენეს ამ ბავშვს, მაგრამ მისგან ვერაფერი გაიგეს. დაბოლოს ისეთ ველურ ზომასაც მიმართეს, რომ მარტო ამისათვისაც კი კომუნისტები სამუდამოთ საზარელი დარჩებიან მათ თვალში, ვინც იმ დროს გურიაში იყო: ამ ბავშვს გახადეს ტანზედ, ჩამოკიდეს ფეხებით და მთელი სხეული ნელ ნელა დაუწვეს პაპიროზის ცეცხლით! ბავშვმა ამახაც გაუძლო, და როცა ის გაანთავისუფლეს, მთელი მისი სხეული პაპიროსის ცეცხლისაგან საცერივით იყო დაცრეცილი. მან განაგრძო მუშაობა და როცა ხნით მოიზარდა, აჯანყების შემდეგ ციმბირში გაგზავნეს. სამშობლოს სამსახურში ამდენი უბედურების შემდეგ, მან თავისი წმინდა სული იმათ რიცხვს შეუერთა, ვისაც სამშობლოს წინაშე უკვე ყოველგვარი ვალი მოხდილი აქვთ.

მეოთხე საკითხი იყო ეკლესიების დარღვევა. აქ მათ ეგონათ, რომ ძალიან ადვილად გაიმარჯვებდნენ, მაგრამ ყველგან სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდნენ. როცა მათ დაინახეს ასეთი მწყობრი შეტევა, ისინი მიხვდნენ თუ ვინ ხელმძღვანელობდა ამ მოძრაობას და მიტინგებზედ მიმართეს სოციალისტებს, რომ ამ საკითხში ჩვენ ერთნი ვართ და ხელს ნუკი გვიშლით, არამედ დაგვეხმარეთო. ხელის შეშლაზედ სოც. დემოკრატებმა, რასაკვირველია უარი უთხრეს და ეს მოძრაობა ხალხის მიერ თავის თავად წამოსროლილ მოძრაობად მონათლეს, მაგრამ დახმარებაც უარყვეს, მიუთითებდნენ რა იმაზედ, რომ სოც. დემოკრატია იცავდა რწმენის და სინდისის თავისუფლებას და რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგებული იყო ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფით. ამ საკითხის გარშემოც ბევრი ქალი და მოხუცი იქმნა დატუსაღებული და ბოლოს მთავრობამ აქაც მიმართა პოლიციურ ზომებს: ერთ ღამეს მთელს გურიაში დაესხნენ თავს მღვდლებს და ყველანი გამკრიჭეს ძალით, მოჭკლეს ყოვლად საზარელ ფორმაში, მთელს გურიაში და მთელი ქართული სამღვდელოების მიერ ცნობილი მღვდელი ლავრენტი წულაძე, იშვიათი მცოდნე ქართული ენისა,

ქართული ლიტერატურისა, ყოველ დარგში თავდადებული საზოგადო მოღვაწე და ხალხის მოსამსახურე. ამ მხეცური ზომების შემდეგ შეუდგნენ ეკლესიების რღვევას და ქონების კონფისკაციას.

ამავე დროს მთავრობას გაჰყავდა ხალხი ძალით ოზურგეთ-ნატანების რკინის გზაზედ სამუშაოდ, უჭმელ-უსმელი, უბინაოდ და უფასოთ. სრულიად უთავბოლოდ იწყებდნენ სხვა და სხვა ადგილას გზების გაყვანას, სადაც იმავე პირობებში ამუშავებდნენ ხალხს. მათ ასეთ „მოღვაწეობას" ისინი აწარმოებდნენ ისეთი მეთოდებით, რომ ხალხისთვის აშკარა იყო, რომ მთავრობის უმთავრეს მიზანს შეადგენდა ხალხის დაბეჩავება და წელში გატეხა და ხალხიდან იმ პირთა მოშორება, ვინც მთავრობას ასე თუ ისე წინააღმდეგობას უწევდა.

ამავე მიზანს დაუმორჩილეს ხალხისათვის ძალით ჩამორთმეული კოოპერატივებიც. მათი საშუალებით მოტყუებით ჩამოართვეს ხალხს თამბაქო, აბრეშუმის პარკი, სიმინდი, ხილი, არაყი, ღვინო და სხვ. მათ საფასურად ხალხს მხოლოდ ცარიელი დაპირებები ეძლეოდა. გურიის ხალხს მოესპო საშუალება გარედ სამუშაოზედ წასვლის, შავი ზღვის ნავთსადგურებში, რკინის გზებზედ, ტყეში თუ სახელმწიფო სამსახურში.

ყველა ამ კითხვებზედ შეხლა-შემოხლის დროს ხალხი თანდათან სცილდებოდა მთავრობას, იწყებოდა უკვე იმის გარკვევა, თუ რა დაკარგა მან და ვისთან ჰქონდა საქმე დღეს. ყოველგვარ თავის უფლებას მოკლებულმა ხალხმა აღადგინა ძველი ჩვეულებები: ნათვლა, ჯვრის წერა, საეკლესიო წესით მიცვალებულის დასაფლავება, მოხუც სასულიერო პირთა პატივისცემა, დღეობები და მრავალი სხვა. მთავრობის მიერ შექმნილ პირობებში მხოლოდ ეს იძლეოდა საშუალებას ხალხის ერთმანეთთან შეხვედრისას მისვლა-მოსვლისას ერთგვარი თავისუფალი ცხოვრებისას და, ამავე დროს, არალეგალური მუშაობის წარმოებისას. ყველა ასეთ შეხვედრის დროს ხალხი აძლევდა გამოსავალს თავის გრძნობებს და აშკარად გამოსთქვამდა თავის მწუხარებას სიტყვით, სადღეგრძელოებში, ლექსებით და სიმღერებით. თვით იქ დამსწრე კომუნისტებს ხშირად აიძულებდნენ მიერთვათ საქართველოს დამოუკიდებლობის და ყოფილი მთავრობის სადღეგრძელო. კომუნისტები და მათი ჯაშუშებიც არ რჩებოდნენ ვალში და ყველა პიროვნების მიმართ ღებულობდნენ ზომებს დრო გამოშვებით დატუსაღების სახით. ზოგს აჩერებდნენ იქვე თეში, ზოგს გზავნიდნენ სამაზრო ჩეკაში და იქ არჩევდნენ უფრო აქტიურ პირებს თბილისის ციხეებში გადასაგზავნად. ამ რეპრესიებს ატარებდნენ ან ადგილობრივი თემის ხელისუფლება, ან სარაიონო და სამაზრო ადმინისტრაცია, სამაზრო ჩეკა. [illegible] დებლად და დრო გამოშვებით ზოგიერთი პირების წინააღმდეგ საგანგებოდ ბათომიდან ან თბილისიდან ჩამოსული ჩეკის აგენტები. შემოიღეს ჩეკის აგენტების ჩუმად, ღამით სოფელში შემოყვანა, რომლებიც თავს ასაღებდნენ დევნილებად და ამ გზით ცდილობდნენ დევნილი ხალხის ხელში ჩაგდებას და დახოცვას.

არალეგალური ორგანიზაციის მეთაურებს უხდებოდათ დღე და ღამე მუშაობა ყველა ასეთ, მათ წინააღმდეგ მიმართული ზომების წინასწარ გასაგებად, ხალხის გასაფრთხილებლად და მოსალოდნელი პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად. ერთი მხრივ ამდენმა რეპრესიებმა და მეორე მხრივ ხელმძღვანელების მიზანშეწონილმა მუშაობამ ხალხი გამოქნა და გაწაფა საიდუმლოების შენახვაში, დისციპლინის განმტკიცებაში, ერთმანეთთან მეგობრობაში და მთელი მაზრის მასშტაბით საუცხოო ჩუმი კავშირის მოწყობაში. უნდა აღვნიშნო, რომ ამ მუშაობის დროს გურიაში მთელი ანტი-საბჭოთა ელემენტები თავს იყრიდნენ სოციალ დემოკრატიული პარტიის გარშემო: აქედან ღებულობდნენ ყოველგვარ ინფორმაციას, ბრძანებებს, ფურცლებს, გაზეთებს. ინახავდნენ არალეგალურ ხალხს, იხდიდნენ ფულს და ეხმარებოდნენ ორგანიზაციებს, ყოველგვარი საშუალებებით. ყოველგვარი წინანდელი შუღლი და პარტიული განსხვავება დავიწყებული იყო და ყველა ნელნელა მაგრამ მტკიცედ მიდიოდნენ ერთიანი ფრონტის შესაქმნელად.

* * *

გურიის ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს 1922 წელს (თანახმად ცენტრიდან მიღებული დადგენილებისა) აშკარად ედღესასწაულათ 26 მაისი. ამ მიზნით ჩატარებულ იქმნა მოსამზადებელი მუშაობა ხალხის გამოსაყვანად. დანიშნა წინასწარ მიტინგების ადგილები, საპირო ორატორები და გამომუშავებულ იქმნა კრებებზედ მისაღები რეზოლუციები. საიდუმლოების დაცვის მიზნით, საერაიონო ხელმძღვანელებს ქვევით არავინ არ იცოდა ადგილი, რომელიც მიჩნეული ჰქონდა ამა თუ იმ თემს.

საოკუპაციო ხელისუფლებამ იცოდა, რომ 26 მაისს შესაძლებელი იყო მომხდარიყო რაიმე მანიფესტაციები და თავის ჩვეულების თანახმად მან მიიღო გადაწყვეტილება წინ ღამით დაეტუსაღებინა ცოტათ თუ ბევრად შემჩნეული პირები. ეს იცოდა ჩვენმა ხელმძღვანელობამ და უკანასკნელ დროს მან გასცა ბრძანება ყველა რაიონებში თავყრილობის ადგილის ჩვენებით და თან გამოსვლის დღედ 26-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიერ დანიშნა 24 მაისი. ეს არა თუ მტრისთვის, არამედ ხალხისთვისაც მოულოდნელი იყო და ვინაიდან წინასწარი მუშაობა კარგად იყო ჩატარებული, 24 მაისს მთელს გურიაში ხალხი მოგროვდა დანიშნულ ადგილებზედ. გაიმართა უველგან მიტინგები. თვით ქალაქ ოზურგეთში დიდი ჯარი იდგა, ამიტომ მიტინგის ქალაქში მოწყობა შეუძლებელი გახდა. მაგრამ სამაგიეროდ უველა დაწესებულება დაიკეტა მოსამსახურეების გაფიცვის გამო. დაიკეტა აგრეთვე მთელი სავაჭროები მთელი დღით. ქალაქში ცხოვრება გაჩერდა და მთელი ხალხი გაეშურა ახლო რაიონებში მიტინგებზე დასასწრებად. მიუხედავად იმისა, რომ გურიაში მაშინ იდგა დიდი ნაწილები წითელი არმიისა, რომლებსაც სასწრაფო განკარგულება მიეცათ მიტინგების დასაშლელად, უველა მიტინგებზედ ხალხმა მაინც მოასწრო სიტყვების მოსმენა და საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლუციების გამოტანა. მხოლოდ შემდეგში იგემა გურიის ხალხმა ამისათვის სასტიკი რეპრესიები.

გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ის მიტინგი, რომელსაც ადგილი ჰქონდა სოფელ ფიჩხის-ჯვარში, სადაც დანიშნული იყო სამი დიდი თემის: ასკანის, ნაგომარის და ხიდისთავის მცხოვრებთა შეერთებული კრება. როგორც სხვაგან, ისე აქაც ხალხმა მოასწრო თავის მოყრა და კრების გახსნა. სოფ. ფიჩხის-ჯვარი მდებარეობს ამ სამი თემის შუა გულში და წარმოადგენს საკმაოდ ამაღლებულ ადგილს. კრება იყო დანიშნული ეკლესიის გალავანში. ხალხის რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ თითქმის ნახევარი დარჩა გალავანს გარეთ. ეკლესიის ეზოს ერთ მხარეზედ იმყოფება ერთი დიდი ძეგლი, რომელიც წარმოადგენს პირამიდას ოთხი მხრივ ასასვლელი კიბეებით და ფართობით, რომელზედაც თავისუფლად მოთავსდება ათი კაცი. აი, ამ ძეგლზედ იდგა მიტინგის ხელმძღვანელი ხალხი. თავმჯდომარემ გახსნა კრება. სიტყვა მისცა წინასწარ დანიშნულ პირს, რომელმაც მოკლედ გააცნო ხალხს კრების მიზანი და წარმოუდგინა რეზოლუცია, მიმართული საქართველოს დამოუკიდებლობის ძალით მოსპობის წინააღმდეგ. კრება მიმდინარეობდა სრული სიწყნარით. ამ დროს მას ალყა შემოარტყეს სოფელ ხიდისთავიდან და სხვა თემებიდან მოსულმა კომუნისტებმა, რაიონის მილიციის უფროსის ჭანიშვილის და თანაშემწე ლომთათიძის ხელმძღვანელობით. მოსვლისთანავე მათ ჯალავნის გარედან მიმართეს თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ დაეშალა კრება. მან უპასუხა: „კრება არის მოწვეული არა თქვენს მიერ, მას აქვს სრულიად მშვიდობიანი ხასიათი და როცა ის თავის დადგენილებას გამოიტანს, მე მას უთქვენოთ დავბეჭდავ". იმავე წუთში კომუნისტებმა დაუბერეს ხალხს ტყვია და შიგ შუა გულ მიტინგში გადაისროლეს ხელის ყუმბარა. პირველსავე თოფის გავარდნაზედ რამდენიმე ქალი და კაცი წაიქცა მიწაზე. ხელმძღვანელები დარჩენ ტრიბუნაზედ. ხალხს არ ჰქონდა გაქცევის საშუალება და იდგა ალაგზედ. ამავე დროს ერთმა ჯგუფმა დაიწყო ჩვენი მიმნი „დიდება" და მას აყვა მთელი ხალხი.

ეს იყო ისეთი გრანდიოზული სურათი, რომელიც მნახველს არასოდეს არ დააავიწყდება. აი, ამ დროს გასცდა ყუმბარა და კიდევ დაცვივდა ძირს ხალხი. ერთმა ნაწილმა მოახერხა გალავნის გარღვევა და ხალხი გაექანა იქით, ვინაიდან შემოსასვლელი კარები კომუნისტებს ეჭირათ, საიდანაც ისინი განაგრძობდნენ სროლას. ხალხი გაიფანტა. ადგილებზე დარჩნენ დაჭრილები და მათი ჭირისუფალნი, რომლებიც დატუსაღებულ და გალახულ იქმნენ. იმ დღეს დაიჭრა ორმოცამდე კაცი, რამდენიმე მძიმედ და მათ შორის ერთი ქალი. ხალხი დაიფანტა თავთავიანთ სოფლებში. ბევრი გავიდა ტყეთ. ბევრი საყვედურს გამოთქვამდა, რომ მიტინგს არ მუყავდა შეიარაღებული მცველები და საერთოდ უველა მოითხოვდა ჭანიშვილის და რამდენიმე კომუნისტის აუცილებლად მოკვლას, თანახმად ცენტრიდან მიღებული განკარგულებისა, ორგანიზაციებმა მიიღეს ზომები ყოველგვარი უმიზნო გამოსვლის თავიდან ასაცილებლად, ხალხის დასაწყნარებლად და დაჭრილთა ოჯახების დასახმარებლად. მთელი გურია შფოთავდა ამ საზიზღარი აქტის გამო და თვით კომუნისტებში გაისმოდა უკმაყოფილების ხმა. იმ წამსვე მოხსნეს სამსახურიდან ჭანიშვილი და ლომთათიძე და გადაიყვანეს ბათომში, სადაც ისინი შიშით ნახევრად არალეგალურ ცხოვრებას ეწეოდნენ და თითქმის ერთ ნახევარი წლის განმავლობაში აშკარად ვერ ამოდიოდნენ თავიანთ ოჯახებში. მიუხედავად მიღებულ ზომებისა, ხალხმა მაინც გადადგა ნაბიჯი ზოგიერთი მეტისმეტად თავგასულ ჯალათების ასალაგმავად. ეს ნაბიჯი გამოიხატა იმაში, რომ ერთ მშვენიერ ღამეს გურიის სხვა და სხვა თემებში უგზო-უკვლოდ „დაიკარგა" რამდენიმე კომუნისტი და მათ შორის ის კომუნისტიც, რომელმაც პირადად ესროლა ყუმბარა ფიჩხის-ჯვარის მიტინგს. ეს იყო ზომა, რომელსაც გურიის ხალხი მიმართავდა უკიდურეს შემთხვევებში მეფის მთავრობის დროს ზოგიერთი პირების წინააღმდეგ. ეს ტერორისტული აქტი მით უფრო საშიში იყო, რომ როგორც უკვე ზევით მოვიხსენიე, ის გამოიხატებოდა აღნიშნულ პირთა მოკარვაში და სრულიად დაკარგვაში.

კომუნისტები იცნობდნენ ამ ზომას და ისიც იცოდნენ, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელი იყო. მიუხედავად მათი გამოცდილებისა და სასტიკი ძიებისა, მათ ვერ აღმოაჩინეს ვერც ერთი დაკარგულის გვამი და ვერ ჩაიგდეს ხელში ვერავითარი საბუთი გარკვევით ვინმეზე ბრალდების წასაყენებლად. რასაკვირველია ეს აქტი კომუნისტებმა გურიის ხალხს შემდეგში საერთოდ ძვირად დაუჯინეს, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში არც მათ სანინააღმდეგო ვენებით, ვინც გრძნობდა თავის დანაშაულს ხალხის წინაშე, დაღამების შემდეგ ... ვერ გამოდიოდა და ხშირად თავის ოჯახშიც კი არ ათევდა ღამეს. თავის მხრივ ხალხმა რაღაც გულის მოსაფხანი ხაშუალება ჰპოვა ამ აქტში და გურიის ორგანიზაციას დიდი შრომა დასჭირდა ზოგიერთ წათამამებულ პირების დასაწყნარებლად, რომ მათ ასეთი რამე კიდევ არ ჩაედინათ.

□ბაბრაძელება იქნება□

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პრ. № 12.

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 93-55-11, მო. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, პ/მ მდივნის — 93-55-18 და განყოფილებების — 93-55-16; 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 15. 05. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 07. 90 წ. ანაწყობის ზომა 7¹/₄X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 08057. ტირაჟი 30.3700. შეკვ. 1156. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

6 165/89.

ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ინფექტი
76128

გამოიწერეთ ჟურნალი „მნათობი“!

ჟურნალ „მნათობის“ 1990 წლის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში დასრულდება „ახალი აღთქმის“ სრული ტექსტის გეჰდვა. თუმცა საქართველოს საპატრიარქომ წელს გამოსცა თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი „ბიბლია“. „მნათობის“ პუბლიკაციამ მაინც მკითხველთა დიდი მხარდაჭერა და კმაყოფილება გამოიწვია. ამას მოწმობს რედაქციაში მოსული მადლობის წერილები, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მათთვის, ვისაც 1990 წელს „მნათობი“ არ გამოუწერია, ჟურნალის წლევანდელი ნომრები ძნელი საშოვნელი გახდა.

1991 წლის პირველი ნომრიდან ვიწყებთ თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი „ძველი აღთქმის“ გეჰდვას.

გირჩევთ: დროულად გამოიწეროთ ჟურნალი „მნათობი“!

ჟურნალის საცალო გაყიდვა 1991 წელს უფრო შეზღუდული იქნება და ამაოდ მოგიწევთ ცალკეული ნომრების ძებნა ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებში.

ჟურნალში ძირითადი ადგილი, როგორც ყოველთვის, დაეთმობა თანამედროვე ქართველი მწერლების საუკეთესო ქმნილებებს: ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებს, ფართოდ იქნება გაშუქებული ჩვენი კულტურისა და მეცნიერების მიღწევები, პოლიტიკური ცხოვრების ასპექტები.

„მნათობზე“ ხელმოწერის გაფორმება შეუზღუდავად შეიძლება „სოიუზპეჩატის“ ნებისმიერ განყოფილებაში.

წინასწარ გიხდით მადლობას ნდობისა და ერთგულებისათვის.

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ